ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

K 33.752
3

ხელნაწერთა აღწერილობა

I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

ОПИСАНИЕ РУКОПИСЕЙ

РУКОПИСИ БЫВШ. МУЗЕЯ ГРУЗИНСКОГО ОБЩЕСТВА ИСТОРИИ И ЭТНОГРАФИИ (КОЛЛЕКЦИЯ Н)

ТОМ V

Составлен и подготовлен к печати Л. Л. Меп а р и ш в и л и
под редакцией Ал. Б а р а м и д з е

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИСИ—1949

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

091

ხელნაწერთა აღწერილობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H)

K 33.752/3

ტომი V

შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ
ალ. ბარამიძის რედაქციით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი — 1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

წინამდებარე V ტომი შედგენილია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომის შესავალსა და წინასიტყვაობაში მითითებული წესების მიხედვით და შეიცავს 500 ხელნაწერის აღწერილობას—№ 2001—2500 (კოლექცია H). აქ გამოქვეყნებულ აღწერილობას თან ახლავს სათანადო ხელნაწერების მნიშვნელოვანი მინაწერებიც, ხოლო საძიებელს დაემატა „ავტორები და გადამწერები“. ქრონოლოგიურ, გეოგრაფიულ და პირთა საძიებელში მითითებულია აღწერილობის ის ადგილი, სადაც დაცულია აღებული ცნობა, მაგ.: ანდ. (ანდერძი), შენ. (შენიშვნა), მინაწ. (მინაწერი) და სხვა.

პირთა საძიებელში ავტორებზე მითითება არაა. მითითებულია დანარჩენი, მაგ., მოხსენებული პირი, მთარგმნელი, მთქმელი, შემკვეთი და სხვა.

ფოლკლორული მასალა აღწერილია დოც. ელენე ვირსალაძის მიერ. საძიებელი შეადგინეს: ლ. მეფარიშვილმა და ნ. კასრაძემ.

ს308-2000

362 გვ. 25 სმ. 35 ?.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2001

ზატიკი, 1702

284 ფ.; 30×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინ-გურით; **1702 წ.** (247 v); გადამწერი: მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (247 v); ადგილი: მოსკო[ვი] (247 v); შიგადაშიგ ქაღალდი მელნისაგან ამომწვარია; შემოსწირა ლეონ ლეონიძემ 1922, VIII.

„დიდსა შაბათსა მწუხრი დასდებელნი აღდგომისანი.—ჴმა ა. სამწუხრონი ესე ლოცვანნი ჩ̃ნნი შეიწირე წმიდაო უფალო და მოგუმადლე ჩ̃ნ მოტევება ცოდვათა...“ 1 r—284 v.

ანდერძი: ა. „ნებითა ღ̃ისათა ვიწყე ესე **ზატიკი** ქორონიკონსა დას[ა]ბამითგან შვიდი ათას ორას და ცხრასა, მე ფრიად ცოდვილმა მღვდელმონაზონმა გაბრიალ. ვინც იჴმარებდეთ, შენდობას მიბრძანებდეთ, ვინც შენდობა მიბძანოთ, თქ̃ნც შეგინდეს ღმერ-თმან.“ 1 r.

ბ. „დაიწერა წიგნი ესე მოსკოს ქალაქსა ქრონიკონსა წარსრ[უ]ლსა დას[ა]ბამოთგან შჳდი ათას ორ[ა]ს და ათსა. ხოლო ქ̃ს აქათ ათ[ა]ს შჳდას და სამსა, სრულიად ესე არს აქამი, ხოლო ჩ̃ნსა ქრონიკონსა **ტჟ**.

ამის მჩხაბ[ა]ვს მღდელმონაზონს გ[ა]ბრიალს შე[უ]ნდნეს ღმერთმან და მის მიცვა-ლ[ე]ბულთა შეუნდნეს ღმერთმან, ვინც შენდობა მიბრძანო, ღმერთმან დაუს[ა]ბ[ა]მომ თქ̃ნ და და თქ̃ნსა მიცვალებულთ შეგინდოს. ესე სულის წმიდის ლოცვა რუსულის დე-დისგან დამიწერინებ[ი]ა, აღსვლები (sic) აღდგო[მ]ის კვირის რიგები რუსულის დედისა-გან დამიჩხ[ა]ბავ[ს].“ (247 v).

მინაწერი: „ეს წიგნი გლახასი არის, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ამის მადლი (მარ-ცხენა ყდაზე მხედრულით).

მინაწერი მხედრულით: „მეჭიანურიანთ მამცეს ერთი ხაიათი. ა.
ნადოს ცოლმა მამცა ერთი ხაიათი. ა.
ოსეფას ცოლმა მამცა ორი ხაი[ა]თი. ბ.
ა. ხარატიანთ მამცეს ერთი ხაიათ[ი]. ა.
ა. საქოს ცოლმა მამცა ერთი ხაიათი. ა.
ბ. ღონიანთ ტურას დედამ მამცა ორი ხა[ი]ათი. ბ.
გ. საზას ცოლმა მა[მ]ცა სამი ხაიათი. გ.
მახიამ მამცა სამი ხაი[ათი]. გ.
თამაზოლლიაანთ მამცეს ერთი ხაიათ[ი]. ა.
დიდმიკელაანთ მამცეს ორი ხაიათი. ბ.
ძაალიანთ მამცეს სამი ხაიათი. გ.
მიქელანთ ტეტოს ცოლმა მამცა ერთი ხა[ია]თი. ა.
დავთოს ცოლმა მამცა ერთი ხაიათი. ა.
ბეროს ცოლმა მამცა ერთი ხაიათი. ა.
ქიჭიკოს ცოლმა მამცა ერთი ხაიათი. ა.
ღონიანთ ქეთანამ მამცა სამი ხაიათი. გ.
ღონიანთ თინათინმა მამცა სამი ხაიათი. გ.
აივაზანთ მარიამ[მ]ა მამცა ორი ხაიათი. ბ.
ჭუპრაანთ დემეტრეს ცოლმა მამცა ორი ხაიათი. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლრაქას ცოლმა მამცა ორი ხაიათ[ი]. ბ.
გოგინაშვილმა მამცა ორი ხაიათი. ბ.
ადოპლიან მამცეს ერთი ხაიათი. ა.
შოშიტაანთ მამცეს ერთი ხაიათი. ა.
თამარმა მამცა ერთი ხაიათი. ა.
სვიწანის ცოლმა მამცა ერთი ხაიათი. ა". I v.

2002

კრებული (საისტორიო თქმულებები და ძველი თამაშობანი), XIX—XX

70 ფ.; 35×22; ქაღალდი; დაზიანებული; მხედრული; [XIX—XX]; ფ. ფ. 15, 22, 27, 64, 65 დაუწერელია.

1. „თამარ მეფე.—მთელ საქართველოს ხალხს თამარ მეფე წმინდანათ ჰყავს დასახული და ამიტომაც არ ჯერათ, რომ მას ქმარი ჰყავდა..." 2 r—3 r.

2. „ოსეთში ისე ერთ კაცს ვერ ნახავთ, რომ რამდენიმე ამბავი არ ჰქონდეს გაგონილი თამარ მეფეზე თავის მამა-პაპისაგან. სხვათა შორის, იქაურებისაგან გავიგონე შემდეგი: სანამ თამარ მეფე ცოცხალი იყო, იალბუზის მთაზე არასდროს თოვლი არ მოსულა და თამარ მეფესაც თავისი თორმეტკარიანი და თორმეტოთახიანი ციხე-კოშკი იქა ჰქონდა და მისი ჯოგებიც იქა ძოვდენ..." 3r—4r.

3. „სომხებისაგან თამარ მეფეზე მე გამიგონია შემდეგი ამბავი: ერთ დროს ქართველების დედოფალი თამარი თათრებმა გააჯავრესო და ამ გაჯავრებაზე თამარს უთქვამს..." (ზ. მთაწმინდელი) 4 r.

4. „ამილახვრის გვარი.—ქართველების ხელოვნება სამხედრო საქმეში განთქმული ყოფილა ყველა აღმოსავლეთის ხალხებში, რომელნიც ამ მხრით ჰბაძავდენ ჩვენს წინაპრებს..." (უსისტყელი) 4 r—5 r.

5. „მეფის თარხანი.—შაჰ-აბაზისაგან საქართველოდან სპარსეთში გადასახლებულ ასი ათას ქართველში ერია კახეთის მეფის ალექსანდრეს მოხუცებული ხუმარა, სახელათ თარხანი..." (ზ. მთაწმინდელი) 6 r—7 r.

6. „ნადირ-შაჰის შთამომავლობა.—სამხრეთ სპარსეთში არის ნიშაბურის სოფელი. ის სოფლის მიწები სულ სარწყავი იყო, ამიტომაც ყოველ წელიწადს მერუეს დაიჭერდენ, რომ წყალი ყველას რიგით მისცეს ყანების მოსარწყავათ..." (ი. იოსებ არღუთინსკი) 8 r—12 r.

7. „ბაქრაძის ქვრივი.—მეფე სოლომონ პირველის დროს ცხოვრობდა რაჭაში, სოფელს ჯოის-უბანს ერთი აზნაური დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც ჰქონდა მამული ეგრეთვე იმერეთშიაც, სოფ. ბიღას, სადაც ჰყავდა რამდენიმე კომლი ყმა, გვარათ გოცაძეები..." (სხვიტორელი) 13 r—14 r.

8. „გოგია ხამხაძე.—ერეკლე მეფის დროს ყოფილან საკმაოთ იმისთანა გლეხები, რომელთა დიდებას სამხედრო ასპარეზზედ ბევრი დიდებული თავადი შურით შეჰყურებდა..." (პ. ჭალელი) 16 r—18 r.

9. „გურული.—ერთი გურული მოვიდა იმერეთის მეფესთან, სოლომონ მეორესთან და იჩივლა: — ბატონო მეფე! გურიიდან გეახლებოდი აქეთ, ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაისისაკენ, და წუხელი, ჩემო ბატონო, ვნახე გზის პირათ მინდორში მშვენიერი ბალახი...“ 19 r—20 r.

10. „ყვავის საყდარი.—ქართველ თავადებს უწინდელს დროში და თითქმის ეხლაც ჩვეულებათ ჰქონიათ მუშის დაძახება და განსაკუთრებით სამკლათ...“ 21 r.

11. „ნაამბობი ასლან ბებუთოვისაგან.—რაც ერეკლე მეორეზე ამბვები დარჩენილა საქართველოს ხალხში, მგონია არცერთ საქართველოს მეფეზე არ უნდა იყოს იმდენი დარჩენილი და ზეპირათ დახსომებული...“ 23 r—24 r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია ლექსები:
1. „ერეკლემ დასცა ყეენი, მეფე არის ქართვლისაო...“ (24 r),
2. „ჰოი პაწარა ბატონო, ერეკლე მეფის ძისაო...“ (24 r),
3. „ბატონი ჩვენი ირაკლი დღეს არის გამარჯვებული...“ (ზ. მთაწმინდელი) (25 r)

12. „მეფე ირაკლის მასპინძელი.—ნატახტარ სოფელს ერთი ოჯახი ცხოვრობდა, გვარათ ტონუაშვილი, რომლის სიმდიდრე და პურადობა-გათქმული ყოფილა მთელს საქართველოში...“ (ი. ს. დავითაშვილი) 25 r—26 r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია შემდეგი ლექსები:
1. „ნატახტარ სოფლით გახლავარ...“ (25 r)
2. „ტონუაშვილსა მიქებენ...“ (25 r)

13. „გივი ამილახვარი და იმის მოურავი.—ერთხელ გივი ამილახვარმა მეფის დასაპატიჟებლათ გაგზავნა თავის მოურავი და ასე უბძანა: დღეს მეფე მობძანდება აქეთ და ჩვენ მამულში გამოივლის გზათ...“ 28 r.

14. „ხოჯა ალამაჰმად შაჰისაგან თფილისის აოხრება. (ისტორიული მოთხრობანი).—1795 წელს ერეკლე მეფეს ამბავი მოსდიოდა, რომ სპარსეთის ალა-მაჰმად-შაჰი აპირობს თფილისის წასახთენათ მოსვლასო...“ 29 r—34 r.

15. „ავარიელი ომარ-ხანისაგან დარბევა ახტალის მადნისა.—1783 წელსა ერეკლე მეფემ შეიტყო, რომ ავარიელი ომარ-ხან დიდის ჯარით მოდის სომხეთის წასახდენათ...“ (თ. ი. არღუთინსკი) 34 r—37 r.

16. „ზოგიერთი ცნობანი საქართველოს მეფეების ცხოვრებაზედ.—ჟამსა ყმარწვილობისა თვისისა საქართველოს მეფეებთან ყოფილიყო ერთი თავადისშვილი, ის ამბობდა ზოგიერთსა ამბვებსა იმათის უეკონომიოთ ცხოვრებისა და უთაოსნობისა იმათის კარის კაცებისა...“ 37 r.

17. „მახვილაძე.—ერთი ქართლელი გლეხი სახელათ მახვილაძე წყაროზე მიდიოდა წყლის დასალევათ...“ (სხვიტორელი) 38 r.

18. „თუში.—ერთს თუშს შეუფარალათებია, თოფი მხარს გადუკიდია და ყანას ხნავს...“ (სხვიტორელი) 38 r.

19. „ფარეშობა.—სიტყვა „ფარეში“, ისე როგორც „ბიჭი“, სპარსულია. პირველი ნიშნავს ხელზე მოსამსახურეს და მეორე შვილს...“ 43 r—47 r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია ლექსი: 1. „ფარეშების სიმღერა.—
ამან ეს სთქვა... იმან ის სთქვა...“ (აკაკი) 47 r.

20. „1875 წ. ძველებური ამბები, ჩერქეზის ასული.—ყირიმის ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის მხედრობამ ენერგიულათ მიჰყო ხელი ჩერქეზეთის დაპყრობას და ჯარები შემოადგა სხვადასხვა მხრით ისრე, რომ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალება მოუსპეს ერთი თემი მეორეს მოხმარებოდა, როდესაც უბიხი, ჯიქი, შაპსუგი, ნატუგიაცი და სხვანი ერთი მეორეს ვეღარ ეხმარებოდენ, უფროსი ატრიადს ყოფდენ სხვადასხვა პატარა კალონებათ და ესხმოდენ თავს სხვადასხვა სოფლებს ერთსა და იმავე დროს, ამ დროს გამოჩნდა ერთი ჩერქეზის თავადის შესანიშნავი ქალი ფატუმ-ხანუმ...“ (სხვიტორელი) 48 r—49 r.

21. „ძველათ და ახლა.—სამეგრელოში, სოფ. გორდში დადიანის სასახლეში, ერთხელ დავით მიტროპოლიტის დროს, სამხედრო საქმისათვის შეკრებილი იყვნენ: დადიანი, დავით მიტროპოლიტი, მართა დედოფალი, მუხრან-ბატონის ცოლი და სხვა დარბაისელნი პირნი და მათში სხვათა შორის ერთი ვინმე, ჩიქოანი...“ (თეოფ. კანდელაკი) 50 r.

22. „საერო თამაშობანი და გართობანი ძველ საქართველოში.—ეხლანდელს ვერის ხიდს გაღმით, მცხეთი-თფილისის გზა-ტკეცილის მარცხნივ, გადაშლილია მინდორი საბურთალო...“ (ა. ერიცოვი) 51 r—57 v.

23. „უკანასკნელი შთამომავალი საქართველოს მეფის სახლობისა.—სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ (1782 წ), თფილისის ქუჩებში დასეირნობდა რაღაც ახირებულის ტანისამოსით ერთი ვინმე რეინეგს, რომელსაც მუდამ თან დაჰყვებოდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორის თორმეტი წლის ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე...“ (ა. ერიცოვი) 58 r—63 r.

24. „ყაბარდოელების გარდმოცემა.—ვინ არ იცნობდა ყაბარდოში თავად ჯან-კლიჩ ულადიას? სიმდიდრით მხოლოდ ირანის მზე (ყაენი) შეედრებოდა...“ 66 r—70 r.

შენიშვნა: ა. კრებულში შემავალი ტექსტები ჟურნალ-გაზეთებიდან ამონაწერს წარმოადგენს. კრებული გამზადებულია დასაბეჭდად, ტექსტების ნაწილი რედაქტირებულია წითელი მელნით.

ბ. ტექსტებს დართული აქვს შემდეგი ცნობები:

1. ტექსტი №№ 1, 2, 3, 5, 11, 12—„ზ. მთაწმინდელი“ [ზაქარია ჭიჭინაძე] (4 r).
2. „ № 4—„უსისტყელი“ (5 r).
3. „ №№ 6, 15, 16—„თ. იოსებ არღუთინსკი“ (37 r).
4. „ №№ 7, 9, 10, 14, 17, 18, 20—„სხვიტორელი“ (14 r).
5. „ № 8—„პ. ჭალყელი“ (18 r).
6. „ № 13—„ი. ს. დავითაშვილი“ (26 r).
7. „ № 19—„აკაკი“ 1877 „დროება“ № 22 (47 r).
8. „ № 21—„თეოფილე კანდელაკი“ (50 r).
9. „ № 22—„ა. ე-ვის [ა. ერიცოვი] (63 r) სტატია გაზეთ კავკაზში № 173 და 174“ (51 r).
10. ტექსტი № 23—„სომხ. ჟურნალ არძაკანქიდამ № 12“ (126 r).
11. „ № 24—„ეს გარდმოცემა დუბროვინს აქვს მოცემული თავისს „История войны на Кавказе“-ში (66 r). „ივერია“ 1900 წელი № 105 (70 r).

გ. ფ. ფ. 39, 40, 41, 42—ნაბეჭდია.

2003 ა

კრებული (ეთნოგრაფიული წერილები), XIX

25 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; [XIX ს.]; ნაწერია ცალგვერდზე; ფ. ფ.10, 22 დაუწერელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „ქაჯი, ხალხის შეხედულებით იმერეთში.—ქაჯი, ხალხის შეხედულებით, კაცის მსგავსია და დიდი ვეებერთელა ტანისაა, უშნო შესახედავი და თავს ზარ-დამცემი თავისის სახის გამოხატულებით...“ 1 r—9 r.

შენიშვნა: ტექსტი ხელმოწერილია ვინმე კორნელის მიერ. ამონაწერია: „ივერია“, №№ 177, 178, 1888 წ.

2. „შერიგება სვანებისა ლებელებთან. სვანებისაგან სოფ. ჭიორის აოხრება, რაჭის მთავრის შეპყრობა და კვლავ ლებელებისა და სვანების მტრობა. (ხალხში დაშთენილი ძველი მოთხრობა).—სოფლის ლების ძველი სიმაგრენი: ორ-სამ სართულიანი ქვიტკირის სახლები, ექვს-შვიდ სართულიანი მაღალი კოშკები და შიგა და შიგ გალავნები ცხადათ ამტკიცებს, რომ ამ სოფლის მკვიდრთ ოდესმე დიდი გაჭირვება უნდა გამოევლოთ მტრისაგან...“ 11 r—16 r.

შენიშვნა: ა. ამონაწერია: [ივერია], 1890 წ., № 121.
ბ. ტექსტში ჩართულია ხალხური ლექსები:
1. „დიდი აიძრა სურტანი,
სულ რომ სვანეთის თავიო...“ (12 r).
2. „ყიარიშისა ყელესა
ლებურნი სცემდნენ ყველასა...“ (13 r).
3. „ბართუსველი ზაფხულს ჩვენი,
ზამთარს თქვენი...“ (14 r).
4. „სვანსა ჯამათას ამბობენ,
ძლიერ მტრობდა ლებსაო...“ (14 r—16 r).

3. „ვაჟა-ფშაველა—ფშავლების ამაოდ ცრუმორწმუნოებანი.—ღმერთი და ეშმაკი, ფშაველის აზრით წინა-პირველად და-ძმანი ყოფილან. ღმერთი დას გაუჯავრებია, რისთვისაც ძმას იგი დაუწყევლია და განუშორებია შეჩვენებული...“ 16 r—21 r.

შენიშვნა: წერილი ამონაწერია: „ივერია“, 1888 წ., № 223.

4. „ორი სოფელი ქართველთა ყიზლარის მაზრაში.—სოფელი სასოფლო ანუ სტანიცა სასოფლინსკაია (станица Сасоплинская) სძევს 18 ვერსის სავალზე ყიზლარიდამ. ამბობენ, რომ ეს სოფელი გაშენებულია 1820 წ...“ 23 r—25 r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია 5 ხალხური ლექსი:
1. „მოხვედით, მოსვლა გვიამა,
ნახვა თქვენისა პირისა...“ (23 r).
2. „სიმღერას ბანი აშვენებს,
ქალს მუნჯსა—ვაშლი წითელი...“ (24 r).
3. „თაგვს დეებადა ხელმწიფე,
დაარქვეს კანაფარია...“ (25 r).
4. „შუაღამისა ხანზედა
წყილმა მიკბინა ტანზედა...“ (25 r).
5. ავაშენებ სანთლის გუთანს,
შიგ შევაბამ უღელ დევსა...“ (25 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2003 ბ

არშის ციხე (ისტორიული თქმულება), XIX

6 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; შემკრები: ა. კ-ძე; ხევი; ნაწერია ცალ-გვერდზე; ფ. 6 დაუწერელია.

„არშის ციხე (ხალხის ზეპირგადმოცემით).—
„ყმაწვილო, არშის ციხესა
არ შენისთანა ყმა უნდა,
ჩავეს ჩამტანი აბჯართა,
ამომტანელი სხვა უნდა.

შუა მოხევეებში არის ერთი ძალიან შესანიშნავი ძველი ციხე, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, კლდე, რომელსაც მოხევეები უწოდებენ „არშის ციხეს...“ 1 r—5 r.

შენიშვნა: ამონაწერია: „ივერია“, 1888 წ., № 209.

2003 გ

ძველებური მზითვის წიგნი, XIX

3 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; [XIX ს.]; ფ. 3 v—დაუწერელია.

„ძველებური მზითვის წიგნი.—ეს მზითვის წიგნი იმერეთიდამ არის წარმოგზავნილი და იმ წერითა ვბეჭდავთ, როგორც რედაქციამ მიიღო. ამ წერილსა ვბეჭდავთ, როგორც ისტორიის მასალასა, ეკუთვნის გავლილს საუკუნის წელიწადებს 1772 და 1775 წელთა შორის (რედაქციის შენიშვნა).— ქ. ეჰა, რომლისა მიერ იპყრობვის და განეგებვის შვიდ კეცობა იგი ცათა სიმაღლისა ზესკვნელობანი და ქვესკნელობანი, იმერნი და ამერნი კიდით ვიდრე კიდემდე ცისა და ქუეყნისანი, რომლისა ბრძანებითა დაებადნეს ყოველნი ხილულნი და არა ხილულნი, უძრავ მოძრავნი, უსიტყვ მოსიტყვნი...“ 1 r—3 r.

შენიშვნა: ამონაწერია: „დროება“, 1868 წ., № 26.

2003 დ

ბრძნული თქმულებანი (ნაკვესები), XIX

6 ფ.; 35×22; ქაღალდი; უყდო; აუკინძავი; მხედრული; [XIX ს.]; ნაწერია ცალგვერდზე.

1. ბრძნული თქმულება.—„ვისაც ეშინია მოტყუებისა, იგი ტყუილს სხვას ასწავლის...“ (33 ტექსტი) 1 r—6 r.

შენიშვნა: ამონაწერია: „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. №№ 777, 778, 781, 784, 788, 792, 794, 797, 804, 806, 828.

2004 ა

კრებული (ხალხური წამლობანი და სალებავები), XX

6 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; შემკრები: მესხი კ[ონსტანტინე] გვარამაძე; [XX ს.]; მესხეთ-ჯავახეთი; ფ. ფ. 3 v, 4 v, 6 r დაუწერელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „ძველი ნაწერებიდან. მესხური ძველი კარაბადინი.—ჩვენს ივანეს წყალს უჭერდა ყმაწვილობისასა და აწრიპინებდა. პატრი ივანემ ასწავლა: კვერცხის ნამამვლის ბატის თავბოლო მოჭრილი ფრთაში ჩაადები-ნა...“ 1 r—2 v.

შენიშვნა: „ახალციხეში გადანაწერი სიტყვა-სიტყვით მესხი კ. გვარამაძისა-გან“ (1 r).

2. „საღებავი. ოჯახში გამოსადეგი ცნობანი.—წითელი ფერის საღებავის მომზადება: შესაღები შალი დაშაბეთ, ან შანდით გასრისეთ, წყალში ერთ ღამეს ამყოფეთ...“ 3 r.

შენიშვნა: „ხუციანთ ნენეს ნასწავლები და ჩაწერილი მესხი კ. გვარამაძისაგან.“ (3 r)

3. „წამლობანი.—თავის ტკივილი. 1. პურის გული სპირტში შეზილეთ ცომსავით, გააკარით ქინჭზე და გაპარსულს თავზე ჩამოაცვით...“ 4 r—5 v.

2004 ბ

კრებული (ისტორიული თქმულებანი), XX

4 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; [XX ს.]; შემკრები: მესხი კ[ონ-სტანტინე] გვარამაძე; მესხეთ-ჯავახეთი; ნაწერია ცალგვერდზე.

1. „თამარ დედოფალი.—იყო ერთი სახელოვანი ქართველთ მეფე, ამას მეტად მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად თამარ...“ 1 r—v.

2. „სოლომონ ბძენის დაბადება და მისი ბოლო.—სო-ლომონ ბრძენი დაბადებული რო არ იყო, იმისმა მამამ ანიშნა თავის მოსამსა-ხურეს ცაზე, რო ის ვარსკვლავი, რო მოადგეს პირდაპირ ჩემს სასახლეს, შე-მატყობიე, რო ჩემ ცოლთან მაშინ დავწვებიო...“ 2 r.

3. „სოლომონ ბძენმა გასცა ბრძანება შეგროვილიყო ხალხი ერთად და გამოეცნოთ რას ნიშნავდა ის ხაზი (ქიჟი) რომელიც მან შემოხაზა ქაღალ-დზე...“ 2 r—v.

4. „ქართველთა მეფე ირემაძე ყოფილა.—თამარ დედოფალმა თავისი კარის კაცისაგან ერთი ბაღანა (ვაჟი) გააჩქეთა. რო დაბადა, კარის კა-ცებს გადააგდებია წყალში...“ 3 r.

5. „თამარი და და[ი] მისი.—თამარ დედოფალი დიდი მხურვალე ქალი ყოფილა ბაღანა ქალობაში ისეთი, რო ცხრა ქეჩას ქვეშ მოლს სწვავდა თურმე მისი სიმხურვალე...“ 3 r.

6. „სიდგან დაერქვა აისოფიოს ეკლესია?—სტამბოლის აი-სოფიოს ეკლესია კონსტანტინე დიდის დროს შენდებოდა. დიდხანს აშენებდნენ და აუარებელი შემწირველი ქრისტიანნიც ჰყავდა...“ 4 r.

7. „როგორ დაიპყრო სულთანმა სტამბოლი კონსტანტი-ნე მეფისაგან.—სტამბოლი ძველათ ბერძნების იყო და თათარის ჭაჭანება იქ სულაც არა ყოფილა. კონსტანტინე მეფე დიდის დროს მოსულა სტამბოლში თათრის ხელმწიფე და კონსტანტინესთვის უთხოვნია, ერთი ხარის ტყავი რომ დაეტიოს, იმოდენა ადგილი მომეცი ჩემთვინ საცხოვრებლადა, აქა მსურს ვიც-ხოვროვო...“ 4 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. „ქ უ რ დ ი ს მ ო ნ ა თ ლ ა.—ერთ სომხების ტერტერას შეხვდა ქურდი და სთხოვა, შვილი მომინათლეო...“ 4 r.

შენიშვნა: ტექსტებს დართული აქვს შემდეგი ცნობები:

1. ტექსტი № 2, 3 ნაამბობი ნენე შაშაბერიძისაგან და ჩაწ. მესხი კ. გვარამაძისაგან ს. ვარგავში. (2 r).
2. ტექსტი № 4, 5 „მღ. ერმალოზ კალანდარიშვილის“ (3 r).
3. ტექსტი № 6, 7 „ქელათ აკოს ნაამბობი და ჩაწ. კ. მესხი-გვარამაძისაგან ს. ხიზაბავრაში“ (4 r).
4. ტექსტი № 8 „მღ. ტერივანეს“ (4 r).

2004 გ

[კონსტანტინე გვარამაძე, მესხი]—მოთხრობის ნაწყვეტი, XX

2 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; ბოლონაკლული; მხედრული; [XX ს.]; ფ. 2 დაუწერელია.

1. „ბოსფორის თვალსაჩინო ნაპირზე გადადგმულია მეტათ შვენიერი მარმარილოს, ბროლის ბალკონიანი პატარა ორსართულიანი შენობა, რომელიც შავი ზღვის ისეც ბუნებითად შვენიერს შტოს ბრწყინვალე შარავანდედის ელფერსა ჰფენს...“

წ ყ დ ე ბ ა: „...მარა შვილი მაინც ცოცხალი იყო და ყოველდღე სულ სამშობლოსკენ იყო მისი თვალი და ხშირად ბროლის ბალკონზე იჯდა. გავიდა ექვსი თვე და...“ 1 r—1 v.

2004 დ

ისტორიული თქმულებანი, XIX

4 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; შემკრები: დავ. ავალიანი; [XIX ს.] ნაწერია ცალგვერდზე.

1. „იმერეთის მეფე, გოჩია ყოფილა ერთი ქართველი კაცი, მას ჰყოლია სასახლეში ერთი შესანიშნავი გმირი ფალავანი, იესიკა ავალიანი...“ 1 r—3 r.

2. „კაკიტა ნიჟარაძე ერთს დროში, თურმე, კარგი შეძლებული თავადიშვილი ყოფილა, მაგრამ მოხუცებულობის დროს გაღარიბებულა...“ 3 r—4 r.

შენიშვნა: „შეკრებილი ს. ქიტირში დავ. ავალიანის მიერ“.—აკაკის თვიური კრებული, № IX“ (1 r).

2005

ი. სეჩენოვი—ფიზიოლოგიური ნარკვევები, 1902

7 ფ.; 35,8×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1902 წ. (1 v). მთარგმნელი: სევერიანე ჭოლოშვილი (1 v, 7 r). გადამწერი იგივე.

„პროფ. ი. სეჩენოვის ფიზიოლოგიური ნარკვევები I. სისხლის მოძრაობა.—სისხლის სამოძრაო იარაღი ძლიერ წააგავს ხოლმე რომელიმე ქალაქის წყლის მზიდავ მილს...“ 2 r—7r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ერთვის სტუდენტ ს. ჭოლოშვილის წერილი „მოამბის“ რედაქტორისადმი ნარკვევის დაბეჭდვის შესახებ. „ბატონო რედაქტორო.—გაახლებთ რა ამასთანავე პროფ. სეჩენოვის ფიზიოლოგიურ ნარკვევების თარგმანს, გთხოვთ მოათავსოთ იგი „ცნობის ფურცელში“ ან და „მოამბეში“, სადაც მოსახერხებლათ დაინახოთ...“ 1 r-v.

2006

მამა (მოთხრობა), 1902

34 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1902 წ (თავფურცელზე); მთარგმნელი: ივანე მაღრაძე; ავტოგრაფი; რუისი.

„მამა, მოთხრობა რუსულიდან.—დიდმარხვის მესამე კვირა იყო.“ 1 r—33 r.

შენიშვნა: თავფურცელი, „მამა, მოთხრობა რუსულიდან, რუისის სკოლის მასწავლებელი, სადგური ქარელი, ივანე ასლანის ძე მაღრაძე. ს. რუისი 1902 წ.“

ბოლოში: „შეცდომების გასწორება.“ 34 r.

2007

ასანა ლეკის თავგადასავალი, 1871

65 ფ.; 35,8×22; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1871 წ. (64 r); ფურცლის v—დაუწერელია.

„ასანა ლეკის თავგადასავალი, თავისგნითვე ნაამბობი.—თუ მოიხსენიებთ, მე გახლავართ შთამომავლობით ლეკი, ყუბის ქალაქითგან, სადაცა სიყმაწვილითგან მამაჩემი სცხოვრებდა...“ 1 r—64 r.

შენიშვნა: ტექსტს ბოლო შენიშვნაში მიწერილი აქვს: „ყალიმა, იქაური ჩვეულება არის, ვინც ცოლს ირთავს, ჯერ პირველად უნდა გაუგზავნოს თავის საცოლოს ძროხა, ხარი, ცხენი და ფული, ვინც რა შეძლებისა არის იმდენი. ამას ჰქვიან ყალიმა“ (ცისკარი, 1871 წლ.; №№ 1—6—7—12).

2008

კრებული თუშური ლექსებისა, 1902

14 ფ.; 18×11; ქაღალდი; რვეული; მხედრული; 1902 წ.; თუშეთი.

1. საწესო ლექსები, № 6, **2.** საქორწილო ლექსები, № 8, **3.** ტირილისა და გლოვის ლექსები, №№ 7, 11, 14, **4.** მწყემსების ლექსები, №№ 4, 12, 15 **5.** ნადირობის ლექსები, № 3, **6.** საისტორიო ლექსები, № 1, **7.** ომისა და ჯარისკაცობის ლექსები, № 2, **8.** აფორიზმები, № 7, **9.** სასულიერო ლექსები, № 16, **10.** საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 5, 9, **11.** ტარიელიანი, № 10. სულ 16 ტექსტი. 1 r—13 r.

შენიშვნა: ა. ტექსტებს დართული აქვს შემდეგი ცნობები: № 1, 12— „ეს ლექსი ჩაწერილია ს. ნაციხარში 1902 წელს, 1, 23 მკათათვეს“ (3 r). №№ 2, 3, 5, 6, 7, 16 „ჩაწერილია ს. ჩიგლაურთაში 1902 წელს...“ (3 v). № 10 „ჩაწერილია ს. ჩიგლაურთაში 1902 წ. ეს ლექსი გარდმომცა სვიმონ ლილიაიძემ. ს. ჩიგლაურთა. და რადგანაც ამ ლექსის ტაეპების დასაკავშირებლად ლექსის გარდმომცემელმა არაფერი არ გადმომცა მოთხრობის შუა და შუა ჩასამატებლად, ამიტომ მე მოთხრობის საშუალებით დაუკავშირე ამ ლექსის ტაეპები. და მოთხრობა რაც არის ამ ლექსში, ის მე მეკუთნის“ 9 v. № 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

„(ჩაწერილია ს. ჩიგლაურთას 1902 წ. 30 მკათათვეს). ამ ლექსში მოხსენებულია გარდაცვალებული მამასახლისი ნაციხრის საზოგადოებისა, ს. ხაზაბოდგან." 10 v. № 8, 9, 13. 14, „ჩაწერილია ს. ქუმულაურთაში 1902 წ. 15 მკათათვეს" (11 v). № 15, „ჩაწერილია ს. გირევში 1902 წ. 15 მარიამობისთვეს" (12 v).

ბ. ტექსტებს ერთვის რვეულში ცალკე ჩაკერებული წერილი „ამხანაგობისადმი" (14 r).

2009

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

14 ფ.; 17×22; ქაღალდი; რვეული; მხედრული; ფ. ფ. 10, 11, 12, 13, 14—დაუწერელია.

1. საგმირო ლექსები, №№ 13, 14, **2.** საისტორიო ლექსები, №№ 3, 9, 10, 11, 15, **3.** სასულიერო ლექსები, №№ 1, 2, **4.** სატრფიალო ლექსები, № 12, **5.** საყოფაცხოვრებო ლექსები, № 18, **6.** შაირები №№ 16, 17, **7.** იუმორისტული ლექსები, № 7, **8.** ამირანიანი [ნაწყვეტები], №№ 4, 5, 6, 8.

სულ 18 ტექსტი. 1 r—9 v.

შენიშვნა: ლექსების ძველი აღნუსხვა რომაული XXIV-ით იწყება, წინა რვეული არ ჩანს.

2010 ა

კრებული (ხალხური ლექსები), XIX—XX

53 ფ.; 35×11; ქაღალდი; შეკრული რვეულად; ნაკლული; მხედრული; [XIX—XX ს.] ნაწერია ცალგვერდზე.

1. შრომის სიმღერები, №№ 18, 22, 51, 52, 53, 211, 236, 237, **2.** საწესო კალენდარული სიმღერები, №№ 138, 139, **3.** ქორწილის წესები და სიმღერები, № 166, **4.** გმირობის, ბრძოლისა, ვაჟკაცობისა და შუღლის ლექსები, №№ 7, 9, 12, 13, 14, 55, 64, 65, 70, 71, 72, 78, 87, 91, 94, 140, 142, 143, 147, 148, 149, **5.** ნადირობისა და ცხოველების შესახები ლექსები, №№ 73, 74, 75, 152, 159, 181, 182, 201, 221, **6.** საისტორიო ლექსები, №№ 1, 6, 8, 10, 15, 42, 56, 58, 60, 98, **7.** სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის ლექსები, №№ 49, 50, 54, 76, 103, 108, 122, 133, 134, 183, 234, 240, **8.** ფილოსოფიური ხასიათის ლექსები (სენტენციები, აფორიზმები), №№ 35, 36, 38, 39, 43, 44, 45, 46, 47, 48, 62, 69, 77, 124, 125, 163, 165, 169, 170, 171, 172, 175, 178, 179, 191, 193, 195, 196, 200, 224, 225, 227, 228, 229, 239, 241, **9.** სატრფიალო ლექსები, №№ 16, 17, 19, 20, 21, 23, 24, 27, 29, 30, 32, 34, 41, 57, 61, 66, 67, 80, 81, 82, 84, 85, 86, 88, 89, 93, 95, 96, 97, 100, 101, 104, 105, 106, 111, 112, 113, 114, 115 ,117, 118, 119, 120, 121, 123, 126, 127, 129, 130, 136, 137, 144, 145, 146, 153, 154, 155, 156, 157, 184, 187, 188, 190, 197; 202, 210, 212, **10.** საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 11, 25, 26, 28, 31, 33, 37, 40, 63, 90, 92, 116, 128, 129, 150, 158, 187, 189, 192, 199, 223, 230, 234, **11.** სასულიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ლექსები, №№ 2, 3, 4, 5, **12.** შაირი, მესტვირული, დალოცვა, ქება, №№ 79, 83, 102, 107, 160, 167, 168, 173, 174, 176, 186, 201—209, 238. **13.** ზღაპრის საწყისი და ბოლო, იუმორისტული ლექსები №№ 68, 99, 131, 132, **14.** ამირანიანი [ნაწყვეტები], № 141, **15.** როსტომიანი [ნაწყვეტები], №№ 161, 162, 177. **16.** გამოცანები, №№ 109, 110.

სულ 244 ტექსტი. 1 r—53 r.

შენიშვნა: ა. ხელნაწერის ტექსტების უმრავლესობა ამოწერილია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან: № 1—„ცისკარი“ 1852 წ. № 10. (1 r). №№ 2—6—„ივერია“ 1877 წ. № 37 მოგრ. ს. ბავრელისაგან. (3 r). №№ 7—15. „ივერია“ 1877 № 40 ზ. ჭიჭინაძის წარმოდგენილი. (4 r). №№ 16—27. „ივერია“ 1877 წ. № 42. (6 r). №№ 28—36. „ივერია“ 1878 წ. № 7 (8 r). №№ 37—42—„ივერია 1879 წ. № 1 „ხევსურული ლექსები შეკრებილი დავით როსტომაშვილის მიერ“ (10 r). №№ 43—45—„ივერია“ 1881 წ. № 6 (11 r). №№ 46—48—„ივერია“ 1881 წ. № 10 (12 r). №№ 49—57—„ივერია“ 1882 წ. № 11 „ხალხური ლექსები ქართლში გაგონილი პოლ. ცხვილოელისაგან.“ (13 r). № 58—„ივერია“ 1883 წ. № 4. „ხალხური ლექსი ქიზიყში გაგონილი ს. ილიაძისაგან“. (14 r). №№ 59—69 „ივერია“ 1885 წ. № 1 „სახალხო ლექსები“ (16 r). №№ 70—79 „ივერია“ 1885 წ. № II „სახალხო ლექსები მთაში შეკრებილი“ (17 r). №№ 80—94 „ივერია“ 1885 წ. № III „სახალხო ლექსები“ (19 r). №№ 95—98 „ივერია“ 1885 წ. № VI (22 r) №№ 99—102 „ივერია“ 1885 წ. № VII (23 r). №№ 103—125 „ივერია“ 1885 წ № VII. „სახალხო ლექსები სურამში შეკრებილი ს. ლონლაძისაგან“ (2„ r). №№ 126—139 „ივერია“ 1885 წ. № VIII „სახალხო ლექსები ქიზიყში შეკრებილი თელაწყლელისაგან“ (30 r). №№ 140—152—იქვე „სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი ა. მ-საგან (ალ. ყაზბეგი)“ (32 r). №№ 153—166—[ივერია] 1885. № 18 „სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი ა. მ-საგან (ყაზბეგისა)“ (35 r). №№ 167—180—[ივერია] 1885 № X „სახალხო ლექსები. ხევში შეკრებილი ა. მ-საგან (ყაზბეგი)“ (38 r). №№ 181—187—[ივერია] 1885 № X „სახალხო ლექსები შეკრებილი ს. მ-საგან (ყაზბეგი)“ (40 r). №№ 187 ა—202—„ივერია“ 1885. № XI ხევში შეკრებილი ა. მ-საგან (ყაზბეგი) (42 r). №№ 203—213, 1885. „ივერია“ № XI „სახალხო ლექსები შეკრებილი ზემო ქართლში ა. ნათაძისაგან“ (45 r). №№ 214—234—1885. „ივერია“ № XII სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი ა. მ-საგან (ყაზბეგი)“ (47 r). №№ 234—235—„შეკრებილი სოფ. ნებისძირში ს. ლონლაძისაგან.“ (50 r). №№ 236—243—„შეკრებილი ს. ზემო-ჭალაში, პ. კარბელაშვილი“ (51 r). № 244—„გურული ხალხური ლექსები. (ტატიშ.)“ (53 r).

ბ. ფ. 53 მიწებებულია შემდეგ ფ. 52-ზე, ტექსტი № 243 ბოლონაკლულია.

2010 ბ

კრებული (მესხეთ-ჯავახური სახალხო თამაშობანი და ქორწილი) XIX—XX

6 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; აუკინძავი; კიდეები შემოცვეთილი; მხედრული; [XIX—XX ს.]; შემკრები: მესხი კ[ონსტანტინე] გვარამაძე; მესხეთ-ჯავახეთი; ფ. 6 დაუწერელია.

1. „ცხელი ბურთი.—დიდმარხვაში, როდესაც აქა იქ თოვლი ამდნარა და ამშრალა, სიცივით კი კარგად ცივა კიდევ, სწორე ადგილზე ყმაწვილები გავლენ და ერთი მეორეს ესვრიან ბურთს...“ 1 r.

2. „იარალობანა.—ყმაწვილების გუნდში, რომელიც მომზადებული არიან სათამაშოთ, ორი მოთავე ბიჭი გაიყოფენ, ე. ი. აირჩევენ ამხანაგებს თვითონ, რასაკვირველია თითოეული მეთაური, რომელსაც აქ დედანს ეძახიან კარგს ყოჩაღს ამხანაგს ირჩევს, შემდეგი არჩევანით...“ 1 r—1 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „წრებურთი.—ორ თანასწორ დასათ გაყოფილი ყმაწვილები მომზადდებიან წრებურთის სათამაშოთ...“ 1 v.

4. „აჭრინი.(?)—ორათ გაყოფილი მოთამაშენი, ერთი ჰკრავს კეტით (ბურთის-საკრავით) მეორე მხარეს დედნისაგან აგდებულს ბურთს და რა გაჰკრავს...“ 2 r.

5. „თული.—მოზდილები გარიგდებიან ორ გუნდათ, დაგრეხენ მაგრათ რამე გრძელს ტილოს ერთ არშინამდისინ და დადგებიან ეს ორი გაყოფილი გუნდი ათ ნაბიჯამდისინ... 2 r.

6. „ილაყი(?)—ორთავე გაყოფილი მოზდილი ვაჟკაცები რიცხვით ცხრა-ცხრა თუ ათ-ათი...“ 2 v.

7. „სამყრელო.—ყველიერებში რასაც ითამაშებენ ვაჟკაცები ბოლოს საღამოს ხანს, როცა სახლში წასვლა მოუწევთ საძყრელოს შეჰკვრენ. შვიდირვა კაცი ფეხზე კლავებით შეეკვრებიან და ზედ მხარებზე შემდეგ რიგათ ზევით ავლენ ფეხზე...“ 2 v.

8. „ჯორიღლეტანა.—გარიგდებიან 4—10-მდინ ყმაწვილი, 4 დაიკუზება დედანთან, რომელიც კედელზეა მიყუდული და მოზურგეები კი ერთი თავს მიადებს გულზე მდგარს დედანს და ხელებს მოსჭიდებს...“ 2 v.

9. ქვაკრნა. — „2—6 ყმაწვილამდისინ გაიყოფებიან ამხანაგებად, 9—10 ნაბიჯზე...“ 2 v.

10. „ქორწილი (ჯავახეთში) სამესხეთოში.—ჩვეულებათ აქვთ მესხებს, შვილების თუ ძმების დანიშვნის წინათ თავიანთ სახლის მღვდელს შეატყობინებენ თავიანთ აზრსა, რომელიმე მისავე მეზობლის ქალიშვილი ერგება თუ არა?...“ 3 r—5 v.

შენიშვნა: ა. ქორწილის აღწერაში მოცემულია 16 საწესო ტექსტი:

1. „მაყრული,—ცისი ცხენი მოგოგემდა და ხოლო მანდულებდა (ორჯერ) ჰერი ვაჟო...“ (3 r).
2. „ჵ, ღმერთო, მუშაკმან სთქვა: „რაკი შენ გამაჩინეო...“ (3 r).
3. მაყრული „ხელმწიფევ, შენსა გვირგვინსა ახა ჰე, ჰე, ჰე...“ (4 r).
4. „ერანიდან თურანს ჩაველ, შენვის მეწოდა გული...“ (4 r).
5. „სიძისა შავგრემანობა სიდედრს უმძიმდა, ნანობდა..“ (4 r).
6. „პატარძეულის ციხესა გამოუთხრიან ძირსაო...“ (4 r).
7. „მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს წითელი პეპელა...“ (4 r).
8. „ნეტარ მეფის დედ-მამასა, ახა, ჰე...“ (4 r).
9. „შენ ბედნიერო, გულისხმიერო, მზე, მზე, მზე, მზე...“ (4 r).
10. „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი...“ (4 r)
11. „ვისაც ველოდით, მოვიდა, კვლავ გავიხაროთ გულითა...“ (4 v).
12. „ერთხელ იყო ტარიელი ავთანდილისა მაყარი...“ (4 v).
13 „ნეტავი, შვილო, ბაგრატო, გველი მეშობა, შენ არა...“ (4 v).
14. „ნეტარ რა არი მისთანა, ამომავალი მზისთანა...“ (4 v).
15. „ხელმწიფეს უნადირია, მშვილდ-ისრით ხმალი უკრია..“ (5 r).
16. „ხელმწიფეს უნადირია არსიანისა მთაზედა...“ (5 r).

ბ. იგივე მასალა იხ. H: 1528.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2010 გ

კრებული (თუშურ-ფშავური ხალხური ლექსები), XX

4 ფ.; 21×13; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; შემკრები: გ. გელოვანი (4 v); [XX ს.]; თუშეთი და ფშავი.

1. საგმირო ლექსები № 1, 2. მწყემსების ლექსები, № 3, 3. ისტორიული ლექსები, № 4, 4. სატრფიალო ლექსები, №№ 4, 5, 6, 7, 5. საყოფაცხოვრებო, №№ 1, 2.

სულ 7 ტექსტი. 1 r—4 v.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის მინაწერი: „ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად, დამიბეჭდოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი თუშ-ფშავური ლექსები." (1 r).

2010 დ

ალექსანდრე წიკლაური. ლექსთა და პოემათა კრებული, XIX

13 ფ.; 34×31; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; ავტოგრაფი (1 r); [XIX ს.]; ფ. ფ. 2 v 7 v, 13 r დაუწერელია.

1. [ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი პ ო ე მ ა].—
„პირველად იგი ვადიდო, მომაგე სული წმინდაო,
ძე მისი მისვე ბრძანებით კაცად ქვეყანას ვლიდაო..." 1 r—3 r.

2. „ლ ე ქ ს ი თ ა ლ ე ქ ს ა წ ი კ ლ ა უ რ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ნ ი ლ ი „ა ხ ა დ ს გ ო დ ე რ ძ ი ს ქ ა ლ ი ქ ი ს ტ ე ბ მ ა რ ო მ ო ი ტ ა ც ე ს.—
ახადში იყო ფშაველი, აღელებული, მდიდარი,
გოდერძი ერქვა სახელად, ერთი ათისა სადარი..." 3 v—8 v.

3. „მწერალთა თაო, თავადო, თქვენ ჭავჭავაძე გვარადა,
გთხოვ, დამახმარე გონება, გადამაკეთო კაცადა..." 9 r.

4. „თბილისის ქალაქს ვიხილე არეულობა ერისა,
დაიწყეს სროლა ბომბებსა, სურდა მტერს ბრძოლა მტერისა..." 9 v.

5. „დავით თავადის ქებას ვწერ, ვაპირებ მოხსენებასა,
მწადიან ქება შევმართო მის მაღალბრწყინვალებასა..." 10 r—11 v.

6. „ვნახე ერთი ასული სამეგრელოს მხარისა,
სახე მისი გამნათი ბნელით მოსილ არისა..." 11 v.

7. „კახეთში ვაქე თავადი ბართლომ ავალიშვილია,
მტერთან ლომგმირი, მოყვასთან წყლიანი ენატკბილია..." 12 r—12 v.

8. „კატოჯან, გწერ სიყვარულს, აგრემც გენაცვალები,
ტყვე ვარ შენის სიყვარულის, რატომ არ გებრალები..." 13 v.

შენიშვნა: ა. „მთიელი გუდამაყრიდან ჩამოსული ვარ ბარადა,
მიხმობენ ალექსანდრესა, წიკლაური ვარ გვარადა,
დავსტოვე სამშობლოს მხარე, ვიარებოდი ბარადა,
თვით შვილი საქართველოსი გრძნობით გამჭვრეტი შორადა..." (1 r).

ბ. ალექსანდრე წიკლაურის შემოქმედება იხ. H 1992 ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2011

გეოგრაფია, XIX

36 ფ.; 21,8×18,2; ქაღალდი; წითელი ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, მხატვრულად გაფორმებული; XIX ს. (1807 წ. ჭვირნ.); ნაწილობრივად დაშლილი; ამოვარდნილია: 31—34 ფ. ფ.; გეოგრაფიული რუკები; აზია, ევროპა და მსოფლიო ნახევარსფეროები: 3—5 ფ. ფ.; შემოწირულია ივ. თ. ნიჟარაძის მიერ 1922.VIII.30.

„...სანი ფრიად შეუდგებოდნენ. ამის გამო ჩანს, რომელ ქუეყანასა ჩუენისა საყოფელისასა აქუს თვისი ადგილი თანმოგზაურობითა მთოვარისათა შორის ვენერისა და მზისა...“ 7 r—34 r.

შენიშვნა: თავფურცელი „Способ научиться самим собою географии. ღონე თავით თვისით სწავლისათვის ღეოღრაფიისა. თხზული მოსკოვსა შინა 1798 წელსა, თარგმნული გიორგი ყანდინოვისაგან.“ 6 r.

2012

დღიური, 1851—1855

38 ფ.; 10,8×8,2; ქაღალდი; ხის ყდა; მხედრული; 1850—1855 წ.წ.; ადგილი: სოფელი ქვეში (1 r); დაუწერელია: 4 v—38 v.

„1851-სა წელსა ოკდომბრის 16-სა, დღესა სამშაბათს, უფლისციხეს ვიყავით: მე, ჩემი დები ანიკო და ტასია, მარშლის ცოლი მართა და ნიკო ვეზიროვის ცოლი ნინო თავისის ქრმით ნიკოთი, გიორგი და გრიგოლ, გოგისა თურმანიძე და პაშპალა ახლდენ...“ 1 r—4 r.

წ ყ დ ე ბ ა: „1855-სა წელსა იანვრის 31-სა, ორშაბათს დღეს იყო ცისსარტყელა ჩრდილოთ აღმოსავლეთიდამ სოფელსა ქვეშს.“

2013

რ. გორგაძე ახალი ლექსები, 1923

18 ფ.; 20,2×14,5; უყდო; ქაღალდი; მხედრული; ავტოგრაფი; 1923 წ. (1 r); ბოლო ორი ფურცელი დაუწერელია.

1. „ამ ლექსების დამწერი ვარ
   ერთი ვინმე მე მოხუცი“ 2 r.
2. „ხალხში სარწმუნოების დაცემა“ 3 r—v.
3. „გულკეთილი მოძღვარი“ 4 r.
4. „გაზაფხული“ 4 v—5 r.
5. „ადიდებული მდინარე“ 5 v—6 r.
6. „ჩრდილოეთის ქარი“ 6 r—7 r.
7. „შვილის დარიგება“ 6 v—7 r.
8. „ხალხის გოდება სიღარიბეზედ“ 7 v.
9. „ზამთრის პირი“ 8 r.
10. „მუქთად მჭამელი“ 8 v—9 r.
11. „წელიწადის ოთხი დრო“ 9 r—v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. „შემოდგომის ღამე“ 10 r—v.
13. „მწარე ფიქრები“ 11 r—v.
14. „სამშობლოს სიყვარული“ 12 r—v.
15. „სიკვდილი“ 12 v—13 v.
16. „უძლვნი ძვირფას მეგობარს“ 14 r—v.
17. „ჩემი ალსარება“ 15 r—16 r.

შენიშვნა: 1. უძლვის თავფურცელი: „ახალი ლექსები შედგენილი (1921, 1922 და 1923 წწ) დეკ. რ. გორგაძის მიერ“ 1 r.

2. ამ კრებულის ლექსები ავტორის მიერ გადმოწერილია ხელნაწერებიდან H: 2013 ა და 2013.

ბ. ხელნაწერების ალნიშნულ ჯგუფს დართული აქვს „წერილი სერგი გორგაძისადმი“[1] და ლექსი „ეკლესიების გაუქმება საქართველოში.“

2014

ჭყონდიდელი ანტონ—ქადაგება, 1858

71 ფ.; 34,5×22; ქალალდი; უყდო; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: ნიკოლაჲ (70 r); 1858 წ. (68 v). შემოწირულია აკ. ჩხენკელის მიერ.

„თავი ა. ალსარებისათჳს.—იტყვის წინასწარმეტყველი დიდი დანიილ: ვსცოდეთ, ვიუსამართლოეთ, ვიუთნოეთ და განვსდეგით მცნებათაგან შენთა და მსჯავრთაგან შენთა...“ 2 r—68 v.

ანდერძი: ა. „საზოგადოდ სმენისათჳს მდაბიურად აღწერილი ქადაგება ყოვლად სამღვდელოს ჭყონდიდელ-მიტროპოლიტის დადიანის ოტიას ძისა ანტონის მიერ, მადლსა სულისა ყოვლად წმიდისა ცხოველს მყოფელისასა გაფუცებ აღმწერელთა და აღმომკითხველთა, რათა არა დაუტეოთ ჩემ მიერ ესე ზედწერილი, ნუუმე ხსენებითა ჩემისა ულირსებისათა აღიძრნეთ მოწყალებად და ლოცვა ჰყოთ ჩემ უბადრუკისათჳს. ამას მუხლთმოდრეკით და ცრემლით გევედრებით; დალათუ არა ღირს ვარ ხსენებისა, გარნა მიემსგავსენით მამასა სახიერსა, ვითარ იგი გვასწავებს მოძღვარი ჩუენი, უფალი იესო: იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა მოწყალე არს.“ 2 r.

ბ. ანდერძი ლექსად:

„ძელისაგან დატკბობილი წლისა მწარისა მერარი,
ვინც იხილოთ, ნუ მიზრახავთ, კარგი ხელი თუ ვერ არი,
სიცრუვისა შეურე⁝ნელი წითელ შავისა მელანი,
ღ̃თისა კრაო, შეიწყალე ნიკოლაჲ თ. ამის მწერალი.“ 70 r.

ბოლოში: „სარჩევი“ 69 r.

2015

ისტორია გიორგი მილორდის ანგლიელისა, 1808

73 ფ.; 32×20; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1808 წ. (72 v); გადამწერი: დავით ეგნატის ძე თუმანოვი (72 v); ილუსტრაციები: 6 r, 60 r.; ხელნაწერის ფურცლების ნაწილი შიგადაშიგ დაუწერელია.

[1] ლექსების ავტორი დეკ. რ. გორგაძე სერგი გორგაძის მამაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისტორია ანგლიელისა გიორგი მილორდისა. თავი ა.—წასრულსა დრო-სა ევროპელნი არა სრულად ქრისტეანობრისა მიმღებელნი ჰსცხოვრებდნენ კერპთა მსახურებასა შინა...“ 3 r—72 v.

ანდერძი: „აღიწერა ესე გიორგი მილლორდის ანღლიელის ისტორია თავადი და-ვით ეგნატისძის თუმანოვისაგან. თუჱსა ფებერუალსა 16-ს, წელსა ქჴ̃ს 1808“ 72 v.

შენიშვნა: 73 v-ზე მოთავსებულია ლექსები ბარბარე ჯორჯაძის ხელით მიწერი-ლი: 1. „დაო და სძალო ანასტასიავ, ვინც ამ მილორდსა და ღრაფინასავით არის, ეს ლექსი შვენის:

მთოვარეს ველსა შუქ სავსეს ფეროზს,
დავნატრი, ვინცა ზედა ემღეროს,
სიტკბოთი აღივსოს სურნელებითა,
ვფუცამ, მას დღენი არ დაებეროს.

საყვარელო ძალო ანასტასიავ, თქვენი არა ვიცი რა და დიდათა ვსწუხ[ვ]არ თქვენი-უანბობისათვის. ბარბარე.“

ქვემოდ ბარბარეს ხელით მიწერილია თეიმურაზ პირველის მაჯამიდან ერთი სტროფის ვარიანტული ტექსტი:

2. „ტურფა [არს] მშვენიერებით, ტანი მიუგავს საროსა,
ვაი ამისთანას მიჯნურსა, ვერვინ ეღირსოს აროსა,
კაცი ხამს მისთვის გაიჭრეს და ლხინი გაიმწაროსა,
ტარიელს ქვაბსა ესტუმროს, მიჯნურთან დაემყაროსა.“[1)]

3. 72 v. აშიაზე სხვა ხელით:
დაასრულა ბედმან შავმან ჩემს გულზედან მუხთლის ფირი,
პირველ მომეც სიხარული, მერმე შემქმენ განაწირი,
შეუსრულე მტერთა ჩემთა, რაც მათ ჰქონდათ დანაპირი,
უწყალოო ბედო ჩემო, თუ მობრუნდე, აღარ ვსტირი.“

4. „ვის შევსტრფოდი ზეცად ვხადდი წამებით,
ის დავკარგე, ვსცხოვრებ ტანჯვით, წამებით.“ 1 v.

5. „ბროლის ფიცრისა მნათობო, მახელებს ხსოვნა,
მომკლა [ძებნამან], მნათობო, სად არის პოვნა.“ ბ. ჯორჯაძის ხელით 1 v.

2016

სირინოზიანი, 1821—1826

205 ფ.; 28×18,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; I კარში სათაუ-რები სინგურით; 1821 წ. (88 v)—1826 წ. (200 r); ადგილი: ქ. გორი (200 r); დაუწერელია: 90 r—v, 91 r—v, 200 v—205 v; 5 ილუსტრაცია: 56 r, 87 r, 89 r. 129 r, 138 v.; ზოგან თავკაზ-მულობა. **გადამწერი:** დ. თუმანოვი.

„კარი პირუჱლი, მაშრიყის ჴელმწიფის არდაფისა და ძისა მისისა სირინო-სისა ამბავი შესაქცევად სასმენი.—იყო ჴელმწიფე ქუჱყანასა მაშრიყისასა, რო-მელსა ეწოდებოდა საჴელად არდაფ. ეს იყო დიდი და მაღალი ჴელმწიფე სრუ-ლიად საჴელმწიფოსა მაშრიყისასა, და მრავალნი ჴელმწიფენი მონად ჰყვეს...“ 1 r—200 r.

ანდერძი გადამწერისა: ა. „სრულ იქმნა პირველი კარი იანვრის 17-სა 1821 წელს, ჴელითა თავადის დავით ეგნატის ძის თუმანოვისთა (88 v).

---

1) შდრ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძის და გ. ჯა-კობიას რედაქციით. თბილისი, 1934, გვ. 101, სტრ. IV, 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. „სრულ ვჰყავ გორის ქალაქსა შინა ყოფასა ჩემსა სეკტემრის 2 დღესა განხორციელებიდგან სიტყვისა ღ̃ისა 1826-სა წელსა, ხოლო ქართულსა ქრონიკონსა ფიდ წელსა. ნადვორნი სოვეტნიკი̃ თავადი მდივნის ეგხატისძე დავით თუმანოვი.“ (200 r).

გ. მინაწერი: 201 r.

2017

კრებული (ხალხური ლექსები), XIX—XX

43 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; უყდო; აკინძული; მხედრული; [XIX—XX ს.]; ფშავი (36 r); ფ. ფ 36—43 დაუწერელია.

1. საქორწილო ლექსები და სიმღერები, № 31.
2. ტირილისა და გლოვის ლექსები, №№ 5, 11.
3. გმირობისა, ბრძოლისა, ვაჟკაცობისა და შუღლის ლექსები, №№ 1, 2, 3, 6, 9, 10, 12, 14, 15, 18, 21, 36, 37, 38, 40, 41, 42.
4. მწყემსების ლექსები, №№ 13, 14, 33, 39.
5. ცხოველებისა და ფრინველების შესახები ლექსები, № 22.
6. სატრფიალო ლექსები, №№ 4, 16, 19, 20, 23, 25, 26, 27, 28, 29, 43, 45.
7. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 7, 8, 30, 32, 44.
8. იუმორისტული ხასიათის ლექსები, № 34.
9. როსტომიანი [ნაწყვეტი], № 17.

სულ 45 ტექსტი. 1 r—35 r.

შენიშვნა: ა. ხელნაწერს წითელი ფანქრით აქვს წარწერილი „გედეონ გელოვანის შემოწირული.“ (1 r).

ბ. მინაწერი: „ეს ლექსები ჩაწერილია ფშავში“ (36 r).

K 33.252
3

2018

თვეების ლექსი, 1916

9 ფ.; 22×17; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; 1916 წ.; შემკრები: ს. გორგაძე; ზემო-იმერეთი, სოფ. კვალითი.

1. „თვეების ლექსი.—ეს იანვარი გვესტუმრა
ახალ წელიწად დღესაო...“ 1 r—9 r.

შენიშვნა: ა. თავფურცელი: „თვეების ლექსი, სოფ. კვალითში ჩაწერილი ს. გორგაძის მიერ“.

ბ. ტექსტს წამძღვარებული აქვს წინასწარი შენიშვნები: „გაგონილი და ჩაწერილია 1916 წელს, ივლისის 7-ს, სოფ. კვალითში (დანიეთში), ზემო-იმერეთს, ზესტაფონის მახლობლად, ს. გორგაძის მიერ გლეხის ივანე გიორგის ძის ბულუხაძისაგან, რომელსაც ეს ლექსი უსწავლია თავისის დედის ანასაგან (სოფ. კლდეეთიდან, კვალითის მახლობლად), ხოლო ამ უკანასკნელს უსწავლია ერთი სომხის ქალისაგან, რომელიც მოახლედ ჰყოლია ანას ბატონს. ივანე ბულუხაძე დღეს 55 წლისაა; ხოლო როცა ეს ლექსი უსწავლია, ის 14-15 წლისა ყოფილა. იცის ქართული წერა და კითხვაც; წერა-კითხვა დედამისსაც სცოდნია და შვილისთვის უსწავლებია ამ ლექსის შემწეობით, რომელიც თავისი ხელით ქაღალდზე დაუწერია და მიუცია შვილისათვის საკითხავად და დასაზეპირებლად

ჩაწერილი გვაქვს თანახმად სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემულის „პროგრამისა ქართული ენის დიალექტური (კილოკავური) მასალების შესაკრებად“ (პეტროგრადი 1916 წ.)...“ (თავფურცელის v).

2019

კრებული ხალხური ლექსებისა, 1913

13 ფ.; 22×17; ქაღალდი; აუკინძავი; უყდო; მხედრული; 1913 წ.; შემკრები: ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი); სოფ. მეჯვრისხევი; ფ. 13 და დანარჩენი ფურცლების v-ები დაუწერელია.

1. ცხოველებისა და ფრინველების შესახები ლექსები, № 3.
2. სასულიერო ლექსები, №№ 2, 18.
3. ომისა და ჯარისკაცობის ლექსები, № 1.
4. ფილოსოფიური ხასიათის ლექსები, ეპიტაფიები, №№ 4, 10, 27.
5. სატრფიალო ლექსები, №№ 7, 11, 14, 17, 21, 22, 23.
6. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 9, 15, 25, 26.
7. სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის ამსახველი ლექსები, № 24.
8. სამღვდელოების შესახები ლექსები, № 8.
9. მესტვირული, შაირები, ქება, №№ 6, 12, 13, 16, 19.
10. ტარიელიანი [ნაწყვეტი], № 20.

სულ 27 ტექსტი, 2 r—12 r.

შენიშვნა: ა. ლექსებს სერგი გორგაძის ხელით, წითელი მელნით რედაქციული შესწორება აქვს გაკეთებული.

ბ) ხელნაწერს უძღვის იმავე ხელითა და მელნით დაწერილი შენიშვნები „a) ლექსები №№ 1, 2, 3, 4 და 5 გაგონილია ზაქარა ნინიკას ძის ზურაბაშვილისაგან (სოფ. კირშლის მცხოვრებია), ჩაიწერა 16 მარიამობისთვეს 1913 წელს.

b) ლექსები №№ 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24 და 25 გაგონილია (ზოგიც გამოთქმულია) ოცდაერთი წლის ხალხური მელექსის, უსინათლო ნიკო ლევანის ძის ბარნოვისაგან (ჩამომავლობით ახალციხიდან), მათი გვარი ყოფილა კიდევ „დურგლიშვილიც.“

c) ლექსი № 26 გამოთქმული ყოფილა ზემოდასახელებულის ნიკო ბარნოვის მამისაგან; დურგლიშვილები იმიტომ დარქმევიათ, რომ ყველა მისი ძმები და ნათესავები ხელმარდი დურგლები და ხელოსნები ყოფილან.

d) ლექსი № 27 ნიკო ბარნოვის ძმის გამოთქმული ყოფილა.“ (1 v).

2020

კრებული ქართული ანდაზებისა, XX

27 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; ლურჯკანიანი რვეული; მხედრული; [XX ს.]; შემკრები: ანდრია ნიკოლოზის-ძე უზნაძე; ფ. 27 პატარა ზომისა, ჩაუკერებელია; ფ. ფ. 16—26 დაუწერელია.

1. „არაოდეს არ გახმება ორ წყალ შუა ხისა ძირი,
არაოდეს არ ცხონდება უსინდისო პურად ძვირი,
თუ იგინი ცხონდებიან, სამოთხეში შევა ვირი...“

სულ 441 ტექსტი. 1 r—15 r, 27 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ა. „თავფურცელი. ანდრია ნიკოლოზის ძე უზნაძე, უდელის ქ. № 19. „ქართული ანდაზები." ა. უზნაძე."

ბ. ხელნაწერს აქვს წითელი მელნით შესრულებული სხვადასხვა შესწორებანი. ბოლოს იმავე ხელითა და მელნით მინაწერია: „აღმოჩნდა a) დღემდე ჩაუწერელი—133 (ასოცდაცამეტი), b) ჩაუწერელი, მაგრამ სადავო—16 (თექვსმეტი)—სულ 149. c) ვარიანტი+44-193" (15 r).

2021 ა

კრებული, ხალხური ლექსები და გამოცანები, 1915

7 ფ.; 22×17; ქაღალდი; ლურჯკანიანი რვეული; მხედრული; 1915 წ. (7 r); შემკრები დ. მაღალაშვილი; კახეთი, სოფ. ახმეტა; ფ. 7 v, დაუწერელია.

1. მითიური ხასიათის ლექსები, № 9.

2. ბრძოლისა, გმირობისა, ვაჟკაცობისა და შუღლის ლექსები, №№ 3, 4, 7, 8, 12—20.

3. ნადირობისა და ცხოველების შესახები ლექსები, №№ 10, 11.

4. სატრფიალო ლექსები, №№ 21—25, 30, 35,

5. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 26—29, 36.

6. ამირანიანი [ნაწყვეტები], №№ 5, 6.

7. გამოცანები, №№ 37—43.

სულ 43 ტექსტი. 1 r—7 r.

2021 ბ

დათვის ლექსი (ხალხური), XIX—XX

1 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; მთქმელი: ნოზაძე.

1. „დათვმა სთქვა, სანადიროთა ალის მთა გადავიარე ველიანი და ტყიანი, ერთი ხარი დავიჭირე კოხტა იყო და რქიანი..." 1 r—1 v.

მინაწერი: ა. „ნოზაძის შედგენილი." 1 v.

2022 ა

კრებული, ხალხური ანდაზები და გამოცანები, 1915

6 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; რვეული; მხედრული; 1915 წ.; შემკრები: სარა ბებიაშვილი; სურამი; ფ. ფ. 4, 5, 6 დაუწერელია.

1. **ანდაზები.**—„ყველი ჭამიას ყველი აგონდებოდაო..." 2 r—2 v (ტექსტი №№ 1—12).

2. **გამოცანები.**—„სახლი აწყობით ნაშენი, ხუროს გამოცვლა უჭირსო,
იმისა გამომცნობელსა სიბრძნეც ალარა უჭირსო..."
2 v—3 v (ტექსტი №№ 13—29).

2022 ბ

კრებული (ზეპირსიტყვიერების ნიმუშები), 1916

12 ფ.; 22×17: ქაღალდი; მწვანეკანიანი რვეული; მხედრული; შემკრები: სარა ბებიაშვილი; 1916 წ. (11 v); ფ. 12 დაუწერელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. **გამოცანები:** „აჯინჯარი, მაჯინჯარი, ოთხი ფეხით მაბიჯარი, არც უნდა ლაგამი და უნაგირი...“ (ტექსტი № 1—41) 1 r—2 v.

2. **ანდაზები:** „ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენ...“ (ტექსტი № 42—100) 3 r—4 v.

3. **ზღაპარი:** „ლერწმის ქალი (გაგონილი სოფელ გვერდის უბანში).—იყო ერთი ხემწიფე. ჰყავდა ერთი ვაჟი-შვილი...“ 5 r—9 r,

4. **ზღაპარი:** „ხემწიფის ქალი ეთერი (გაგონილი სოფ. გვერდის უბანში).—იყო ერთი ხემწიფე, ჰყავდა სამი ქალიშვილი, მაგრამ ყველაზე ლამაზი შუათანა იყო...“ 9 r—11 v.

სულ 102 ტექსტი. 1 r—11 v.

2023

კრებული (ხალხური ზღაპრები და ლეგენდები), 1915

9 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; რვეული; მხედრული; 1915 წ. შემკრები: ს[არა] ბებიაშვილი ქართლი; ფ. ფ. 8, 9 დაუწერელია.

1. „ლეგენდა თამარ მეფეზე (გაგონილი სოფ. ტეზერში).—ერთხელ დიდის ხვეწნის შემდეგ მოხუცმა მიამბო შემდეგი: თამარ მეფე მარხია რაჭის მთაში, ოქროს კუბოშია ჩასვენებული, თავით და ბოლოთი კელაპტრები უნთია და უსხედან ანგელოზები...“ 1 r—1 v.

2. „ზღაპარი, ღორი მზეთუნახავი, (გაგონილი დაბა სურამში).—იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბებერი და ბერიკაცი, სცხოვრობდნენ ტკბილად, მაგრამ უშვილოდ...“ 2 r—3 v.

3. „ზღაპარი, (გაგონილი დაბა სურამში). ასარ, ბასარ, კურ-ქედანა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დედინაცვალი, ჰყავდა ორი გერი, ქალ-ვაჟი...“ 4 r—7 v.

2024

კრებული (ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები), 1911—12

12 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; რვეული; მხედრული; 1911—12 წწ. (1 r); შემკრები: ასტიონ პაპიძე; რაჭა, ს. შქმერი; 12 ფ. დაუწერელია.

1. შრომის პროცესებთან დაკავშირებული ლექსები, № 16, **2.** საწესო პოეზია, №№ 5, 10, **3.** შელოცვები, №№ 1, 2, 11, 12, 13. 14, 19, **4.** გმირობისა, ბრძოლისა, ვაჟკაცობისა და შულლის ლექსები, № 15, **5.** სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის გამომხატველი ლექსები, № 18, **6.** იუმორისტული ლექსები, გაბაასებანი, №№ 3, 4, 6, 7, **7.** ეთერიანი, № 17.

სულ 18 ტექსტი.

შენიშვნა: ა) ტექსტებს დართული აქვს შემდეგი ცნობები: ტექსტი №№ 1—8—„გად. ვარლამ პაპიძე 65 წლისა.“ ტექსტი №№ 9—13—„ნ. დესპინა პაპიძე 48 წლისა.“ ტექსტი № 14—„ნათქვამი ეკატერინა დაუშვილის ქალისაგან 55 წლისა.“ ტექსტი № 18—„ეს ლექსი შედგენილია 17 წლის ყმარწვილისაგან, რუხვია გაგნიძისაგან 1909; წელს.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) ტექსტებს ბოლოს ერთვის **მინაწერი:** „ეს ლექსები და ლოცვები შეკრებილია სოფელს შქმერშიდ (ზემო რაჭა), და თუ გამოსადეგი იქნება, კიდე მოგაწვდით მრავალ ამფერ სოფლიურ თქმულებებს. შეკრეფილი ასტიონ პაპიძისაგან 1912 წელს 28 აპრილს“ (11 r).

გ) ტექსტებს № 5 და № 10 აქვს სათაურად—„ფერხულში სასიმღერო ძველებური ლექსი“, (2 v, 4 v).

2025

კრებული ხევსურული ლექსებისა, XX

197 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; შემკრები: თედო რაზიკაშვილი; ხევსურეთი; ფ. ფ. 1—49, 50—59, 96—196, ნაწერია ცალგვერდზე; ფ. ფ. 34, 35, 36 და 197 დაუწერელია; [XX-ს].

1. შრომის პროცესებთან დაკავშირებული ლექსები, №№ 243—267.

2. საწესო და მითიური ხასიათის ლექსები, №№ 26, 27, 28, 31, 32, 33, 272, 273.

3. ტირილისა და გლოვის ლექსები, №№ 41, 93, 126—138.

4. გმირობისა, ბრძოლისა, ვაჟკაცობისა, შუღლისა და სისხლის აღების ლექსები, №№ 34, 44, 45, 67, 68, 70, 71, 72, 73, 74, 76, 79, 80—92, 94—114, 116, 121—125, 127—129, 131, 132, 137, 138 ა, 139, 140, 141 ა, 142, 143, 144—157, 159, 161, 163, 164, 165, 167—182, 269, 270.

5. მწყემსების ლექსები, №№ 66, 69, 130, 158, 162, 166, 222, 223.

6. ნადირობისა და ცხოველთა შესახები ლექსები, №№ 115, 117—120, 241, 242.

7. საისტორიო ლექსები, №№ 1—25, 75, 133, 136.

8. ომი და ჯარისკაცობა, № 271.

9. ფილოსოფიური ხასიათის ლექსები (აფორიზმები, სენტენციები და სხვ.), №№ 30, 36—42, 46—51, 223, 234, 235.

10. სატრფიალო ლექსები, №№ 196—219, 221, 228, 230, 236, 238.

11. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 48, 141, 221, 226, 231, 237, 268.

12. გამკილავი ლექსები, №№ 220, 224, 225, 227, 229, 232.

13. შაირი, დალოცვა, ქება, №№ 49, 52—65.

14. ამირანიანი, [ნაწყვეტები], №№ 274, 278, 279, 280, 284—287.

15. ეთერიანი, [ნაწყვეტები], №№ 281, 282, 283.

სულ 287 ტექსტი. 1 r—196 r.

შენიშვნა: ა. ხელნაწერის საცავ ფურცელზე მიწერილია ა შანიძის ხელით: „შენიშვნა.—აქ მოთავსებული ლექსები ყველა დაიბეჭდა ა. შანიძის ქ. ხალხური პოეზიის პირველ ტომში, გარდა შემდეგ გვერდებზე მოთავსებული ლექსებისა: გვ. 12 (№ 10), 30 (№ 21) 44 (№ 8), 49 (№ 2), 126 (№ 78), 136 (№ 95), 206 (№ 12), 209—218 (№№ 1—22) ხალხ. ვეფხის ტყაოსანი??“ (საცავი ფურცელი). შენიშვნაში ნაჩვენები გვერდები და ტექსტების №№—ძველი პაგინაციით არის მოცემული, ახალი პაგინაციით მათ შეესატყვისება: 12 r (№ 10), 30 r (№ 21), 46 r (№ 33), 93 v (№ 141 ა), 101 r (№ 155), 175 r (№ 254); გვ. 209—218 (ძვ. პაგ.) ხელნაწერს აკლია.

ბ. თედო რაზიკაშვილის ხელით **მინაწერი:** „ეს ლექსი ბაჩანას ჩაწერილია (16 r ტექსტი № 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. პროფ. ა. შანიძის ხელით თითოეულ ტექსტთან ნაჩვენებია მისი ადგილი კრებულში „ხალხური პოეზია“, ტ. I.

2026

კრებული (ზეპირსიტყვიერების ნიმუშები), 1914

28 გვ.; 35×22; ქაღალდი: რვეული; მხედრული; 1914 წ; შემკრები: იოელ მაისურაძე; ქვემო რაჭა.

1. **ზღაპარი.** „ყარამანი და ავთანდილი.—ერთ მეფეს ჰყავდა შვილები: ყარამანი და ავთანდილი...“ გვ. 1—2.

2. **ზღაპარი.** „მდიდარი და ღარიბი.—იყო ერთი მდიდარი კაცი, თვისი ცხოვრება სულ სიძუნწეში გაეტარებინა...“ გვ. 2—3.

3. **ლეგენდა.** „მღვდელი და მაცხოვარი.—მრევლიდან დაბრუნებულ მღვდელს სახლისაკენ ჯორით ბევრი საკურთხები მიჰქონდა...“ გვ. 3—4.

4. **ლეგენდა.** „ცოდვილი კაცი.—იყო ერთი კაცი, რომელსაც თავის დღეში ეკლესიაში არ გაეარა, ბოლოს შვილებმა და შვილიშვილებმა ურჩიეს...“ გვ. 4—5.

5. **არაკი.** „მოთმინება კარგი საქონელია.—ერთმა ნასწავლმა კაცმა შეირთო ცოლი...“ გვ. 5—6.

6. **არაკი.** „ბედის მაძებარი.—ერთმა სწავლულმა კაცმა გადასწყვიტა ცოლის შერთვა...“ გვ. 6.

7. **არაკი.** „იყო ერთი ღარიბი კაცი, რომელიც ხშირად დიდ შიმშილობას განიცდიდა...“ გვ. 7.

8. **„თქმულება** დავით აღმაშენებელზე—ერთხელ დავით აღმაშენებელთან მივიდა მისი მეჯინიბე და უთხრა: ბატონო, ჩვენს ჯოგში ისეთი საარაკო ცხოველია, რომელსაც ვერ ვეკარებითო...“ გვ. 7.

9. **„თქმულება** დადიანზედ.—როცა ლეჩხუმის და სამეგრელოს მფლობელი პეტრე დადიანი გარდაიცვალა, მას მემკვიდრეებათ დარჩენ სამი ვაჟი და ერთი ქალი...“ გვ. 8—9.

10. **თქმულება.** „ნიკოლოზ იაშვილი და როსტომ ერისთავი.—ნიკოლოზ იაშვილი კარგი მეგობარი იყო იმერეთის მეფესი...“ გვ. 9.

11. „შამილის დატყვევება.—რუსეთის იმპერატორმა შამილი ლეკეთის ღუბერნატორათ დანიშნა...“ გვ. 14.

12. ხალხური ლექსები:
    1) იავნანის წესები და სიმღერები, № 63.
    2) შელოცვები, №№ 115, 116, 117.
    3) ნადირობისა და ცხოველების შესახები ლექსები, № 79.
    4) საისტორიო ლექსები №№ 13, 14, 67.
    5) ფილოსოფიური ლექსები, № 57.
    6) სასულიერო ლექსები, № 166.
    7) ციხე და ტყვეობა, № 55.
    8) სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის ლექსები, №№ 15, 16, 17, 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9) სატრფიალო ლექსები, №№ 44, 45, 46, 48—51, 53, 54, 62, 65, 81—113.

10) საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 39—43, 47, 64, 69, 70, 71, 72, 73, 74, 76, 77.

11) იუმორისტული ხასიათის, გამკილავი ლექსები, №№ 37, 38, 52, 56, 60, 75, 78, 79.

12) შაირი, მესტვირული, ქება, დალოცვა, №№ 28—36, 58—61, 69, 114, 164, 165, 167.

13) აბესალომ და ეთერი, [ნაწყვეტი], № 12.

14) გამოცანები, №№ 80, 118—163.

სულ 167 ტექსტი. 1 გვ.—28 გვ.

მინაწერი:: „ხალხური ზღაპრები შეკრებილი იოელ მაისურაძის მიერ სოფ. ბაჯში ქვემო რაჭას“ გვ. 1.

2027

ოქმები ბარათაშვილის სალიტერატურო წრისა, 1916—1920

32 ფ.; 23×18; ქაღალდი; მხედრული; 1916, 1917, 1918, 1919, 1920 წ.წ.; ადგილი; თბილისი; უხის ბეჭედი: „ბარათაშვილის სალიტერატურო წრის გამგეობა“ — შუაში — „თ[ბილისის] I გიმნაზია.“

სულ 36 ოქმი, იწყება 1916 წლის 4 სექტემბრიდან და მთავრდება 1920 წლის 27 ნოემბრის ოქმით.

თავფურცელი: „ოქმები ბარათაშვილის ლიტერატურული წრისა (ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში) № 1. 1916 წ. 1917 წ. 1918 წ. 1919 წ. 1920 წ. 1921 წ.“

2028

კურთხევანი, XVI

36 ფ.; 14,5×11; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაზიანებული; ყუა შემოგლეჯილი; თავბოლო ნაკლული; [XVI ს.]; ნუსხური, სათაურები და საწყისი ასოები სინგურით; შემოსწირა ივ. თ. ნიჟარაძემ 1922 წ.

„...ლოცვაჲ აღბეჭუდუასა ყრმისასა ოდეს მოიღებდეს ნათლისღებასა მღუდლისაგან და სახელისა ქრ͠მანს.—დღესა მერვესა ამის შემდგომად შობისა მისისა მღუდელმან, წმიდაო ღმერთო...“ 1 v—36 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...საყოფელსა მართალთასა და ადგილსა განსასვენებელსა, სადა იგი არს საუკუნო ცხოვრება, ქრისტემან ღმერთმან დააწესოს სული შენი...“

2029

ნაწყვეტი ჟამნიდან, XVI—XVII

20 ფ.; 13,5×10,8; ეტრატი; უყდო; ნაწყვეტი; დაზიანებული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVI—XVII ს.]; დასაწყისი სამი სტრიქონი არ იკითხება. შემოსწირა ივანე თევდორესძე ნიჟარაძემ 1922 წ. XI.28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„…შემდგომად მწუხრისა ლოცვისა და ჟამთა სერობისათა და დღის დასრულებისათა შეიმთხს მღუდელი [დ]ა შევიდეს საკურთხევლად…“ 1 r—20 r.

წ ყ დ ე ბ ა: „…მეორედ მოსლვასა მას შინა და საშინელსა… რამეთუ შენ ხარ ცხოვრება…“

2030

სახარებანი აღდგომისანი ათერთმეტნი, XV—XVI

13 ფ.; 14,2×11; ეტრატი; უყდო; დაშლილი; ნაწყვეტი; ნუსხური; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; [XV—XVI ს.] გადამწერი: ხორაბი (8 v); შიგადაშიგ აკლია: 8 და 9 ფ. ფ. შუა. შემოსწირა ივანე თევდორესძე ნიჟარაძემ 1922 წ. XI.28.

„…სახარებანი აღდგომისანი ათერთმეტნი. სახარება მათესი. [თავი]…— ჟამსა შინა ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფე[ნი] [წა]რვიდეს გალილიას მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ…“ 1 r—13 v.

წ ყ დ ე ბ ა: „…ჰოი უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოვლისა ზედა, რომელსა იტყვიან წინასწარმეტყველნი, ანუ არა ესრეთ ჯერ იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თვისსა და…“

ანდერძი: „ამის მწერელისა ფრიად ცოდვილისა ხორაბის შეუნდენ ღმერთმან, უფალო ღმერთო კ͠ნ, რომელმან შენდობა თქუას, [ა]ღღერძელოს ღმერთმან. ამენ უფალო…“ (8 v).

2031

მარხვანი, XV—XVI

18 ფ.; 11,5×8; ეტრატი; უყდო; ნაწყვეტი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XV—XVI ს.]; გადამწერი: ზურაბი (18 r). შემოსწირა ივანე თევდორესძე ნიჟარაძემ 1922 წ. XI.28.

„კვირიაკესა პ͠ა ლე.—ეხარებდით მართალნი, უფლისა მიერ ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა მარადის. ებრაელთა მიმართ. ძმანო, რომელთა ესე ნათელ ვიღეთ ქრისტეს იესუ…“ 1 r—18 v.

წ ყ დ ე ბ ა: „რაჲ სიტყუა მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ…“

ანდერძი: „ამის მწერელსა ზურა[ბ]ს შეუნდენ ღმერთმან. ამენ… ღმერთო, ადღეგრძელე [ამი]ს მშურომელი, ღმერთო შეიწყალე, ამენ, უფალო ღმერთო.“ 18 r—v.

2032

გამოკრებილი საკითხავი, XVII

20 ფ.; 13×10; ქაღალდი; უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII ს.]; შემოსწირა ივანე თევდორესძე ნიჟარაძემ 1922 წ. XI, 28.

„კვირიაკესა მომკ͠სნნ, შენ სიტყვ[ა] დაუსაბამო ავაზაკსა ჴელნი…“ 1 r—20 v.

წ ყ დ ე ბ ა: „…განწმედილად და სასუფეველისა შენისა ზიარებასა, ღმერთი…“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2033

ნიკოლოზ ბარათაშვილი—თხზულებათა კრებული, 1834—1842

58 ფ.; 19,5×12,3; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1834—1842 წ.; ავტოგრაფი ბარბარე ვეზირიშვილის ვარიანტი (1 v); დაუწერელია: 33 r—58 v; შემოსულია ე. თაყაიშვილის წიგნთსაცავიდან (იხ. ნ. ბარათაშვილი, 1922 წ. გამოცემა, გვ. 128).

1. ბულბული ვარდზედ. 3 r—v, **2.** ქეთევან. 4 r—5 r, **3.** შემოღამება მთაწმინდაზედ. 5 v—7 r, **4.** ჴმა იდუმალი. 7 v—8 v, **5.** ფიქრნი მტკვრის პირზედ. 9 r—10 r, **6.** ჩონგურს. 10 v, **7.** თავადის ჭავ...ის ასულს ეკა...ნას. 11r—v **8.** ჩემს ვარსკვლავს. 12 r—v, **9.** ნაპოლეონ. 13 r—v, **10.** საყურე. 14 r—v **11.** ჩჩვილი. 15 r—v, **12.** სული ობოლი. 16 r—v, **13.** „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“ 17 r—v, **14.** ჩემი ლოცვა. 13 r—v, **15.** ჩემთ მეგობართ. 18 r— **16.** „აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს...“ 20 r—v, **17.** „არ უკიჟინო, სატრფოო...“ 21 r—v, **18.** „ვჰპოვე ტაძარი...“ 22 r—v, **19.** სუმბული და მწირი. 23 r—24 v **20.** «მერანი». 25 r—26 r, **21.** „რად ჰყვედრი კაცსა ბანოვანო...“ 26 v—27 r, **22.** საფლავი მეფის ირაკლისა. 27 v—28 r, **23.** „მიყვარს თვალები მიბნედილები.“ 28 v, **25.** „შენი დალალნი ყრილობენ გველად.“ 29 r, **26.** კნიაზ ბარატაევის აზარფეშაზედ. 29 v, **27.** სულო ბოროტო. 30 r—v, **28.** „შევიშრობ ცრემლსა“. 31 r.

შენიშვნა: ა. ბოლოში ერთვის ლექსი; „დილა.—ოხ! დილავ, დილავ, კულავ სანატრელო...“ 31 v—32 r, რომელიც მიეწერებოდა გრიგოლ ორბელიანს; შეტანილია გრიგოლ ორბელიანის სადაო ლექსებში. პოეტმა ი. გრიშაშვილმა დაადგინა, რო „დილა“ ეკუთვნის დვანაძეს.

ბ. თავფურცელი: „ლექსნი თქმულნი თავადის ნ. ბარათოვისაგან.“ 2 r.

2034

ნ. ბარათაშვილი—ბედი ქართლისა, 1839

42 ფ.; 16,5×11; ქაღალდი მოლურჯო; მუყაოს ყდა; მხედრული, ავტოგრაფი ბარბარე ვეზირიშვილის ვარიანტი (1 r); 1839 წ. (2 r); ადგილი: ტფილისი (2 r); დაუწერელია: 29 v—42 v. შემოსულია ე. თაყაიშვილის წიგნთსაცავიდან.

„ბედი ქართლისა.“ 4 r—29 r.

შენიშვნა: ძირითად ტექსტიდან გამოყოფილია „კახთა მიმართ“ 3 r—v.

2035

სამართლის წიგნი—ვახტანგის კრებული, 1820

199 ფ.; 33,2×20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული: 1820 წ. (177 v); **გადამწერი:** ფრიდონ **იაშვილი; დამკვეთი:** იოსებ ვაჩნაძე; დაუწერელია: 1 r—v. **შემოსულია** ექვთიმე თაყაიშვილის **წიგნთსაცავიდან.**

1. შესავალი. 2 r—3 r.
2. სამართალი მოსესი. 4 v—10 r.
3. სამართალი ბერძული. 10 v—53 r.
4. სამართალი სომხური. 54 r—120 r.
5. სამართალი კათალიკოსისა. 120 v—122 v.
6. სამართალი მეფის გიორგისა. 123 r—128 r.
7. სამართალი აღბუღასი. 127 v—143 v.
8. სამართალი ვახტანგისა. 144 r—177 v.
9. სარჩევი წიგნისა. 178 r—193 r.
10. სომხითის სოფლების სია. 194 r—199 r.

ანდერძი გადამწერისა: „აღიწერა წიგნი ესე სასამართლოსი სიღნაღის უეზდის თავადის იოსებ ვაჩნაძისათვის ასათის ძისა. შეცთომისათვის შენდობას ვ(ი)თხოვ. აღმწერელი წიგნისა ამის სფირიდონ იაშვილი ჩყკ-ს წელსა (177 v).

შენიშვნა: ვახტანგის სამართალს დასასყისში დართული აქვს ცალკე ფურცელი, დაწერილი განსხვავებული ხელით, მოლურჯო ქაღალდზე, შესავლის პირველი ტექსტი (144ა).

2036

კრებული, XVIII

75 ფ.: 16×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ექვთიმე თაყაიშვილის წიგნთსაცავიდან.

1. „თქმული ანასტასი მონაზონისა სინელისა, შემოსლვისათჳს მარხუათასა და მეექუსისათჳს ფსალმუნისა.—შემსგავსებული მარხუათა დაწყებისა, და ჯეროვნისა სინანულისა მიზეზი მიუღებიეს ეკკლესიასა მეექუსე ფსალმუნი...“ 3 r—34 r.

2. „ლოცუა მანასესი იუდიანთა მეფისა.—უფალო ყოვლისა მპყრობელო, ღმერთო მამათა ჩუჱნთაო აბრაამისო...“ 34 r—35 v.

3. „დასდებელნი სამწუხრონი თქმული უ̃ისა ანდრია კრიტელისა ჴმა დ.—ყოველი ცხოვრება ჩემი მეძავთა და მეზუერეთა თანა წარეგების ნუ სადა უძლო სიბერესაღა...“ 36 r—40 v.

4. „ცისკრად კანონი თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ანდრია კრიტელ-იერუსალიმელისა, გალობა ა. სძლისპირი ჴმა, ვ.—შემწე და მჴსნელი და მფარუჱლ მეყავნ მე მაცხოვარებად ჩემდა...“ 41 r—72 r.

5. „დიდის პარასკევის საკითხავისაგან გიორგი ნიკომიდიელისა.—ხოლო აწ ჯერარს ჩემდა ჩემთჳს ჯუარცმულისა და საფლავსა დადებულისა სახიერისა მეუფისა...“ 72 v—75 r.

მინაწერები: ა. ქორონიკონს უჲთ ბატონისშვილი ლეონ მი[ი]ცვალა ნეტარხსენებული თებერვალს ხუთს, დაიწერა გაბაშვილის სოლომონის ხელით, დავსწერე მარტის თხუთმეტს ქორონიკონს უჲთ.“ 1 r.

ბ. 1—2 ფფ-ზე დასაწყისში და ხელნაწერის აშიებზე ხშირია გაბაშვილთა საოჯახო მინაწერები ქართულ-რუსულ ენებზე, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

2037

«პარიზის ქრონიკა», XIX

82 ფ.; 17,5×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს. დასაწყისი]: გადამწერი: ზაალ ზაალოვი (76 v); ექვთიმე თაყაიშვილის წიგნთსაცავიდან.

„ცხოვრება საქართუჱლოჲსა.—ქორონიკონსა ჲა-ს თურქნი მოვიდნენ, მეფე გიორგი მოკლეს, ლაშქარნი სრულიად დახოცნეს, საქართველო მოარბიეს და წარტყუჱნეს თვესა აგვისტოს ვ-ს...“ 1 r—76 r.

გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა წიგნი ესე ჴელითა კნინის ზაალ ზაალოვისა თა. ალმომკითხველთა გთხოვთ, ნუ დამგმობთ, უკეთუ იხილოთ ამას შინა ცთომაჲ: ვინადგან მე არა ბრალეულ ვარ, არამედ თჳთ დედანი იგი, რომლიდამაც გარდმოვსწერე, იყო მას შინა მრავალი ცთომაჲ და ლექსნი გაუწყობარნი, ასე რომ ბევრი სიტყვა და ჰაზრი არ ისმოდა: და თუმცა ვასწორებდა წერაში, გარნა არ შეიძლებოდა საჩქაროთ წერაში სრულებით მისი გასწორება. ზაალ ზაალოვი“ 76 r—v.

მინაწერი: „ეს წიგნი ეკუთნის მიხაილ გიორ[გისძე] თურაბოვს.“ 1 r.

მინაწერები მოეპოება აგრეთვე: 77 r, 77 v, 78 r—v, 79 r. და მარცხენა ყდა v-ზე.

შენიშვნა: პარიჟის ქრონიკა გამოცემულია ბროსეს მიერ პარიზში 1829 წ., ბროსეს გამოცემა უცვლელად გადმობეჭდა ზ. ჭიჭინაძემ (თბილისი, 1903).

2038

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros: 238).

2039

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros: 239).

2040

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros: 240).

2041

ლექსთა კრებული, XIX

2 ფ.; 36×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული: 1817 წ. (ჭვირნიშანი); დაუწერელია, 2 r—v. შემოსულია ექვთიმე თაყაიშვილის წიგნთსაცავიდან.

1. „სტიხნი ალებისა ფოთისასა ბეგლარ ორბელიანის მიერ 1810.—
   „განსაცვიფროდ და დიდთა სოფლისა შემთხვევათა
   მაიძულეს მოხუცი წერისა შეჩვევათა,
   კავკასისა მცხოვრები გუნებურად თქმევათა,
   ვიტყვი ვითთა ქებასა და სხვა გზისცა ძლევათა...“ 1 r—v.
2. [მისივე] „ანდერძი.—
   მოხუცისა მამისა ისმინეთ მცნება ძეთა,
   მამულსა ერთგულებდით, სისხლი დასთხიეთ მხნეთა,
   დიდ მფლობელობა გივისთ, ძეთა თვისცა ამცნეთა,
   იმიერ საჴელი და მტერთ რისხვა მიაგეთა...“ 1 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. [მზექაბუკ ორბელიანი] „ალმკულს რასა (sic) უცხოდ მზასა,
ვხედავ ლომსა მზის ნაშობსა,
ვეფხ-ნაკვეთსა უსაზომსა,
მკვირცხლსა ყრმასა თვალად კმასა...“ 1 v.

2042

დავრიშიანი, XIX

66 ფ.; 22×16,6; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; ნაკლული; [XIX ს.]; დაუწერელია: 63 r—66 v. შემოსულია ექვთიმე თაყაიშვილის წიგნთსაცავიდან.

„ჴელმწიფე ერთი კოსტანტინოპოლსა შინა მორჭმული და გამდიდრებული, ყოველსა ქუეყანასა სახელ განთქმული, არა იყო გულსა მისსა შეჭირვება...“ 1 r—62 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მე იმიტომ მოვსულვარ, შენ დამიჭირო და მიმიყვანო. იმ კაცმა შორს დაიჭირა, მე შენ დაჭერას როგორ ვღირსვარო ან ვინ დამიჯერებსო...“

შენიშვნა: ტექსტი თავებად (ამბვებად) არის დაყოფილი, თანმიმდევრობა წყდება 59 v—60 r შორის.

2043

(გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში—Arm.)

2044

(გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში—Arm.).

2045

(არაბული ხელნაწერი, გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში—Mus.).

2046

(არაბული ხელნაწერი, გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში—Mus.).

2047

ჟურნალი „მერანი“ № 1, 1923

10 ფ.; 22,5×18,3; ქაღალდი; რვეული; მხედრული; 1923 წ. (9 r); გადამწერი კარლო კალაძე (მარჯვენა ყდა v); თბილისი.

მინაწერი: „თბილისის პირველი ტეხნიკუმის ბარათაშვილის სახ. წრის სალიტერატურო ორგანო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2048

გამრეკელი სტეფანე—ყრმის საუნჯე, 1865

44 ფ.; 35,5×22,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1865 წ. (1 r); ავტოგრაფი თბილისი (1 r); დაშლილი, ცალკეა ფურცლები (37—44 v). [იხ. H: 2048, 2049].

1. „ქართული ანბანი...—სიტყვანი ერთმარცლოვანი, აზრები, ანდაზები, იგავები, ლოცვანი, ათი მცნება...“ 3 r—5 v.

2. „თავი პირველი.—ახალი მოსწავლენი, საღამო, დედამიწის ამბავი...“ 6 r—7 v.

3. „თავი მეორე,—განთიადი, მუსაიფი პატარა ყრმაწვილებისა...“ 8 r—9 r.

4. „თავი მესამე.—ყმაწვილების ხალისი (თამაშობანი)...“ 10 r—11 r.

5. „თავი მეოთხე.—ლექსები“ 12 r—13 v.

6. „თავი მეხუთე.—კაცი, მისი აგებულობა...“ 14 r—16 v.

7. „თავი მეექვსე—ჰაერი მისი შემადგენლობა...“ 16 r—20 v.

8. „თავი მეშვიდე.—წყალი, იმისი შედგენილება, მარილი, რძე“...21 r—23 v.

9. „თავი მერვე.—პატარა ბუნების მეძიებელნი...“ 24 r—28 r.

10. „თავი მეცხრე.—საზოგადო თვისებანი სხეულისა...“ 28 v—3„ v.

11. „თავი მეათე—მკურნალობა...“ 31 r.

12. „თავი მეთერთმეტე.—ახსნა თუ რა არის ისტორია...“ 31 v—33 v.

13. „თავი მეთორმეტე.—დროს ახსნა, წელნი ქვეყნის დაარსებიდან აქამომდე...“ 34 r—36 v.

შენიშვნა: ა. სახელმძღვანელო ტიპის თხზულებაა.

ბ. ტექსტი შიგადაშიგ ნასწორებია.

გ. დართული აქვს: **1.** ბუნების მეტყველებიდან განმარტებები (შავად ნამუშევარი) (37 r—38 r). **2.** გეოგრაფიული ცნობები. (39 r). **3.** ორი ფურცელი, რომლის ტექსტს არა აქვს კავშირი სახელმძღვანელოსთან, შეიცავს შემდეგს: „მის პატიოსან ღირსებას მღვდელ მონოზონს მამა იონას.“ ლექსი „თქმული მეფის ძის თეიმურაზისაგან“ (40 r). ამავე გვერდზე იონა ხელაშვილის ნაშრომთა სია 32 ერთეულის დასახელებით (40 r—41 v). აქვე „მილოცვა მეფის იასონისადმი, დიდის მთავრის ზურაბ ალღუზონიანისგან გამარჯვებასა ზედა მტერთასა, ალღუზეთიდგან სასპარსოსა შინ[ა] სირიისასა (პოემიდგან ალღუზიონ.“ ორი სტროფი (41 r). აქვე: „იამბიკო თქმული რუსთაველის მიერ, რომელიცა ზედა წარწერილ არს გელათს ხატსა ზედა ხახულის ღვთის მშობლისასა...“ (41 r). **4.** „სხარტური მიმოხილვა...“ 42 r—v. **5.** „ნაძვი—(იგავი ვერნერისა) 43 r. **6.** „ყურძნის ვაზი (იგავი)...“ 43 v—44 r. **7.** 44 r—ბოლოში მინაწერი: „სწავლულ მგზავრ ალექსანდრ დიუმას ისრე მოსწონებია ყიზლარის ღვინო, რომ აი რას ამბობს: რომ შეიძლებოდეს მთელი ხალხის დათრობა ყიზლარის ღვინითა, სუყველანი ერთბაშად გახდებოდნენ ძმებად.“

დ. თავფურცელი: „ყრმის საუნჯე ანუ სასარგებლო წიგნი ყმაწვილებისთჳს, რომელიც შეიცავს: ქართულსა ანბანს, ლოცვებს, ანდაზებს, მოთხრობებს, ლექსებს, სტატიებს გეოგრაფიიდგან, ისტორიიდგან, ბუნების ისტორიიდგან (ფიზიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია), ფიზიკიდან, სახალხო მკურნალობიდგან, არითმეტიკას, ქართულ ანგარიშს, ზოგიერთს სასარგებლო სათამაშოების ახსნას და სხვას. შედგენილი სტეფანე გამრეკელისაგან, თბილისი, 1865“ 1 r.

ე. ხელნაწერი ნებადართულია დასაბეჭდად ცენზორის მიერ (2 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2049

სტეფანე გამრეკელი—სახელმძღვანელო, 1865

18 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; რვეული; უყდო; მხედრული; [1865 წ.]; ავტოგრაფი; თბილისი. [იხ. ხელნაწერი № 2048].

1. „ასტრონომია და მეტეოროლოგია“ 1 r—7 v.
2. „გეოლოგია“ 8 r—15 v.
3. „გეოგრაფია“ 16 r—18 v.

შენიშვნა: აღნიშნული ხელნაწერი სტ. გამრეკელის „ყრმის საუნჯის“, სახელმძღვანელოს ნაწილის გადამუშავებულ ნუსხას წარმოადგენს. ყველა ნაწილს უძღვის მოკლე შესავალი.

2050

სტეფანე გამრეკელი—ყრმის საუნჯე (სახელმძღვანელოდან), 1865

14 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; რვეული, უყდო; მხედრული; [1865 წ.]; ავტოგრაფი; თბილისი [იხ. ხელნაწ. H: 2048].

„ბოტანიკა ანუ მცენარის აღწერა.—წინა საუბარშიდ მე აგიხსენით ეხლანდელი სახე...“ 1 r—11 r.

2051

ლოცვის წიგნი, 1837

18 ფ; 10,5×5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაშლილი; 1837 წ. (18 r.); მხედრული; გადამწერი: დიაკონი თადეოზ ტერ-ოჰანეზასძე ტერ-გეურქოვი (17 r—v); ნაკლული.

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ...“ 1 r—16 r.

წ ყ დ ე ბ ა: „ლოცვათა წმიდათა მამათა ჩვენთაგან, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალე ჩვენ. ამინ.“ 18 v.

შენიშვნა: 1. სომხური სიტყვები მხედრულით (16 r—17 r).

2. **გადამწერის ანდერძი:** „ესე სინანულისა და ცოდვის მისატევებელი და განწმედისა ლოცვის წიგნი არს აღწერილი ხელითა დიაკონი თადეოზ ტერ-ოჰანეზას ძის მიერ ტერ-გეურქოვისა. მსახურებს წიგნი ესე ნათლიდედასა თვისსა შუშანას, სვინისა თვისისაგან მირთმეული. ღმერთო, კეთილად ბედნიერობაში ახმარე პატრონსა თვისსა შუშანასა, ამინ. ჩყლზ წელსა, თებ[ე]რვლის პირველსა დღესა ა დაიწერა წიგნი ესე.“ (17 r—18 r).

2052

რუსთაველი შოთა—ვეფხის ტყაოსანი (ვახტანგისეული რედაქცია), XIX

10 ფ.; 22,5×17; უყდო; ნაწყვეტი; დაზიანებული; მხედრული; [XIX]; ნაწერია ულამაზო ხელით; ბოლო ფურცლის ნაწილი მოხეულია.

„...და რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უქამობა“.

წ ყ დ ე ბ ა: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი.
[გალ]ანამცა მას იახლე მისი ეტლი, არ თუ წბილი.“

შენიშვნა: შემონახულია 1095—1256 სტროფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2053

კრებული, XIX

4 ფ.; 32,5×17,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; [XIXს.]; მეორე ფურცელი გახეულია; მესამე ფურცელს ქვემო მარცხენა კუთხე აკლია; მე-4 ფურცელი დაუწერელია.

1. [რელიგიურ-ზნეობრივი სწავლანი].—„მოყუარე დუმილისა მიეახლების ღმერთსა...“1 r—2 r.

2. „თქმული დიდისა ბასილისი.—დასაბამი სათნოებისა მიმართ წარმართებისა არს დადგომა სიბოროტისა.“ 2v—3 r.

3. „თქმული წმიდისა გრიგოლ ღ̃სმეტყუჱლისა.—რამე არს სათნოება ნებსითი, ხოლო საჭიროებითი და იძულებული სათნოებად შეუძლებელ არს“... 3 r.

2054

კონდაკი, XVIII

29 ფ.; 14,9×10,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაწყვეტი; ნუსხური; [XVIII ს.] გადამწერი: ნათანაელ (8v); ფურცლების აშიები ძოხეულია.

„[ა]ღმომიყვანენ ჩვენ და მოგუმადლენ ჩვენ სასუფეველი, მერმე ამათ ყოველთათვის...“ 1 r—29 v.

წყდება: „...აღიპყრას ხელნი მღვდელმან...“

გადამწერის მინაწერი: „ქრისტე, შეიწყალე მწერალი ამისი ნათანაელ და თანა მეცხედრე მისი ელენე.“ 8 v—9 r.

მინაწერებია გაუწაფავი ხელით: 1 v, 2 r—v, 3 r—v, 4 r—v, 5 r, 6 r, 7 r, 17 r—v, 18 r, 29 r—v, 29 r (გვიანდელი მხედრულით).

2055

რუსთაველი შოთა—ვეფხის ტყაოსანი (ვრცელი რედაქცია), XIX

197 ფ.; 31×19; ქაღალდი, სხვადასხვა ფერისა; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XIX ს.] ჭვირნიშანი 1820 წ.; გადამწერი: ნიკოლაოზ (4 r—v); ილუსტრაციები (ცუდად შესრულებული): 2 v, 6 v, 8 r—v, 86 v. თავბოლო სამკაულები: 3 r—v, 5 r—v, 6 r, 7 r, 9 r—v.

„პირველი თავი, დასაწყისი წიგნისა ვეფხის ტყაოსნად წოდებულისა. მოთხრობა ძველთა ისტორიათა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ლექსად თხზული ამო და სარგებელი სწავლისათჳს მოშაირეთასა.—

„რომელმან შექმნა სამყარო...“ 5 r—197 v.

შენიშვნა: ტექსტს წამძღვარებული აქვს:

ა. „შენ, შემოქმედო სოფლისავ, ღმერთო, ყოვლად დიდებულო,—
არავისგან საცნაურო, ანგელოსთაგან ქებულო,
მართალო, მშვიდო, ძლიერო, უზომოდ განდიდებულო,
შენ ჩემ ცოდვილისათჳს ქვეყანად განცხადებულო,
ვნებულ-ჯუარ-ცმულ-აღდგომილო და ზეცად ამაღლებულო.
რადგან მაქუს შენი ბეჭედი თავსა, მკერდსა და ფერხთაცა,
ამას თუმც ვსწერ, მე შენ გაქებ, არ ვიქმ საქმეს საძრახთაცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ და ვიქმნები მაქებელ შენთა ნიჭთა და მადლთაცა,
და თუ მძრახონ, არა მგამა, ჩემებრ უვიცთა კაცთაცა.
იეროდიაკონი ნიკოლაოს ვაპირებ წერას (ასოგრეხილით)...“ 3r

ბ. გადამწერის მიერ შეთხზული, სტროფები:

„ვინმცა ნახოთ ესე წიგნი, რაცა იცით, იგი გონეთ,
არამ მარგო ამის კიდე, რისმცა წერა, რა ვიგონეთ,
ვეფხის ტყავი ცოტა უკან, გვედრი, ჩემიც გაიგონეთ,
და ჩემის აზრის შემტყობთა სიყვარულით მამიგონეთ.

ტყუილ იყოს, გინა მართალ, დრო აქვს ყველას თავთავისი,
კაცმან თუ ქნას თავთავის დროს, [ს]აზრახია არავისი,
ვინ დრკუებდეს, მონა არის ეშმაკისა, არა სხვისი,
პირველ ყველა კარგა გონოს, შემდგომ კბენდეს სინიდისი.

მღერა მისი იადონსა არაოდეს არ ეზრახვის,
მისი ოდენ გულ-ვარჯობა არავისსა არ ესახვის,
მისებრ მართლად მღერდეს კაცი და, რაცა სთქვას, არ ეზრახვის,
და დროთ გამოსთქუას გაგონილი და იგიცა, რაც ენახის.

პირველი და მჯობი არის ყველას უმეტ სიყუარული,
ბევრი გყვეს რა მოყუარენი, არ მოგაკლდეს სიხარული,
აწე მტრობით რამცა ირგო, გქონდეს მისგან არცა რული,
და ზეზნი უკმოგრეხილნი მალმცა იქმნეს დაცარული.

ბედნიერსაც უბედობა ერთის რამე მხრით ეწევის,
თუ დაუთმოს განსაცდელსა, ღმერთი მალე შეეწევის,
ნუმც ვინ ზრუნავს მონებასა, ულელსა ვინამ ეწევის,
და ვერაგო, ბოროტება ერთხელც არის მოგეწევის.

გირჩევთ ყველას, ერთგულებით ქრი!ტეს მონა თუ იქნებით,
დაუთმობდეთ ერთმანეთსა, და თუ გცემდენ ჯოხ-ჩლიქებით,
მაშინ აქაცა სვიანნი ღვთისაგან მუნცა იქნებით,
და, აბა, მითხართ, რასა ირგებთ ერთმანეთის განქიქებით.?

სადაცა არს სიყვარული, ღმერთი მუნით არ იქცევა,
და თუ ღმერთი არ აშენებს, სახლი მაშინც დაიქცევა,
ფუჭი არის ყოველივე თქვენი მისთჳს ფიცხი ქცევა,
და სიყვარულით დასხდებოდეთ, ამ წიგნით გქონდესთ შექცევა.

მინდა მეცა განვაგრძელო, ვწერო მარდათ სწავლა—ლექსი,
ათასამდი მაინც იყოს, რას მეყოფის ხუთი ექუსი,
მაგრა რა ვქნა, რუსთაველსა აღერევა წიგთა სქესი.
და მეშინის, არ წამოხტეს, არ აჯახოს ლექსთა ლექსი.

რუსთაველო, ახ, თუ დრო გაქუს, მიტომ აგეთ ლექსთა ჩმახავ,
ადექ, მოდი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვსწეროთ, მაშინ გნახავ,
ლაგაზივით წამოგწვდები, ეს კი ვიცი, ვერ გაგლახავ,
და ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ, რაც გინახავ.

ბ. კ. ი. დ. ნიკოლაოს.“ (3 v—4 r).

გ. აკროსტიხი მიძღვნა—«ბრწყინვალე კნეინა ელენას»;

„ბრწყინვალეთ ტომთაგან
რაზონ სასაკმოვ
წმასნული ესთა
ყოვლადვე ყრმებულ,
იმრთმელი ესე

იაკოსტ ია ნაცენ
ელვ ევზომოს ელენა
ნიკოლოს მოგიძღვანე
ქეთილთა მოხუცებულ
საგონად მუნ სამენას. “ (4 v).

დ. საცავ ფურცელზე მინაწერები, მათ შორის: „ეკუთვნის კნეინა ნინო ივანეს ასულს ყარალოვისას, ეს წიგნი შეიცავს თავიდამ ორას ფოთოლს“. 2 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

H 2056

ლექსთა კრებული, 1843

137 ფ.; 34×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1843 წ. (მარცხენა ყდა v); გადამწერი: ქობულოვი ნინო; [გორი] (მარცხენა ყდა v) . გორიდან ჩამოიტანა და გადმოსცა მუზეუმს სიმონ ჯანაშიამ. 1923, VI, 16.

1. ოთარ ქობულოვი„ ნინოს ქალზედ თქმული ნანა, თავისის პაპის ძმის ოთარ ქობულოვისაგან.— ნანას გეტყვი ნენესა,

მთვარეებრ შუქთა მფენელსა,
იადონსა ტკბილად მხმობსა
და ვარდს ჩემს გულს მცენესა..." 1 r.

2.„ თქმული ბაგრატ ბატონიშვილის ქალის დაბადებაზედ, დიმიტრი ორბელიანის ცოლზედ.—

ჩრდილოს აღმოხდა ივერით ქალი მართ ვითა მთიები,
კამკამით ელვა გამოკრთის, ლამაზად მოციმციები,
ანათებს ოთხთა კიდეთა შუქისა მონასხიები,
და მზესა მოაკლო მწველობა, მთვარე ჰყო შენაციები..." 1 v.

3. დიმიტრი ბაგრატიონი: „ელისაბედიანი, შეთხზვით ვარდნი იანი, მამისგან ნათქვამი აღარ დასაგვიანი.—

ღმერთმან ინება აღორძინება,
ამით მოგვეცა კაცთა ლხინება,
მომცა ასული, სოფლით გასული,
არა მყო მოსპო, ვედრება სრული..."2r—2v.

4. მისივე: „ვეტყვი ახოს ნანასა, მისსა შესაგვანესა,
ტბილად რასმე ძილისა ადრე მოსაყუანასა,
ჩემსა ლიზუტანასა, ჩვილსა, პაწაწანასა,
მოუჯდები აკვანსა, ურწებ ხანის-ხანასა..." 2v—3r.

5. ნიკოლოზ ყაზბეგი: „ნანა, მიხეილ ყაზიბეგის შვილზედ, ნათქვამი თავისის მამის ძმის ნიკოლოოზისაგან.—

კაკანა გაურწივეთ, სულიკოს ეძინება,
გვმართებს ღმერთსა ვავედროთ მისი აღორძინება..." 3r—v.

6. მზექაბუკ ორბელიანი: „დავით ორბელიანის ჰაბუა დიამბეგის შვილზედ ნათქვამი თავისის მამისაგან

აღმკულ [ს]რასა, უცხოდ მზასა,
ვხედამ ლომსა მზის ნაშობსა..." 3v—4r.

7. დავით მაჩაბელი:„ თქმული დავით მაჩაბლისაგან ბარძიმის შვილისა.—

ჩემსა სატრფოსა არც ვარდი ჰგავს, არ ია,
ანგელოზი, ანუ ღმერთა არია,
გასაოცრად მან დამღერა არია,
ქნარი ჩემი მისმან ხმამან არია..." 136r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. ალ. ჭავჭავაძე: „ჭავჭავაძისაგან თქმული.—
ვარდო, რათ ხარ თავდახრილო,
რად მარიდებ პირსა მშვენსა,
არ მომხედავ შენსა მღერა[ლ]ს,
მარად შენთვის აღნაგზებსა?...“ 136 v.

9. დიმიტრი ორბელიანი.—
„ბროლის ყელზედ წარბი სათი, თვალი შავი მელანია,
გარს გიშერი წამწმად უსხდეს, მოდარაჯე მცველანია,
დარაზმულან სამესისხლოდ, ისარს ისვრის ყველანია,
გულსა მათგან დაკოდილსა, აღარა აქუს შველანია...“ 137 r.

შენიშვნა: მარცხენა ყდის v—ზე ბეჭდის წარწერანი: 1. ვახტანგ ბატონიშვილისა „ლომად იუდად ბავთანი, ვახტანგ ირაკლის ნაკუთანი.“ 2. „სოფელმა იავრობითა დამცა ყვავილი ზრობითა.“ 3. სოფელო, შენმა იამა შენივე ნახვა იამა.“ 4. „დარეჯან დედოფლის ბეჭედი: ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა, მან მცა წიალი დედოფლობისა.“ 5. „ღვთის მშობლის სასოიანი, იულონ დავითიანი.“ 6. მირიან ბატონიშვილისა; „დავითის ტომთა სქესისა, ძე ვარ ირაკლის მეფისა. მირიან.“ 7. ერეკლე II-სა: „მე ფეხ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე.“ 8. „ღვთის მშობელს ვესავ მისი ამარი და ძესა მისა ვმონებ თამარი“. 10. „მიწა ვარ დავითრგუნები.“ 11. [იესე ოსეშვილისა]: „ჟამი ესეცა წარივლის.“ 12. ქაიხოსრო ორბელიანისა: „სარდალ სალთხუცეს მეფისა, დიანბეგი ვარ სეფისა, ქაიხოსრო სარდლის ორბელიანის ბეჭედზედ.“

გადამწერის მინაწერი: „წელს ჩყმგ-სა ნოენბრის 3-ს ვიყავ გორს, და მოვედ ექვს დეკენბერს ჩემს სახლში, რომელიც იყო პირველი ნახვა ჩემგან გორისა. ქობულოვის ასული ნინა.“

2057

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

15 ფ; 21,5×17: ქაღალდი; რვეული; მხედრული; [XX]; შემკრები: ნიკოლოზ კეცხოველი; ს. ტყვიავი.

1. შრომის სიმღერები, №№ 11, 14, **2.** მითოლოგიური ხასიათის ლექსები, № 5, **3.** მწყემსების ლექსები, № 7, **4.** საისტორიო ლექსები, №№ 3, 12, **5.** ფილოსოფიური ხასიათის ლექსები, № 15, **6.** სასულიერო ლექსები, №№ 1, 2, 9, **7.** სატრფიალო ლექსები, №№ 10, 18, **8.** საყოფაცხოვრებო ლექსები, № 6, **9.** შაირი, დალოცვა, ქება, №№ 13, 16, 20, **10.** იუმორისტული ხასიათის ლექსები, გაბაასებანი, №№ 4, 9, **11.** ამირანიანი, [ნაწყვეტი], № 17.

სულ 20 ტექსტი. 2 r—15 v.

შენიშვნა: № 5 აქვს მინაწერი: „მესტვირე იასე გოგიაშვილი, „მესტვირე დოდეთ“ ქართლში ნაცნობი“ (7 v).

2058

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

11 ფ.; 22×17; ქაღალდი; რვეული; მხედრული; [XX]; შემკრები: ნიკოლოზ კეცხოველი; ს. ტყვიავი; ფ. ფ. 9, 10, 11 დაუწერელია.

1. შრომის სიმღერები, № 19, **2.** საგმირო ლექსები, №№ 9, 12, 18, **3.** ისტორიული ლექსები, №№ 1, 2, 3, 15, **4.** ფილოსოფიური ლექსები, სენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტენციები, აფორიზმები და სხვ. № 26, 5. სატრფიალო ლექსები, №№ 4, 10, 14, 6. სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის ლექსები, № 8, 7. შაირი, დალოცვა, №№ 5, 7, 11, 13, 17, 21, 24, 25, 8. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 20, 23, 9. იუმორისტული ლექსები, № 16.

სულ 25 ტექსტი. 1 r—8 v.

შენიშვნა: საცავ ფურცელზე ფანქრით მიწერილია: „წაკითხულია დ. კარიჭაშვილი".

2059

კრებული ხალხური ზღაპრებისა, 1912—13

14 ფ.; 22×17; ქაღალდი; რვეული; მხედრული; 1912—1913 წ.წ., შემკრები: ნიკოლოზ კეცხოველი. ს. ტყვიავი.

1. „საწყალი კაცის ამბავი.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი და ბედკრული კაცი..." 1 r—2 r.

2. „ოთხი ძმა.—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ოთხი ძმა. სამ მათგანს ცოლები ჰყავდათ, ერთი კი საქორწილო იყო..." 2 v—5 r.

3. „არამი და ალალი.—იყო და არა იყო რა, აბა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორი ძმა. ერთს არამი ერქვა, მეორეს კი ალალი..." 5 v—6 v.

4. „დედა-შვილი,—იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო დედა-შვილი. დედას გათხოვება უნდოდა, მდევ ბაყბაყს უნდოდა ცოლათ, მაგრამ საცოლოს შვილის მუხიგლეჯიასი ეშინოდა..." 7 r—9 r.

5. ზღაპარი.—„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი, რომელსაც ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა და ერთი ქალი..." 9 r—13 v.

6. „გერის წმინდა გიორგი (თქმულება).—სადაც ეხლა გერის წმინდა გიორგი ასვენია, და მაღლიდან გადმოსცქერის მთელ ხეობას და სადაც მიდიან სალოცავად მთელ საქართველოს კუთხეებიდგან, თურმე წინათ, უხსოვარ დროს, იქ იყო გამოჩენილი ყაჩაღის ბინა, სადაც ყაჩაღს მთელი თავისი ნადავლი მოჰქონდა და ინახავდა..." 14 v—14 v.

შენიშვნა: ტექსტებს დართული აქვს შემდეგი ცნობები:

№ 1—„1912 წ. 30.XII" (2 r).

№ 2—„1913 წ. 1.I" (5 r).

№ 3—„1913 წ, 2.I" (6 r).

№ 4—„1913 წ. 3.I" (9 r).

№ 5, 6—„1913 წ. 4.I.—გაგონილია მთიელ კაცისაგან" (14 v).

2060

ქართველ მეფეთა გენეალოგია, XIX

1 ფ.; 35×44; ქაღალდი; [XIX ს.]; დაზიანებული; შესრულებულია წრეხაზობრივ დიაგრამით.

„მეფენი კახეთისანი.—1466 დავით..."

წყდება: „1752—სოლომონ."

შენიშვნა: „შთამომავლობა საქართველოს მეფეთა ბაგრატოვანთა შემდგომად ალექსანდრე პირველისა."

„Родословие Грузинских царей Багратионовых после разделения Александром I“—მიწერილია თავფურცელზე.

2061

ავგაროზი, XIX

21 ფ.; (მრგვალად აჭრილი); 8,5×7; ქაღალდი; მხედრული. სათაურები სინგურით დაშლილი; გადამწერი: სიდონია (21 r); ტექსტი მოთავსებულია წრეხაზობრივ ჩარჩოში XIX ს.; მარტივი ილუსტრაციები: 1 r, 11 r.

„ეპისტოლე ავგაროს მთავრისა, რომელი მიუწერია უფალსა ჩუენსა იესო ქრისტეს და წარგზავნა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს.—ავგაროს მთავარი ქალაქისა ედესიისა.“ 2 r—21 r.

მინაწერი: „წმიდისა ამის ეპისტოლის მადლო, დაიცევ და აკურთხე მსასოებელი შენი მჴევალი ღმრთის სიდონია, მხევალი თამარ დავითისა.“ 21 r.

2062

(გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში—Mus.)

2063

(გადატანილია მუსლიმანურ ხელნაწერთა კოლექციაში—Mus.).

2064

კონდაკი, XVI—XVII

გრაგნილი, ერთი კეფი; 107×24; ეტრატი; ნუსხური; [XVI—XVII ს.]; მოხეულია ერთი კუთხე, ტექსტი არ იკითხება მოხეული ნაწილის გასწვრივ.

„...ბარძიმსა ჯუარი, სჳთ ამისაგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისათჳს თქუენთჳს დათხეული, მრავალთათჳს მისატევებლად ცოდვათა, ამინ...“

წყდება: „...მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს განტეხილი მისატევებელ[ა]დ ცოდვათა, ამინ.“

მოეპოვება მინაწერები (სულის მოსახსენებელი).

2065

ფრაგმენტები, X

4 ფ.; 25×25; ეტრატი; ასომთავრული ნუსხური; [X ს.]; ტექსტი გადაშლილია, არ იკითხება; აშიები შემოცვეთილია, 1 r ამოჭმულია.

[ფრაგმენტი სახარებიდან უნდა იყოს] „...მშვიდობ... [შ]ემდომად... თჳს... დაიჳსნა...“

შენიშვნა: თითოეული ფურცელი გამოყენებულია სახატავ მასალად, პირველ გვერდზე დახატულია წმინდანი, სახის გამოხატულება არ ჩანს. წარწერა „დიდება [ღ]ˆსასა.“ 1 v არის გამოხატულება წარწერით: „წმიდა იოვანე ნათლისმცემელი.“ 2 r—გამოხატულება წარწერით: „წმიდა ლუკა.“ 2 v—გამოხატულება წარწერით „წმი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იოანე“. 3 r—გამოხატულებაზე წარწერა მოხეულია, 3 v—წარწერა მოხეულია. 4 r—მიქელ მთავარანგელოზის გამოხატულება, წარწერა: „მიქელ“. 4 v—ორი გამოხატულებაა, წარწერა: „[დედაჲ] ღთისაჲ“ და მეორე წარწერა—„წმიდა ივ...“

2066

ანტონ I—გრამატიკა, 1767

174 ფ.; 30×19; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული, თავფურცელი და სათაურები ასომთავრულით; 1767 წ. (1 r); დაუწერელია: 126 v.

„თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირუჱლი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფე ქმნილთა. თავი პირველი: ბრუნუათათჳს სახელთასა § 1.—რიცხუსა შორის ჩუჱნ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 5 r—174 v.

შენიშვნა: ა. თავფურცელი (სინგურით): „სადიდებელად ცხოველს მყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა დავითიან ბაგრატოვანისა ახლად ქმნილი წიგნი ღრამმატიკაჲ ქართულისამებრ ენისა, დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსასა... მთავრობისა თჳსისასა ყოველთა ქართუჱლთა ზედა. წელსა დასაბამითგან სოფლისა... 7275, ხოლო განჴორციელებითგან სიტყვისა ღ´ისა... 1767, თთუჱსა მეათერთმეტესა რიცხუსა... 20“ (1 r).

ბ. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსთა, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა...“ 2 r—v.

გ. „პინაქსი ღრამმატიკისა“ 3 r—4 v.

2067

ანტონ I—კატიღორია-სიმეტნეჲ, 1769

111 ფ.; 16,5×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული, თავფურცელი და სათაურები ასომთავრულით; 1769 წ. (110 v); გადამწერი: გაბრიელი (110 v).

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატიღორიათა არისტოტელითთად შეყუანილება. § 1.—საჭირო ვიდრემდე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე ქმნილთა ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი...“ 4 r—87 v.

შენიშვნა: ა. თავფურცელი „სადიდებლად ცხოველს მყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა, ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა დავითიან ბაგრატოვანისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატიღორიაჲ, სიმეტნეჲ და ჰსჯილი მისგან, ჴმასა ზედა არისტოტელისსა შედგომითავე მისითა, მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდამოცემათა მოღებული. ხოლო წინადადებულნი თჳსისა სხოლისა მოწაფეთად. დროსა ყოვლად ბრწყინუალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა მეფისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუ[ჱ]ლოჲსასა, ხოლო მამათმთავრობისა

თჳსისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275. ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღ~ისა 1767. თთუჱსა მერუჱსა, რიცხუსა 9. დაიწერა ახალსა გნოსისსა შინა სამეფოსა მისისა მეფობის უმაღლესობისასა." 1 r.

ბ. „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთ ტაეპოვანთა სტიხთა ანუ დასდებელთა ზედა ცხრა რიცხუთა, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა." 2 r—3 r.

გ. „პინაქს სიტყუაობაჲ". 88 r—110 v.

გადამწერის მინაწერი: „დასასრული პინაქს სიტყუაობისა. 1769 წ. 25 აპრილი, სრულ იქმნა გაბრიილისგან, იყავნ სადიდებლად ემმანუილისა და უბიწოდ მშობლისა მისისა" 110 v.

«**გადამწერის ანდერძი**»:

„სამთა რა ცნობათ, განშუჱნებულთ გონებათ,
აღკაზმულთ სიბრძნით, ნაყოფთ კეთილთ მცენთამი,
წინ-დებულ ქმნილ არს აწ შრომა კეთილ-სარაცხ,
რომელ არს უკუჱ ათ-მარტივ თქმულნი ჳმანი
ანტონი ბრძნი გან, მეფეთ სირათა ნათხზის.
ამათ სამთ ცნობით განშუჱნებულს გონებას
და მომწინაებს ზემოთ თქმულთა ცნობათა
ესუროა სურვით ჩემ მიერ უღირსისგან,
არა თუ სწავლა, არამედ აღწერაცა
მაღლისა ამის ცნობისადმი სახედისა.
მე მრწემი მცირე, უღირსი, უცნობოი
მაღლისა ამის ხედუათა ცნობისაგან
გაბრიილ, ძეი წოდებულად მოძღურისა,
ვითხოვ სურუჱბით თქუჱნით უმაღლესობათგან,
არ თქმად ძვირს რასმე, ჩემ მიერ ცთომ-წერილზედ." 111 r.

2068

ღილაროვსკი—ფიზიკის სახელმძღვანელო, 1814

254 ფ.; 17,7×13,3; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1814 წ. (242 v); გადამწერი: დავით ინანაშვილი (242 v); ტფილისი (იქვე); დაუწერელია: 1 rv, 2 v, 3 v, 8 r—v 243 r—v, 246 r—v; ფიზიკური ხელსაწყოების ნახაზები (247 r—254 r).

„ფისიკა § 1. ფისიკა არს სწავლა, რომელიცა აჩვენებს თჳსებათა ნივთთა სოფელსა შინა მყოფთასა და წარმოადგინებს მიზეზთა ხილუათა მას შინა და უკეთებადთასა..." 9 r—204 v.

შენიშვნა: ერთვის—ა: „დამატება მათემატიკურთა აღმოჩინებათა და გამოწულილუათა სხუა და სხუათადმი პარაღრაფთა..." 205 r—236 v.

ბ. „ტომარი ნივთთა" [საძიებელი]. 236 v—242 v.

გ. მიმართვა პეტრე ზავოდოვსკისადმი. 3 r—4 v.

დ. «წინასიტყვაობის ნაცვლად». 5 r—v.

ე. „პინაქსი". 6 r.

ვ. „შესავალი."

ზ. თავფურცელი: „ხელმძღუანელობა ფისიკისადმი, შეთხზული პეტრეს მიერ ღილაროვსკისა, მოძღურისა მათემატიკისა და ფისიკისა სამოძღუროსა შინა ღიმნაზიასა, ფისიკისა საზოგადოობასა შინა კეთილშობილთა ქალთასა, როსსიულისა სიტყვიერებისა და ლათინურისა ენისა საკეთილშობილოსა პაჟთ კორპუსსა შინა" 2 r.

ჱ. „როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს ნათარგმნი ნ. დ. ჩუბინაშვილის მიერ თავ. იოანე ელისბარის ძის ერისთავისათვის (იხ. ალ. ცაგარლის Сведения о пам. груз. п. т. I, вып. III, Спб. 1894 г., стр. 14—15. ამ იოანე ერისთავის წერილი 1814 წლის 10 მაისის თარიღით)." შენიშვნა ჩაწერილია კატალოგში ს. გორგაძის მიერ.

2069

კრებული, XVIII

66 ფ.; 21,5×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაზიანებული. ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით: [XVIII ს.]: ალაგ-ალაგ ფურცლები ამოცვივნულია. მუზეუმს გადმოსცა სვიმონ (სიკო) ვაჩნაძემ.

1. [ფირმალიანი] «ამბავი დიფნის ქალაქისა» „...იმ ბურჯიდამე სრულად ყირმიზი იაგუნდის მეტი არა გამოვიდოდა რა, ან ტახტი, ანუ გვირგვინი, ანუ ჴრმალი და ლახტი და ჯილა საყური, რაც სახელმწიფო იარაღი იქნებოდის, ყუელასაგან მრავალი გამოვიდოდის..." 1 r—52 r.

წ ყ დ ე ბ ა: „დასრულდა აწ აქ ამბავი დიფნის ქალაქისა და ყოველთა ჴემწ̃ფეთა უჟეშთაესის ჴემწიფის ფირმალისა და მის შვილის აბულისაყისა. ვითა წესია ამა სოფლისა, იგინი გარდაიცვალეს და გახემწიფდა დიფნის აბულისაყის შვილნი რვანი და ერთი ინდუსტანს დაჯდა. აქა გათავდა ამბავი დიფნის ქალაქისა, და დასრულება აბულისაყ ჴელმწიფისა და გაჴემწიფდა შვილი მისი რვანი..." 52 r.

2. [თ ე ი მ უ რ ა ზ I—ანბანთ ქება II]

„აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,
ჰაერსა ზჱედა საყდართა დიდებით დამკვიდრებულო,
არსებით ერთო ბუნებით პირობით სამ რიცხვებულო,
და ადამიანთ[ა] ხსნისათვის განგებით მოვლინებულო..." 52 r—56 r.

3. [ანბანთ ქება].—

„ან ასრე იყო, ბან ბეთლემს იშვა, გან გამობრწყინდა, დონ დიდი ღ̃თი,
ენ ერთი ღ̃თი, ვინ ვით რა აქებს, ზენ ზეშთა მფლობელ, ჱ[1]ა ენა ერთი,
თან თვით ინება, ინ იგუნება, კან კაცთმოყუარე, ლას ლამაზ კეთილ,
და მან, მან მოგვმადლა, ნარ ნათლისღება, ონ ორ ბუნება, პარ პირაერთი..." 56 v.

4. ი ა კ ო ბ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი „თავი დასაწყისი პირველი სამებელ შემ[ო]ქმედელ მიტროპოლიტისა იაკობისაგან თქმული, ქება მეფისა არჩილისა.—

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა
თქვენად შემკობად,
გიძღვნა ქებანი, მწადსა ქებანი, დავითის დავით ვსჯდე მუსიკობად,
მესმა ჴევსური, რა ვნახე, ვსური, რომ სიტყვა ეთხზნეს
მეფისა ძნობად,
მან გულის ჴმობით თვით გულისხმობით კარი სიბრძნისა
სულელთა ცნობად..." 56 v—66 v.

[1] დედანშია ჰ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება:
„მეფევ მაღალო, ქცევა მდაბალო, ლომისა მზგავსო ძალად და გულად.
ალვისა შტო[ო], ყოვლად მარტო[ო], მჭვრეტთ სასურველო მოსახვეველად,
ვარდზედ გ[ა]შლილო ყორნის[ა] ბოლო, მქნელო სურნელთა
მოსაფრქვეველად,
და შუქთა მფენებო, თვით გამთენებო ზედ სამყაროსა, მერმე ქვე ველად...“

შენიშვნა: ა. იაკობ შემოქმედელის ტექსტი მისდევს „აბდულ-მესიანის“ სტროფებს, ოღონდ შიგადაშიგ ნაკლულია. ხელნაწერის დეფექტურობის გამო აკლია: 24—34 სტროფები (59 v—60 r-ს შუა). თხზულება წყდება მე-100 სტრ-ზე.

ბ. 53 r—v ნაწერია სხვა ქაღალდზე სხვა ხელით.

2070

სახარება, XI—XII

245 ფ.; 25×19,5; ეტრატი; უყდო; დაზიანებული, დაშლილი; ნუსხური, სათაურები და საწყისი ასოები სინგურით; [XI—XII]; მთარგმნელი: გიორგი მთაწმინდელი (233 v); მინიატურები აქვს: 9 r, 10 r, 11 r; სახარების საძიებელი მოთავსებულია თაგკაზმულ სვეტებიან ჩარჩოში; 12 r, 13 r, 13 v.

„პირუელი თავი. სახარება მათესი.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაამისა...“ 1 r—233 v.

შენიშვნა: ბოლოში დართული აქვს: ა. „საუკუნო ჰყავნ ღმერთმან ხსენება [და] კურთხევა ნეტარისა მამისა გიორგი მთაწმინდელისა...“ 233 v.

ბ. „ზანდუკი სახარებისა...“ 234 r—245 v.

2071

ალექსანდრე გრიბოედოვის პირადი საქმე

24 ფ.; 30×20; ლითოგრაფიული ნაბეჭდი; რუსული; უყდო; 1826 წ.

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros.

2072

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros: 241)

2073 ა

რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატი—დედანი

8 ფ.; 50×34; ეტრატი; მხედრული, სამეფო სატიტულო სიტყვები ასომთავრული ნუსხურით; პირველი და გარეკანი—საცავი გვერდები დაუწერელია, ხელნაწერი აკინძულია საგანგებო ზონარით. ზონარის გამოკვანძულ ბოლოზე მიმაგრებულია სამეფო ბეჭდის საცავი თითბერის მრგვალი ყუთი, რომლის წრეხაზი უდრის 55 სანტიმეტრს, სიმაღლე 4 სანტიმეტრს, დიამეტრი 17 სანტიმეტრს. ყუთის ხუფზე დამაგრებულია მარტივი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭედური რგოლი, ხუფის შუაზე დამაგრებულია ქართული ბეჭდის ძირითადი ფარის ამსახველი ჭედური ფირფიტა 12 სანტიმეტრი სიმაღლე, 7 სანტიმეტრი განი. ფირფიტაზე გამოსახულია სამეფო გვირგვინი, სფერო ჯვრით დაბოლოებული, ქვემოთ ორთავიანი არწივი, რუსეთის სახელმწიფო ღერბი და ქვემოთ საქართველოს ღერბი ხუთი ძირითადი ნიშნით: შუაში „კუართი უფლისა," სფერო ჯვრით, ლირა, მახვილი, სასწორი. სამმხრივ უბრალო ჭედური ორნამენტით. ფარი სრულდება მცირე ნახევარ წრით ზედ გამოსახულება (ჯუარცმა). ყუთში იმავ ზომის სამეფო ბეჭედი ლუქისა, მასზე გამოყვანილია ძირითადი ფარი, ირგვლივ საქართველოს ღერბში შემავალი სხვა ელემენტები, ირგვლივ წრეხაზის შუა ასომთავრული ნუსხურით, ბეჭდის ლეგენდა: „ჩუჱნ ირაკლი „ბ" მეორე მეფე ქართლისა და კახეთისა და სხუათა წყალობითა ღ́ისათა." ყუთის ქვემო ძირიდან გამოდის ორი მხრით ზონარის ორი წვერი, რომელიც ერთდება ოქრომკედის ძაფისაგან გამოსკვნილ რგოლში, შემდეგ ზონარის თითო წვერზე მიმაგრებულია საგანგებოდ ნაგრეხი წითელი აბრეშუმისა და ოქრომკედის ძაფის ფოჩები. ტექსტი შედგება 4 ნაწილისაგან: ხელშეკრულების საწყისი, ოფიციალურ მხარეთა ტიტულის ასახვა, ხელშეკრულების მიზანი, არტიკული სულ 13. ხელის მოწერა და თარიღი, „სახე ფიცისა" ხელმოწერა და თარიღი, დამტკიცება რატიფიკაცია, მეორე მხარის ხელის მოწერით.

2073 ბ

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების სეპარატიული დანართი

6 ფ.; 50×34; ეტრატი; მხედრული; საცავი გვერდები და 3 v—4 v-დე დაუწერელია; აკინძულია იმგვარადვე როგორც 2073 ა.

ხელის მოწერა და ბეჭდის ადგილი: პავლე პატემკინი, თავადი იოანე ბაგრატიონი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე. და ბოლოს: „ჩუჱნ მიმღებელნი ამათნი თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ჳოვლისა ამის..." ბოლოს „სატახტო ქალაქსა შინა ჩუჱნსა ტფილისს, თუჱსა იანუარსა 24, წელსა შობითგან ქ́ა 1784, მეფობისა ჩუჱნისა მეორმოცესა წელსა ე რ ე კ ლ ე."

ქვემოთ: „თავადი ორბელიანი დავით,

თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი" 3 r.

2074

რუსთაველი შოთა—ვეფხის-ტყაოსანი (ვრცელი რედაქცია), XVI—XVII

მდიდრულად ილუსტრირებული და იშვიათი კალიგრაფიული ხელით შესრულებული ხელნაწერი; 260 ფ.; 37×24; ქაღალდი; ტყავგადაკრული ოქროვარაყიანი ტვიფრული ხის ყდა; მარცხენა ყდის v დაფარულია ოქროცურვილ ნატვიფრ სახეებით, ასევეა მარჯვენა ყდის r—v; მხედრული; სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები ნაწერია ოქროთი; ილუსტრაციები: 1 r, მინაწერით „აქა ავთანდილისა და სოგრატისგან ქმობა და თინათინის გაბატონებას"; 154 v, უკუღმა ჩაწებებული წარწერით „აქა ავთანდილი ჭაშნაგირი მოკლა." 257 v, მინაწერით: „აქა ფრიდონისაგან ტირილი ტარიელის საფლავზედა;" ამოვარდნილია: 197, 198, 199, 209—212 ფ. ფ. და 219—211-დე. ყოველი ფურცლის აშია ილუსტრირებულია: [XVI—XVII ს.]. მიღებულია მოსკოვის ცენტრარქივიდან 1922 წ. 9 სექტემბერს.

„დასაწყისი პირველი ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხის ტყაოსნად უხმობენ, ტარიელისი და ნესტან დარეჯანის მიჯნურობა, კარი პირველი.—

პირველ თავი დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხის ტყაოსნობით, არსსა შეიქმს ჴორც არ სულად,
საეროა, არ აჴსენებს სამებასა ერთარსულად,
და თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.“ 2 r—260 r.

შენიშვნა: 1. ჩაწერილია სხვა ხელით: „ორას ორმოცდა ჩჳდმეტი და ნახევარი ფურცელი არის დაწერილი ვეფხის ტყაოსნისა“ (260 r).

2. ამავე ხელითაა გადაწერილი ოთი ბოლო სტროფი:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა,
აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ სარგისს თმოგუელსა, მას ენა დაუშრომელსა,
და ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.“

და გვერდის ქვედა ნაწილში:

„ბრძენთა იციან სოფელი, თუ რაზომ ფერად ჭრელია,
სიტკბოსა რასმე გიჩვენებს, სევდა სდევს გაუყრელია,
უფრო გამოაქვს სიმწარე, ცრუვი არის და ტრელია,
და მუხანათია, მიუნდო, ავისგან სანატრელია.“ (260 r).

3. ბოლოში ხელნაწერს დაუცავს იოსებ თბილელის მიერ შესრულებული ტექსტი:

„შენ მამიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი.
რომელმან ცვრითა უწვიმე და დარი მიეც მზიანი,
ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხვა იცი გვიანი,
და ვაიმე ცუდისა ლაყბითა, თუ სული დავაზიანი.“
„ვითარ მოუთქვას ფრიდონმან ტარიელს სიმჴნე-ძალობა,
შეუდრკელობა წყობაში, გულის სიმაგრის სალობა,
ლომებრ გულოვნად შემართვა, ვეფხებრ ჩაუქად მალობა,
და ვერა გარგოთ რა, სიკვდილის რომ ჰქმენით თავის მალობა.
გტირი ფრიდონ ტარიელსა და ავთანდილ ლომთ უგმირესო,
რა მიმართით მებრძოლთ მოსვრად, ჴმალ კაპარჭში მოილესო,
მოვისმენდით მის შედეგად მათ მტერთ გულსა უგმირესო.
და ეს სოფელი მუხანათი არ დაინდობს თქვენებრ მჴნესო.“

4. ციტირებული ლექსების I სტროფი თეიმურაზ პირველისაა (იხ. თეიმურაზ I თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით (1934 წ. გვ. 98. სტრ. 310).

5. აშიაზე იოსებ თბილელის ხელრთვაა. (260 v მარჯვენა მხარე).

ბიბლიოგრაფია: 1. А. Хаханов, Восточные Древн. (Труды Моск. Арх. Общ., В. I, т. II).
2. ს. კაკაბაძე „საისტორიო მოამბე“ 1924 წ. II, გვ. 152—158.
3. ი. აბულაძე „ვეფხის ტყაოსანი“ 1927 წ. გამოცემა, წინასიტყვაობა.

2075

ოთხთავი (გიორგი მთაწმინდელის რედაქცია), XII

288 ფ.; 9×7; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XII ს.]: ილუსტრაციები: 12 v, 72 v, 119 v, თავმოთულობა: 10 r, 77 r, 124 r, 199 r. დასაწყისში კამარიანი კანონებით: 6 r, 9 v. შიგადაშიგ ჩაკერებულია ქაღალდი: 73—76

ეროვნული ბიბლიოთეკა

120—124, 195—198, 185—285—288. მიღებულია 1922 წ. მოსკოვის ცენტრარქივიდან, ძველი № 1627.

„პირველი თავი სახარება მათეს თავისა.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესი ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი...“ 13 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს უძღვის ევსების ეპისტოლე კარპიანესადმი: „ევსები კარპიანეს საყუარელსა ძმასა ღ̃თისა მიერ გიკითხვენ.—ამმონიოს ალექსანდრიელმანცა დიდი შრომაჲ და გულის მოდგინებით ყოფაცა შემოილო და ოთხთა მათ დაგვიწერა ჩუჱნ სახარებაჲ...“ 5 r—v.

2. ერთვის: „ზანდუკი, საწელიწდოჲ გამოკრებილი სახარებაჲ ესე სახედ: სადაცა წითელი ჯუარი ჯდეს ესე ვითარი + მუნ სახარებისა თავი არის და სადაცა ჯუარვარსკულავი სხდენ ესეთნი ·X· მუნ დასასრული არს, ამით ნიშანთა ხილვისა გამოიძიევდი და წაიკითხევდი...“ 253 r.

3. ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა (ტექსტი ძნელად იკითხება). 284 r.

2076

ავგაროზი, XVIII

გრაგნილი: 612×12,5: ქაღალდი; მხედრული; სათაურები ასომთავრული ხვეული ასოებით, ოქროვარაყითა და სინგურით; [XVIII ს.]; 20 მინიატურა: იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, ედესის მთავარი, მოციქულები, წმინდანები და მთავარანგელოზი. მიღებულია მოსკოვის ცენტრარქივიდან 1922 წ., ძველი № 1628.

ა. „ეპისტოლე ავგაროს მთავრისა ქალაქის ედესისა, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესო ქრისტეს.—ავგაროს მთავარი ქალაქისა ედესიისა იესოს მაცხოვარსა სახიერსა მეუფესა, გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმს გახარებ, მესმა შენთვის და კურნებათა შენთათვის, რამეთუ ვითარმედ თვინიერ თივათა და წამალთა იქმ კურნებათ...“

ბ. „ეპისტოლე მიწერილი იესუ ქრისტეს მიერ ავგაროსის მიმართ.—ნეტარ ხარ შენ ავგაროს და ქალაქი შენი, რომელსა ჰრქვიან ედესიაჲ...“

შენიშვნა: დასახელებულ ეპისტოლეებს გარდა შეიცავს შემდეგს: 1. „სახარება მათესი თავი ბ.“ 2. „სახარება მარკოზისა თავი ა.“ 3. „სახარება ლუკასი თავი ა,“ 4. „სახარება იოანესი თავი ა.“ 5. „ლოცვა სავედრებელი ყოვლისა სნეულებისა.“ 6. „ლოცვა დიდისა ვასილისა სნეულებისათვის და ეშმაკისა ვნებულისა განკურნებისათვის.“ 7. „ლოცვა წმიდისა იოანე ოქროპირისა ეშმაკის განქარვებისათვის და ყოვლისა სნეულებისათვის.“ 8. „ლოცვა უძილობისა შვიდთა ყრმათა სნეულთა ზედა.“ 9. „ოხითა წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისა, იბაკო მისივე წმიდისა გიორგისა.“ 10. „ოხითა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა... კონდაკი მისივე დიმიტრისა.“ 11. „ოხითა წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი... იბაკო წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი.“ 12. „ოხითა მოციქულისა წმიდისა და ღირსისა დედისა ნინასი... იბაკო მისივე...“ 13. „ოხითა წმიდისა მოწამისა დედოფლის ქეთავანისა...“ 14. „სხვა ლოცვა ბოროტთა გულის სიტყუათათვის.“ ქვევით ჩამოთვლა სამას სამოცდა ხუთი წმიდა გიორგისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2077

წმიდათა ცხოვრება, 1736

335 ფ.; 29,8×20,5; ქაღალდი; ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრული სინგურით; 1736 წ. (334 v); გადამწერი: სვეტიცხოვლის დეკანოზი ალექსი (334 v); 226—231 ფ.ფ. მოთავსებულია წმინდანების 26 სურათი. მიღებულია მოსკოვის ცენტრარქივიდან 1922 წ., ძველი № 1260.

1. „თვისა მაისსა ლ, გამოჩინება ჯუარისა და წმიდისა მამისა ჩ~ნისა იოანე ზედაზნელისა—უფალო ღ~ღყსი, ჴმა დ. მჴნეონი ვღაღადებდეთ და ვგალობდეთ ჴმითა ტკბილითა ყოველნი…“ 3 r—13 v.

2. „აღვსებითაგან მეშვიდესა კჳრიაკესა ხუთშაბათსა აღვასრულებთ დღესასწაულსა წმიდისა მამისა ჩ~ნისა დავით გარესჯელისა.—წინადღით ოთხშაბათსა მწუხრისასა ვრეკთ მეცხრესა ჟამსა დღისასა…“ 13 v—28 r.

3. „ყუ~ლიერისა ხუთშაბათსა და მაისსა თ, ჴსენება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა შიოსი. მწუხრი—უფალო ღაღადყა აღვიღებთ, ჴმა დ ხოლო უქცევთ ათთა ზედა და ვიტყჳთ…“ 28 r—47 v.

4. „თვესა ნოენბერსა იბ, წმიდისა მღუდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოზისა, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოზისა. გვაკურთხენ მამაო.—ხოლო ჯერ-არს რათა მცირედ შუვაჲ შემოვიღოთ ჴსენება წმიდისა და უბიწოსა…“ 47 v—49 r.

5. „თვესა ნოენბერსა ი, ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისა, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ.—საყვარელნო, განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ არავინ იყო აღწერა იგი წიგნთა…“ 49 r—51 v.

6. „თვესა ნოენბერსა იზ, წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით. მე, სტეფანე მტბევარ ებისკოპოსმან, დავსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა ერისთავისათა.—ჩვეულება აქუს განგებასა ღვთისასა სწავლად გონებასა ზედა დაბადებულთა მისთასა…“ 51 v—55 v.

7. „თვესა ივლისსა კთ, მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა. გვაკურთხენ მამაო.—წელსა მეათესა ხუასროს მეფისასა და არვანდ გუშნასიისასა…“ 55 v—60 r.

8. „თვესა ოკდონბერსა იზ, წამება წმიდისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა.—და აწ დამტკიცებულად გითხრა თ~ქნ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი…“ 60 r—64 v.

9. „თვესა სეკდენბერსა იგ, წამება კეთილად მძლისა დედოფლისა ქეთევანისი.—ჴმა ა. შ~ნ სიტყუა ბრწყინვალედ შუ~ნიერ არს, ჴსენება ღირსისა ყოვლად სანატრელისა…“ 64 v—75 v.

10. „თვესა ოკდონბერსა ლა, წამება და ღვაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქვეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუ~თისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად დიდისა და მაღლისა მეფისა მიცვალებისა ვახტანგ გორგასლისასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმან მეფობა ყოვლისა ქვეყნისა განაგო.—მეფობასა ბერძენთა ზედა ღ̃ის მსახურისა ჰერაკლესსა, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თვისსა კუ͡რთხითა მეფობისა თვისისათა...„85 v—79 r.

11. „თვესა მარტსა კ, წმიდისა მოწამისა ლუარსაბ მეფისა.—უკეთუ მარხვანი იყვნენ მწუხრი, უფალო ღაღადყა, უქცევთ ათთა მუხლთა ზედა...“ 79 v—82 r.

12. „თვესა მარტსა კ, წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი ესე იყო მეფე ქართლისა,—და ვითარ გარდაჴდეს წელიწადნი ორმეოცდაათნი მოსლვათაგან მურვან ყრუსათა...“ 82 r.

13. „თვესა მაისსა იგ, წმიდისა მამისა ჩ̃ნისა ეფთჳმი მთაწმიდელისა.—მწუხრი, ნეტარ არს კაცი, უფალო ღაღადყავ...“ 82 v—85 r.

14. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ̃ნისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცესმონაზონისა. გვაკურთხენ მამაო.—კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება...“ 85 r—99 r.

15. „თვესა ივნისსა ლ, წმიდისა მამისა ჩ̃ნისა გიორგი მთაწმიდელისა.—მწუხრი უქცევთ, უქცევთ რვათა ზედა და ვიტყჳთ პირველად, ეჰა გჳრგჳნნო და სამთა ათორმეტთა მოციქულთასა და სამთა მამისათა...“ 99 r—123 v.

16. „თვესა ნოენბერსა ით, წმიდისა ღ̃თ შემოსილისა მამის ილარიონ ქართველისა.—მწუხრი, უქცევთ რვათა ზედა...“ 124 r—135 v.

17. „თვესა დეკენბერსა ბ, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ̃ნისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა.—მნებავს უწყებად თქუ͡ენდა, ძმანო ჩემნო საყვარელნო...“ 136 r—139 r.

18. „თვესა იანვარსა ლ, ჴსენება იოანე ნათლისმცემელისა და წმიდისა მოწამისა აბოსი, რომელი იწამა ქალაქსა ტფილისსა, ქართლს.—მწუხრი, ვიტყჳთ სამთა ნათლის ღებისათა და სამთა ნათლისმცემელისათა...“ 139 r—148 r.

19. „თვესა იანვარსა იდ, წმიდისა დედისა ჩ̃ნისა ნინოსი.—ჴმა დ, მჴნეონი, აღზრდილი უბიწოებით მტკიცე სარწმუნოებითა...“ 148 r—166 v.

შენიშვნა: წმიდა ნინოს ცხოვრებას ერთვის „განგება წმიდისა დიდისა ღ̃თისა ეკლესიის დღესასწაულისა ლოცვათა ღამისთევისა და მღვდელ-მემსხვერპლეობისა“ (167 r—196 r).

20. „თვესა აგვისტოსა გ. წამება და ღვაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს.—მოწამეთა ჴსენებით, ვითარმცა იქმნა განძლომა ღ̃თის მოყვარეთაგან...“ 197 r—202 r.

21. „თვესა სეკდენბერსა იჱ, წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა, ელისბარ ქნის ერისთვისა და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა დიდებულისა ბიძინა კახისა.—მწუხრი, უფალო ღაღადყავსი, პირველად ჯვარისა და მერმე ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი. შემდგომად ევმენი გორტინელ ეპისკოპოსისა...“ 202 v—213 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

22. „თვესა სეკდენბერსა იე, წმიდისა მამისა ჩ̃ნისა იოსებ ამბა ალავერდელისა.—უფალო ღაღადყავსი, უქცევთა ყოველთა მუკლთა ზედა...“ 213 v—219 r.

23. „თვესა აგჳსტოსა იტ, წმიდისა მამისა ჩ̃ნისა ისე წილკნელისა ათორმეტთაგანისა.—უქმი, ჴსნილი თევზითა და ღჳნითა, უფალო ღაღადყავსი უქცევთ რვათა მუკლთა ზედა, პირველად ოთხი დღესასწაულისა...“ 219 r—223 v.

24. „თვესა ივნისსა კდ, საკითხავი თქმული წმიდისა მამისა ჩ̃ნისა იოანე ოქროპირისა კონსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოზისა, შობისათვის წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა.—შუ̃ნიერ არს და კეთილ ჟამი ესე...“ 232 r—236 v.

25. „ნოენბერსა კტ, ცხოვრება და მოქალაქობა, აღსარება და ღუაწლი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ̃ნისა სტეფანე ახლისა, რომელი იწამა კოსტანტინეს ზე ურჩულოსა მეფისა.—კეთილ არს და სამართალ და სათნო წინაშე ყოველთა ღ̃ის მოყვარეთა სიტყჳსა მისებრ დიდისა მოციქულისა პავლესა...“ 236 v—258 v.

26. „თვესა ნოენბერსა კე, თქმული წმიდისა და ნეტარისა მღუდელ-მოწამისა კლემენტოს ჰრომთა პაპისა და წმიდისა მოციქულისა პეტრეს მოწაფისა, თუ ვითარ სახედ დაემოწაფა იგი წმიდა მოციქულსა პეტრეს. რომელი ესე მიუწერა ჰრომით იერუსალიმს წმიდისა იაკობის მიმართ, ძმისა უფლისა, ბრძანებითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა.—კლემენტოს იაკობს, უფალსა ჩემსა, და ებისკოპოზსა...“ 258 v—284 v.

27. „თვესა იანვარსა კგ, წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა კლიმისი და წმიდისა აღათანგელოზისა.—წელსა ორასორმეოცდა მეათესა ამაღლებათაგან მეუფისა და ღთისა და მაცხოვრისა ჩუ̃ნისა...“ 284 v—294 v.

28. „ცხოვრება და წამება წმიდათა მოწამეთა ევსტათისი, და მეუღლისა მისისა თეოპისტასა, და შვილთა მათთა აღაპისი და თეოპისტესი,—არს კაცთა თანა წინამდებარე განგებითიცა სწავლა...“ 294 v—299 v.

29. „თვესა დეკენბერსა იგ, წამება წმიდისა ევსტრატისი და მისთანათა: აქსენტისი, ევგენისი, მარდარისი და ორესტისი.—მეფობასა დიოკლიტიანესსა და მაქსიმანესსა. ყოველივე ჰრომთა და ბერძენთა მთავრობა აღვსებულ იყო ბოროტითა მით კერპთმსახურ[ე]ბითა და ყოველნი კაცნი შურითა ურთიერთას...“ 299 v—308 r.

30. „თვესა ოკდონბერსა კვ, წამება წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოწამისა დიმიტრისი.—მას ჟამსა შინა უშჯულომან მეფემან მაქსიმიანე დაიმორჩილა გუთნი და სავრომატნი და მივიდა თესალონიკე ქალაქსა...“ 308 r—331 r.

31. „თვესა სეკდენბერსა იდ, წმიდათა შორის მამისა ჩ̃ნისა დიდისა ბასილი კესარიელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყუა ყოვლად მსოფლიოსათვის ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა.—ჯვარისა კრებასა აღვასრულებთ და ეკლესიისა ყოველივე სავსება განათლდების...“ 331 r—334 v.

შენიშვნა: დართულია 1. „საძიებელი წიგნისა ამის“ შემდეგი განმარტებით: „ამ წიგნის საძიებელში თავნი ზეით და ქუ̃ით არის მეტაფრასის შეწყობაზე და ეს და ჯავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილი თვენი რიგზე მიყოლისათვის დავწერე და წმიდათ მეტაფრასი ამის საძიებელ-ში ნახეთ" (335 r).

გადამწერის ანდერძები: ა. „წმინდანო მოწამენო, მეოხ მეყუწნით ცოდვილს მწერალს მხატვრის ძეს დეკანოზს ალექსის, შენდობად ურიცხუთა ბრალთა ჩემთა მიღვაწეთ წინაშე სამებისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა." (213 r):

ბ. „დიდება და მადლობა უფალსა ღმერთსა მქსნელსა და მაცხოვარსა კაცთა ნ[ა]თესავისასა და მიზეზსა ყოვლისა კეთილისასა, მხოლოსა სახიერსა და მიუწდომელსა და გამოუთქმელსა ღთაებასა, რომელსა აქუს უკვდავება და მკჳდრ არს ნათელსა შინა სამარადისოსა. რამეთუ კაცთაგანმან არავინ იხილა და ვერცა შემძლებელ არს ხილვად, რომელი მოვიდა ქვეყნად და შეიმოსნა ჴორცნი კაცობრივნი წმიდისა და ყოვლად უბიწოსა ღვთისმშობელისა მარიამისაგან და იჴსნა ბუნება ჩ~ნი ხრწნილებისაგან და სიკვდილისა, და შეერთებითა კაცობრივისა ბუნებისათა სიგლახაკე ჩ~ნი არა ულირს იჩინა; რომელი ღვთაებისა თვისისა ძლიერებითა იპყრობს ყოველთა მართალს (sic) და განაგებს. რომელმან მეცა, ცოდვილი ესე და ყოვლად უბადრუკი და გლახაკი მონა ცათა მეფისა ჴელოან მხატურის მღვდლის ძე, მღდუ~დლი (sic) დეკანოზი ალექსი, საკუთარი სვეტის ცხოვლისა, ზაკჳთ აღსავსე და ურჩი ბრძანებისა სახარებისა, ცოდვათა მიერ დაბნელებული და მწველ შ~ბლალული, მღუდელი მწყემსობისა არა-ღირსი. რამეთუ არა უგულებელს ჰყ~ფს უფალი ცოდვილთა, არამედ უწესს სინანულად, და აწ მეცა მადლმან და სახიერებამ~ნ მისმ~ნ აღმძრა გულსმოდგინებად და სურვილად წიგნისა ამის, და შეწევნითა ღ~თ~სათა აღვწერე ცხოვრება და მოქალაქობა წმიდათა და ქართველთა მანათობთა, ღ~თ-შემოსილთა წმიდათა მამათა და მოწამეთა საჴსრად ცოდვილისა სულისა ჩემისასა და მოსატევებელად ბრალთა და შეცოდებათა ჩემთა. გევ~დრები ყოველთა წმიდათა სანატრელთა და შჳლთა ეკლესიათა ქრისტიანეთასა, რომელნიცა ჴელად მიიღებდეთ და წარიკითხვდეთ სიყვარულისათვის უფლისა, რათა წმიდითა პირითა თქვენითა შენდობას ჰყოფდეთ ჩემთვის უფლისა მიერ."

დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქათ ათას-შვიდას-ოცდა-ათექუსმეტსა, ქორონიკონსა უკდ, მეფობასა კახთ ბატონის იმანყულის ძისა მ ე ფ ე თ მ ე ფ ი ს ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ს ა, ეკლესიათა მპყრობელობასა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა ს ა. დიდება ღმერთსა სამებით დიდებულსა და ერთარსებით ქებულსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ." (334 v).

3. ასოხვეული ასომთავრულით „უუსასოესო წმიდაო ღვთის-მშობელო, ნუ უგულებელს ჰყოფ წინასა ნაწილსა შრომასა ჩემსა, ულისი დეკანოზი ალექსი" (224 r).

4. კრიპტოგრაფიული მინაწერი (22ა r) გახსნილია პროფ. ა. კ. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ: „ღმერთო, შენ წარმიმართე.—გონებათ რჩეულ მექელოვნესა ძესა ვიტყვი უუთქვსა სათქვოდ საწყურად ზესა უუცნაურსა ზესთ გონებათა მზესა, მაგრა მაცურევად სურვისა წინა გთქვესა, იოსებ ვითხოვ შეწევნასა ჰრთულედსა."

5. „მეფის ძის ბაგრატისა ვარ." (3 r). სხვადასხვა მინაწერი: 1 r, 102 r და 197 r (საბინინისა).

6. ტექსტში ჩანართი იამბიკო: „აქებდით წმიდისა ჴმაა, შენ სიტყუა, რომელსა თავნი იტყჳან იამბიკოდ. [აკროსტიხი] ქსნის ერისთვი[ს]შვილი იესე ვადიდებ წმიდას ისეს, მადიდებელი მისი." 223 r·

2078

დავით წინასწარმეტყველი — ფსალმუნი, XVII

334 ფ.; 6×4,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაუწერელია: 329 v—334 v; თავკაზმულობა: 2 r; მინიატურა: 2 v, 58 r. დააბრუნეს რუსეთიდან, მუზეუმს გადმოეცა 1922 წ., ძველი № 1626.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დავით წ̃ წყლისა მიერ ქებაჲ ზედა წარუწერელი ებრაელთა შორის, ფსალმუნი დავითისი პირველი.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმრთოთსა...“ 2 r—229 r.

2079

ვახუშტი ბატონიშვილი—რუკა, 1735

10 ფ.; 53×37; ქაღალდი; მხედრული; ავტოგრაფი; 1735 წ. ტილოგადაკრული მუყაოს ყდა; დაზიანებული, შიგადაშიგ ფურცლები ამოვარდნილია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. მიღებული ჰქონიათ ყაზანის უნივერსიტეტიდან. უზის ბეჭედი 1 r-ზე

1. საქართველოს რუკა. 52×73; „აწ ახალი დახაზული სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი. კართა, ანუ რუკა, რომელ არს ორთა ზღვათა შორის პონტოსა და კასპიასა, ქართლი, სამცხე რომელ არს მესხნი, ოვსნი, ძურძუკი, რანი; იმერეთი, ოდიში ანუ მეგრელი, აფხაზი, ჯიქი, გურია, სვანეთი, სომხეთი, კახეთი, შირვანი, ლეკი ანუ დაღისტანი, ყივჩაყი ანუ მცირე ყაბარდი. ჩემ მიერ მოსწრაფედ ხალისით მოსამსახურე თქვენი მეფოვანი ვახუშტი.

ღერბი ანუ ნიშნი თჳთოთა ამათ კერძოთა ზემორე სხენან. 1735 წ. იანვარს 22“.

შენიშვნა: რუკა ფერებით არის შესრულებული, ზემოთ მარჯვნით დახატულია 16 ღერბი 1. „აფხაზთა.“ 2. „გურიისა“. 3. „ოდიშისა“. 4. „იმერეთისა“. 5. „საქართველოსი.“ 6. „სამეფ. გვართანი დავითიანი საქართველოსი“. 7. „საქართველოსი.“ 8. „კახეთისა“. 9. „სომხეთისა“. 10. „შირვანისა“. 11. „ლეკისა დაღისტანისა.“ 12. „სამცხე საათაბაგოსი“. 13, „ქართლისა“. 14. „სვანისა.“ 15. „ოვსეთისა“. 16. „რანისა“.

2. ქართლის რუქა, 52×73. „ქარტა [ა]ნუ რუკა სამეფოსა ქართლისა ანუ გიორგიასა, კერძო- სამცხე-სათაბაგო, არსნი მესხნი, გინა ზემო ქართლი, პონტოს ზღვით აზრუმად ყარსით, ან კარით. გარემო მისსა იმერთთა კერძონი, გურია და ქართლი, ვიდრე ბოცოდმდე, ან ყაიყული. ახლად დახაზული ჩემ მიერვე, მშრომელისა მეფოვანი ვახუშტი. წელსა 1735 იანვრის 20.

3. „კარტა ანუ ქართულად რუკა სამეფოსა ქართლისა, ყოვლითა საზღვრითა თჳსითა ბერდუჯის მდინარით, ვიდრე ბოცოთა, რომელ არიან დებედა და ყაიყული, დვალეთით თაგაურ-ქურთაულით ქიშტ-ძურძუკ ღილღვით, გარემო კახი, რანი, სომხეთი, კარი და ჯავახეთი მოხაზული იმერეთით. მისგანვე მეფოვანი ვახუშტისა 1735 იანვრის 7.“ მითითებულია 21 ნიშანი.

შენიშვნა: წარწერისა და ნიშნების გვერდით დახატულია დიდი ზომის ღერბი, წარწერით „ღერბი ანუ ნიში.“ ბაგრატიონთა ღერბის ძირითადი ფარი, მარჯვნივ და მარცხნივ ლომის თათებში, მხატვრულად გაფორმებულ ფონში ოთხი დროშა ყვითელი—„ზემო ქართლი,“ წითელი „საციციანო“, მწვანე „მუხრანისა“, თეთრი „ბარათიანთა“.

2. მარჯვენა კუთხით წარმოდგენილია ძველი თბილისის გეგმა: „სახე ტბილისისა ახლად დახაზული ამისივე მხაზველისა, რომელი არს სატახტო ქართლისა, ნიშანნი ციფრით ზემორე წერილი არიან თვითეულად ყოვლისა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კახეთის რუკა. „კარტა ანუ რუკა კახეთისა, კუხეთისა, ჰერეთისა, კამბეჩოვანისა, დიდოსი, თუშთა და ფშავ-ჴევსურთა. გარემო მისსა მოხაზული ქართლისა კერძო, რანისა, მოვაკანისა ანუ შირვანისა, დაღისტანისა კულმუხით, გულხადარა, ჰავარ-ჩაჩანი ბორღანითა, ჩემგანვე მშრომელისა საქართველოს მეფოვანისა ვახუშტის მიერ წელსა 1735, იანვარს 24.“ გვერდით დახატულია დიდი ღერბი, შუაში კახეთის ღერბი ლომის თათებში, ზემოდ ოთხი დროშა წარწერებით: „რუსთავლისა,“ „ალავერდისა,“ „ელისელისა,“ „ქისიყისა“.

5. „ქარტა ანუ რუკა ახალ დახაზული საუფლოსა მოვაკანისა, რომელი არს შირვანი, თჳსითა ჰელქვეშეთითა სამთავრო ბოინალი, რომელ არს შამხოლი, ჰავარი, ანდრია ჩაჩანი, ლეკი, გულხადარა, უცმეი, ყაინალი, თაბასარანი, ყულმუხი, ყაზი-ყულმუხი, სრულიად დაღისტანი, ვიდრე დიდდოთი, ზღვით კასპიით გარემო მცირე კახეთთა და რანთა კერძონი. ჩემ მიერვე მეფოვანი ვახუშტი. 1735 იანვრის 29.“

შენიშვნა: დახატულია ღერბი: „მოვაკანისა ანუ შირვანისა.“ რუკის პირველ გვერდზე თავფურცელი: „ენითა ლათინთათა საკუთარ სახელ ამისი ტაბულა და ქარტა ანუ ატლასი, ხოლო ქართულად რუკა. ძველითგან ტომობით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლოსიანი, რომელ არს საქართველო, კუალად მოღებული იბერთა ანუ გიორგიანნი. მოხაზული ყოვლითავე მთითა, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მეხილვა [ა]ნუ მბახველთაგან მესმა. ხოლო სხვა დაბანი დაუტევე, მცოდნემან ჰელყოს, ხალისით მოსწრაფებით მშრომელი რუკისა მეფოვანი ამისივე ქვეყნისა ვახუშტი. არს რუკასა ამას შინა ფურცელი 8.“

იქვე „1. სამეფოსა ყოვლისა საქართველოსი ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა, სამეფოსა ქართლისა, რანისა, კახეთისა, კუხეთისა, ჰერეთისა, ლეკისა ანუ დაღისტანისა, მცირისა ყაბარდისა, მოვაკანისა, რომელ არს შირვანი, ოვსეთისა, სვანისა, ალანისა, იმერეთისა, ოდიშ-გურია-აფხაზ-ჯიქთა, ჭანისა ანუ ლაზისა, სამცხე-საათაბაგოსი, რომელ არს მესხნი ვიდრე ტრაპიზონ კარნუ-ქალაქად და კარით ანუ ყარსი, მცირე სომხითით რახს შინაგანი, რომელ არს არაზი.

2. მეორე რუკა არს მოხაზული პირველწოდებული ყოვლისავე აფხაზეთი, განთჳთვებით სახელნი არიან: იმერეთი, ოდიში, აფხაზი, ჯიქი, ალანი, სვანი, ბასიან დიგორით, გურია ლაზით ანუ ჭანეთით ვიდრე ზღვად პონტოდ, გარემო მისსა მცირედი სამცხე, ქართლი და ყაბარდი.

3. რუკა არს ყოვლისა სამცხე-საათაბაგოსი ანუ მესხთა აზრუმით, ტრაპიზონ-კარით მცირე წილ აღმოსავლ, ჩდილოთ ქართლი, იმერეთი და გურია.

4. რუკა სამეფო ქართლისა დედა-ქალაქით მცხეთით; დვალთა თაგაურ ქურთაულთა, ქიშტ-ძურძუკ-ღლიღვთა, გარემო ნაწილი კახთა, რანთა, სომხეთთა, ყარსჯავახთა, ზემო ქართლით თავისის ქალაქით ტბილისით.

5. რუკა კახ-კუხთა, ცრთა, დიდოთ, თუშით, ფშავ-ხევსურით, ვიდრე გიშადმდე რომელ არს აწ კაკი, გარემო ლეკი, მოვაკანი, რანი და ქართლი მოხაზული.

6. რუკა მოვაკანისა, რომელ არს შირვანი და ყოვლისა ლეკისა ანუ დაღისტანისა გარემო რანით, სომხეთით, კახეთით, მდინარით რახსით გინა არაზით.

7. რუკა მცირისა სომხეთისა, ანუ ირანისა, გინა ერმანისა, რანისა ჩდილოთ დასავლით კახეთი, ქართლი, ყარსი, ვიდრე ვანადმდე.

8. რუკა კვალად სამცხე-სა[ა]თაბაგოსი, ვითარცა ზემორ მოხაზულ არს, ეგრეთვე ესეც, ხოლო უმჯობესი იგივე არს.“ 1 г.

ეს ტექსტი რუსულად—ამავ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2080

ქართლის ცხოვრება (რუმიანცევისეული), 17C 9

468 ფ.; 30,5×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა ოქროცურვით მოკაზმული; ბოლონაკლული, რესტავრირებულია; დასაწყისში 13 ფურცელი ტექსტი აღდგენილია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ; მხედრული, ნაწერია სამგვარი ხელით, 1r—13v გვიანდელი ხელი, 14 r—456 v-დე ტექსტის ძირითადი ნაწილი ადრინდელი ლამაზი მხედრულით, 457 r—468 v-დე სხვა ხელი, სათაურები სინგურით; 1709 წ. (136 v, მინაწერი)[1]. მიღებულია რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 272.

„შესავალი წიგნისა ამის ქართლის ცხოვრებისა.—პატიოსანნო და დიდებულნო ქართუჱლნო. ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა ქართლის ცხოვრება შემცირებულ იყო. ხოლო მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევჰკრიბენ სწავლულნ[ი] კაცნი და სხუათა წერილთა და გუჯართაგან, და რომელნიმე სხუათა ენათაგანცა გამოვიღევით. და ესრეთ შევჰსთხზენით და აღვჰსწერეთ.—პირუჱლად ვახსენოთ ესრეთ, რამეთუ ქართუჱლთა და სომეხთა, რანთა და მოვაკანელთა, ჱერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამაჲ, სახელითა თარგამოს...“ 2r—468 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ისმინა ბექამან და აღიღო განძი ურიცხვი სპერით და გაბრუნდა, და ბაბერდით და ძლევაშემოსილი მობრუნდა. და მოეგებნეს კარნუ ქალაქით მთავარნი და მოართვეს მათცა ძღვენი ალაფი და არცა რა მათ ავნო. და ესრეთ ბრწყინვალე ძლევა მიანიჭა ღმერთმან ბექასა და მოვიდეს შინა საქონლითა უძლეველითა ..“

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი: „მათს ბრწყინვალებას გრაფს ნიკოლაი პეტროიჩს რუმენცოვს კანცლერს, საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ გძღვნი წელსა 1821, ხოლო ქართულსა მეათოთხმეტისა მოქცევისასა წელსა 509. იქვე „Его Сіятельству Канцлеру Графу Николаю Петровичу Румянцову. Грузинскій Царевич Теймураз Георгиевич.“ 1 r.

2. „უწყება მკითხუჱლთათჳს.—ქართლის ცხოვრება შეკრებილი ვახტანგ მეექუსისაგან, რომელიცა ერთსა ზედა ნაწილსა საქართუჱლოჲსასა იწოდებოდა ქართლის მეფედ. და გამეფდა იგი წელსა ქრისტესით 1719, და რაოდენთამე წელთა იმეფა, არა მრავალსა ჟამსა. ხოლო ვინადგან ჟამსა მისსა იყუნეს მრავალნი აღრეულებანი და ცვლილებანი საქართუჱლოსა შინა, ამისთვის ვერა სრულიადისა გამოწულილვითა, არამედ რაოდენ ძალედუა, ეგრეთ შეჰსთხზა, ვინადგან მას ჟამსა რომელიცა ძუჱლი ქართლის ცხოვრება იყო, იგი ვერა ჰპოვეს მრავალთა აღრეულებათა და ამბოხებათა გამო.“ 1 v.

მინაწერები: 1. „ოდეს ქართლი მოაქცია წმიდამან ნინო, ქრისტეს ამაღლებიდამ გარდასრული იყვნეს წ[ელნი] სამას ოცდა თვრამეტნი.“ სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი, 43 v.

---

[1] მითითებული მინაწერის მიხედვით აღნიშნული ტექსტი პირველად დაათარიღა ბროსემ (Histoire de la Géorgie,I, 1849, გვ. 199, შენ. 1). ბროსეს დათარიღება გაიმეორეს ხახანაშვილმა (Грузинские рукописи Румянцевского музея № 1897. რუმიანცევისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობაში), ე. თაყაიშვილმა (Описание Рукописей, II, 46, 111), ს. ყაუხჩიშვილმა (ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942, გვ. XXXIV), კ. გრიგოლიამ (საქ. სსრ მეც. აკ. მოამბე, ტ. V, № 9, გვ. 945) და სხვ. იხ. აგრეთვე ალ. ბარამიძის წერილი, ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული ხელნაწერის გამო (თბ. უნივ-ის შრომები, XXX в, 1947).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. „წმიდაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღთისა ბატონიშვილს ვახტანგს მეუღლით, ძით და ასულითურთ, რომელმან მოპოვნებულყო ცხოვრება ესე შენი დამ ცირედი აღაწერინა წიგნსა ამას შინა, არამედ სრულიად არა აღიწერებოდა სიდიდითა.“ 84 v. (ჩაწერილია ტექსტის ხელით).

3. „ვახტანგის სიმამრი ლეონ მაკელი. ლეონიდამ ამ ქორონიკონს ტჟზ-ამდის არის წელიწადი ათას ას ოთხმოცდა რვა.“ 136 v. (ვახტანგის ხელია?).

4. „მირიანიდამ აქამომდე გარდაკდა წელნი ორასნი და მეფენი იბ.“ (საბას ხელით). 139 v.

5. „ამის გიო[რ]გის ძე და ძმა ბა[გრატ]ი მეფისა ესე დიმ[იტრი], რომელი აქ დაუს[ვამ]თ, მის ნათესავნ იყო ქმარი მეფისა დავით, [რო]მელი მეორედ [შერთ]ეს თამარის“ 203 r.

6. „ამის ჟამში იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელი. თან ახლდა დედოფალს მარიამს ქრისტეს აქათ ჩჲႧ.“ (საბა). 204 r.

7. „კათალიკოზი ქართლისა [გა]ბრიელ საფარელი.“ 206 v. [მე]ფე ბერძენთა მიხა[ი]ლ დისწული გიორგისა მეფისა“ 206 v.

8. „ამისა ჟამთა შევიდენ მთარგმანებელნი წ.გ[ნ]ანი ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭაძე, ქრისტეს აქათ ქ~ს ჩროდ“. (საბა). 229 r

9. „ესე ზაქარია და ივანე მკარგრძელისძენი დალაცა თუ მეფეთათვის ერთგულნი იყუნეს და დიდად გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, კაცნი სახელოვანნი, არამედ სჯულითა სომეხნი იყუნეს. ესე იოვანე წერილთა ზედა მიწევნით მეცნიერი იყო, რომლისათვისცა გულისჴმაყო სიმრუდე სჯულისა თვისისა, ნათელ იღო და იქმნა ჭეშმარიტი ქრისტიანე, რომელი ქვემორე სიტყუამან საცნაურ ყოს.“ 270 v.

10. „აქა სცან ბაგრატოვანობა დავითისი, თუ იყო, თუ არა დიმიტრის მეექუსი ნათესავი იყოო.“ 281 v.

11. „აქა წმიდა შალვა წამების გვირგვინი იდიდა“. 358 v.

12. „აქა იქორწინა მეფემან რუსუდან [ო]რტულის შ[ვ]ილთან და მა[ს]გან იშვა ნარინ დავით და თამარ, ყას[ა]იდინ...“ 359 r.

13. „აქა ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა და მრავალნი წამებისა დიდებითა იდიდნეს.“ 364 r.

14. მ. ბროსეს ფრანგული მინაწერები.

2081

უმაღლესი მანიფესტი ანუ გამოცხადება სახის მიცემისა საჴელმწიფოსა რჩევისა, XIX

43 ფ.; 20×15; ქაღალდი; ტყავკადაკრული წითელი მუყაოს ყდა; მხედრული; თარგმანი რუსულიდან; [XIX ს.]; დაუწერელია: 1, 2, 42 v—43 ფ. ფ.; ამოვარდნილია: მე-12 ფ. რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 454.

„წყალობითა ღთისათა ჩუენ ალექსანდრე პირველი იმპერატორი და თჳთმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა, სხვათა, სხვათა და სხვათა.—დასამტკიცებელად და განსავრცელებლად ერთსახოვანობისა და რიგისა საჴელმწიფოსა და მმართებლობასა შინა, ვსცანით ჩვენ...“ 3 v—41 v.

შენიშვნა: ა. ყდაზე დაცულია ტექსტის სათაური რუსულად; „Высочаиший манифест об образований государственного совета.“

ბ. მანიფესტი გამოქვეყნებულია სანკტ-პეტერბურგში 1810 წლის იანვრის პირველს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ტექსტს დართული აქვს მოკლე ლექსიკონი: „განმარტება აქა მდებარეთა ლექსთა“. 42 r.

2082

ჟამნი, 1731

155 ფ.; 14×9; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ოქროთ მოვარაყებული; მხედრული, სათაურები სინგურით; 1731 წ. (154 v); გადამწერი: დიმიტრი? (154 v). რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 354.

„ჟამნი. ძალითა ღთისათა, აღდეგ ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანე ლოცვათა წმიდათა მამათა ჩვენთა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ...“ 2 r—154 v.

მინაწერები: ა. „ვარვარა ივანუნა ნემსაძის ასული დაიბადა ნოენბრის ოცდა ორსა, წელსა ჩყგ. ყოვლად სამღუდელომ მიტროპოლიტმა იონამ ქართველმა მონათლა აძავე თვესა ოცდახუთსა დღესა. ტატიანა ივანუნა ნემსაძის ასული დაიბადა ჩყჱ წელს, ნოენბერს ოცდა შვიდსა, ყოვლად სამღუდელომ მიტროპოლიტმა იონამ მონათლა.“ 1 r.

ბ. მინაწერი 154 v თავიდანვე ყოფილა „დიმიტრი, ქრ˝კს 1731, ქრკ˝ს ჩღლა.“ ტექსტი ამჟამად ნაწილობრივად დაფარულია ხელნაწერის მეპატრონის შემდეგი ჩანაწერით: „ღმერთო, ადიდე ამ წიგნის პატრონი შერმადინ სოლოღაშვილი.“

2083

ნაწყვეტი დავითნიდან, XI—XII

2 ფ.; 15×12; ეტრატი; უყდო; ნუსხური; სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრული სინგურით; [XI—XII ს]; რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 547.

„[...შეიმოსა უფალმან ძალი და] გარჱ შეირტყა და, რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას“. $92_{,2}$.

წ ყ დ ე ბ ა: „ნუ განიფიცხებთ გულთა თქუჱნთა, ვითარცა იგი განმწარებასა მას, დღისა მისებრ განცდისა.“ $94_{,9}$.

2084 ა

ნაწყვეტი სახარებიდან, XV

8 ფ.; 25,5×19,5; ეტრატი; უყდო; ნუსხური; სათაურები ასომთავრული სინგურით; [XV ს.]; მარკოზ მახარობელის სურათი (1 v).

„მეორე თავი სახარება მარკოზისი, დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი ძისა ღთისაჲ...“ თავი I, მუხლი $1_{,15}$.

შენიშვნა: ა. 3 r—იწყება მათეს სახარების მე-4 თავის მე-17 მუხლით; „მიერითგან იწყო იესო ქადაგებად...“

წ ყ დ ე ბ ა: „ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა“ მთ. $6_{,6}$ (6 v).

ბ. მე-7 r—იწყება მარკოზის თავი 7 მუხლი 5, „იგი და იხილა იესუ სარწმუნოება მათი.

წ ყ დ ე ბ ა: „...ზრახვა ყვეს მისთვის, რათა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ მოწაფი.„ გ. მინაწერი 1 r-ზე ძნელად იკითხება.

2084 ბ

ნაწყვეტი სახარებიდან, XV

2 ფ.; 26,5×18,5; ეტრატი; უყდო; დაზიანებული; ნუსხური; [XV ს].

„„...მშვიდობით, და იყო ამის შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად და ქალაქად და დაბად დაბად...“ ლკ, 8,$_{1}$.

წ ყ დ ე ბ ა: „...და ევედრებოდეს მას, რათა არა უბრძან...“ ლკ, 8,$_{30}$.

2084 გ

ნაწყვეტი სახარებიდან, XV

20 ფ.; 27,5×19,5; ეტრატი; უყდო; დაზიანებული; ნუსხური; [XV ს.], 5—6 ფ. მოხეულია.

I. „...მოვიდეს მისსა და მისთანა დავადგრეთ...“ ინე, 14,$_{23}$.

წ ყ დ ე ბ ა: „და მოიღეს გუამი იესუსი და შეგრაგნეს...“ ინე, 20,$_{40}$. 1 r—8 v.

II. „...იგი იესუსი, მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი...“ მთ, 27,$_{58}$.

წ ყ დ ე ბ ა: „და ნათელს... სცემდეთ მათ სახელთა... მამისა თანა და ძისა და სულისა წმიდისა...“ მთ, 28,$_{19}$. 9 r—10 r.

2084 დ

ნაწყვეტი სახარებიდან, XV

4 ფ.; 26×19,5; ეტრატი; უყდო; ნუსხური; [XV ს.].

I. „ესე სნეულებაჱ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღ̃თისა, რათა იდიდოს ძეჱ, რათა იდიდოს ძეჱ ღ̃თისაჱ მისგან...“ ინე, 11,$_{4}$.

წ ყ დ ე ბ ა: „ვითარ ჰგონებთ თქ̃ნ არამე მოვიდესა დღესასწაულსა.“ ინე, 11,$_{56}$. 1 r—2 v.

II. „...მშვიდობისა არამედ მახჳლისა...“ მთ, 10,$_{34}$.

წ ყ დ ე ბ ა: „რამეთუ დღითგან იოანე ნათლის...“ მთ, 11,$_{12}$. 3 r—v.

ბ. „...ვრითა მი̃თ ეშმაკთაჲთა, იცოდნა იესუ...“ მთ, 12,$_{26}$.

წ ყ დ ე ბ ა: „დედოფალი იგი სამხრისაჱ აღდგეს სასჯელსა მას.“ მთ, 12,$_{43}$. 4 r—v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2084 ე

ნაწყვეტი სახარებიდან, XV

2 ფ.; 20×20,3; ეტრატი; უყდო; დაზიანებული; ნუსხური, დასაწყისი ასოები ასომთავრული სინგურით; [XV ს.].

I. „[მესა]მესა დღესა აღშენებად, მაშინ აღდგა მღუდელთ მოძღუარი იგი და ჰქუა მას: არცაღა რას სიტყუასა მიუგებ, რასა ესე შეგწამებენ შენ...“ მთ, 26,$_{61}$.

წ ყ დ ე ბ ა: „და მოვიღე ოცდაათი იგი ვეცხლი პატიოსნისაჲ, რომელ მოიყიდეს ძეთა ისრაჱლისათა და...“ მთ, 27,$_{9}$, 1 r—v;

II. „და ჰქუა, ეჰა რაჲ არს ჩვენი და შენი იესუ ნაზარეველო...“ მკზ, 1,$_{24}$.

წ ყ დ ე ბ ა: „შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერღა [იტევდა...“] მკზ, 2,$_{2}$.

2084 ვ

ნაწყვეტი სახარებიდან, XV

4 ფ.; 25,5×20,3; ეტრატი; უყდო; ნუსხური;]XV ს.].

I. „ხოლო იესუ მიუგო და ჰქუა მათ: მოიწია ჟამი, რათა იდიდოს ძე კაცისა...“ ინე, 12,$_{23}$.

წ ყ დ ე ბ ა: „მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს...“ ინე, 12,$_{46}$.

II. „...იტყოდეს: აღიღე, აღიღე და ჯუარს აცუ ეგე...“ ინე, 19,$_{16}$.

წ ყ დ ე ბ ა: „...მოვიდეს ერისაგანნი და პირველისანი მის განუტე[ხნეს წჳვნი].“ ინე, 19,$_{32}$.

შენიშვნა: 3 r—v ნაწილია ჩამოხეული, წარმოადგენს ზანდუკს. ასევე შემონახულია ნახევარი 4 ფ. ნაწყვეტი მათეს სახ. თავი 5. მუხ. 18.

ი წ ყ ე ბ ა: „გინა რქა ერთი არ წარხდეს სჯულისაგან წინასწარმეტყველთა...“

წ ყ დ ე ბ ა: „არა ცილი ფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი...“

2084 ზ

სახარების საძიებელი. ნაწყვეტი, XV

2 ფ.; 24,5×20; ეტრატი; უყდო; ნაწყვეტი; ნუსხური; [XV ს.].

„ბ. ლუკასი რ~ზ, და ამისა შემდგომად გამოირჩინა...“

წ ყ დ ე ბ ა: „სახარებაჲ იოანესი პ~ი, შინა მერმეცა ეტყოდავე...“

2085 ა

ნაწყვეტი ჟამნიდან, XVII

13 ფ.; 12,5×10,5; ეტრატი; უყდო; ნუსხური; [XVII ს.]. რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 831.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„...წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუჱნო, მოვედით, თაყ[უანის ვსცეთ]...“
წ უ დ ე ბ ა: „შენდა შუჱნის გალობაჲ, შენდა დიდებაჲ შუჱნის მამისა და დიდება მაღალთა შინა ღ͠თსა, ქუჱყანასა...“ 1 r—13 v.

2085 ბ

ნაწყვეტი გამოკრებილ სახარება-სამოციქულოდან, XV

4 ფ.; 14,5×10,3; ეტრატი; უყდო; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XV ს.].

„...გვასმიეს, ჰქუა მათ პავლე, რათა უკუჱ ნათელ გიღებიეს...“
წ უ დ ე ბ ა: „და ჴმაყო ჴმითა დიდითა შორის და კურთხეულ არს...“

2085 გ

ნაწყვეტი ლოცვანიდან, XV

2 ფ.; 10,5×7,5; ეტრატი; უყდო; ნუსხური· [XV ს].

„...მსხვერპლად სნეულად აკურთხე უფალო, [უმსხვერპლე] ვითარცა და აკურთხე ვერძი...“
წ უ დ ე ბ ა: „...და რომელთა შემოიწირე საუკუნენი, იგი ნიჭნ...“ 1r—2 v.

2086

გამოკრებილი საკითხავები, სახარება-სამოციქულოდან, XVIII

24 ფ.; 11×9,5; ეტრატი; ხის გატეხილი ყდა; თავბოლო ნაკლული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 832.

„...გნა... ხშო... კვირიაკე, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუჱნო, აკურთხე...“
წ უ დ ე ბ ა: „...ესე შენთა მსხუარპას (!) უფალო...“ 1 r—24 r.

2087

სადღესასწაულო (ნაწყვეტი), XVIII

42 ფ.; 11×9,5; ქაღალდი; უყდო; ზოგან გაც͠ეცილი; თავბოლო ნაკლული; ნუსხური; სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით; [XVIII ს.]; გადამწერი: ანდრია. (22 v). რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 833.

„დღეს იხარის იოვანე, რამეთუ ყოველთა დამბადებელსა ჴელითა თვისითა ნათელსცემს მზესა სიმართლისასა...“
წ უ დ ე ბ ა: „...ჰრეკდით და განგვიღო სთქვან აწ შევწი...ვთ დიდება მადლობა მრავალმოწყალისა და ავმლ...“ 1 r—41 v.

შენიშვნა: აქვე მოთავსებულია სხვა ხელით შესრულებული ერთი ფურცელი (17,5×13).

ი წ ყ ე ბ ა: „რომელმან დასცა ეგვიპტე პირმშოთურთ...“

წ უ დ ე ბ ა: „მთოვარე და ვარსკულავები ჴელმწიფებად ღამისა, რამეთუ (კეთილ), რამეთუ უკუნისამდე არს....“ 42 r—v.

მინაწერი: „წმიდაო მღვდელ-მოძღვარო ოქროპირო, მეოხ მექმენ წინაშე ღვთისა საწყალობელსა ამას ცოდვილსა ანდრიას. ამინ.“ (22 v).

2088

ლოცვანი, XVIII

102 ფ.; 5,5×5; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; დაზიანებული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]. რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 834.

„საკჳრველება ჴმისა შენისა ძნიად მოსათუალველ უჩნს სულსა ჩემსა...“

წ ყ დ ე ბ ა: „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღთისაო, რომელ არა არცხუჱნ მორ...“ 1 r—102 v.

2089

იოანე ოქროპირი—ჟამისწირვა, XV

გრაგნილი, 2 კეფი; 27×17,5; ეტრატი; თავბოლო ნაკლული; ნუსხური, სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრული სინგურით; [XV ს.]. რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 835.

„...ღდა მოიღებდა წმიდასა შნათ´ასა საიდუმლოთა და ზეცისაჲ სასუფევლისა ღირს ყოფად...“

წ ყ დ ე ბ ა: „მოიჴსენე, უფალო, ყოველნი ეფისკოპოზისა მართალთა მადიდებლობითა.“

შენიშვნა: შემოხვეული აქვს დახეული კეფი, ეტრატი; პალიმფსესტი; 20×16; ნუსხური ტექსტი კ ო ნ დ ა კ ი ს ნაწყვეტია: „[რაოდენნი კათაკუმეველნი ხართ, განვედით]...“

2090

სულთა მატიანე, XVI—XVII

გრაგნილი, ოთხი სხვადასხვა ზომის კეფი: 56×2,5; ეტრატი; დაზიანებული; პალიმფსესტი; ნუსხური; [XVI—XVII ს.], რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 836.

„უფალო ღმერთო, აშენე და აკურთხე სახლი და საყოფელი სამთა ძმათა მახვილიან[თ]ა...“

წ ყ დ ე ბ ა: „შეუნდვენ ღმერთმან სულსა თამარს. შეუნდვენ ღმერთმან სულსა ქობექის. შეუნდვენ ღმერთმან...“

შენიშვნა: პირველი კეფის ტექსტი გაუმართავია. იგივე ტექსტი უფრო გამართულად დაუცავს მეორე კეფს...“

2091

კრებული, XVI—XVII

გრაგნილი; 7 კეფი; 148×23; ეტრატი; დაზიანებული; პალიმფსესტი; ნუსხური; [XVI—XVII ს.]: მეორე კეფის მეორე გვერდი არ იკითხება, მე-5 კეფის v დაუწერელია. რუმიანცევის მუზეჳ.მიდან. ძველი № 837.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. [ს უ ლ თ ა მ ა ტ ი ა ნ ე] „უფალო, აშენე და აკურთხე სახლ-საყოფელი მირზას ჩარკჳსა...“

წ ყ დ ე ბ ა: „სულსა დიაკონის გ[ი]ტოს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. უფალო.“ (პირველი გვერდები 7-ივე კეფის).

2. [დ ა ვ ი თ ნ ი, ნაწყვეტი] „არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ კუ̃რთხმან შენმან და არგანმან შენმან...“ $24_{,3}$.

წ ყ დ ე ბ ა: „[ხ]ილვად ჩემდა შვენიერებაჲ უფლისა...“ $26_{,4}$.

შენიშვნა: მიწერილია ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „განგარინოს შენ და განაბნინოს ყოველნი ფარისეველნი.“

3. [ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ნაწყვეტი]: „ხოლო მე გეტყვი თქვენ: არა ფუცუად ყოვლადვე, ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღთ̃ისაჲ...“ მთ, $5_{,34}$.

წ ყ დ ე ბ ა: „უკეთუ გიყვარდენ მოყვარენი ხოლო თქვენნი, რაჲ სასყიდელი გაქუს, რამეთუ მეზვერენიცა და ცოდვილნი ამა...“ მთ, $5_{,34}$.

4. [ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ნაწყვეტი]: „...გინა დაშავებად, არამედ იყავნ სიტყვაჲ თქუ̃ნი ჰე ჰე და არა არა...“ მთ, $5_{,37}$.

წ ყ დ ე ბ ა: „და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად...“ მთ, $6_{,4}$ (მე-6-ე კეფის მეორე გვერდი).

5. [დ ა ბ ა დ ე ბ ი ს ნაწყვეტი]: „რამეთუ მეცა აღგიარო შენ ერსა შორის, უფალო.“

წ ყ დ ე ბ ა: „და თაყუანისცემდენ მას ყოველნი მეფენი ქუ̃ყანისანი და ყოველნი წარმართნი ჰმონებდენ მას...“

შენიშვნა: მეშვიდე კეფის v აშიებზე არის მხედრული მინაწერი.

2092

სულთა მატიანე, XV—XVI

გრაგნილი, 5 კეფი; 90×23; ეტრატი წითელი ძაფით მიკერებული, დაზიანებული; პალიმფსესტი; ნუსხური; [XV—XVI ს.]. რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 838,

„უფალო, აშენე, აკურთხე...“

წ ყ დ ე ბ ა: „სულსა თამარის შეუნდოს ღმერთმან. სულსა მამუკესას შეუნდოს ღმერთმან.“

შენიშვნა: 1. პირველი ორი კეფი წარმოადგენს „სულთა მატიანეს,“ ნაწერია გაურკვეველი ულამაზო ხელით.

2. კეფის v-ს შემოუნახავს გაურკვეველი ტექსტის ნაწყვეტები.

2093

მოსახსენებელი, შესანდობელი, XV—XVI

1 კეფი; 15×20; ეტრატი; გრაგნილი; დაზიანებული, დაფლეთილი; ნუსხური; [XV—XVI ს.]. რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 839.

„ღმერთო, აშენე და აკურთხე საკ...“

წ ყ დ ე ბ ა: „...შენ ღმერთმან საკ...“ (არ იკითხება).

შენიშვნა: კეფის v დაუწერელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2093 ა

სულთა მატიანე (ნაწყვეტი), XV—XVI

1 კეფი; 13,6×18,5; ეტრატი; ნუსხური; [XV—XVI ს.]; გადამწერი: სვიმონ ქარცვალანი (v). რუმიანცევის მუზეუმიდან. ძველი № 839.

„ქ· უფალო ღმერთო, აშენე, აკურთხე სახლი და საყოფელი. უფალო ღმერთო, აშენე, აკურთხე სახლი საყოფელი ქაოზანი გურჩანის...“

წყდება: „შეუნდვენ, უფალო ღმერთო, ამის მწერალ სვიმონ ქარცვალან...“ (v).

2093 ბ

სულთა მატიანე (ნაწყვეტი), XV—XVI

1 კეფი; 20×22; ეტრატი; დაზიანებული; ნუსხური; [XVI—XVII ს.].

„...მაქას შეუნდოს ღმერთმან, სულსა მირზას დადიშქელიანისა შეუნდოს ღმერთმან...“

წყდება: „სულსა გულქანის... შეუნდოს ღმერთმან...“

2093 გ

კურთხევანი (ნაწყვეტი), XV—XVI

1 ფ.; 17×16; ეტრატი; უყდო, დაზიანებული; ნუსხური; [XV—XVII ს.].

„...ნუგეშინის ცემისა...“

წყდება: „სახიერებითა, უფალო, მარადის ხარ მოწყალებისაჲ.“

2093 დ

სულთა მატიანე (ნაწყვეტი), XVI

4 კეფი; 30×28; ეტრატი; დაზიანებული; ნუსხური; [XVI ს.].

„...უფალო ღმერთო, აშენე და აკურთხე სახლი თ... ვა...“

წყდება: „შეუნდოს ღმერთმან ქადაგის...“

2094

სახარება—ოთხთავი, XVI

33 ფ.; 25×18,5; ეტრატი; უყდო, დაშლილი; დაზიანებულია 25—29-მდე ნაწილობრივად, 30—43 ძლიერად; ნუსხური, სათაურები სინგურით; თავ-ბოლო ნაკლული, ტექსტი ნაკლულია შიგადაშიგაც; [XVI ს.]; გრენის კოლექციიდან. ძველი № 1.

[და რქუა მათ უფალმან: ისმინეთ], რასა იგი მსაჯული სიცრუისა იტყჳს...“ ლკ, $18,_6$. 1 r—33 v.

წყდება: „...უკეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა წარსცეს ფერჴი, რამეთუ ნათელსა ამის სოფ[ლი]სასა ხედავს...“ ინ, $11,_9$

ეროვნული ბიბლიოთეკა

2095

სახარება—ოთხთავი, XVII

159 ფ; 29×18,5; ქაღალდი; უყდო, დაზიანებული; ნუსხური, სათაურები სინგურით; ბოლო-ნაკლული; [XVII ს.]; გადამწერი: ზაქარია ფურთუხიძე (97 v); თავკაზმულობა 2 r; ზოგან ტექსტი აღდგენილია. გრენის კოლექციიდან. ძველი № 2.

„პირველი თავი. სახარება მათეს თავისა.—წიგნი შობის იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი...“ 2 r—158 v.

წყდება: „რომელი იყო კაცი წინასწარმეტყველი ძლიერი საქმითა და [სიტყვითა]...“ ლკ, 24,19.

გადამწერის ანდერძი: „მწარედ ცოდვითა აღსავსესა ამის უცებად მწერალს ზაქარიას ფურთუხიძეს შეუნდნეს ღმერთმან. ვინცა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდნეს ღმერთმან. ამინ.“ 97 v.

უძღვის საძიებელი.

2096

აპრაკოსი (რიგის სახარება), XV—XVI

155 ფ.; 15,6×12; ეტრატი; უყდო, დაზიანებული; ნუსხური სათაურები სინგურით. თავ-ბოლო ნაკლული; [XV—XVI ს]. გრენის კოლექციიდან. ძველი № 3 და 13.

„...ოთხშაბათსა სახარება იოანესი.—მას ჟამსა შინა აღიხილნა იესუ თუალნი თჳსნი და იხილა ერი მრავალი...“ 3 r—155 v.

წყდება: „ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი, ნუ უკუ...“

2097

(შეუერთდა A: 1109 მრავალთავს)

გრენის კოლექციიდან. ეტრატის 8 ფურცელი.

„პროფ. აკ. შანიძის აზრით ეს რვა ფურცელი უნდა წარმოადგენდეს გურიის უდაბნოს (ჩოხატაურის მახლობლად) „მრავალთავის“ ნაწილს.“ (ს. გორგაძის ცნობა, კატალოგში).

2098

„ამირან-დარეჯანიანი.“ 1817

89 ფ.; 32×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; დასაწყისი აკლია; 1817 (87 r); გადამწერი: ალექსანდრე მაყაშვილი (87 r); გრენის კოლექციიდან. ძველი № 11.

„წამოვიდეს ნადირთ ძებნად, მეველენი მოარობდეს,
საპოვნელად ტყეთა, ველთა თვალს ცეცებით მოარობდეს,
არ ეჩვენოს, ეფაროდეს, თავი ქაჯთა მოაროდეს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: დასაწყისი გალექსილი ვარიანტია, შემონახულია 11 სტროფი, 54—64 (იხ. „სულხან თანიაშვილი, აბირან-დარეჯანიანი გ. ჯაკობიას რედაქციით. 1941 წ.).

„და მიხვდენ ეგეთსა ქუეყანასა, ვერა სადა სცნეს, თუ სადა წარსულ იყვნეს...“

შენიშვნა ა: პროზული ტექსტის დასაწყისი გაგრძელებაა გალექსილი ნაწილისა.

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე ჴელითა ჩემითა ცოდვილისა ალექსანდრ[ე]სგან მაყაშვილისათა წიგნი ესე დარეჯანიანი. მხილველნო, თუ შეცთომილი სიტყვა ჰპოვოთ, ჯერ გამოუცდელი ვიყავი წიგნისა დაწერისა. რომელიც ჩემგან შეიძლებოდა, დიაღ ვმართე სიტყვა და, რაც დედანში ეწერა, ისე დავწერე. სრულ იქმნ[ა] დასაბამითგან ჴტკე და განხორციელებითგან სიტყვისა ღთ̃ისა, ქრისტეს აქეთ ჩყიზ. ხოლო ქართულსა ქკ̃ს ფე, თვესა ივნისსა, ბ დღესა. ვინც იხილოთ, ნუ გჳწყევთ, შენდობას ბრძანებდეთ, მონა ღთ̃ისა ალექსანდრე“ (87 r).

ხელნაწერის ბოლოში სხვა ხელით „ქ. პირი წიგნისა წარვილინებულისა იელურსალემით(!) ტიბელიოს იფროტისა მიმართ ფუბლოთ ლენტულო მთავრისაგან ჰურიასტანისა იესო ქრისტესთვის. და წიგნი ესე დამარხულ არს რომს მონასტრისასა შინა ბატონთა კესარიელთა წიგნისა საცავსა. ხოლო თარგმანულ არს წიგნი ესე ლათინთა ენისაგან ფილიპპეს ვისმე ლათინთავე ხუცისა, სათნო ყოფად შენდა კეისარო ნატრისა... ჩვენსა დროსა შინა რწმუნებულისა სამთა...“ (89 r—v).

2099

ყარამანიანის ნაწყვეტი, XIX

7 ფ.; 34×21; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; თავ-ბოლო ნაკლული; [XIX ს.]. გრენის კოლექციიდან. ძველი № 9.

„...ერთი ძლიერი დაჰკრა გარდაქეშანმა მას ლომსა. იგი ლომი განრისხდა და მოსწვდა გარდაქეშანს...“ 1 r—7 v.

წყდება: „...ზოჰაგნო ვანჯუანმან უშანგ ჴელმწიფეს თავი დაუკრა და მოედანზედ გამოვიდა და სამი მძიმე ლახტი...“

2100

ორბელიანი სულხან-საბა—სიბრძნე სიცრუისა, XIX

5 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; გრენის კოლექციიდან. ძველი № 13.

„წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა მისისა.—იყო ჴელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენნი მოწყალებანი შეიკრიბნა გულსა მისსა...“ 1 r—55 r.

მინაწერი: „ჩყლვ-სა წელსა თიბათვეში რაც დიმიტრი ხარჯი აიღო.

ქ. კიკო გოგინაშვილიდამ წაიღო ლგ—ჩაფი ღვინო.

ქ. ივრიდამ მობრუნებულის ღვინოებისა წაიღო ლზ—ჩაფი.

ქ. მოსეს ბიჭს კიკოლას გამოართო ორის საპალნის კულუხის ფასად ჯერ გ.

ქ. მე დავხარჯე ივრის ღვინოებისა ზ ჩაფი“. საცავი ფურცელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2101

კრებული, XIX

120 ფ.; 35×21; ლურჯი ქაღალდი; ქსოვილგადაკრული მუყაოს დაზიანებული ყდა; დეფექტური; მხედრული; (1821 წ. ჭვირნიშანი); 1—39 ფ.ფ. მარჯვენა მხარე ამოხ. რულია. გრენის კოლექციიდან. ძველი № 14 (11).

1. თეიმურაზ II. „დღისა და ღამისა გაბაასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის, მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქნა ცხებული შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამისსა, ამას ეწოდების სარკე თქმულთა:

ვით ჴელყო აღვძრად სიტყვათა ვერ სიბრძნის ღირსმან სწავლობით...“ 1 r—60 r.

2. თეიმურაზ II. ანბანთ-ქება 4. „აწ მოჰყვების ანი და ჰის ქებას არმიცანად (sic), რომელი თქმულ არს მეფის ერეკლეს ძის, მეფის თეიმურაზისაგან:

არის რამ უცხოთ საცნობელ გამუთარგმანებელ ენათა...“ 60 r—62 v.

3. თეიმურაზ II. ანბანთ-ქება 3. „ანბანთ-ქება გამოცანად თქმული მეფისა მისვე თეიმურაზისა:

აღვძრათ სიტყვა საცნობელი, არცა ძნიად გამოჩნდების...“ 62 v—65 r.

4. თეიმურაზ I. „ანბანთ-ქება თქმული დიდის მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იყო ცხებული:

ადამ ვახსენოთ პირველად, თჳთ ღმერთმან შექმნა რომელი...“ 65 r—68 r.

5. თეიმურაზ I. „მეორე ანბანთ-ქება, თქმული მისვე დიდის მეფის თეიმურაზისა:

აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“ 68r—70v.

6. თეიმურაზ I. „მესამე ანბანთ-ქება, მისივე დიდის მეფის თეიმურაზისაგან თქმული:

აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხი[ა] ადამის ძვალსა...“ 70 v—73 v.

7. თეიმურაზ I. „ანბანთ-ქება. ამბავი კრებისა, მისივე, დიდის მეფის თეიმურაზისაგან თქმული:

აღვაღო პირი სიბრძ[ნ]ე და ძვირი, ზეშთა ძალისა ჩემისა მბობად...“ 73 v—75 r.

8. თეიმურაზ I. „სხვა ლექსი, გაზაფხულ შემოდგომისა ქება, მეფის პატრონის დიდის თეიმურაზისა:

ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებულნი...“ 75 r—81 r.

9. თეიმურაზ II. ხილთა ქება, ნათქვამი ბატონის მეფის თეიმურაზისა, რომელ არს ბაღთა შინა, ანუ სურნელებათა, ანუ სიტკბოთა, ანუ შემრგოთა, ანუ შეურგებელობათა.

მარწყვმან თქვა მოვალ პირველად, მე ვერ მომისწრებს ხილია...“ 81 r—84 r

10. „ვუთემქი ჯანანუმ დილიმ აზთუ იარ გირეთ,
ათეში თუ სინეიმჰნ დაარგირეთ,
ჰარქესქი მარა ახთუ ჯულა აარ გირეთ,
მისლი დილიმან ხონათონ დაარგირეთ.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. თეიმურაზ I. ვარდ-ბულბულიანი: „ლექსი მუნასიბი და ტკბილი განწყობილი მსმენელთათვის სასიამოვნოთ ვარდბულბულის განბჭობა, თქმული ღვთივ გვირგვინოსანის მეფის, პატრონის დიდის თეიმურაზისა.

Ⴚე, არსისა შემომქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი...“ 84 r—93 v.

თეიმურაზ I. შამ-ფარვანიანი. „შარმა (sic)—ფარვანას წიგნი, თქმული მეფის პატრონის დიდის თეიმურაზისა.—

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმალთ დაუფარაო...“ 93 v—98 v.

13. იაკობ შემოქმედელი. „დასაწყისი უსჯულოს მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა გაბაასებისა, ნათქვამი იაკობ შემოქმედელისაგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა და ძისა მისისა მეფის შანაოზისათა.—

სოლომონ თქვა სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღვთისა...“ 98 v—120 r.

შენიშვნა: 1. დართული აქვს გადამწერის ლექსი:

„წიგნი ესე გიძღვენ, ძმაო, საჩუქარზე იყავ მზაო,
სრულად არს გადაწერილი, არც არის ცუდი, ამაო.
ჩაი, რომი და შაქარი გამომიგზავნე საკმაო,
და მით ვილხინო, გავიხარო, სადღეგრძელო თქვენი ვსვაო...“ 120 r.

2. მინაწერი უცნობი პირისა სიზმრის ნახვაზე 1825 წლის იანვრის 23.

3. ხელნაწერი ჰკუთვნებია თავად ალექსანდრე დონადეროვს. 1 r.

2102

„ანდრია სალოსის ცხოვრება“, 1812

140 ფ.; 20,8×16; ქაღალდი; უყდო; თავნაკლული; მხედრული; 1812 (138 r); გადამწერი: გიორგი ჟურული (იქვე); მოსკოვი; დაუწერელია 139 ფ.; 110—113 ამოვარდნილია. საბინინის კოლექციიდან, ძველი № 4.

„...და შენ აბაში იგი ვითა ესმა ეპიფანეს, ეშმაკი იგი სახითა აბაშისათა შავისათა ვითა ვაჭარი სარკინოზი და შეშინებული იყო ეპიფანე...“ 1 r—137 v.

ანდერძი: „წელსა ჩყიბ პეტრებურხსა შინა ყოფნასა ჩემსა ვიხილე წიგნი ესე ანდრია ნეტარისა ღირსისა მამისა და ქრისტესთვის სალოსისა, და ფრიად ვეტრფიალე ამისთვის, რომ ფრიად სარგებელ არს და მომპოვნებელ არს ჭეშმარიტად სასუფევლისა. და რომელნიცა აღმოიკითხავთ, მაშინ სცნობთ, ვითარცა რა სარგებელ გექმნების თქვენ, ძმანო ჩემნო, ვიტყვი კუალად: სხვა ამის უფროს სარგებელი და განმანათლებელი არა არს წერილი, ვითარ ესე, რამეთუ დაატკბობს სულსა, განანათლებს გონებასა, განაშორებს ცოდვისაგან და მახლობელ ჰყოფს ღთისა უწყვეტლად; რამეთუ იხილავთ აღმოკითხვად, სრულიად მაშინ სცნობთ სიტკბოებასა ამისა წერილისასა. გარნა ვერ მოვეწიფე გარდამოწერასა ამისსა პეტრებურხსა შინა, არამედ მოვედ რა პეტრებურხით შემდგომად მოსვლისა ფრანციელთა მოსკოვსა შინა, მაშინ ვიხილე წერილი ნუსხად ერთისა ჩემისა მცნობისა მიერ (!) და ვევედრე, და მომცა წიგნი ესე და გარდამოვწერე გულსმოდგინებითა ჩემითა მე, ფრიად ცოდვილმან კეთილშობილმან ჟურულის შვილმან გიორგი, ზაალის ძემან, თუმცა კარგი წერა არ ვიცოდი, მაგრამ დიდი სასოება დავიდევ ამა სამღთოსა სასურველსა წიგნსა ზედა და მოსკოვსა შინა ყოფნასა გარდმოვწერე წიგნი ესე. ვითხოვ, რაოდენიცა შეცთომა იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ მომიხსენეთ და შემინდეთ, რათა თქვენცა შეგინდნეს უფალმან ცოდვანი თქვენნი, მწერალი წიგნისა ამის გიორგი ჟურული ზა[ა]ლის ძე შენდობას გევედრებით.“ 138 r—v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2103

კრებული, 1816—1817

90 ფ.; 20×16; ლურჯი და თეთრი ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული, სათაურები სინგურით; 1817 წ. (50 v), 1816 წ. (85 v); გადამწერი: ბაგრატ ბატონიშვილი (50 v; 86 v); სანკტ პეტერბურგი (50 v; 86 v); 1—4; 51—53; 87—90 ფ.ფ. დაუწერელია. საბინინის კოლექციიდან. ძველი № 6.

1. „აღსარება სარწმუნოებისა, სომეხთა ეკკლესიისა. აღვიარებთ და გურწამს ყოვლად სრულითა გულითა ღმერთი მამა...“ 6 r—50 r.

შენიშვნა: დართული აქვს ანდერძი: „ხოლო ესე სომეხთა ეკკლესიისა სარწმუნოებისა აღსარება და ნათლისღება თარგმნა რუსულიდამ ქართულსა ენასა ზედა მათმა ბრწყინვალებამ თავადმა გიორგი ავალიშვილმან, უფალმან სტატცკის სოვეტნიკმან, რომელიცა მსახურებს ამ ჟამსა შინა ინოსტრანის კალეღიასა შინა (რომელიც არის უცხოთა მხარეთა განსაგებელი) წელსა 1817. თუჱსა იანვარსა 5. საკტპეტერბურხხა, მე, მეფის გიორგის ძემ, ბაგრატიმან გარდმოვჰსწერე ჩემთჳს თჳთ ხელითა ჩემითა, წელსა 1817. სრულ ვჰყავ ფებერვალის 23. სკ˝თ-პეტერბურხს“ (50 v).

2. „წესი ანუ რიგი საღმრთოჲსა ლიტურღიისა (ანუ წირვისა) სომეხთა ეკლესიისა.—კანონი, როდესაცა შეიმოსების მღუდელი ეკკლესიისა შესამოსლითა...“ 54 r—86 v.

შენიშვნა: ა. დართული აქვს ანდერძი; „თარგმნილი რუსულათ სომეხთა ენათგან სომეხთ არქიმანდრიტის გრიგოლის მიერ. რომელიცა დაბეჭდილ არს საკთ პეტერბურხსა შინა რუსთა ენასა ზედ[ა] მიერ (sic) წელსა 1799. ხოლო ითარგმნა ესე ქართულად იოვანეს მიერ.ბაზლიძის, ყიზლარელის მიერ, წელსა 1816, თუჱსა ოკდომბერსა 1. ს˝კთ პეტერბურხსა. გარდმოჰვჰსწერე ჩემთჳს მე, მეფის ძემ, ბაგრატმან 10.IX.1816“. (86 v).

ბ. ხელნაწერს უძღვის თავფურცელი: „აღსარება ქრისტიანეთა სომეხთ ეკკლესიათა. გარდმოღებული ესე სომეხთა წერილთა მიერ რუსულათ. გარდმოცემული დიდისა მეცადინეობითა ყოვლად სამღვდელოს იოსებ არხიეპისკოპოსის მიერ ყოველთა საზოგადოთა ერთა მცხოვრებთა სომეხთა როსიასა შინა და მექონი კავალერიისა, თავადი არღუთაშვილის მიერ. დაბეჭდილ არს თჳთ პეტერბურხსა შინა განჩხრეკითა სახელმწიფოს ცენძურის მიერ, წელსა 1799.“ (5 r).

გ. ერთვის „პინაკსი“ (5 v).

2104

მირზა მეჰთი—ისტორია სპარსეთის მეფის ნადირ ავშარელისა, 1814

215 ფ.; 32,3×20,5; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; მთარგმნელი: დავით ბატონიშვილი; სანკტ პეტერბურგი; გადამწერი: მეფის ძე ბაგრატი (196 r); დაუწერელია: 1—6 და 200—215 ფფ.; ავტორის სურათი (9 r). და ნადირ შაჲს სურათი. 138 r. საბინინის კოლექციიდან. ძველი № 9.

„საქმეთათვის ნადირ ავშარელისა, დიდისა ხელმწიფისა სპარსეთისათა, წიგნი I. თავი I. განყოფისათვის და დაპყრობისა სხვათა და სხვათგან მთავართა სპარსეთისათა.—§ 1. ოდეს ერანელთა ქვეყანა შეიბღალა სისხლითა, იქმნა უთანხმობა, დაეცა ტახტი სამეფო ვერაგთა კაცთაგან, იქმნა ტირანობა და განისაკუთრეს თავისუფლება ესრეთ და განიყვეს ყოველთა სპარსეთი...“ 10 r—196 r.

შენიშვნა: 1. „აღწერა კოსტანტინეპოლისა, რომელიცა აღწერილ არს წელსა 1829-სა.“ 196 v.

2. „ზანდუკი, წიგნი პირველი ა, თავი 1...“ 179 r—199 r.

3. ჩანაწერი „სრულ იქმნა ისტორია ესე ს. პეტერბურხს თვ[ე]სა იანვარსა 21, წელსა 1814.—აღვსწერე მე მეფის გიორგ[ი]ს 13 ძემან ბაგრატმან თვით ჴელითა ჩემითა მსხემობასა ჩემსა როსიასა შინა, ს. პეტერბურხსა. გთხოვთ მიკითხველთა(!) ამა ისტორიასთა ხსოვასა ჩემსა ჰყოფ[დე]დ“.

ანდერძი: „საქმენი, შრომანი და ღუაწლნი დიდისა ჴელმწიფისა ნადირ ავშარელისა, რომელიცა აღუწერიეს ნამდვილითა ისტორიითა მირზა მეჰთის ვეზირსავე მისსა, რომელიცა თანაჰყვებოდა ყოველსა საქმესა მისსა, ხოლო ესე ითარგმნა მისის უგანათლებულესობის საქართუჱლოს მეფის ძის რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტისა და კავალერისა დავითისა, გიორგის მეფის პირმშო ძისაგან, წელსა ჩყბ-სა, 1802-სა, ხოლო ქ~ს უჟა-სა, დეკემბრის კ-სა. სრულ იქმნა ესე სამეუფოსა ქალაქსა თბილისსა, თანაშემწეობით მირზა გურგენის ძის ყარამანისა ენაკოლოფაშვილისათა.

„თანანადები ყოველთა კაცთა გულისხმის ყოფითა ნიჭებულთა ესე არს და უმეტეს მათდამი, რომელთაცა სიყუარულისათჳს მამულისა თჳსისა უმსხვერპლებიეს სისხლი, რათამცა სამარადისოდ მზა აქუნდეს თავი თჳსი სარგებლობისათჳს მამულისა, რომლისა გამო ღუაწლი ესე გუარი საჭიროდ შედგომილ არს და შეკრულ ჭეშმარიტებისა თანა. ხოლო ვინაჲთგან ესრეთ არს, არა თანა აძთ დროჲსა ბედითად განტარებაჲ, რათამცა უგულებელს ყოფითა თავთა ჩუჱნთა ესე ვითარისა ღირსებისა და აზრისაგან მოვაკლებდეთ და ღონეთა დავმალვიდეთ, რომელიცა გონიერებისა გარეგან არს და სიტყვიერთა ბუნებათა შეუგუანებელ.—იძულებულმან ზემოჴსენებულისა ჰაზრისამან საჭიროდ ვრაცხე, არა ვრიდე შრომასა და ვითარ ძალმედვა ვიხმიე ღონისძიებაჲ შემეცნებისათვის ერთა ჩუჱნთასა ახლისა ამის ყურად საღებელისა ისტორიისა დიდებულის მის კაცისა ნადირ ავშარელისა, რომელთაცა არა აქუნდათ და არცაღა უწყოდენ ისტორია მისი ვიდრე დღეინდელად დღედმდე.—არა მცირედსა სარგებელსა მისცემს განმხილველთა ამის უკუჱ ისტორიისათა ერთა ესე გუართა, რომელთაცა აქუსთ გული მამაკაცებრი და არა წარუწყმედს სასოებასა თავისა თჳსისასა განწირვისა გამო სოფლისა მით, რამეთუ შემთხუჱვასა კიდე ანაგებისა შემო ხუჱვისაგანვე აქუს დასასრული.—განმხედველმან არა ვრიდე შრომასა და გარდმოვიღენ ისტორიაჲ ესე სპარსთა ენისაგან ქართულად, რომელიცა შეცულ არს ოთ[ხ]სა შინა წიგნსა და აღმოვაჩინენ საქმენი, შრომანი და ღუაწლნი, თუ ვითარითა შრომითა და გოლიათობითა მიიწივა სიმდაბლისაგან სიმაღლისა ღირსებასა და ანუ ვითარითა ღუაწლითა გამოიხსნა და განათავისუფლნა მამულნი თჳსნი ჴელთაგან მტერთასა, ესე იგი თურქთა, ავღანთა, რუსთა და ლეკთაგან, რომელთაცა უსამართლობისა გამო დაბნელებულთა განეხვათ პირნი და განიზრახვიდენ შთანთქმასა დაცემულისა სამეფოჲსასა ნაცულად აღდგინებისა; და ანუ ვითარ განადიდა სამეფოჲ თჳსი და დასძინა სპარსეთსა ინდიაჲ, თურქისტანი, სინდეთი, ხვარაზმი და კავკასი.—ვგონებ შრომაჲ ესე ჩემი არა წინაღუდგების ერთა მათ, რომელთაცა აქუსთ სიმჴნე მამაცებრი და რომელთაცა აქუსთ შური ერთგულებისათჳს მამულისა, და ამისა ძლით მგონიეს რათამცა ამის უკუჱ ნაყოფისა ჩვენებითა მოვისთლომცა ერთაგან ჩუჱნთა მადლობანი ამად, რომელ ვინაჲდგან ერთა შორის ჩუჱნთა იპოების სული მამაკაცებრი და სიყუარულიცა მამულისა. და მათ მიერ კეთილობითა აღგებული დაუსახავ თავსა ჩემსა მზაყოფად სამსახურისათჳს თნებისა მათისა. საქართუჱლოს მეფის გიორგის პირმშო ძე დავით (7 r—8 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2105

ლაშქრობა ნაპოლეონისა—ორნაწილად, 1824

160 ფ.; 21×16,8; თეთრი და ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1824 წ. (150 r); გადამწერი: ბაგრატ ბატონიშვილი (1 v; 150 r; 153 r); მთარგმნელი: იოანე ბაზლიძე (1 v); სანკტ-პეტერბურგი (150 r); დაუწერელია: 153 v, 156 v—160 v. საბინინის კოლექციიდან. ძველი № 11.

„ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა ზედა და ლტოლვაჲ მისი. § 1. ნაპოლეონ.—ნაპოლეონ წინასწარ გამზრახი ადრითგანვე დარღვევად შემძლებელისა რუსეთისა...“ 2 r—150 r.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა და ლტოლვაჲ მისი. ნაწილი პირუჱლი: წიგნი პირუჱლი, ხოლო დაბეჭდილი მოსკოვსა შინა წელსა 1815-სა, ხოლო რუსულისაგან თარგმნული ქართულსა ენასა ზედა ინასტრანის კოლეგიის პროდჩიკის იოანეს რამანიჩის ბაზლიძის მიერ. მე, მეფის გიორგის ძემან, ვჰთხოვე წიგნისა ამის თარგმანი და თხოვითა ჩემითა თარგმნა ესე ისტორია წელს 1823, ხოლო ქართულსა, ქკ῾ს ფია. თუჱსა დეკ[ემ]ბერსა 26. სკ῾თ პეტერბურხში“ (1 v).

ბ. ერთვის: 1. „რომელნიცა ქართუჱლნი დაესწრენ ბრძოლასა ამ῾ს შინა (და იმსახურებოდნენ მხედრობათა შინა რუსეთისათა) რუსთა და ფრანცუცთასა და აღებასა ქალაქისა მოსკოვისასა წელსა 1812-სა და თუჱსა სეკდენბერსა 2-სა დღესა ორშაბათსა—ამათნი სახელნი ამას ქუჱმოთ აღიწერების:—საქართუჱლოს მეფის გიორგის ძე ილია, ესე დაესწრა დიდსა ბრძოლაში ბოროდ[ი]ნას და აღმოჩნდა სახელოვნად...“ (150 v—152 v).

2. **გადამწერის ანდერძი:** „ხოლო ესე რაჲცა ამა ისტორიასა შინა არს მოხსენებული, მე ვარ დამსწრე ამისი თვით მოსკოვსა შინა, რომელიცა განვედ მე სეკდებრის 1-სა მოსკოვით და წარვედ ნიჟნა ნოვგოროდის ქალაქსა შინა, ხოლო მოსკოვი აღებულ იქმნა ფრანცუცთაგან სეკდებრის 2-სა, დღესა ორშაბათსა, შემდგომად შუადღისა, წელსა 1812-სა. მეფის ძე ბაგრატ.“ (153 r).

3. ცნობები ჩერქეზეთის შესახებ: „ჩერქეზეთ სამფლობელო, რომელსაცა წყალზედ ანუ ხეობაზედ დგანან ესენი არიან (დიდს ყაბართოზედ მიწერილნი); 1. ბალახის წყალზე მიწერილნი მცხოვრებნი. აქა დგას თავადი ბაბუკის-შვილი. ეს ხეობა ამისი სამფლობელო არის...“ (154 r—156 r).

4. მიწერილია აშიაზე გადამწერის (ბაგრატ ბატონიშვილის) ხელით: „ჩერქეზში სავაჭროთ ვიყავო, ოჰანეზა სავათნავაშვილმა მიანბო: ერთი ბერძენი მადანჩი ივანე იქ ტყუჱდ იყოო, მე და იმან გავადნევით მიწა და ამისი პრობა ვნახეთო, ასეთი მიწა არის, რომ თხრა არ უნდა, ისე ამ ხეობაზედ ჰყრიაო.—საქართუჱლოს მადანს ბევრით უმჯობესიო, იმ ბერძენსა საქართველოს მადანში ემუშავა დიდხანს და უცხო ოსტატი იყოო მადანისაო“ 155 v.

2106

ცნებათა თვისებათა (ხასიათთა) ალეგორიული წარმოსახულებისათვის, 1822

62 ფ.; (124 გვ.); 19,5×16; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; 1822 წ. (1, 115 გვ.); გადამწერი: გიორგი ტერტეროვი (115 გვ.); სანკტ-პეტერბურგი (იქვე); დაუწერელია: 116—124; საბინინის კოლექციიდან. ძველი № 18.

„ა. წელიწადი.—გვირგვინი ყვავილთაგანი, რომელიცა უპყრიეს მას მარჯვენესა ჴელსა შინა, ჴელეული ძნა მარცხენეს შინა...“ 1—115 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: აღწერილია ალეგორიული გამოხატულებანი სხვადასხვა ცნებებისა: ა. წელიწადი; ბ. ღირსება; გ. ნაყოფიერება; დ. ნაყოფიერებაჲ ზღვისა; ე. სიცრუვე; ვ. თავისმოყვარება; ზ. ცხვარი; ". კეთილმოქმედებაჲ; თ. კეთილსაამოება; ი. სახიერება; ია. რისხვა: იბ. ბრძოლა; გონება სურვილებითა; იგ. თჳთ კმაობა;... სულ 225 ცნება არის განმარტებული.

მინაწერი: ბაგრატ ბატონიშვილი' ხელით: ა. „მეფის ძის ბაგრატისა არის, 1822 წ. 2.XII" (1 გვ.).

ბ. „1822 იანვრის 4 სრულ იქმნა ხელითა გიორგი ტერტეროვისაგან. სა˝კთ პეტერბურხს." 115 გვ.

2107

კრებული, 1832

153 ფ.; (306 გვ.); 20,8×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა: მხედრული: სათაურები სინგურით; 1832 წ. (289 გვ.); გადამწერი: ბაგრატ ბატონიშვილი (289 გვ.); სანკტპეტერბურგი (289 გვ.); დაუწერელია: 290—293, 299—360 გვ-დე. საბინინის კოლექციიდან. ძველი № 19.

1. „მთაწმიდისა და წმიდისა იერუსალიმისა მოხილუა ტიმოთეს მიერ მთავარეპისკოპოსისაგან.—სამარად საგონებელ ჩემდა იყუნეს, თუ ვითარ არა საზღვევა იყოს ზენაისათჳს მრავალსიტყუათა..." 2—277 გვ.

წ ყ დ ე ბ ა: „...და მიერითგან მივედით ხალდესა, რომელსა ანუ უხმობენ გუმიშხანას, სადა ეწამნეს: წმიდანი ევგენი, კანდიდოს, ვალერიანე და სხუანი (რომელთა ხსენება არს იანურის 27)".

შენიშვნა: ა. ტექსტს ერთვის: „ამ მთავარეპისკოპოზისა ტიმოთეს მოხილუა მეტი აღარ ეწერა დედანში, ორი წიგნი ვნახე და არც ერთში მეტი აღარ იყო, და ვინცა ჰპოვ[ო]თ, გთხოვთ, ღ˝ის სიყუარულისათვის თქუენ შეასრულოთ. მეფის ძე სენატორი ბაგრატი". (277 გვ.).

ბ. **გადამწერის ანდერძი:** „გარდმოვსწერე ესე მთავარეპისკოპოზისა ტიმოთე გაბაშვილისაგან წმიდათა ადგილთა საბერძნეთის მოხილუაჲ მე საქართუელოს მეფის გიორგის ძემან ბაგრატმან და რუსეთის ტაინი სოვეტნიკმან, სენატორმან და კავალერთა, სხუათა და სხუათა მქონემან, დროს იმპერატორისა ნიკოლოოზ პავლეს ძისასა ხოლო წელს 1832 წ.13.I. სანკთ-პეტერბურხსა მწირობასა ჩემსა როსიასა შინა, 32-სა წელს." 289 გვ.

2. შესხმა „მეფესა დავითს მონაზონი არსე[ნ]ი.—სათნო უჩანნა ესენი მყუდროობასა შენსა; განსუენებულ არს ამასა ზედა სიბოროტის მდევნელი დავითიანი სული შენი..." 278—282.

შენიშვნა: უძღვის „ესე შესხმა მიურთმევია მეფის დავით აღმაშენებლისათვის თავის მოძღუარსა არსენის ვაჩნაძეს. ესე არსენი არს მოძღუარი აღმაშენებელისა, რომელსაცა მიართუა კანონი მისივე მეფისა ბრძანებით საქართუელოში შეკრებულისა კრებისანი და ესე ეპისტოლეცა. წელსა 1129 წ. ქ˝რკნსა 349 ქართულსა." 278 გვ.

3. პეტრე პირველისაგან თხრობა საფრანგეთის საეკლესიო ჩვეულებების შესახებ,—„მოთხრობა ყოვლად უმაღლესისა იმპერატორისა პეტრე პირველისა, რაჟამს იხილა საფრანგეთში ეპისკოპოზისა ჩვეულება ესრეთი..." 282—289 გვ.

შენიშვნა: უძღვის: „რუსულისაგან ქართულად თარგმნილი გრიგოლის მიერ ხარჭაშნელისა ეპისკოპოზისაგან, კახის სოფლით მელაანით, სეფოშვილისაგან, ასტრახ[ა]ნს, წელს 1803-ს, ამის შესაქცეველად თქუენდა" 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მღვდელმთავარ მიტრაფონის სასწაულთათვის—(ბაგრატ ბატონიშვილისა)—„ხოლო წელსა 1829-სა ვარონიჟისა ქალაქსა შინა ოდეს ძუწლსა სობოროსა ხარებისა წმიდისა ეკლესიასა უკეთებდენ რა პოლსა (ანუ იატაკსა) ქვისასა, მსწრაფლ იხილეს საფლავი ერთი და კუბო მას შინა მდებარე, რომელშიაც ესუწნა მღვდელმთავარი მუნებური, რომელსაცა ეწოდა მიტრაფონე...“ 294—297 გვ.

შენიშვნა: ა. აშიებზე მოთავსებულია გადამწერის კომენტარიები.

ბ. მარცხენა ყდის r-წარწერა: „Путишествие грузинскаго митрополита Тимофея.“

2108

პარაკლისი, 1819

183 ფ. (365 გვ.); 16,4×12,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; 1819 წ. (გვ. 321); გადამწერი: ბაგრატ ბატონიშვილი (321 გვ.); პეტერბურგი. (იქვე); დაუწერელია: 331—363 გვ.; საბინინის კოლექციიდან ძველი № 20.

„ღვთივ შემკობილნი პარაკლისნი ყოველთა წმიდათათჳს მოსაზავებელნი. პარაკლისი. ა. სავედრებელი წმიდისა ღვთისშობელისა მიმართ, ყოვლად ბრწყინვალეთა დღესასწაულთა მისთათჳს: მღუდელმან.—კურთხეულარს, გუნდმან—ამინ. დიდება შენდა ღმერთო...“ 1—320 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს: ა. „სრულ იქმნა წმიდა ესე პარაკლისნი ჴელითა ცოდვილის მეფის გიორგის ძის ბაგრატისათა, სამეუფოსა ქალაქსა პეტერბურხსა ეკლესიათა საჭეთ მპყრობელობასა მიხაილ მიტრაპოლიტისათა, თთუწსა ოკდომბერსა 10. ი. წელსა 1819. ქართულსა ქო´კ. ფზ.“ 321 გვ.

ბ. მინაწერები: 1. „სრულიად საქართუწლოისა ანტონი კათალიკოზი ძე მეფისა ირაკლის მეორისა, მიიცუალა ქალაქსა შინა ნიჟნა ნევაგოროდსა როსიასა შინა, იყო წლისა 65-ისა. წელსა ქრისტე შობითგან 1827-სა, თუწსა დეკენბერსა 21-ს, დღესა ოთხშაბათსა და დაფლეს მუნვე დიდსა სობოროსა შინა, ქართული ქორონიკონი იყო ამ წელს ფიე.“ 322 გვ.

გ. დართულია ქორონიკონი გადამწერის [ხელით: „წელსა 1830-სა ნოენბრის 19, მიიცუალა ტფილიისში არხიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური ძე არჯვანიისა, ღმერთმან საუკუნ[ო]დ ჰყოს სახსენებელი მისი ამინ. ესე დაფლეს ტფილისსა შინა ავლაბარს წმიდის დარიის ეკლესიაში, რომელიცა არს ესე ეკლესია აღშენებული დედოფლის დარეჯანიისაგან, მეუღლისა მეფის ირაკლის მეორისასა. 1830 წელსა დეკენბრის 18 დღესა მიიცუალა მიტრაპოლიტი ვარლაამ მოსკოვს და დაფლეს დანიელოვის მონასტერში, იყო ესე წლისა 67-სა.“

წმიდა მამა ეფთვიმი მიტრაპოლიტი გენათელი მიიცუალა ექსორიაობასა შინა რუსეთს. მონ[ა]სტერსა სვ[ი]რისასა, რომელ ადგილი ესე არს ნევაგოროდის ღუბერნიისა ზატიკში წელს 1822 თუწსა აპრილსა 21. დღესა პარასკევსა. ხოლო იყო წლისა უნ-სა, და დაფლუწს მუნვე მონასტერსა შინა.

წელსა 1833-ს ივნისის 19-დღესა ორშაბათს მიიცუალა მეფ[ი]ს გიორგის ასულის რიფსიმეს ძე ალექსანდრე თავადი ჩოლაყაშვილი, წლისა 29-ს სამღთო საეროთი სრული და განსწავლული ფრიად ევროპიელთა ენითა და წერილითა სრულიად სანკთ-პეტერბურხსა შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელსა 1834 ოკდონბრის 15-სა დღესა ორშაბათს მიიცუალა მეფის ირაკლის ძე მირიან წლისა 68-სა რუსეთის დეისტიტველნი (sic.) ტაინი სოვეტნიკი და სენატორი და კავალერი ს. პეტერბურხს, და დაფლეს ნევსკის მონასტერსა შინა.

წმიდა ურბნელი იულიოს თუხარელი მიიცუალა ქართლს ურბნისა, წელსა 1811-სა.

1836 მარტის 19-სა ღამესა ხუთშაბათს დიდმარხვის მექვსე კვირისას მიიცხვალა მეფის გიორგის ძის დავითის მეუღლე მეფის რძალი ელენე, ობიმ მელიქოვის ასული, ს. პეტერბურხსა და დაფლეს ქრმისა თვისისა თანა ნევის მონასტერსა შინა.

მეფის გიორგისა პირმშო ძე მისი დავით მიიცუალა ს. პეტერბურხს, წელს 1819, მაისის 13-ს. ესე იყო წლისა 53-ს.

მეფის გიორგის ძე იოვანე მიიცუალა ს. პეტერბურხში წელსა 1830-ს ფებერვლის 15 დღესა. ესე იყო წლისა 61-სა.

მეფის რძალი ეკატირინა ასული ჩოლაკაშვილისა დურმიშხანისა, მეფის გიორგის რძალი მეუღლე, მეფის ძის ბაგრატისა მიიცუალა ხოლერით სანკთ-პეტერბურხსა შინა, წელსა 1831-სა თუთსა ივნიისსა 30-სა.

წელსა 1837 ნოენბრის 2. მიიცუალა წმიდა იოანე ბოდბელ მიტრაპოლიტი მაყაშვილი კახი, წლისა 97, ამან იმღდელმთავრა წელი 47, რომელიცა არაოდეს დასცხრებოდა წირვისაგან და ლოცვისაგან, ესე იყო ფრიად მხნე ვიდრე გარდაცუალება; ამან განაშენა და შეამკო ფრიად წმიდის ნინას მონასტერი ვითა შენობითა ეგრეთვე სამკაულითა და კრებულითა.

ღირსი მამა მღვდელმონაზონი იონა ვაქირელი ქიზიყის სამთავროელი მიიცუალა სანკთ-პეტერბურხსა შინა, წლისა იყო 67-სა, წელსა 1837-სა, დღესა შაბათსა, ხოლო თუთსა დეკენბერსა 4 რიცხვსა და დაფლეს იგი ნევცკის მონასტერსა შინა.

წელსა 1838 [წ] იანვრის 17. დღესა ორშაბათსა მიიცუალა მეფის ირაკლის ასული ანასტასია, მეუღლე ერისთვის შვილისა რევაზისა სანკთ-პეტერბურხსა შინა.

წელსა 1841-ს მარტის 19-ს დღესა დიდმარხვის მექსე კვირასა გარდაიცვალა ამიერ სოფლით იმერეტის (sic.) დედოფალი მარიამ, ასული ქაცა დადიანისა, მეუღლე მეფის სოლომანისა მეორისა ს. პეტერბურხსა.“ 323—329.

2109

კრებული (სამხედრო ხელოვნება), XVIII

V+245 ფ. (490 გვ.); 19,5×15,8; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1783—ჭვ. (თარგმნილია 1784 წ.); დასაწყისში 4 ფ. და ბოლოში 5 ფ-ელი დაუწერელია; საბინინის კოლექციიდან. ძველი № 21.

1. სამხედრო ტიბიკონი „თავი ა. ვოლუნტერთათჳს.—ყმაწვილნი და მდიდარნი კაცნი, ჩინებულნი პირნი, და რომელნიმე მდაბიურნიცა, რომელთაცა აქუსთ ჰაზრი, რათა იყუნენ სამჴედროსა რასმე ხარისხსა შინა, არიან პოლკთა შინა...“ გვ. 3—179.

შენიშვნა: უძღვის: ა. თავფურცელი: „სამჴედრო ტიბიკონი, თანამდებობათათჳს ღენერალთა, ფერდმარშალთა და ყოველთა ღენარალიტეტთა, და სხუათა ხარისხთა, რომელნიცა სამხედროსა შინა სათანადო არიან ყოფად და სამჴედროთა მათ საქმეთა და ქცევათა, თუ რაჲ ვის თანა აძს. დაიბეჭდა ბრძანებითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა სანკტ-პეტერბურხს. მესამითა დაბეჭდჳთა, საიმპერატორთსა აკადემიისა სასწავლოსა შინა წელსა 1753, ხოლო ქართულსა ზედა ენასა ითარგმნა ბრძანებითა მისისა მეფობის სიმაღლის ირაკლი მეორისათა არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რეკტორის გაიოსის მიერ ტფილისს წელსა 1784“ (V r); ბ. შესავალი: „წყალობითა ღ˜ისათა ჩუენ პეტრე პირველი მეფე და თჳთმპყრობელი ყოვლისა რუსეთი-

სა და სხუათა და სხუათა და სხუათა; ვინაჲთგან ყოველთა უწყიან, თუ ვითარითა ხა-ტითა მამამან ჩუჱნმან ნეტარად და საუკუნოდ საჴსენებელმან იწყო კმარებად გან-სწავლულისა ჯარისა 1647 წელსა და მოჰსცა ტიპიკონიცა სამხედრო...“ (გვ. 1—3). გ. ერთვის ზანდუკი (გვ. 180—195).

2. „სამხედრო არტიკული, სამჴედროთა არტიკულთა. თავი პირველი. შიშისათჳს ღვთისა. არტიკული 1.—თუმცა ყოველთა საზოგადოდ და თჳთოე-ულთა ქვ̃ანეთა ჰშუჱნისთ, თჳნიერ იძულებისა...“ 204—301 გვ.

შენიშვნა: უძღვის: ა. თავფურცელი „სამჴედრო არტიკული მოკლითა განმარტე-ბითა და სამსაჯულოთა გამომეძიებლობითა, დაიბეჭდა ბრძანებითა მისის იმპერატო-რების დიდებულებისათა, სანკტ-პეტერბურღს, საიმპერატოროსა აკადემიისა სასწავ-ლოსა შინა, წელსა 1755, ხოლო ქართულსა ზედა ენასა ითარგმნა ბრძანებითა მისისა მეფობის სიმაღლის ირაკლი მეორისათა არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ ტფილისს წელსა 1784“ (გვ. 199); ბ. შესავალი: „წყალო-ბითა ღვთისათა ჩუჱნ პეტრე პირველი, მეფე და თჳთმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა.—უბრძანებთ საზოგადოდ ყოველთა ღენერალთა შტაბ ობერ და უნტერ ოფიცერთა და სალდათთა ჩუჱნთა... (200—203 გვ.). გ. ერ-თვის „ზანდუკი სამჴედროსა არტიკულისა“ (გვ. 380—397). დ. ამ წიგნს ახლავს ფორზაცი: შემდეგი ტექსტით: „სამჴედრო ა რ ტ ი ლ ე რ ი ა მოკლითა განმარტები-თა.“ სიტყვა არტილერია გადახაზულია და გასწორებულია „არტიკული“-თ.

3. ეგზერციცია „ნაწილი პირუჱლი ეგზერციციისათჳს ანუ სწავლისა.“—„ჩუჱულებითი სწავლა მოკლითა განმარტებითა, რომელიცა ჯერ არს, რათა აქუნ-დესთ ინფანტერთა, თუ ვითარ უკეთესითა ხატითა თანაადს ჴმარება თოფ-თა...“ გვ. 406—472.

შენიშვნა: უძღვის: ა. თავფურცელი იმავე შინაარსისა, როგორიც კრებულის I და II ნაწ. ერთვის „ზანდუკი ეგზერციცისათჳს“ (გვ. 475—479). ბ. „წინასიტყუაობა. წიგნი ესე სამთა ნაწილთა იპყრობს თჳს შორის...“ (გვ. 404).

2110

როარტაგი, 1788

38 ფ.; 36×26; ქაღალდი; მხედრული; სათაურები ასომთავრული სინგურით; მუ-ყაოს ტილოგადაკრული ყდა; გიორგი ალექსიძე (32 r); 1788 წ. (26 v); [თბილისი]; სა-ბინინის კოლექციიდან. ძველი № 25.

„წყალობითა ღ̃ისათა დავითიან ბაგრა[ტ]ოვან ირაკლი მეორე მეფე ყოვ-ლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა და სხჳათა დიდთა სამთავროთა.—მრავალ სა-ვალობელსა მას მამასა, რომელსა ჰკადრა...“ 1 r—32 v.

შენიშვნა: აშიებზე გამოტანილია ანტონის შენიშვნები. 5 v, 6 r.

მინაწერები: ა. „აღწერილ იქმნა როარტაგ-გუჯარი ესე, ქმნილი მისის უწმიდესო-ბისა ანტონი მამამთავრისა მიერ ყოვლისა საქართუჱლოჲსა, წელიწადსა დასაბამით-გან სოფლისა ჳსოე, ხოლო განჴორციელებითგან სიტყვისა ღ̃ისა ჩღჲზ. თთუესა აპ-რილსა კ. წელიწადსა კახთა მეფობისა ირაკლი მეორისასა კგ. ხოლო ყოვლისა ზე-მოჲსა საქართუჱლოჲსასა ვ. ქელითა ტფილისის საპატრიარქოჲსა ეკკლესიისა ანჩის-ხატისა პროთოპრეზვიტერისა გიორგი ალექსის ძისათა“. ხელრთვა. ქვემოდ: „ანტონი ძე ირაკლი მეფისა, წყალობითა ღ̃ისათა მდაბალი არხიეპისკოპოს კათოლიკოსი მცხეთისა, ქართლისა, კახეთისა, და ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, როარტაგ-გუჯარსა ამას ვამტკიცებ. ნოენბერს ია, წელსა ჩღპჱ“. ხელრთვა (ანტონ კათოლიკო-სი). 26 v—27 r. (იხ. 31 v—32 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ტექსტს ერთვის ცნობები საბა ნინოწმინდელის მოღვაწეობის შესახებ. 33 r—38 v.

გ. ახალი მინაწერი, სადაც იხსენიება „ეპისკოპოსი ალექსანდრე ნათსარი ოქროპირიძე." 37 v.

2111

კიბე სულიერი, 1735

425 ფ.; 19×14,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავნაკლული; მხედრული; სათაურები ასომთავრული სინგურით; 1735 (424 r); გადამწერი: გაბრიელ ჩხეიძე (424 r).; მოსკოვი (იქვე); დაუწერელია: 1, 2, 425. პეტ. საჯ. ბიბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 643.

„თავი ა. წიგნი ესე მცირე კიბე სულიერი, რომელ არს პირველი მიზეზი ადამის დაცემისა უგუნურებაჲ და ჭეშმარიტი თავისა თჳსისა არა ცნობა.— მრავალნი მრავლად და პირად პირადად წინა გვიდებენ..."

შენიშვნა: ერთვის 1. შესავალი თავნაკლული: „...ზნებათა ცეცხლისათა უკეთუმცა იყოს..." 3 r—18 v.

გადამწერის ანდერძი: „გარდმოიწერა წიგნი ესე ქართულად რუსულისაგან იმერეთის მეფის არჩილის ვახტანგის შვილის სახლში გაზრდილისა და დაბერებულის გაბრიელ ჩხეიძისაგან მოსკოვში. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩღლე. ვინც მიხუდეთ, თქვენის ქრისტესათვის თითოს შენდობას მიბრძანებდეთ." 424 r.

2112

კრებული, XVIII

78 ფ.; 9,5×7,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დასაწყისში აკლია; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; გადამწერი: პეტრე მგალობელი (22 v); დაუწერელია: 23—24, 72—78 ფ.ფ.; პეტ. საჯ. ბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 645.

1. „გალობანი სავედრებელნი უფლისაჲ ჩუ̃ნისა იესო ქრისტესნი. ბერძულისაგან რუსულად თქმულნი, ხოლო რუსულისაგან ახლად ქართულად თარგმნილი საქართველოს მეფის არჩილის ძის ალექსანდრეს მიერ, საუკუნოჲმცა არს საჴსენებელი და კურთხევა მისი. ჴმა ბ გ̃ი უ̃გ, ზღუაჲ მეწამ[ული]..." 8 r—22 v.

2. „იბაკონი წმიდისა ღ̃ის მშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების, ხოლო ბერძულად აკათისტოჲ, ზეშთამბრძოლისა ჩემთვის..." 25 r—71 r.

შენიშვნა: მინაწერი „ქრისტე შეიწყალე მგალობელი პეტრე. ამინ..." 22 v.

2113

იოანე ოქროპირი—„კლიტე", 1820

131 ფ.; 22×16,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1820 წ. (124 v); დასაწყისში 3 ფ. და ბოლოში 3 ფ. დაუწერელია; პეტ. საჯ. ბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 648.

„წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა თქმულთაგან, ღთ̃ივ სულიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების კლიტე.—სწავლა ა. სარწმუნოებისათვის მართლისა. ღმერთი მაცხოვარი ჩუჱნი უფალი დიდებისა იესუ ქრისტე სახიერი მოძღუარი უბრძანებს წმიდათა თვისთა მოწამეთა და მოციქულთა...“ 2 r—124 r.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის საძიებელი (124 r—v).

მინაწერი: „სრულ იქმნა სადიდებლად სამებისა წმიდისა. ამინ; 1820 წელსა“ (124 v).

2114

სულხან-საბა ორბელიანი—სიბრძნე სიცრუისა, XVIII

121 ფ.; 15×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაური სინგურით; [XVIII ს.]; პეტ. საჯ. ბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 649.

„წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა.—იყო ჴელმწიფე ერთი, რომლის საქმენი არავისაგან მოიგონებიან...“ 2 r—118 r.

2115

არითმეტიკა, XVIII

71 ფ.; 20×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII ს.]; დაუწერელია: 1—3, 68 v—71 v; თარგმნილია ფრანგულიდან; მთარგმნელი: დიმიტრი ციციშვილი (4 v); პეტ. საჯ. ბიბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 652.

„წილი პირველი, სწავლა არეხმეტიკის.—არიხმეტიკასა აქვს თვისი სახელი ბერძნულის სიტყვიდამ, არიჲმოს, რომელ არს ქართულითა ენითა რიცხვი ანუ სათვალავი...“ 5 r—68 r.

ანდერძი: „მის ბრწყინვალედ შობილისა, ნათლად გამოჩენილისა და კვალად ღ̃თისაგან გვირგვინოსანისა, მეფეთა რტო- დავითიანისა და თვით მეფისა სიბრძნითა მგზავსი თვის ნათესავის სოლომონისა, მხედრობითა გიორგისებრისა და შვენიერებით იოსებისა, სიმხნითა გმირთა უწინარესთა უგძირესისა, ენა ტკბილ კეთილ მეტყველისა, უხვად მოწყალის, ძლიერთა მეფისა ძისა და თვით საქართველოს მეფის ბაქარისა—მეუმრწამესმან მათმა მონამან დაჯერედ ნაკლულევანმან მათის სიმაღლის სამსახურისამან, სიტყვითა ვერ ძალვიდე თქმა ქებისა მათისა და აღვწერე რიცხვებითა და საძირკველებით არეხმეტიკისათა. უწყოდი, რამეთუ მათი მეფობის სიმაღლე არა მიიღებს დაუმწიფებელსა ნაყოფსა; მოიხსენოს, ვითარ მდიდრად მიიღებს მიუწდომელი ღმერთი ჩვენ უნდოთა კაცთა მიერ მცირედსა შესაწირავსა, და ეგრეთ ხამს ქვეყნიერთა მეფეთაგან. ამისთვის ვითხოვ წყალობად, რათა ათუთხმეტის წლის აღ[ო]რძინებულის ხისა ნაყოფი მცირედითა შეწყნარებითა მიიღოს. თანამდებ ვიყავ შეწირვად მათის სიმაღლისა მიმართ უდიდესისა შესაწირავისა, ხოლო ვერ ძალმედვა უმეტესისა შეწირვა ამისთვის, რამეთუ წლისა ათუთხმეტისა ჯერედ სრულ არ ვიყავ. და სწავლასა შინა მყოფ ვიყავ წლისა ოთხისა, როდეს აღვწერე რიცხვი ესე რჩე[უ]ლი და საყოველთაო. ვთარგმნე ფრანგულის ენისაგან, რომელსა რომაელნი სახელ ზდებენ ტევტონიკა—და ქალაქსა ვიტენბერგს დაბეჭდილისაგან. ესე მცირედი სამსახური შევბედე მათი მეფობის სიმაღლეს. და უფლისა ჩემისა მიერ ვითხოვ, რათა მეფობამან მათმან კეთილად მიიღოს.

მათი სიმაღლის უკანასკნელი მონა დიმიტრი ციციშვილი.“ 4 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2116

არჩილ მეფე—არჩილიანი, XIX

273 ფ.; 32,8×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; XIX საუკ. (ჭვირნიშანი 1814); დაუწერელია 150 v, 151 r—v, 272 r—v, 273 r—v; პეტ. საჯ. ბიბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 653.

„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა".—
სამგუამოვანო ღ̃თაებავ, ერთმანერთს არ შემდგომისო,
მამავ მშობელო ძისაო, გამომავლენო სულისო..."

შენიშვნა: 1. არჩილის ამ კრებულში არ შესულა: „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი."

2. ხელნაწერი წარმოადგენს დაუთ თურქესტანიშვილის მიერ გადაწერილი ნუსხის პირს.

3. მინაწერი: „საიდამაც ეს დედანი გარდმოვწერეთ, აღწერილ იყო იგი მოსკოვს მაისის ა ქ̃ს ტუზ, ბრძანებითა მეფის არჩილისათა" 1 v. (შდრ. არჩილიანი, I, 1936 წ. გვ. X—XI).

2117

ანტონ პირველი კათალიკოსი—წყობილ-სიტყუაობა, XIX

148 ფ.; 20,2×15,8; ქაღალდი; ტყავგადაკრული, ოქროთი ტვიფრული მუყაოს ყდა; ყდის შიგა მხარე და საცავი ფურცელი დაფარულია იისფერი აბრეშუმით; დაუწერელია პირველი საცავი ფურცელი და 145—149; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; (ჭვირნიშანი 1818); პეტ. საჯ. ბიბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 654.

„წიგნი. ნაწილი პირუჱლი ღ̃თისმეტყუჱლებისათჳს, თავი ა, თჳს სამებისა და ერთობისა.—ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ.
ზესთნათლოვანი ერთობა სამ-პირებით..." 10 r—133 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთ-ტაეპოვანთა სტიხთა, ანუ შაირთა. ქმნილი გაიოსის მიერ, არხიდიაკონისა:—
წინსიტყუაობით შეყუანილებათა რა ვაწინმდებარებთ ანტონი ყოვლად ბრძნისთა..." 1 r—3 v.

2. „პინაქსი წყობილსიტყუაობისა. ნაწილი პირველი." 4 r—9 r.

3. დართული აქვს: „ეპიტაფია უნეტარესისა და უწმიდესისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა კათოლიკოს-პატრიარხისა ჩვენისა, უწმიდესისა სინოდისა დავითიან ბაგრატოვანისა მეფის ძისა ანტონისი, დიდასკალოსისა და დირექტორისა ყოვლისა ივერიისა და ყოველთა საქართუჱლოჲსა სემენარიათა. ქმნილი უღირსისა მოწაფისა მისისა იოანე ოსეს ძისა მიერ, ხუცისა და იკონომოს-დეკანოსისა, ტფილისსა შინა სიონისა, ფებერუალსა თთუჱსა, დღესა 29, წელსა 1788 ჩღპჱ.—ნამდვილ არავინ მკადრე იქმნას შენდამი..." 133 v—144 v.

4. ბოლოში დართულია 5 სტროფი აკროსტიხი: ა. „ვახტანგ," ბ. „კათოლიკოსი ანტონი დავითიანი, მეფისძე." გ. „იოანე ოსესძე ხუცესი დეკანოსი."

„სრულ იქმნა სადიდებლად ღ̃თისა და საქებელად წმიდათა მისთა." 144 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2118

ყარამანიანი, 1813

218 ფ.; 35,3×23; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1813 (ქვირნიშანი 5—6 ფფ.); ბოლო ნაკლული; დაუწერელია: 216 v—218 v; პეტ. საჯ. ბიბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 655.

„ანბავი ყარამანისა, სპარსულისაგან ქართულსა ენასა ზედა გარდმოთარგმნილი ორბელიანის სარდლის ქეშიქჩიბაშის დავითისაგან. თუმცა არა რიტორთა ენითა შეწყობილ არს, მაგრამ ამისთვის დავშვერ თარგმანსა ამას ზედა, ვინათგან წიგნი ყარამანისა ქართულს ენასა ზედა აქამომდე არა იპოვებოდა. და [ა]წ ვისაც უკეთ გაკეთება გნებავსთ, კარგათ გამართეთ და უცოდველ იყვენით ყოვლითურთ.—პირველ ჟამად სპარსეთშიგან იყო ჴელმწიფე დიდი, რომელსა ეწოდებოდა თახმურად, ესე იყო მაღალი და [ა]ღმატებული ყოველსა ზედა სპარსეთსა...“ 1 r—216 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...შენ ქუეყნის პყრობელო ჴელმწიფევ შარივარ, ამდენი წელიწადია მე ქუეყანაზედ კარგის ცხოვრებით ვიცხოვრე. დაბოლოს კიდევ სიკუდილმა კალთა დამიჭირა, მრავალს ვეცადე იმისგან დახსნასა, მაგრამ წამალი არა დაშედვა რა და ჩემი სიცოცხლის დასასრული სიკუდილივე იყო.“

2119

ქილილა და დამანა [საბასეული რედაქცია], 1813

333 ფ.; 31,5×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; პეტერბურგი (331 r); იერომონაზი ეპიფანე (331 r); 1813 წ. (იქვე). პეტ. საჯ. ბიბ-კის ძველი ფონდიდან. ძველი № 656.

„კარი პირველი ქილილა დამანასი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანი მეფის ვახტანგისაგან:—

მეც მივყევ სპარსთა ზღაპარსა თარგმანებისა მგებართა,
არავინ მიშვებს გარეგან, მთათა და გინა მე ბართა.“ 2 v—331 r.

შენიშვნა: დართულია გადამწერის ანდერძი: „მისის უმაღლესობის საქართუელოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან იძულებულმან აღვსწერე წიგნი ესე, რომელ არს ქილილა დამანა სამეუფოსა ქალაქსა პეტერბურღს, ლავრასა შინა წმინდისა ალექსანდრე ნეველისასა, გარნა არა ძალმედვა, მაგრამ აღმიკრძალმდა მათის უგანათლებულესობის ჩემდამო სხვა და სხვა უხვნი მწყალობლობანი და უმეტესად სიყვარულნი და ამისთვი ურჩ ველარ ვექმენ, აღვწერე თთუესა ნოენბერსა 14, წელსა 1813, იერომონახმა ეპიფანემ.“ 331 r.

2120

სახარება (ბიჭვინტის), XII

230 ფ.; 31×23; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის დაზიანებული ყდა; დაშლილი, შიგა და შიგ აკლია; თითოეული ფურცლის აშიები შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვეთილია, ზოგან ტექსტიც დაზიანებულია; [XII ს.]; ილუსტრაციები: 2. პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 1.

[სახარება მათესი]... „იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა, და ვიდრე შერთვამდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა...“ (მთ 1_{18}). 1 r.

შენიშვნა: ა. ბოლოში დართულია სამი ფურცელი სხვა ხელით შესრულებული ტექსტი [თვენიდან].

ბ. ხელნაწერი მოთავსებულია სპეციალურად შემზადებულ ტყავის შესახვევ ყდაში, ინახება მუყაოს ყუთში, ხელნაწერის ყდის ვერცხლის 2 ფირფიტა დაკრულია ყუთის ზემო და ქვემო ნაწილზე. ზემო ნაწილის ფირფიტაზე არის ჯვარცმის გამომხატველი მოჭედილობა წარწერით: „მიქელ. გაბრიელ. ჯვარცმა, ყოვლად წმიდა იოანე ოქროპირი. [ქ. პატიოსანო: დიდო: ბიჭვიტის: მღთის: მშობელო: თქვენ: შევაედრეთ: და შეწევნითა თქვენითა: მეთესა (sic): და: დადიანს: წინ: გავიმარჯვეთ: გურიელსა: და: ლიპარი: დადიაზედა: და: ამისთვინ: მოვაჭედინეთ ეს: პატიოს[ა]ნი: ს[ა]ხ[ა]რება: ქ. ჩი: ადამიანთა: ძეთა: დამყარებულო: და: სერობინ:. ქერობინთა: ღაღ[ა]დობითა: ცათა: აღმ[ა]ღლებულო: ყოველსა: ჟამსა: სადიდებელ და: საგ[ა]ლობელო: და: დედ[ა]: ქალაქისა: დიდო: ბიჭვინტისა: მღთისა: მშობელო: და ჯვარო: პატიოსანო:. ყოვლთა: ქრისტიანთა:. შესაკადრებელო.: შეწევნითა: თქვენითა.: ესე:. პატიოსანი:. დიდი:. სახ[ა]რება:. მოვაჭედინეთ: ჩ̃ენ: შარვაშიძემა:. სოლომ[ო]ნ და:. ძემ[ა]ნ:. ჩუენმა: აზრ[ა]ყან:. თქვენდა: სადიდებლ[ა]დ:. და: ჩუენდა:. სადღეგრძელოდ: და: არზ[ა]ყანისა:. აღსაზრდელად: და მას: საუკუნოსა: ჩუენისა: სულისა: სახსრ[ა]დ: და: საოხად:. დაგვიხსენით: დღეს[ა]: ამა: დიდს[ა]: განკითხვისასა: რათა: ვიხარებდეთ:. ყოვლსა: დღეს: ცხორების: ჩვენისასა...“ ნუსხურით „მიქელ. გაბრიელ. აღდგომა.“ (აღდგომის გამოსახულება).

გ. მინაწერები მხედრული ხელით: 1. [ქ. ჩიი შენ, ც[ა]თა საწოროო ბიჭუტისა მღთისმშობელო, ჩუენ შარვაშიძემ[ა]ნ საუსტნ შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი —ერთი გოგო, ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლ[ა]დ და სავარეხის აღსაზრდელ[ა]თ... (წაშლილია). ქ. ჩი შენ, დიდათ შვენიერო და ც[ა]თა აღმ[ა]ტებულო, შენ ბიჭვიტის მღთის მშობელო, ჩუენ შენმ[ა]ნ მონდობილმან და მოსავმან შარვაშიძემა საუსტნ შემოგწირეთ ესე მცირე შემოსაწირავი გაიჩქინდი ხუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა სადღეგრძელოდ და გას[ა]მარჯვებ̃ლ[ა]დ და ძისა ჩუენისა ს[ა]ვარეხისა აღსაზრდელ[ა]დ და მას საუკუნოს ჩუენის ცოდვილის სულის საცხოვნებლად და საოხად, ოდეს მოვიდეთ სუფევითა შენითა.“ იქვე, სხვა ხელით: „ქ. ეჴ ც[ა]თა უმ[ა]ღლისა და ქ[ე]რაბინთ უჯესთესა ყულწმინდავ (!) ბიჭ[ვინ]ტისავო ღმთ[ი]ს მშობელო, შამ[ო]გწირეთ მცირე შესაწირავი ჩვენ ბაგრატმან შარვაშიძემან სუსტანმან ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად ჩვენი შვილი[ს] ს[ა]ვარ[ე]ხ[ი]სა ერთ დიდ გვამსწრეთ (!)“ 1r

2. მინაწერი გვიანდელი მხედრულით: „წელს ჩყიბ 1812 იანვრის ა. მოვედი თაყვანის ცემად და განსახილველად წმიდისა ამის ეკლესიისა მე პროთოპოპი იოანე იოსელიანოვი მეუღლითა ჩემითა, ინალისშვილისა ასულისა ასტანდრისითა, და ძეთა ჩემითა ვასილ და ალექსისათა. წარმიმართე ღვთისმშობელო განზრახუანი...“ 8 r.

3. იოანე მახარებლის გამოხატულების ქვეშ მინაწერი: „იოანე მახარებელო, სადაც წავიდეს, გაუმარჯვე ხახუ ქარცხიას.„ მეორე გვერდზე „..[ღუთის]მშობელო შეიწყალე ხახუ ქარცხია სულითა და ხორცითა, მისი ცოლშვილის სიბერე შამოას[წ]არი. ამინ. ვინც შენდობა ბრძანოთ და წაიკითხოთ, ღმერთმან თქვენცა შეგინდოს...“

2121

სადღე სასწაულო, 1748

281 ფ.; 32,3×22: ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაშლილი; დასაწყისი აკლია; ნუსხური, სათაურები სინგურით; 1748 წ.; გადამწერი: ნიკოლოზ (140 r, 265 r). პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ქმნა მოგზაურსა საგრობასა მისსა და მოიწია ადგილთა ამათ, რომელსა ეწოდების ალავერდი...“ 1 r—280 r.

შენიშვნა: 1. ანდერძი: „მე ფრიად. ცოდვილმან და ყოველთა მონაზონთა უნარჩევესმან წინამძღვარმა სვიმონ ვისურვე წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი ქართველთ წმიდათ მამათ ცხოვრება, და ავაწერინე სიონის დეკანოზის შვილს ნიკოლოზს და შევწირე წმიდის დოდოს უდაბნოსა. ვინც ამ წიგნს ჴელათ მიიღებდეთ, შენდობას გჳბრძანებდეთ სიყვარულისათვის ღვთისაჲ. წმიდანო მამანო, ვინცა ესე წიგნი იმ მონასტრიდამ წაიღოს და გამოაჴვას, მასმცს რისხავს წმიდა დედოფალი ღ̃ისმშობელი და რანიც წმიდანი ამაში სწერიან. დაიწერა მეფობასა მეფის თეიმურაზისასა და ძისა მისისა კახთ მეფისა ერეკლესსა, ტფილელობასა ამილახვარის ძის ათანასისსა, ქრისტეს აქეთ ჩღმ͞ჲ ქ̃კს, ოლვ“ (280 r).

2. ხელნაწერში შესულია შემდეგი საკითხავები: 1. ამბა იოსებისა, 1 r—2 v. 2. წმიდა ბიძინასი 2 v—15 r. 3. სუეტიცხოვლისა 15 v—54 r. 4. შუშენიკ დედოფლისა 54 r—60 v. 5. დავით და კოსტანტინესი 61 r—66 r. 6. კოსტანტინე ქართველისა 66 r—70 v. 7. აბიბოს ნეკრესელისა 70 v—73 r, 8. წმიდა გობრონისა 73 r—78 v, 9. ილარიონ ქართველისა 78 v—95 v. 10. პეტრე ქართველისა 95 v—100 r. 11. წმიდა აბოსი 100 r—112 v. 12. წმიდა ნინოსი 113 r—140 r. 13. ლუარსაბ მეფისა 140 v—144 v. 14. იოანე ზედაზნელისა 146 r—163 r. 15. წმიდა დოდოსი 164 r—168 v. 16. დავით გარეჯელისა 169 r—189 r. 17. წმიდა შიოსი 200 r—218 r. 18. ევთვიმი მთაწმიდელისა 219 r—244 r. 19. ევსტათი მცხეთელისი 244 r—252 r. 20. წმიდა რაჟდენისი 252 r—258 v. 21. ისე წილკნელისა 259 v—265 r. 22. ყოვლად წმიდის ღ̃ის მშობლის მიცვალებისა 265 v—281 v.

შდრ. H: 2077, რომელიც ერთ-ერთი ნუსხა უნდა იყოს H:2121-ს.

2122

სახარება—ფრაგმენტები, XIV

12 ფ.; 28,4×19; ეტრატი; ნუსხური; [XIV]; უყდო; დაზიანებული; ილუსტრაციები 1 v, 2 v, 2 r. „კამარანი“: პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 7.

1. „[ხოლო გეტყჳ თ̃ქნ, ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მიმართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღ̃ისათა“. (ლკ. $12_{,8}$).

წ ყ დ ე ბ ა: „და მოუწოდა და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელ მესმის შენთჳს, მომეც მე სიტყუაჲ სამნოჲსა...“ (ლკ. $16_{,2}$). 10 v.

2. „მაშინ ჰრქუა იესუ: წარვედ ჩემგან მართლ უკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს...“ (მთ. $4_{,10}$). 11 r.

წ ყ დ ე ბ ა: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გუ[ლითა], რამეთუ [იგინი] ნუგეშინის [მიცემულ იქმნენ].“ (მთ. $5_{,4}$). 11 v.

შენიშვნა: ა. მათე მახარებლის სურათის ქვემოდ მიწერილია: „ესე ოთხნი მახარებელნი და ზემოჲთ კამარანი დაიხატნეს ჴელითა ავგაროზ ბ̃ანდაჲსძისაჲთ, შენდობა ყავ[თ]... 2 v. დასახელებული მხატვარი ავგაროზ ცნობილია 1365 წელს (მინაწერი A: 575). [იხ. თ. ჟორდანიას აღწერილობა].

ბ. ეს ფრაგმენტი წარმოადგენს H: 2125 ხელნაწერის ნაწილს, ტექსტის ხელიც იგივეა და მინაწერებიც ერთი და იმავე პირის მიერ არის შესრულებული. მინაწერში მოხსენებული ოთხი მახარებლიდან ხელნაწერ ფრაგმენტში მხოლოდ ორია, მეორე ორი კი დაცულია H: 2125-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. მინაწერი: „სულსა ქუწნიფნეველისა ბურდაჲსშვილისა დავითისსა შ˜ნ ღ˜ნ., სულსა მისისა მ˛ულლისა დაბდაჲსსა შ˜ნ. ღ˜ნ. სულსა... სიაოშ და იაგ˜ნსსა შ˜ნ [ღ˜ნ]." 12 r.

იქვე: „შემოუწირ[ა]ვს წმიდა გიორგისათჳს მამას[ა]ხლის[ის] შვილის წიგნები: ორი ჟამნი, და ერთი კურთხევანი, კონდაკი ერთი, და სტიხარი და სწყ[ა]ლობდი წმიდავ გ˜ორგი ქ[ა]შოეთის[ა]ო, მიეც ყმა შვილი გ[ა]სახარელი. ა˜ნ. უ˜. ღ˜ო." 12 r.

გაურკვეველი მინაწერი მხედრული ხელით 12 v.

2123

საგალობელთა კრებული (ჭილ-ეტრატი), IX

313 ფ.; 11,2×10; (ჭილი—194 ფ., ეტრატი—129 ფ.); ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ხელნაწერი აკინძულია სამ წიგნად; ნუსხური, სათაურები სინგურით; IX-ს (Литург. Груз. пам.; К. Кекелидзе, 1908 г., стр. 351): ადგილი: სინას მთა; შიგადაშიგ ფურცლები დაზიანებულია; თავ-ბოლო ნაკლული; პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 11.

1. 2123 ა: „...ჩ˜ნ ვოყით (?) ძალნი ვიკადრებთ ქებასა და ულირსითა შევსწირავთ ბაგითა, ვითარ განუსხნი განზრახვით გარდამოსლვასა შენსა მაღლით მამისა მიერ ჴორცთა შესხმად..." 1 r—119 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...იგივე ფსალმუნი, კეთილი უყავ, დასდებელი მიწყალემ..."

2. 2123 ბ: „მერვესა ორშაბათსა აქებდითსა ჴ˜ჲ. გ˜. გ˜ი.—გაქებთ, შენ, დაუსაბამოსა მამასა, შემოქმედსა ყოველთასა, რომელმან... სიტყუითა ქუენაჲ წყალობათა ზედა დააფუძნა..."

წ ყ დ ე ბ ა: „...რომელმან მათსა წმიდასა საიდუმლოჲ მოსეს მაშუალი (sic) გამოუცხადა, ვითარმედ შემდგომად შობისა ქალწულივე ეგოს..." (გაგრძელება III წიგნში) 120 r—219 v.

3. 2123 გ: „უნებლად და აქა სიონს ღირს მოყვანა ჩ˜ნ გალობად ყოვლად წმიდისა საჴსენებელსა შენსა..." 220 r—313 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...დაადგა... სამსა... დღესა... დიდსა... თა [ს]ახარება..."

შენიშვნა: ეს ხელნაწერი სინას მთიდან წამოიღო პორფირი უსპენსკიმ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მანვე ის სამ წიგნად შეაკინძვინა, ხელნაწერის ყუაზე გაუკეთა წარწერა „CODEX ACTIOPIUS PAPYRACEUS PARS I" იქვე ქვემოთ A. Porfirius. პროფ. ალ. ცაგარელმა პირველად გაარკვია, რომ აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენს ქართულ საგალობელთა კრებულს. ამის საფუძველზე პორფირი უსპენსკის თავის საკუთარი ხელით ჩაუწერია ხელნაწერის პირველ საცავ ფურცლის r-ზე: Эти три книжицы на папирусе грузинския, богослужебныя, но не Евангелье и не Апостол, и не Псалтирь. Е. Порфирий" 2123 ა.

ბიბლიოგრაფია. 1. Проф. Цагарели, Свед. о памятниках груз. письм., вып. II, С. Петерб., 1889 г.

2. Кор. Кекелидзе, Литург. груз. памятники..., 1908 г. стр. 350—352.

3. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1941 წ., გვ. 545.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2124

იოანე ოქროპირის ცხოვრება, 968

257 ფ.; 15×12; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; 968 წ. გადამწერი: ივანე საფარელი; ადგილი: სინას მთა (256 r); იოვანე ოქროპირის გამოხატულება 1 v.; პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 13.

„თავი და დაწყებაჲ ცხორებისა.—ესე იოვანე ბრძენი საკვირველი, რჩეული და პატიოსანი, იყო ანტიოქიაჲთ ქალაქით, რომელ არს ასურეთისაჲ...“ 5v—255r.

შენიშვნა: ა. ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა „ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა და მოძღურისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკულავისა მის განთიადისაჲ, მამისა ჩ῾ნისა იოვანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელის მამადმთავარისაჲ.—ყოველთა მთხრობელთა ძუელისა შჯულისათა თქუეს, რომელ იგი იყო უწინარეს მათისა, ზოგთამე სმენითა და ზოგთამე ხილვითა. მოსე დიდმან წინასწარმეტყველმან უთხრა შესაქმე სოფლისა და არათუ დახდომილ იყო იგი შესაქმესა მას, გინა ეხილვა, არამედ უწყებითა ღ῾თისაჲთა დაწერა. და შემდგომად ამისა დაწერა სახარება წიგნი „გამოსლვათაჲ“ რომელი აუწყებდა გამოსლვასა ნათესავთა მისთასა ეგჳპტით და განთავისუფლებას მათსა ფარაოჲსგან. და ზოგი ესმინა ჰურიათაგან, რომელნი იყვნეს უწინარეს მისა. ხოლო უმრავლესი ეხილვა თუალითა თჳსითა და შემდგომად მისა სამნი წიგნ[ნი სხუანი გამოიხუნა შჯულად ჰურიათა, ვიდრე მიწევნამდე სიკვდილისა მისისა.

და კუალად შემდგომად ამისა სხუათა თქუეს, რომელი იქმნა ჟამთა იესუ ნავესთა და მსაჯულთა საქმენი, და ბრძოლანი ჰურიათა და წარმართთანი. და მათსა შემდგომად სხუათა აღწერნეს საქმენი მეფეთანი და წინასწარმეტყველებანი კაცთა წმიდათანი, და წიგნიცა იგი ფსალმუნთაი და სიბრძნეც და იგავთაჲ და კუალად განსაცდელნი, რომელნი შეემთხჳნეს ჰურიათა, სპარსთა და მიდელთა და ბერძენთაგან. და მრავალნი სხუანი თხრობანი იპოებიან ძუელთა წიგნთა შინა, რომელნი აღწერნეს ყოველთა ჟამთა, რათა იცნობოს თითოეულად ჟამი შემდგომითი შემდგომად. და კუალად ამისა შემდგომად გამობრწყინდა დიდებული მოსლვაჲ იესუ ქრისტესი, ვითა ზაფხული, რომელმან იგი განდევნა სიბნელე ზამთრისაჲ და დაჰხსნა სიცბილი უკეთურითაჲ, და განაბრწყინვნა გულნი მორწმუნეთანი, და აღიწერა მოწაფეთაგან და მახარებელთა. და შემდგომად ამისა გამოჩნდეს მოწამენი ჭეშმარიტებისანი, და მართალნი, და ღირსნი მრავალნი, და აღიწერა სათნოებაჲ და ცხორებაჲ და მოღუაწებაჲ მათი მოსწრაფეთაგან, რომელნი იყვნეს ჟამთა მათთა სადიდებლად ღ῾თისა და რათა მიემსგავსნენ გზათა მათთა. და ესე ყოველი, რომელი ვაჴსენეთ, არაჲ თუ ცუდად რაჲმე, არამედ ამისთვის, რამეთუ მეცა მეგულების აღწერად საქმენი ყოვლად წმიდისა და მოძღურისა ყოვლისა სოფლისა და მთიებისა მის განთიადისა, ნეტარისა იოვანესნი, რომელმან იგი განაგო და შეამკო საყდარი კონსტანტინეპოვლისაჲ ჟამთა არკადის და ონორის მეფეთასა, სარგებელად მსმენელთა. ხოლო მე არა რაჲ ვიხილე ამათგანი, არამედ შევკრიბე და შევაერთე მათ მიერ, რომელთა აღეწერა; და უმრავლესი ამათ თქმულთაგანი პალადიოს ებისკოპოზისაგან ვისწავე წიგნთა მისთაგან, რომელი მიეწერა მას თეოდორე დიაკონისა და, რომელი იყო ჰრომისა ეკლესიისაჲ, რამეთუ ებისკოპოზი იგი დახდომილ იყო მათ ჟამთა კოსტანტინოპოვლეს და მეცნიერად გულისჴმა ეყო ყოველი, რომელი ქმნულ იყო მათ ჟამთა, და უკუანაჲსკნელ დაუტევა ქალაქი თვისი და ებისკოპოზობაჲცა, რამეთუ არა ინება შეწყნარებაჲ მათი, რომელნი აღდგეს ნეტარსა იოვანეს ზედა და უჯეროდ განკუეთეს იგი და შეაჩუენეს, არამედ უფროჲღა თავნი მათნი შეაჩუენნეს. და ზოგნი ვისწავენ მღდელთაგან წმიდათა და ერისა კაცთაგან ღირსთა, და ფიცით მარწმუნეს მე და თქუეს, ვითარმედ ყოველი ესე, რომელი გითხართ შენ, ვპოეთ აღწერილი. რამეთუ კაცი ესე იყო საყუარელ და საწადელ ყოველთაგან, ვ῾ს არა ხოლო კაცთა ჰნებავნ სმენად ცხორებაჲ მისი, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცაიწერიან წიგნსა. და ზოგი ვისწავე სუკრატოჲს მიერ და სხუათა მრავალთაგან. ხოლო მე რაჟამსცა წარვიკითხე ესე ყოველი, ჯერ მიჩნდა, რათამცა შევკრიბენ ესე ვითარნი სათნოებანი და შევაერთენ ურთიერთას, ვითა ჯაჭუნი ოქროჲსანი, და არა ვინებე დატევებაჲ მათი განბნეულად და განყოფილად, არამედ გაუწყე თქუენ ესე ყოველი ერთსა წიგნსა შინა. და არათუ მე შერაჲმეურთე თავით ჩემით წიგნსა ამას და დალაცა თუ მცირედ არს და შეურაცხ თხრობაჲ ესე სიწმიდესა და ღირსებასა მისსა თანა, ხოლო არს მას შინა ძალი და უწყებაჲ, რომლითა შეიწყნარონ იგი მადლობით განგებისათვის ამის წმიდისა.

და რომელი შური და მოსწრაფებაჲ აქუნდა სულიერებისათვის, და უბიწოდ ცხორებისა მისისათვის, და ვითარ იგი ზრუნვიდა ცხორებისათვის კაცთაჲსა მსგავსად წმიდისა პავლე მოციქულისა ყოვლისა შინა, რამეთუ თარგმნიდა წიგნთა და განჰმარტებდა, რომელსა მრავალნი ვერ გულისჴმაჰყოფდეს. და იყო იგი მქადაგებელი სინანულისაჲ, ვითა იოვანე ნათლისმცემელი; და აქუნდა მას მოწყალებაჲ და სიმშჳდჱ, ვითა დავითს წინასწარმეტყველსა; ხოლო შური საღმრთოჲ მოეპოა მას, ვითარცა ელიას, რომლისათვისცა ღირს იქმნა ამათ ყოველთა თანა სიხარულსა მას წარუვალსა მიმთხუევად.

ხოლო ამიერითგან ვიწყო და მოგითხრა თქუენ სიჩჩოჲთგან ჰასაკისა მისისაჲთ და სულიერად განგებაჲ მისი და ღირსად ცხორებაჲ, ვითარ იგი ვპოე აღწერილ წიგნთა შინა მრავალთა, რომელთა იგი აღწერეს უწინარეს ჩემსა ესე ვითარითა უწყებითა შუენიერად ესრეთ.“ 2 r—5 v.

ბ. **გადამწერის ანდერძი:** „დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო და ცხოველო, რომელმან სრულ ჰყავ საქმჱ ესე ჴელითა ჩემ ცოდვილისა და უდ[ე]ბისა ი ვ ა ნ ე ს ა ფ ა რ ე ლ ი ს ა ჲ თ ა სადიდებელად სახელისა შენისათჳს წმიდისა ამინ.“ 255 r. (ნაწერია ასომთავრულით).

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისაჲთა მეოხებითა წმიდისა ღ̃თისმშობლისაჲთა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა, მადლითა წმიდისა აღდგომისაჲთა, მეოხებითა წმიდათა და მთავარანგელოზთაჲთა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა, ღირსთა მღდელთმოძღუართა, წმიდათა მოწამეთა და ნეტართა მამათაჲთა; და მეოხებითა წმიდისა და წინასწარმეტყუელთა შორის დიდებულისა მოსესითა, და ყოველთა წმიდათა ნებისმყოფელთა ღ̃თისათა მე მ ი ქ ე ლ ხ უ ც ე ს მ ა ნ ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ მ ა ნ უცებმან ცნობითა და უგუნურმან გონებითა და უნარჩევესმან ყოველთა მონაზონთა გულსვიდგინე მოგებად ამის წიგნისაჲ, და დავაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა ი ვ ა ნ ე ს ა ფ ა რ ე ლ ს ა სალოცველა[დ] სულისა ჩემისა ცოდვილისად და სულისა მშობელთა და ნათესავთა ჩემთა ცოცხალთა და გარდაცვალებულთათვის: და შევწირე წმიდასა მთასა სინასა, საყოფელსა წმიდისა მოსესა, სადაცა მე თვით მკჳდრ ვიყავ. მონანო ღ̃თისანო, ვინცა იმსახურებდეთ, ლოცვასა წმიდასა მოგჳჴსენენით, რათა თქუენცა უფალმან შეგიწყალნეს, ა̃ნ“ 255 v—256 r.

„მე გლახაკი და უდები და ფრიად ცოდვილი მწარალი ამისი ი ვ ა ნ ე ს ა ფ ა რ ე ლ ი და სულიერნი ძმანი ჩემნი [ი ვ ა ნ ე], ზ ა ქ ა რ ი ა კ̃ე კ̃ე და კ̃ე ლოცვასა წმიდასა მოგჳჴსენენით, ვინცა იმსახურებდეთ ამათ წიგნათა, რათა თქვენცა უფალმან შეგიწყალნეს. ა̃ნ.

და რომელ დამეკლოს, შემინდვეთ ღ̃თსათვის, დიდსა სწრაფასა და უძრულებასა შინა დავწერე სიყუარულითა ძმისა ჩემისა მიქაელისითა. ძმაო და ნათელო ჩემო, ნუ დამივიწყებ ლოცვასა.

დაიწერა ესე წმიდაჲ წიგნი იოვანე ოქროპირისაჲ ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოღუაწისა და მოწამისასა.

დასაბამითგანნი წელნი იყვნეს **ხფობ** (6572), ქრონიკონი იყო **რპჱ** (188+780=968). ქრისტე, შეიწყალე მწერალი, მკითხველი და მსმენელნი“ 256 r—v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. მინაწერი: „სულასა კოცოაძესა კირილესა და დე[დ]ა-მამათა მისათა, და ძამათა მასათა, და დათა მისათა, ყოველთა ალაშენონ, ვინცა შენდობა ბრძანოთ. ქ˝ნ. შ˝ნ. ღ˝ნ. (ულამაზო ნუსხურით მიწერილი).

დ. მინაწერს წინ ერთვის ორი სტრიქონი არაბული ტექსტი.

2125

სახარება—ოთხთავი, XIV

154 ფ.; 28,4×19; ეტრატი; ნუსხური; [XIV ს.]; უყდო; დაშლილი, დაზიანებული ფურცლების ზემო ნაწილი 1—8 ფ. დაცრეცილია; ნაკლული, აკლია შიგადაშიგ და ბოლოშიც: გადამწერი: გიორგი თაბაური (76 r); ილუსტრაციები და თავკაზმულობა 1 r, 3 r, 43r, 42 v. პეტ. საჯ. ბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 15.

„სახარება მათესი თავი—წიგნი შობისა [იესო ქრისტესი] ძისა დავითისა ძისა აბრაჰამის[ი]...“ 1 r—156 v.

წ ყ დ ე ბ ა: „და მოვიდა პირველად საფლავად და შთახედნა საფლავსა: მას და იხილნა ტილონი...“ იე 20_5.

შენიშვნა: ხელნაწერს დაუცავს მინაწერები ნუსხურით: 1. „ერისთავთ ერისთავსა ვირშელსა გაუმარჯოს და ცოდვანი შეუნდნეს ღ˝ნ, სულსა დედისა მ[ა]თისა მნათობისასა შეუნდნეს ღ˝ნ“ 41 v. (გადამწერის ხელით).

2. „წმიდაო გიორგი, სწყალობდი იმ კაცსა, რომელმანცა ეს ზარი აქ მოიტანა და ჩუენ მოგ[ვ]ყიდა.“ 42 v.

3. „ასორმოცდაათი წიგნი გავყ იდე ასორმოცდაათ მანეთად“ 42 r (მხედრული ხელით, XII ს.).

4. „ღმერთო და წმიდავო გიორგი ქაშვეთისაო, შემოუწირავს შენ[თ]ვის კარგი ზარი უსბიანთ ივ[ა]ნე შვილს, მამას[ა]ხლის შაველის და გეხვ[ე]წების მართლითა გულითა სწყალობდ შენის მეოჯების მადლსა და უბოძეთ ყმა-შვილი ერ[თი]“ 43 r.

5. „უფალო და სებისწულნო წმიდაო გიორგი ქაშვეთისაო შემო[მი]წირავს თაყაშვილს ხოსიასა და გოგიშვილს უმეკასა თქუ[ე]ნთვის ბროლი, სწყალობდი შენის მეოხების მადლსა, ამინ.“ 43 v.

6. „წმიდაო ღმერთო, და წმიდაო გიორგი ქაშუეთისაო, შემო[მი]წირავს თქუენთვის უმარილოშვილს მამულას ზარის დასაკიდები ჯაჭვი. სწყალობდი იმას და იმის ძმათა და იმის შვილ[თ]ა შენის მეოხების მადლსა, ამინ.“ 44 r.

7. „ამისსა მწერალსა თაბაურსა გიორგის შეუნდნეს ღ˝ნ.“ 76 r (ტექსტის ხელით).

8. ერისთავთ ერისთავსა ვირშელსა შეუნდნეს ღ˝ნ, ა˝ნ. სულსა დედისა მ[ა]თისა მნათობისსა შეუნდნეს ღ˝ნ. სულსა ერისთვისა მ[ა]მიდისა რიფსიმესსა შეუნდნეს ღ˝ნ.“ 78 v. (ტექსტის ხელით).

9. ერისთავთ ერისთავსა ეირშელსა შეუნდნეს ღ˝ნ. სულსა მადისა დედისა მნათობისსა შეუდნეს ღ˝ნ. სულისა რიფსიმესსა [შე]უნდნეს ღ˝ნ.“ 117 v.

10. „ახ[ა]ლგორს არის ჩაბკური მამული, მივეცით თაყ[ა]შვილსა მურდბეგსა სახლითა და ჭურმ[ა]რნითა, სავენაჴითა. ვირემდი აშენდებოდეს, მის კ[ა]რ[გ]კ[ა]ცობაზედა მიგვიგდია და როსცჳ აშენდეს, აქვსა (sic) ხამს დასდებს წმიდას გიორგის წინა.- ამისნი მოწამენი არიან დეკანოზი მათე, სრულ[ია]დ დეკ[ა]ნოზიანი ...სშვილი ლომუა და მე დამიწერია, მღდელს გიორგის და მოწამეცა ვარ“ 118 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2126

სახარება—ოთხთავი, XV

235 ფ.; 10×8,3; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით: [XV ს.]; გადამწერი: დომენტი (35 r, 72 r); დასაწყისი აკლია; ილუსტრაციები: 35 v, 72 v, 134 v); დაუწერელია: დასაწყისში 43 ფ. 73—76. ბოლოში 180—191—ქაღალდის ფ.ფ.; პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 16.

„[მფრინუ]ელნი ცისანი, და შეჭამეს იგი. და სხუა დავარდა კლდოვანსა ზედა და სადა არა იყო მიწაჲ ფრიად და მეყუსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ...“ (მთ. 13,3).

შენიშვნა: ერთვის ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა, „[ე]სე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი არათუ ახლად გჳთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათა შეგჳწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ· თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღ҃ისათჳს სიტყუასა ნუ სცვა҃ლებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრეთ დაწერეთ. და თუ არ რამე გაშუნდეს, ჩ҃ნნი ყოველნი სახარებანი პირუელითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ. ღ҃ისათ҃ს ერთმანერთსა ნუ განჰრევთ. და გლახაკისა გიორგისათჳს ლოცვაჲ ყავთ“. (177 v).

მინაწერები: „ქრისტე, შეიწყალე კათალიკოზი დომენტი. ამინ“ (35 r, 72 r· 134 r).

„ქრისტე, შეიწყალე ცოდჳლი მ. გ. საბინინი, (წელსა) ჩყპდ. პეტერბურღი.“ (116 r) ბოლოში ერთვის ზანდუკი. 178 r—179 v.

2127

ხახარება, XVII

218 ფ.; 12×9; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით: [XVII ს.]; დამკვეთი მღვდელი ხარიტონ; მახარობელთა ილუსტრაციები: 11 v, 45 v, 136 v, 221 v.; სახარების ტექსტების საწყისში თავკაზმულობა; ნაწერია ორსვეტად; ტყავგადაკრული ხის ყდა.

„თავი პირუჱლი სახარება მათეს თავისა.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი...“ 12 r—283 v.

შენიშვნა: 1. „ევსები კარპიანეს საყვარელსა ძმასა...“ 1 r—2 r.

2. „კანონნი“ 3 v—7 v.

3. „ზანდუკი საწელიწდო გამოკრებილი სახარებისა...“ 284 r—318 r.

ანდერძი: „შეწევნითა ღ҃სათა მე ფრიად ცოდვილმან და ყოვლად უღირსმან და ყოველთა მღდელ-მონაზონთა უნარჩევესმან მღდელ-მონაზონმან ხარიტონ აღვაწერინე სულთა განმანათლებელი წმიდა ესე ოთხთავი, დავახატვინე და შევამკევ ჯაზვლითა სულისა ჩემისა საოხად და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად. რათა მეოხ მეყოს დღესა მას დიდსა განკითხვისასა და განმარინნეს ძნელთა მათ სატანჯველთაგან. უფალნო ჩემნო, ვინც მიემთხვევნით წმიდა ამას სახარებასა, შენდობა ყავთ ჩემ ცოდვილისა ხარიტონისათვის, რათა ნაცვალ მყოს მფარუჱლმან ყოველთამან. ამინ.“ 318 r—v.

მინაწერი მხედრულით: „წმიდა ესე სახარება დაწერილა 1686 წელში.“ თავფურცელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2128

კურთხევანი, XVIII

136 ფ.; 20,2×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნაკლული; ნუსხური, ნაწერია სხვადასხვა ხელით, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; პეტ. საჯ. ბიბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 20.

„წესი დიდის აიაზმისა წმიდასა ღუთის განცხადებასა.—წინა დღესა ღ̃ის განცხადებისასა შემდგომად ამბონის ლოცვისა, რომელი აკურთხევ მაკურთხეველთასა, განვალთ ყოველნი მეყუსეულად მღ̃დელითურთ ემბაზსა სტოვასა შინა, ანუ წყაროსა ზედა სამეფოს კარით. წინამძღუარმან ანუ უპირატესმან მღუდელმან დაიდგას თავსა ზედა პატიოსანი ჯუარი...“ 2 v—135 v.

შენიშვნა: 1. პირველი ფურცლის ნახევარია შერჩენილი.

2. 2 r—10 v ნაწერია სხვა ხელით, ქაღალდიც სხვაა, მსგავსი ხელი მეორდება 23 r, 36 v და 114 r—135 v. 11 r—22 v-ზე ლამაზი ნუსხურია ორსვეტად. ასეთივე ხელით უნდა იყოს შესრულებული 58 r—113 v. 114 r—135 v უფრო გვიანდელი ხელია.

ანდერძი: „მე ფრიად ცოდვილი ნიკოლაოზ დიდია მოგახსენებ, ქრისტეს მოყვარენო, მერმე მე ცოდვილი წმიდის დავითის გარეჯელის სამსახურზედ ბატონის აბაშიძის ბრძანებით ქართლსა და იმერეთს შუა დავიარები; და სიკვდილი კაცის თავზედ რომ გარდუალი არის და არ აცილდების, ვინ იცის, და ან გზაზედ მოვკდე, და ან იმერეთს მოვკვდე, ეს წიგნიცა და რაც რამ მაქვს, დავით გარეჯისა არის. და ესეცა და რაც რამ დამრჩეს, დავით გარეჯას უნდა გაგზავნონ და თავისი იმის მონასტერში უნდა მიიტანონ, ვინც ეს ჩემი ანდერძი არ გაათაოს, ჩემის ცოდვის ნუქფათამც განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა. და წმინდაც დავით რისხავს, ვინც ჩემეული იმის მონასტერს დაუკარგოს, ხოლო გამთავენი ღმერთმან აკურთხნის. ამინ. მოსამსახურენიცა იმის შეწირულნი არიან. მე ხომ თათრისაგან დამიხსნია და იმ მონასტრის წინამძღვარმან და კრებულმან კარგად მომყრობით შეინახოს, ურიგოდ ნუ მოემპყრობიან“. 39 v—42 r.

მინაწერი. „ქ. ეს კურთხევანი გიორგი მღდლისა[ა] ვინც მოიპაროს,—ი. ჯანააშვილისა (?)—მიძინების ხატიმც რისხამს სულით და ხორცით. უჲთ.“ 11 r.

2129

ფრაგმენტი მათეს სახარებიდან, XIII

2 ფ. გადარჩენილია ფურცლების მცირე ნაწილი; ეტრატი; ნუსხური; [XIII ს.]; პირველი გვერდი არ იკითხება. პეტ. საჯ. ბ-კის ახალი სერიიდან. ძველი № 21.

1. „... ფერჴ[ი]თა მისთაჲ ნუცა იჱრუსალიმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ...“ მთ. 5_{35}. 1 v.

2. „და შერაჲვიდა იგი კაპერნაუმად, მოუჴდა მას ასისთავი, ევედრებოდა მას...“ მთ 8_{5}.

წ ყ დ ე ბ ა: ...[და მოუჴდა მას ერთი მწიგნობარი] და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჳდოდე...“ მთ. 8_{19}.

2130

კრებული, XIX

180 ფ.; 33,5×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით, (XIX საუკ.), ჭვირნიშანი 1825. დაუწერელია: 1 r—3 v, 76 v—77 v, 80 v—81 v; 89 r—92 r, 99 v—101 v, 114 r—117 v, 124 r—129 r, 138 v—141 v, 149 r—18 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 1.

1. „მაჯამა მეფის ვახტანგისა[1].

მზე ცუდ მაშურალობს, ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა.
სხივმან შენ კიდე სამყარო, ვინ გაისახლა, ისარა...“ 5 r— 8 r.

2. „მეფისა მისგანვე ნათქუამი ამანბანთ ქება, უცხო, ოთხ-ოთხი ტაეპად.—

„აღახუჱნ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო
ჰაერთა ზედა საყდართა დიდებით დადგინებულო...“ 8 r—11 v.
(თეიმურაზ პირველი, 1934, გვ. 149).

3. „ანბანთ ქება მეფისა მისგან, ოთხ ტეეპად გამოყვანილი, თავი და ბოლო ერთი და იგივე.—

„არა ბძანებ, გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზე ჱერად,
თმით, კარი, კუკ-ლილ მომცეს, ნებენ, ოსობ, პროკოპ ჟველად...“ 12 r.

4. „თელავს ოდეს მეფე თეიმურაზმა აღდგომა დღეს წირვა მოისმინა და პური მიირთო და ქალაქ[ს] წამობძანდა და გომბორზე რომ მობძანდა, ერთი თელაველი გლეხის ქალი წინ შემოეყარა, მოეწონა, მეტად ლამაზი იყო და ჴელშიაც იმ ქალს კალათა ეჭირა და უბძანა ლექსი ესე:—

„ა ქალო ვაშლი წითელი, ჴელთ რომ გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა, მე გული მომიკალათა...“ 12 r.

5. „სხუა და სხუანი იამბიკონი, ვერ ვსცან ვისი თქმულია.—
მბადმან არსთამან თვით არვისგან ბადუღმან,
ზესთავე მყოფმან მყოფსა საუკუნოს...“ 12 v. (კიდურ წერილი „მზესა ქეთევანს ეგნატი“).

6. „სხუა იამბიკო კიდურ წერილი.—
სული სიტყვითა, გულის წყრომისა ძალ ით
მასთან ნებემა გაგულისთქმაებული...“ 13 r.
მესამე სტროფიდან კიდურ წერილი „მეფის სძალი ქეთ[ევან“

7. „შობისათვის უფლისა ჩუჱნისა იესო ქ~სისა.—
ეჰა, უცხოჲ საკვირველება დიდი,
უფალი ზეცით ქუჱყანად გარდამოვალს...“ 13 v.

---

[1] ნამდვილად თეიმურაზ პირველისაა (იხ. თეიმურაზ პირველის თხზულებანი, 1934, გვ. 113).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. „იამბიკონი. მათის უგანათლებულესობის სრულიად საქართველოს მეფის სძლის ქეთევანის, წერეთლის ზურაბის ასულისადმი მირთმეულნი იამბიკონი, დღესა შობისა მეფის სძლისასა, მეფის ძის იოანეს ძის გრიგოლის ოსტატის იოანე წირკნელის გასზილის იალღუზიძის იოანესაგან, ქრისტეს შობის დღეს იყო შობილი მეფის რძალი ქეთევან.—

მომიყუანა აწ ჰაზრმან საწადილომან,
ესაბამების ვინადგან ამა დღესა...“ 14 r—v. (კ. წერ. „მეფის სძალი ქეთავან ნებას ეწიოს“).

9. „მისგანვე, შობისათვის თქმული იამბიკო.—

დღეს საიდუმლო უცხო და დიდებული,
დღეს ქუაბი მცირე ცათა მიმსგავსებების...“ 14 v.

10. „ესე იამბიკონი ამბერკის საფლავზედ ჰსწერია.—

რჩეულისა მის მკვიდრმან ქალაქისაჲან
ესენი შევქმენ, ვიდრეღა ცოცხალ ვიყავ...“ 15 r—v.

11. „ესეც არ ვიცი ვისი ნათქუამი იამბიკო არის.—

დამწყები აწღა შარი სიტყუაობისა
არა დავსხრები შემდგომითი შემდგომად...“ 15 v.,

12. „პეტრე ლარაძისა მიერ მირთმეულნი იამბიკონი მათის უგანათლებულესობის მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიმართ სანკტპეტრებრუხსა შინა, ოდეს იყო დღე შობისა მისისა, კიდურ წერილობითურთ რომელ არს ესე: უგანათლებული მეფის ძე თეიმურაზ, მრავალ ჟამიერ.

პეტრე მონა მოგილოცავ შობის დღესა.
ურაოდენოდ უვითარომან მყოფმან,
გონებით ზესთა მხედუჱლთა ვერ მისაწთომ...“ 16 r—17 r.

13. „ისევ ლარაძისაგანვე მირთმეული იამბიკო მეფის ძის იოანეს ძის გრიგოლის მიმართ, დღესა შობისა მისისა, რომლისა კიდურწერილობა ესე არს თავები წითლითა.—

ერნო, ვაქებდეთ ძნობით გრიგოლსა.
საღრმთოს ჰსჯულისა მწურთნელთანა მყოლსა...“ 17 r—v.

14. „მისივე ლარაძისაგან იამბიკო მეფის ძის დავითის მიმართ, დღესა შობისა მისისასა.—

დღეს მეფსალმუნე დავით ქნარს ჰსცემს ჴმა ტკბილად,
დღეს თვი[თ] იშვებს თვისსა წალკოტს, რა გჭურეტს რტოდ ზრდილად...“ 17 v—18 r.

15. „მისგანვე ლარაძისაგან მირთმეულნი შესხმანი ლექსნი მეფის ძის იოანეს მიმართ, დღესა შობისა მისისასა საკტპეტრებუხსა შინა, წელსა 1818 თიბათვის 24 დღესა. ჩახრუხაული მრჩობლედად.—

იისსუ ჰბრძანებს საღმთოთა ჭმითა, მისთა მრწმუნეთა ტკბილ საამითა.
ოდეს ქუჱყანად წესქმნილ ჟამითა, იქცეოდა რა შესაბამითა...“ 18 r—v.
კიდურ წერილობა ესე არს: „იოანე იოანეს გფარვიდეს“.

16. „ოდეს მეფის გიორგის ძემ იოანე ბატონისშვილმა სახლი იყიდა სანკტ პეტრებურღსა შინა 1818 და ამავე ზემო ხსენებულმა პეტრე ლარაძემ შესხმა მიართო, მრჩობლედი.—

სახლო, მწად ხოტბა შენი ვინებო, კეთილ განკარგვით დანადგინებო
ბჭე შემომავალთ გამაბრწყინუჱბო, სვე დიდებისა შემაძინებო...“ 19 r.,

17. „ვიწყოთ ლექსთა ღარიბთა და მუნასიბთა აღწერად, ნათქუამი ღ῀თივ გვირგვინოსანისა მეფის თეიმურაზისა, კეთილ სასმენელ და ტკბილ საამო, მსმენელთა დამკითხუჱლთათვის საძებარი, ლხინის დიდად შემმატებელი.—შაირი

კულავც მითქუამს სიტყუა უქმისა პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლით სოფელსა, არვინ დავრჩებით შინაო...“ 19 v.

18. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქუამი მუხამბაზი.—

სევდის ბაღს შეველ შენაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები...“ 20 r.

19. „მისგანვე ნათქუამი მუსტაზადი.—

ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით,
ილმენით გულნი, ჭირნახულნი, შეგვიბრალენი...“ 21 r—v.

20. „მეფის ირაკლის ასულის მარიამ ბატონიშვილის ნათქუამი მუსტაზადი.—

ეტრფის მთიებსა შესამკობლად გული ურვილი,
სწყურის გონებას სამარადოდ მისი სურვილი...“ 21 v.

21. „იონა მროვლისაგან ნათქუამი მუსტაზადი.—

შეყრილან ერთად მკთოლვარენი უზადოთ მნათნი,
ვარდი ზამბახთა ნამკ-ნაზავნი და გიშრის სათნი...“ 22 v.

22. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქუამი მმუხამბაზი.—

ჱე საწუთროო რად შემაგდე ესოდენ ჭირსა,
დატყუჱვდა გული მოუთმენლად ნიადაგ სტირსა...“ 23 r.

23. „მუხამბაზი ბესარიონ გაბაიევის დათქუმი.—

მე მივხდი მაგას შესაბრალებსა,
მე განგიცხადებ დანამალებსა...“ 23 r—24 r.

24. „ოდეს ბესარიონ გაბაშვილსა და ჭაბუა მდივანბეგსა ლაპარაკი და სამდურავი მოუხდათ ერთმანეთთანა, მაშინ რათგან ჭაბუა კუზიანი იყო და ურიგოდ აგებული, ბესარიონმა ეს ამბათქება დაუწერა და მეფე გიორგის მიართო.

ათინას აღზრდილს აქებდეთ, ელვად ავნორჩათ ასულსა,
ბნელ ბაიათა ბრყვილობას, ბრანგუ-ბაბაჭუად ბასრულსა...“ 24 r—25 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. „ჭაბუას პასუხი ბესარიონისადმი ისევ ანბანთქებით.—

არის ალიას აღზრდილი ალმატებით, ასა დაგით,
ბედით ბრუდი ბესარიონ ბარაბაობს ბილწის ბაგით...“ 25 r—26 r.

26. „დავით ცუკიას ნათქუამი მუსტაზადი.—

ჵე, მოყვარეო, ზილფ ნარეო, ნარდიონ გველო,
გულ ბროლ სადაფო, ნატიფ წრაფო, ლერწამო წელო...“ 26 r—v.

27. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქუამი მუსტაზადი ჭაბუა მდივანბეგზე, რადგანაც ჭაბუა იყო დიდათ სქელი, კუზიანი და ავსახე.

დამპალო ლეშო, თუალ ხენეშო, გულ-ღადარაო,
ეშმაკთ ბუდეო, ბეჭ მრუდეო, კერპთ სადარაო...“ 27 r.

28. ჭაბუა მდივანბეგი დიდი საბატიო და მეცნიერი და შემაქცევარი კაცი იყო, და მეფე ირაკლის დიდათ უყვარდა, და ხუმრობაებიც იცოდა, და მოსწრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა; და ამის გამო კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბძანა, ჭაბუავ, რატომ ბესარიონს მაგიერს ლექს არას დაუწერო? და მაშინვე იმავე წამს მოახსენა: შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო? იქ მყოფთა დიახ ბევრი იცინეს. გარდა ამისა ჭაბუას ხუმრობაები და მუნასიბნი ამა ქვეით უფრო კარგები მოგხსენდებათ ღ̃თითა:

შენიშვნა: ამას მიჰყვება ჭაბუას შესიტყვება გლახა მნათიშვილთან.

29. „გრიგოლ ბატონისშვილის ნათქუამი მუსტაზადი. ოდეს პეტრეზაოდს იჯდა ტუსაღათ, ქართველთადმი მისწერა.—

ცამან ჩრდილოთით დაცავუფარნა შავისა ღრუბლით,
ივერთა მზენი ველარ ბრწყინუჱნ ივერად ხმულით...“ 28 r—29 r.

30. „ბატონისშვილის გრიგოლისაგან თქმული თარი ბექაბაშის ხმაზედ პეტრეზაოდსათა შინა.—

ბედკრულსა შემთხვევას შევხვდი მწარესა,
მოვაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა...“ 29 r—30 r.

31. „თქმული პეტრე ლარაძისა მიერ ჰსწავლება და მხილება და ქება მეფის ასულის ნინო დედოფლის მენგრელისა მიმართ სანგპეტრებულსა შინა შაირით.—

მწადს დაუგო ტაბლა ტკბილი გონიერთა სიბრძნე ვრცელთა,
მსმენელთათვის სატრფიალო დამატკბობი სასმენელთა...“ 30 r.

32. პეტრე ლარაძის მიერ შაირი ნინო დედოფლის მიმართ.—

„ესე აწ ჰსცანით მსმენელნო, შემოკრბით, მოიჯარენით,
განკვირებულნი ისმენდით, მართლ ცნობა დაიწყნარენით...“ 30 v.

33. „პეტრეს მიერ ნინო დედოფლისადმი შაირნი მხილებითნი.—

სხუა განზრახუა იხელოვნა, სიბრძნით დაიმტკიცა გულსა,
ბრძანა, დიდსა ჩრდილოთ მჰყრობსა ვნახავ მისსა სრასა სრულსა...“
31 r—33 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. „ლარაძის გოდება პატრონსა ზედა თეიმურაზედ.—

„Ⴗე კაცო, მკმარნი დაჰსდევ საზღუარნი, წარსულ მდღევარნი გახსოვს თუ მწარნი,

ჰგონ, შესაყვარნი ამაო მცდარნი, ციით სადარნი სიზრმებრ საპარნი...“ 34 r—v.

35. „მისგანვე გოდება შაირით.—

რა მზისა შუქნი მოაკლდენ, მიწის მოზარდნი ჩივიან,

ვარდიცა დაზრას ყინულმან, ყვავილთ ნაზრობნი ჰსტკივიან...“ 34 v—39 r.

36. „თქმული მეორე გოდება ანბანთქებით, მისგანვე, ანზე ვისი ყმა ხარ.—

ავსტრიელმან არიოპაგს მოვინებე ბრძენთ განმსტრობა,

აბესალომ ენა ბრძენსა ახილოს მწურთნა ახალ ყრმობა...“ 39 r—42 v.

37. „კიდევ მის ლარაძისაგანვე თქმული ზაზა ენდრონიკოვზე, ოდეს ქართველთ თავის მეფის მაგიერ მარკიზი პავლუჩი გამოსთხოვეს რუსეთის ალექსანდრე ჴელმწიფესა და ჴსენებული იგი ენდრონიკოვი ზაზა ელჩათ წარმოავლინეს რუსეთის კარზე და ელჩი იგი რუსეთის კარისა მიერ პლუტ იქმნა, და მას უკან ნინო მენგრელიის დედოფალთა[ნ] დადგა და იახლა, და პეტრე ლარაძეც გამოგდებული იყო თავის ბატონის, მეფისძის თეიმურაზისაგან, და პეტრე იგიცა ნინო დედოფალს ახლდა და დიდათ ჰსწყალობდა, და ამ ზაზამ პეტრეს დაუწყო ქიშპობა და მტრობა, და დედოფალს ამოდენი შეასმინა, რომ ლარაძე იგი განაძებინა. და ვინადგან ლარაძე მცირე გვარისა იყო და იგი ზაზა დიდი გუარის თავადი, ჰკადრა ამ ლარაძემ, და ეს მუხამბაზი მისწერა ქართველთა, ვითარმედ, თქვენი დესპანი, ესე იგი ელჩი, ამ საქმეებს შურებაო. მუხამბაზი.—

Ⴗე, მოყუასნო, დეპუტატი თქვენია,

კარტოშნიკობს, კახპებს ვერ მორჩენია...“ 42 v—43 v.

38. „დიმიტრი მდივნის ნათქუამი პეტრებურხში კნიაზ ნესვიცკის ქალზე.—

სატრფო შემემთხუა[1] სავარდეს ბუნებით იხატებოდა,

მომსურდა ქების აღწერა, გული მიდამო კრთებოდა...“ 44 r—v.

39. „არ ვიცი ეს ლექსით შესხმა ვისგან არის მეფის ძის იოანესა'დმი მირთმეული დღესა ქრისტეს შობისასა, რომლისა კიდურწერილობა არს ესე წითლითა დაწერილი ლექსთა თავები, კიდურწერილი: ქრისტეს შობას მოგილოცავ.—

ქონებისა ხარ საუნჯე, ელვის მომფენი ზეცითა,

რიტორი, უხვი, მაღალი, მეფის დავითის სქესითა...“ 44 v—45 r.

40. „ოდეს ალექსანდრე ჭავჭავაძე შევიდა თავის მამიდასთან კნეინა დარეჯანასთან, და კნეინა იგი იყო თავმოხვეული, ქვეშაგებში იჯდა,

[1] დედანში: შემთხუჱვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟვად რასმე და უქეიფოთ იყო, და თავისმა ძმისწულმა ალექსანდრემ მოახსენა ჩახრიხაულით ლექსი ესე:—

საწუხმან ხმამან, საკმაოდ კმამან, მამცნო მთოვარის განლეულება,
შავ მშვილდთა ქუხუნა, ოხურათა ჭმუნუა, მელნისა ტბათა
ალრეულება...“ 45 r.

41. „თქმული საქართველოს მეფისძის ძის გრიგოლისაგან თავის ტუსაღობის ჟამსა, ოდეს შვეთის კერძო დაჰფარეს პეტრეზაოდ წოდებულსა ქალაქსა შინა, როცა რომ ზაზა ენდრონიკოვმა მოტყუებით მოიყუანა ლეკთაგან, ლექსი არს ჩახრუხაული.—

მსმენნო სალბუნი ესე თქმულები განიხილოთ რა აქა თხზულები,
ჰსცანთ სოფლის ბრუნვის მრავალ წყლულები, ვითარ მწარე არს
დარაზმულები...“ 45 v—48 v.

42. „თქმული დიმიტრი მდივნის თუმანისშვილისაგან.—

ახალ ალნაგო სულოდა,
ედემში ალმოსრულოდა...“ 49 r—v.

43. „თქმული ტუსაღობის ჟამს მეფისძის ძის გრიგოლისაგან ანბანთქება, ანზე ვისი ყმა ხარ, პეტრეზაოდს ქალაქსა შინა.—

ათინას ბრძნულად ალზრდილი ანგლიად ვლიდი არესა,
ადამს ვიახელ აბრაამ, ამად რა ლმობიარესა...“ 49 v—53 v.

44. „თქმული მეფისძის გრიგოლისაგან ოთხი ხანა ანბანთქება, ოთ[ხ]ტაეპში გამოყუანილი მთელი ანბანი, სანკტპეტრებურსა შინა, ჩახრიხაული ფისტიკაურად, პირველი ლექსი.—

ამოდ ბაგითა გულის დაგითა ეშხს ვინა ზომდეთ ჯრთის თვით ინებით,
კავ ლამაზ მანგით, ნარგიზ ორ პუნგით, ჟუჟუნ რწყვის ტრფობა
უხვად ფინებით...“ 54 v.

45. „იგივე ფისტიკაური მისგანვე.—

ამას ბრძანებ გუნდ დაწყობად, ესე ვითა ზომით ჯრთა,
თიფ იმ კრებით ლომად მწყობრნი ნავარდ ონართ პობით ჟლერთა...“
54 v—55 r.

46. „ჩახრუხაული მისგანვე.—

ამად ბულბულს გულსა დალად ერჩდი ვარდსა ზეზე ჯებით,
თეთრ ირისე კავლალისე, მნათო ნაზო ორ პურობ ჟებით...“ 54 r.

47. „მისგანვე თქმული, ანბანთ ქება ჩახრუხაულად.—

ალვა ბუტკი გულსა დალად ერხევ ვარდად ზრო ჯელვობით,
თან ისარე კავ ლოყ მაშვენ ნარგიზ ოლვ პირ ჟუჟუნობით...“

48. „ანბანთქება, მისგანვე თქმული, უცხო ერთს ლამაზ ქალზე, შაირი.—

ალმკულ ალვა ალბუტკებით ამოდ აშვენს აერს ამით,
ბროლ ბალახში ბაბილურად, ბეთ სამოსა ბაძავს ბაგით...“ 54 r—55 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული სიმღერა, ბაჩიდანი გულმიროვის ხმაზე.—

ჟამნი რბიან, შენცა მელტვი, ჩი, სულგრძელო საყუარელო,
როს მიხილავ, როს დამტკბომ, ეჰა, წამო სანატრელო...“ 55 r—v.

50. „სტეფანე ფეშანგოვის ნათქუამი ლექსი, ევსტატი ჯავახიშვილის ცოლს ელისაბედზე.—

ყვავილთა ჴელმწიფად ამორჩენილო,
შვენირ წალკოტსა გარდაფენილო...“ 56 r.

51. „მისგანვე თქმული ელენე ბატონის რძალზე, ოთარ ამილახუარის ქალზე, შ[ა]ჰინაზის ხმაზე.

ვიხილე ტურფა კიპარო წვრილი ნაზად ზრდილია,
მასთანა ბმული ორნი ნარინჯნი, უცხო ხილია...“ 56 v.

52. [გ. თუმანიშვილი] „მისნი ბაგე ლალნის“ ხმაზედ, „ვიშ რა გვიამას“ ხმაზედ.—

დავკარგე ფერითა მდიდრად შემკული ვსტირ, მიმეფარა,
იერიქოს მტილსა ალყუაებული, ვსტირ მიმეფარა...[1]“ 57 r.

53. „არსენ ფულინოვი ერთს ქალს გაუარშიყდა მოსკოვს და იმ ქალის ქმარმა მოასწრო, და არს[ე]ნს ფულინოვ . . . . მოსჭრა და ფულინოვი იგი დიდად ავათ გახდა და თავის სახლობას ვითომ „ვარდოს“ ხმაზე ლექსი მოსწერა, ქალაქში დაუწერეს ლოთმა ბიჭებმა ფულინოვის მაგიერ მოთქმა, არსენ ფულინოვის მოთქმა ლექსით „ვარდოს“ ხმაზედ ტფილისით წელსა ივლისის მოთქმითა ტირილი ფულინოვისა.—

ჩემი ბრალიაო და არა სხვისა, ქალი ვარ,
შენგან შესაბრალი, რას ამბობს ჩემი რძალი...“ 58 r—v.

54. „თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან სანკტპეტრებრულსა შინა ანასტასიაზე, მუსტაზადი.—

ეჱა მთიებო, გევედრები მე განმანათლო,
მზის უმჯობეო, მშუჱნიერო, ჰერთა მნათო...“ 58 v—59 v.

55. „მეფის ძის ილიასაგან ნათქუამი მუხამბაზი,—

სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები...“ 59 v—60 v.

56. „თქმული სავათნამასაგან მუხამბაზი.—

გალობს თუთი ყაზალახი, ბულბულის ბანი მინდოდა,
ბულბულმა თქუა: ამას ვსტირი ვარდის ებანი მინდოდა...“ 61 r.

57. „თქმული ბატონის შვილის გრიგოლისაგან, მუშრიბის შვილს სტეფანეზე, ოდეს მაშინით წყალი გამოჭქონდა დიდუბეში, და სოსია მეჭურჭლის შვილმა გაუცუდა სტეფან პავლიჩს თავის ხელოვნება და იმ სოსიამ სხუა მაშინები გამართა დირსი-ჭალასა. და ეს სტეფანე კაპიტანი იყო და ჭიანური კარგა იცოდა და ფუშიანი იყო. მუხანბაზი.

[1] ტექსტში მიეწერება პეტრე ლარაძეს.

სტეფანე ჭიანურზე მუღამები დაიწყე,
რუსეთში წასასვლელად გუდა შარათ გაიწყე...“ 61 v—63 r.

58. „თქმული მეფის ძის გრიგოლისაგან ასტარხანში მადათას ქალ-ზე, მუსტაზადი და მუხამბაზი.—

სევდამ მომიცვა, ვჯე მოლხენით გულით შვებულად,
თავს მეცა ესრეთ უწყალობით, გავხე ვნებულად...“ 63 r—64 r.

59. „მისგანვე, მაზედვე მუხამბაზი.—

მზისგან მომედუა ცეცხლის ალები
მას დაჰნატრიან ყოვლი ქალები...“ 64 r—65 r.

60. „თქმული ავთანდილ თუმანისშვილისაგან, ნათქუამი მუ-ხამბაზი იოსებ გაბაშვილზე, რადგან ორნივ დავით ბატონისშვილს ახლდნენ, ვინადგან გაბაშვილი იგი იოსებ ფრანცუცის დროს ჯარში შევიდა და აფიც-რობა მისცეს, ესე იგი კარნეტობა, და წავიდა გაბაშვილი ფრანცუცების საომ-რად. და როდეს იქიდან მობრუნდა იგი, მაში[ნ] ჩხუბი უყო გაბაშვილმა ამ თუმანიშვილსა და კიდეც გალახა ძალიან. და ამ თუმანიშვილმა ცემის მაგიე-რათ ეს ლანძღვის ლექსი დაუწერა. რადგანაც გაბაანთ ვირებს ეძახიან ძვე-ლადგან და მეტივენიც ყოფილან ადრიდგან და საქსონიაშიაც იყო.

სალამანექ კარნეტო, რისთვის მოგიწყენია?
მინდა ღირსად შეგამკო, ქება შენი მსმენია!..“ 65 r—66 r.

61. „ბატონის შვილის გრიგოლისაგან თქმული „გამიფრინდა სიხა-რულის ფრინუჱლის“ ხმაზე.—

დრო ცვლილო ბულბულო, იგლოვდი მწარედ,
ყეფა განამრავლე ვისა და ვისა...“ 66 v—67 r.

62. „დავით ბატონისშვილისაგან თქმული.—

რად ამ უბედურსა მხუჱდრსა შევესწარ,
ოდეს ოხრად დამრჩა ჩემ წილ სიანი...“ 67 v.

63. „ბატონისშვილები მეფის ძე მიხაილ, ილია და ო[ქ]როპირ იდგნენ ვასილის ოსტროვში და იქიდამ აიყარნენ და მეშანცკში დადგნენ, და ფარსა-დან ცილიშვილი და ბანცურიშვილი იოსებ თან ახლდნენ. ვინადგან ოქროპირ-სა დარია ნიკიტიჩნა უყუარდა და ალექსანდრე ბაგრატიონსაცა უყუარდა იგი (დარია იყო რუსის ქალი და თეიმურაზ ბატონისშვილმა თავის მეუღლისა-თვის მოკამპანიეთ შეიყუანა თავის სახლში) და ოდეს გამოვიდნენ მეფის ძენი მეშანცკში სახლსა კუპცისა ვარვარინისასა, მაშინ მივსწერე მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა ხუმრობა ესე ლექსით. იმ დროს ღალაქტიონ ნაბერალი მოვიდა ასტრახნიდამ სანკტპეტრებურსა შინა, და ზურგიელები მოიტანა, ერთი ზურ-გიელი გაბას ქალს მიუტანა, და მეორე მირზა აბითურაბს და ჩვენ წილი არ დაგვიდუა. და ამისთვის ეს ქუჱმო ლექსი მოვახსენე.—მეფის ძეს მიხაილს:

მეფის ძეს ბიძას მიხეილს, ხელს ვკოცნი მოშიშებითა,
ღმერთმან გცეს დღენი მრავალნი სუფევდე განდიდებითა...“
67 v—68 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. „ვერ შევიტყე, ეს ხუთ ტეეპოვანი ლექსი ვისი თქმულია.—

ვაჲ სოფლის მუხთლად ყოფა ქცევანი,
გვენუგეშა თუალთა ცრემლთა ფრქუჱვანი“ 69 r—v.

65. „თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ფუნტოვის ქალს დარია ივანენაზე «ვიშ რა გვიამას» ხმაზე ითქმის.

კიპარო წვრილტანი მოარულობდი კეკელა მარდო,
ზე ვარდის კოკორნი მოცაშლილობდი კეკელა მარდო...“ 69 v—70 r.

66. „მისგანვე თქმული მასზედუჱ მუხამბაზი.—

წითელ ბაგეზედ შვენის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუჱშ გიშრის თუალები...“ 70 r—71 r.

67. „მაჩაბელა საზანდრის ნათქუამი მუხამბაზი, ოდეს დიმიტრი მდივანმა წაიყუანა თავის ქორწილისათვის საზანდრათა.—

ჩვენ დიმიტრის ვიახელით მთაშია,
პირობა შევკარით ხელთუბანშია...“ 71 r—v.

68. „თქმული საზოგადოდ ბერებზე, «ახალ აღნაგოს» ხმაზე, უფრო ბექყიაშვილის ეპიფანე არქიმანდრიტზე არის თქმული, თანდილ თუმანიშვილისაგან.—

გამრავლდენ სოფელს ბერები
მათ ჩამოუშვეს ყურები (sic)...“ 72 r—73 r.

69. „საზოგადოდ კახპებზე ნათქუამი «ღოთებოს ნეტავი ჩუჱნას» ხმაზე გარდმოღებული ფრანცის ენიდამ ქართულად ავთანდილ თუმანიშვილისაგან.—

70. „ეს ქუჱმო ლექსი რუსულს წიგნში ეწერა და მე მეფის ძის-ძემ გრიგოლმა გადმოვთარგმნე რუსულიდამ ქართულად ისევ ლექსად პეტრებუხსა შინა.—

გულ ფიცხელი მმუხანათობს ტარის იქმნა გარდარევით,
შემომკადრა მე ნარნარსა, ჩემდა ზღუჱვად იქმნა შვებით...“ 74 r —75 r.

71. „ბონოპარტი ნაპოლიონ წამოვიდა რუსეთის საომრად და მოსკოვი აიღო. ეს ქუჱმო ლექსი ბონოპარტის ცოლს მოეწერა, კეისრის ქალსა, თავის ქმრის იმპერატორის ბონოპარტესათვის და რუსების გაზეთში ეწერა ლექსად. და მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა ვთარგმნე ისევ ლექსა[დ] რუსულიდამ ქართულად, თარგმნილი რუსულიდამ ქართულად: ცოლისაგან მიწერილი ქმრისადმი.—

მიტევებთ მე წასულისათვის დიდებისადმი,
შეწუხებული გული ჩემი თანაგჳყუჱბის ყოველგან...“ 75 v.

72. „პასუხი ბონოპარტესაგან თავის ცოლისა, კეისრის ქალისა მიმართ, ოდეს მოსკოვს იყო, მოსკოვიდამ მიწერილი.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დაგივიწყო, მე დავკარგო სახსოვარი,
ესე ოდენისა სინაზისა, სიყუარულისა და მშუჱნიერებისა..." 76 r.

73. „თქმული მეფის ძის-ძის გრიგოლისაგან მაია ბატონიშვილზე, ოდეს ყიზლარში ტყუჱდ იყუნენ, დავით ბაგრატის-შვილის ქალს მაიაზედ.— „მაღრიმ შენთან შექცევას" ხმაზე ითქმის.—

ვეტრფოდეთ მშუჱნიერსა ვარდსა აყუავებულსა,
მაისში აკოკრებულს ედემ სურნელებულსა..." 76 v—77 r.

74. „თქმული მეფის ძის-ძის გრიგოლისაგან თავის უფროსის ათამანის ცოლზე ასტრახანსა შინა. დიდი მოარშიყე იყო ის ქალი და მოდნიცა, რომ მთელი ასტარხანი იხოცებოდა იმისთვის. მას ქალსა ანა ეწოდა,—„ვიხილე ტურფას" ხმაზე ითქმის.

ახალი ნორჩი აყვავებულა სუნოვან ტკბილი,
ასტარხნის ქალაქს გარდაფენია სულ მისი ჩდილი..." 79 r—80 v.

75. „მასზედვე, მისგანვე, მუხამბაზი თქმული.—

პირსა მთუარესა შუ[ე]ნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი..." 79 v.

76. „ოდეს რუსთა საქართველო დაიპყრეს და ბატონისშვილები რუსეთ[ს] ჯადმორეკეს და აღარავინ დააგდეს საქართველოსა შინა, მაშინ მეფის ირაკლის პირველი მდივანი სოლომან მსაჯული გაიქცა იმერეთს და მეფე სოლომანს იახლა და დიდი კარგი ყმა შეიქმნა მეფის სოლომონისა. ვითა მეფეს ერეკლესი იყო და უყუარდა, ეგრეთვე მეფემ სოლომონმა შეიყუარა და დიდსა პატივსა უყოფდა და რჩევასაცა უსმენდა. ამ დროს დადიანები ურჩ იქმნენ მეფის სოლომანისა და ნამეტნავად ნიკო დადიანის შვილი იყო წინააღმდეგი მეფისა სხუათა დადიანის შვილებზე, ეწინააღმდეგებოდა მეფესა და იმერთა ყველასა. და ამ დროს სოლომან მსაჯულმა მისწერა ამ სახით ლექსი. სოლომან მსაჯულისაგან მიწერილი ლექსი ნიკო დადიანის შვილის მიმართ.—

დადიანის ძის-ძე ნიკო, ტურა-მელის კუდის რიკო,
დადიანობას ვინ მოგცემს, უნდა ბევრის ლომი ჰწიკო..." 80 v—81 r.

77. „პასუხი ნიკოსაგან სოლომან მსაჯულისადმი.—

დადიანის ძის ძე ნიკო, სიბრძნისა ვარ იამბიკო,
ეშმაკთაგან სააშიკო, აგრე ვიტა (sic) გავიტლიკო..." 81 r.

78. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქუამი მუსტაზადი.—

ვარდო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა-დარი,
სულით ქებულო, შეგნებულო, სადა გყავს დარი..." 82 r—v.

79. „სოთნამას ნათქუამი მუსტაზადი.—

გაცვია ზარი, ოქროსპირია, განა შენია.
ვინც დაგინახამს, ვერსად წავა, მონა შენია..." 82 v—83 r.

80. „გიორგი თაზიშვილის ნათქუამი „აიცალბუ ჩინარის ჭმაზე" ითქმის, გინა „მაღრიბ შენთან შექცევის «ხმაზე».—

მსურს შეგამკო მიჯნურო, სირინოზებრ ჴმიანო,
მეტრფეთათვის სასურო, დათხზულ კავებიანი...“ 84 r—v.

შენიშვნა: წაშლილია შემდეგი ტექსტი: „საქართველოს მეფის ძის-ძეს გრიგოლის მეუღლეზედ ქმრის მაგიერად მიწერილი საქართველოშიდ“.

81. „თქმული მეფის ძის-ძის გრიგოლისაგან ვისმეს ქალს ერთზე „სიხარულო მობრძანდის“ ჴმაზე“.—

ოდეს განგიხილე ფერად შემკული შე იმისთანავ,
ბანოვანთა შორის განშვენებული შე იმისთანავ...“ 85 v—86 v.

82. „თქმული მეფის ირაკლის ასულისა ქეთევან ბატონიშვილისაგან „თარი ბექაფაშის“ ხმაზე.—

ჵი, ვითა ვსთქუა განსაკრთომელი,
ჩემი სიცოცხლის დამამცრობელი...“ 87 r—88 r.

83. კიკნაძე ბერისაგან ნათქუამი; თეჯნიში. ტულუაშვილის ოსეფაზედ ნათქუამი.—

ახ, შენი სერთუქი, ვაროტნიკი სოსანი,
ნავთის ფერი მაუდი, ღილი პატიოსანი...“ 88 r—v.

84. [მეფის ძის გრიგოლისაგან თქმული]
„სუჵ ჩემი ექმნა წყეული, როდეს მომშორდა ვარვარა,
ცას მოწმენდილზე მზის სხივი ღრუბლით მეფარა ვარვარა...“
92 v—93 r.

85. „მისგანვე, მაზედუჵ, მუხამბაზი ანბანთქებით.—
ალმკობს ალყასა აელუჵბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა...“ 94 r—v.

86. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქუამი მუხამბაზი.—
მიწურვილობდა ზამთრისა ჟამი,
მწუანესა ჰრთოდა თრთვილის წილ ნამი...“ 95 r—v.

87. „თარგმნილი რუსულიდამ ქართულად პერეოჩიკის ბაზლიძე ივან რომანიჩისაგან სანკტ-პეტრებურხსა შინა ლექსითა ლექსად.—
ჵე, პილატო, ვინ მონარხად დიდებისა მოყურემან,
საუნჯეთა დაუზოგმან, სიძნელეთა ვერცხლით მრემან...“ 96 r.

88. „ოდეს თეიმურაზ ბატონიშვილიდამ იონა ხელაშვილი ბერი განვიდა და იმერელ მეფის მეუღლეს მარიამ დედოფალთან შევიდა, და დედოფალმა თავის უპრავიტელს, ანუ ნაზირს, სოგრატ ამაშუკელს მიაბარა, ამ ბერს კარგი პატივი მიაპყარო და ყური უგდეო, და მე—მეფის ძის-ძემ გრიგოლმა—ვსცან ესე ამბავი ასტარხანს და ასტარხნიდამ მივსწერე ხსენებულს იონა ბერს ეს ლექსი. რომელიც იგი იონა ბერი ცუკიას გაზდილი იყო და მე მეწყინა, რადგანც ბიძი-ჩემის თეიმურაზიდამ გავიდა და იმე[რ]ლებთან შევიდა და იმისთვის მივსწერე ლექსი ესე.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფის ძეს თეიმურაზსა ახლდა იონა ბერიო,
მას ულალატა, გავიდა სხუაგან ივარცხნა წვერიო...“ 96 v—97 r.

89. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქუამი ამანთქება(!)—

ახლად ალვამკობ ალუასა ანაგებ ანაზებულსა,
ბან ბროლსა, ბადახშ-ბაკმიანს, ბუნებით ბრწყინუალებულსა...“ 98 r.

90. „სანკტპეტრებუხსა შინა თქმული მეფის ძის-ძის გრიგოლისაგან ბარათაშვილის ქალის დარია საბაკინის მეუღლის ქალიშვილზე“ უკანასკნელის გათხოვებასთან დაკავშირებით.

„დედამ უთხრა შვილსა: ქალო,
მინდა ქმარი გყავდეს კარგი,
—ქალი ეტყვის: დედავ თვალო,
მუჟ ია ნი ხაჩუ...“ 102 r—103 v.

91. „მირზაჯანასაგან თქმული თვისსა საყვარელსა ზედა.—

გამტყორცა სოფელმან, მოვშორდი მზესა,
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად...“ 110 r.

92. „უფალს გარსევანოვს მიერთის დავით ლექტორისაგან.—

თვალთამქებელო...“ (უცენზუროა). 110 r—v.

93. „საათლამას გუარზედ მუხანბაზი, თქმული იარალისაგან შანშიაშვილისა პაიჭაძე გიორგიზე.—

შე საწყალო პაიჭაძე, რახარო,
სახლი ალარა გაქუს, ახლა სად ხარო...“ 111 v—112 r.

94. „თქმული საქართველოს მეფის ძის დავითისაგან ქართველებზე, მუხამბაზი.

ქართველები მადლს აძლევენ ალასა,
რომ გადურჩნენ იმა ფოკა მტარვალსა...“ 112 r—113 v.

95. „სანკტპეტრებუხსა შინა თქმული ავთანდილ თუმანიშვილისაგან ბაგრატ ბატონიშვილის ცოლის-დაზედ, კნეინა სოფიოზედ, და გაბას ქალზე, და ბაგრატის გამდელს გულდასტაზე, და კნეინა დარეჯანას გოგოს გულისაბაზე, რომ ოთხნივ კნეინას სოფიოსთან შეიყარნენ; და კნეინა სოფიო[ს] იმ ჟამში თავისი მოსამსახურე ნაყიდი გოგოები გაექცნენ და სოფიო იგი, იმ გოგოების ჯავრით ავად გახდა, ჭკუაც დააკლდა და გაბას ქალი იმ დროს შევიდა.

96. ჭაბუა ორბელიანის ხუმრობა. აქ მოხსენებულია შემდეგი პირები: ბატონიშვილი გიორგი, ივანე აბაშიძე, სვიმონ აბაშიძე. 129 v.

97. ლუარსაბ თარხანის ხუმრობა, ოდეს ისპაანს იყო ელჩად. მოხსენებული არიან: ქრისტე, მახმადი, ყეენი. 130 r.

98. „მისივე სხვა ვარიანტი ყეენის სასახლეშივე“. 130 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99. „თავრიზელ ლოთის ოხუნჯობა ყეენის სასახლეში“. 131 r.

100. ჭაბუა ორბელიანის ოხუნჯობა. მოხსენებულია: ერეკლე მეფე, გიორგი თარხანი.

მისივე, მოხსენებულია: სოლომონ მსაჯული, ერეკლე მეფე. 131 v.

მისივე ოხუნჯობა. მოხსენებულია: ერეკლე მეფე, სოლომონ მსაჯული. 132 r.

მისივე, ოხუნჯობა ზაალ ყაფლანიშვილის მხრით მეფე ერეკლესადმი ორგულობის გამო. 132 r.

მისივე, გიორგი თარხანის ლეკებთან შებმის გამო. მოხსენებულია: ერეკლე მეფე, ეგნატე-ონისიმეს მღვდლის შვილი, ჭაბუას შეგირდი. 132 v.

101. გიორგი თარხნის მიერ ერეკლე მეფისაგან მიბარებულ ქორის გაწვრთნის ამბავი. მოხსენებულია მანგლელ ეპისკოპოსი. 133 r.

102. თარხან ფარეშთხუცესის (გეორგი თარხანის) და სოლომონ მეფის მოძღვარის სახუმარო შემთხვევა აბანოში. 133 v.

103. ჭაბუა ორბელიანის ხუმრობანი. მოხსენებულია: ერეკლე მეფე, ბატონიშვილი გიორგი, ივანე მუხრანბატონი, სულხან მდივანი. 134 r.

104. თარხან გიორგის ოინები სომხის ტერტერების მიმართ. 134 v.

105. უცენზურო მოთხრობები. მოხსენებულია: ჭაბუა ორბელიანი, დავით ერისთავი, ერასტი ამილახვრიშვილი, ივანე ბატონიშვილი, ბაღდასარა დალაქი, სოლომონ მეფე. 135 r—v.

106. „ბესარიონ გაბაშვილი ჩახრიხაული გაიოზ არქიმანდრიტის მიმართ:

მაღალ ღირსებას ჭამადი სუყე, მძიმედ მოსულა, ვით მიწა უყე.
ბერი ხარ, ბეჩავ, მუცლის მოყმუყე, აგრე ძლიერად რათ გაიბუყე...“
135 v.

107. ხორგუაშვილი თევდორე—დავით რექტორზე.

„არ გინახამს მეპასუხე, ილანძღები სახლში ბაქით,
არ გინახავს იმერეთი, არგუეთი და რაჭას აქით...“ 136 r.

108. მისივე, მოსწრებული პასუხი ერეკლე მეფისადმი:

„ერეკლე კითხავს ვინ არს წითლოსანი, თეთრ ტაიჭსა რომე ზისა?
ხორგუაშვილი: გკადრებ, სარდალ-მოურავი, სიძეა სიმაღლისა“
(სარდალ ციციშვილზეა საუბარი).

109. ხორგუაშვილის ხუმრობა. მოხსენებულია შემდეგი პირები: ერეკლე მეფე, იულონ (ბატონიშვილი), ალმასხან (ბატონიშვილი) და ხორგუაშვილი. 136 v.

110. ორბელიანი ჭაბუა—მოსწრებული თქმანი. მოხსენებულია: ერეკლე მეფე, ივანე აბაშიძე. 137 r.

111. თარხანი—შაირი: I.

„თუ თარხანი ცრუ არ იყოს, ბესარიონ შემომფიცოს,
ამილახუარ, ქსნის-ერისთავ თეიმურაზ ვირსა ჰსტკიცოს...“

112. მისივე შაირი II.

„მეფე ვახტანგ ინადირა, დაიარა დღეს კლდე-კდუში...“ 137 v.

113. „დავით რექტორისაგან (ცუკიასაგან) მიწერილი ევსევი ბერთან ლექსი.—

პასუხი ნიკოლოზ ციციშვილისა, ევსევი ბერის მაგიერ, რექტორისადმი.“
(ლექსები უწმაწურია).

114. „მარიამ ბატონიშვილისაგან მიწერილი ლექსი... ცუკიაზედ.

დაბრძანდი მიწის სკამზედა, გვერდით მოისვი ცუკია,
უსჯულო, ულთო, წარმართი, პლუტი, გაქნილი, ცრუკია...“ 138 r.

115. „გრიგოლ ბატონიშვილი, იესე მოძღვარის გლოვა,—

შევსწირო ქება პირუჱლად ღმერთსა, მას ცხოველმყოფელსა,
შემოქმედ ცისა, ქუჱყანის, და ეგრეთ კაცთა მბადელსა...“ 142 r—145 v.

116. „თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან, ძაგნაკორული ლექსი.—

დიდ არს დიდება, შენდა ლხინება, ამაოს მისდევ ამ სოფელს, რულსა,
გაქუს დაშვენება, არ ვისგნით ვნება, რად ცუდად ჰსთები რომ აჰყევ კრულსა...“ 145 v.

117. „ჩახრუხაული ლექსები ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა.“ 146 r.

118. „ოთარას ხუმრობა.“ მოხსენებულია ციციანოვი. 146 v.

119. მისივე, სახუმარო ამბები. მოხსენებული არიან; ერეკლე მეფე, ალექსანდრე ბატონიშვილი, იოსებ ბებუთოვი და სოლომონ მეფე. 146 v—147 v.

120. ლევან ბატონიშვილის და ერასტი ამილახვარის ხუმრობა. 147 v.

ერასტი ამილახვარის ოინები ამირაჯიბის მიმართ. მოხსენებულია: ერეკლე მეფე და თავადები... 148 r.

121. ერეკლე მეფის ხუმრობა—იესე დიასამიძის მიმართ. 148 v.
გრიგოლ ბატონიშვილის ხუმრობა.

ანდერძი:

„მე მეფის ძის ძე გრიგოლ დიდის გულს-მოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძუჱლთაგან თქმული მუნასიბნი, ანუ სიმღერისა ლექსნი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი, ანუ ოხუჯობანი. რაჲცა ძალმედუა, ვეცადე, ან ვის რა უ[თ]ქუამს ერთმანერთისათვის—ხუმრობა, ოხუჯობა მასხარობა. და თქვენცა გევედრებით კითხუჱლ-სმენელნო, თუ გაგონებით ანუ იცოდეთ ლექსი, ანუ ზმანი, ანუ ოხუჯობა, ჩასწეროთ წიგნსა ამას შინა, რათა არა დაეკარგოსთ ქართუჱლთა ენა და ლექ[ს]ი, ანუ ხუმრობა თვისი. ვინადგან ჩამოთესლდენ ქ[ვე]ყანასა ჩუჱნისა მშვენიერისა უცხო თესლნი და უცხო თესლთა მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰნებავსთ ახოცა ჩუჱნისა მშვენიერისა და ტკბილ-მოხუმარისა ქართულთა სიტყვისა. ვინადგან იქნება წიგნსა შინა შთაწერილი, ამისთვის არღა შესაძლებელ არს დაკარგუად ლექსისა, გინა ხუმრობისა, გინა ოხუჯობისა. ამის გამო გთხოვთ გულსმოდგინებით, რათა არა უარჰყოთ მოხსენება ჩემი და ინებოთ შთაწერა და უკეთუ ინებოთ მოხსენება ჩემი, და ლექსი იგი, ანუ ხუმრობები იგი, ჩთაწერეთ, და ვისგანაც იყოს ნათქუამი, ანუ ნახუმარი, ანუ ნაოხუჯარი გთხოვთ სახელიცა იმისი მოიხსენოთ, ვითარცა არს წიგნსა ამას შინა შთაწერილი." 1 r.

2131

პოლიტიკური ეკონომია, XIX

32 ფ.; 34,5×22,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1800 (ჭვირნიშანი). ორი სხვადასხვა ზომის რვეული, ბოლონაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 2.

„პოლიტიკებრი ეკონომია, თავი I, თუ ვითარ არს ვაჭრობა ერთა შორის, რომელთაცა არა უწყიან ხმარება ფულისა,—ერთა რომელთაცა სხუა საჭიროება არა რაჲმე აქუსთ თჳნიერ ბუნებითთა, არა ძალუძსთ და არცა თანამდებ არიან ქონებადცა განვრცელებულისა ვაჭრობისა..." 3 r—32 v.

წყდება: „ირწმუნეთ, რომე ყოველივე ჩვენი ბძანება ჭეშმარიტია და გამოუცვლელი და ყოველივე გარდაგხდებათ ზემოდ რიცხვების ძალითა და სხვა..."

შენიშვნა: ერთვის თავფურცელი: „პოლიტიკებრი ეკონომია ანუ საჴელმწიფოჲსა მეურნეობისათვის, თხზულება ღრაფისა დევერრისა, წევრისა სამეცნიერო საზოგადოობისა ბულონისასა. თარგმანი იტალიანურისა ენისაგან ფრანციცულსა ზედა მეშვიდისა გარდამოცემითგან." 1 r.

2132

ევდუქსია ასული ველისარიონისა, 1808

77 ფ.; 34×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1808 წ. (1 r); ადგილი: პეტერბურგი; მთარგმნელი; ალ. ჭავჭავაძე (1 r); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 4.

„ევდუქსია ასული ველისარიონისა, წიგნი პირველი.—დიდებულთა მათ გუამთა შორისთა, რაჲსაცალა გუაცნობებდენ ჩუჱნ ისტორიკოსნი, ან მეორდებიან უჩინებულესისა და უსახელოვნესისა იუსტინიანე კეისრის სპასპეტისა ველისარიონისაგან, რომელმანცა ხოსრო და ღელიმერ მეფენი ძლევით დაუმორჩილნა ჴელმწიფესა თჳსსა და აგრეთვე სხუადასხუანი სამეფონი და მრავალნი სამთავრონი აზიას შინა და აფრიკას..." 2 r—72 v.

შენიშვნა: ა. ტექსტი ორ ტომად იყოფა; პირველი ტომი 2 r—41 v, მეორე—42 r—72 v.

ბ. ერთვის თავფურცელი; „ევდუქსია ასული ველისარიონისი, მოთხრობა საატრფიალო (sic), თარგმნილი ღიშპანურით ფრანციცულსა ენასა ზედა ტუსაინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარდილონის მიერ, ტომი პირველი. ხოლო ქართულსა ენასა ზედა ფრანციცულიდან ალექსანდრეს ჭავჭავაძისა მიერ შეწევნითა მეფის ძის იოანესითა. დაიხხულ იქმნა წელსა 1808 პეტრებურღის შინა“.

გ. „ესე წიგნი მიიღე ჩემგან დავით, ძვირფასო ძმაო, შენი გრიგოლ დადიანი“ I v.

2133

დავით ბატონიშვილი—ახალი ისტორია, XIX ს.

17 ფ.; 34×25; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1808 წ. (ქვირნიშანი); აშიაზე და ზოგან სტრიქონებს შუა ჩაწერილია სხვა ხელით რედაქტორული ხასიათის დანართი ტექსტები, რომელიც მისდევს გამოცემას. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 6.

„[ახალი ისტორია.—ხოლო წელსა 1744 (ქართულს ხუთასიანსა) ქ˜ქს ულბ], ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი, რომელ არასად შემთხვეულ არს ესე ვითარი. მით ყოველთა შორის უბოროტესმან თაზისშვილმან ტარიელ მოკლა ხანჯლითა კათალიკოზი ნიკოლაოზ...“ 2 r—13 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... ჟამსა ამას კუალად იქმნა მომსჴრელი სენი ყოველსა საქართველოსა შინა, სადაცა მიეცა ერთა მუნებურთა ამა უბედურისა შემთხვევისა გამო მრავალი ვნებაჲ, გარნა უკანასკნელ წარიყვანეს როსიად დედოფალიცა დარეჯან...“ 29_5. ახ. ისტ., თ. ლომოურის რედაქციით.

მინაწერი: „ჩემდა სახსოვრად უძღვნი წიგნსა ამას მე გიორგი აბაშიძე სვიმონ ტაბიძეს. 23 დეკემბერს 1813 წ.“ (1 v).

2134

იოანე ბატონიშვილი—კალმასობა, 1828

380 ფ. (383 r—761 r); 35×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, ავტოგრაფი; [1828 წელი, იხ. H: 2153]; ამ ტექსტის დასაწყისი H: 2170, დასასრული H; 2153*).

„წინაალმდეგ განრემზომობაჲ და ესე საუწყებელ არს აქა, თუ რაჲსათვის უწინარეს ითქუა ესე, ვითარმედ არაოდენ აჭეშმარიტებენ ერთბამად, ვითარცა წინაალმდეგნი უკეთუ ქუემდებარე და შესმენილი მას ზედა არა იქმნებიან ურთიერთისა მიერ შესაბამიერ...“ 383 r—761 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... არამედ იძლია შაისმაილისა მხედრობანი და ივლტოდნენ და მოსწყვიტნეს მრავალნი მას ბრძოლასა შინა და ესრეთ ძლეული შაისმეილ მოვიდა ყაზმინს და დადგა მუნ მაყურებელი დროთა...“.

შენიშვნა: თავფურცელი (არა ტექსტის ხელით „იონა იერომონახის მოგზაურობა, გინა მიმოსვლა, ქმნილი საქართუელოჲს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის იოანესითა, ფრიად მშვენიერ, საამოს და სასარგებლოჲს უბნობითა შეწყობილნი“.

იხ. №№ 2153, 2170.

---

*) კალმასობის საერთო დასაწყისი ტექსტებია ხელნაწერებში Q: 720 და S: 5374.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2135

ქართლის ცხოვრება (მაჩაბლისეული), 1736

409 ფ. (818 გვ.); 32,5×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა, მოცილებული, დაშლილი, ნაკლული, დაკარგულია: 49—50 გვ.; მხედრული, სათაურები სინგურით 1736 წ. (665 გვ.); გადამწერი: გიორგი მაჩაბელი (665 გვ.); ადგილი: მოსკოვი (იქვე) იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 9.

„პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განყუნილიყო რომელიმე მწერალთა მიერ, და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულიყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ მ[ეფ]ემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა რაც რამ ქართლის ცხოვრება პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი; და შეამოწმეს. რომელი განყუნილიყო, განმართეს. და სხუანიცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხუნეს და ესრეთ აღწერეს.—სათნო უჩნდა სიბრძნით შემოქმედსა მას ღთისა და უფლისა ჩვენისა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლისა სიბრძნისა მისითა...“

შენიშვნა: აღნიშნული ხელნაწერი ინახებოდა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში 1923 წლამდე, იგი წარმოადგენს ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ვარიანტს. (იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა სვ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1941 წ. გვ. XXVII).

ანდერძი: 1. „მე, ფრიად ცოდვილი გიორგი მაჩაბელმან, დავწერე წმინდა ესე ქართლის ცხოვრება. დიაღ ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი. ამის მეტი არ ეწერა. მოსკოვის ქალაქს დაიწერა ქრისტეს აქეთ ათ[ა]ს შვიდას ოცდა თექვსმეტს 1736, დასაბამითგან შვიდი ათას ორას ორმოცდა ოთხს, 7244.“ 665 გვ.

2. „გიორგი მაჩაბელს ღ̃თო, მიეც შეწეუნა შენი, წერისათვის თვისისა“. 100 გვ.

მინაწერები: 1. „ღმერთო, აკურთხე მეფე ვახტანგ დღეგძელობითა“. 109 გვ.

2. მინაწერი ვახტანგ მეფისა (მეექვსის): „ორი ქართლის ცხოვრება მქონდა, ამ ერთში თამარ მეფის ანბავი სხვა რიგად ეწერა, ამ მეორის—სხვა რიგად. ორივ დავწერე. ამ რვეულმა იმიტომ გამოცვალა სიტყვა, ორ... ერ...“ 400 გვ.

3. გვიანდელი მინაწერები აშიებზე სხვა ხელით: „ესე ბათო, ანუ ბატი ყა[ე]ნ[ი] იყო შვილიშვილი ჩინგის ყენისა და ძმისწული იქოთასი, რომელმანცა გამოგზავნა ესე ოცდა ათისა ბევრისა ლაშქრითა 300000 ჩხლზ-სა წელსა ქ. აქათ აღსახმელად ქვეყანათა. რომელმანცა დაიპყრო ყოველი რუსეთი და მოხარკე ჰყო, და ქმნა სადგურად თჳსად სახლი მდინარესა ზედა ვოლღისასა.“ 565 გვ.

4. „იარლიკი ანუ იარულქეყი—წყალობის წიგნი, გინა რაყამი“. ქვემოდ „ესე სარგის თმოგველი იგი არს, რომელმან დილარიანი აღნაქვსა“. 569 გვ.

5. „ესე ალმუთელნი, ვგონებ, იყვნენ მამელიუქნი, რომელთაც დაიპყრეს ეგვიპტე სრულიად და ჰქმნეს სამეფოდ. ჰყვანდათ საკუთარი ხელმწიფე სახელითა სუდანისათა ყაირსა შინა. გარნა სელიმ სულთანმან აღიღო ყაირიც და მეფობაც, მამელუკთა ეზოცა, წელსა ქრისტეს აქათ ჩფ.“ 573 გვ.

6. „ამ ალექსანდრეს ესვა ძე სამი—უხუცესი ვახტანგ, რომელსა მისცა იმერეთი, საშუალი დიმიტრი, რომელსა მისცა ქართლი, და უმრწემესსა გიორგის მისცა კახე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი. და შედგა თჳთ, მონაზონ იქმნა. ამ გიორგის, ალექსანდრეს შვილის, ჩამომავლობანი არიან ეხლანდელნი ბაგრატიონნი“. 684 გვ. მინაწერები აგრეთვე: 816, 817, 818 გვერდებზე და მარცხენა ფორზაცზე და მარჯვენა ყდაზე.

2136

არჩილიანი, 1842

77 ფ.; 34×21; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; დაშლილი; 1842 წელი (71 v); დაუწერელია: 1—3 ფ. და ბოლოში 73—77 ფ. ფ. ივ. ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 11.

„ქართლისა, იმერეთისა, კახეთისა და სრულიად საქართუჱლოს მეფის ვახტანგ შაჰნავაზად წოდებულის ძის, მეფის არჩილის მიერ თქმული გაბაასება დიდის მეფის თეიმურაზისა და ლექსთ რიტორის შოთა რუსთაველისა:—

სამგუამოვანო ღუთაებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო...“ 1 v—35 v.

კრებულში შესულია:

1. საქართუჱლოს ზნეობისათჳს (35 v—39 r).
2. თქმა სიტყუათა საჩინოთა რუათა ასოთა გუამისათა (39 r—40 r).
3. სიტყუა სანათლისღებო (40 r—42 v).
4. ჩახრიხაული (მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი) არ არის გამოყოფილი სათაურით, 42 v—49 v) (შდრ. არჩილიანი, ტ. I, გვ. 225—247).
5. სოფლისა და კაცის ბაასი (50 r—71 v).

შენიშვნა: 1. თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების პროზული შესავლის ტექსტი შეიცავს ვარიანტულად განსხვავებულ წაკითხვებს.

მინაწერი: 1. „დაესრულა და დიდება ღმერთსა ყოველთა ზედა (ასოხვეულით), აგვისტოს 19, 1842-ს წელსა. დედანზედ ჩაკითხულია და გამართული“. (71 v).

2. „ესე წიგნი არჩილიანად სახელდებული, მე ჩემისა მეცადინეობითა მოვიპოვე დედანი ამისა, გარდმოვაწერინე ჩინებულსა ლექსის მთხზველსა და ჩემს ძმისწულთ თავადთ გიორგი და დიმიტრი დავითის ძეთ ჯორჯაძეთ მივართვი სახსოვრად ჩემდა და დასაცველად თჳსთა საკუთართა სახლთა შინა, ოკდომბრის პირველს დღესა, ათასრვაას-ორმოცდა-ორსა წელსა. დღეგრძელებისა მათის ბრწყინვალებისა ღ̃ისადმი სამარადისოდ მთხოველი და მლოცველი იღუმენი და კავ·ლეროსანი იოანე“. 72 v.

3. იამბიკო—აკროსტიხი—„მაღალ ღირსს იღუმენს იოანეს და კავალერს ფეოდოსი“ იამბიკო თქმული, ჴმასა ზედა ა-სა ჯერ არს დუმილი.—

„მორჩილმან თქუჱნის, მაღალ ღირსებისამან
არა უდებ ვჰყავ დავალებაჲ თქუჱნგან,
ღამე დღე ყოველ დავშუჱრ მას ზედა·წერით,
ამად აღუსწერე არჩილიანის წიგნი
ლექს მკობილებით, რაოდენ მე ძალ მედუა.
ღრმა დანახეთქი, შეცთომილი თხზულთ შინა
იძიებოდა ჩემ მიერ მარად ლექსნი
რიცხუნი მარცუალთაც განუკაზმელ ყოფილნი,
სადა რომელი წინა უკანაობჲა,
საზღუარში დავსხენ, ვით მოითხოვდა სტიხი
იქთჳერითა, უკეთუ განიხილავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსებას ჰპოებთ ალნაქუსთა სიმგრგულეთასა
უგემოდ არც ერთს, უმეტეს გემიერსა,
მინამჰსგავსებსა ურთიერთთა ხმათასა,
ესრეთ საამოს, ვითა პოეზიურსა.
ნიშანი მრავლად იპოებინ დედანში,
სადა რა ჰმეტობს, სადა უმეტეს ნაკლობს;
იგინი აქა აღმოიხოცნენ ჩემგან.
ორიონის ცის მსგავსება აქუს კამკამით.
ამად მას წიგნსა აწ უიჭობა ეთქმის.
ნაწერი მწერლის ყრმაებრი შენათხაზი
ემსგავსებოდა აზიურსა ნაყიშსა.
სადა ხაზები, წითლით მრავლად ვლებულნი,
დააშუჱნებდა კაბადონისა მკარსა,
არამედ თხზუანი აქლემებრნი მბრად მბრუნდი
კალამმან კალამს შურ აგო ტჴფრჳს წესით
არა მისებრივ, გარნა თჳსის ჩუჱვითა.
ვით ვარდმან თჳსით ყოჩი-ვარდა განაძოს,
აქაცა ეგრეთ დედნის თხზულებას შეხუდა
ლექსთა გონჯობა, მარცუალთ ასოთა კლება.
ესე მიირთჳ უმოწყალესო ჩემო,
რომელი აწე წარმოვადგინე თქუჱნდა.
სახსენად ჩემდა, თქუჱნგან მაღალ ღირსებავ,
ფიალ ყუარჳსა სასმელად სიამისა,
ენდალმად ჩემდა თქუჱნ მიერ მობოძებით,
ოდენ ესე ვჰყავ, ვითარიცა შემეძლო,
დავჰსთხზენ აღწერით, თუმცა არა საქები,
ოქსინოდ გიძღუჱნ ჩემ გლახაკის სურჳლით,
საკუთრად ჩემთჳს მყოფო უმოწყალესო,
იმრთელე მდაბლად მონისაგან შენისა." 72 v.

2137

თეიმურაზ II—სარკე თქმულთა, 1823

94 ფ.; 34,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა ტვიფრული; 1823 (92 r); მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: იოანე იალღუზისძე (იქვე); დაუწერელია, 92 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 13.

„სარკე თქმულთა, დღისა და ღამის გაბასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის მეფისა თეიმურ[ა]ზისაგან, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა თქმისა ამის წიგნისასა. ან წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა.—
ვით ჴელ ვჰყო აღძვრად სიტყვათა, ვერ სიბრძნის ღირსმან სწ[ა]ვლობით..."
1 r—82 r.

ანდერძი: „დასასრულ წიგნისა ამის აღიწერა წიგნი ესე სარკე—თქმულთა ჴელითა ღუბერსკის სეკრატრისა იოანე იალღუზის ძისათა, იანვრის კზ დღესა, ჩყკგ წელსა, ქართულსა ქ̃ნსა ფია. 92 r.

შენიშვნა: ერთვის „საძიებელი..." 93 r—94 v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2138

- კრებული, 1820

56 ფ.; 34,2×23; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; 1820 წ. (39 v); გადამწერი ეგნატი იოსელიანი (იქვე); მთარგმნელი სამეფო ტომარის—გაიოს (39 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 14.

1. „სამეფო ტომარი უსამღუდელოესსა და უკეთილმსახურესსა მეფესა ჩუჱნსა იმპერატორსა იუსტინიანეს, შრომასა ამას კრძალულებით უძღუნი აღაპიტ უმცირესი დიაკონი.—თავი ა. ღმერთი არს ყოველთა მეფობათა შემოქმედ... მყოფი უმაღლესსა შინა ღირსებასა, ჵი იმპერატორო, უმაღლეს ყოველთა ღირსებათა აღგიყუანა შენ ღმერთმან, რამეთუ მსგავსად თჳსისა ზეციერისა სამეფოსა...“ 4 r—39 v.

2. [ეგნატე იოსელიანი] „შემოკლებული ისტორია კიროსისათჳს.—ჟამთა სომეხთა მეფისა ტიგრანისათა, წინასწარ მეტყუჱლთაგან ქებით მოსწავებული ცხებული ღ҃ისა გამოჰსჩნდა კიროს, მეფედ და დამაფუძნებელად ტახტისა სპარსთა მეფობისათა...“ 41 r—49 v.

3. [სოლომონ ლეონიძე] „მოთქმით ტირილი საქართუჱლოს მეფეს ღერკულესს ნეტარებისა ღირსსა ზედა.—დღეს ქუჱყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარისა დიდისა...“ 51 r—54 v.

შენიშვნა: 1. სამეფო ტომარს წინ უძღვის გაიოსის მიძღვნა ერეკლე მეორესადმი 51 r—54 v.

მინაწერები: 1. „კნიაზ დავით თარხანოვ[ი]სა არის“. 1 r.

2. „ეს არის დაწერილი მღუდლის ეგნატე იოსელიანისაგან. პ[ლატონ] ი[ოსელიანი]. 50 v.

3. „გოდება გინა მოთქმა, წარმოჵასიტყვი სოლომონის მიერ მდივანის, საფლავს ზედა მეფისა ირაკლისა წარვიკითხე რა, შემდგომად მრავალთა ქების მოსმენათა მე თანავასწორე მას, რომელ მთა ოდესმე დაორსულდა და შუა თაგვი...“ 55 r.

2139

სულხან-საბა ორბელიანი—ქართული ლექსიკონი, XIX

451 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული: [XIX]; ლექსიკონის ეს ხელნაწერი შევსებულია დავით და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ (11 v); ადგილი: თბილისი (11 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 16.

„სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი.—ანი არს პირველი ასო, და ჴმოანი და ართრონი, მრავალ რიგად თავად და ბოლოდ მრავალთა სიტყუათა ზედა ვითა თავს დაგვიწერია...“ 12 r—410 v.

შენიშვნა: წინ უძღვის: 1. „ანბანი პირველი სასწავლო ყრმათათვის“. 1 r.
2. „მეორე რიგი სწავლება ანბანისა, თუ ვითარ შეჴმოვანება და ჴმოანი და უჴმო“. 1r—2 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. „მესამე სწავლა ამბანურად გენკის გარჩევით პირველი ამოღებისა“. 2 r.

4. „დამნიშვნელი ქართულისა რიცხვებთა სარიცხველი, არაბულ-ქართულითა რიცხვებთა სარიცხველი“. 3 r—5 r.

5. „ანბანი პირველი სასწავლო ყრმათათჳს“. 2 r.

6. „მეორე რიგად სწავლება ანბანისა, ვითარ შეჴმოვანება, და ჴმოვანი და უჴმონი“. 7 r.

7. „საქცევნი ხუთთა ჴმოანთა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა და თავბოლოთანი“. 7 v—9 r.

8. „ანდერძნამაგი ამის მუშაკისა, ფრიად დამაშვრალისა, მოსწავლეთათვის, გარნა მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მკიცხარ ექმნებიან შრომისათვის და არა საწერავად მისცემენ ლოცვასა...“ 9 r—10 r.

9. „აქა იუწყე, რამე თუ პეტრიწი ქართველსა პლატონურისა, წიგნებისაგან სიტყუაჲ რომელსამე ადგილსა მთელი დაუწერია“. 10 r.

10. „არიან ქარაგმანიცა ათნი, რომელსა ქართულად ეწოდების განწილვა“. 10 r

11. „ეს ოთხნი ნიშანნი ქუეყნის მზომეობისა ჴელოვნებანი არიან ამას ეწოდების სტილმა, რომელსა ჩვენ წერტილს უწოდთ და სახელსა სდებენ ერთად“. 11 r.

12. „ეს ნიშანნი სადაც სხენან მიგასწავლის ცხოველი არს თუ მცენარე“ 11 r—v.

13. **დ. ბატონიშვილის ანდერძი**; „საყვარელნო წამკითხველნო.—თუმცაღა საბას ღვაწლი და მოსწრაფება არს ფრიად სატრფო და საშურველ, მაგრა ჟამთა ვითარებისა დაუდგრომელობის ჟამსა ჴელ-უყვია წიგნისა ამის ჴელყოფად, რომლისაცა ჟამსა არღა რაჲმე ყოფილ[იყო], არღა დაშთომილ წიგნი და არცაღა ფილოსოფია და თუმცა დაშთომილ იყო, რა ვხედავ ღვაწლსა ამას მებრ კანონის ლექსიკონისა ჴელ ჰყოფდა კაცი იგი [1]. მე, მხილველმან ლექსიკონისა რუსულისამან, რომელმანცა ვიყიდე ყოფასა ჩემსა პეტერბურღს; მოვაწერე განმარტებანი ცხოველთა და ბალახთანი, რომელიცა ამა ლექსიკონისა მშრომელსა არცა თუ ენაჴა, ვჰგონებ, რომელ არცაღათუ სმენოდა. და გთხოვთ, რომელ, უკეთუ ვერ ვჰყო სრულება, თქვენცა ჩემებრ შრომა ჰყავით მსურველთა ერთა მეცნიერებისათა განმართეთ ღრამმატიკისაცა კანონსა. საქართველოს მეფისძე და მემკვიდრე და რუსეთის ღენერალ მაიორი დავით. 1799 წ. სეკდენბრის 30. ტფილისს“. 11 v.

14. ბოლოში დართულია:

ა. ესე არიან გამოკვლევით ძიებულნი, სახელდობრ აღწერილობანი მათთა წმიდათა მამათა, რომელნიცა არიან მოხსენებული წიგნსა ამას ლექსიკონსა...“ 410 v—412v

ბ. „რადგან დაშვრა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა...“ 112 v.

ბ. „ამ ლექსიკონისა რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოსა...“ 112 v.

გ. „მოჴელენი. რომელნი არიან ქართულნი და რომელნიმე არღა რა უწოდენ და თურქთა ენათაგან მოუღიეს, მისდა ნაცვლად...“ 413 r—415 r.

დ. სულხან-საბა ორბელიანის ე. წ. „Curriculum vitae“ 415 v—416 r.

ე. „ლათინური ქართული“ (სიტყვები). 416—420 v.

ვ. „სახელნი ბალახთა, ხეთა და ცხოველთანი, ენითა სამითა: რუსულსა, ქართულსა და თათრულსა ენათა ზედა: საქართველოს მეფის გიორგის ძის იოანესაგან პოვნილნი და ქმნულნი...“ 420 v—332 v.

ზ. „წონა წამლებისა და სახელნი...“ 433 r.

ც. „ლათინურად და ქართულად წამლებთა და სხუათა საგანთა მრავალთა თარგმანება მათი, რომელ არს ლათინურისაგან ქართულად ქმნილნი...“ 433 v—446 v.

თ. „მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან რაოდენიმე მუხლნი ბოტანიკებრ შეკრებილნი საცნობელად სხვადასხვათა ბალახთა, ხეთა და ხილთათა. შემოკლებით აღწერილნი მის მიერვე სასარგებლოდ მემამულეთა თჳსთათა ქმნილნი...“ 447 r—450 v.

ი. „სახელნი ფრინველთა“. 450 v—451 r.

[1] როგორც ჩანს, ტექსტი წარყვნილია უცნობი გადამწერის მიერ.

2140

გორგიჯანიძე ფარსადან—ისტორია, 1696—1700

237 ფ.; 30×20,5; ქაღალდი; მხედრული; სათაურები სინგურით; მუყაოს ყდა; ნაკლული; 1696—1700 წ.; დასაწყისში და ბოლოში დართული აქვს ლითოგრაფიულად დაბეჭდილი სურათი ერეკლე II-ის, ზომით 48×46. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 31.

„... უჯარმას გასწყობოდა და თვითანვე ქალაქათ აეგო და ზამთრით იქ დადგის ნადირობისათვის, რომ ყველგნით ახლო აქონდა კარგნი სანადირონი...“ 1 r—237 r.

მინაწერი: 1. „ქ. თვესა მაის კახი ბატონი, მეფის ერეკლეს ძე, მეფე იმამყულიხან მარტყოფს მობრძანდა და მარტყოფიდამ დაიწყო სიარული, და ქალაქს აბანოში შევიდა. და ქართველის ბატონისშვილს ვალხტანგს (sic) მაშინ ქართლის ჯანიშინი იყო და ამის ჩასვლა რომ შეიტყო,—დიაღ ეყწინა და კაცები მიუვიდა და ვახტ[ანგ]ს, რომ კახი ბატონი ჩამოვიდაო და ქალაქის ტახტზე დაჯ[დაო]. მათში შეიქნა ერთი ტირილი, მეორედ მოსვლა. მაგრამ კახი ბატონი იმ გზით არ ჩასულა და არც არა ამის გუნებაში ქართლის დაჭერა სდომებია იმ ხანათ, მაგრამ იმათ ეგონათ. ამათში ცოტა რამ ლაპარაკი მოხდა. კახმა ბატონმან იმამყულიხან იმ ლაპარაკს ყური არ მიუგდო. ეს დაიწერა მაისის გასულს, ქ˝კსა ტჟჱ, ღმერთო, ხელი მოუმართე კახს ბატონს და კახეთი დღეგძელობასა და გამარჯვებაში აჭმარე“ (237 r).

2. „ქ. ღმერთო, ძამუსაშვილმა, პაპისაშვილმა პარუნ გიორგიმ მოზდოკის სალდარსა ზობორს ხელი მიყო აპრილის დამდეგს, ქ˝კს ჳნი, ამავ ქორონიკონის თარიხში საყდრის საძირკველი ჩაყარა კათათვის დამდეგს, ქ˝კს ჳნი“ (237 v).

3. „ენაკოლოფანთ ქალებმა და შაინას ქალმა ყვავილი გადიხადეს იანვრის დამდეგს, ქ˝კს ჳჲა“ (237 v). 2 და 3 მინაწერი ანმეტურია და სხვა ხელით არის ნაწერი

4. ამ ხელნაწერის დასაწყისი მოთავსებულია H: 2492 ნომრის ქვეშ.

ბიბლიოგრაფია: ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ცალკე ამონაბეჭდი. თბილისი, 1926 წ.

2141

«თარგმანება სამოციქულოჲსა», 1769

148 ფ.; 32×21,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, 1769 წ. (148 r) ნაკლული; დამკვეთი: ირაკლი მეფის ძე გიორგი (148 r); გადამწერი: სიონის დეკანოზის ძე ზაქარია (იქვე); დაუწერელია 1, 2 და 82 ფფ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 32.

„...ბ. კორინთელთა, თავი იგ.—მოციქულისა, წინასწარ ვჰსთქუ და აწცა წინასწარ ვიტყჳ, ვითა იგი პირისპირ მეორედ მაშინ და ჵ შორით მივსწერ წინასწარ შეცოდებულთა მიმართ...“ 3 r—148 r.

ანდერძი: „ადიდენ უფალმან ღმერთმან მადიდებელი თვისი ძე მეფის ირაკლისი გიორგი მრჩობლითა ცხოვრებითი და კეთილ წარსამართებელითა თხოვითა იმრავალწელითენ. რომლისა ბრძანებითა აღუსწერენ თარგმანება ესე სამოციქულოჲსა, რომელ-

ნიცა რაოდენნიმე ესე წიგნნი ეპისტოლენი მოციქულისნი დღესა აქამომდე მრავლით ჟამიდგან მიფარულიყუნეს და მრავალს ადგილს წაბღალულ და დაკლებულ, ამისთვის მე ყოვლად უსახურს ულირსს მღდელს სიონის დეკანოზის ძეს ზაქარიას ნუ ბრალეულმყოფთ. ივნისს ვ, წელსა 1769. ქ˝კს უნზ.“ (148 r).

მინაწერები: „მეფის ძის იოანის ვარ“ მარცხენა ყდის v. „საქართველო[ს] მეფის ძე დავითისა არის“ 3 r. შენიშვნები მხედრული ხელით ტექსტის დანაკლისის შესახებ; 83 v, 85 r, 98 v, 99 r, 115 r, 117 r, 125, 127 r, 142 v, 143 v, 148 r.

2142

არისტოტელი—კატიღორია, 1851

132 ფ.; 22,5×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაურები სინგურით: 1851 წ. (132 v); გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; ადგილი: სანკტპეტერბურგი. აკლია მე-14 რვეული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 34.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა. კატიღორიათა არისტოტელითთად შეყუანილება § 1.—საჭირო ვიეთმე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე—ქმნილთად ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედ მიწევნილებაჲ კაცობრივი მით, რომელ უკეთუ არ მეცნავ იქმნებინმცა ამისდა მოწაფენი სიბრძნის მოყუარებისანი...“ 5 r—102 v.

წყდება: „ეს უკუჱ ეკმაოდენ განთჳსებასა, ნათესავისა და სხუაობისასა...“.

შენიშვნა: 1. თავფურცელი (იხ. H: 2143).

2. საძიებელი 103 r—131 r.

3. **მინაწერი:** „ძალითა ღთისათა სრულ იქმნა წიგნი ესე კატიღორიაჲ.“ 131 r.

4. **გადამწერის ანდერძი:**

მათს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის გიორგის მეათსამეტის ძეს მიხაილს, ფრიად მოწიწებით მიერთოს.

სიბრძნის ოქრო-წილს	ტურფად მთხზუჱლ მრიტორებელს,
ჳიანტებრ ჴელმძღუანს	**ა**რისტოტელთ კუალთ მბაძუჱლს,
ჱპოკრატებრ მკურნალს,	**ბ**უნებრ მეტყუს, პლინს სწორებულს,
მრავლად ჴელმყოფსა,	**ჱ**ვერთ ქართლს სიბრძნის მცემელს,
ჵნომასტიხს გძღუნი	**ძ**ე მეფის გიორგ მიხაილს.

ბრძანებით თქუჱნით ჴელვჰყავ რა გარდმოწერად
სახელწოდებრ კატიღორ, რუსულით თარგმნილ
ანტონ პირველის კათალიკოზ ქართუჱლთ;
ფილოსოფოსის მაკედონთ არისტოტელის.
მეტაფიზიკებრ განჱსჯაჲ მიზეზ არსობით,
მარგალიტ წყობილ, სამოდ ლოლიკებრ ქმნილნი,
თან ზიარ მოწმით ჩუჱნთ ნეტარ მამათგან ზედ რთულ,
ეს ვითართ მშრომელს ჩუჱნთ მღუდელ-მთავარს უძლევნი მადლს.
ვეგები მდაბლად მრჩობლ ვითხოვ შენდობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ვჰყუჩნ ცთომა, გვედრ შემინდევ უცნობს,
მჰსწრაფლად ჴელვჰყოფდი წერა ასოთ კალმობას,
რადგანც ხარ ბრძენი, განმართავდა ჩემს ცთომას".
ს[ვიმონ] ტ[აბიძე].
სანკტ-პეტერბურღს შინა, წელსა 1851, თთუესა მარტსა 24 დღესა". 132 v.

2143

არისტოტელი—კატიღორია, 1782

133 ფ.; 18×13,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით: 1782 წ. 26 ივლისი. (133 r); გადამწერი: ნიკოლოზ ონიკოვი (133 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 39.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანის კატიღორიათა არისტოტელითთად შეყუანილება § 1.—საჭირო ვიეთმე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე [ქმ]ნილთა ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილება კაცობრივი..." 4 r—104 r.

თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველს მყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა დავითიან ბაგრატოვანისა ქმნილი, ანუ თქმული წიგნი კატიღორია—სიმეტნე და ჰსჯილი მისგან. ჴმასა ზედა არისტოტელისსა შედგომითავე მისითა მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდამოცემათა მოღებული. ხოლო წინადადებული თჳსისა სხოლისა მოწაფეთად დროსა ყოვლად ბრწყინუალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსაჲსა, ხოლო მამათმთავრობისა თჳსისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275, ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღ~სათა 1767, თთუესა მერუესა: რიცხუსა 9, დაიწერა გნოსისა შინა სამეფოსა მისისა მეფობისა უმაღლესობისასა." 1 r.

მინაწერები: 1. „მეფის ძის ძე გრიგოლისა არის ეს კატიღორია თავის მამა[მ] მისცა სადიდებელათ თვისთა თავისა. დავიწყევ დეკემბრის 26, წელსა 1807 ქ~კს უჟე ჲღჴ, აპრილის ერთს ვიწყევ ეს კატიღორია მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა ღ~თის შემწეობით წელსა ჩყთ. ქ~კს უჟზ. 134 v.

2. „შეწევნითა ღთისათა [ქ~კს უოე ოკდომბერს, Ϛ ვიწყე კატიღორიის კითხუა". საცავფურცელი r.

3. უძლვის წინასიტყვაობა 2 r—3 r.

4. ერთვის საძიებელი ალფაბეტური. 105 r—133 r.

2144

დავით რექტორი—ოთხნაწილედნი სწავლანი, 1784

64 ფ.; 21×16; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; 1784 წ. (1 r); ავტოგრაფი; ადგილი: თბილისი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 40.

„ნაწილი ა, ცნობისათვის ღ~ისა და მისთავე საქმეთათვის. თავი ა.—ღ~ისათჳს, ვითარმედ არს ღმერთი. კითხუა: ღ~ი როგორ ვიცით, რომ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგება: რადგან ყოველნი მოგონებანი გონების განმხედვარეობით იქმნებიან, რომ სული ყველას გამოეძიებს დაფარულსა და სიღრმესაც, რომ თითონ გონებაც გონებისაგან არის პოვნილი და მოფიქრებული...“ 5 r—64 v.

შენიშვნა: 1. თავფურცელი: „ოთხნაწილედნი სწავლანი გონებითისაგან გონიერებისა მიერ პოვნილნი. სწავლანი მეგობრისა მიმართ თჳსისად მიცემულნი, რათამცა ცხოვრებასა თჳსსა ამით უკუჱ განიგებდეს.. თქმული ალექსის ძის დავითის მიერ სიყუარულისათჳს მეგობრისა თჳსისა სოლომონ მდივნისა, მდაბიოსა ენასა ზედა შეწყობილი, ადვილ საცნოდ და გასაგონოდ, რომელმანცა მის მიერ თხოვით იძულებულმან ვჰქმენ წიგნი ესე გამოთქმით. წელსა 1784 ფებერუალს 22. ქალაქსა ტფილისს.“ 1 r.

2. დავით რექტორის წერილი სოლომონ მდივნისადმი: „მეგობარო უუსარწმუნოესო, განათლებულო, ძმაო სოლომონ.—გონიერებისა სამყაროსა შინა სამართლადრე მჭვრეტელმან და მუნ ბუნებითითარე ძიებითა მპოვნელმან და ამომრჩევმან, ვითარმედ (ჰქმენ იგი, რომელიცა სრულგყოფს შენ და მდგმოობასა შენსა და გარემიექეც. რომელიცა არა სრულგყოფს შენ და არცაღა მდგმოობასა შენსა) ითქუა რა ესე ბუნებითისაგან პოვნისა გამორჩევითა ამით უკუჱ, ვითა კავშირითა. შეკრულმან არა მირიდა გონებამან და მსჯელმან თავსა, ვითარმედ მეგობრისა უუსარწმუნოებისა ამორჩევა სიყვარულისა და შეკრულება თნებითა თან ვნებითა, ვითარმედ მექმნების სრულება მდგმოებისა და რომელი უკუჱ დაარღუჱვს ვნებისა მისუჱ სახე არა თნება მისი უკუჱ არა კუჱთება შინაჲსა კაცისადმი, რათამცა ილმს აღსავალთამებრ ვნებისა გარემოთი, რომლისა გამოწერა აღიბეჭდვის არა სრულებად, ვითარმედ (არა სრულმყოფს მე). ამით უკუჱ მიმხედ მან მცირეთა ჟამთა შინა შრომაჲ მრავალთა ჟამისა სიხარულთა ჩემდამი ქონებულთა შევრაცხე რა შენისა სიყვარულისა თხოვითა სრულებასა შევეკრვოდი, ვითარმედ სიყვარული და ერთგონიერება ძმათა და მოყვასთა საშუალთა მოქმედებისა ქონებითა დასასრულთა კეთილთა მიზიარებდა. არა ვრიდენ ესე გვართა ჰაზრთ გამომწერმან რა შენ მიერსა თხოვასა შინა საშუალ მოქმედებისა ჰმევითა სიყვარულისა კავშირნი შეადგენ და მით არა რა ვრაცხე შენსა უფროს უუსაყვარლეს მზესა ქვეშე ბრძნისამებრ სიტყვისა, და რაჲცა შენისა უუსარწმუნოესისა მეგობრობითისა განგრძელებული მოუკლებელად სიყვარული გონებათა შინა მოგონებანი უნაწევროდ წარმომიდგეს. აქა უკუჱ წერილითა ნაწევროანად წარმოვადგინენ და აგრეთ დავანაკვეთენი, რათამცა იყოს შენდამო უკანასკნელთა ქადაგად მოგონებისა.

გარნა ვითარიცა შენ მიერისა თხოვითა ჰაზრნი მომეთხრნეს მისებრნი ვიმეცადინენ სათნველნი ალქატებრნი და არა შევმართენ შეუძლებელთა ორთა უკუჱ მიზეზთათჳს, ვითარმედ კადნიერებაჲ შესრული სულსა შინა უგლიმოებაჲ არს და ამით უკუჱ შეუძლებელთა არა ჰჯამს შეკადრებად. და მეორედ ვითარმედ რათამცა იყოს შენისამებრ თხოვისა დასასრულიცა თან-ჯმა, რომელი ესე სწორზომისა არს განმჴსჯელობა. და თუმცაღა შენისა უკუჱ თხოვისა შემსგავსებულთა ჰაზრთა მიმერიდნეს და სხვებრ აღნაქვსითა და ჰაზრითცა სხვებრ გავმესხვავნეს, რაოდენ ძალმედვა და შრომაჲ შემემთხვივნეს და ვიეთთამე გონებათა ეთნოთმცა და აღერჩიათ, ვითარმედ საქებ არსო, ვინადგან უკუჱ, მეგობარო უუსარწმუნოესო, თხოვისა შენისა მჴსგავსთა დასასრულთა შრომაჲ ჩემი ვერა ჰპოებდა, რათამცა სწორზომანი თანჯმად ჰქონებოდეს, ამით უკუჱ მივრიდენ. და რომლისათვისცა ჰაზრნი შემიკრებიეს და იტყვი, ვითარმედ ესე გვარნი ჩემ მიერთა დაწყებულთა საქმეთა შინა შესახმარვისო, ამის უკუჱ მიზეზითა ლიტონად ჰაზრითცა და შეწყობითცა წარგიწერენ, რომელიცა თქვენისა უჭეშმარიტესისა ძმობისადმი მომიძღვნიეს. ხოლო თუმცაღა ამით უკუჱ მეს. ვითარმედ საამოდ დასტაბმცა, მაშინ უკუჱ შევრაცხო თვით თავი ჩემი უბედნიერესად დროსა ამას და სწორზომისა შექმნეს, ვითარმედ ვჰქმენ იგი, რომელიცა სრულმყოფდა და მდგმოობასა ჩემსა. მეგობარი და ძმა შენი უუსარწმუნოესისა სიყუარულსა შინა მყოფი ალექსიძე დავითი. 2 r—v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „პინაქს სიტყუაობა თავთა ამის წიგნისათა. ნაწილი ა.“ 3 r—v.

4. „დასასრული ოთხნაწილედთა სწავლათა ხუთ განყოფილთა. დიდება ღ͠თსა სრულმყოფელსა ყოველთასა. დავით ალექსის ძის მიერ ნაღვაწნი თქმით და წერით. ფებერვალს კ͠გ. წელსა ჩღპდ. ქართულსა ქორონიკონსა ზედა უოზ.“ 64 v.

2145

ღვთისმეტყველება სამ წილად, XVIII

134 ფ.; 20×15; ქაღალდი; მხედრული; სათაურები ასომთავრული სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 42.

„აღსარება მართლის სარწმუნოების აღმოსავლეთისა მართმადიდებელთა წმინდა კათოლიკე სამოციქულოსა ეკკლესიისა კითხუა პირუ͠ლი.—რაჲ ჯერ არს დამარხვად მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მიერ, რათა დაიმკვიდრონ ცხოვრებაჲ საუკუნო...“ 10 r—134 v.

შენიშვნა: წინ უძღვის: „შესავალი წიგნისა ამის.“ 1 r—4 r.

2. წინასიტყვაობა. 5 r—9 r.

მინაწერები: 1. წიგნის მეპატრონის დავით რაჭის ერისთვის ძის. „ეს წმიდა სამების აღიარების (sic) წიგნი კნიაზ დავით რაჭის ერისთვის ძისა არის, რომელმანც ეს წიგნი მოიპაროს, თავათ ორისხავდეს დაუსაბამო ღმერთი, მამა ძე და სული წმიდა. და, შენ, შერისხდი სიტყვისა ღ͠ისა მშობელო ქალწულო, ნუ მისცემ ძესა ნუცა ნაყოფსა, იყავნ სამკვიდრებელი მისი ოჴერ და საფელთა (sic). მისთა ნუ იყოფინ და სასჯელისა მისისაგან გამოვედინ დასჯილ და მარჯვენე მისი ცუდ დამაშვრალ.

2. თუმცა ეს წყევა დავსწერეთ, ეს წყევა წყევა არ არის, პატრონმა უძლვნო მის უგანათლებულესობას მეფის ძეს იოვანეს“. 81 r.

3. „ეს წმიდის სამების აღიარების (sic) წიგნი კნიაზ დავით რაჭის ერისთვის ძისა არის, ვინც ამას მოსაპარავად ჴელჰყოს, ღმერთმან და ამ წიგნში ხსენებულის წმინდანების მადლმა მარჯვენე ჴელი შეახმოს, და რაცა წავიდეს, არც გზა კეთილად წარემართოს, მუჴლთ ძლიერება გამოეცალოს და თვალთ სინათლემ აკლოს, ამინ.

4. თუმცა ეს ზემოთ წყევა დაგვიწერია, ეს წყევა წყევა არ არის, თვით პატრონმა უძლვნო მეფის ძეს იოვანეს ყიზლარით, ოკდომრის კვ. რიცხვს წელს ჩყე.“ 106 v.

5. „მწუხარებასა, უხვაიშნობასა და უნუგეშობასა შინა მყოფმა დავით ერისთავის ძემ მოგართვი წიგნი ესე ოთხ ნაწილადი სახსენებელად ჩემდა მეფის ძეს იოვანეს...“ 134 v.

2146

მარმონტელი—ველიაზარ, 1795

91 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1795 წ. (89 r); მთარგმნელი: გაიოს არქიმანდრიტი (1 r, 89 r); გადამწერი: დავით რექტორი (89 r); ადგილი: [თელავი]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავი ა.—მოუძლურებული განგრძელებულითა მძრუწლობითა ჰრომის იმპერია (სახელმწიფო) დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულებისათა დაუახლოვდა უკუწ სრულსა შემუსრუასა...“ 3 r—88 v.

შენიშვნა: 1. თავფურცელი: „ველიაზარ ქმნილი უფლისა მარმანტელისაგან, რომელიცა იყო წევრი ფრანცუზისა აკადემიისა, თარგმნილი რუსულად მისი იმპერატორების დიდებულების ეკატერინა მეორისა იმპერატრიცასი და თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა ვოლგასა ზედა. ხოლო რუსულით ქართულსა ზედა ვიწყე თარგმნად არხიმანდრიტმან გაიოს. წელსა ქე~სით 1787, ოკდომბერს 24, კრემენჩუკს.“ 1 r.

2. მთარგმნელის ანდერძი: „სრულვყავ წელსა 1787; თთუესა დეკემბერსა რიცხუსა 14, კრემენჩუკს გაიოსმან.“

3. გადამწერის ანდერძი: „მისის მაღლის ღირსების არხიმანდრიტის გაიოსის მიერ გარდმოღებულისა წერილისაგან გარდავწუსხე თელავის ქალაქის სემინარიის რექტორმან ალექსისძემან დავით, თთუესა დეკემბერსა, რიცხუსა კბ. წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღ~ისა 1795, ხოლო ქართულსა ქ~კსა ზედა უპგ. ალექსისძე თავით.“ 89 r.

2147

ორბელიანი სულხან-საბა—სიბრძნე-სიცრუისა, 1810

109 ფ.; 20,6×17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით, ნაწერია ორგვარი ხელით; 1810 წ. (107 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 48.

„კარი პირველი. დასაწყისი სიბრძნე-სიცრუისა. ამბავი ამოდ სასმენელი. ნათქვამი ჟამსა სიჭაბუკის მისისა სულხან ორბელიანისაგან.—იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომლისა სიკეთისა და სიქუწლისაგან ეგოდენნი მოწყალებანი შეკრიბნა გულსა მისსა, რომე ზღვისა ასათასის თავად არ აღერიცხოდა...“ 1 r—107 v.

მინაწერები: 1. „სრულ იქმნა აპრილის ც, წელსა ჩყთ, ქ~კს უჟზ.“ 107 v.

2. „საქართველოისა და სხვათა მეფის სძალი წერეთლის ასული ქეთევანისა ვარ.“ 107 v.

3. „ვარდი გაშლილა მაისში, შენ რისთვის ჭკნები იაო?“ 108 r.

4. „ოკდომბრის 18-ს ვიწყეთ ქერის დახარჯვა“. 109 v.

2148

ორბელიანი სულხან-საბა—სიბრძნე-სიცრუისა, XVIII—XIX

56 ფ.; 22,5×17; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII—XIX ს.]; ბოლო ორი ფურცელი დაუწერელია. (ჭვირნიშანი 1798). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 49.

„წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამს სიჭაბუკისა თვისისასა.—იყო ჴელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან...“ 1 r—54 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ დ ე ბ ა: „...მე მოვიპარე და ნუ გამამხელო, მას კაცს დია იამა და ეგრე უთხრა მე დილა...“.

(შდრ. სულხან-საბა ორბელიანი სიბრძნე-სიცრუისა, სახელგამი 1938 წ. გვ. 61—ანჩხლი რძალი).

2149

მოსე ხონელი—ამირან დარეჯანიანი, XVII

130 ფ; 27×18,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVII საუკ.]; შიგადაშიგ ნაკლულია; ხელნაწერი რესტავრირებულია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 55.

„კარი პირველი, აბესალომ ინდოთ მეფის ანბავი.—იყო ინდოთ მეფე აბესალომ მორჭმული და განგებიანი და არ იყო შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი, ედგა ასი ავაზა...“ 1 r—130 v.

შენიშვნა: ტექსტი შედგება XII კარისაგან.

2150

დავით ბატონიშვილი—შემოკლებული ისტორია, 1795 წ.

35 ფ.; 16×10; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1875 წ. (1 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 56.

„შემოკლებული ისტორია.— § 1, ასურ, ძემან სემისამან, დაუტევა სენარი მიზეზისა ძლით, რომელიცა მძლავრა ნებროთ და აღაშენა ქალაქი ნინევი...“ 2 v—34 v.

შენიშვნა: წინ უძღვის თავფურცელი „დავითის მიერ დავითიან ბაგრატოვანისა, ირაკლის მეორისა, მეფისა ქართლისა და კახეთისა, ძისა პირმშოჲსა გიორგისა პირმშოჲსა ძისაგა[ნ] დავითისა ქმნილი ისტორიაჲ, რომელსაცა ეწოდების ნ ა რ კ უ ჱ ვ ი.

წელსა დასაბამითგან სოფლისა 2303, ხორციელად შობითგან სიტყჳსა ღუთისა 1795, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა 483, თუჱსა მარტსა, რიცხუსა 5.“ 1 r.

2. „წინასიტყუაობაჲ წინამდებარისა ამის წიგნისა ნ ა რ კ უ ჱ ვ ა დ ხედწოდებულისა ისტორიისა...“ 2 r—v.

მინაწერები: 1. „გარნა ესე იქმნა უკანასკნელსა ჟამსა უბედურებაი, რომელიცა მოიწევის კაცთა ზედა მიზეზისა ძლით უკანონოებისა და უწესოებისა, ვითარცა ჩვენ ზედაცა მით. რამეთუ ხოჯამ ვინმე ყაჯარმან, ალამამათხანად წოდებულმან, ასტარაბათით გამოსრულმან, ოდეს დაიპყრა სპარსეთი, მოვიდა ჩვენზედაცა და ცოდვითა და უკანონოებითა ჩვენითა სძლო მეფესა და აღიღო ქალაქი, მოწვა და მოსტყვენა და წარიხვნა ვიდრე ოცდა-ათი-ათას ტყვედმდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო რუსნიცა მოვიდნენ მესამედ ქვეყანასა ჩვენსა დეკემბერს შვიდმეტს, წელსა ქ҃სით ათას-შვიდას-ოთხმოცდა-თხუტმეტსა, ხოლო ქართულსა ქ҃კს ფპგ."

2. „თუმცალა ქართლის ისტორიის ქ҃ჱსოსი (sic), მწერალს აერივა და ამად დამ-ზარდა გასწორება, და გთხოვ... შენ გაასწორო, დ. დადიანი." 35 r.

2151

გ. ერისთავი—შეშლილი, 1852

14 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1852 წ. (13 r). იოანე ბატონი-შვილის კოლექციიდან. ძველი № 57.

„შეშლილი, გამოსლვა 1. დარბაზში ტახტზედ ჴსხედან მართა, ანნა და მაკრინე, სიდონია (დაიდებს ორს თითს ტუჩზედ და მართას ეუბნება).—გე-ნაცვა ქალო! მართლა შეშლილა?..." 1 r—13 r.

თავფურცელი: „შეშლილი, მელოდრამა ოთხ ნაწილად, გალექსილი ჩვეულებრივის ლაპარაკის გვარზედ."

1152

ანტონ I—წყობილსიტყვაობა, 1808

118 ფ.; 20×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, მოცილებული, დაშლი-ლი; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; 1808 წ. (113 r); გადამწერი: დავით დიაკონი (113 r); დაუწერელია 114—118-დე. იოანე ბატონიშვილის კოლექციი-დან. ძველი № 60.

„წიგნი წყობილსიტყუაობა. ნაწილი პირველი. ღ҃ისმეტყუელებისათჳს. თავი ა. თჳს სამობისა და ერთობისა.—
ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,
ზესთ ნათლოვანი, ერთობა სამპირებით..." 10 r—112 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა:

1. „წინასიტყვაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა, ანუ შაირ-თა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიდიაკონისა".

წინასიტყვაობას ერთვის ლექსი ორი აკროსტიხით; „ანტონი სტიხობს, მოწაფე წინასიტყუაობს „გაიოს" 1 r—3 v.

2. „პინაქსი წყობილსიტყუაბისა, ნაწილი პირუჱლი" 4 r—7 v.

3. „ქმნილი მცირისა ტრიფილესგან, დიაკონმონაზონისა" 112 r—v,

4. „თჳს სახელწოდებისა მისის უდიდესობისა" 112 v—113 r.

6. ანდერძი: „სრულ იქმნა წელსა 1808, თთუჱსა ფებერუალსა 11. დავითისგან დიაკონისა, პალატსა შინა საპატრიარხოსა" 113 r.

მინაწერი: 113 r. „ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიევისა არის, წელსა ჩყე." ხვეულით „დიმიტრი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

2153

იოანე ბატონიშვილი—კალმასობა, 1828

39 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული—ავტოგრაფი; დასაწყისში აკლია; 1828 წ. (38 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 61.

„...რა ბერმან დაასრულა ისტორიის უბნობა, გამოეთხოვა მეფის ძეს და წარმოვიდა შინ. განისვენა რაოდენიმე დღე და მერე წარვიდა სასტუმროდ. მიმაულობასა შინა გზასა ზედა იხილა ნიკიფორე ბერი, თელაველი...“ 7 r—36 v.

ანდერძი: 1. „დასრულდა წიგნი ესე ხუმარჰსწავლა წელსა 1828-სა თვესა ივნისსა 30-სა სანკპეტრებურღსა შინა“. 36 v.

2. კალმასობის ამ ბოლო ნაწილს წინ აქვს დართული 4 ფურცელი, რომელიც შეიცავს თხზულების სხვადასხვა შავ ტექსტურ მასალას.

იხ. H: 2134, 2170.

2154

იოანე სინელი—მწყემსისა მიმართ, 1799

24 ფ.; 32,5×20,2; ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; 1799 წ. (23 r); გადამწერი: გაიოს (23 r); ადგილი—მოზდოკი (23 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 64.

„თავი ა.—წინამძღუარი ჰმსგავს არს მენავეთ-მძღვანს, მკურნალს და მოძღუარს. ჭეშმარიტი მწყემსი არს, რომელიცა სიტყვ[ი]ერთა ცხოვართა სიმარტივობისა ძლით და უფრთხილებლობასა მათისა წარწყმედილთა საკუთრითა თჳსითა მოღუაწებითა და ლოცვთა მოიძიებს...“ 1 r—23 r.

შენიშვნა: 1. თავფურცელი: „ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნე კლიმაქსისა წიგნი მწყემსისადმი ანუ წინამძღურისა.“ 1 r.

2. „წინასიტყუაობა“ 1 r.

3. ბოლოში დართულია „აღწერა თავთა წიგნისა მის რომელიცა არს მიწერილ მწყემსისადმი ანუ წინამძღურისა.“ 23 v—24 r.

მინაწერი ტექსტის ბოლოში: „დიდება ღ҃ა, სრულ მყოფელსა ყოველთასა. სრულ ვჰყავ წელსა 1799, იანურის 26, გაიოს, მოზდოგს“.

2155

იოანე ბატონიშვილი—«სჯულდება» კანონ-პროექტი, 1799

92 ფ.; 34×21,5; ქაღალდი; მხედრული, ავტოგრაფი; 1799 წ. (24 r). ადგილი: თბილისი; დაუწერელია: 23—92-დე. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 65.

„უმაღლესო და უმოწყალეესო ჴელმწიფევ და მამავ, მეფეო სრულად საქართუჱლოსაო და სხუათა, გიორგი 13, უქვეშევრდომილესი ჩემ მიერ წინა-

დადება.—სხუადასხუა გუარმან ცუალებამან კანონთამან, უთანჴმოებამან და უწესოებამან მართებლობისამან მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართუელოჲსა ერნი განწირულებასა შინა...“ 3 r—24 v.

შენიშვნა: საკუთრივ სჯულდების ტექსტი იხურება ავტორის მიმართვით: „მოწყალეო ჴელმწიფევ, მე რაოდენცა ჩემის მიხედვით დავინახე ესე წინადადებებანი სარგებლობისათჳს მამულისა, ვჰგონებ, თქუენდაცა იქმნების სათნო. და თუ რაჲმე აკლნა, ინებებთ აღუსებასა, ანუ რომელნიც სათნო თქუენდა იქმნებიან, მოკლებასაცა. სხვებ ვჰგიე უქვეშევრდომესი უმდაბლესი მონა და ძე თქუენისა უმაღლესობისა იოანე ფელციხმეისტრი. წელსა 1799, თუესა მაისსა 10, ტფილისს.

დასასრულ იოანე ბატონიშვილი შენიშნავს „მათმან სიმაღლემ ღ̃თისადმი განსვენებულმან მეფემან აღმითქო და მოიწონა ესე სჯულდება სამოქმედოთ, გარნა სიკვდილმან მოუსწრაფა, ჩუენცა შეგუემთხუა ესე და მოვაკლდით ყოველსავე. ვისაც ღ̃თნ მოგცეთ და ჴელმწიფის წყალობით მიემთხუეთ, თქუენც განიხილეთ ესე და ნუ მოუდგრდებით. რა ერთხელ დაიდება წესი, წარმატებაში წავალს. პირველ დაწყება ყოვლისა საქმისა ძნელია და ოდეს გულსმოდგენედ შეუდგება, ასეთი არა არს რა ბუნებისაგან ნაწარმოები, რომელსა ზედა არა ძალედვას შემართებად ძალსა კაცობრივსა.

მე ამაზედ ვსასოებ, რადგან ეკკლესიის კანონნი სხუადასხუა ცუალებაშიაც მაინც მომდინარეობენ პირველისამებრ. უკეთუ ესეცა დაწესდება ერთა შორის, არღა ჰსცუალებს მომდინარეობასა თვისსა, ვინაჲდგან ერნი საქართველოსანი ვითა არიან მტკიცე სარწმუნეობასა ზედა, ეს სახედვე მტკიცედ დაიცვენ ჰსჯულვილებასაცა ამას, ვინაჲდგან სრულიად საზოგადოებისა სასარგებლო არს. იოანე.“ 24 r—v.

2156

ცხენის კარაბადინი, 1788

83 ფ.; 34×22,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1788 წ. (1 v); გადამწერი: იოანე ოსესძე (1 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 66.

„კარი პირველი ჯოგის შეყრისათვის.—ჯოგის საქმეს ასე ეცადე გონიერო მეძიებელო ცხენთა და ცხენოსნობისა თუ ჴელი შეწევს უცხოს თემით გინა შენის ადგილით რაც შეგეძლოს ბედაურს ცხენს ეცადე გვარიანს გამორჩეულს...“ 7 r—83 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის „შესავალი წიგნისა ამის წინამდებარისა რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა, რომელი ქმნილი არს ბრძენთაგან და დიდთა ფილოსოფოსთა ინდთასა ბაღდადელთა და მეგჳპტელთასა ესე იგი არს ჰინა პიუს რუსუფისა და რაშიტისა...“ 7 r.

2. „ზანდუკი წინამდებარე წიგნისა, რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა“. 2 r—6 r.

3. ანდერძი: „ითარგმნა უკუე წიგნი ესე რიცხუსა სომეხთასა ცხრა-ას-ორმოცდა-ცამეტსა, 953, რომელსა ეწოდების სამკურნალო ცხენისა და სხუათა პირუტყუთა, დაბასა სევასტიისასა არაბის წერილისაგან სომეხთა ენასა ზედა. მრავალთა სიბრძნის მოყუარეთა და ფილოსოფოსთაგან თქმული. ჰნისა და აპი უსუფისა და რაშიტისა და მრავალთა ჰინდთა და ბაღდადელთა სიბრძნისმოყუარეთაგან, რომელთა სახელნი არა არიან აქა აღწერილ.“

აწ მე მცირემან მკურნალმან ფარაჯი, ბრძანებითა უფლისა ჩემისა მეფისა ქე̃ს მოყუარისა სომეხთა მეფეთ-მეფისა სუმბატ სიბრძნის-მოყუარისათა, ვჰსთარგმნე წიგნი ესე და დიდება ქრისტესა საუკუნოდ, ამინ.

ხოლო გვებრძანა ქართულსა ზედა ენასა გარდამოღება სომეხთა ვიდრემე ენით ყოვლისა საქართუჱლოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა პირმშოჲსა ძისა, უგანათლებულესისა საქართუჱლოჲსა მემკვდრისა გიორგის მიერ მღუდელსა ოსეს-ძეს იოანეს და სომეხთა მღუდელსა ტერ-პეტროსს თჳსსა ენასა ზედა ბრძნად განსწავლილსა, და აღვასრულეთ ბრძანებული. უკეთუმცა არა შესაფერ და არა თანამდებობა მღუდელთა იყო და სხუანი დიდად საჭირონი წიგნნი გარდამოღებად თანა გვედვნეს, მაგრამ ბრძანებამან უფლებრივმან და მამულისა სამსახურისა თანამდებობითა შეკრულებამან გვაიძულნა და რავდენისამე თავისა თარგმანებასა შინა დაშურენ სიბრძნითა ვიდრემე პატივცემულნი ტერ-ფილიპპე და ძე მისი ტერ-სამოელ, და უმრავლესნი თავნი ტერ-პეტროსის მიერ ითარგმნენ. და ქართულსა ზედა ჴმასა მდაბიურითა ენითა მოჴსენებულმან მღუდელმან იოანე შევაწყე სასმენელად ყოველთა. და მრავალნი ლექსნი სნეულებათანი და მათთა წამალთანი უცხოთა ენითა დაიწერნეს, ვინათგან არ მეცნიერ ვიყუჱნით ჩვენ ენისა მის და რომელნიმე ვჰსთარგმნეთ და შემდგომითი შემდგომად ვინცა ვინ შემძლებელ იქმნეთ თარგმანებად ლექსთა მათ, საჭიროება იძულებულგყოფსთ თქვენცა თარგმანებად, რომელთათჳსცა ადგილნი არიან დატევებულ.

და თჳთ წიგნი ესე მე იოანე ოსეს-ძემან მღუდელმან აღვჰსწერე ჴელითა ჩემითა, ბრძანებითა უგანათლებულესისა მეფის ძის ძისა პრინცისა იოანესითა. და შევაწყევ ძველი ვიდრემე კარაბადინი და ახალი ჩვენ მიერ თარგმანებული თჳსს-თჳსსა ადგილსა და რომელნიმე თავნი და მუჴლნი თჳთ მისისა უგანათლებულესობისა პრინცისა იოანეს მიერ არიან პოვნილ, რომელთაც ზედა სახელი მისი იოანე არს დაწერილ. სრულ იქმნა წელსა 1788. მაისს 18." (1 v).

2157

სამკურნალო წიგნი, XIX

49 ფ.; 34×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; (1827 ჭვირნიშანი); დაუწერელია 36 r—50 v-მდე. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 67.

„კურნება ასოზე გამოთქმული.—აბებრება ბალღმის სიმრავლისაგან და სინედლისაგან იქნება. ასეთს ალაგს საცა უჭირია რამე, იმას გამორწყვის მეტი არა უნდარა. აგებულებასა სასაქმებელი კი უნდა; თუ გამორწყვას უკან ქავილი დაუწყოს, იცოდე, სინედლისა და მსურვანდისაგან არის..." 1 r—32 v.

შენიშვნა: დართულია საძიებელი. 33 r—35 v.

მინაწერები: 1. „ჩყმზ წელსა დეკემბრის ია დღესა გარდაიცვალა ირაკლი ბატონიშვილის ძიძა ოქრომჭედლის ცოლი მოსკოვს." მარცხ. ყდის v.

2. მინაწერები სხვადასხვა ხარჯის შესახებ ყდებზე.

2158

ლარაძე პეტრე—გალექსილი ქართლის ცხოვრება, XIX

205 ფ.; 34,5×23,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1 r—133 v პირველი ვარიანტი, შავი. 134—205 კარგი ხელი—ავტოგრაფი; [XIX-ს], ჭვირნიშანი 1819; შიგადაშიგ აკლია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „აქა განმზადებისათვის სოფლისა და შექმნისათვის მეორეთა ნათელთა.—

ოდეს სული ღმერთ-მთავარი იქცეოდა ზედა წყალთა,
სრულ არსისა შესამკობლად აგანმჭვრეტდა საღმრთოს
თვალთა...„

წ ყ დ ე ბ ა:

„სრულად შეჰკრიბნა მეფემან ორგულნი მუხანათია,
თავსა დაიდგა გვირგვინი, ალმას-მარგალიტ-სათია,
ცივსა ზედ ჰერეთისასა ჰყო განკითხუანი მათია,
შიში არღა აქვს სპარსთაგა, რომ უქმნან შეშამათია...“ 1 r—133 v.
(პირველი ვარიანტი).

2. „განმზადებისათვის სოფლისა და შექმნისათვის მეორეთა ნათელთა.—
ოდეს სული ღმერთ-მთავარი იქცეოდა ზედა წყალთა,
სრულ არსისა შესამკობლად აგანმჭვრეტდა საღმრთოს თვალთა...“
134 r—205 v.

წ ყ დ ე ბ ა:

„თვით მოყმე ლომი მებრძოლი არს მეფე ზეცით სვიანი,
ცხებული ღვთისა, უკადრი, პორფირით გვირგვინიანი...“ (მეორე ვარიანტი გათეთრებულია).

შენიშვნა: პირველი ვარიანტის 60 ფურცელი გადაუთეთრებელია.

2159

სამართლის წიგნები, XIX

288 ფ.; 33,5×22,5; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული ხის ყდა; (1818 წ. ჭვირნიშანი); გადამწერი: ბალინოვი ნიკოლოზ (288 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 71.

„სამართალი მოსესი. ქ. დასაბამითგანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისათმან და მქსელმან ცათამან, უფსკრულთა გამომკვლეელმან და სივრცეთა სოფლისათა გარშემცველმან, ყოველთა არსთა და არა არსთა მომყვანებელმან, თვალ-უხვად მსაჯულმან, დაუფარავმან, ღ̃თნ სამთვითებითა და ერთა[რ]სებით, ღ̃თად და კაცად სრულად ცნობილმან, რა ჟამს ინება, და ლხინება ჰყო, და მოხდენა იავარ ქმნილთა და მტერთა მიერ შეიწრებულთა ერთა ზედან ქართლისათა, და მოსცა პირველივე მეფე მღ̃თისა მიერ რჩეული...“ 63 r—285 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის ალფაბეტური საძიებელი. 1 r—18 r.

2. ჩანაწერი ტექსტის ხელით „იგი ძველნი საძიებელნი ვინათგან არევით იყუნეს და ხაჭიროსა ჟამსა ძიებასა შინა დიდათ დაშორებოდენ, მსაჯულ-გამგენი რომელი საზომსაჲ, რომელს ადგილს იგი ძველ სადმე ჰპოებოდენ, და ამას დიდი შრომა ედვა. ამისი ადვილ საპოვნელობისა მიზეზი მებრძანა ყოვლად ამაღლებულისა ღ̃თივ გვირგვინოსანისა საქართველოს და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელი-მქონებლის ცხებულის მეფის თეიმურაზის მიერ, რათა ღონე რამე მეძია ადვილ საპოვნელობისა. და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწ მე ესრეთ ვიღვაწე მცირე, რომ ჯერ გვარიცხვენ ძველნი საძიებელნი და მერმედა ანბანზე გამოვჰკრიბენ; რომელი საჩივარ-სამართალნი რომელს ასოზე უნდეს, დახე-დავს, ამის რიცხვით ძველის საძიებელის რიცხვში მიიყვანს და მუნ ჰპოვებს, მეფე ადიდეთ სუფევით. ივლისის ა. ქ˝კს ულჲ. ჩღნ“ 18 v.

მინაწერები: 1. „1823 წელსა, იანვრის 3 დღესა, ეს მეფის ვახტანგის სამართლის წიგნი ნიკოლოზა ბაღინოვისაგან დაწერილი ვიყიდე ოცდა-ხუთ მინალთუნათ, მაიო-რი თავადი დავით ციციშვილი“. 288 v.

2160

ფრიდერიკ მეორე—სამხედრო თათბირისადმი შესახებელნი საიდუმლო მოძღვრებანი, XIX (თარგმანი რუსულიდან)

15 ფ.; 34,5×21; ქაღალდი; მხედრული; უყდო; [XIX საუკუნე], ჭვირნიშანი 1809 წელი; ბოლო ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 72.

„ნაკუჱთი 1.—სახე ანუ პლანი სიმაღლისა, რომელიცა მობრძანებულ არს თანასწორისა ადგილისა, ვინაჲთგან ადგილი ესე არცა ერთის კერძოჲსაგან არა იბრძანების. ამისთვის თქვენ განჰკარგეთ პირველი ლინია მთის ფერდობ-სა ზედა...“ 3 r—15 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მაშა, ნაკუჱთი ესე მოგცემსთ თქუჱნ მისთჳს საკმაოსა ცნობასა“.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის თავფურცელი: „სამხედროთა თათბირთადმი შესახებელნი საიდუმლონი მოძღურებანი ფრიდერიკისა მეორისანი თჳსთა ღენერალ-ინსპექტორ-თადმი, ოცდათვრამეტითა ნაკუჱთითა.

მისს იმპერატორებითსა დიდებულებასა, ჴელმწიფესა იმპერატორსა და თჳთმპყრო-ბელსა სრულიად რუსეთისასა ალექსანდრეს პირველსა“. 1 r.

2. წინასწარ უწყება.“ 2 r—v.

2161

ფორტიფიკაცია, XIX

12 ფ.; 34×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX] ს. (ჭვირნიშანი 1803 წ.); დაუ-წერელია 12, 13 ფ.ფ.; ტექსტი ნათარგმანი უნდა იყოს რუსულიდან, იოანე ბატო-ნიშვილის კოლექციიდან. ძველი № 76.

„ეს რუჱული არს ჶორტუჶიკაციაჲ.—დახაზულებანი უპირველესისა ხაზთა და კუთხებთა აღსაშენებელად ციხისა, გვარისამებრ უფლისაგან შტურმისა წოდებანი ხაზთა AB—გარეშე პოლიღონი...“ 1 r—11 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2162

სამოქალაქო ჰსჯულვიება, სხვადასხვა საგანთა შეკრებილება, XIX

62 ფ.; 34×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო; დაშლილი; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1800 წ.); ტექსტი ნასწორებია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 79.

„უცხოს·ქვეყნათ შემოსულთ წყალობაზედ, სითარხნეზედ და ბინის მიცემაზედ.—[სახელითა] ღ̃თისათა და წყალობ[ით]ა, დავით[1] მეფე და მფლობელი სრულიად საქართველოსი, სხვათა და სხვათა.

გავსინჯედ, რომე აქამომდე უცხოს ქვეყნით შემოსულთ ჩვენს საფარველსა ქვეშე არას დროს დამტკიცებით ბინა არაფერი არა ჰქონიათ რა მიცემული ჩვენსგნით, და არც წყალობა, ისეთვე თუ ვინმე უცხოს ქვეყანად ჩვენი გასულან, იყვნენ დიდხანათ და ტყვეთ ჩავარდნილთ. ხოლო მოვიღეთ მათზედ წყალობა და ბინა მივეცით...“ 1 r—62 r.

შენიშვნა: ტექსტი კანონთა კრებულს შეიცავს.

2163

ჰაზრნი კავალერიისათვის, XIX

29 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული; უყდო; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1808 წელი); დაუწერელია: 23 r—29 v. ტექსტი ნათარგმნი უნდა იყოს რუსულიდან. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 80.

„იდეაჲ ეგზერციციისათჳს ცხენოსანთა პოლკთასა და დასაბამნი სწავლისა მისისანი ჯერეთ ესოდენ მცირედ დამტკიცებულ არიან...“ 1 r—29 v.

2164

სწავლა ერისა სიმრთელისათჳს მისისა, 1782

72 ფ.; 34×24; ქაღალდი; მხედრული; უყდო; ნაკლული; 1782 წ. (1 r). ტექსტი დალაქავებულია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 81.

„თავი ა. რომელთა თჳსამე მიზეზთა ერის სნეულებისათა.—§ 1. თჳთ ჴშირნი მიზეზნი სნეულებისანი მსოფლიულთა შორის არიან: პირველი, ნამეტნავი მუშაკობა გრძლად, ოდესმე მოსუსურდებიან იგინი ყოველითურთ სნეულებითა და გამოლევითა ღონისთა...“.

წ ყ დ ე ბ ა: „...მუნითგან ოდესცა დაგლიჯონ, ჯერარს დამწყუდევა მისი და უწინარეს სამისა ანუ ოთხის თთვისა არ გამოუშუათ.“ 4 v—72 v.

შენიშვნა: წინ უძღვის შესავალი. 1 r—4 r.

მინაწერი: „სახელითა მამისათა და [ძისა]თა და სულისა წმიდისათა, ამინ. ვიწყე წელსა 1782, იულისსა 3, პეტერბურხსა...“ 1 r.

---

[1] ეს სახელი შემდეგ წაშლილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2165

ალექსანდრე არჩილის-ძისა და დავით გიორგის-ძის ბატონიშვილების საარტილერიო წიგნები (ერთ ყდაში), 1792—1799

150 ფ.; 30,2×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1792 წ. (ალ. ბატონიშვილის ნაწილი) 83 r.; 1799 წ. (დავით ბატონიშვილის ნაწილი) 102 v; 127 r—150-დე დაუწერელია. ხელნაწერში ჩართულია იარაღების სურათები და ნახაზები. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 82.

„გოგირდისათვის.—ეს გოგირდი თუ კარგად ყვითელია და წმიდა არის, რომ შუა გასტეხო, უნდა კარგად ბრწყინვიდეს, კარგი გოგირდი იქნება, და თუ მოჰირებული ლურჯი არის, რომ გასტეხო, კარგად არ ებრწყინვება და მალე გატყდება...“ 2 r—104 v.

შენიშვნა: 1. ალექსანდრე ბატონიშვილის ტექსტის დასასრულ იკითხება: „ღმერთ კაცო და სახელსაკვირველო იესო, დიდებისათვის სახელისა შენისა დაამკვიდრენ სული საქართველოს მეფის ძის ბატონიშვილის ალექსანდრესი სასუფეველსა შენსა ამინ. რომელმანცა გარდმოიღო წიგნი ესე ფრანგულისაგან ქართულად, რომელი არაოდეს ყოფილიყო ჩვენსა ენასა ზედა და არცაღა თუ ვინმე ასმიოდა, არამც თუ მხილველ ქმნილიყო ვინმე.“ 82 v.

2. დავით ბატონიშვილის თარგმანის თავფურცელი: „დავითის მიერ დავითიან ბაგრატოანისა და ღენერალ-მაიორისაგან კავალერისა, მეფის გიორგის მეათსამმეტის ძისა და მემკჳდრისა, თარგმნილი რუსულითგან ქართულსა ზედა ენასა მოკლე ესე არტილერიისა წიგნი სწავლისათჳს უნტერ-ოფიცართა ახლად განწესებულთა არტილერიისა ბატალიონთა 'შინა და ინჟენერიისა მოსამსახურეთათჳს სასწავლო.

ხოლო რომელიცა არა დაწესებულ იყო დედანსა ამისსა ხაზი, ანუ ნაკუწთი იგი ყოველი სხვათა წერილებთაგან შეწყობილ იქმნა სრულყოფისათჳს და დაუკლებელობისა ცნობისა.

სანკტპეტერბურღსა შინა დაბეჭდული მეორედ სამხედროსა კოლეღიასა შინა, ესე იგი სამდივნოსა, 1795 წელსა.

ხოლო ქართულსა ხმასა ზედა ითარგმნა წელსა 1799. აგვისტოს 23. თიანეთს.“ 86 r.

ანდერძი: „ჩემო სასურველო და სატფოვ ძმაო იოანე.—ბედნიერად ჩემდა ვრაცხ ესეთსა თანამდებობასა, რომელიცა თანამდებ მყავ შრომითა და უმეტეს ამით, ვინაჲთგან ვჰხედავ შენ შორის სურვილსა ესე ვითარსა, რომლისა დასასრული მოიზიდავს ერთა ბედნიერებასა. სანატრელ არს ესევითარი კაცი, რომელსაცა აქვს სურვილი ერთა ზრუნვისა. მაგრა რაჲ, უკეთუ მხოლოდ შენ გექმნების საუნჯე დაფარული ჴელქვეშეთაგანცა შენთა, რომელთა არ რაჲმე უწყიან! და უკეთუ აღძრავ მათცა ჴელოვნებისადმი და თანამდებობისა მათისა შემეცნებად, მაშინ იქმნების საქმე ესე პატიოსან და ღირსსახსოვ მამულისაგან და საზოგადოობისა.

თქვენი უსაყუარლესი ძმა და მემკჳდრე, და რუსეთის ღენერალ-მაიორი კავალერი დავით.“ 86 v.

მინაწერები: 1. „ქ. საქართველოს მეფის ძის იოანესი არის წიგნი ესე.“ 3 r.

2. „ქ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ბატონო ერისთაო, ორიოდ შუშხუნა მიბოძე.“ 8 r.

3. 2 r-ზე ბეჭედია ლეგენდით: „იოანე“, მინაწერი იქვე „უქმი არს ესე ბეჭედი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2166

კრებული, XVIII

160 ფ.; 19×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სხვადასხვა ხელი, სათაურები სინგურით; [XVIII ს]; ადგილი: მოსკოვი; მინაწერები მარცხენა ყდაზე—1 r, 160 v. მარჯვენა ყდაზე—76 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 83.

1. „სვინაქსარი მეზვერისა და ფარისეველისა.—დამბადებელო მაღალთა და მდაბალთაო. სამწმინდად უკუმ საგალობელო ანგელოზთაგან...„ 1 r—76 r.

2. „დასაწყისი პენტიკოსტარია, რომელ არს ერგასისი.—რომელი იწყების წმიდისა და დიდისა პასექის კჳრიაკის ცისკრიდამე და დაესრულების, ვიდრე ყოველთა წმიდათა კჳრიაკედმდე...“ 77 r—116 v.

წ ყ დ ე ბ ა: „და რათა იყუნენ მათ თანავე, რომელთა ენებოსთ ყოფნა პირველი...“

3. „სამღთოსა წერილთაგან და წმიდისა კანონისაგან კრება დიდისა უფლისა მდაბლისა ფილარეთ პატრიაქისა, სამეფოსა ამის მოსკოვისა და ყოვლისა რუსეთისა და რაჲ შეიკრბენ წინაშე მისსა მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოზნი, და ეპისკოპოზნი: მაკარი მიტროპოლიტი ნოვოგოროდისა, ბართლომე მიტროპოლიტი როსტოვისა, კორნილე მთავარ-ეპისკოპოზი ვოლოღდისა, არსენი მთავარ-ეპისკოპოზი სუზდალისა, პაფნუტი მთავარ-ეპისკოპოზი თვერისა, რაფაელ ეპისკოპოზი კოლომეცკისა.—ლ ა თ ი ნ თ ა ნ ა თ ლ ი ს ღ ე ბ ი ს ა და მ ა თ თ ა წ ვ ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს...“ 117 r—160 v.

ანდერძი: „დაიწერა სამეფოსა ამას ქალაქსა მოსკოვს, სახელსა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა პატივოსანისა და დიდებულისა მისისა მიცვალებისასა, და დიდთა საკჳრველთმოქმედთა პეტრესა ალექსისასა და იონასა და ჩუენისა დიდისა უფლისა წმიდისა ფილარეთ პატრიარქისა მოსკოვსა და ყოვლისა რუსეთისასა“. 160 r.

მინაწერი: „საქართველოს მეფის სძალი იმერთ სვლთხუცის ასული ქეთევანისა.“ 1 r.

2167

საპოლეტიკო თეატრი, 1817

266 ფ.; 34,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1817 წ. (1 r); მთარგმნელი: არხიმანდრიტი ბენედიკტე (1 v); დასაწყისში რვა ფურცელი დაუწერელია; ოცდამეექვსე და ოცდამეათე თავები ნაწერია სხვა ხელით. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 84.

„საპოლეტიკო თეატრონი ანუ საყოფაქცეო სახილველობა, რომელსა შინა შეკრებული არიან უაღრესნი განზრახუანი, თუ რაჲ უხმს ქმნად და რაჲსაგან ლტოლუად თანამდებ არს მთავარი.—თავი ა. ვითარმედ მთავარსა თანა აქს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა განატაროს ცხოვრებაჲ თვისი პატიოსნებით, რამეთუ მას შეუდგებიან ჴელის-ქუმშენი მისნი...“ 7 r—251 v.

შენიშვნა: თავფურცელი „საპოლეტიკო თეატრი, ესე იგი საყოფაქცეო სახილუმლობა. თარგმნილი ლათინურისაგან ელლინურსა ენასა ზედა უმაღლესისა და ყოვლისა ბრძნისა უნგროვლახიისა მთავრისა ნიკოლაოს მავრო-კორდატოვისაგან, რომელიც პირველად გამოიცა ტიპოგრაფიით და მიეძღუნა ძესა მისსა, ღ͞თის მსახურსა და ყოვლად ბრძენსა, უმაღლესსა მთავარსა უნგროვლახიისასა, უფალსა კონსტანტინეს ნიკოლაოსის ძეს მავრო-კორდატოვსა, წარსაგებელითა უჩინებულესისა და სამეუფოჲსა მონასტრისა, ყოვლად წმიდისა ღ͞თისმშობელისა, კიკკოდ წოდებულისა, რომელიცა არს ჴალაკსა შინა კიპრიისასა... შრომითა და გულსმოდგინებითითა მეცადინობითა ყოვლად ღირსისა და უკეთილსწავლულესისა უფლისა სეროფიმ პისიდიელისა, მისვე სამეუფოჲსა მონასტრის არხიმანდრიტისათა.“ 1 r.

დაიბეჭდა იოანეს მიერ ვოტტლოპ-ემმანუილ პერითეოპისა, საქსონიისა ქალაქსა შინა ლეჶსიას, 1758, ჩღნმ-სა წელსა. ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ იქმნა ტფილისს, იერუსალიმის მონასტერსა შინა, ეკკლესიასა პატიოსნისა ჯუარისასა, არხიმანდრიტისა ვენედიკტესაგან და შეწყობილ იქმნა ქართულსა ენასა ზედა წელსა 1817, ჩყიზ.“ 1 v.

2. შემდგენელის მიმართვა ხელმწიფისადმი. 2 r—3 v.

3. მიმართვა მკითხველთადმი. 3 v—4 v.

4. „პინაქსი“. 5 r—6 v.

2168

ვახტანგ VI—სამართალი, XIX

60 ფ.; 28×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1801 წ.); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 86.

„სამართალი პირველი შესავალი. ბატონიშვილის ვახტანგის ნაბძანები.—მყოფისა, უმყოფისა, და არსისა, და უარსისა, და მარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი...“ 1 r—54 r.

შენიშვნა: ბოლოში დართული აქვს საძიებელი. 54 v—60 r.

2169

კრებული, XIX

18 ფ.; 34×21; ქაღალდი; მხედრული; უყდო; [XIX ს], (ჭვირნიშანი 1813 წ.); ნაწერია ორი სხვადასხვა ხელით, ტექსტის მეორე ნაწილი შესრულებულია დავით ბატონიშვილის მიერ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 89.

„[ქორონიკონები ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან].

1. „წელსა 3415 ქრისტემდის, 600 იქ უნდა ჩაიწეროს.—ხოლო შემდგომად წარტყუმნისა ნაბუქოდონოსორისაგან იერუსალიმისა და შეპყრობისა სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკია მეფისა, რომელმანცა მოსწყჳტნა ძენი მისნი წინაშე მისსა და აღმოხად-ნა მას თუალნი...“ 3 r—9 v.

2. შობისათვის.—უძველესი დღესასწაული, რომელიცა იდღესასწაულებო-დის ეკლესიათაგან გარდა დღესასწაულისა პასექისა და მოსვლისა სულისა წმინდისა, იყო დღესასწაულიცა ნათლისღებისა და ანუ განცხადებისა...“ 10 r—17 r.

შენიშვნა: 1. პირველ ნაწილს დართული აქვს განმარტება: „აქ დასრულდება ესე ისტორია და რიგიანად თავთავის ქორონიკებში უნდა ჩასწორდეს, და ქორონიკონები ამ ქორონიკონებზედ გამართოთ, ავი არ იქნება“. 9 v.

2. მეორე ნაწილს დასაწყისში—„ფრანციცულით თარგმნილი მეფის ძის ღენე-რალ-ლეიტენანტისა, სენატორისა და კავალერისა დავითისაგან ძღვნად იმისის მა-ღალკეთილშობილების, თავისის გამზდელისა და ლალისათვის, სრულიად კახეთის დირექტორისა დავით ალექსის-ძისა ალექსიევისათვის.“ 10 r.

3. ბოლო: „განსრულდა, ჩემო ოსტატო, კაცისა ამის კმაჲ, მიზეზი ეს არს, რომ ნიშნავს და აჩვენებს უპირველესთა ადგილთა და წარმკითხველი თვით უნდა მიი-წიოს ზედმიწევნილებაზედ და ნანდვილის ცნობაზედ. თქვენ ხომ წიგნები ბევრი გახ-ლავსთ, და შეამოწმებთ და ყოველსავე ჰპოებთ. ეს კაცი მათ ერთათვის სწერს, ვინც იციან რამე და არა მათთვის, ვისცა ცნობა არა აქვს.“ 17 r.

მინაწერი: „ეს ჩემი შრომა რეკტორსა შევსძღვენ,
ჩემსა განმზდელსა, ჩემსა ლალასა,
ბრძენს, მეცნიერსა, სწავლულსა კაცსა,
განვითარებულს ქართლის თვალასა.“

2170

იოანე ბატონიშვილი—კალმასობა, 1828

382 ფ.; 34×20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი; [1828 წ. იხ. H: 2153]; თავბოლო ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 91.

„...ნიად ალზენად ჰანღელანდად, ჶემერენად, ჰალანად, ჶალსტერად, ღონად და ბორნჰოლმად.

ამისად სათანადო არს შეკურად საღერცოღოჲსა ღოლშტინისა, რომელ-საც ფლობს დანიისა კოროლი ღერმანიასა შინა და ქუჳმო საქსონიის გარეშე, ესენი იხილე ვრცლად აღწერასა შინა ღერმანიელთასა...“ 1 r—382 v.

წყდება: „...ხოლო რა ჟამს თჳთეულთა წინათქმულთა განრემზომო-ბათა მოიღებდე, ყოვლადისამებრ წართქმად და ყოვლადისამებრ უკუთქმად, მაშინ ესე იქმნების ქუჳ...“.

იხ. №№ 2134, 2153.

2171

ღეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა, XIX

104 ფ.; 31×20; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.], ჭვირნიშანი 1814 წ. თარგმანი რუსულით; მთარგმნელი და გადამწერი ავთანდილ თუმანიშვილი. 3 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 93.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საჴელდებითა ასურეთისათა შესაძლო არს, რათა დაიდუას ყოველი ნაწილი ჰაზიისა განვრცელებული სამჴრეთის კიდითგან კასპის ზღვისა სრუტად-მდე სპარსეთისა…“

შენიშვნა: წინ უძღვის:

1. „უგანათლებულესო მეფის ძეო დავით, ვინათგან ვალი წინაპართა ჩემთა იყო ესე, რათამცა მსახურებაჲ ჩუჱნნი შედგმულ იყო კალამსა შინა, ხოლო გამოვაკლდით რა შემთხუჱვისა გამო, ამისთვის ნაცვლად მისსა აწლად ვალად შევრაცხე გარდამოღებაჲ წინამდებარისა ამის წიგნისა როსსიულისა ენითგან ქართულსა ზედა დიალეკტსა. ცნობილ უკუჱ არს თქუჱნისა უგანათლებულესობისადმი, რომელ სხუათა შორის სწავლათა აზნაურებრიჲა განმანათლებელთა საზოგადოობისათა აღირიცხვის ისტორიაჲცა, რომელიცა სახელდებულ არს თვალად მეორედ მეცნიერებასა.

წიგნი ესე უპატივცემულესთა მკითხუჱლთა მისცემს შემეცნებასა, ვითა მონარხიისათვის ასურელთასა და განსაზღვრებს ღეოღრაფულად მდებარეობასა მისსა, ეგრეთუჱ ძუჱლთა და ღირსსახსოვთა ქალაქთა თჳსთა ამა მონარხიისათა ერთათჳს მცხოვრებელთა და განათლებისათჳს საუკუნოჲსა მათისათა, თანასწორითავე სახითა მეფეთათჳს მათთა და პატივსაცემელთა მათ შორის წარმოებათა. ყრმანი გულსმოდგინებულნი განათლებისადმი ადვილ შემძლებ იქმნებიან აღმოწებად წიგნისა ამისგან რომელთამე საჭიროთა შემეცნებათა ისტორიისათჳს.

ხოლო შესახებელად თარგმნისა ვსასოებ, რომელ არა ეგოდენ მრავალ იყუნენ შეცთომანი, გარნა უკეთუ ჰპოოთ ესე ვითარი, ნუ გიებელ მყოფთ მე, ვინათგან ვარ ჯერეთ ჰასაკით უსრულ და ეგრეთუჱ მცირედ გამოცდილ როსიულთა ენათა შინა

სურვილი უკუჱ მყობადთა მეცადინობათა ჩემთა მოცალე იქმნების მარადის აღმოჩენად ესე ვითართა და უღუაწლშემოსილესთაცა სამსახურთა თქუჱნდა და ერთა თქუჱნთადმი ყოვლითა გულსმოდგენებითა ჩემითა.

თქუჱნის უგანათლებულესობის უმდაბლესი მონა თავადი მდივანი ავთანდილ თუმანისშვილი.“ 3 r—v.

2. თავფურცელი „მის უგანათლებულესობას საქართუჱლოჲს შემკვიდრეს, რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტს, სენატორს და კავალჱრის წმინდის ალექსანდრე ნევსკისას და წმინდის ანნასას პირველის ჴარისხისას მქონებელს მეფის ძეს დავითს.“ 2 r.

3. ბოლოში ერთვის ზანდუკი. 102 v.

2172

სამართლის წიგნები, 1833

290 ფ.; 33,5×21; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; 1833 წ. (590); გადამწერი: ბაღინოვი ნიკოლოზ (590); ადგილი: თბილისი (იქვე). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 94.

„სამართალი მოსესი.—დასაბამითგანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისათმან და მქსელმან ცათამან, უფსკრულთა გამომკვლელმან და სივრცეთა სოფლისათა გარე შემცველმან, ყოველთა არსთა და არა-არსთა არსებად მომყვანებელმან, თვალ-უხვად მსაჯულმან, დაუფარავმან ღმერთმან…“

შენიშვნა: წინ უძღვის: 1. „სარჩევი მეფის ვახტანგის კანონისა.“ 1—29.

2. ანბანური საძიებელი. 31—67.

3. მუხლობრივი საძიებელი. 69—135.

ანდერძები: ა. „იგი ძველნი საძიებელნი ვინადგან არევით იყვნეს და საჭიროსა ჟამსა ძიებასა შინა დიდად დაშორებოდენ, მსაჯულ-გამგენი რომელი სახამსო რო-მელს ადგილს, იგი ძვილ სადმე ჰპოებოდენ და ამას დიდი შრომა ედვა. ამისი ად-ვილ საპოვნელობისა მიზეზი მებრძანა ყოვლად ამაღლებულისა ღვთივ-გვირგვინოსა-ნისა საქართველოს და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელი—მქონებელის ცხებულის მეფის თემურაზის მიერ, რათა ღონე რამე მეძია ადვილ საპოვნელობასა. და აწ მე ესრედ ვიღვაწე, მცირედ-მცირედ რამე ჯერ გვარიცხვენ ძველნი საძიებელნი და მერმელა ანბანზედ გამოვჰკრიბენ, რომელი საჩივარ-სამართალნი რომელს ასოზე უნდეს, და-ხედავს, ამის რიცხვით ძველის საძიებლის რიცხვში მიიყვანს და მუნ ჰპოებს, მეფე ადიდეთ სუფევით. ივლისის ა. ქ˝კს ულჲ. ჩღნ.“ 67.

ბ. „ვიბყარ კალამი, ვიშრომე, ვეტრფე ჴელმარჯვედ წერასა,
სამართლის წიგნი მოსესი ვეწყევ ბერძულის მზერასა,
სომხურს და კათალიკოზის წუნსა დავსდებდი ვერასა.
მეფის გიორგის თხზულები მალხენდა, ვჰყოფდი მღერასა.

ალბულას სიტყვამჭევრობით საქებნი სჯულისდებანი,
მეფისა ბრძნისა ვახტანგის სამართლის განვრცელებანი,
ექვსთა ამკობდა, მეშვიდე, ვით მომღერალთა ებანი,
მეც შემაქცევდა მწერალსა, მაქვნდა ყე მათნი ქებანი.

სხვანიცა წიგნი მრავალნი არს ჩემგან დანაწერები,
სადა იხილოდ ნაღვაწნი და შრომა ჩემმიერები,
გთხოვთ, ვედრებითა ყოველთა, ერნი შეგხვდეთ თუ ბერები,
ლოცვით მახსენეთ, ღმერთმან თქვენც შემოგზღოსთ მაგიერები.

ხელნი დამიწდეს, მშრომელის ნაშრომი სოფლად ჰშთებიან,
წინანი წავლენ, ახალნი მოვლენ და შემოკრბებიან,
იგიც განვლიან საწუთოს, სამოსლებს დაძველდებიან,
მუნ ღირს გყოსთ ღმერთმან, სად მარჯვნივ წმინდათა გუნდნი დგებიან.

ტიტულარნი სოვეტნიკმან ბალინოვმან გვაროვნებით,
ნიკოლაოზ ვსწერე ესე ტკბილ მცნებანი ჰამოვნებით,
კალამს მარჯვედ ვიხმარებდი, არ დროებთა დაყოვნებით,
ვინ სახმარ ჰყოთ თხზულნი ჩემნი, მიგონებდეთ მოხსენებით.“

ქვემოდ: „აღმოვწერე კანონი ესე სრული მეფის ვახტანგისა ნოემბრის ე დღესა, ჩყლგ წელსა, ტიტულარნის სოვეტნიკი ნიკოლოზ ძე ბალინოვი.

სჯულვილებათა წერილი ესე მეკუთვნის მე უზენაესის საქართუცლოს მმართებე-ლობის ისპოლნიტელნის ექსპედიციის სოვეტნიკს შტაბს-კაპიტანს და კავალერს და-ვით იონეს ძეს, თავადს აფხაზოვსა, რომლისათვისცა მივეცი ფასი ღირებული გადამ-წერსა ამისსა ბალინოვსა. თავადი დავით აფხაზოვი. წელსა 1833-ს, ნოემბრის 23 დღესა, ტფილისსა.“ 590.

2173

დავით ბატონიშვილი—განსჯანი ხარაკტერისათვის ფილოსოფიისა და ტაციტისათჳს, XIX

45 ფ.; 33,5×21,5; ქაღალდი; უყდო: მხედრული; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1814); დაუწერელია უკანასკნელი სამი ფურცელი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძვე-ლი № 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განსჯაჲ ხარაქტერისათჳს ჶილოსოფიისა და ტაციტისათჳს.—ფილოსოფიასა ისტორიკოსთასა შვენის მდგმოობად უმეტეს გამოცდილებითსა მეცნიერებასა შინა მრავალთა კაცთასა, ვიდრელა ერთისა კაცისასა განყენებულებულად და მეტაჶიკებრ (!) მილებულისასა და უმეტეს მოთხრობათა შინა...“ 1 r—42 r.

შენიშვნა: ტექსტს სქოლიოებში აქვს დავით ბატონიშვილის კომენტარიები.

2174

კირილე ალექსანდრიელი—საუნჯე, 1795

231 ფ.; 33×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; 1795 წ.—1824 წ. (230 r); გადამწერი: ეგნატი იოსელიანი (იქვე); ადგილი: თბილისი, მარტყოფი (იქვე); დაუწერელია: 1—7, 231—232; მინაწერი: 212 r, 230 r. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 98.

„სანატრელისა უფლისა და წმიდისა კჳრილოს ეპისკოპოსისა ალექსანდრიისა წიგნი, რომლისა სახელი არს ს ა უ ნ ჯ ე.—შემეწიე მე სულო ღთისაო. არა მცირე არს ჩუჱნდა ამას შინა, რათა თანამდებვყოთ გამოცდაჲ მიმოთხუად (sic), რომელსაცა სათნო ჩუჱნდა ჰყოფს სიტყუა ეგე შენი. ჵ, ტკივილთ მოყუარენო, ძმაო ნემესინე...“ 9 r—212 r.

შენიშვნა: დართული აქვს „სხოლიონი წიგნისა საუნჯისა“ 213 r—230 r.

დასაწყისში: „შეყუანილება ანუ წინასიტყუაობაჲ წიგნისა საუნჯისა, ქმნილი ანტონის მიერ...“ 1 r—v.

ანდერძი: „დასასრული წიგნისა ამის საუნჯედ წოდებულისა 1804 წ. 2. 3, მარტყოფს.“ 212 r.

„წიგნი ესე ღჳთისმეტყუჱლება საუნჯისა გარდავსწერე ჭელითა ჩემითა დროსა მეფობისა ღუთივდაცულისა მეფისა ირაკლი მეორისასა, ტფილისს, წელსა ჩღჟე, ვიდრე რუად რვეულადმდე. და აღირია საქართუჱლო და აიყარა ტფილისი მეამბოხეთა სპარსთაგან. და შემდგომად დროსა რუსეთის მმართებელობისასა, მთავრობასა თავადის ციციანოვისასა მომსრველისა სენისაგან დაიბნა რა ტფილისი წელსა ჩყდ, აღუსწერე იდ რვეულნი მარტყოფს და უშემდგომესად აღუსწერე ორნიცა რვეულნი ტფილისს წელსა ჩყკდ, და შევასრულენ ესე ესდენ ონისიმე მღუდლისა ძემან, მღუდელმან ეგნატი იოსელიანმან, მხილველთაგან ჩემდა თქმად შენდობისა ცოდვათასა...“ 230 r.

2175

ბოროტთა ანგელოსთათვის, 1824

18 ფ.; 34,5×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, 1824 წ. (17 r); გადამწერი: მღვდელი ეგნატი იოსელიანი (17 r); მთარგმნელი რუსულიდან: გაიოსი (იქვე); დაუწერელია 1 r—3 და 18 r—v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 99.

„მუხლი მესამე, თჳს ბოროტთა ანგელოსთა.—§ 76. აწ შეგჳიდგს ჩუენ წინადადებად რაჲსამე ბოროტთა ანგელოსთათვის, რომელთათჳსცა უფროსღა ესენი არიან უმთავრესნი კითხუანი...“ 4 r—17 r.

შენიშვნა: „სრულვჰყავ წელსა 1792, მარტს 19, სატახტოსა შინა ქალაქსა მოლდავ-ვლახიის სამთავროსასა იასს, გაიოსმან. გარდავსწერე 1824, 6. 30. მღუდელმან ეგნატი იოსელიანმან.“ 17 r.

2176

«საკითხავნი და სწავლანი», 1786

410 ფ.; 28,9×18; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა: ბოლონაკლული; ნუსხური, სათაურები სინგურით; 1785 წ. (1 v); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 101.

„სიტყვა იოანე ოქროპირისა. ვითარ ჯერ არს წმიდათა საკითხავთა წიგნთა სმენაჲ და გულის მოდგინებით კითხვა და გულისჴმის ყოფა.—თქვა ნეტარმან იოანე ოქროპირმან: „ჯდომასა შენსა კითხვად საღვთოჲთა სიტყვათა პირველად ევედრე ღმერთსა, რათა განგიხუნეს შენ თვალნი გულისანი...“ 7 r—409 v.

წ ყ დ ე ბ ა: „ამასვე თუესა |შინა ღმერთი განუშორებლად საყდრისაგან დიდებისა თჳსისა გარდამოჴდა...“

შენიშვნა: 1. საკითხავები წარმოდგენილია სექტემბრის თვიდან თებერვლამდე.

ანდერძი: „ჳპოვე წიგნი ესე სჳნაქსარსა შინა რუსულსა ათორმეტთა თუეთა თჳთოეულისა დღისა საკითხავნი და სწავლანი მრავალთა სათნოებათა და ბოროტმოქმედთა მეფეთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, პატრიარქთა და ებისკოპოზთა, მონაზონთა და ერისკაცთა, მამათა, დედათა, თჳთოეულთა დღეთა თჳთო ორ-ორი და სამ-სამიცა საკითხავნი.

ეგრეთვე ყოველთა საუფლოთა დღესასწაულთა, რომელნი რიგსა თუეთასა შემოვლენ წინა დღესასწაულობისა და თჳთ დღესასწაულისა; მოკლედ ნათქუამნი მეტაფრასებრვნი საკითხავნი ახლად შეკრებილნი მრავალთაგან წიგნთა კურთხეულისა და სანატრელისა დიდის ბატონისა მეფისა და დიდისა მთავრისა მიხაილ ფილარეტის შვილისა მიერ, ყოვლისა რუსეთისა თჳთმპყრობელისა სულიერისა ვისმე ბერისა თანაგანზრახვითა უსიბრძნისმოყვარებითა; და შეუკრებიან ვითა მრავალფერნი ყუავილნი სულთა და ჴორცთა განმასურნელებელნი, კეთილთა საქმეთა კაცთა, სამხილებელნი ძჳრის მოქმედთა კაცთა მრავალთა, და მსმენელთა აღწერნეს კეთილმებრ აღირჩივნენ და ღირსნი, რომელნიმე მარჯუენით მშვენებად ცათა სასუფევლისად და რომელნიმე მარცხენით სატანჯველად საუკუნოდ. ხოლო მეცა მრავალთაგან განსაცდელთა გარემოცული და მაყვედრებელთა ჩემთა საგიობელი, შეწევნითა ღ῾ისათა არა უდებ ვიქმენ, არცა დავეცი ცხედარსა ზედა მცონარებისასა, არამედ ვიშრომისმოყვარე, ვითა სხვათა მათ წიგნთა ზედა, და გარდამოვიღეთ რუსთა ენისაგან ქართუელთა ენასა ზედა, რომელთა შინა აღწერილ არიან მრავალსახენი კაცად-კაცადისა საქმენი, და სიტყვანი, და სწავლანი სათნოებათანი, ეგრეთვე ბოროტთა საქმეთა და თავდაჯერებულებათა მთხრებლნი უფსკრულთამდე შთამყვანებელნი, ეგრეთვე თვისთა ნებითა გნ῾ყნბლთა და სახიერთა კაცთა სასყიდელნი და ძალნი სიმდაბლისა მორჩილებისა და მოწყალებისა. ხოლო სახენი დავიდუმენ, ვინათგან წიგნი

ესე მოგახსენებთ, რაოდენნი კეთილნი და რაოდენნი ბოროტნი იქმნებოდეს ცოდვილისა მიერ, ანუ რაოდენნი დიდ-დიდნი კეთილთა შინა მყოფნი დაეცნეს მღალადებელნი უსჯულოებისა, ანუ რაოდენნი ძჳრნი შეემხჳეს ღირსთა მამათასა და ძმათა კეთილისმოქმედსასა. ხოლო რაოდენნი სხვანი სწავლანი სულთა და ჴორცთა სარგებელნი წიგნსა ამას შინა სწერიან, ამანვე წიგნმან ჩემმიერ სასურველ მწოდებელმან გაუწყნესთ მკითხველთა და გულისჴმისმყოფელთა, გარნა ვითა ცანი, ქვეყანანი და ზღვანი, და მათ შინა შექმნილნი დაბადებულნი და ქმნილნი ანგელოზთაგან კაცთამდე, და კაცთაგან მპირუტყუთამდე, ხოლო მფრინველითგან თევზთამდე და ყოველთა ქუეწარმავალთა და ნივთთა მიერ მიითხრობიან, ძალი და დიდება ღმრთისა, რომელთამე გალობითა, რომელთამე სიბრძნისმეტყუელებითა, რომელთამე საქმითა და ვერა-რაიმე სრულჰყოფენ დიდებულებასა და სიმდიდრისა ძლიერებასა მისისასა, თჳნიერ კერძოსა რაჲსამე· ეგრეთვე კაცთაცა ბუნებისა კეთილ-მოქმედებანი და ბოროტ-მოგონებანი და ძჳრის ყოფანი არა რომელსა ერთსა წიგნსა გარე შეუცავნ, გარნა ამას შინა იპოვებიან, ზოგსრე ბოროტთა და კეთილთათვის. ხოლო· წარუმართნეს უფალმან ნებისა მყოფელთა მისთა და ნუ შეამთხჳნეს განსაცდელნი მარადის კაცთა ნათესავისა წარწყმედად სურჳილებთა. დროჲ... გზანი ცხოვრებისნი რომლისა არს დიდება აწ და [მარადი]ს და უკუნითი უკუნისამდე, ამინ...

„აღიწერა წიგნი მეფობასა დიდისა ბატონის მეფის, დიდის მ[თავ]რისა პეტრე ალექსი-შვილისა, ყოვლისა · დიდისა, ცოტასა და თეთრის რუსეთისა თ[ჳთ]მპყრობელობისა და ძისა მისისა ბატონისა მეფის შვილისათა, დიდის მთავრისა ა[ლექ]სი პეტრეს შვილისათა, სამეფოსა მას დიდ[ს]ა ქალაქსა მოსკოს,

დასაბამითგან წელთა... სიგ. ხოლო ესემცა უწყოდინ მკით[ხვ]ელ... ამის წიგნისათა: თჳთოეულთა თ[ავ[თა დღეთა საკითხავნი მას დღეს იკითხებოდენ და საძიებელითა ამით ვის რა უნებდეს რომლისამე პირისათვის, კითხვად უშრომელადცა ჰპოებდინ.“ 1 r—2 v.

2. საძიებელი. 3 r—6 r.

3. მინაწერები: ა. „საქართველოს მეფის სძლის ქეთევან წერეთლის ასულისა ვარ.“ 1 r.

ბ. „ეს მამათ ცხოვრება ხარჭაშნელ ეპისკოპოსისა არის, გრიგოლ წოდებულისა. ვისაც შემდგომად ჩემსა დაგრჩესთ, ლოცუასა ჰყოფდეთ ჩემთა ცოდვათათჳს. მოსკოვს წელსა 1785, თჳესა ფებერვალსა შვიდსა, წმინდანო მამანო, მეოხ ექმნენით სულსა ჩემსა. ამინ-“ 1 v.

გ. „ესე წმინდა ცხოვრება მამათა მდაბლის გრიგოლ ხარჭაშნელისა არის. ნურავინ მოიპარავთ და, თუ მოიპარავს ვინმე, მკრეხველი იქმნება წმინდის ეკლესიისა. მდაბალი გრიგოლ ხარჭაშნელი ეპისკოპოსი.“ 6 v.

2177

იოანე ბატონიშვილი—[ლოღიკა], XIX

17 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყდო, ნაკლული; მხედრული; შიგადაშიგ ნასწორებია; ავტოგრაფი; [XIX] (ჭვირნიშანი 1804). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 103.

„წიგნი პირველი. თვის სხვათადასხვათა შეწევნისა სასამსახურებელად და დასარწმუნებელად ჭეშმარიტებისა. თავი პირველი. განცხადებისათვის გულისჴმისყოფისა.—კეთილ განმსჯელთა თანაძსთ ზედმიწევნილებითი ცნობა, თუ რაჲ არს ცხადყოფა და მეცნაყოფად მდგომარეობასა შინა, ნიშნისამებრ მისისა და განგდებად ყოვლისა იჭვნეულებისა...“ 1 r—16 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ დ ე ბ ა: ...„და არიან კუალად დამაბრკოლებელნი მიზეზნი და წყარო მრავალთა შეცნობილებათა და მათ მიერ ვმჰსჯელობთ ჩუენ მისთვის, რაჲსაცა ვერა ვხედავთ და შევრაცხთ“.

შენიშვნა: 1. ტექსტის ყოველ გვერდზე გამოტანილია სიტყვების განმარტება.
2. ბოლოს მიმაგრებულია იმავე ზომისა და ფერის ერთი ფურცელი. ამისი ხელი ძირითადი ტექსტის ხელს წააგავს. მოთხრობილია სამხედრო წესების შესახებ: „ქ. ჩვეულება არს მაიძულებელი და გამღვიძებელი იდიისა მას ზედა, რომელიცა უფრო ხშირადრე შეხდომია სიყრმესა შინა და შექმნოდეს ანაგებად...“
წ ყ დ ე ბ ა: „დანბაჩანი, ოროლნი, ანუ ცხენზედ გინდა წელზედ. და მოკლე ხანჯალნი და მაგარნი...“

2178

გრიგოლ ბატონიშვილი—მოგზაურობა, XIX

10 ფ.; 34,5×22,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.] (ჭვირნიშანი 1818); დაუწერელია 6 r—10 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 107.

„მოგზაურობა.—ივლისის 1. როდესაცა გამოვედით პეტრებრუხით ლეიბ ყაზახის ღვარდიის ჯარითურთ, ვიყავ მეც მათთანა. და წარმოვემართენით ფრანცისაკენა; და მოვედით მას დღესა ხელმწიფისა დედისა სოფელსა კრასნი სელოსა, რომელიცა იყო ჩვენთვის გამზადებული ვახშამი ხელმწიფის დედისა მიერ. და ჩამოვხედით ხსენებულსა სოფელსა...“ 1 r—5 r.

ანდერძი: „ქ. ოდესცა ვმსახურებდი რუსეთისა იმპერატორსა ალექსანდრეს რუსეთისა მხედრობასა თანა, და შემთხვევის გამო მოუხდა რუსეთის ხელმწიფესა ფრანციასთანა აშლა და გალაშქრება წელსა 1815 და მეცა რადგან მუნ ვმსახურებდი და წარმოგვგზავნეს მთლად ღვარდია, ქვეითნი და ცხენოსანი პეტრებრუხით, და მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა, რაჲცა ვნახე თვალითა ჩემითა საკვირველი ანუ სანახავი, ამას ქვეით დაიწერება.“ 1 r.

2179

მონტესკიე—გულისხმის ყოფისათვის სჯულთასა, XIX

114 ფ.; 36,6×23; ქაღალდი; უყდო; მხედრული; მთარგმნელი: დავით ბატონიშვილი; შიგადაშიგ ნასწორებია, კომენტარები მიწერილია მთარგმნელის ხელით (108 r); დაუწერელია: 36 r—39 v, 67 r—72 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 108.

„გულისხმისა ყოფისათვის სჯულთასა. წიგნი ა. სჯულისათვის საზოგადოთ. თავი ა. სჯულთათვის ნაცვალგებასა შინა, ვითარიცა აქვსთ მათ სხვანი და სხვანი არსებანი.—სჯულნი სივრცესა შინა შენიშვნისასა სხვანი არა რაიმენი არიან, გარდა საჭიროთა ნაცვალგებათა ბუნებისაგან ნივთთასა გამოსრულთა...“ 1 r—114 v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყდება: „...ფრანციასა შინა ჟამსა რეღენტობისა ორლიანის ღერცოღისათა მას ჰქონდა შეფენილებაჲ პოეზიასა ზედა და მოაკლო იგი თვისებასა მას, რომელიცა მიანიჭეს მას წინამსრბოლთა მისთა საუკუნეთა.“

2180

იოანე ბატონიშვილი — მათემატიკა (არითმეტიკა, გეომეტრია, პლანიმეტრია), 1820

354 ფ.; 35×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1820 წ. (312 r); ავტოგრაფი; ნასწორებია; შიგადაშიგ ჩართული არის გეომეტრიული ნახაზები. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 109.

1. [არითმეტიკა]. „არიხმეტიკა. ნაწილი პირველი, თჳს უპირველესთა არიხმეტიკულთა მოქმედებათა მრთელთა და განწვალებულთა ანუ დრობთა რიცხვთათჳს. თავი პირველი.—წარმოებისათჳს რიცხუთა და გამოხატუათა მათთათჳს, და უზნობათა ანუ მარტივთა რიცხვთათჳს...“ 21 v—104 v.

2. „არიხმატიკა, ნაწილი მეორე. უმაღლესთა რიცხვებთა მოქმედებათათჳს. თავი პირველი, შეთანასწორებისათჳს რიცხვებთა ურთიერთსა შორის § 2...“ 106 r—121 v და 211 r—257 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ცუდად არის შეკრული, არითმეტიკის მეორე ნაწილი სხვადასხვა ადგილას მოქცეულა.

2. აღნიშნულ ნაწილს წინ უძღვის არითმეტიკულ ტერმინთა განმარტება: „განცხადება რომელთამე მათემატიკურთა სიტყუათა...“ 22 r—v.

3. [გეომეტრია]. „თავი პირველი. თჳსგანსაზღვრებისა აქსიომასი. და წინამავალის განცხადებაისა. საზღუარი 1. § 1.—ღეომეტრია არს სწავლა, რომელიცა გუაჩუჱნებს ჩუჱნ თჳსებასა განფენილებისასა და გუასწავებს ჩუჱნ განზომად ყოვლისა მის, რაჲცა მექონ არიან განფენილებათა. გამოჩინება § 2...“ 124 r—210 v.

4. „ღეომეტრია. ნაწილი მეორე. მპყრობელი შტერეომეტრიისა· თავი I. განსაზღვრებანი, აქსიომანი და წინამავალნი განცხადებანი...“ 260 r—310 r.

5. „საფუძვლიანი დაწყება ზესთა ღეომეტრიისა. ნაწილი მესამე. თავი I, თავისგანსხუაებითითა სახითა განკვეთად კონუსისა სიბრტყისა...“ 312 r—346 r.

6. „მოქმედებანი პლანომეტრიულნი. წინა ჩამოგდება I. ცხადსა შინა კვადრატისა კერძოსა, რომლისა ერთი უკუჱ მხარე აბ-12 საჟენისა ანუ ადლსა, ვითარ მოიპოებ სიბრტყესა მრთლად მის კვადრატისასა...“ 347 r—354 v.

შენიშვნა: წინ უძღვის „წინასიტყვაობა.—მკითხუჱლსა არ ეჩუჱნების განმაკვირვებლად, რომელ გამოვმცემელობ მე ესე ვითარსა სწავლას (ა)[1], რომლისათჳსცა გვქონენ ჩუჱს უკუჱ მრავალნი წიგნნი ენასა ზედა ჩუჱნსა, უკეთუ განიხილავს, რომელ იგინი ყოვლისათჳს ამის მსწავლელისა ყრმობისა არიან ნაკლ და მცირე. მიზეზმან

---

[1] ანბანით ნაჩვენებ შენიშვნებს განმარტება მოსდევს სქოლიოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან მაიძულა მე პირველ ჩემ მიერ ჩღნზ წელსა გამოცემულისა უნივერსალნის არიფმეტიკისა მესამედ გამოცემად გარდა ალგებრისა, ღეომეტრიისა და სხვათაცა გამოსაღებთა, და დატევებად მას შინა ოდენ ყოვლის შესაბამისა ციფრებთა მიმართ შესარიცხველისა, და დადებად უმჯობესსა წესსა და განმარტებასა შინა მოძღურებისათჳს ყრმათასა, რომელისათჳსცა მსინჯველმან მე პირველისა ვიგულისმოდგინე ყოვლითურთ შეცვულთა მის შორის არიფმეტიკისა კანონთა წარმოდგენად ყოვლისა მკითხველისადმი საჩინოდ და გულისხმის საყოფელად, რომელთამე ადგილთა შინა განვას ორე იგი და ავავსეცა. და ვსასოებ, ვითარმედ ყოველი იგი რაჲცა ეჩვენებოდა რომელთამე პირველ გამოცემულსა შინა ბნელად, ამის შინა ჩვენებულ არს ჯეროვნად საგულისხმოდ. ხოლო ვჰყავ ესე მით უფროს გულსმოდგინებით, ვინაჲთგან ვიცი, რომელ პირველი შრომაჲცა ჩემი არ იყო უსარგებლო საზოგადოებისა.

აქა განქსუასა შინა ნივთთასა არს რაოდენმე განსხუაებულ სხვათა მწერალთაგან ამისთჳს, რომ წესი ესე მეჩვენა მე შესაბამად და სათჳსოდ მეხსიერებათათჳს ყრმათასა. ამასთანაცა მრავალთა სხვათა არიფმეტიკათა შინა არიან რომელნიმე კანონნი განმარტებულ ალგებრისამებრ (ბ), რომელიცა ძნელ არს მიხუწდრად სწავლად დამწყებელთა ყრმათათჳს და ამისთჳს მე ადვილ გულისხმისყოფისათჳს განვმარტე ყოველნი ესე ვითარნი კანონნი უხმარებელად ასბანთა მრიცხველობისა. უკეთუ ვსაჯოთ განზრახჳსათჳ, ვითარითაცა ჯერ არს სწავლად არიფმეტიკისა (რომელიც ასწავებს გამოპოვნებასა დაფარულთა თჳსებათა რიცხუთასა და სასარგებლოდ ხმარებად გამოღებულთა მათ გამო თჳსებითთა ნაყოფთა), მაშინ კანონნი აღრიცხვათანი ზოგადსა ცხოვრებასა შინა შემთხვეულნი ღირს არიან უმეტესსა განდიდებისა ვიდრელა მის ორი შეცვულნი სხვათა სწავლათა მიმართ საფუძველთა განკარგვანი მათემათიკებრივითა ძალითა (გ), ვითარნიცა არიან ევკლიდოვისა ელემენტნი (დ). ამათ რომელ ყრმასა ახალსა არიფმეტიკისა სწავლად მწყებელსა გონებისა სისუსტისა ძალუცს უმეტესისა სარგებელისა მირთმევად ესე ვითართა წიგნათ ხმარებასა, რომელთაცა შინა არიან მხოლოდ კანონთა განმარტებანი მაგალითებითა და დამტკიცდებიანცა რწმუნებითა. არ საჭირო არს დართუად ყოვლისა ზადაჩისადმი ვრცელისა აღმოჩინებისა, არამედ კმა არს იგი, უკეთუ თჳთ დამტკიცება განმარტებულ არს ესრედ, ვითარმედ შესაძლო იყოს ხილვად ჭეშმარიტებისა ყოვლისა მოქმედებისა, ვინაჲთგან გრძელი განმარტებაჲ ამიზეზებს ყრმათა ურვასა და უხალისობასა, და უქმსცა სწავლასა ძნელად და განგრძელებულად. ამად ვითარმედ ჭაბუკთა ერთა მკითხველთა ანუ მსმენთა ესე ვითარისა განმარტებისა არ ძალუცთ ყოვლისა მის გულისხმისყოფად და ხსოვნად. სხვებრ თჳთ უმჯობესსა მწერალსა არ ჰელეწიფების მიწევნად ესე ვითარისა სრულებისა, რომელ უძლოს მან ჰაზრისა თჳსისა უნათლეს განმარტებად. დამცველმან სიფიცხისა მათემატიკისა წესთა (ე) ფრიად გამოცდილებით შეაერთოს თეორია (გონებითხედვა) და პრაქტიკა მოქმედებასა არიფმეტიკისასა და აჩვენოს მრავალნი ახალნი მოპოვნებულნი. ჩვენ ვხედავთ, ხშირად მოხდების ჩინებულთა მწერლებთა შორის იქმნებიან რომელნიმე წინადადებანი დია ბნელად განმარტებულნი და მასთანაც ალგებრაისებრივი, ხოლო მათ შორის იპოვებიან ესრეთნი კანონნი, რომელნიც მსოფლიოთა საჭიროებათა და არცა მოქმედებათა შინა ბუნებითთა არიან ადგილიანნი. და ესე ვითარი შრომა ჭეშმარიტებისამებრ შესაძლო არს შერაცხვად უსარგებლოდ და ამაოდ გონებობად. ესრეთვე არავითარიმე არიფმეტიკა არ შესაძლო არს იყოს სარგებელად ყრმათა თჳნიერ წინამძღომელისა, ვინათგან ხშირად მოხდების, რომელ ნასწავლთა მათ ყოვლისა არიფმეტიკისა კანონთა კნინ ძალუცთ დამტკიცებად მდაბიოჲსა მაგალითისა; და სწავლულთა მრავლისა მაგალითთა არ უწყიან თქმად, რომელთა კანონთა ეშესაბამებიან იგინი. მიზეზად მისა არიან მოუმწიფებელნი განსჯანი მათნი მცირწელობათა ძლით; და იგიცა უკეთუ არ სწავლობენ იგინი მაგალითთა მდგმოთა სახელდებულთა რიცხვთა შინა, ამის გამო წარაგებს, ოდესცა არ ა ვს ვისმე ბუნებით მეხსიერებაჲ კარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ დამტკიცებასა შინა შემთხვეულთა აღრიცხვათასა ადვილ ქელეწიფების შეცოდებად. ამისთჳს მსწავლელსა ყრმასა შვენის გულისმოდგინედ მისწვდეს ნამდვილსა ხმარებასა და განაძლიეროსცა ჩვეულებითა განსჯაჲ თჳსი, რათამცა უწყოდეს ვითარი კანონი და ვითართა ჟამთა ხმარებულ ჰყოს შეხედვისამებრ მისისა. თუცა აქა არს ყოველივე წინადადებულ და ჩვენებულ რაოდენმე მოკლედ, რომელ ყოველი მიხვდების მის უმსწრაფლეს და დაიხსომებსცა ადვილად, რომლისაცა ძალსა რაოდენთამე სიტყვათა შინა იხილავს ნათლად, და ესე ვითარისა სწავლისა უადვილესად ძალუცს ხმარებად სასარგებლოდ თჳსა, ვარნა ყოველსა აღრიცხვასა ზედა ჩვენებილ არიან კანონნი რომელთამე უწყებაებითა და იგინი მრავლითა მაგალითებითა არიან ესრეთ განმარტებულ, რომელ ვსასოებ გულმოდგინედ და ხალისით მოსწავლე თვინიერ უსაკუთრესისა მის შინა მოძღვრებისა გულისხმაყოფს მას ყოველსა საფუძველსა და მიზეზსა იხილავს ნათლად, შემძლეთ იქმნების გამომპოვნებელ და დამამტკიცებელ ახალთა კითხვათა და არ იიძულების ძიებად დასკუნობათა არიჶმეტიკისა მაგალითთა სხვათა წიგნთა შინა. ამისთჳს რომელ განვეკრძალე მე, არა დაუტევო არცა ერთი კანონი სახმარებელ საზოგადოსა ცხოვრებასა შინა და არცა ვეჭვ, რომელ უძლოს მოპოვნებად ვითარსამე ჟამისა არიჶმეტიკისადმი სათვისოჲსა, რომლისაცა არ შესაძლო იყოს დასკუნობად. აქა წარწერილთა კანონთა ძლით არ ვჰგონებ, ვითარმედ შემძლებელმან სწავლისა ამის ძალიდვასცა პოვნად ვითარისამე სიძნელისა გულისხმისსაყოფველად წერილისა ამის: ვიგულისმოდგინე მე, ვჰპოო იგი ყოველთათჳს სასარგებლოდ. ხოლო წარმართებაჲცა ჩემი მას შინა დამოკიდებულს არს მართალთა ფიქრთა ზედა მკითხველთასა.

უკანასკნელ მოგახსენებთ, რომელ მწადდა მე, უკეთუ მიბრძანებს დროჲ, შემდგომად არიჶმეტიკისა ამის გამოვჰსცე საკუთრად ალგებრა, ესე იგი არს სწავლა აღრიცხვისათჳს ასოთა ძლით, რომელსა ძლითცა შესაძლო არს დასკუნობად უმსუბუქესითა და უუადვილესითა ღონითა ყოველთა არიჶმეტიკისა და გეოემტრიისა ანგარიშთა, რომელთაცა დამტკიცებად არა შესაძლო არს მხოლოდ რიცხვებითა; ვინაჲთგან არიჶმეტიკა ირაცხების მდაბიოს ღონედ აღრიცხვათა და ერთს უმსუბუქეს სასწავლოდ მიხვედრისათჳს. გარნა ალგებრა არს სწავლა მჩვენებელი საზოგადოჲსა ღონისა ყოვლისა ანგარიშისა ასოებითა და სათანადოჲთა ნიშნებითა, იგი სხვებრ იწოდების უნივერსალნისად, ანუ საზოგადოთ არიჶმეტიკად ამად, ვითარმედ აწარმოებს მოქმედებასა და კანონთა მსგავსთა მდაბიოჲსა არიჶმეტიკისა და დაფუძნებულთა მათივე დასაბამთა ზედა. გარნა სურვილისამებრ მეგობრისა ჩემისა კეთილისა კაცისა, როსსიის ვაჭრისა ი ვ ა ნ პ ე ტ რ ო ვ ი ჩ ი ს უფლის ლ ა ზ უ ნ ო ვ ი ს ა იძულებულ ვარ გამოცვლად მისა და პირველისაცა დაბეჭდულისა საზოგადოჲსა რიცხვისა ჩღნზ წელსა გამოცემულისა ამით გამეორებად დამეტებითა და განმართჳთა მრავალთა ნივთთა და დაფუძნებად წიგნისა ამის სამთა ნაწილთა შინა.“ 1 r—2 v.

2181

ანსილიონი—ესტეტიკებრნი განსჯანი, 1815

154 ფ.; 32,5×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი: დავით ბატონიშვილი; 1815 წ.; ადგილი: სანკტპეტერბურგი (153 v); ტექსტი შიგადაშიგ ნასწორებია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 110.

„განსჯაჲ ა.—ცნობისათჳს და გულისხმის ყოფისა დაუსრულებელისა რიცხვთაგან მათ ფილასოფოსთასა, რომელთაცა განიზრახეს განმარტებაჲ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდისა პრობლემმაჲსა (ა)[1] თჳსებათათჳს არსთასა და წარმოებულებათათჳს ნივთთასა მრავალთა მათგანთა...“ 1 v—153 v.

შენიშვნა: წინ უძღვის 1. თავფურცელი:

„ესტეტიკებრნი განსჯაბი—და ანუ მეტაფიზიკებრი გვარი უმაღლესისა რიტორებისა, ანუ სწავლაჲ მაჩვენებელი თეორიისა და კანონთა უპირატესისა ჴელოვნებისა ბუნებათასა, მსგავსადვე კრიტიკისაცა, ესე იგი კიცხევისა და ნაკლულევანებისა აღნაქვსთა შინა.

ქმნილი უფლისა ანსილიონის მიერ, რომელიცა სთარგმნა ფრანცუცულით რუსულად რეზანის არხიეპისკოპოსმან თეოფილაქტე გარდამოცემისათვის ნევსკის აკადემიასა შინა.

ხოლო რუსულით ქართულად ღენერალ ლეიტენანტმა და სენატორმან მეფის ძემ მემკვიდრემან დავით. ესე უკვე ანსილიონ იყო პრუსიის კოროლის აკადემიის წევრი და სწავლასა შინა გამოჩენილი მრთელსა ევროპასა შინა.“ 1 r.

2. „ზანდუკი“ 1 r.

2183

ქილილა და დამანა—სულხან-საბა ორბელიანის რედაქციისა, XVIII

155 ფ.; 30×20; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.] (ჭვირნიშანი 5 r—v, გვირგვინი მტევნით. იხ. ე. თაყაიშვილის აღწერილობა ტომი II, 5 გვ.). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 113.

„სიხარულით პირი გაუწითლდის, გარდასრული ჭირი დაავიწყდის და ერთ დღეს ხანს რასმე მით გარდაიარის დი იტყოდის:

ჵე, ბედო, ამას რომ ვხედავ, ცხადი არის თუ ზმანება,
ესოდენს ჭირთა შემდგომად რამ სვემან მომცა მანება.“ 1 r—155 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ნება ჴელმწიფისა იყოს. და თუ მიბრძანებს, მოვახსენებო. ჴელმწიფემ უბრძანა: რაჲცა მოგწევია, თქვი, როგორ ყოფილაო:

მოხუცებულმა თქვა არაკი...“

შენიშვნა: გამოცემულ ტექსთან შედარებით ხელნაწერს დასაწყისში აკლია ორმოცდა თერთმეტი გვერდი, წყდება ხუთას ოთხმოც გვერდზე. (იხ. ქილილა და დამანა, 1886 წ. ი. ჭყონიას რედაქცია).

2184

სადღესასწაულო, XV—XVI

227 ფ.; 30,8×20,5; ქაღალდი; უყდო, დაშლილი. ძალზე დაზიანებული, ნაკლული; ნუსხური, სათაურები სინგურით, ნაწერია სხვადასხვა ხელით; [XV—XVI]; გადამწერი: ჩაჯაგნისძე მარკოზი (73 r, 212 r, 227 v); დამკვეთი: ეპისკოპოზი აბრამ გელასელი (212 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 116.

---

[1] კომენტარები დავით ბატონიშვილს ეკუთვნის.

„...აგან წინასწარ და მოესწრებოდა წმიდისა მიერ ჴსნა... შეპყრობილ ვიყვენით ჩვენ პირველ საბრჭითა საცთურისათა... და მისითა...“

შენიშვნა: 1. 1 r—13 v-დე ნაწერია ერთი ხელით, 14 r—67 v-დე სხვა ხელით და 68 r—227 v-დე გადაწერილი არის მარკოზ ჩაჯაგნიძის მიერ.

2. ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მარკოზ, ამინ იყავნ.

მოდუზეს დეკანოზსა მახარებელსა შეუნდოს ღმერთმან. ამ წიგნის ფასი მანცა გამოიღო.

აბრამს გელასელსა შეუნდოს ღმერთმან და ყოველთა მისთა მიცვალებულთა შეუნდოს ღმერთმან. ესე წიგნი მან დაგუაწერია და შესწირა გელასეთს მაცხოვრის ხატსა. ამისი ქა[ღა]ლდი მურვანამან შეაწია, მურვანასა შეუნდოს [ღმერთმან], [მის] მეუღლ[ესაც] [და სა]ზარდის შეუნდოს ღმერთმან...“ 212 r.

3. მინაწერები: „ამა ფურცელს ჩალმა მე ჩაჯაგნისძეს მარკოზს დამიწერია. ღმერთო შეიწყალე მარკოზ. გარდაამოაქციე ფურცელი და იქით დამიწყია. მე ცოდვილსა მარკოზს შემინდევ, ღმერთო.“ (73 r).

„ღმერთო, შეიწყალე ამისი მწერალი მარკოზ ჩაჯაგნისძე და მშობელნი და მიცვალებულნი მისნი, ამინ. ვისცა შენდობით მოგვიჴსენოთ, ღმერთმან თქვენცა მოგიჴსენნეს სასუფეველსა მისსა, ამინ...“ 227 v.

4. ძირითადი ტექსტის დიდი ნაწილი სრულიად დაშლილი და ძალზე დაზიანებულია, ხელის ხლებაც სახიფათოა, გახვეულია ცალკე და თან ერთვის.

2185

ათორმეტთა თვეთა პროლოღია, ხუთტაეპოვანი შაირი (სჳნაქსარი), 1809

89 ფ.; 34×21,5; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1809 წ. (171); გადამწერი: დავით რექტორი (171); დაუწერელია დასაწყისში 3 ფ. და ბოლოში 5 ფ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 117.

სექტემბრისა დღეთა ათ-ოცობასა, სთორმეტ სთორმეტობს ჟამები დღეღამეთა.—

ინდიქტიონსა დასაბამობს დღენდელი,
ესე იგი არს აწსა თავად თჳსადსა...“ 1 გვ.—170 გვ.

შენიშვნა. წინ უძღვის: „წინასიტყუაობა წინამდებარისა ამის წიგნისა ათორთ თთჳსა ხუთ-ტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი ტ რ ი ფ ი ლ ე ს მ ი ე რ დ ი ა კ ო ნ მ ო ნ ო ზ ო ნ ი ს ა.—

წინასიტყუასა ათორ-თთუჱთ წელიწდთასა
მქერდუჱლი მმკაცრი ვჰსტიხობ იამბიკოებრ,
ვჰსრბი ყოვლ უცები გზათა მეცნ ბრძენ კაცთასა.
მნებავს მიწთომვა, განაღა ვჰლმობ ვერ მიმწუთი,
ნაკლ მთქმსა ვერ შემწყუსა, ნუ საგიობ მიქმთ მსმენნი.

საწელიწდონი ათორ-თთუჱ სჳნაკსარნი,
სახსენნი მათნი, ვინ აღვიდეს ზესთ ნათლის,
წყობილ-სიტყუობით ნათხზნი იამბიკოებრ

არს შრომილ მათგან, ვინცა ექუჱმდებარნეს
ზესთა სიბრძნესა და იზედშესმენილნეს.

ხუთნი არიან ქმნილ თთუჱ იოანისგან
ფილოსოფოსის ჭირჭიმელ წოდებულის,
ესე იგი არს სეკდემბერ-ოკდომბერი,
მებრუჱ ნოემბერ-დეკემბერ-იანუარი,
მისთა სიბრძნეთა ესენი არნ მაცხადნი.

ხუთთ ამათ გარდა არა სადა იყო სხუა,
რაჲცა მასრულ ექმნამცა ნაკლთა თთუჱთა.
მსურუჱლთ ვედრებით მოსთხოვეს მყის არსენის
მამათ-მთავარსა, ძესა ბულმაისისსა,
რათა აღავსოს ნაშთნი იოანნისნი.

ინება ჴელჰყო აღავსნა ნაშთგებულნი
უწმინდესმან მან კაცმან გონება ვჰრცელმან,
ოთხ-თთუჱნი ჰლექსნა, ასტიხნა ორფეოსებრ,
ფებერუალ-მარტი ესთა, აპრილ-მაისი,
სხუა ვერღა ჰსცალდა დროთა შეხდომათაგან.

შემდგომად ორთ მათ ჴელჰყო სამ-თთუჱთ სრულება
მამათმთავარმან მეფის ძემან ანტონი,
მებრ უმიროსის სიბრძნისა ქუჱ მდებარმან,
ვინ დავითის ტომ ითჳსა, ისაკუთრა,
მან სრულ ჰქმნა იუნის-იულისი-აგჳსტო.

თთუჱსა მეორეს სეკდემბრიდამ ოკდომბერს
რიცხუსა მერუჱსა დღესა ოთხ სარიცხუჱლსა
იწყო ანტონი, სამთ თთუჱთ თხზუა სტიხოვნებრად.
მასუჱ ოკდომბერს რიცხუსა მეათხუთმეტსა
სამნივე სრულ ჰყუნა სადიდებ ყოვლთ მიზეზის.

დასასრულ არს ერთ აკროსტიხორ საცხადი,
ქმნილ ანტონისგან, მისთა სიბრძნეთ მაცხადი,
უსიტყუთ გონებათ არ ადჳლ განსაცხადი,
ანტონ მესტიხ მეტაფრასთა ესთ მცხადი.
მე ამისთჳს ვჰლმობ, ეს არვის განუცხადი.

ჭეშმარიტი თქუმად გუასმიერ უფლისაგან
ამად, ვითარმედ სიცრუვისა ტყუვილთ მთქმთა
არ წარემართოს წიხაშე თუალთა ჩემთა;
იტყჳს ელოჲ პირითა დავითისით,
ამისთჳს მე თჳთ ვიშიშჳ, ვიტყჳ მართალს.

ჵი მჰმსმენელნო, მირწმუნეთ თქმადნი ესე,
თუმცა იოან არს საქებ ყოველთაგან,
მაგრა თჳთ არსენ არ ნაკლებობდა მისდა,
ორნივ ღ̃ისმმეტყუნი, რიტორ ფილოსოფოსნი.
აჰა ანტონი მიზესთ მთიებობს მათდა.“ 2—3 გვ.

2. დასასრული პროლოღიისა.—

„**აჰა** თხრობილნი წმიდათათჳს**ჱ**ვასტიხ**ე**
ვჰქმნე**ნ** ვიკადრე ეს რომელ შევე**ხ** აღუსებად,
მე ესთა **ტია**ლ ვი**ფრა**სე არ ვჰქმენ **ზესთა**
ცუდ **ეს**ე და იგ **ო**ქროვან თქმულ მათი
მენება ოდენ აღმევსო **ნ**ეტართ ნაშთ**ნი**.“ ამ აკროსტიხში იკითხება შემდეგი: ანტონი მესტიხე მეტაფრასთა.

ანდერძი გადამწერისა: „ესე ათორმეტთა თთუჱთა პროლოღია ჩემს სულიერს ძმას და უსაკუთრესს მეგობარს, კეთილშობილს იოსელიანს, პატიოსანს მეცნიერს და გავითარებულს, ღირსს მ ღუდელს, განკრძალულისა მღუდლისა ონისიმეს ძესა, იგნატის აღუწერე ესგუარ შრომითა მე კეთილშობილმან, ალექსის ძემან მეგობარმან მისმან, რეკტორმან დავითმან.

ხოლო კეთილმოქმედმან იგნატი ესე ჩემი შრომა არა ინება უსასყიდლოდ, რომელსა ესე მე არა მენება და ჩემ მშრომელისა მუშაკისა სასყიდლისა ნაცულად ინება რაოდენთამე ლიტურღიათა შეწირუად მიცუალებულისა მხევლისა ღ̃ისა მარიამისთჳს, რაოდენიცა თჳთ მისმან კეთილმან გონებამან და ღირსებამან აღსთქუა.

ხოლო ძმაო ჩემო საყუარელო და სასურუჱლო, ოდესცა იხილვდე და წარიკითხვდე ამას წერილსა, თუ ცოცხალ ვიყო, სიყუარულით გახსოვდე, ხოლო ოდეს მიწა მიწას მივეცე, ნუ დამივიწყებ შენსა ულირსსა და ცოდვილსა სულით ვიდრემე გლახაკსა მეგობარსა ლოცუათა შინა შენთა.

თთუჱსა იულისსა 23, ქ̃ეს აქეთ წელსა 1809. ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ზედა უჟზ. დავით“ 171.

2186

დოღმატიკა, 1794

98.; 32×21,5; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ნუსხურით; 1794 წელი (105 გვ.); მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; დაუწერელია დასაწყისში 5 ფურცელი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 120.

„დოღმატიკა ღ̃ისმეტყუჱლებისა ნაწილი პირუჱლი. თჳს ერთობითისა ღ̃ისმეტყუჱლებისა. თავი ა. ვითარმედ არს ღმერთი. § 1. შემეწიე მე, სულო ყოვლად წმიდაო, ღმერთო.—ვინაჲდგან კადნიერებაჲ განგრძელებული სულსა შინა უგლიმობაჲ არს...“

წ ყ დ ე ბ ა: „...ვითარმედ ერთად შემდგომისაებრ წესისა გამოჩინებულ იქმნა ბუნება წმიდისა სამებისა არა თანა...“ 1—185 გვ.

შენიშვნა: წინ უძღვის „ზედდადგინებანი დოღმატიკა ღ̃ისმეტყუჱლებისანი წინასიტყუაობა ღ̃ისმეტყუჱლებისანი ამის და ნაწილთა მისთა.“

2187

სვინაქსარი, XVII

235 ფ.; 31,5×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ბოლონაკლული; დაუწერელია 1—22 v, 215 r—235 v (რომლებიც ჩამატებულია აკინძვის დროს); (ჭვირნიშანი 1823). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თვესა სეკდენბერსა აქუს დღე—ლ, დღეთა აქუს ჟამი—იბ და ღამეთა ჟამი—იბ.—დაწყება ინდიქტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწდისა ინდიქტიონი, რომელი არს უწყებული...“ 23 v—214 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ხოლო რაოდენ იყო იგი აღსავსე სათნოებითა, ეგოდენ იქმნა საქმითცა, რამეთუ წარემატებოდა უფროს ყოველთასა...“

შენიშვნა: წინ უძღვის: „სიტყვა იოანე ოქროპირისა, ვითარ ჯერ არს წმინდათა საკითხავთა წიგნთა სმენა...“ 23 r—v.

მინაწერი: „ეს სჳნაქსარი მათე მღვდლისაა, მოზდოგის ეკლესიისა“ 23 r—25 r.

2188

იოანე სინელი—კლემაქსი, XIX

156 ფ.; 35,5—20,5; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; [XIX] (ჭვირნიშანი 1808 წ.); დაუწერელია: I—VII და 137—149 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 122.

„სიტყუა მოღუაწებითი ამბა იოანნი წინამძღურისა სინას შინათა მონაზონთაჲსა. პირუჱლი აღსავალი ლტოლვისა სოფლით ქუჱლმსიტყუჱ, მეუფეო.—სახიერისა და ზესთსახიერისა და ყოვლად სახიერისა ღთ̃ისა ჩუჱნისა და მეუფისა კეთილ...“ 7 r—136 v.

შენიშვნა: წინ უძღვის, 1. მოკლე შესავალი: „წიგნსა შინა ცხოვრებისასა ზეცად შინა აღწერად სახელთა თჳსთა მსრბოლთად კეთილი სარბიელისა გზაჲ, აწ მყოფსა ამას წიგნსა ჩუჱნებად უტევებიეს...“ 1 r.

2. „კლიმაქსი. აჰა პინაქსი საღთოჲსა კლიმაქსისასაჲ...“ 1 v.

3. „დანიილ მონაზონისა რაითელისა, ცხოვრებისამი უფლისა იოანნი სხოლასტიკოსისა...“ 2 r—6 v.

2189

იოანე ბატონიშვილის ხარჯის დავთარი, 1821—1828

112 ფ.; 20×17; ქაღალდი; მხედრული, ავტოგრაფი; მუყაოს ყდა; დაუწერელია 33 r—89 r; 1821—1828 წელი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 123.

წელსა 1821, სეკდენბრის 22-ს გრიგოლის ასტრახანს გაუგზავნეთ ორმოცდა ათი თუმანი ასიგნაცია ფული, რომ იქს 500 руб. ფოშტით და დალაქს მივეცით ფოშტაში. ამათ მისცეს...“ 2 r.

2190

«დასტურლამალი მეფის ვახტანგისა» XIX

89 ფ.; 21×16,5; ქაღალდი; მხედრული; ტილოგადაკრული მუყაოს ყდა; დაუწერელია ბოლო ხუთი ფურცელი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეჰა, შენ ყოველთა მბადო, დიდება შენდა.—რომელმან ყოველნი არა არსნი არსებად მოიყუანენ, იყავ, ხარ და ეგები უკუნისამდე...“ 1—250 გვ.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის „საძიებელი სამეფოს დასტურლამისა“ 251—267 გვ.

2191

ქარვასლის შემოსავლის დავთარი, XIX

30 ფ.; 22,5×18,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; შემდგენი: თეიმურაზ ბატონიშვილი (5 r); 1835—1842 წ. დაუწერელი: 17 v—21 v-დე. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 126.

„უწყებულება ქარვასლის შემოსავლის ფულისა.—ქ. ტფილისის ჩვენის ქარვასლის შემოსავალი რა ჩვენ ჩაგვბარდა, მას უკან რაოდენი მიგვიღია ამ ჟამამდის.

შენიშვნა: 1. ერთად არის შეკრული ორი პირი აღნიშნული დავთრისა: ერთი პირი, 1—17 r-დე, მეორე 22 r—33 r, ამათგან არცერთი არ არის ავტოგრაფი.

2. დავთრის უკანასკნელი მუხლი ჩაწერილია საკუთრივ თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით. 17 r.

2192

ვახტანგ VI—დასტურლამალი, 1869

129 ფ.; 22,5×17,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1869 წ. (256); სანკტ-პეტერბურგი (256 გვ.). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 127.

„ეჰა, შენ ყოველთა მბადო, დიდება შენდა,—რომელმან ყოველი არა არსნი არსებად მოიყუანენ, იყავ, ხარ და ეგები უკუნისამდე ჟამთა და წელთა ჲ აუზერავობითა...“

შენიშვნა: ერთვის საძიებელი. 241—256 გვ.
ანდერძი: „აღიწერა სანკტპეტერბურღს შინა წელსა 1869, თ[ვესა] ფებერვალსა“. 256 გვ.

2193

ყარამანიანი, 1813

436 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული; 1813 წ. (198 r); დიმიტრი ბაგრატიონის ნაქონი (იხ. 188 r, 198 r, 281 r, 329 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ყარამანიანი. ზორაბის ანბავი.—...ერთი ზრიალი მოესმათ, შეხედეს, ნახეს, რომ იმ ზღვის მეორე მხარე სულ დაბნელდა და იმ ბნელში ერთი დიდი მთისოდენი რაღაც გამოჩნდა...“ 1 r—435 v.

შენიშვნა: ხელნაწერის ბოლო: „... წინა წადგა და იმის თავის ქვეშ რამდენიმე სტრიქონი დაწერილი წიგნი იხილა ფალავანმან. იგი წერილი აიღო და წაიკითხა. ესრეთ ეწერა:

ლექსი სპარსული

„ეი ჯანი სეი რედა შაჭარაიარ ჩუნ გეთურა სანი ბუნდა რუზგარ,
ბელასან ქიმ ბანდახი ეი შაჰსევარ ბუნდან ავალ შაილ სეამაქნა მიედარ,
ბაჭარუ ბაჭრუნ მალიქი ჭარანა ქივარ ყამუ ბანდან ყორ ყასიდი ბიყარარ,
და დალუ და დეილა ჯაჭანდა შოილაბილ ამბრუ ერდუმ ალთიაზ...

თარგმანი

ქ.—ეი, შენ ქვეყნის მპყრობელო, ხელმწიფევ შარიარო,
ამდენი წელიწადია მე ქვეყანაზედ კარგის ცხოვრებით ვიცოცხლეო,
და ბოლოს კიდევ სიკვდილმან კალთა დამიჭირაო,
მაგრამ მრავალს ვეცადეო და ამისი ხელისაგან მორჩომის
წამალი ვერ დავადეო, ჩემის სიცოცხლის დასასრულშიო
ღვთისაგან ერთი მოწყალება დამემართაო.“ 435 r—v.

2194

კრებული, XVIII

99 ფ.; 20×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაწერია სხვადასხვა ხელით; [მე-18 საუკ.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 130.

1. „წმინდა კრება მეშჳდე, მსოფლიო მეშჳდე, ნიკია.—იქმნა წმიდაჲ კრება მეშჳდე ქალაქსა შინა ნიკიას ქრისტეს აქეთ შჳდას სამეოცდა ათერთმეტსა, დასაბამითგან წელთა ექვსიათას ორას ოთხმოცდა ათექვსმეტთა, ინდიკტიონსა ათოთხმეტსა, თვესა ოკდონბერსა ია, მეფობასა ს˜კნეთა ალჳსტოსთა კონსტანტინე და ირინესა დიდისა კონსტანტინესით მეოცდაათჩჳდმეტე კეისრისასა.“ 1 r—16 v.

2. „[შვიდი მომაკვდინებელი ცოდვაჲ]... მიიჩნიოს, უმადლობა ეს არის, ვისზედაც კაცმა კეთილი ქნას, იმ კეთილის მოქმედს არა დაუმადლოს...“ 17 r—18 r.

3. „წესი წმიდისა სინანულისა, რომელ არს შეცოდებულისა აღსარება, რამეთუ მონანულსა ზედა აღესრულების.—რომელსა ენებოს აღსარება, და ჭეშმარიტი სინანული ცოდვისა თჳსისა, უწინარეს განიმზადოს თავი თჳსი კეთილად...“ 21 r—27 v.

4. „კანონი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა ღ˜თით შემოსილთა მამათა. თქმული წმიდათა ნათლისღებისათჳს...“ 28 r—29 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ცხოვრებისა ამის სოფლისასა დაადგრების მტკიცედ და განშორდების...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. „[ანდრია მოციქულის ცხოვრება] ...თვესა ნოემბერსა ლ. წმიდისა მოციქულისა ანდრიასი. გვაკურთხენ მამაო.—ოდეს ამაღლდა უფალი ჩვენი და ღმერთი იესუ ქრისტე ზეცად, მაშინ აღთქმა იგი სულისა წმიდისა აღასრულეს წმიდათა მოციქულთა...“ 30 r—51 r.

6. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ͡ენისა გრიგოლი ღვთისმეტყველისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოზისა.—მომიწოდს ჩუ͡ენ, ძმანო, სულიერსა ამას ტაბლასა გრიგოლი, დიდი იგი ღვთისმეტყუ͡ელებისა ნესტჳ. ხოლო წინამდებარე არს იგი თავადი უნივთოდ სანოვაგედ და საზდელად უხრწნელებისად ყოველთათჳს, რომელნი სურვილით შემოკრებულ არს სმენად სიმაღლესა მას...“ 53 r—69 v.

7. „მეფობასა კოსტანტინესსა და დედისა მისისა.—იყო რამეთუ მას შინა პაპა ანდრიანე, რომელი იყო ლ მსოფლიოსა კრებასა შინა დამტკიცებულად პატიოსანთა ხატთა თაყუანისცემად...“ 70 r—99 v.

წ ყ დ ე ბ ა: „ხოლო ეფისკოპოზი თქვენი სწირავს ბეჭდითა და გჳრგჳნითა...“

2195

კარაბადინი, XIX

77 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; სხვადასხვა ხელი, მხედრული; [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 132.

„...[ქა]თმის ყვერები კამითა და ცერეცოდ მოხარშოს, ან ისე ჭამოს, თავისა და ჭელფეჯის თრთოლას მწვე არგებს...“

შენიშვნა: დასახელებულ ხელნაწერში შედის სხვადასხვა ხელით ნაწერი კარაბადინის ნაწყვეტები, შეკრულია ერთად. 52 r—55 v-ზე მოთავსებულია მკურნალ დავით კარბელის განმარტებითი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1825 წ. „ჩუ ზ/ე კე. მკურნალი დავით მიკირტიჩიანი დავითიანი კარბელი“.

ი წ ყ ე ბ ა: „... მოთხრობა და სწავლა მკურნალობისა სენისათჳს ახლად გამოჩინებულისა ქუ͡ეყანასა შინა ჰინდთასა...“

2196

იოანე ბატონიშვილი—სწავლანი, 1829

158 ფ.; 23×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი; 1829 წელი (157 v); ადგილი: სანკტპეტერბურგი. დაუწერელია 117 r—125 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 133.

„წიგნი პირველი, რომელიც იპყრობს თჳს შორის სხუათა და სხუათა ჰსწავლათა. თავი პირველი. აღზრდისათჳს შვილთა—მამათა და დედათა თანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აძთ შვილთა თჳსთა აღზრდათ თჳთ სიყრმეთა შინა, რათა შთაბეჭდონ მათ შორის სიყუარული ღვთისა და ჰსწავლა კეთილ ზნეობისა...“ 3 r—157 v.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

I. 1. „სარწმუნოებისათჳს“ [საღმრთო ისტორია] 3 r—65 r.

2. [ფილოსოფია] „წიგნი მეოთხე. შემოკლებით ჰსწავლა სხუათა და სხუათა ჰსწავლათა თჳს უპირველესთა კაცობრივთა მცნობელობათა. თავი პირველი, სოფლისათვის.“ 66 r—78 r.

3. „თავი ისტორიისათჳს“ 78 r—101 v.

4. „თჳს სამეფოსა საქართველოჲსა“ 102 r—116 r.

5. „თავი პირველი. ჰსწავლა ზნეობითი და კანონი პატიოსანისა კაცისა. წინადადებანი კითხვა-მიგებითნი შედგომილება.“ 126 r—157 v.

II. „წინასიტყუაობა.—ვინაჲდგან ჭეშმარიტება ესე მისაღებელ არს ყოველთაგან, რომელ მიზეზი ერთა ბედნიერებისა არს მარადის განათლება გონებისა მათისა და რომელ გავითარება გონებისა შეიყუანებს მათ კეთილდღეობასა შინა და აღიყუანებსცა ერთბამად თხემსა ზედა კეთილსუჳობისასა, ამისთჳს სიყუარულისა და ერთგულებისა გამო მამულისა ჩუჳნისა ვიიძულე ჴელხებად წიგნისა ამის სულთა განმანათლებელისა, ვინაჲდგან მცირედ არიან ესე გუარნი უკუჱ წერილნი ქართულსა ენასა ზედა, არა თუ უგულსმოდგინებისა გამო ერთა მექუჳყნეთა ჩუჳნისათა, არამედ ხშირად ზედა დასხმისა გამო ძველთა დროთა შინა მტერთაგან სარკინოზთა მჴარესა ამას შინა ქართლისასა მრავალნი წერილნი ესე გუარნი დაჰკარგოდნენ. და ვინაჲდგან ძველთა დროთა შინაცა არა იყო სტანბა, რათამცა ჰქონოდათ ესე გუარნი წიგნნი მრავლობით ამის მიზეზისა გამო უკეთუ აქუნდა ვისმე, კრძალავდენ იგინი თავთა თჳსთათჳს და სხუათაგან, მიზეზითა ამით გარდაუწერელიცა შთებოდენ. მე ამისთჳს აქა როსიას მყოფობასა ჩემსა ვიგულისმოდგინე და შევაწყე წიგნი ესე, რათა პირველად ისწაონ ერთა მართმადიდებელთა ჩუჳნთა სარწმუნოებისა აღსარება და ესე დაიდონ გულთა შინა თჳსთა საფუძველად, და მერე ისწაონ სხუანი სამეცნიეროჲნი ჰსწავლანი, ვითა თვით უფალი ბრძანებს «პირველად ეძიებდეთ სასუფეველსა ღვთისასა და ესე ყოველი შეგეძინოთ თქუჳნ». ხოლო უკანასკნელ ვსასოებ, რომელ შრომათა ამათ ჩემთა არა უგულებელს ჰყოფს საზოგადოება და მიიღებენ სასარგებლოდ თჳსა და განღვიძებულ მყოფენცა სხუათა წერილებთაცა დაბეჭვდათ, ვინაჲდგან აქა ვიშრომე სხუათა და სხუათა წერილთა სასარგებლოთა გარდმოღებად; რომელ არიან შემდგომნი ესე ექვსი ტომი: ლექსიკონი რუსული და ქართული, კონდელიაკას ლოღიკა, ანგლიური ზნეთ ჰსწავლება, საღმრთო და საერო თანამდებობის წიგნი, ორი ტომი საზოგადო ისტორია, შემოკლებული დავითნის განმარტება, დოდოს ანგლიელის პასტორის განზრახუა, არიხმეტიკა, ლოღარიზმა, ღეომეტრია, შტერეომეტრია, ლონგიმეტრია, პლანომეტრია, ტრიღონომეტრია, ფორთეფიკაცია, არხიტექტურა, არტელარია, ტაკტა, სამკურნალო წიგნი, ბოდანიკა და ნათურალ ისტორია, ევდუქსია, ენციკლოპეტიური გუარი წიგნი ვიდრე სხვადასხვა ჰსწავლათა ორასამდინ ჰსწავლა და იკონოლოღია, ვიშე ღეომეტრია და სხუანიცა წერილნი. უკეთუ მაძლევდეს შეძლებასა გარემოება, ესენიცა მსურდა დასაბეჭდად და მოოთმად თქუჳნდა. სხვებ დავშთები უგულითადეს სასამსახუროდ თქვენდა, საქართველოს მეფის ძე და კავალერი იოანე გიორგისძე.

ამა წიგნის დაბეჭდასა შინა ილვაწა იერომონახმან იონამ ჴელაძემ და საბეჭდავი ფულიცა შემოიტანა და თვითცა აპირებს თჳსისა ნაშრომისა წიგნისა დაბეჭდვასა, ვინაჲდგან სურს ამასაც მამულის მსახურება.“ 1 r—2 r.

III. თავფურცელი: „წიგნსა ამას ეწოდების (ენციკლობედია)[1] სხუათა და სხუათა ჰსწავლათა შეკრებილებანი, რომელიცა არს შედგენილი მეფის ძის იოანესითა. შე-

[1] ეს სიტყვა დედანში გადახაზულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულება: ამ წიგნსა აკლია თავთა ზედა რიცხვებთა დასხმაჲ და პინაქი, რომელიცა სათანადო არს ქმელყოფად".

IV. ანდერძი:

„დასრულდა მცირე ნაშრომი ესე მეფის ძის იოანეს მიერ სასწავლებლად ყრმებთათჳს, წელსა 1829, თუჱსა თებერვლის 9, სანკპეტრებრუღს შინა." 157 r.

2197

კარაბადინი, XIX

14 ფ.; 19×15,5; ქაღალდი; უყდო; კარაბადინის მცირე ნაწილი; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1821); მხედრული; დაუწერელია 5—14 ფფ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 137.

„მეჭეჭის გაქრობა.—ქუჲ (sic) მოიღე დამბალის დიდგულისა მარცვალი და იმმარცვალს მოუსვემდე მეჭეჭზედ სამდღემდინ ყოველთვისა და უთუოდ გაქრება..." 1—4 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ფეხის თითზედ რომ მაზოლი ებას, პირველად მოიღე ბიმხი, ჩადევ ცეცხლში, გა[ა]ხურე და გამოიღე და წმინდათ დანაყე, დასვრიმე ძალიანის ძრმით დადევ მჩვრით და მალე დაეკარგება..."

2198

კარაბადინი, XIX

13 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; ნაწყვეტი; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 138.

„თჳს სოფლისა § 230.—თითქმის ყოვლისა სნეულებისა, რომლისათვისცა მე აქამომდე გარდამოვეც, წარმოებს აღნთებულებისაგან სისხლისა შეერთებულისა საკუთარისად აღტყინებულისა რომლისამე კერძოჲა ანუ რომლისა მიმართ საწამლავიანისა ჩივთისა, რომლისაგანცა დაცლა ჯერ არს..." 1 r—12 v.

წ ყ დ ე ბ ა: „დაჭრილისა.—ცაცხვი მოიტანე, როგორც ყათრანს გამოხდიან, ისე გამოხადე და იარაზედ მალამოსავით დაადე ხოლმე".

მინაწერი: „Милостивому моему гос[у]дарию Гаврилу Цинамцгваровъ" 15 v.

2199

კარაბადინი, 1830

35 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული, ნაწერია სხვადასხვა ხელით: 1 r—3 v უფრო გვიანდელი ხელით, 5 r—33 v-დე—ადრინდელი ხელით; პირველი ნაწილი; [XIX ს.], ჭვირნიშანი 1830. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „...ლისა წყლისა და მას შინა უნდა შთასუან სნეული იგი სრულიადისა გუამითა, ვიდრე მკრებადმდე, ანუ თუ კისრადმდე შთაფლან წყალსა მას შინა, და ყოვლის მჴრით კარგად დააფარონ და ამყოფონ ეგრეთ, ვიდრე ოც მინუტადმდე...“ 1 r—3 v.

შენიშვნა: აღნიშნულ ნაწილს ერთვის ანდერძი: „დასასრული.—ესე ითარგმნა სომეხთა ენისა ჴმისაგან ქართველთა ენისა ჴმასა ზედა, პროტოიერეჲსა ეგნატი ონისიმე მღუდლის ძისა, ეგნატი იოსელიანისაგან“.

2. „...სისხლი პირზედ შეიცხოს, რაც დედაკაცმა ის კაცი ნახოს, გაუაშიყდეს. კაცისათვის რომ გველს ეკბინოს, ერთი დონგი (!) თაგვის ჴორცი შეჭამ[ო]ს, გამთელდეს...“ 5 r—33 v.

2200

ლოღარიფმათათჳს, XIX

10 ფ.; 22,5×28,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ნაკლული; [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 140.

„თავი 3. ლოღარიფმათათჳს,—ლოღარიფმნი (ბერძულიდგან—ლოღოს სიტყუა, არიფმოს—რიცხვი) ეწოდებიან ჴელოვნებითთა რიცხვთა, რომელთა გამოყოველი განმრავლება შეკრებად და განყოფა გამოკრებად შეიცვლების. იგინი არიან მჩუჱნებელნი რიცხვთა ხარისხთანი...“

წ ყ დ ე ბ ა: „...ესე ვითარნი თვისებანი აქუსთ ლოღარიფმოსთა სხუათა ყოველთა საფუძუჱლთასა...“.

2201

დურბინდის ცნობა, XIX

23 ფ.; 23×19; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი [ბაზლიძე]; ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 141.

„...ოდესცა მრავალნი უკუჱ კაცნი უმზერენ მიკროსკოპითა მასვე საგანსა, ესე იგი ფერხსა ბუზისასა, მაშინ ყოველნი დამტკიცებულ ჰყოფენ, რომელ იგი მათ ეჩვენების ფრიად დიდ. გარნა ჰაზრი მათი ნანდვილ სიდიდისათვის მისისა იქმნების ფრიად განსხუაებულ მით, რამეთუ ერთი მათგანი იტყვის, რომელ ფერხი ეჩვენების მას ესოდენ დიდ, ვითა ცხენისა, მეორე ვითა თხისა, ხოლო მესამე ვითა კაცისა. გარნა თვით საქმითა არცა ერთისა მათგანისა დამტკიცება არა იქმნების ნანდვილ...“

შენიშვნა: უძლვის: „დურბინდის ცნობა გახედულობისათჳს. წიგნაკი ესე არს დურბინდის ცნობა გახედულობისათჳს. რუსულისაგან ქართულად გარდმოღებული. I r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2202

ადამ ფერღიუსონი—ზნეობითი ფილოსოფია, 1826

190 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1826 წელი (3 r); გადმომთარგმნელი: იოანე ბატონიშვილი (2 r); ადგილი: სანკტპეტერბურგი (3 r). ნაწერია იოანე ბატონიშვილის ხელით. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 143.

„საითიკოჲსა ანუ ზნეობითისა ფილოსოფიისა ნაწილი პირველი, ბუნებითი ისტორია. კაცთათვის, თავი პირველი. ისტორია კაცობრიობისა ნათესავისა.— საზოგადოჲსა განკარგულებისათვის. უწყოდეთ, ვითარმედ ზემორე გაჩუჱნენ თქვენ რაოდენნიმე თავნი საზოგადოდ მცნობელობისანი და აწ კვალად შეუდგინებ ქვემორე სწავლასა, თუ რაჲ არს საზოგადო განკარგულებაჲ...“ 11 r—180 r.

შენიშვნა: უძღვის: 1. შესავალი: „შესავალი სხუადასხუა გუართა ზადდადგინებათა ზნეობითისა ფილოსოფი[ი]სათა“. (4 r—10 v).

2. თავფურცელი: „მოძღვრება ზნეობითისა *ფ*ილოსო*ფ*იისა, შეთხზული ადამ *ფ*ერღიუსონისაგან, დოხტურისა ჰსჯულთა მდებელობისა და პრა*ფ*ესორისა ზნეობითისა ჰსწავლისა *ფ*ილოსო*ფ*იისაჲ ჱდინბურღისა უნივერსტისა ანუ სასწავლებელთა. ანღლიურისა ენისაგან გარდმოღებული რუსულსა ენასა ზედა ვასილი სოზონოვისაგან სანკპეტრებურღსა შინა, დაბეჭდილი სტანბასა შინა შნორისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1804-სა.“ 1 r.

ანდერძი I. „მეათცამეტის სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის იოანეს მიერ დავითიან ბაგრატოვანისა რუსთა ენისაგან ნათარგმნი ქართულსა ენასა ზედა. სასარგებლოდ ერთ მემამულეთა ჩვენთათათჳს ვიშრომე, ვინაჲდგან წიგნი ესე ზნეობითისა *ფ*ილოსო*ფ*იისა ყოველგან ევროპიასა შინა არს მიღებულ და უმეტეს ასწავებენ ანღლიისა სასწავლებელთა შინა და ამისთვის თარგმნეს ესე ზნეობითი *ფ*ილოსო*ფ*ია რუსულსა ენასა ზედა, რათა განეხილა მისისა დიდებულებასა სრულიად. რუსეთის ჴელმწიფის ალაქსანდრეს პავლესძეს და ამა წიგნიდგანაც მიეღო სასარგებლო ჰსწავლანი, რომელიცა საკუთრად სახელსა ზედან ამა ჴელმწიფისასა თარგმნილ იქმნა წიგნი ესე, ვინადგან ასწავებს ზნეთ ჰსწავლულებასა, ეგრეთვე ასწავებს ჰსჯულვილებათაცა“. 2 r.

„ბრწყინვალეო ჴელმწიფევ თავადო ერისთავო იოანე ელისბარისძევ.—მესმა სურვილი და გულსა მოდგინება ბრწყინვალებისა თქუჱნისა აზნაურებათა ჴელოვნებისა სწავლათა, და ამან მაიძულა ამა ნაშრომისა ჩემისა მორთმად თქვენდა, ვინაჲდგან გისწავიესთ თქვენ წერილნი *ფ*ილოსო*ფ*ოსურნი და ვინაჲდგან მეცნავნი *ფ*ილოსო*ფ*იისანი უმეტეს სხუათა ყოველთა ზედა ესე გუართა წერილთა უფროს ამოვნებით მიიღებენ, მეცა ამისთვის საკუთრად სახელსა ზედან თქვენსა გარდმოვიღე, რათა გულსმოდგინედ განიხილოთ და აღმოივსოთ ამისგანცა სარგებლობიანნი ჰსწავლანი და ამის ძლით მეც ვიყო თქვენგან დაუვიწყებელ. სხვებ დავშთები ბრწყინვალებისა თქვენის ჭეშმარიტსა პატივისცემასა და სამსახურსა. საქართველოს მეფის ძე იოანეთვესა,—წელსა 1826, სანკპეტრებურღით.“ 3 r.

დართული აქვს: „ზანდუკი წინამდებარე, წიგნისა ამის“ 180 r—187 r.

ანდერძი II. „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა, ამინ. წელსა 1817 განჴორციელებიდამ ქრისტესა, თუჱსა სეკდენბერსა 17, სანკპეტრებურღსა შინა. ჩემ მიერ შრომილი. მეფის ძე იოანე.“ 187 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2203

გზა კეთილმოქმედებისათვის (სწავლანი), 1809

52 ფ.; 21,5×16,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; შემდგენელი და გადამწერი: ივანე ბაზლიძე (21 v); ადგილი: სანკტპეტერბურხი (2 r); 1809 წ. (2 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 145.

„გზა კეთილმოქმედებისა და სიბრძნისმოყვარებისა სხვათა და სხვათა სწავლათა. იმრთმელეთ და პურად ილეთ, ძეო დავითისაო. წიგნი ა. მოხსენება ა.—შეიყვარეთ სწავლა, რათა არა იქმნეთ უმეცნავ. სწავლანი არიან შვენიერებანი კაცისანი, ხოლო მცონარება არს გესლი გულისხმისყოფისა...“ 4 r—52 r.

შენიშვნა: უძლვის 1) „გზა კეთილმოქმედებისა და სიბრძნისმოყვარებისა სხვათა და სხვათა სწავლათა, შეწირული მათის უგანათლებულესობის მეათცამეტის მეფის ძის ძისა გრიგოლის მიმართ მონისა მათისა ღუბერნსკის სეკრეტრისა ი[ვანე] ბ[აზლიძის] მიერ, შეთხზული სანკტპეტერბურხსა შინა წელსა ჩყთ-სა იანვრის რიცხვსა“. 2 r.

2. „თქვენო უგანათლებულესობავ! ვინაჲდგან მსახურებს აღრჩევაჲ მათი, რომელთაცა განმჭვრეტელობითი მრთელი და გამოცდილი გულისხმისყოფაჲ გუცემს ჩუჱნ უჭეშმარიტესსა სასყიდელსა მათ ყოველთასა, არს თვითცა უსაამურესი ჯილდოჲ შრომათანი. გარნა უკეთუმცა წარმოებაჲ ესე ჩემთა სუსტთა შემწეობათანი ვერ შემძლებელ არს მიწთომად ესდენ ბედნიერისა საგანისა, მაშინ, თქვენო უგანა[თლებულესობავ], უკანასკნელისამებრ უკუჱ ზომისა ეცთ ნებაჲ მას გებად პატივითა და დღესასწაულობითითა მხსოვნელობითა ულრმესითა ჩემითა გვამისადმი თქუჱნისა პატივისცემითა და უცვალებელითარე ქვეშემვრდომელობითა.

უმოწყალეო ჴელწიფევ, უგანათლებულესობისა თქვენი'სა უმორჩილესი მოსამსახურე ი[ვანე] ბ[აზლიძე].

3. „იმსხვერპლედ ესე ნაცულად სიბრძნისა,
თქვენდ შეწირული თქვენის მონისა,
სიცოცხლით ჩემით თქვენთვის გებული,
ვარ მარად მსხვერპლად განმზადებული.“ 3 v.

4. „უგანათლებულესო მეფის ძეო, უმოწყალესო ჴელმწიფეო.—უწყებულ არს ყოვლისა სოფლისადმი, თუ რაოდენ საჭირო არს და საზოგადოებისათვის სახმარ გამოზრდილებაჲ დაფუძნებული კეთილგონიერებითა კანონთა ზედა. ძველადვე დიდნი უკუჱ კაცნი განღვიძებულნი კაცთმოყუარებითა საზოგადოობისადმი მეცადინეობდენ დაფუძნებად მისა უმაღლესსა ხარისხსა ზედა შემრაცხუჱლნი გამოზრდილებისა უსაჭიროეს საქმედ სამოქალაქოჲსად. ხოლო ჩუჱნსა კურთხეულსა დროსა შინა ვხედავთ უუმზგავსოსა მაგალითსა მისსა მღვთივ ბრძნისა ალექსანდრე პირველისა მამულისასა ჩუჱნისა და საკუთრისა მამისა ჩუჱნისა, მისმან კეთილმოქმედმან მარჯუჱნამან აღჭურვილ ჰყო ურიცხუნი კეთილმოქმედნი უკუჱ სახლნი, რომელთაგანაცა ღირს ქებისად სათნოიჩინა მისაღებელ ქმნად, თქვვნო უგანათლებულესობავ. მცნობელი კაცობრივობისადმი კაცთმოყვარებისა თქუჱნისა ამის გამო ვიალეოსები (?), რომელ ნუ უგულებელს მყოფთ მოსაღებელითა ამის უმჯობესისა განრთულებისათა სასარგებლოდ მცირწლოვანთა მზრდელთათვის გამოცემულისა რო[მე]ლსაცა მოვართმევ და განვანათლებ უგანათლებულესობასა თქუჱნსა ნიშნად ულრმესისა ჩემისა ქუშევრდომობისათვის, რომლითაცა მაქუს პატივი წოდებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქუმნისა უგანათლებულესობისა უმოწყალესისა ჴელმწიფისა ჩემისა ყოვლად უმორჩილესი მოსამსახურე ივანე ბაზლიდზე". 21 v.

ერთვის: „ზოდიაქთათჳს". 51 r—52 r.

2204

გეომეტრია, XVIII

107 ფ.; 21×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; [XVIII ს.]; დართული აქვს გეომეტრიული ნახაზების ტაბულა. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 146.

„ქ. თ[ა]ვი პირველი. ქ. ღეომეტრია მიწის ზომა ა<გ დ<ე ქ. მოცემულის კუთხის ან. ბ. გ. ზომით მეორის კუთხის გაკეთება, რომ სწორ ტოლი იყოს, აიღე ფარგლით ზომა..." 2 v—104 r.

შენიშვნა: დართული აქვს ლოცვები 105 r—107 v.

მინაწერი: 1. „ქ. საქართველოს მეფის ძის იოანესი არის ესე მხაზველობისა [ღეომეტრია]". 3 r.

2. „ქ. ძმა მიყვარს ბრძენი გულითა მტერს რათა სარას რინთა
ელიზბარ წული ლაზითა ვინ სიტყვად ადენს ერიონთა,
მემცა ნუ დაგავიწყდები სრით მაღლობ პალატინთა,
და ძმამცა გსურვარ ჭაბუკო მოყვასსა ისპაინთა." (მარჯვენა ყდის r-ზე)

2205

გიორგი ბაგრატიონი—ხუბმარდიანი, 1804

108 ფ.; 23×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ტვიფრული; მხედრული, სათაურები სინგურით; 1804 (1 v). შიგადაშიგ ნაწერია სხვა ხელით, სხვადასხვა ზომის ქაღალდზე. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 150.

„კარი პირველი. სამთა მეფის ძეთა ისტორია, რომელ არს ხუბმარდიანი, გიორგის მიერ ქმნული.—

ვიწყოთ წერანი ასეთნი გულისა მოსალბონია,
თითოეულად მოთქმანი მსმენელთა დასაღონია,
ვისაც აქვ დიდი სიმდიდრე, სოფელი აღარ ქონია,
და თუ არ დავსწეროთ ნასმენი ჩემგან არ დასათმონია..."
3 r—108 v.

შენიშვნა. 1. უძღვის: „... სახელითა წმინდისა სამებისათა დამფარველობითავე მისითავე მისითა სცა მანვე იდიასა ჩემსა ესე ვითარი საერო მოთხრობანი და ვიდიდებ მოწყალებასა მისსა აწ და უკუნითი [უკუნისამდე, ამინ].—დროსა უმაღლესისა და უკეთილმსახურესისა სრულიად საიმერეთოსა და სხვათა მეფისა მეორე სოლომონის არჩილის ძისათა, რომელ აღმობრწყინდა ახალ მორჩად დავითის ყვავილად, და პირველ ზემორე თქმულთა დიდ-დიდთა მეფეთა თანა აღრაცხილ იწოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესთარე ბედნიერობასა მიემთხვია და მეუღლედ ჰყო დიდგვართა ტომი, დიდებული, დადიანის ასული დედოფალთ-დედოფალი მარიამ.

ჟამსა ამას დაიწყეს თემთა ტრფობად ხელოვნებად სიბრძნისად, ვინათგან შამურნა ჩუჱნსა ქვეყანასა სხვისაგან ქვეყანისა სწავლაჲ, და მიიღეს ნიში სწავლისა და სურვიელ იქმნენ სწავლათათვის. ხოლო გამოთქმისა ესე ვითართა საეროთა წიგნთასა არა რომელიმე ნებობდა, უმეცართა არა ძალედვათ და მეცნიერნი არა იკადრებდენ ესე ვითართა შემართვად. გარნა მე რადგანაც მეგულისშინავებოდა და სურვიელ ვიყავ ესგვართა საეროთა მდაბიურთა ლექს-მკობილებათა ჟამად და უმყოვარეს ადრე მაჲძულებდა გონებასა ჩემსა, და რადგანაც რუსთაველის ლექსსა მას მანგიკონსა ვხედვიდი, მაშინ უმეტესად ამპარტავანებისა ფიქრი გონებასა ჩემსა ეგზებოდა, ვითარცა წერილი წარმოიტყვის, ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვიან, და ზემო თქმულისა რუსთაველისა ლექსსა რომ ვხედ განვიხილებდი, მანვე თამამ მყო; „არ იხმარებ, რა ხელსა ყრი საუნჯესა დაფარულსა!“ ხოლო საუნჯე ესე არ იყო რიტორებისა, არცა მეცნიერებისა, არამედ რომელსაცა ესადგურეობოდა, ისივე გამოაჩინა მდაბიური ეს საეროდ თქმული. ამისმა მქონებელმან მისის უმაღლესობის მამის (?) ბიძის ძის წულმან, ძის ძემან პირველისა მეფისა სოლომონისამან ალექსოვიმ გიორგიმ ვიგულისმოდგინე და ფიქრითა ჩემითა ესე წიგნი აღვწერე. არცამე[...]ილი ამისი მიხილავს, მაგრა მცირე ამბათ გამიგონია და მე იმ აზრზე განვავრცელე. და რადგანაც ვხედვიდი სხვასა და სხვასა გარეშესა წიგნსა, ვიცოდი, არცა სრულიად იგი ქმნულ იყო და არცა სმენილ, გარნა უცხოთა მდივანთა გაეკეთებიათ გონებითა გარეშენი იგი წიგნნი. ამისთვის მეცა ფიქრეულმან აღვწერე ესე მიზეზისათვის, რომ სოფლის სიმუხთლეს წარმოაჩენს და მეგობრობისა პირსა შემოიყვანს და ამო სადმე არს და პირველ ხილვასა შინა ამისსა მცირედ შეგაქცევსთ. და ესე რომე ალაგ ლექსნი და თითო ასონი სხვათა ენითა წარმოგიჩნდებათ და სახელნი ქალთა და კაცთანი სპარსულად და თათრულად და რომელნიმე ანაქვსწყობილნი ლექსნი მიფარულად და ამბათცა თქმული არს მცირედ მაგალითნი, და სამეგობროდ წარმოიჩინება და ნუგეშს აძლევს სოფლისა მოქალაქეთა. შემდგომად ამის გემოქენები ამისა განმხილველთა, რომე ორი ჩემი ვედრი დაიმარხოთ: პირველ—რომ საარშიყოდ და სამეძაოდ არ დადვათ, არა უწყის ღ̃თით მთავრობამან სიყვარულმან მე ეს სააშიკოდ არ მეთქვას, მაგრა საერო ზღაპართ ქებას ესე ვითარი შვენის. მეორე—ეს არ იფიქროთ, თუ ესე გვარი საქმე ამას წაკიდებიაო, არა. არც ამისთვის მითქვამს, მაგრამ აზრი აზრს შეესაბამება. და ისე მოხდება, და სამეგობროთ ვთქვი, რომ ასე დაემართება სოფლის მოქალაქესა და მიჯნურსა, და ესე ვითარსა ალაგსა მიაგდებს ესე საწუთო კაცთა, და ესე გვარ ხამს მეგობრობა, ვითა ესა წიგნი აღმოგიჩენსთ. და ნუ დამგმობთ და უგვანსა ამას ლექსსა ნუ სამასხრო ყოფთ. ვინა ამას გარდაცა მითქვამს ანბანთქებანი ათ-ხუთნეტნი, იამბიკონი შვიდნი, და წყობილ ჩახრიხაულნი, და ტაეპნი მრავალნი, და მუხამბაზიცა მრავალ, შესხმაჲცა ვისიმე კიდე. ხოლო ესე ქვემო თქმულნი აქა-იქ მდებარეობს წარმოუჩინებლად. და ერთიცა მოწამისა აღმიწერია აღსავალი თვითო ოხითა იბაკო, წარდგომა, საგალობელი და სვინაქსარი გამოკრებით, რომელიც მე მესაჭიროება სამარადისოდ. ქრისტეს აქეთ ჩყგ [წელსა], თვესა ივნისს თ.

ვძრწი, ღმერთო, ვა თუ გეწყინოს ამგვარად თქმული ესენი,
ამასცა იტყვის, მაგრამა, მიწყივ გადიდებს ესენი;
ვიზღაპრე ქება სოფლისა, ვერა შევმართე ზესენი.
და გვედრებ, ჰე, ღმერთო, არა მყო ჯოჯოხეთშიდა მკვნესენი.

სოჶელსა ამა მუხთალსა ვძაგ ასე მარად გულითა,
ნურვისა გინდათ საწუთო, სცნათ ესე ჩემგან ზმულითა,
პირველ მზეს მოგფენსთ, მერე ბნელს, გულსა დაგისლბობს წყლულითა
და ხორცსაცა განლევს, დააზლობს და მერმე გავნებს სულითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლი მიმდობი სოფლისა გავს ყმაწვილს დია ხელებსა,
მიყვება ყვავილს, მოცაკრებს და დაიჭირავს ხელებსა,
იყნოსს და უბეთ ჩაიდებს, მერ ნახავს განამჭკნელებსა,
და იძაგებს, შორად გააგდებს მას პირველ ნასუნელებსა.

ამას გავს ესე სოფელი, ყოველნო, ასე იცანი,
გვაცინებს, ბოლოს გვატირებს, მე ესე გვარად ვიცანი,
მაშა, ვის გახსოვს სოფლისგან ბოლოდმდე ამოდ მტკიცანი?
და ვინც მიყვა წუთსა სოფელსა, მერ თავთა ხელი იცანი.

მშვილდი ბედითი სოფელი გტყორცებს, გაგაგდებს ისრულად,
ნეტარ ხარ, ვისცა მიგიწოდს სასუფეველი ის სრულად,
ვაი არს მისთვის, რომელი მივალს გენიას მისრულად.
და რომელიც გინდათ, იშოვით, მე მართალს ვამბობ. ვზმი სრულად.

ვიცი, მე დამგმობთ ამისთვის, რათგან სოფელს ძაგ, რად წერო,
მიჯნურობა არს სოფლისა ეს ამისთანა საერო,
თავსა ვიმართლებ ამისთვის, მწადდა თუ სოფელს წამერო,
და მაგალითათ ვთქვი სოფლისთვის ენითა პაწაწა მე რო.

ცას მოწმენდილს ვერვინ პოვებს, თუ არ ეკრას მას ღრუბელი,
მაშა, სოფლის უშფოთებას ნურა ვინმე ნუცა ელი!
სარკე ვნახოთ, დაგვიწყდება პირი ჩვენი ნახილველი,
და ვარდი დაჭნეს, ია დაზრეს, პირველ ტურფა სახილველი.

ხმარება სიტყვის სახმრისა ფილასოფიათ მენება,
ლაკონიკულად ძალლებად კავშირთ არ უნდა ქენება,
პროკლე დადოხოს ვიმოწმო სიტყვითა აღმოცენება,
და რვათ შევაწებოთ სტიხ-მარცვალთ ნაწილთ სახმრისა ენება.

მან მცეს ესე იდეაჲ, განმისრულოს ყოვლის სახით,
მიდმოვსრბოდე მარჯვენითთა, არა ვიქნე ყოფა მწახით,
მოვედიო, ხმაი[1] მესმას, სავანე, ჰე, მამის ნახით,
და შემიტკბოს და ბაკს მიმზიდოს მოწყალების მუფარახით.

მე გიორგი ამა ლექსთა შეუდგინებ ქვემო თქმულსა,
არვისაგან არ ნაპატიჟს, მაგრა ჩემით რა გლახ ზმულსა,
სმენაცა აქვს, გონებაცა, ვინც შემართავს ამებრულსა.
და ჩემიც სცანით, ან ნაწმასნი ვით დავაბჭო სოფელს კრულსა". 1 r—2 v.

2. ერთვის **ანდერძი ლექსად.**—

„დაესრულა ესე წიგნი დაწერილ არს აწ წელითა
ქრისტეს აქეთ ათას-რვაას-ოთხ წელიწადს გასულითა,
ივლისისა ათხუთმეტსა, დღეს ოთხშაბათს სისრულითა,
და შემინდევით, მეცნიერნო, ესე გვარი სიბრძნულითა.

ბაგრატიონი გიორგი შენდობას ვითხოვ, არ წყევას,
გემოქენები ყოველთა მცირეს ნაწილის ხმარებას,
რეულნი ესე ლექსები არ მისცეთ ნიავქარებას,
და უმეცარმა ვთქვი ეს გვარი არ ბრძენთა შესადარებას.

---

[1] დედანში—ხმაჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გევედრები სულ მხილველთა, არა დამგმოთ ამისთვის მე,
ცუდად ვიყავ, ჭირრვეული მისთვის ვწერე ესე მცირ მე,
მცირე მცირე იქ-აქ ლექსნი, დია გძელნი ვერ გავჭიმე,
და რუსთაველი ვიცი დამგმობს, რადგან უგვანს ლექსსა ვზმი მე.

მაგრამ არ მქონდა მე თავი სრულიად მოფიქრებისა,
ყრიალში ვწერდი, ხრიალში, მსმენელი უმეცრებისა,
დრო არა მქონდა ხალვათი, არც სამწერლოსა რებისა,
და სხვადასხვა გვარში ყიყინში კარგად ვერ შეიკრებისა.

ვითხოვ ლექსითაცა და ამ გვარ წარწერითაც, რომე არა დამგმოთ, მხილველნო, ამისთვის, რომ პირველად მოცალეობა არ მქონდა...“ 188 v.

2206

მარკოს ავრელიუსი—საყოფაქცეო ჰსჯა, 1796

96 ფ.; 21×17; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1795 წ. (92 r); გადამწერი: ეგნატი იოსელიანი; დამკვეთი: დავით ბატონიშვილი; ადგილი: ყარახაჩის (აბოცის) მთა (92 r); დაუწერელია 92 v—96 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 155.

„საყოფაქცეოჲ ჰსჯა, მარკოს ავრელიასი, ჰრომის კეისრისა. წიგნი ა.— 1. პაპისა ჩემისა ვერუსისაგან ვისწავე სიმდაბლე და უშურველობა. 2. დიდებამან და ჴსოვნამან მამისა ჩემისამან მასწავა მე, რათა ვიყო მორცხჳ და სრულისა ჰასაკისა კაცი...“ 3 r—92 r.

შენიშვნა: ერთვის „წინასიტყუაობაჲ.—განათლებულთა შორის გუამთა უბრწყინუალესო და უბრწყინუალესთა შორის წევრთა უგანათლებულესო მეფისა ძისა ძეო დავით, უმოწყალესო ჴელმწიფეო.

წარმოდგინებასა თანა განათლებულისა გუამისასა წარმომიდგების იდეასა შინა ჩემსა სიტყუანი მოციქულისა პავლესნი, იტყჳს, რათა: ვითარმედ კაცად კაცადი თქუჱნი რასა ზედაცა იჩინნენ, მას ზედაცა ეგნენ. არა რაჲ არს ჩინება კაცად-კაცადისა და დადგრომა მას ზედა, გარნა ყოვლისა მყოფისა შინაგანსა შინა ძალსა მიმდევრება, რომელსა ჶილოსოჶოსნი გარეშენი ბუნებად სახელ ჰსდებენ, რომლისა გამო არა საქმეთა სარწმუნოვებიანთა თანა შეუყენებს სიტყუასა პავლესსა აკადემიელი, დალათუ არამედ შეწყობითა სიტყუათათა ყოვლითურთ მოეზავების საზღუარი ბუნებისა-სიტყუასა მას მოციქულისასა, ვითარმედ ბუნება არს დასაბამი ძრვისა და დამყუდროვებისა.

ხოლო თქუჱნ უვრცელესსა შინა ბუნებასა თქუჱნდა რაჲ არსობითისა შესმენისასა უიწროვესისა ბუნებისა საზღურითა წარწერასა შინა (ესე იგი მშობლობითსა შინა ნათესავსა) განსაზღურებითა დასაბამ ჰყოფ უპირუჱლესთა შენთა წინაპართა მიბაძვითა სხუათა მრავალთა შორის ვიტყვი ვახტანგს, დავითს—ზედ წოდებით აღმაშენებელსა, თეიმურაზს და სხუათა.

ერთსა სიმჴნე შემართვით ვითა ვახტანგს, რომელმანცა მრავალ გზის ძლეულ ჰყო მეფეჲ სპარსეთისა; მეორესა განზრახვით, ვითა მოსახელესა შენსა დავითს, რომელმანცა განჰსდევნნა სჶერაჲსაგან საქართუჱლოჲსა ულუსნი ჩინგიზთანი საკჳრუჱლებით; მესამესა სიმართლ-სიწრფელით, ვითა პაპისა შენისა მამასა მეფესა თეიმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზ მეორესა, რომელიცა დადებულ არს მაგალითად და სახედ სიმართლისა ყოველგან, სადაცა განსმენილებს ჴმა მისი.

და ხოლო სამნივე ესე ძალნი, ესე იგი, სიმჴნე, განზრახუა და სიმართლე არიან შვიდთაგან ნიჭთა სულისა წმიდისათა წარმოებულნი, რომელთაცა მქონებელთა გუამთა აწარმოვეს დასაბამ ყოფით გუამი შენებრი, რომელთაგანცა იმოძრავე წარმოდგომად სიცოცხლესა შინა შენსა. შენ, სამიზეზოჲსა მათ მიბაძვითა ხატ-სახე-მყოფობითა სიმხნესა ვიტყვი თქუჱნისა განათლებულებისასა მუნ, სადაცა დაგვიმტკიცებს შენგან ქმნილი საქმეჲ კარსს წოდებულსა ქალაქსა დიდისა სულთანისასა, რომელიცა ყოველგან ითქმის დაკუჱთებული თჳთ მარჯუჱნითა თქუჱნითა. ხოლო განზრახუასამებრ მოსახელისა შენისა დავითისსა და აღშენებით წარმატებით მზრუნუჱლობასა ქუჱყანისა შენისასა, რომელმანცა მოიხუჱნ სახლნი ტყუჱდ ეგოდენნი სოფელ დაბათაგან ხუანთქრისა (სულთანისათა), რომლისასაცა არა თუ პირისპირ ბრძოლასა, არამედ მოგონებასაცა და გამოხატუასა ბრძოლისასა მისდამი კოროლნი და იმპერატორნი კნინლა დიადად არა მცირედითა მზადებითა თავს იდებენ, რომელიცა ესე თქუჱნ უშიშითა გულითა ჰქმნენ. და სიმართლესამებრ მახლობელისა პაპისა შენისათა, რომელიცა თჳთ ცხადათ იმყოფვი ბუნებით და პირთა შინა კაცთასა მართლიად და წრფელად იქადაგები, რომელსაცა დაამტკიცებს თქუჱნი ეგე წერილის მოყუარებაჲ თქმისამებრ ღ̃თის მეტყუჱლისა, ვითარმედ წერილთა გულისჴმისყოფასა გული წრფელი უჴმს და არა სიმრავლე სიტყუათაჲ. და არა თუმცა მართლისა მამისა ძეჲ წრფელ იყავ, არამცა გულისჴმაჰყავ ჶილოსოჶიაჲ ახალი ანუ ძველი, და ანუ ზესთა ბუნებითი იგი მეტაჶიზიკობაჲ. და არცამცა იქონებდი ძველთა ძველებრთა და უძველესთა სარგებელთა და უსარგებლესთა ისტორიათა, რომელიც ისმის ვივლიოტიკათა შინა თქუჱნთა ქონებად; ხოლო საზღურისა უკანასკნელისა ლექსისა ესე იგი დამყუდროვებისაგან ჩვენებული საქმეჲ არს, რომელიცა დაუტევე ქუჱყანასა თქვენგან ქმნილი ანუ ღრამატიკაჲ, ანუ კატიღორიითი შესმენილებაჲ, ანუ ხუთი იგი ჴმაჲ ჶინიკელსა ჰაზრსა ზედა და ანუ შემოკლებული მსოფლიო ისტორიაჲ, რომელთა ამათ გამო შენ შორის მყოფი საზღუარი, ანუ ვჰსთქუათ წარწერაჲ, დამტკიცდების თქვენ მეფეთ ტომისა და სამეფოჲსა გუამისადმი, ვითარმედ ბუნება არს დასაბამი ძრვისა და მყუდროვებისა, რომლისა გამო სამთა სახეთა კაცთა შორის, ესე იგი, ვითარმედ კაცისა, და კაცისა კაცთა შორის პირუტყვისა, და კაცისა კაცთა შორის კაცისა, და კაცისა კაცთა შორის ღ̃ისა, შენებრ კაცისა კაცთა შორის ღთისათვის, კაცთა და მეფეთა შორის ღმერთმან. მარკა ავრელემან ჰქმნა რა წიგნი ათ-ორ-ნაწილედნი იგი ჴელ ვჰყავ გარდმოღებად მიზეზითა წერილთ-მოყუარებისა თქვენისათა ენისაგან როსიულისა ჴმასა ზედა სამეფოსა თქუჱნისასა, რომელიცა ესე ჯუარი არს კაცად კაცადისა, რომლითაცა შევუდეგ მეფის ძეობასა თქვენსა და მოვართვი განათლებულთა შორის ბრწყინვალებასა და უბრწყინუალესთა შორის განათლებულებასა თქვენსა ნიშნად უსაკუთრესობისა თქვენისა, რომლისა გამო გთხოვთ, რათა ბრძანოთ მწერალთა და აღმომკითხუჱლთა წიგნისა ამის თქვენ ძლით და თქვენთა მიზეზთა გამო თარგმნილისათა შთაწერად და აღმოკითხუად სახელი თქუჱნისა უგანათლებულესობისა საუკუნესა შინა ჟამობითსა აღუჴოცელობად.

თქუჱნის უგანათლებულესობისა უმოწყალესისა ჴელმწიფისა უერთგულესი მორჩილი და უგულისმოდგინესი მლოცველი მდაბალი არხიერი გაიოს.“ 1 r—2 v.

ანდერძი: „დასასრული წიგნისა ამის 1795. 7. 22, დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთასა, ამინ.

გარდმოვსწერე წიგნი ესე ყარახაჩის (აბოცის) მთასა შინა ყოფასა მეფის ძის დავითის თანა პროთოდიაკონმან ეგნატი ონისიმე მღუდლის ძემან იოსელიანმან, ქ̃კსა უპგ.“ 92 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2207

«მმეთქუჱობაჲ მგუაჯიობელაჲსა ენნონაჲსაჲ», 1808

8 ფ.; 20 × 16; ქაღალდი; დაშლილი; უყდო; მთარგმნელი—გადამწერი: დავით ავალოვი (5 v); 1808 წელს (5 v); ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 156.

„მმეთქუჱობაჲ მგუაჯიობელაჲსა ენნონაჲსაჲ.—იძულუჱბულ ვარ მე თქუმად შენდა უსაყუარელესო პარიზ!—ტრფიალებაჲსა მის გამო, რომელიცა ჰქენჯუნის სულსა ჩემსა ცეცხლსა მსალმოებელსა შემდგომად ცრემლთა შინა გამდინარისა გულისა და შემდგომად თუალთა ძლით წარმოცენებათა მათთა, უნებს კუალად განტყუჱბად ბაგეთაცა გამო ორთქლისა თჳსისა უმეტესისა სიმსწრაფლეჲთა...“ 1 r—6 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ალმსაარებელთა ჩემისა შენდამი მხილუჱბულისა სინაზეჲსა ძლით შევამეცნონ შენ პირუთნებელად გზნებაჲცა გრძნობათა და გულისა ჩემისაჲ და მით ალახუნანცა ბაგენი შენნი სიტყუაჲპა გებად ჩემდა, რომელისაცა ხუჱდრი შეცვულ არს არასა და როსა შინა მისსა იყო იგი განკარგული...“

შენიშვნა: ჩართულია: „**ჩყჱ წე**[ლსა] თუჱსა იულისსა ა. თარგმნილი სტატსოუჱ[ტნიკი] თავადისა გიორგი ავალოვის მიერ. შეწირვულ იქმნა მათის უგანათლებულესობის საქართუჱლოს მეფის გიორგის ძეჲსა იოუანეჲსადმი.“ (5 v).

2208

როლენნი—ძველი ისტორია, 1783

73 ფ.; 22×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა: 1783 წ. (3 r); მთარგმნელი: გაიოს არხიმანდრიტი (3 r); ადგილი: თელავი: (იქვე); დაუწერელია: 1 r—2 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 157.

„ისტორია წარმართთა ვერ შემძლებელ იქმნებოდა ღირსყოფად ამისა, რათამცა აქუნდა ვისმე მისდამი გულს მოდგინებაჲ და ჴმარებულ ექმნა სწავლისათვის მისისა მრავალი დროჲ. უკეთუ მოსცემდესმცა იგი უსარგებლოსა ოდენ ცნობასა ძუჱლთა საქმეთასა და წინა დასდებდეს ბნელთა ძნელთა ძიებათა რიცხუთა და წელთასა, თუ რომელთა შინა რა შემთხუჱულ იქმნა...“ 3 r—72 r.

შენიშვნა: უძღვის: „ძუჱლი ისტორია ეგვიპტელთა, კართაგენელთა, ასსირიელთა ბაბილონელთა, მიდელთა, სპარსთა, მაკედონელთა, ბერძენთა.—ქმნილი უფლისა როლენნასი, რომელიცა იყო რეკტორი პარიჟისა უნივერსიტეტისა და პრეფესორი მჭევრმეთქუჱობისა და სხუათა. ხოლო გარდამოთარგმნილ არს *ფ*რანცუსულით რუსულსა ზედა ვასილი ტრედიასოვისაგან, რომელიცა არს პრე*ფ*ესორი მჭევრმეთქუჱობისა და წევრი სანკტპეტრებურსკის სასწავლოსა აკადემიისა. ხოლო ქართულსა ზედა დაწყებულ არს თარგმნად არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რეკტორის გაიოსის მიერ წელსა 1783, იანუარს 11.“ 3 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2209

ღილიმარა კურასი—შემოკლებული საყოველთაო მოთხრობა, 1773

125 ფ.; 21 X 17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა ტვიფრული; მხედრული, სათაურები სინგურით: გადამწერი დავით რექტორი (100 v); მთარგმნელი: ალექსანდრე ამილახვარი (100 r); 1773 წ. (100 r); დაუწერელია: 1 r—5 v, 102 v—125 v- დე. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 159.

„ღილიმარა კურასი, შემოკლებულად საყოველთაო მოთხრობა, რომელსა უპყრიეს ყოველი ღირსად საჴსოვარი ქვეყანასა შინა დროთა შექმნითგან ქვეყანისა ვიდრე აქამომდე მრავლითა გამოძიებითა, ახლად თარგმნილი შეერთებითა მოკლითა რუსეთისა ამბავთათა, კითხჳთ და მიგებით სარგოდ ყრმათა. მეორითა ბეჭდითა დაბეჭდილი თჳთ პეტრებურხსა შინა, საჴელმწიფოსა შინა აკადემიისასა სასწავლოსა, წელსა 1762. შემოყუანება ისტორიისა, რომელ არს ამბავი, გინა მოთხრობა·—რასა გვაუწყებს ჩვენ მოთხრობა ესე? გამოგჳცხადებს ჩვენ ესე სახესა ქვეშე, რაჲცა ქვეყანისა ღირს არს საჴსოვრად ჩვენდამდე წარსრულისა...“ 6 r—99 r.

შენიშვნა.: ა. დართულია: „დასრულდა წიგნი ესე შეწევნითა ღუთისათა, თარგმნილი რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა ალექსანდრეს მიერ ამილახვაროვისა, ძისა დიმიტრისა. და ითხოვს მკითხუჱლთაგან მოტევებასა შეცთომილთასა, ამისთჳს რამეთუ ოდეს რა მოიწია ჩრდილოეთს სახელმწიფოსა რუსეთსა, ვითარებისაგან ჟამთასა, წელსა 1772, თთუჱსა იანუარს 1; და არა იწყებდა წერასა, არცა კითხუასა რუსულთასა, მცირესათვის დაყოფისა მუნ ჟამთასა. გარნა რჩევითა ვიეთთამე მოყუასთასა იწყო სწავლად წიგნთა რუსულთასა და თანა შეუდგა მას თარგმნაცა. რამეთუ ჯერეთ არცაღა ძალედუა ლაპარაკად რუსულთა და არცა ჰყვა მასწავლებელი თჳნიერ მცირესა ჟამისა ძე ყარაბუდახისა თავადი იოანე, იგი აუწყებდა რავდენ ჟამ და რაოდენი ძალ-ედვა, გარნა რომელმან მოსცა ცნობა ბოროტისა და კეთილისა იგივე თანაშემწე იყო მას დაწყებასაცა და შესრულებასა. და ექმნებისცა უკუნისამდე. ხოლო დაწყება ორთავე კითხჳსა და თარგმნისა თვესა ოკდომბერსა **იე** და დასრულება იუნისს **თ**, წელსა 1773. ვინცა მიიღოთ ჴელად, ბრძანებდეთ მისთჳს მიტევებასა, რათა მოგიტევნეს ღმერთმან თქვენცა შეცოდებანი თქუჱნნი.“ 100 r.

ბ. **გადამწერის ანდერძი:** „ღილიმარა კურასი ანუ შემოკლებულად და საყოველთაოდ მოთხრობა, რომელსა უპყრიეს ყოველი ღირსად სახსოვარი ქვეყანასა შინა დროთა შექმნითგან ქვეყანისა ვიდრე აქამომდე ჟამისა მრავლითა გამოძიებითა ახლად თარგმნილი, რომელი ესე აღუსწერე ალექსის ძემან და თელავის ქალაქს სემინარიის რ[ე]ქტორმან დავით, დროსა თელავს ქალაქსა ყოფისა ჩემისასა სემინარიასავე შინა, ოდეს მოწაფეთა ჩემთა ღრამმატიკასა ვასწავებდი ბრძანებითა მისის უმაღლესობის სრულიად ზემოჲსა საქართუჱლოს მპყრობელის მეფის ირაკლის მეორისათა, ძისა ნეტარჰჴსენებულის საქართუჱლოს მპყრობელის ცხებულის მეფის თეიმურასისათა.

წიგნი უკუჱ ესე მოკლედ გამოჩინება დასაბამითგან სოფლისა ვიდრე აქამომდე სარგებლად აღმიჩნდა, ოდესმე კაცთათჳსცა მეცნიერთა საკმარ არს, ამად არა ვჭრიდე შრომასა და გარდავნუსხე.

ამისთვჳს მოქენე ყოველთა ამის უკუჱ წიგნისა მხილველთადმი ვითხოვ, რათა ლოცუა ჰყოთ ჩემდა და მოტევებად უმეცრებისა ჩემ მიერ ამას შეცთომილთა წერილთა წერილთათვის, უკეთუ გარდამნუსხველსა შეცთომა რაჲმე მომსლოდეს, თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჲმე იხილოთ. მაგრა რაც ოდენ დედასა შინა იყო, იგი აღვნუსხე, მე არცა მო-მიმატებიეს და არცა დამიკლიეს. ხოლო მეუფესა მას საუკუნეთთასა უხრწნელსა უხი-ლავსა მხოლოსა ბრძენსა ღთით პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

(„თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი ალექსის ძე დავით“. ასოგრეხილით) 100 v.

გ: **მინაწერი**: 1. „ამ წიგნის ვიწყეთ გადაწერა დეკებრის **ივ**-სა **ჩყთ**-ს წელს.“ თავფურცელის r.

2. „საქართველოს მეფის ძის იოანესი არის წიგნი ესე ღილი მალა კურასი, მოთ-ხრობა საყოველთაო შემოკლებულად“ (იოანეს ხელით). 6 r.

3. „ქ. წელსა **ჩლბთ**, დღესა სამშაბათსა, მოგვივიდა ქარელში ომი. ლეკთა ჯარი იყო დიდი და ჩვენ მცირენი და შეწევნითა ღ˜თისათა ვსძლეთ სამჯერ. და ესე იყო ივლისის **თ**. და ესე იყო პირველი ჩემი დასწრება.

ქ. ამავე წელსა ოკდონბრის **ივ**, დღესა სამშაბათსა, დავჰკარით ყარსსა და ორი სოფელი ავიკლევით ინჯადარა და ჯომუშლი ათასის კაცით, და მრავალი ტყვე და საქონელი წამოვიღევით და უკმოქცეულთ მოგვეწივა ალიბეგ და მამადბეგ და შე-წევნითა ღთისათა ვსძლეთ მცირედთა იმათ ბევ[რ]ს. და თვით ხელთა ჩემთაგან მოკ-ვდა თოფითა ჩემითა ამად ოსმალი და ერთი ხმლითა იშიყბეგ სახელოვანი ვა-ჟიკაცი.

ქ. წელსა **ჩლუ**, დღესა ხუთშაბათსა, აგვის[ტოს] **ა** მოგვიხდნენ თიანეთს ლეკნი და გავიმარჯვეთ.

ქ. ამავე წელსა სეკდენბრის ჱ, დღესა კვირიაკესა, ღვთისმშობლის შეწევნითა მცი-რეთა დიდ ლეკის ჯარზე გავიმარჯვეთ მატნის თავს და ბევრიც მოვჰკალით.

ქ. ამავე წელსა ნოემბრის **კვ**, დღეს სამშაბათსა, ბაიამათლოს დავჰყარეთ და შეწევნითა ღ˜თისათა მდევარს სამჯერ შევებით და ვსძლეთ და დიდი ნაშოვარიც წამოვიღევით.

ქ. წელსა **ჩლჟბ** ჯავათხანმა შეიმწყვდია სულთანი შამშადინით ასაყრელათ და შეწევნითა ღთისათა წავართვით და არ დავანებეთ ფრიად მცირედითა კაცნითა, აგვისტოს **ა** დღესა შაბათსა...[1]

ქ. წელსა **ჩლჟგ** შამშადინი გაქცეული თარაჩაიდამ დავაბრუნეთ და კუალად ასანსუსთავიდამ (?) გაგვექცა ათასი კომლი მეტი და თერთმეტი დავაბრუნეთ აგვის-ტოს **იგ**, დღეს ხუთშაბათს.“ 201 r—202 v.

„**ჩყკ**-სა წელს ფებერვლის დ-ს, სრულად გადავაწერინე წიგნი ესე კარგად.“ 125 v

2210

[**თიმსარიანი**], 1829

73 ფ.; 21,5 × 16; ქაღალდი; მხედრული; უყდო, დაშლილი, ნაკლული; 1829 წ.; გა-დამწერი: სოლომონ რჩეულოვი (73 v); იწყება მეორე კარიდან (დასაწყისი ფურცე-ლი უკუღმა არის ჩაკერებული). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 163.

„ქალისაგან ჴელმწიფის უშვილობის პასუხის მიცემა, კარი მეორე.—ქალ-მან რა ესე ჴელმწიფისაგან გაიგონა, სისხლის ცრემლით ტიროდა და მწარენი სულთქმანი აღმოუტევნა, უებროსა პირსა ჴელი [იკრა] და სამკაულნი გარდა-ყარნა ვარდსა და ბროლსა ზედან...“ 2 v.

[1] ფრაზა არაა დამთავრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინაწერი:

„აქ წარწერილთა ზღაპართა აუწყონ სრულნი ცნობანი,
ქალთ მებადურთა მემახეთ მოყვასთ ძიებთა ხმობანი,
უსწავლელთ განასწავლულებს, განსწავლულთ შმაგ ჰყოფს თმობანი,
ილეთი ხრიკთა მოქმედთა დიაცთა აქ არს მკობანი“.

2. „აღწერილ არს წელსა 1829-სა ფებერვლის 8-სა სოლომონ რჩეულოვის მიერ» (რჩეულოვი—ასო გრეხილით).

3. „ეს წიგნი არს კნეინა მაია ერისთოვისა, აბაშიძის ასულისა.“ 73 v.

2211

სვინაქსარი, XI

452 ფ.; 22×17; ეტრატი; ნუსხური, სათაურები ასომთავრული სინგურით; ნაკ-ლული; ტყავგადაკრული ხის ყდა; ტექსტი აღდგენილია; [XI ს.]; მოეპოვება თავსამკაული: 30 v, 59 v, 88 r, 132 v, 173$\frac{1}{2}$v, 186 r, 211 r, 231 r, 268 r, 326 r, 357 r. იოან ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 171.

„სახელითა ღ̃ისათა იწყების წმიდა ესე სჳნაქსარი მოძღუარი სოფლისა და სამკაული წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა. სეკდენბერსა აქუს დღე—ლ, დღეთა აქუს ჟამი—იბ. და ღამეთა ჟამი—იბ. თუჱსა სეკდენბერსა—ა, დაწყება ინდიქტიონისა მოქცევაჲ წელიწადისა. ჴსენებაჲ წმიდისა ღ̃ის მშობლისა მარინეს (?) შინა და წამებაჲ წმიდათა მოწესეთა და მოწამეთა, რომელნი იყვნეს ერთსა მონასტერსა შინა და [ე]წამნეს...“ 2 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...და ერთნი საზაფხულონი დასაგებელი თჳსი. მადლი და დიდება ღმერთსა“.

შენიშვნა: ერთვის 1. „სახელები და რიცხვი დღისა, წელთა და თუ რომელთა დღეთა შინა დაეცდების საქმე თითოეული თვისაჲ, აქა გეუწყების ესრეთ დღისათვის...“ (ასომთავრულით) 444 r—452 v.

2. „აღწერილი საეკლესიოჲ უ მამათათჳს, მოწაფეთა უფლისათა დორეთეჲს (!) მიერ ეპისკოპოსისა პირველ ამის სიცოცხლისა მოხუცებულისა და სულითა შემოსილითა, რომელი იწამა ჟამთა ელლიაზე მეფისათა...“ (ასომთავრულით) 448 v—450 r.

3. 450 v—452 v-დე ნაწერია კალიგრაფიული ნუსხურით არ იკითხება.

მინაწერები: „მჭედლის ძემან... მოძღუარმან გაიჩინა ალაპი ფებერვალსა ე.“ 175 r.

„ღმერთო და რანიც წმიდანი ამ სვინაქსარში მოიჴსენებიან, შეიწყალე ფრიად ცოდვილი თევდორე.“ 206 v. (მხედრულით).

„რამეთუ ვითა იხილოს ახოვანი იგი სიმჴნე საკჳრველისა მის ბერისა, გარდამოჴსნეს იგი დამოკიდებისა მისგან და მოკლულ არს...“ 209 r.

„სულსა ფანსაკაერტელისა (!) .... შეუნდნეს ღმერთმან და ძმისა წულთა მისათა ფარსადა[ნს] შეუნდეს ღმერთმან.“ 47 v.

„სულსა მიძნაძორისა წინმაძღვარსა ჴანთუმიძეს შეუნდნეს ღმერთმან და დედა...“ 49 v.

„ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ივანე და განაბრძეთ, ღმერთმან თქვენცა შეგინდნეს. ამენ.“ 317 r.

„ტკბილო, ყოვლად წმინდაო ღ̃თის მშობელო, შემიწყალე ცოდვილი იოვანე“.

ყოვლად მოწყალეო დედოფალო, მეოხ ეყავ იოვანეს, შეიწყალე დღესა განკითხვისასა...“ 319 v—320 r.

„ქ. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი გიორგი, ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა [შეგინდოთ]“ 389 r.

„ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იესე“ 427 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2212

ცხენის კარაბადინი, 1867

57 ფ.; 21,5 × 11,5; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1867 წ. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; ადგილი: სანკტპეტერბურგი (57 r); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 172.

„აქა იწყების პირველი კარი. კარაბადინი ცხენისა, გამორჩეულნი წამალნი და თარბიათთა მისთა სწავლანი.—პირველ რომ ზღვითგან ცხენი გამოიყვანეს, შვიდი ესე პირობა მისცეს: პირველად სნეულს მომიაროთ და საჭმლითა და წამლით ჯელი შემიწყოთ, მეორედ უნალოდ არ მატაროთო, მესამე ხაპალნე არ ამკიდოთო, მეოთხედ ძუა არ მომჭრათო...“ 1 გვ.—115 გვ.

შენიშვნა: ერთვის: „ხანდუკი წიგნისა ამის ესე არს...“ 110 გვ.—115 გვ.

2. **ანდერძი:** „სრულ იქმნა ძალითა ღ̃თისათა. დიდება, პატივი, თაყვანისცემა ყოვლად ყოვლადობასა შინა დიდებულსა სამწმიდაობასა შინა ქებულსა ღ̃თსა. ამინ.

ავწერე მემამულეთა ჩემთა სასარგებლოთ, ყოველთადმი ვისცა ნებავდეს პირუტყვთა დაცვაჲ და აგრეთვე აქიმობისა მათისათვის.

რამეთუ უპირველესი საქმე არს ცოდნა და დაცვა მათი, რადგანაც პირველნი მარჯვენი თანაშემწენი არიან ღ̃თისა მოწყალებითა მოჩენილნი ჩვენდა სასარგებლოდ.

სანკტპეტერბურღსა შინა წელსა 1867, ივლისს 13. ს[ვიმონ] ტაბიძისა მიერ.“ 115 გვ.

2213

ყრმათა ენციკლოპედია, 1817

IV+219 ფ. (438 გვ.); 20×16; ქაღალდი; უყდო; დასაწყისში მარცხენა კიდე მოხეულია; მხედრული; 1817 წ. (III r); გადამწერი-მთარგმნელი: იოანე ბაზლიძე; ადგილი: სანკტპეტერბურგი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 175.

„ყრმათა ენციკლოპედია, ანუ ახალნი შემოკლებულნი სხვადასხვანი სწავლანი.—სარწმუნოებისათვის. სხვათა ყოველთა მცნობელობათაგან უცჭველად არს თვით უსაჭიროესი მცნობელობაჲ ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა...“ 5—432 გვ.

შენიშვნა: 1. უძლვის თავფურცელი: „ყრმათა ენციკოპლედია (!) ანუ ახალნი შემოკლებულნი ჰსწავლანი ყოვლისა გვარისანი სასარგებლონი ხმარებისათვის ჭაბუკთა, ახალნი გამოცემულნი განმრავლებულნი და განმართულნი ყოველთა ნაწილთა შინა, ქარტინებითა და სახეებითა; რომელიცა ითარგმნა რუსულისა ენისაგან ქართულსა ენასა ზედა პერეუოჩიკის ტ[იტულიარნი] ს[ოვეტნიკის) იოანე ბაზლიძეს მიერ ს[ანკტ]პ[ეტერ]ბურხსა შინა, წელსა 1817-სა იანვრის 15 რიცხვსა“ (III r).

2. მიმართვა „უგანათლებულესო მეფის ძეო იოანნევო, ყოვლად უმოწყალესო ჴელმწიფეო.—კეთილ დღეობა ერთა მშობლისა მამულისა თქვენისათა, რომელნიცა ეგნენ მპყრობელობისა ქვეშე წინაპართა თქვენთასა, ესოდენ სასურველ არს გულისათვის თქვენისა, რომელ ყოველნი დღენი ცხოვრებისა თქვენისანი განდიდებულ არიან მიუღრულებელითა მზრუნველობითა მოქმედებისათვის ყოველთა ძალთა განმანათლებელთა მშობლისა მამულისა თქვენისათა და საზოგადოს კეთილო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბისა თვისცა მოძრავისა ჩუჱნ ყოველთა. ხოლო განმჭვრეტელობა დიდსულობისა თქვენისა ეძიებს სახმარობათა მისდამი მსახურებელთა, ზრდის და აღამაღლებსცა უწყებათა მისდამივე მომსწრაფებელთა. ხოლო ესე გუარნი შემეცხებანი საზოგადოდ ყოველთათვის სასარგებლონი არიან დანაკვეთებულნი წიგნსა ამას შინა, რომელ არს ენციკოპლედია, ესე იგი ყოველნი უკუჱ ჰსწავლანი შემოკლებულნი, რომელნიცა აღუცრცვიან გზასა ბედნიერებისადმი მიმყვანებელსა არა თუ მარტოოდენ კაცსა საკუთრობასა შინა, არამედ საზოგადოდ ყოვლადსაცა სახელმწიფოსა ესე ჩინებული უკუჱ წიგნი, რომელიცა შეიცვამს თვის შორის საქმეთა ერთა პირველთა საუკუნეთა შინა მცხოვრებთა და სხვათაცა მრავალთა ღირსი ხსოვნისთა შედრგინებათა, რომელნიცა შემძლებელ არიან მიცემად გულისხმისყოფისა განჭვრეტად საიდუმლოთა სახსართა შინა ბუნებისათა. ესოდენ ჩინებულმან ღირსებამან ამის წიგნისამან განმაღვიძა მე ბრძანებითა უგანათლებულესობისა თქვენისათა შეწირვად თვით წუთთა განსვენებისა ჩემისათა თარგმნისათვის ამისა რუსულისა ენისაგან ქართულსა ენასა ზედა, რაოდენცა ძალმედვა და მაშინცა კეთილმოწიწებითა ცხადყოფად თქვენისა უგანათლებულესობისადმი უცხოველესთა მგრძნობელობათა უმწვერვალესისა ერთგულებისა ჩემისათა. უბედნიერესად შეურაცხ თავსა ჩემსა, უკეთუ ღირს იყოფვის შრომა ესე ჩემი სათნოყოფისა უგანათლებულესობისა თქვენისა, რომლისა გამოცა განმრავლდების ჩემს შორის მხურვალება გვაგიობისათვის (sic) მამულისა ჩემისათა."

წინასიტყვაობის გვერდების საწყისში წამძღვარებული არის სამსტროფიანი ლექსი:

3. „მხურვალედ ხარ ტრფიალი ყოვლ ჰსწავლად განათლებისა,
მოყვარული მშობლის ქვეყნის, სიბრძნითა განშვენებისა,
მაგალითო ნამყო დროთა, მყობადთცა განდიდებისა,
და მით შეგითხზვენ შენ ხოტბასა, რომელ ხარ ღირსი ქებისა.

განთქმულ იქმენ, მეფის ძეო, მოვლენილო შემწედ ჩუჱნდა,
მაგალითო ყოვლის გუამის, რომელს დიდება შეგშუჱნდა.
ღირსო ყოვლისა ქებისა, რომელიც ვერ ითქმის ჩუჱნდა,
და კუალავ მხურვალედ ცასა შევსტირთ, რათა იქმნას მფარუჱლ თქუჱნდა.

ესე სახელი ქებისა შენ შეიმოსე უკვდავი,
ხმელსა აცვიფრებ სიბრძნითა, სახსოვრად დაგშთეს უდავი,
ქვეყნის სრულქმნადმდის ეგების ღვაწლ-კეთილი. არა დავი,
და მე გლახაკი გეაჯები მექმნა მფარველ, ვით მბადავი.

ყოვლად უმოწყალესო ჴელმწიფევ, თქვენისა უგანათლებულესობისა უქვენაესი მორჩილი-მოსამსახურე ივან რომანიჩი ბაზლიძე. იანვრის 15-სა რიცხვსა. 1817-სა წელსა, ს[ანკტ]პ[ეტერ]ბურხსა შინა." 1 გვ.—4 გვ.

4. „დასრულდა თარგმანი წიგნისა ამის, რომელიცა დავიწყე ნოემბრის რვასა, იანვრის ათცამეტსა რიცხვსა, იოანე ბაზლიძე." 432 გვ.

5. ერთვის საძიებელი 433 გვ.—436 გვ.

6. **მინაწერი**: „ქ. ახალციხისა და სამცხისა და მის გარეშეთა ადგილთა ეპისკოპოსნი: ქ. მაწყუჱრელი. ქ. წყაროსთაველი. ქ. ანჩელ არხიმანდრიტელი. ქ. ხახულელი. ქ. კუმურდელი. ქ. იშხნელი. ქ. ვალაშკერტელი. ქ. ბანელი. ქ. მტბეველი. ქ. წურწყაბელი, კლარჯელი". 437 გვ.

(ქ. ღ̃თის ქურდი ლოცვაში რომ დააკლებს სიტყვას და გარდახტება).

იმერეთის ეფისკოპოზნი: კათოლიკოზი, ქუთათელი, გელათელი, მთავარეფისკოპოსი ნიკორწმინდელი.

ოდიშისა: ჭყოინდელი, ჩაიშელი (sic), ჭელენჯიხელი.

ლეჩხუმისა: ცაგერელი.

აფხაზეთისა: დრანდელი, მოქველი, ბედიელი.

გურიისა: შემოქმედელი, ჯუმათელი, ხინოწმინდელი.

ქართლისა: კათალიკოზი, მთავარეფისკოპოსი, მროველი, წირკნელი, სამთავნელი, ნიქოზელი, ტფილელი და მანგლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთისა: ალავერდელი, ახტალელი, ურბნელი, ნეკრესელი, ნინოწმინდელი, ჭერამელი, ხარჭაშნელი, რუსთველი, ბოდბელი.

ხომხითისა: წინწყაროელი, დმანელი, ბოვნელი, ელისნელი ანუ ბედიელი, ცურტაველი ახტალის ეპისკოპოსია." 438 გვ.

2214

ხრონოგრაფი, XIX

956 ფ.; 22,5 × 18; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; [XIX ს.]; მთარგმნელი I ტომისა ბაგრატ სოლოღაშვილი, II ტომისა არჩილ მეფე (I v); ბოლო რვა ფურცელი დაუწერელია; გადამწერი: [სვიმონ ტაბიძე]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 177.

„სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღ̃თსა და უფალსა ჩვენსა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლისა სიბრძნისა მისითა და აურა[ც]ხელისა სახიერებისა მისისათა..." 21 გვ—1891 გვ-დე.

შენიშვნა: უძლვის: 1. „ტომი პირველი.—ხრონოღრაფი ესე არს თარგმნილი ბერძულისა ენისაგან ბაგრატ სოლაღაშვილის მთაწმინდელისაგან ბრძანებითა მეფის არჩილისათა, მოსკოვს, დასაბამითგან ჳ̃ს.

ტომი მეორე—ხოლო შემდგომი რუსულისაგან ენისა თვით არჩილ მეფისათა მოსკოვსვე." თავფურცელი.

2. „ზანდუკი წიგნისა ამის საქმეთა, რომელსა გარე შეიცავს შემოკლებით მოთხრობა დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობადმდე კოსტანტინე პოლიოლოღისა, უკანასკნელისა ბერძენთა მეფისა." 1 გვ.—18 გვ.

2215

ჰსჯა ათერთმეტი, 1777

91 ფ.; (182 გვ.); 20,5 × 16; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული ხის ყდა; მთარგმნელი: გაიოს; 1777 წ.; ადგილი: მოსკოვი (5 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 178.

„სიკვდილისათჳს, განსჯა პირველი (სიკვდილი ურცხვ-კადნიერი სამეფოსა სასძლოსა კართა ეგრეთ მსწრაფლს და ძლიერად ჰრეკს, ვითარცა გლახაკისა ქოხისა კართა—ღორა(ცია"). —უკეთუ დიდსა ზედა სიმრავლესა ერთსა მიმხედველნი ვიფიქრებთ ვითარმედ შემდგომად რაოდენთამე წელთა რიცხჳს განვლისა, არც ერთი მათგანი დაშთების ცოცხლად..." 1 გვ.—182 გვ.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი; „ჰსჯა ათერთმეტი ქრისტეანებრის შკოლისა თარგმნილი არხიდიაკონის გაიოსის მიერ წელსა 1777, მოსკოვს." I.

2. „პინაქსი წიგნისა ამის" II.

მინაწერი: „საქართუჱლოს მეფის ძის ძის იოანესია წიგნი ეს, რომელსა ეწოდების სჯა ათორმეტთა ქრისტიანეთა". იქვე ოთხკუთხი ბეჭედი, ლეგენდა: „იოანე" II v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2216

ვისრამიანი, XIX

382 ფ.: 22,5×18; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი: [სვიმონ ტაბიძე]; ბოლო ათი ფურცელი დაუწერელია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 182.

„კარი პირველი, ვისისა და რამინისა.—იყო დიდი და მაღალი სულტანი ტუხლურბეგ ქვეყანისა ხორასნისასა და ადრაბაგანისასა, ლაშქარ-მრავალი და მორჭმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა...“ 1—374 r.

2217

სამკურნალო წიგნი, 1805

35 ფ.: 20×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1805 (2 r); გადამწერი: გოდერძი ფირალოვი; ადგილი: სანკტპეტერბურგი (35 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 183.

„შესავალი, წიგნი ა.—სნეულებათა შორის, რომლისაცა არს ნათესავი კაცთა ქვეშევრდომილ, გარდა დიდის ჭირის არცა ერთი სნეულება არა არს ესრეთ განმახარაბებელი და აღმომწყვეტელი, ვითა ყვავილი...“ 2 v—34 v.

შენიშვნა: უძღვის: 1. თავფურცელი: „ღონეჲ და შეწევნილება.—რომლითაცა იხსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან, რათა აუცრიდნენ საზოგადოდ ყოველთა ძროხის ყვავილსა. დაიბეჭდა სარგებულობა ესე ერისათვის ბრძანებითა მისის დიდებულებისათა უმთავრესსა სა[ა]ქიმოს აკადემიასა შინა წელსა ჩყე, მოსკოვს.“ 2 r.

2. „უგანათლებულესო მეფის ძეო იოანე, მოწყალეო ჴელმწიფევ.—ვინაჲდგან მარადის მსურის მსახურება უგანათლებულესობისა თქვენისა და ვეძიებ მიზეზსა საფუძვლად მსახურებისა, თუმცა ვერა ვპოვე კმასაყოფელად აღმავსებელი სურვილისა ჩემისა, გარნა ესეცა კნინ მსახურებად შევრაცხე, რომელ არს თარგმნილი ჩემ მიერ აცრა ძროხის ყვავილთა წინადვე დამცველად ბუნებითისა ყვავილის ვნებისაგან. უწყოდი ესე, რომელ სიყრმიდგანვე სათნო გეყოთ სწავლა სააქიმოთა ჴელოვნებათა და ამად ვიკადნიერე მეცა შრომაჲ აღწერისა ამის მორთმევად თქვენდა, რომელსა შინა ვიხილე მე ფრიად კეთილობითნი სწავლანი ამა ერთისა ჴელოვნებისათვის, რომელიცა ჟამსა ამას ფრიად უსახმარესად შერაცხილ არს ყოველსა ევროპიასა შინა და სასარგებლოდ საზოგადოობისა.

უმოწყალესო ჴელმწიფევ, ფრაზე[ბ]ის სიმდაბიურე განგებ ვქმენ გასაგონებელად საზოგადოობისა, ვინადგან წერილ არს ამას შინა სწავლა ყოველთაგან და ამასთანავე გვედრებ შეცთომილებისათვის მოტევებასა, უკეთუ ჰპოვოთ რაჲმე.

თქუენის უგანათლებულესობის ყოვლად უმდაბლესი მონა გოდერძი ფირალოვი“. 1 r—v.

3. ერთვის საძიებელი. 35 r—v.

4. „პეტრებურღს წელსა ჩყვ“ 35 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2218

კარაბადინი, XIX

15 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული, ნაწერია სხვადასხვა ხელით; ნაკლული; დაუწერელია 4 r—7 v; 8 r—15 v-დე; ნაწერია ივანე ბაზლიძის ხელით; [XIX ს.].

1. „მოძღვრება ერისა მისისა სიმრთელისათჳს.—შესავალი, მოკლება მცხოვრებელთა ყოველსა შინა ქვეყანასა არს უმრთელიესი ჭეშმარიტება, რომელსაცა ყოველი ხედავს და მიმოწერანიცა ამხილებენ. ესე დაკლება ერისა წარმოდგების მრავალთა მიზეზთაგან.

წ ყ დ ე ბ ა: „ვინადგან ერნი, რომელნიცა ცხოვრობენ ნაყოფისა მომცემთა ქვეყანასა შინა, დამოკიდებულ არს მშვიდობა მათი სიმრავლისაგან ერისა და რაოდენიმე სიუხვეთაგან თეთრისა...“.

2. „...[1] იყოს გამოიცვალონ სადგომნი და ადგილნიცა თჳსნი და განივლტონვეს სხუათა ადგილთა და სადგომებთა შინა განშორებულთა, გინა მახლობელთა მხარე ა, სადაცა ჰაერი იყოს წმინდა...“ 8 r—15 v.

2219

ვილორინოვი —[მკურნალობა], 1801

23 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; XIX ს. (ჭვირნიშანი 1801 წ.); ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 188.

„ჳლორინოვის ეკონომია გინა მოსახლეობა, წიგნი მერვე. კაცის ანატომიაზე, რომელსა ჰრქჳან კაცის გამოშიგვნა და მის ყოვლის ასოების დასინჯუა, და მისთჳს შესაფერი წამლებიცა. მერვის წიგნისა თავი პირუÜლი.—რა გვარათცა კაცი ჴორცით შემოსილია, ანუ მას ჴორცსა რა მფარველობა აქუს. ჴორცი კაცისა გაიყოფება ასოთაგანთა და სამსა მუცელზედაცა, ანუ სამი სიცოცხლე კაცისა ანუ სამი ცალიერი ალაგი...“ 2 r—23 v.

წ ყ დ ე ბ ა: „თითო ბლუჯი ძირტკბილის ძირი ნახევარი მუჰი ესენი წვრილად დასჭერ და ერთის ჩარექით წყალით მოადუღე, ერთი სტილი (!) დაიშროს, ყოველ დღეს დალემდეს დილასა და საღამოს თორმეტ დღემდის“.

მინაწერი: „ძმაო დავით, მიიღე წიგნი ესე და მაცნობე სიმართლეჲ შენი, პეტრებურღს 1836-სა წელსა. ივნისის 16-სა დღესა. პეტრებურღის სტარანაშიდ, დვარიანსკის ქუჩაშიდ, მეპურე ოცმანის სახშიდ. ვმსახურებ ლეიბ ღუარდია ღრანადერის პოლკშიდ პარუჩიკათ.“ 1 r.

---

[1] დასაწყისი იხილე ხელნაწერში № 2217 H, გვ. 12 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2220

ბესარიონ გაბაშვილი—რუხის ბრძოლა, 1837

6 ფ.; 19×16; ქაღალდი; უცდო; დაშლილი; 1837 წ. (6 v); ადგილი: თბილისი; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 189.

„იხარა დიდმან დავით სულიერისა ქნარ წყობითა თან სულითა მეფეებრითა მღაღადებელმან და სთქვა, ვითარმედ ერთგზის ვეფუცვეო წმიდასა ჩემსა დავითს, რომლისა შემდგომი სიტყვათა მიეცემოდა მეფობაჲ შენი...“ 1 r—6 v.

შენიშვნა: ერთვის: „ლექსნი ესენი ქმნილნი, ვითარცა ჰგონებენ, ბესარიონ გაბაშვილისაგან გადმოვაწერინე ლექსითი-ლექსად და მარცულითი მარცულად დედანით, რომელიცა აქუნდა დავით ლევანის ძეს დადიანს, წელსა 1837-სა, ნოემბრის 12-სა დღესა, ქალაქსა ტფილისს. პლ[ატონ] იოს[ელიანი]. ამისი კოპიო გავუგზავნე აკადემიას 1838.VI.23. პლ. იოს. (6 v).

2221

კრებული, 1824

12 ფ.; 20×17; ქაღალდი; მხედრული; უცდო, ნაკლული; 1824 წ.; გადამწერი ი. ბაზლიძე; ადგილი: მოსკოვი (10 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 192

1. [ლუციან ბონაპარტეს თავგადასავალი] „ლუციან ბონაპარტე მესამე შვილი კარლოს ბონაპარტისა, შობილი ეგრეთვე მარბეფისაგან მექონ არს სრულისა მსგავსებისა ნაპოლეონისა თანა, როგორადცა გარეგანისა სახითა, ეგრეთვე სულიერისა თვისებითაცა, იყო მასწავლებელის შემწედ ერთსა მცირესა სხოლასა შინა მარსელის ქალაქისასა...“ 1 r—9 v.

22. „თქმული. მისივე პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს, რომელი ესე მან ნოსხად (!) დაწე̃რილი დაუტევა.—ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ...“ 404 r—419 v.

წ ყ დ ე ბ ა: „მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, თქუმული დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: პირველითგან იყო სიტყუაჲ...“.

ანდერძი: „ესე ბრძანებაჲ ეფთიმესი არს.—წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმენ.

და, ღ̃ისათჳს, ვინცა გარდასწერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომჴოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს მიც ვითარ შრომაჲ სწავლასა და თარგმანობასა ამისსა, რათა მლოცვიდეთ და ლოცვა ყავთ ღ̃თისათჳს კურთხეულისა ამის მამისა იორდანესთჳს, რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს იდვა და მოვიდა ქართლისა ქუეყნით საბერძნეთს, მთაწმიდას ღ̃თისათჳს თავად და მერმე ბრძანებისათჳს დავით ქართველთა მეფისა, და თავს იდვა ჭირი და დაწერა წმიდა ესე წიგნი. აწ ვინცა ამას იკითხვიდეთ, ღმერთმან დაგაჯეროს. ლოცვა ყავთ ჩვენ ყოველთათვის.“ 46 r.

შენიშვნა: პირველი გვერდი ძალიან დაზიანებულია.

2252

ხრონოგრაფი, XVIII

129 ფ.; 30×20; ქაღალდი; მხედრული; დასაწყისი და ბოლო აკლია; [XVIII ს.]; უყდო, დაშლილი. შესაძლებელია წარმოადგენდეს არჩილის ავტოგრაფს. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 257.

„სახის მეტყველებათა.— ...სარრასა (!) და ყოვლითურთ სახლეულით და საცხოვართა მისთათა, რამეთუ იყო მდიდარი ფრიად და მოვიდა უდაბნოდ და თანაუვიდოდა ლოთისა ძმისწული მისი, და განეყო აბრაჰამ ლოთისა მისგან. ხოლო აბრაჰამ დაადგრა ქვეყანასა მას ქანანისასა...“ 1 r—129 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...თუ უსულონი იგი ქვანი მარმარილონი და სხვანი ნივთნი, ვითარ იყვნეს წინა მომასწავებელ სიბოროტისა მის და ღვთის მოძულისა სულისა...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2253

იოანე ოქროპირი—თარგმანება მათეს სახარებისა, XIX

56 ფ.; 30×20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: I—IV და 43 r—56 v-დე. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 260.

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, თარგმანება სახარებისა მატთეს თავისა. პირველი თავი. ჴსენება წმიდისა მატთე მახარებელისა და დაწყება სიტყჳსა.—თავი ა. ჯერ იყო ჩუჱნდა, ძმანო, რათამცა არა გუჱხმარებოდა წერილთა მიმართ შეწევნაჲ, არამედ ესე ვითარიმცა გუაქუნდა მოქალაქობაჲ...“ 1 r—42 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...შემოვალს მძლავრება გულისთქმათა და განჴწყსნით რა სურვილი საფასეთა და ცუდისა დიდებისა, ამისთჳს არა მოვიდა უფალი ნათლისღებად ვიდრე ყოველნი...“

2254

ფილარეტისა და თეოფილაქტეს პაექრობა ანსილიონის შესახებ, XIX

47 ფ.; 30×19; ქაღალდი; ნაკლული; მუყაოს ყდა მოცილებული; მთარგმნელი: დავით ბატონიშვილი; ადგილი: თბილისი (47 r); [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 262.

„პაექრობა ანუ ბაასი უფლისა თეოფილაკტე ექსარხოსისა და არქიერისა ფილარეტისა რაოდენთამე შენიშვნათა ზედა უფლისა ანსილიონისა აღნაქუსსა შინათა.— ...მყოფად და არსად და ესე ვითარითა სახითა ყოველი ესე დადებულებაჲ აღმოსჩნდების ცრუდ...“ 2 r—47 r.

შენიშვნა: სქოლიოში დავით ბატონიშვილის განმარტებანი.

ერთვის: „სრულ ვჰყავ ყოველივე და ესეცა ვსთარგმნე თან შესატყვისად ანსილიონისა და გთხოვ ივანე ერისთავსაც გარდააწერინოთ. დავით.

პოშტაში არ წამოიღეს, გამოსაგზავნად დაბეჭდილი არ არის და ჴელწერილით წაღება არ იქნებაო. ნეტარ, მკითხავთ აცდინონ, ბეიშტი ანუ სამოთხე იქმნების თჳნიერ ავაზაკთა ანუ.არა...“ 47 r.

2255

გრამატიკა, 1783

52 ფ.; 31×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1783 წ. (52 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 266.

„თავი ა.—თჳს პირველისა სიტყჳს ნაწილისა, რომელ არს სახელი; § 12. სახელი არს ნაწილი სიტყჳსა, მნიშუნელი ნივთისა ანუ პირისა რაისამე სახელობით, მაგალ.: უფალი, ცა, ქუჱყანა, კაცი, ბრძენი, პეტრე, ცხენი, თეთრი და სხუანი...“ 3 r—52 v.

შენიშვნა: უძღვის „შესავალი ღრამმატიკისა.“ 2 r.

2. სიტყვების განმარტება. 1 r.

3. ერთვის: „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა, წელსა 1783, თთუჱსა ოკდომბერსა 24. მოსდოგს“. ქვემოთ ასოგრეხილით „ევლოღის“. 52 v.

2256

ანტონ I—გრამატიკა, 1769

159 ფ.; 29×19; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; 1769 წ. (159 v) გადამწერი: ნიკოლოზ ალექსისძე (იქვე): ადგილი: თბილისი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 267.

„თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირუჱლი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფექმნილთა. თავი პირუჱლი, ბრუნუათათჳს სახელთასა § 1.—რიცხუსა შორის ჩუჱნ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 5 r—159 r.

შენიშვნა: უძღვის: 1. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა; მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა.“ 1 r—2 r.

2. „პინაქსი ღრამმატიკისა“. 3 r—4 v.

3. **ანდერძი:** „სრულ იქმნა $17\frac{2}{28}69$, იყავნ სადიდებლად შენდა, სიტყუაო ღ´ისაო, და უბიწოდ მშობლისა შენისა. აღიწერა ჴელითა ანჩისხატის დეკანოზი ალექსის ძის ყოვლად ულირსის მღუდლის ნიკოლოზისათა მხილუჱლთა[დ]მი კურთხევის მოქენე.“ 159 v.

2257

თვითმასწავლებელი

149 ფ.; 19,5×28; ქაღალდი; თვითმასწავლებლის დედანი წარმოადგენს სომხურ-რუსულ ნაბეჭდ ტექსტს. ნაბეჭდი ტექსტის ფურცლებს მიწებებული აქვს ქაღალდი, ტექსტის ქართული თარგმანით, თარგმანი შესრულებულია იოანე ბატონიშვილის მიერ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 269.

1. „აქათგან ემდევრებიან სახელნი ლექსნი და ზმნანი რუსული სომხურსა ანბან-ასოთი.—აბდია, აბდი, აბრამ, იბრაჲმ...“ 15 r—68 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „აქედგან ემდევრებიან სახელნი ლექსნი და ზმნანი სომხურნი რუსულისა თანა ანბან-ასოთი...“ (69 r—127 r).

შენიშვნა: 1. ერთვის თავფურცელი (თარგმანი ნაბეჭდი სომხურ-რუსული ტექსტისა) „აქუს ამისთჳს შორის კერძოობითი ანბანი, კერძოობითი ლექსიკონი და დაწყება საmოქალაქოსა სწავლისა, ქმნილი და თარგმნილი რუსულის ენისაგან სომეხთა ენასა და სომეხთა ენისაგან რუსულსა ენასა ზედა კლეოპატრა ასულისა ქრისტეს მიერ შესვენებულისა მოსე სარაფიანისა, შესაწევნელად ყრმათა და ყოველთა, რომელთაცა აქუსთ წადიერება და საჭმარება. დაიბეჭდა მეცხრესა წელსა მამათმთავრობასა წმიდისა საყდრისა ეჯმიაწნინისა (!) უფლისა ლუკასსა წმიდათა უწმიდესისა კათალიკოსისა ყოველთა სომეხთასა. და წინამძღვრობასა უფლისა იოსებ უწმინდესისა არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ნათესავსა სომეხთასა, რომელნი არიან მფლობელობასა რუსთასა.

წარსაგებელითა მისვე კლეოპატრას მამისა, შესვენებულისა მოსესითა. წელსა უფლისასა ჩღპჱ, აგვისტოსა ა. სანკტპეტერბურღს. საბეჭდავსა ხალდარიანთ ხოჯამალის შვილის ქრისტეს მიერ შესვენებულისა ბატონის გიორგისათა. ბრძანებითა განმგეთა კეთილწესიერებისათა.“ 2 v.

2. მიმართვები; „მისსა კეისრულსა სიმაღლესა კეთილ-მსახურებასა დიდსა მთავარსა კოსტანტინე პავლოვისასა, უმოწყალესსა უფალსა.“ 3 v.

3. „უუმოწყალესო უფალო, ესე პირმშო ნაყოფი უძლურებითისა ღვაწლისა ჩემისაგან არა დავიდევ წრფელად, რომელიცა ვარ მოქენე შემომწირველად მხოლოდ სახელისა თქვენისა კეისრობითისა სიმაღლისა, ღირსად შერაცხე, ჵი უუმოწყალესო უფალო, ესე თქვენდა შეწყნარებად და არა უგულებელს-ყოფად ესე.“ 4 v.

4. „რაოდენ ბედნიერ და უმეტეს კეთილ ბედნიერ ხარ შობისაგან მოკვდავისა, ვითა ესე ნალვაწი და ამისდა მოღვაწე მიღებენ (!) თვისდამი თქვენისა კეისრობითისა სიმაღლისა კეთილმნებულობისათვის, უუმოწყალესო უფალო, თქვენისა კეისრობითისა სიმაღლისა, ყოვლად მდაბალი კლეოპატრა სარაფიანი.“ 5 v.

5. „ანბანნი სრულიად ასონი სომეხთა და რუსთანი, აქა ემდევრების რუსთა ანბანნი სომხურთა“. 7 r—v.

6. აქა ემდევრების სომეხთა ანბანნი რუსულთა. (7 v).

7. „აქა ემდევრების სახელნი ასოთა რუსთა სომხურთა თანა, აქი ემდევრების სახელნი ასოთა სომეხთა რუსულსა“.

სახელის-დება ასოთა სომეხთასა ჩვენებითურთ, რომელიც რუსულთა ასოთა ემაგიარების ჭმარებითა სომხურისათა“. 8 r—v.

8. „აქა ემდევრების ერთ-მარცვალთ ლექსი რუსული სომხურსა.“ 9 r—10 r.

9. „აქა ემდევრების ორ-მარცვალი ლექსი რუსული სომხურსა. აქა ემდევრების სამ-მარცვალი ლექსი რუსული სომხურსა“. 10 r—11 v.

10. „აქა ემდევრების ერთ-მარცვალი ლექსი სომხური რუსულსა“. 12 r—14 v.

11. ერთვის „ა. ლაპარაკი (разговор).“ 128 r—148 r.

მინაწერი: 1. „ბატონიშვილის იოანესი ვარ“. 1 r.

2. „კნიაზ სოლომონ არღუთოვისა“. 2 r.

2258

კრებული სასულიერო ტექსტებისა, XII—XIII

205 ფ.; 36,5×27,5; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა მოცილებული; ნაკლული; დაშლილი: [XII—XIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „...შეიკრიბა ყოველივე უმრწემესმან ძემან ნამდვილვე, ვითა ჭაბუკმან განიზრახა და წარვიდა შორსა სოფელსა, შორად სოფლად, ვიტყჳ, გულის თქუმათა უჯეროთა...“ 1 r—6 v.

2. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ანასტასი სინელისაჲ, ქრისტეს მიერ შესუჱნებულთა და სარწმუნოებით დაძინებულთათჳს.—რაჲ არს ესე დღეს, ჵ, საყუარელნო, ვითარ მოსწრაფებით და ღირსებით შემოკრებულ ვართ?...“ 6 v—11 r.

3. „წმიდისა და ღ̃თივ განბრძნობილისა მამისა ჩუჱნისა იოანე დამასკელისაჲ, სიტყუაჲ ქრისტეს მიერ შესუჱნებულთათჳს, და რათა სამარადისოდ აღვასრულებდეთ ჴსენებასა მათსა. საზრდელთა გემოვანთა წინა დაგებანი მრავალგზის არა ხოლო მშიერთა ჭამად თჳსსა მიიზიდვენ...“ 11 r—22 v.

4. „კჳრიაკესა ჴორცთა აღებისა საკითხავი, თქმულ[ი] წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ეფრემ ასურისაჲ, მეორედ მოსლვისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესისა.—

საყუარელნო, ნურარას პატივსცემთ უფროჲს შეუორგულებელისა სიყუარულისა...“ 22 v—31 v.

5. „შაბათსა ყველიერისასა ჴსენებასა წმიდათა მამათასა, სიტყუაჲ წმიდისა მამისა ჩუჱნისა ეფრემ ასურისაჲ, მამათათჳს შესუჱნებულთა.—

გული ჩემი მელმის, შემნდობელ მექმნენით მე, ძმანო და მონანო კურთხეულნო...“ 31 v—38 v.

6. „წმიდათაგანისა მამისა ჩუჱნისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიაკაპადუკიისაჲ, მარხვისათჳს, სიტყუა ა.—

დაჰნესტუჱთ, იტყჳს, ახალ თთუჱსა შინა ნესტუსა კეთილშესწავებულსა დღესა დღესასწაულისა თქუჱნისასა...“ 38 v—45 r.

7. „წმიდათაგანისა მამისა ჩუჱნისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიაკაპადუკიისა, მარხვისათჳსვე, სიტყუაჲ მეორე.—ნუგეშინისსცემდით, იტყჳს მღდელნი...“ 45 r—50 r.

8. „თქუმული ანასტასი მონაზონისა სინელისაჲ შემოსლვისათჳს მარხვათაჲსა და მეექუსისათჳს ფსალმუნისა.

შემსგავსებული მარხუათა დაწყებისაჲ და ჯეროვნისა სინანულისა მიზეზი მიუღებიეს ეკლესიასა მეექუსე ფსალმუნი...“ 50 r—61 v.

9. „წამება წმიდისა მოწამისა თ̃ესი.—ტკბილ არს და საწადელ ჴსენებაჲ და სავსე საღმთოჲთა მადლითა ამისთვისცა, რომელნი სურვიელად ჴსენებასა მათსა აღასრულებენ...“ 61 v—67 v.

10. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ნეკტარი კოსტანოპოლით (!) მამათმთ[ა]ვრისაჲ საკითხავი, რომელი ესე აღწერა სასწაულისა მისთვის წმიდისა თ̃ეს მიერ აღსრ[უ]ლებ[უ]ლისა, რომელი იგი აღასრულა ყოვლად ქებულმან და უძლეველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათა, რომელი ესე იკითხვების პირუჱლსა შაბათსა წმიდათა მარხუათასა.—ბრწყინუალე არს და შუჱნიერ დღეს მგალობელთ-მთავრისა დავითის თანა გალობად ჩუჱნდა და თქუმად...“ 67 v—73 v.

11. „პირუელსა კჳრიაკესა წმიდათა მარხუათასა თხრობაჲ სასწაულისა, მის, რომელი აღესრულა ბჳრიტას ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა და სიტყუაჲ სწავლისაჲ მარხვისათჳს და მიცვალებისა.—ბჳრიტაჲ არს ქალაქი, რომელიმე მყოფი საზღვართა ტჳროსისა და სიდონისათა. და იმწყსების იგი და განეგების სახელგანთქმულისაგან და დიდისა ქალაქისა ანტიოქიისა...“ 73 v—80 r.

12. „თხრობაჲ დიდებულისა სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ზედა ჯურღუმულსა დიდისა ეკლესიისასა სოფია წმიდას, საუფლოჲსაგან და პატიოსნისა ხატისა უფლისა და ღ̃ისა და მაცხოვრისა ჩუენისა ი̃ჳ ქრისტესისა და მუნ მისრულისა მისთჳს პატრიკისა და ქრისტეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა.—არა რაჲ არს ესრეთ მახარებელ სულთა ღ̃ისმოყუარეთა, ვითარ საქმეთა ღ̃ისა მიერ საკჳრველებით აღსრულებულთა და სიტყჳსა მიერ მოქცევისა ჟამთასა...“ 80 r—85 r.

13. „თხრობაჲ სულთა სარგებელი სასწაულისა მისთჳს, რომელი იქმნა ხალკუირატიას პატიოსნისაგან და წმიდისა ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათჳს ეწოდა მას თავსმდებ და თავისათჳს მენავისა და აბრაჰამ ჰურიისა.—სამეუფოთა სასწაულთა საჴსენებელი წარმოგვიდგა დღეს და უჴამს მას გულსმოდგინებით მსმენელთაგან...“ 85 r—95 v.

14. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა და ნეტარებით მოჴსენებულისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, სიტყუაჲ ხატთათჳს, თავი მეორე.—მეცით მე შენდობა მეძიებელსა შენდობისასა, მეუფენო ჩემნო...“ 95 v—104 r.

15. „თხრობაჲ მოღებული წმიდათა და სამსახურებელთა ხატთათჳს და თუ ვითარ, ანუ რომლისა მიზეზისათჳს განეწესა დღესასწაული მართლმადიდებლობისაჲ, რომელი მიიღო წლითი წლად აღსრულებად ღმერთმან და დიდმან ღ̃ისა კათოლიკე ეკლესიამან პირუელსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა.—მეფესა თეოფილეს მის ჟამსა რა იგი თჳთმპყრობელობისა ბერძენთაჲსა დაეპყრა მთავრობაჲ მიშუებითა ღ̃ისაჲთა...“ 104 r—111 r.

16. „წამებაჲ წმიდათა ორმეოცთა სევასტიას წამებულთაჲ, სახელები მათი ესე არს: დომენტიანე, ვალენტი, ევსუქი, ელიანოს, სამარაგდე, სისინი, მელიტონ...“ 111 r—115 v.

17. „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაპადუკიელისაჲ, შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთა მოწამეთაჲ.—მარტჳლთა ჴსენებითა ოდესმცა იქმნა განძღომაჲ მოყურისა მათისაჲ...“ 115 v—121 r.

18. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, ქებაჲ ეკლესიად მიმავალთაჲ და კეთილწესიერებისათჳს დიდების მეტყუელებათა შინა და სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ: ვიხილე უფალი მჯდომარედ საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა.—მრავლისა მოსწრაფებისა მჩუენებლად გხედავ თქუენ...“ 121 v—128 v.

19. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მარიამ მეგჳპტელისაჲ, აღწერილი სოფრონის მიერ იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისაჲ. საიდუმლოთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფისათა დაფარვაჲ კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღ̃ისათა ქადაგებაჲ დიდე-ბულ...“ 128 v—146 r.

20. „თხრობაჲ მარგებელთა თხრობათაგან შეკრებულ მაუწყებლად საჴ-სენებელისა საკჳრველებით ქმნილისა სასწაულისასა. რაჟამს სპარსნი და ბარ-ბაროზნი დედოფალსა ამას ქალაქთასა ბრძოლად მოადგეს და წარწყმდესცა საღთოჲთა ბჭობითა განსჯილნი, ხოლო ქალაქი ესე უვნებელად დაცვული მეოხებითა ღ̃ისმშობლისათა, ძიერითგან წლითი-წლადსა გალობს სამადლო-ბელსა დაუჯდომელსა [სა]ხელმდებელი დღისაჲ ამის.—წელთა ირაკლის ბერ-ძენთა მეფობისათა ჴუასრო სპარსთა სამთავროჲს მქონებელმან წარმოავლინა სარვარონ მჴედართ მძღუანელი თჳსი ძალითა მძიმითა ტყუჱნვად ყოვლისა ბერძენთა ქუჱშესა აღმოსავალისასა...“ 146 v—152 r.

21. „ნეტარისა ევსუქი ხუცისა იჱრუსალიმელისაჲ, შესხმაჲ ხარებისათჳს ღ̃ისმშობელისა,—ყოველი ვინ კეთილცნობიერი ენაჲ სამართლად მოიკითხავს ქალწულსა ღ̃ისმშობელსა...“ 152 r—154 v.

22. „იოვანე მთავარეპისკოპოსისა თესალონიკელისაჲ, სიტყუაჲ განკაცე-ბისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესისა და ხარებისათჳს ყოვლად წმიდისა ღ̃ისმშობლისა.—ღამე წარჴდა, ხოლო დღე მოგუჱახლა,—ჴმობს მოციქული, უჩინო იქმნა ღამე ცოდვისაჲ...“ 154 v—156 v.

23. „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა სოფრონ იჱრუსალიმელ პატრიარ-ქისა, სიტყუაჲ ხარებისათჳს ყოვლად წმიდისა უხრწნელისა დედოფლისა ჩუჱ-ნისა ღ̃ისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.—ხარება არს, ძმანო, ხარებაჲ და კუალად ვთქუა ხარება...“ 156 v—176 v.

24. „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინე-პოლელ მთავარებისკოპოსისა, საკითხავი დიდისა ხუთშაბათისა განცემისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესისა.—მჭმუნვარედ ვხედავ დღეს ეკლესიასა სა-ხითა და ფრიადცა შეწუხებულად...“ 175 r—176 v.

25. „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა ანდრეა იჱრუსალიმელისაჲ კრი-ტელ მთავარეპისკოპოსისაჲ, სიტყუაჲ ბზობისათჳს და იჱრუსალიმად შესლვისა უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესისა.—
გუშინ მეუფისა თანა ლაზარე მისტუმრნა ჩუჱნ...“ 176 v—185 v.

26. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირი-საჲ, იგავისა მისთჳს მეზუჱრისა და ფარისეველისა.—საყუარელნო, ორნი კაც-ნი ავიდეს ტაძრად ლოცვად...“ 185 v—189 v.

27. „დიდსა პარასკევსა საკითხავი ჯუარცუმისათჳს და დაფლვისა უფ-ლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესისა, თქუმული ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გიორგი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისაჲ.—მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქადაგებაჲ იგი სახარებისაჲ...“ 189 v—204 r.

28. „...[თქმული წმიდისა ნეტარისა მამისა] ჩუჱნისა იოანე ოქრო[პირისა] [კოსტანტინეპოლელ] [მთავარ]ეპისკოპოსისაჲ, სიტყუაჲ... და ვითარმედ დღესა... განავლინა ადამ სამოთხით, მასვე დღესა შევიდა ავაზაკი სამოთხედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინაწერები: 1. „სულსა ალმტლისშვილისა (!) მონოზონასი იოანეს შეუნდეს ღმერთმან, ამინ„ უფალო ღმერთო“ (ტექსტის ხელით). 59 v.

2. „ქ. სულო უბადრუკო, ცუდად შვრები, რასა ცუდად სდგები? აღდეგ, განიფრთხვე ამიერითგან და უღაღადებდე ქრისტესა. შეგცოდე და შემინდევ, სახიერო“. 123 r. (XVIII ს. მხედრულით).

2259

ფილოსოფია, XVIII

140 ფ.; 19×12,5; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 274.

„თავი პირუჱლი. წინასიტყუაობა, ჶილოსოჶიისათჳს და ნაწილთა მისთა.—§ 1. ვინაჲთგან აწ შრომა ჩუჱნი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ჶილოსოჶიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვჰკარგენითმცა, ვინა პირუჱლ განმარტებისა განვჰსჯით...“ 1 გვ.—281 გვ.

შენიშვნა: სქოლიოშია ანტონის განმარტებანი.

2260

ფილოსოფია, XVIII

190 ფ.; 18×11; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 278.

„თავი პირუჱლი, საქმეთათჳს კაცობრივთა და განწუალებისა მათისა.—ოდეს ჶილოსოჶიასა შინა ითიკასა მჩუჱნებელსა ვითართამე ნივთთა მწადნე ყოფად და რომელთაგანმე განშორებად ჯერ არს...“ 6 r—187 r.

შენიშვნა: უძლვის: „წინასიტყუაობა საითიკოსადმი *ჶილოსოჶიისა..:*“ 2—5 v.

2. თავფურცელი; *ჶილოსოჶია*, ყოფაქცევათა მოძღურებისა ზედდადგინებანი, რომელნი შეიცუჱნ გონებითსა სამართალსა ითიკასა და პოლეტიკასა...“ 1 r.

3. ერთვის: „პინაქსი“. 188 r—190 r.

2261

კრებული, 1824

56 ფ.; 17×10; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1824 წ. (93 გვ.); გადამწერი: პლატონ იოსელიანი (93 გვ.); ადგილი: დუშეთი (იქვე). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 280.

1. „მოთხრობა ჰსჯულთა უღმრთოთა მახმადიანთა, გამოკრებული და სიტყჳს საგებელი ქრისტიანეთა მიერ, ქმნილი ბატონიშვილის ბაგრატისაგან.—

ჟამთა უკუჱ ერეკლე მეფისათა გამოჩნდა მახმად ვინმე, ახალი მწუალებელი, ულმრთო და უსჯულო...“ 1 გვ.—93 გვ.

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია.

ანდერძი: „აღიწერა ჴელითა პლატონ იოსელიანოვისათა, წელსა 1824-სა, აგვისტოს 1-სა დღესა, ქალაქსა დუშეთს“. 93 გვ.

2. „გამოცხადებისათჳს საიდუმლოჲსა. მოგვითხრობდეს დიოსპოლის შინა ქმნილსა სასწაულსა, ვითარმედ მოვიდა ძმისწული სარკინოსთა მეფისა, სახელით ნუნერა...“ 94 გვ.—101 გვ.

3. „თხრობა, რათა არა განიკითხჳდეთ მღუდელთა.—იყო მარკოზ მონაზონი, მეგ[ჳ]იპტელი, რომელსა დაეყო სენაკსა შინა ოცდაათი წელი და არა გამოვიდოდა...“ 101 გვ.—112 გვ.

შენიშვნა: ერთვის: „აღიწერა წიგნი ესე ჴელითა პლატონ იოსელიანოვისათ წელსა 1824-სა, აგვისტოს 2-სა რიცხუსა, ქალაქსა დუშეთს.“ 112 გვ.

უძღვის: „ზანდუკი წიგნისა ამის“.

2262

კრებული, 1759

211 ფ.; (422 გვ.); 16×9; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოსყდა; მხედრული 1759 წ. (1 r); ბოლო 6 ფ. დაუწერელია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 283.

1. „მარიამის გული, წინარე სწავლება.—უკეთუ კაცი სადმე შემძლებელ იყოს ერთიითა ჭვრეტითა მხოლოდ განიხილოს ყოველთა აწინდელთა ქრისტიანეთა სარწმუნოება და სათნოება...“ 1—244 გვ.

შენიშვნა: „საძიებელი გულისა მარიამისი...“ 245 გვ.—248 გვ.

უძღვის თავფურცელი: „გული ყოვლად წმიდისა ღ̃თისმშობელისა და მარადის ქალწულისა, გინა თუ განსაზრახველნი ღ̃თისმშობლისა გულისა შესაყვარებლად კეთილ მსახურთა მისთაგან განსაზრახველნი ერთსა შვიდეულსა შინა დღეთასა თითოეულად 1759“.

2. „ლოცვა შუალამისა, თქმული წმიდისა დიდისა ბასილისი.—მეუფეო ზეცათაო, ღმერთო ჭეშმარიტ, რომელმან მოავლინე ძე შენი საყუარელი მოძიებად წარწყმედულისა ამის ცხოვარისა ვცოდე“ 249 გვ.—255 გვ.

3. „მონანული გული, მიზეზნი გულიანი სინანულისათჳს. წინასწავება.—ეს არს ნეტარებისა უკუჱ დიდ ბედი, რომელ მადლსა ღ̃თისასა ვერღარა წარსწყმედენ და ესე არს ცოცხალთა ადამიერთა ბედი...“ 257 გვ.—348 გვ.

შენიშვნა: დართულია „საძიებელი გულისა მონანულისა“. 349 გვ.—350 გვ.

4. „ჯუარის გზა.—(ლექსად).

აქ ქრისტეს უმანკო კრავსა,
უცოდავ მყოფსა, უბრალოს,
ცოდვის შენით აღტვირთულსა.
მამა ჯვარსცმად სჯის უვალოს;
კეისრის შიშითა პილატეც
სიკუდილად მისცემს უძალოს.
და შენც კაცთ შიშისთჳს ნუ სცოდავ,
თვარა მიგბაძავს უწყალოს...“ 351 გვ.—356 გვ.

შენიშვნა: ლექსს „ჯუარის გზა“ ერთვის შემდეგი:
„ვინც ამ ლექსების ლოცვითა გოლგოთის მთასა ახვიდეთ,
იესოს ჯვარსცმით სიმწარით მარიამს მწუხრად ნაჴვიდეთ,
ცოდვით მწუხარე გახსომდეთ, ჩემს მეოხებას ზრახვიდეთ,
და ერთის «გიხაროდენის» თქმით მეც თქვენს ლოცვაში მსახვიდეთ.
ენკენისთჳს 3 ჩღჲბ, ქ˜კნსა უნა, ავთანდილ“. 356 გვ.

5. „ჯუარის გზა.—სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ; ღმერთო, შეწევნად ჩვენდა მოხედენ, უფალო, შეწევნად ჩვენდა ისწრაფე. დიდება მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ვითა პირველად იყო და აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ეს ასე ისწავე ჴორციელისა კვირიდგან დაწყობილი...“ 359 გვ.—420 გვ.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი: „ჯუარის გზა, გინა ჯუარაღტვირთულის ქრისტეს მოგზაურობა კაპპეთით ვიდრე გოლგოთის მთადმდე, საგანზრახონი ათოთხმეტნი, წესისა მისებრ წმიდათა ადგილთა იერუსალიმისათა, ამინ.“ 357 გვ.

2263

ბაუმეისტერი—დასაბამნი ფილოსოფიისა, 1762

142 ფ.; 18×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1762 წ. (1 r); დაუწერელია დასაწყისი და ბოლო ფურცლები. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 284.

„თავი პირუჱლი, წინასიტყუა ფილოსოფიისათჳს და ნაწილთა მისთა.—§ 1. ვინათგან აწ შრომა ჩუჱნი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვკარგენითმცა...“ 20 r—142 v.

შენიშვნა: 1. უძლვის „წინასიტყუაობა“. 6 r—18 r.

3. „პინაქსი“. 19 r—v.

მინაწერი: „ესე წიგნი ეკუთუნის პლატონ იოსელიანოვს, Сия книга принадлежит Платону Іоселиянову“.

2264

ანტონ კათალიკოსი—საქართველოს ისტორია XVIII—XIX

30 ფ. (62 გვ.); 18×10; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XVIII—XIX] (ჭვირნიშანი 1797). ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი **№ 291.**

„სიტყუა I.—პირველად ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართველთა, ესე იგი, ქართველთა, იმერთა, კახთა და ჯავახთა, რომელთაცა ყოველთა მათ ეწოდების ქართველი, იყო ქართლოს. ხოლო ჰსწერენ წერილთ-მწერალნი სომეხთა და ქართველთანი, ვითარმედ ტომისაგან იაფეთისა ყოფად ქართველთა და სომეხთასა...“ 2 გვ.—62 გვ.

წ ყ დ ე ბ ა: „...და მოიყუანა მან ცოლად ასული კახთა მეფისა ირაკლისი, დაჲ მეფისა კახთა...“.

შენიშვნა: უძლვის განმარტება: „მისს მაღალს მსვლელობას ღენერალ-მაიორს ივან ლვოვიჩს, ყიზლარის კამენდატს *ფროუნდორფს*, მე უღირსი ანტონი კათალიკოსი სრულიად საქართუჱლოჲსა მოვაჴსენებ მათგან ბრძანებულებისამებრ თხოვისა, რომელიცა დალაცათუ მრავალ-განსაცდელ შემთხვევისაგან დავიწყებით სახელნი მეფეთა საქართუჱლოსათანი თჳთო-თჳთოდ არღარა მაჴსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახელნი, ანუ გარდაცვალებანი მეფეთა გუართანი და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ, ესენი არიან. რომელნიცა ძველთა შინა მატიანეთა საქართუჱლოჲსათა წარმიკითხავნნ“. 1 გვ.

2265

დაუჯდომელი, XIX

31 ფ.; 3,5×2,5; ქაღალდი; ლითონის ყდა; ნუსხური, სათაური სინგურით; ბოლო სამი ფურცელი დაუწერელია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 235.

„იბაკონი და იკოსნი წმიდისა ღ~ისმშობლისანი. ჴმაჲ.—ზეშთა მბრძოლისა ჩუჱნისათჳს და მოღუაწისა უძლეველისა, ვითა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავთ, ღ~თისმშობელო ქალწულო...“ 3 r—27 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...კუალად ანგელოზი წინამდგომი და ზეშთა მბრძოლისა...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2266

სახარება, XVII—XVIII

237 ფ.; 5,5×4; ქაღალდი, ნუსხური; ვერცხლის ყდაში; გადამწერი: პავლე (230 r) მოეპოება მახარებელთა ილუსტრაციები: 6 v, 65 v, 102 v, 165 v; თითოეული სახარების დასაწყისში არის თავკაზმულობა; ადგილი: თბილისი (230 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 296.

„წიგნი შობისა იესუ ქრისტესი ძისა დავითისა ძისა აბრაამისა. აბრაჰამ შვა ისაკ, ისაკ შვა იაკობ...“ 7 r—230 r.

ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ღ͞ისმოყვარენო მამანო და ძმანო, ნაშრომსა ამას ჩემსა ცოდვილის პავლესთჳს, რომელმან აღვწერე წმიდა ესე სახარება სახსრად სულისა ჩემისა, რათა წმიდითა ლოცვითა თქვენითა მოვილო შენდობაჲ ცოდვათა. ვინც ჴილვად მოიღებდეთ, შენდობა ყავთ ღ͞ის გულისათჳს.“ 230 r.

შენიშვნა: ვერცხლის ყდა მოჭედილია, მარჯვენა ყდაზე გამოხატულია ქრისტეს ჯვარცმა, მარცხენა ყდაზე მეფის ასულის განკურნება.

2267

სახარება, XVIII

242 ფ.; 9×4,5; ქაღალდი; ვერცხლის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით, ნაწერია ორსვეტად, ტექსტს შემოვლებული აქვს ოქროსფერი ჩარჩოები; სახარების თითოეული თავი იწყება თავკაზმულობით; მოეპოება მახარებელთა ილუსტრაციები: 8 v, 85 v, 130 v, 188 v; [XVIII ს.]; ყდა შემკულია ძვირფასი თვლებით, მარცხენა ყდის ირგვლივ ჩასმულია 50 ფირუზის პატარა მარცვალი, შუაში დიდი თვალი. საცავი ფურცელი გაფორმებულია მდიდრულად. ორნამენტი და ჯვარის გამოსახულება: 6 v, 7 v. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 297.

„პირველი თავი. სახარება მათესი.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესი ძისა დავითისა, ძისა აბრაჰამისი, აბრაჰამ შუა ისაკ, ისაკ შუა იაკობ...“ 9 r—242 v.

შენიშვნა: ერთვის არაბულად: يسوع المسيح ابن إللّه الوحيا

2268

ლოცვანი, 1746

60 ფ.; 6,8×4,5; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა ტვიფრული; 1746 წ. (49 v); გადამწერი: სიონის დეკანოზი ნიკოლოზ (49 v); ნაწერია ერთ სვეტად, მოთავსებულია ხაზოვან ჩარჩოში. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 301.

„იბაკონი უფლისა ჩუ͞ენისა იესუ ქრისტესი, თქმული წმიდისა თეოქლისტე სტოდიელის მონასტრისა, იბაკო ა.—ზეშთა მბრძოლო უფალო, ჯოჯოხეთისა დამთრგუნველო...“ 2 r—49 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ერთვის: „გალობა ყოველთა წმიდათა...“ 50 r—60 r.

ანდერძი: „ფრიად ცოდვილი და უღირსი დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ, ქრისტე, შეიწყალე. ჩღნვ (1746 წ.)“. 49 v

2269

კათოლიკური ლოცვანი, XIX

263 ფ.; 12×8; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული (ერთვის სომხური და ლათინური მინაწერები). [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 305.

„დილის ლოცვა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.—უფალო, აღახუნე პირი ჩვენი, რათა უგალობდეთ წმიდასა სახელსა შენსა...“ 3 r—251 v.

შენიშვნა: 252 r—255 v. ლათინური ლოცვა ქართული ტრანსკრიპციით. 255 v—257 v. სომხური—ქართული ტრანსკრიპციით.

მინაწერი: „პარუნ პეტრე, ხიზაბავრის საყდარს რომ შუშის ჯაჭის დაჰპირდი, არ დაივიწყო, და როდესაც მოგაგონდეს, ყური არ წაუგდო, რადგან როდესაც შესწირე და თქვი ის, მაშინ შეიწირა და არ იქმნას. რომ არაფრად დასთვალო ის დაპირება და უღალატო. და ისევე სურფნიშნის ეკლესიის მადლი შეგეწიოს ყოველს შენს დაჭირებაში სულიერად თუ ჴორციელად, ამინ“. 260 v.

2270

ლოცვანი, 1781

105 ფ.; 9,5×75; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნაკლული; 1781 წ. (82 r, 88 v, 101 v); გადამწერი: ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი (88 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 306.

„ლოცვანი შუაღამისანი: რა ჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანე: «სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ».“ 1 r—105 v.

წ ყ დ ე ბ ა: „კჳრიაკესა მეხუთესა მარხვათასა ღირსისა დედისა ჩუ̂ნისა მარიამ მეგვიპტელისასა, შაბათსა მეექვსესა მარხვათასა...“ 105 v.

მინაწერები: 1. „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო, შეეწიე, შეიწყალე, დაიცვე და დაიფარე შენის მადლითა და საფარველითა მონა შენი კორნილიეს“ (ტექსტის ხელით). 33 r.

2. განსრულდა პარაკლისი ღვთით. შეეწიე, დედაო ღ̂თისაო, კორნილიეს. ამინ“ (ტექსტის ხელით). 51 v.

3. „აღესრულა იბ თვე სრულიად. ღმერთო დიდო და მაღალო, მშვიდობასა და დღეგრძელობაში აჴმარე მონასა შენსა კორნილიეს ჩაჩიკას-შვილსა. სეკდენბერს ი, ქ̂კს უპთ“ (ტექსტის ხელით). 82 r.

ანდერძი: „განსრულდა წმიდა ესე ლოცვაები ყოვლითურთ ექვსი მოსაგონარი, დაუჯდომელი, პარაკლისი, თორმეტი თვე—გამართული ჴსნილითა და მარჯვა-უქმითა, სვინიდისი და ბოლოს ქორონიკონი. ჴელითაზე გამართული ჴელითა ჩაჩიკასშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღდლის ნიკოლოზისათა. მამაო უშობელო, ძეო შობილო და სულო წმიდაო, მამისაგან გამოსრულო და ძისაგან მოცემულო, სამ-გუამოვანო და ერთ-ბუნებაო, მეოხ და შემწე ეყვენით მონასა შენსა კორნილიეს, ამინ. სეკდენბერსა **ია**, ქ~კს **უჲთ.**“ 88 v.

„შვილო ჩემო, კორნილიე, ეს ასეთი წიგნი დამიწერია შენთვის, რომ სულიერად და ჴორციელად ორისათჳსვე საკმარი და შესამატია. არც გაიყიდება და არცა გაიცემა. იცოდე, რასაც კაცს ესე აქვს, დაიფარავს ყოვლის განსაცდელისაგან, მავნისა წყლისა, მტერისა, ჭირისა და განსაცდელისაგან სულით და ჴორცით. განსრულდა სეკდენბერს **იგ**, შენსა დღეობასა, ქ~კს **უჲთ.**“ 101 v.

მინაწერები: „დაიბადა ჩაჩიკას-შვილი კორნილიეს სეკდენბრის **იგ**, ქ~კს **უნა**“. 102 v.

„ამ წმიდის ეპისტოლის მადლო, დაიფარე სულით და ჴორცით, ცოლით და შვილით, ძმით და დებით მონა და მადიდებელი კორხილიე, ვითა დაიფარე ანგაროზ (!) მეფე და მისი ქალაქი ედესია. ეგრეთვე დაიფარე მონისა შენისა კორნილიესის მეფე და ქალაქი, მისი მეფე, რომელ არს სული მისი და ქალაქი—გვამი მისი. დაიფარე უფალო, სახლი, კარი და ნატამალი მონისა შენისა კორნილიესი. სეკდენბერსა **იგ**. ქ~კს **უჲთ**“. 104 v.

2271

დავითნი, XVIII

132 ფ.; 9,5×7; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა, გატეხილი; ნაკლული; [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 308.

„ნეტარ არს, [რომელი არა] მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა, დასაჯდომელსა ურჯულოთასა არა დაჯდა, არამედ სჯულსა უფლისა არს ნებაჲ...“ 1 r—132 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...წინასწარმეტყველებაჲ ზაქარიასი, მამისა წინამორბედისა, კურთხეულარს უფალი, ღმერთი ისრაელისა, რამეთუ მოხედნა და ყო ჴსნა...“

2272

დაუჯდომელი ღვთისმშობლისა, XVIII

71 ფ.; 8×5,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; 64 v—71 v-დე დაუწერელია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 309.

„...ზეშთა მბრძოლისა ჩუჱნისათვის და მოღუაწისა უძლეველისა, ვითა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღვსწერთ, ღ~ისმშობელო ქალწულო...“ 1 r—63 r.

მინაწერი: „ესე წიგნი ეკუთვნის პლატონ იოსელიანოვს, წელსა 1823 года, მაისის 8.“ 64 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2273

არისტოტელი — განმარტებისათვის, 1789

111 ფ.; 17×11; ქაღალდი, მხედრული; უყდო; გადამწერი: დავით რექტორი (110 r); ადგილი: თელავი. 1789 წ. (110 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან ძველი № 310.

„დასაბამი და წინადადება წიგნთა, რომელი ითქმის ელინთამებრ პერიარმენიას, ხოლო ქართუჱლთამებრ—განმარტებისათჳს, წარმოდებული უფროსად ბრძნისა არისტოტელისა მიერ, თარგმანებული და განმარტებული დავითის მიერ, არმანთა ფილასოფოსისა. პირველად ღირს არს დადებად, რაჲ არს სახელი და რაჲ ზმნაჲ; მერმე—რაჲ არს უკუთქმა და წართქმა და აღმოჩინება და სიტყუა...“ 5 r—106 r.

ანდერძი: „აღუსწერე თელავის ქალაქის სემინარიის რექტორმან ალექსის ძემან დავით, თთუესა მარტსა ლ, წელსა ქ~ესსა ჩღჟთ, ქ~კს უპზ, დასაბამითგან სოფლისა ჴელ. დავით. (გამართულია თ~სსა დედასა ზედა)“. 110 r.

2274

„სიმეტნე ღრამმატიკისა“, XVIII

38 ფ.; 17,5×10,5; მხედრული, სათაურები სინგურით; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 311.

„სიმეტნე ღრამმატიკისა პირუჱლისა კერძოსა. კითხვა-გებანი ღრამმატიკისათჳს და ნაწილთა მისთა, რომელთა ზეპირ უჴმსყე გამოხატვა გონებათა შინა სწავლის შინათა ქვემო ამისსა.—ღრამმატიკისა ნაწილთათჳს. თავი პირუჱლი.

კითხჳა: რაჲ არს ღრამმატიკა?

მიგება: ღრამმატიკა არს გამოცდილება სიტყჳსმოქმედთა და აღმწერელთა ზედმიწევნილთა მიერი...“ 1 r—38 v.

მინაწერი: „საქართველოს [მეფის] ძის იოანესი არს სიმეტნე წიგნი ესე“. 1 r.

2275

გვირგვინი, XIX

177 ფ.; 16,5×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ტვიფრული; მხედრული; [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 314.

„ღვთივ შუენიერი თხრობანი, ფილოსოფიურად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გჳრგჳნი. თავი ა. მღუდელმოქმე[დე]ბისათჳს და საიდუმლოსა გამოცხადებისა. თხრობა ა: გამოცხადებისათჳს წმიდასა საიდუმლოსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყუარულისა.— ღმერთი, რომელი სიყუარული არს, ნამდვილ რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს..." 1 r—171 v.

შენიშვნა: ერთვის 1. „ბეჭედი გჳრგჳნისა." 172 r.
2. „ზანდუკი". 172 v—175 v.
მინაწერი: „ქ. საქართველოს მეფის სძლის ქეთავანისა არის ესე წიგნი, წერეთლის ასულის". 1 r.

2276

ლოცვანი, XVIII

279 ფ.; 13×9,5; ნუსხური, სათაურები სინგურით; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნაკლული, [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 316.

„...უგინებელო, უხრწნელო, ღ~ჲ სძალო დედოფალო, ესე ყოველი განგებაჲ ხადილიანის ბოლოსა ჰპოოთ და ჩამოლოცვაჲ...

2277

საგალობელი, XVIII

23 ფ.; 13,5×9; ქაღალდი; უყდო; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 317.

„საუფლოთა დღეთა და გამოჩინებულთა წმიდისა, რაჟამს ტიბიკონმან სადიდებელი მიასწაოს. ფსალმუნი რლდ.— აქებდით სახელსა უფლისასა, აქებდით მონანი უფლისა..." 1 r—23 v.

წ ყ დ ე ბ ა: „წმიდათა უხორცოთა ანგელოზთა საგალობელი, პირველი მგალობელნი იტყვიან..."

2278

იოანე ოქროპირი—მარგალიტი, XVIII

221 ფ.; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სხვადასხვა ხელი, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; გადამწერი: ქრისტეფორე (77 r); ნაკლული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 318.

„ამას წიგნსა ეწოდების მარგალიტი, რომელ არს მრავალთაგან თქმულთა ოქროპირისათა, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ~ნისა იოანე ოქროპირისა. თავი პირუ~ლი.— დიდ არს, საყუარელნო, მოთმინებისა მადლი და სულგრძელებისა..." 2 r—221 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და საქმეთა იწყონ მეტყველებად მას ჟამსა; „რაჲ ვყო", რამეთუ კეთილთა საქმეთაგან უძლური ვარ ლოცვისათვის...".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ქრისტეფორე". 77 r.

„ფრიად ვეტრფე ღთ῀ივ სა῀რსა (?) ამას მეტყველებასა მე სულითა გლახაკი იოსებ. 163 v.

„ქ. ფრიად კეთილ არს წიგნი ესე მომგებელთა ამისთა, ხოლო უმეტეს მსმენელთა კეთილისა მომატყვებელი (!) ექმნების, ძმანო, მე ცოდვილი იოსებ". 1 r.

2279

„გამოკრებულნი ადგილნი «მიწყალეს» თარგმანიდამ და აპოლოგიიდამ", 1744

29 ფ.; 18×11; ქაღალდი; უყდო; მხედრული; შემდგენელი: ანტონ I; გადამწერი: პლატონ იოსელიანი; ადგილი: ს. პეტერბურღს (57 გვ.).

§ 181. ერთი უკუღ არს ესე შესაწევნელად ცთომათა თჳსთა, ლათინთა მიერ მოღება წინა-აღმდგომად ჭეშმარიტებისა, თქმა პირისა ღ῀ისა ესე იგი მამისა, რამეთუ სამღრთო მნათობი ათანასი იტყვის მესამეოცისა ფსალმუნისა განმარტებასა შინა: პირი მამისა არს ძეჲ, ვითა იტყჳს, რომელმან მიხილა მე..." 3—57 გვ. გვ.

შენიშვნა: ერთვის თავფურცელი: გამოკრებულნი ადგილნი მიწყალეს თარგმნიდამ და რომელნიცა შეუდგენია კათალიკოზს ანტონის 1 ვლადიმირის ქალაქს შინა. წარდგენილნი ზაქარია მაძღურისაგან სინოდში გასამართლებელად თავისა თჳსისა. ხოლო მე გარდმოვჰსწერე ესე სინოდის არხივიდამ 1768 წლისა საქმე, № 292, ქალაქსა ს. პ. ბურღს, წელსა 1844-სა, მაისის 26-სა. კოლლეჟკის ასსესორმან და კავალერმან პლატონ იოსელიანმან." 1 გვ.

ანდერძი: „გარდმოვჰსწერე ნამდვილიდამ უმეტნაკლებოდ წელსა 1844-სა, მაისის 26-სა პლატონ იოსელიანმან, ქალაქსა ს. პეტერბურღს". 57 გვ.

2280

არითმეტიკა, XVIII

66 ფ.; 15×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 321.

„...ადიციოს შეკრება თუ გაერთება...".

შენიშვნა: 1. ძლიერ ლამაზსა და უფრო ძველ ძირითად ტექსტს ხშირად ახლავს ახალი, უფრო გვიანდელი და ულამაზო ხელით შესრულებული ტექსტი.

2. მაგალითებთან ჩაწერილია ამოცანების ტექსტი.

მინაწერი: „სურეთის ხემწიფე დამარცხდა იანვრის 28 გასულს." მარჯვენა ყდაზე.

პირველ r-ზე ხის ბეჭედი ლეგენდით: „მონა ღვთისა გრიგოლ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

2281

კრებული, 1793

141 ფ.; 16,5×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1793 წ. (141 v); გადამწერი გაიოზ (იქვე). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 322.

1. „წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინუპოლელ პატრიარხისა ღუთივ შუჱნიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების მარგარიტი. თავი ა მოთმინებისათჳს.—დიდ არს, საყუარელნო, მოთმინებისა მადლი და სულგრძელებისა, რათა არა სულმოკლე და მოწყენე ვიქმნებოდეთ...“ 3 r—60 v.

2. ცხოვრება და მოქალაქობა ნისიმეს, რომელი იყო ასული მეფისა მეგჳპტელისა და იქმნა წინამძღუარ უდაბნოჲსა მძოვართა ზედა რიცხვით ოთხასთა.—იყო ეგჳპტეს ქალი სახელით ნისიმე. და იყო ჴელსა ქუჱშე მისსა ათხუთმეტი ქალაქი...“ 64 r—79 v.

3. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა იოანესი, რომელი გლახაკ იქმნა ქრისტესთჳს მონასტერსა მას დაუძინებელთასა.—იყო ქალაქსა შინა კოსტანტილეპოლეს კაცი ვინმე კურთხეული ღ̃თისა მიერ, შემკული სიტყუათა და საქმითა და ყოვლითავე საღმრთოთა სათნოებითა. და იყო იგი მდიდარ ფრიად...“ 81 r—96 v.

4. „ცხოვრება და მოქალაქობა ევჶემიანესი და ძისა მისისა ალექსი კაცისა ღ̃თისა.—იყო ვინმე ჰრომს ქალაქსა შინა კაცი მორწმუნე და მართალი და მდიდარი ფრიად, და სახელი მისი ევფემიანე...“ 97 r—104 r.

5. „ცხოვრება და მოქალაქობა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ქსენეჶორესი.—გვითხრობდ ბერთაგანი ვინმე ფრიად სათნოჲ, ვითარმედ იყო სეფეწული სახელით ქსენეჶორე. და ესე მოსწრაფე იყო მცნებათა ღთისათა აღსრულებად...“ 105 r—119 v.

6. „თხრობა სულიერი წმიდათა სამთა ღთივ სულიერთა დედათა.—მოგვითხრობდა პავლე ეპისკოპოსი და იტყოდა: კუალად წარუჱმართე აღმოსავლეთით მოხილვად წმიდათა ადგილთა...“ 120 r—125 r.

7. „ღ̃ვთივ სულიერი ესე წიგნი, თხრობა ღირსთა და პ[ა]ტიოსანთა დედათა.—იყო ქალი ვინმე ასული დიდებულისა მთავრისა სახელით ლალა, რომელი იგი შერთო მამამან მისმან მეუღლესა დიდებულთა შვილსა...“ 126r —130 r.

8. „თუჱსა სეკდენბერსა ივ. წამება წმიდისა და ყოვლად ქებულისა ევფემიასი.—მეფობასა ულთოსა და უსჯულოსა დეოკლიტიანისსა და მთავრობასა პრისკოსსა, იყო რიცხვი დიდი ქრისტიანეთა, ხოლო შემდგომსა მას მეფისასა ისუა მეგობარი ულთო სახელით აპელინოს...“ 131 r—141 r.

ანდერძი: „ყოვლად საყვარელო სულიერო ძმაო დოსითეოს. შენ მიერ წყებული ამის წიგნისა კერძო მე აღვასრულე სურვიელი ბრძანებისა შენისა. ესე წმიდა ევფემია მეოხ გვეყოს ორთავე...“ 141 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აღიწერა მრავალმთეს უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდის დავითის სამარხოსა 17 $\frac{7}{27}$ 93. ცოდვისთჳს მოტევებას ვითხოვ. გაიოზ (ასოგრეხილით).“ 141 v.

უძღვის „ამას წიგნსა ეწოდების მარგარიტი“. საცავი ფურცელი.

მინაწერი: „მეფის სძალი წერეთლის ასული ელენე“. 3 r.

2282

«სძლის პირნი», 1787

114 ფ.; 26×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1787 წ. (113 r); გადამწერი; სოლომონ (ალექსიშვილი). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 323.

„სძლის პირნი და ღ~სმშობლისანი. ჴმა ა.—სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღუა მღელუარე სიტყჳთ განაპჴმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმიძღუა ჩუენ ზეცად...“ 4 r—61 v.

შენიშვნა: ერთვის 1. „თთუესა აგვისტოსა ვ, რუა-ჴმა, ფერისცუალებისა“ 62 r—65 v.

2. „წმიდასა და დიდსა პარასკევსა ცისკრად, რომელ არს შეხუეტილიანი.“ 67 r—70 v.

3. „წმიდათა ორმეოცთა მეხუთესა კჳრიაკესა ხუთშაბათსა, წმიდისა მამისა ჩვენისა ანდრია კრიტელისა, საგალობელი სამწუხრის და საცისკრო სინანულისათვის.“ 72 r—88 v.

4. „ლოცუამან ანნა.—შენის დაფნის ამოებს ასურსა...“ 89 r—90 r.

5. „ნუსხა ჴრელისა სრული და მრთელი, თავი უცხო სამ კილო განუკრწნელადზე.“ 94 r—112 v.

6. „გვარნი ჴრელთანი“. 112 v—113 r.

მინაწერი: „უღირსი სოლომონ დავშვერ. სამს დღესა განსრულდა ეს ჴრელის ნუსხა, ფებერვალს 3, ქ~კს უოე“.

2283

[მაქსიმე აღმსარებლის მოძღვრებანი]: „სიყუარული არს გულსმოდგინება სულისა კეთილისა“, 1803

III+146 ფ.; 17×11; ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაური ასომთავრული სინგურით; 1803 წ. (143 r); გადამწერი: დავით რექტორი (143 r); დაზიანებულია ბოლო დაუწერელი ფურცლები. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 324.

„სიყუარული არს გულსმოდგინება სულისა კეთილისა.—რომელი არა რაჲსა არსთაგანსა პატივჰსცემს უფროს ღ~ისა ცნობისა, ხოლო შეუძლებელ არს ამის სიყუარულსა ანაგებად მოსლუაჲ მისგან, რომელსაცა რაჲსაცა ქუეყნიერთაგანისა მიმართ აქუნდეს ვნებულ მოყუარებაჲ...“ 3 r—143 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. უძღვის „აჰა, ესერა მოღუაწებითისა ცხოვრებისა თჳსისა სიტყჳსა თანა სიყუარულისათჳსცა წარმოვეც სიტყუაჲ ღირსებისა მიმართ შენისა, მამაო ელპიდი, სწორ-რიცხუჳდი თავებითა ასეულთათა, ოთხთაობათასა წმიდათა სახარებათასა. ნუ უკუჱ და ვერ ღირსი შენისა მოლოდებისა, ხოლო არავე უდარესი ძალისა ჩუჱნისა. გარნა უწყოდენ სიწმიდემან შენმან, ვითარმედ არცა ესენი ჩემისა გონებისა ნამუშაკევნი არიან, არამედ წმიდათა მამათა სიტყუჱბისა წარმკითხუჱლმან მიერ შემოკრებითა ამის პირისა შესაბამისა გონებისათა მრავალთაგან მცირედი თავთავიანად შემოვჰკრიბე, რათა ადჳლ საცნობელ იქმნენ ადჳლ სახსენებელობითა. და წარმოვჰსცენ ესენი ღირსებისა შენისა, რომელსა ვჰლოცავ კეთილ ცნობიერებით აღმოკითხუად ამათდა და მხოლოდ მათ შინაჲსა სარგებელისა მონადირებად. ხოლო ლექსთა უმკობელობისა გარე წარვალდ და ლოცუად ჩემისა სიგლახაკისათჳს, ვითა ყოვლისა სულიერისა სარგებლისაგან ოჴერქმნილისათჳს. ხოლო გლოცავ ამასცა, ნუ საშფოთად შერაცხ თქმულთა ამათ, რამეთუ ბრძანება აღვასრულე. ხოლო ამას ვიტყჳ, ვინაჲთგან სიტყჳთ მაშფოთებელნი მრავალ ვართ დღეს, ხოლო საქმით მასწავლენი ანუ განსწავლულნი ყოვლად მცირე არიან, უფროისღა შრომით განიხილევდ თჳთოეულსა ამა თავთაგანსა, რამეთუ ვითარ ვჰგონებ არა ყოვლად ყოველთა ადჳლ მისაწთომელ არიან, არამედ მრავლის რაჲს მოქენე მრავალთა მიერი მრავალთა თანა გამოკულევისა დალათუ მარტივ თქმულად საგონებელ არიან. რამეთუ ნუ უკუჱ და საკმარ რაჲმე აღუჩნდეს სულსა ამათ მიერ გამოცხადებული რაჲმე და უეჭუჱლად აღუჩნდესცა მადლითა ღ̃ისათა უმეცნოსა გონებასა და შიშითა და სიყუარულითა ღ̃უთისათა აღმომკითხუჱლსა. ხოლო რომელი არა სულიერისა სარგებლისა ძლით მიემთხუჱვოდის, გინა თუ ამას, ანუ სხუასა ნამუშაკევსა, არამედ ლექსთა ინადირებდეს დასამკობელად აღმწერელისა, რათა თავი თჳსი რეცა ვითარ იგი ჰგონებს მისსა უბრძნეს აჩუჱნოს, ესე ვითარისა მისთჳს არა რაჲ სარგებელ არა ჰქმნას არაოდეს არცა სადაჲთ, არცა ვინაჲვე, ამინ.“ 1 r—2 v.

2. ერთვის „წერითაც თჳთ ეს წერილი ჴელითა ჩემითა აღვსწერე და გამართვითაც თვისსა დედასა ზედა წარკითხულ და გამართულ ვჰყავ, თვესა ივნისსა ბ; წელსა 1803, ქ̃კს უჟბ. რექტორი დავით.“ 143 r.

2284

კრებული, XVIII

131 ფ.: 17×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII ს.]; (ჭვირნიშანი 1794)., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 328.

1. პორფირის შეყუანილება.—ნანდვილ საჭიროა ხვრისაორიე და არისტოტელისა მიერთსა შინა კატიღორიათა მნებავი მასწავლებლობათა ცნობად, რაჲ ნათესავი, რაჲ განყოფილებაჲ, რაჲ სახე, რაჲ თვისი და რაჲ შემთხუჱვითი განსაზღურებათა გარდაცემისადმი...“ 1 r—19 v.

2. „მყოფისათვის არსებისა და შემთხუჱვითისათვის. თავი I.—ყოფი (!) ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა.' ესე უკუჱ მყოფი განიკუჱთების არსებისა მიმართ და შემთხუჱვითისა...“ 20 r—61 r.

შენიშვნა: მარჯვენა აშიაზე: „არისტოტელის საზღუართა წიგნისაგან. და სხუათაცა *ფილასოფო*სთა მიერისა ღრამმატიკებრთა საზღუართა [მაგ]ალითთაგან.“ 20 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. „დასაბამი და წინადადება წიგნთა, რომელი ითქმის ელინთამებრ პერიარმენიას, ხოლო ქართულთამებრ განმარტებისათვის. წარმოდებული უფროსად ბრძნისა არისტოტელისა მიერ, თარგმანებული და განმარტებული დავითის მიერ ჰარმანთა ფილოსოფოსისა.

პრაქსისი ა.—პირუელად ღირს არს დადება, რაჲ არს სახელი და რაჲ ზმნაჲ...“ 62 r—130 v.

მინაწერი: „აღნაქსვი კეთილ, ხოლო არ ადვილ სასმენად,
წარკითხუა ადვილ, გარნა მოღება არ ადვილ,
რაჲცა არსი ამისი, არსი პოვნად,
მოღება ფრიად ნაყოფთა ფრიად ძნიად.
მრჩობლთა ვასრულეთ ხილულად წინ-მდებარედ“. 131 r.

2285

კონდაკი, XVIII

127 ფ.; 19×12; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, დაშლილი; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაზიანებული; დასაწყისი აკლია; [XVIII ს.). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 331.

„...ა მისთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მისნი...“

შენიშვნა: ერთვის „ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, ამოდ და პატიოსნებით დაიცევ ორსავე შინა ცხოვრებასა მანგლელ ეპისკოპოსი ონოფრი და მეუფე ჩუენი პატრონი ქრისტეფო[რე]“. 127 v. (ტექსტის ხელით).

მინაწერი: „ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლე[ლ] პატრიაქისა... [წმიდ]ისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელ მთავარ [ე]ბისკოპოზისათა.“ მარცხენა ყდაზე ნუსხურით.

2286

ლოცუა შუაღამისა, XVIII

41 ფ.; 16×10,8; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; ნუსხური, სათაურები ასომთავრული სინგურით; ნაკლული; [XVIII ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 334.

„ლოცვანი ღთისმშობლისანი თქმული იოსებ გამოეტყუულისა მიერ. ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შევვიწყალენ ჩუენ.—წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, კ̃ სნი ი̃ ზ. მღ̃ ით თაყვანის ვცეთ გ. უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდის, უფალი შესავედრებელ არს...“ 1 r—40 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მართალი იოსებ შეშფოთნა, რამეთუ უქორწინებელსა ვხე...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2287

ანტონ კათალიკოსი—გრამატიკა (პირველი ნაწილი), XIX

58 ფ.; 25×20; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; [XIX], (ჭვირნიშანი 1818). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 340.

„თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირველი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თჳთოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფექმნილთა. თავი პირუჱლი. ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1.—რიცხუსა შორის ჩუჱნ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 6 r—57 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...ნაწილი მეორე...“ თავფურცელია მხოლოდ. 58 r.

შენიშვნა: უძღვის 1. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართუჱლოჲსა...“ 1 r—2 r.

2. „პინაქსი“. 3 r—5 r.

2288

იოანე ბატონიშვილი—ქართული გრამატიკა, 1829

50 ფ.; 22,5×18; ავტოგრაფი; 1829 წ. (3 r); ადგილი. სანკტპეტერბურგი (3 r); უყდო, დაშლილი; ნაკლული.

„ღრამმატიკა თავი 1.—ღრამმატიკა არს მართლ უბნობა და წესიერად წერა.

ღრამმატიკა განიყოფების ოთხად: 1. წიგნად. 2. მარცვლად. 3. ლექსად. 4. სიტყუად. და ესენი არიან უმთავრესნი ნაწილნი ღრამმატიკისანი...“

შენიშვნა: 1. აღნიშნული ხელნაწერის შესახებ იხილეთ (ლ. მეგარიშვილი, იოანე ბატონიშვილის გრამატიკა. „სახალხო განათლება“ 1948 წ. № 47 (1003) 11 ნოემბერი).

2. ხელნაწერის მეორე ნაწილი იხ. H: 2249.

2289

იოანე ბატონიშვილი—ლექსიკონი, XIX

8 ფ.; 23×17; ქაღალდი; უყდო; ნაწილი; მხედრული, ავტოგრაფი; [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 342.

„ლექსიკონი ბატონიშვილის იოანესაგან ქმნილი.—
არმაღანი—ძღვენი...“ 1 r—8 v.

წ ყ დ ე ბ ა: „ბელლოჯი—კლდეში ფულური...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2290

ქართულ-სპარსულ გამოთქმათა სავარჯიშო წიგნი, XIX

2 ფ.; 17×32; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; მხედრული; [XIX ს.]. ორი ბეჭედი უზის.

„ვაშლ-ნიკ[ა]პოვანი, ლოყა ლალ ფეროვანი.
ჩი სიბი ზინახტან ჩი როუხ ლალა რანგ...“
წ ყ დ ე ბ ა: თუ დედაკაცები არა გაშინჯო სარწმ...—
ბარ ზანაან ნაა ააზმუდა, ხაათ...
დედაკაცების სიტყვით...
ბა გოჳთაარ ზანაან...“

თავფურცელი: „რუსული თურქთა ენათათჳს და ქართულად გარდმოღებული“.

2291

საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, 1792

22 ფ.; 20×17; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1792 წ. (22 r); გადამწერი: დავით რექტორი (22 r). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 345.

„წარმოდგომილსა ამას სამღუდელოსა და ღირსსახსენსა ადგილსა...“ 5 r—22 r.

შენიშვნა: უძღვის „წელსა 1783 მაისს 28 დღესა, ჟამსა 3, იქმნა შემოკრება აქაურთა ჩინებულთა სამღუდელოთა და საეროთა უფალთა სემინარიად და შემდგომად სრულებით შემოკრებისა მათისა ითქუა გალობით მეუფეო ზეცათაო, რომლისაცა თქმისა შემდგომად დასხდენ უჩინებულესნი მოწოდებულთაგანნი შესაბამად თჳს თჳსთა ადგილთა სკამებთა ზედა და ესრეთ წურილთა სემინარისტთაგან ითქუა ურთიერთისადმი სიტყუა განცჳფრებითი და მაწუწველობითი სიბრძნისათვის. ამის შემდგომად ითქუა სიტყუა კათედრით რექტორისა მიერ განდიდებისათჳს და ვითარებისა იმისის მეფობის დიდებულების საქმეთა და მოკლედ ცხად ყოფისათვის საღრამმატიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა. და შემდგომად სრულ ყოფისა სიტყჳსა ამის იწყეს პაექრობა სემინარისტთა საღრამმატიკოთა დადებულებათა ზედა, რომლისაცა დამწყებელ იქმნა მდივანი სჳმონ. და შემდგომად პაექრობისა ამის სრულყოფისა ითქუავე წურილთა სემინარისტთაგან კითხუა მიგებით ჰაზრი ღ̃ისათჳს და სარწმუნოებისა, და მერმე წარკითხულ იქმნა ეპისტოლე იმის უწმიდესობის სემინარისტთადმი ბოძებული.

ამის შემდგომად ითქუა სიტყუა მადლობისა რექტორის მიერ იმისის მაღლის ყოვლად სამღუდელოების ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოსის ჩერქეზისადმი და კუალად მუნ შემოკრებულთა უფალთადმი და სემინარისტთადმი. და შემდგომად ამისა ითქუა სემინარისტაგანვე მოკლე სასათნოებო ქრისტეანებრი სწავლა, და ესრეთდასრულებასა ზედა ითქუა გალობით მუჴლნი: „ყოველთსავე მომცემელ არს სული წმიდა და შენდამი იხარებს, მიმადლებულო“. 4 r.

აღნიშნული ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა და ტექსტი დაბეჭდილი აქვს ალ. ბარამიძეს: „საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში“ „სწავლააღზრდის ისტორია საქართველოში“, გვ. 51—66. (მასალების კრებული I, 1937).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2292

გრიგოლ ბატონიშვილი—პარაკლისი ლექსად, XIX

7 ფ.; 36,3×22,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი. [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1801 წ.). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 350.

„პარაკლისი გრიგოლ ბატონიშვილისაგან გალექსილი—
ქ. დიდება შენდა, მეუფევ, დიდება ღმერთო, და
ნუგეშ მეც ზეცათა შინა, სულო ჭეშმარიტ, ერთო და..."

წ ყ დ ე ბ ა:

„დედოფალო და მოგვხედე ვედრება შენდა სწრებულნი,
შენთა მონათა დაგვიხსნი ყოველთ განსაცდელთგან სნებულნი".

შენიშვნა: ტექსტი შიგადაშიგ ნასწორებია.

2293

ლოცვანი, 1788

43 ფ.; 23×19; ქაღალდი; უყდო; მხედრული; გადამწერი: გაიოს არქიმანდრიტი (43 v); ადგილი: კრემენჩუკი; 1788 წელი (იქვე). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 351.

„ლოცუანი განთიადისანი.—განფრთხობილი სიმჴნით და გამოფხიზლებული აღსდეგ ძილისაგან და ჰსთქჳ ესე: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ..." 1 r—48 v.

შენიშვნა: ერთგან: „სრულ ვჰყავ გარდმოღება წელს 1788, მაისს ე, კრემენჩუკს, გაიოს".

მიწერილია ქვემოთ: „წიგნი სანამესნიკოს განწესებისა ვსთარგმნე და 98 რიცხვიდამ 101 რიცხუამდის კიდურწერილად აქუს გაიოს, და 101 რიცხვის პუნქტის ბოლოს სანი ზის სრულებისათჳს სახელისა..." 43 v.

2294

არჩილ მეფე—თხზულებანი, 1838

26 ფ.; 23×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1838 წ. (1 v); გადამწერი: პლატონ იოსელიანი; ადგილი: თბილისი (1 v). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 353.

„თქმული მეფისა არჩილის მიერ, ანბან ლექსნი არმიცანად სათარგმანებელი, უცებთათჳს მცირედრე საჭიროდ სათარგმანებელი, ხოლო ბრძენთა და მეცნიერთა ადვილ გულისჴმის საყოფელნი.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. არსი ყოვლთა დამაარსი, სხუა უარსო არსად არი,
არასი ხამს შედარება, არს ყოვლს ნივთთა არსად არი...“ 4 r—26 r.
(სულ 96 სტროფი).

შენიშვნა: 1. უძღვის: 1. „ცხოვრება არჩილისა“ 2 r—3 v.

2.. თავფურცელი: „თხზულებანი არჩილ იმერთა მეფისანი ლექსად ქმნილნი წელ-სა ქრისტესით 1685-სა“. 1 r.

3. მიმართვა: „მათს უგანათ[...]ებულესობას საქართუჱლოს მეფის გიორგი XIII ძეს, რუსეთის ტაინის სოვეტნიკს და სენატორს ბაგრატს მდაბლად მიუძღუნის ტფილი-სის სემინარიასა შინა ფილოსოფიისა და ფიზიკისა მასწავლებელი, ღთ̃ისმეტყუჱლე-ბისა კანდიდატი პლატონ იოსელიანი.

დეკ. 7-სა დღესა, 1838 წელსა, ქ. ტფილისით“. თავფურცელი. v.

2295

კრებული, 1773

15 ფ.; 21×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; მთარგმნელი: თავადი დიმიტრი-1773 წ.; გადამწერი: მიეთრისშვილი გიორგი (15 v). აკლია შიგა და შიგ. იოანე ბა-ტონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 354.

1. „კითხვა-მიგება მიფოლოგიისა.—
კითხვა: რა არს მიფოლოღია?
მიგება: წარმართთ ღმერთთ მსახურება...“. 1 r—4 r.

2. „განყოფა ევროპის იმპერატორთა სახლისა.—კითხვა: რას ნიშნავს იმპერატორი?
მიგება: პირველის ხარისხის ჴელმწიფესა...“ 4 r—15 v.

მინაწერები: 1.

„ჩემდა წყალობად კმაია, თუცა მასმინო ჴმაია,
ბეჭს გარდგფენოდეს თმაია, გჭვრეტდე ყმა შენი ძმაია,
მიიროთუ ჩემ მიერ ზმაია, მიჩვენენ მეცა სმაია,
მოგიძღვნი მცირსა ავთრათსა მე მონა თქვენი ყმაია“. გარეკანის v.

2. „თარგმნილი რუსულისაგან ქართულად კნიაზ დიმიტრის მიერ წელსა 1773, სა[ს]წავლებელად ენისა, და გარდაწერილი ივანე მიეთრისშვილის გიორგის მიერ“. 15 v.

2296

ბესარიონ გაბაშვილი—რუხის ბრძოლა, 1819

9 ფ.; 34×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; გადამწერი: ალექსიშვილი ანდრია (9 r); 1819 წ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 357.

„დღეს იხარებს დავით სულიერსა ჩანგსა თანა მღაღადებელი სულითა მეფე და იტყვის: „აწ აღმისრულა აღმთქმემან კეთილობამან...“ 1 r—9 r.

შენიშვნა: „წელსა ჩყით გარდმოვსწერე რუხის ომის წიგნი ესე და უძღვენ უგა-ნათლებულესობასა თქვენსა ალექსიშვილმან ანდრიამ“. 9 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2297

პროკლე დიადოხოსი—კავშირნი ღვთისმეტყველებითნი, XVIII

. 156 ფ.; 23×18; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, თავბოლო ნაკლული; [XVIII ს.]; მხედრული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 360.

„...ყოველი სიმრავლე ეზიარების რათა ვიდრე ერთსა, ხოლო თუ არ ეზიარების, არცა ყოველი ერთ იყოს, არცა თითოეული მრავალთა, რომელთაგან სიმრავლე, არამედ იყოს თითოეულიცა მათი მრავალ და ესე ვიდრე უსაზღურობამდე...". 1 r—156 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...საყოვლობით თან მიმცემთა ბოლოჲსათა, რამეთუ ზესთ დაეფუძნებიან თან მიცემათა უდარესთასა...“

შენიშვნა: დართული აქვს: 1. „კავშირის თავთავოანნი ზედა წარწერანი...“ მხედრული, შედარებით ახალი ხელითაა, სხვა ფერისა და ზომის ქაღალდზე. გარეკანი.

2. „... საჭირონი კნინ საუწი...“ (ნუსხა). გარეკანის v.

მინაწერი: 1. ძუელსა წიგნსა შინა მიხილავნ მე ზაქარია მოძღუარსა და მუნით გარდმომიწერიეს...“ იხ. H: 2235.

2. თქვენის კარგათ ყოფნის მონატრე და მოწადე ფარსადან ესიტაშვილი მოგახსენეფ“. 47 r.

2298

წერის დედანი

15 ფ.; 25×35; ქაღალდი; უყდო; მხედრული. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 362.

„ა, ბ, გ, დ, ე, ვ... ჭ, ჶ.

შენიშვნა: იწყება მხედრული ალფაბეტით, შემდეგ მოდის ასომთავრული ხუცური, ასოგრეხილით: „ანგელოზი“ 3 r, და ბოლოს სავარჯიშო მასალა. 5 r—15 r.

2299

ბეჟან ბაინდურაშვილის დავა ზურაბ წერეთელთან, 1805

16 ფ.; 22×18; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1805 წ. (1 r). დამწერი: ბეჟან ბაინდურაშვილი; ადგილი: მოზდოკი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 363.

„**ჩღპე** სეკტემბრის პირველ დასაწყიშიდ მოზდოგს ქალაქსა შინა, ბატონს სახლთუხუცეს წერეთელს ზურაბს მოუცია ჩემთვის სა[ა]მხანაგოთ სამურები, სამი ქურქი და სამი სოროკი ამ პირობით: ორი ქურქი და ორი სოროკი ასოთხმოც თუმნათ და ის ორი ქურქი და ორი სოროკი, როგორც გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდებოდა, კოსტანდილესპოლს (!) გაიყიდებოდა, მოგებისაგან მესამედი უნდა მე მამცემოდა...“.

შენიშვნა: უძლვის „ღ͠თო. ქ. რიცხვსა ჩღპვ წელსა, სეკტებრის ა აქეთ. რაც ბატონის სახლთუხუცის წერეთლის ზურაბის სამურების მოცემით ჩვენს ამხანაგობაშიდ რასაც საქმეს გაუვლია, დასაწყისიდამ ბოლომდინ, სულ ამ შეკრულს ქაღალდზედ ცხადდება ჭეშმარიტი.

წერილი ეს დაიწყების ღვთისა წინაშე ჭეშმარიტი აპრილის პირველსა რიცხვსა, ჩყე წელსა, ხელითა ბეჟენ ბაინდუროვისათა, მოზდოგს ქალაქსა შინა, რათა ჭეშმარიტობის სამართლის ძალი ჭეშმარიტობის მოსამართლისაგან აქიდამ გაირკვევა საქმე სამართლისა“. 1 r.

შეკვრაში არის 18 წერილის პირი. გასასყიდ საქონელთა სია, მოწმეთა სია; კოსტანტინეპოლს მცხოერებ ქართველ მოქალაქეთა და პეტე͑ბურგში მცხოვრებ ქართველ მოქალაქეთა სია, რომელთაც შემწეობა მიუციათ ბეჟან ბაინდურაშვილისათვის.

ბოლოში დართულია ლექსი:

„ვაი წამიხდა ღონე-ძალები, თავი გავხადე შესაბრალები,
არც დამრჩა ვაჟი, არცა ქალები, სხვანიც დავიდევ თავსა ვალები.
გავხდი ყოვლისა მტრისა გულისა, ვინ არს მკურნალი ამა წყლულისა,
ვერ ვპოვე საქმე დაკარგულისა, ვერც სამართალი სწორეს რჯულისა“. 16 r.

2300

პავლე პოტიომკინის წერილები ერეკლესადმი, XIX

29 ფ.; 36×26; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი: სვიმონ ტაბიძე (თავფურცელი). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 363.

„წელსა ჩღპგ, იანვრის კ.—თქვენის უგანათლებულესობის პატივცემული წიგნი ჩემგან გამოგზავნილის პარუჩიკ ჩოლაყაშვილის ჴელით ღირს ვიქმენ მიღებას და ვმადლობ თქვენს უგანათლებულესობას...“ 1—51 გვ.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი „რომელიმე წერილნი მეფის ირაკლისაგან რუსეთიდგან მიღებულნი.—წარმკითხუჱლნო, უკეთუ ცთომილებაჲ რაჲმე პოვოთ, შემინდვეთ,—ვითარცა ბრძანებს სა͠ღთო წერილი: «შეუნდვეთ და შენდობილცა იყვნეთ»—აღმწერელსა წიგნისა ამის მე ცოდჳლსა გლახაკსა სჳმონა ტაბიძესა“.

ხელნაწერში პავლე პოტიომკინის 27 წერილია. ბოლოს დართული აქვს „ბრწყინვალეს კნიაზს, ღ͠ისმსახურს თავადს უფალს ეშკაყაბაშს გარსევანს“, წერილი გამოგზავნილია—ბერი ევთიმისაგან. 53—55 გვ.

ერთვის აგრეთვე გარსევანისადმი [ჭავჭავაძე?] წერილი მეფის ძის დავითისა—მოზდოკიდან. 55—56 გვ.

2301

პლატონ იოსელიანი—ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, 1867

195 ფ.; 36×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ავტოგრაფი; 1867 წ.

ამ ხელნაწერის მიხედვით ტექსტი გამოცემულია აკაკი გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით 1936 წ. (პლატონ იოსელიანი—ცხოვრება გიორგი მეცამეტისა).

ხელნაწერის ყველა დამახასიათებელი დეტალი დაბეჭდილია რედაქტორის შენიშვნებში.

2302

ვახუშტი ბატონიშვილი—„აღწერა აწინდელისა ქართლისა...“ (გეოგრაფია), XIX

56 ფ.; 34×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაური სინგურით; [XIXს.] (ჭვირნიშანი 1798 წ.).

„აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით, მთით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებათა.—ვინაჲთგან სახელნი და აღშენებანი ვისით იქმნა ქვეყანისა ამის, დავჰსწერენით. აწ ვიწყოთ თჳთოეულთა წარმოთქმად მთათა, ველთა და წყალთა. არამედ ვინაჲთგან არს ყოველთა მდინარებთა უდიდეს მტკუარი, რომელი განვლის საშუალ ქუეყანას ამას...“ 1 r—51 r.

შენიშვნა: ერთვის სოფლების სია. 51 v—მარჯვენა გარეკანის r.

2303

ვახუშტი ბატონიშვილი—ისტორია, XIX

58 ფ.; 34×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1816 წ.) (5 გვ.); დაუწერელია: 1 r—13 v და 42 r—58 v.

„მ თ ა ვ რ ო ბ ა გ რ ი გ ო რ ი ს ა, ვ ა ჩ ე ს ი, ს ა მ უ ი ლ ი ს ა, გ ა ბ რ ი ი ლ ი ს ა, ფ ა დ ა ლ ა ს ი და კ ჳ რ ი კ ე ს ი.—ხოლო წელსა ქ῾ესა 787, ქართ. 7, მოკუდა ჯ უ ა ნ შ ე რ ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ვ ი და შემდგომად მისსა განჰსდგა გრიგორ მთავარი...“ 14 r—41 v. (ძველი პაგინაციით 370—425 გვ.).

წ ყ დ ე ბ ა: „...და სახელნი ესე ეწოდნენ ანუ დაბნებთაგან, ანუ უმეტეს შემოსრულთა ოვსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყაენთა მოსულისა...“

2304

სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი—„მცირე ქართლის ცხოვრება“, 1773

288 ფ.; 23,5×17,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერი: დეკანოზი დავით (228 v); 1773 წ. (288 v).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. „ქ. ძლიერებითა ღ̃თისათა ვიწყოთ ცხოვრება მეფეთა,—მსმენელთათვის არა უნდომი, ანბითა უცხოთა ქვეყანისათა, არა მარტივად ქართლისა.—
ჩემის თვალთ ნახული, ზოგიერთი მნახავთაგან სმენითა.—

იყო მეფე-მეფეთა ესე, სახელ დიდებული, სვე ამაღლებული, ჴელმწიფობით სფადარი, ამილბარობით სპასპეტი, ლაშქარ ჰეროვნებითა ზე აღმატებული...“ 3 v—60 r.

2. [პაპუნა ორბელიანი—„მცირე ქართლის ცხოვრების გაგრძელება] „ქ̃კს უკზ, თვესა ივლის[ს]ა, მოიშველა ერისთავმა შანშემ ჯარი ლეკისა. პირველ მიუხდენ ხაშმის ციხესა, აიღეს ციხე და იავარყვეს საქონელი, ანუ ტყვე ურიცხვი...“ 61 v—288 r.

შენიშვნა: 1. უძლვის ქრონიკა:

„ქ̃კს. პ. მეფე გიორგი მეგრელთ მოკლეს.

ქ̃კს. პღ. დიდი მეფე ბაგრატ გარდაჴდა.

ქ̃კს. პი. მეფე კოსტანტილე ჩალაღანს მოკლეს.

ქ̃კს. რბ. მეფე ალექსანდრე, ივანე ათაბაგი კოხტას შეიბნენ.

ქ̃კს. შდ. თურქთ ახალციხე ამოსწყვიდეს.

ქ̃კს. რით. მეფემ ალექსანდრემ ლორე აიღო.

ქ̃კს. რიბ. ჯანშაყანი ახალციხეს მოუხდა.

ქ̃კს. რლდ. აღბუღა და ყვარყვარე შეიბნენ.

ქ̃კს ამასვე მეფე ვახტანგ მიიცვალა, ამავე ქ̃კს იოანე ათაბაგი მიიცვალა.

ქ̃კს. რმე. კოსტანტი[ნე]პოლი დაიჭირა თათარმა.

ქ̃კს. რმთ. უზანასანო მოვიდა სამცხეს.

ქ̃კს. რნა. ყვარყვარემ უშველა მეფეს, შეიბნენ ჩიხორს, ათაბაგს გაემარჯვა.

ქ̃კს. რნგ. მეფე დაიჭირა ყვარყვარე ათაბაგმა.

ქ̃კს. რნთ. დედოფალი გულქან გარდაიცვალა.

ქ̃კს. რა. მეფე კოსტანტინე და ათაბაგი არ[ა]დეთ შეიბნენ, ყვარყვარეს გაემარჯვა.

ქ̃კს. რბ. ალექსანდრე მეფე დაჯდა და ქუთაისი დაიჭირა.

ქ̃კს. როგ. ყაენი მოვიდა და სამცხე ამოსწყვიტა, ახალციხე აიღო, აწყურისა ღ̃თისმშობელი დასწვეს.

ქ̃კს. რჟბ. მეფე კოსტანტინე მიიცვალა.

ქ̃კს. რჟე. ალექსანდრე მეფემ გორი დაიჭირა.

ამასვე ქ̃კს. მოვიდნენ თათარნი. ქუთაისი და გელათი დაწვეს.

ქ̃კს. ს. ალექსანდრე მეფე მიიცვალა, მისი შვილი მეფედ დაჯდა ბაგრატ.

ამავე ქ̃კს. ბაგრატ და ვახტანგ მოხისს შეიბნენ, ბაგრატს გაემარჯვა.

ქ̃კს. სკთ. ყაენმა ტფილისის ქალაქი ამოსწყვიტა.

ქ̃კს. სლა. ფაშები მოვიდნენ, ოცდაორი ათასი ტაო ამოსწყვიტა, მოუკდა მეფე ბაგრატ ქალაქსა, გაემარჯვა და ამოსწყვიტა მრავალი.

ქ̃კს. სმბ. შასთამაზ ყაენი მოვიდა, ქართლი ამოსწყვიტა, ვახტანგ, მისი სამი ძე მოკლეს.

ქ̃კს. სოგ. მეფემ სვიმონ ციხეს ლორისასას... და აიღო.

ქ̃კს. სოდ. მეფე სვიმონ და ქალაქის ფაშა ჰასან შეიბნენ ტაბახმელას, გაემარჯვა მეფეს, მოსრა ურუმნი, ამავე წელსა აიღო გალავანი ტბილისისა და უკან ციხე.

ქ̃კს. სოთ. მეფე სვიმონ [და] ქალაქის ფაშა შეიბნენ.

ქ̃კს. სპ. მეფე სვიმონ აიღო ციხე ქუთაისი და ბაგრატ გამოიყვანა ძმის წული მეფის გიორგისა, ფაშად ქალაქისად დააყენა.

ამავე ქ̃კს იმერელთ აიღეს ქუთაისი, ამავ ქ̃კს წავიდა მეფე სვიმონ ლიხთ იმერეთის დაჭირვად, აიღო კაცხის ციხე, კურა სვანამდე და ქუთაისი.

ამავე ქ̃კს შეიბნენ მეფე სვიმონ და მამია დადიანი და იმერელნი, გაემარჯვა დადიანს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იმერელთ. თან გამოიტანა სიძე მეფემ ჩხეიძე... ესე იყო იმერეთის თავი და სალთხუცესი შორაპნისა და ს[რ]ულად საჩხეიძოსი მქონე, ვითაცა მეფის სვიმონის დაედგა (!) იქ აღარ ამყოფა, მისცა სასაფლაოდ ნიტრია, სარჩო მრავალი, იმერელთ დასვეს ქუთაისს ძე კოსტანტილესი მეფედ.

ქ˝კს. ხჟბ. მიიცვალა ძე კოსტანტილესი როსტომ.

ქ˝კს. ხპზ. მეფემ სვიმონ აიღო ციხე გორისა.

ამავე ქკს. მოვიდა სარდალი ჯაფარ ფაშა და ლაშქარი ურიცხვი, შეიქნა ომი ძლიერი, მეფე სვიმონ ჴელთ დარჩათ, დაიპყრეს ყოველი სომხითი და ლორე.

ქ˝კს. ხპთ. იქმნა მეფე კახთა ალექსანდრე.

ქ˝კს. ხჟგ. მოკლა მეფე კახთა ალექსანდრე ურწამესმან (!) ძემან მისმან კოსტანტინე და ძე მის (!) გიორგი, და იმეფა ათ წელ და კოსტანტილე ერთ წელ და მო[ი]კლა ლაშქართაგან და თვისთა, სნეულობითა მძიმითა შეპყრობილ იქმნა და მიიღო მეფობა მის წილ ძემან მისმან დავით ერთ წელ და მი[ი]ცვალა.

ქ˝კს. ტბ. ყაენი ქართლში მოვიდა და ლუარსაბ მეფე წაიყვანა.

ქ˝კს. ტდ. ყაენი მოვიდა და კახეთი ამოსწყვიტა, ციხე თორღისა. ხატი და ჯვარი და[ა]მს[ხვ]რია წმიდა გიორგი ალავერდისა.

ქ˝კს. ტიბ. ალგეთზე შეიბნენ ქართველნი და ყიზილბაშნი, დაუმარცხდა ქართველთ.

ქ˝კს. ტკ. როსტომ მეფე მოვიდა.

ქ˝კს. ტმზ. მეფე როსტომ მიიცვალა. ამავე ქ˝ს მეფედ იქმნა ვახტანგ. სპარსთა ენითა შაჰნაოზ.

ქ˝კს. ტნივ. შანაოზ მეფე მიიცვალა.

ქ˝კს. ტნივ. მეფე გიორგი დაჯდა ძე შანაოზისა.

ქ˝კს. ტნიზ. თუთა გურიელის ქალი მიიცვალა.

ქ˝კს. ტოე. მეფე ერეკლე ბატონის თეიმურაზის შვილის შვილი ქართლში გაბატონდა.

ქ˝კს. ტპია. ბატონიშვილი ლევან ძე შანაოზისა ქართლში ჯანიშინით მოვიდა მეფის გიორგისათვის, ყაენს ქართლი ებოძა, ძმა ქართლში გამოეგზავნა, თვითან ყანდაარს წასულიყო, მეფე ერეკლე წაიყვანეს და ყაენმა ყულარაღასობა მისცა და კახეთი შვილს იმანყულიხანს". 1 r—3 r.

2. ერთვის: „ქ. ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილ იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნიასა დაშთომობდა (!) შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი, და მე პაპუნამ ორბელიანმა ჴელვყავ აღწერად: პირველად, რათა არა დავიწყებულ იქმნენ ესევითარნი ანბავნი, და მეორედ—შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდენ ესეოდენთა ჟამთა ვითარებათა, დაქცეულებათა, რომელ კნინღა და აროდეს ყოფილ არიან ესევითარნი იწროებანი ქართლისანი და მალიადნი ცვალებანი დამპყრობელთა და განმგეთა ქვეყანისა ჩვენისათანი, მწარენი და ძნიადნი მოხარკეობანი, რომელიმე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან. და არა უდებ ვყავ ჴელყოფა ამისი მსგავსად ძალისა ჩემისა, რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ქვეყანათა თვისთა სიმტკიცისათვის, ვინადგან ესეოდენი ჭირნი და იწროებანი წარგუხდიან და იუწყებოდენ, თუ ვისგან და ვითა რომლისა მიზეზითა იქმნეს ესე ყოფილნი".

„ქ. შეუდექ ამბავს ქართლისას პაპუნა ორბელიანი,
განმაძლიერა მეფემან, ვინ არის გვირგვინიანი,
აღვწერე ყოვლი ყოფილი, მრავალგზის საჩივრიანი,
და ვინც წარიკითხოთ, ნუ მკიცხავთ, სიტყვა თქვით შენდობიანი". 61 r.

ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა ღ˝თისათა წიგნი ესე «მცირე ქართლის ცხოვრება» ჴელითა ხარების საყდრის დეკანოზის ძის დავითისითა. აღმომკითხველთა გევედრებით, უკეთუ ნაწერსა ამას შინა ჩემსა ცთომილება იხილოთ რამე, ნუ მწყევთ. არამედ კურთხევასა ჰყოფდეთ ჩემთვის, თქვენ უზრუნველად იქმნებით და მე დიდად შემწე მექმნება. თვესა აგვისტოსა, რიცხუსა ლ. ქ˝კს უჲა". 288 v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2305

«ცხოვრება ქართლისა» XIX

98 ფ.; 31,5×19; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.]; ნაკლული.

„ტომობა და ჩამამავლობა ქართველთა (!) და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა.—ნოეს ძისა იეფთაეს (!) თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.

აწ ზნეთათვის ვიწყოთ...“ 1 r—98 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...აღესრულა მეფესა ყოველი სათხოველი, თავისუფალ ქვეყნითურთ მოსცა ჰერეთი და კახეთი და სპანი, რათა აღართვან ჰერ-კახნი. კვალად ბოძნი დიდნი...“

2306

ტიმოთე გაბაშვილი—მიმოსვლა, XIX

94 ფ.; 19,5×16; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა: [XIX ს.]. დაუწერელია 1 r—24 v, 65 v—94 v; დასაწყისი აკლია.

„...წარვემართე მოხილვად წმინდათა ადგილთასად და ცხოველს მყოფელსა ქრისტეს საფლავს იერუსალიმს მე მდაბალი მიტრაპოლიტი და მთავარეპისკოპოსი ტიმოთე სამთავროსი და გორისა. და მოვიხილე ქრისტეს საფლავი, და სხვანი ქრისტეს ვნებისა ადგილნი, და წმინდათა მონასტერთა შენობანი, და განვკვირდი დიდად ესრეთსა მაღალსა და ბრწყინვალესა შემკობილებასა, და ვიხილე წერილნიცა...“ 25 r—60 r.

შენიშვნა: მიმოსვლის ტექსტს მიჰყვება: „მოთხრობა ყოვლად უმაღლესისა იმპერატორისა პეტრე პირველისა, რა ჟამს იხილა საფრანგეთში ევროპისა ჩუეულება...“ 60 r—65 r.

მინაწერი: „რუსულისაგან ქართულად თარგმნილი გრიგოლ ხარჭაშნელ ეფისკოპოზისაგან ასტრახანს 1803. ამის შესაქცევლად თქვენდა“. 65 r.

ტექსტი განსხვავებული რედაქციისაა. შდრ. გამოცემასთან (თბილისი, 1852 წ.).

2307

ანტონ I—წყობილსიტყვაობა, 1800

135 ფ.; (240 გვ.); 21,5×15; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; 1800 წ. (265 გვ.) გადამწერი: დავით რექტორი (იქვე); ადგილი: ქ. თელავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„წიგნი წყობილსიტყუაობა, ნაწილი პირუჱლი. ღ̃ისმეტყუჱლებისათჳს. თავი ა, თჳს სამობისა და ერთობისა.—

ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,
ზესთ ნათლოვანი ერთობა სამპირებით...“ 22 გვ.—264 გვ.

შენიშვნა: უძღვის 1. „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა, ანუ შაირთა. ქმნილი გაიოსის მიერ არხიდიაკონისა...“ წინასიტყუაობის ბოლოში სტროფების კიდურ ასოებით იკითხება: „ანტონი სტიხობს, მოწაფე წინასიტყუაობს. გაიოს“.

2. „პინაქსი წყობილსიტყუაობისა, ნაწილი პირუჱლი...“ 9 გვ.—21 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღ̃თისა 1800 ჩყ. ხოლო ქართულსა ქ̃კსა ზედა უპჱ ალექსის ძის რეკტორის დავითისაგან, ქალაქსა თელავს, სამეფოსა კახეთისასა, ხოლო პალატსა სამეფოსა, თჳთ სხოლასა შინა კელიასა სემინარიისასა, თთუჱსა ნოენბერსა, რიცხუსა კ. მეფობასა გიორგი მეათსამმეტისა, ძისა ირაკლი მეორისა, დავითიან-ბაგრატოვანისასა, ხოლო მწყემსთმთავრობასა მეორისა ირაკლი მეფის ძის, ამავე გიორგი მეფის ძმის ანტონი კათოლიკოსისა დავითიან-ბაგრატოვანისასა. ალექსისძე რექტორი დავით“ (ასოგრეხილით) 265.

მინაწერი: „სემინარიისა ბიბლიოტეკა ჩავიბარე წელსა 1838-სა, ნოემბრის 15-სა დღესა. და ამა დღითგან დაინიშნა ჯამაგირი. პლ[ატონ] იოს[ელიანი]“.

2308

ანდერძი არჩილ მეფისა, 1835

15 ფ.; 18×11; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი და გადამწერი პლატონ იოსელიანი (17 გვ.); 1835 წ. (17, 30 გვ.); ადგილი: სანკტპეტერბურგი (30 გვ.).

„ანდერძი არჩილ მეფისა, რომელი დაუტევა პეტრე პირუჱლსა უკანასკნელთა დღეთა ცხოვრებისა თჳსისათა.

ყოვლად მოწყალეო მეფეო ჴელმწიფეო.—თჳთ უკანასკნელთა ჟამთა ალმოფშვინვისა ჩემისათა სამეფოსა დიდებულებასა თქუჱნსა უმდაბლესად უუშევრდომილესი თქუჱნდა მოვახსენებ, ვითარცა ერთი არს შესულა დაბადებით კაცისა შრომად ცხოვრებასა შინა...“ 19—30 გვ.

ანდერძი: უძღვის: „დესპანობისათჳს წარგზავნილისა მეფისა კოსტანტინესაგან ელისაბედისა მიმართ ღიშპანიისა დედოფლისა...“ (1—17 გვ.). თარგმნილი პლ. იოსელიანის მიერ 1835 წლის 22 სექტემბერს. „ანდერძი ჱსე იყო დაბეჭდილ ჟურნალსა შინა, რომელსა ეწოდების «Северный Архив» 1824 წელსა დეკემრის თთუჱს № 23 და 24-სა უფლისა ბუტკოვის მიერ. ამან მოიღო იგი წიგნთსაცავისაგან ღრაფის თ. ა. ტოლსტოვისა. ხოლო წელსა 1835-სა, სეკდემბრის 23-სა დღესა, ვჰსთარგმნე მუნით საქართუჱლოს აზნაურშვილმან და სტუდენტმან პლატონ ევნატის დეკანოზის ძის იოს'ელიანმან ქალაქსა ს. პეტერბურღს“. 30 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2309

სამღთო ისტორია, 1819

640 ფ.; (1280 გვ.) 33×21; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა: 1819 წ. (1139 გვ.).

„მატიანე ძუელისა აღთქმისა შესაქმისაგან სოფლისა, რომელი დაიწყების ვიდრე ოთხი-ათასთა წელთა გამო ვიდრე ქრისტეს უფლისამდე, რამეთუ რღუნა მოვიდა ყოველსა ქუეყანასა ზედა წელსა შემდგომად სოფლის დაბადებისა 1656-ს. პირუელი მონარხობა ქალდეველური ანუ ასურული იქმნა...“ 1—1139 გვ.

შენიშვნა: ერთვის: საძიებელი. 1—128 გვ.

მინაწერი: „სრულ იქმნა მადლითა ყოვლად წმიდისა სულისათა. თუესა ფებერვალსა 5-ს, წელსა შობიდგან ქრისტესა 1819-ს“. 1139 გვ.

2310

ნადირ შაჰის ისტორია, 1802

160 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული: ტილოგადაკრული მუყაოს ყდა; მთარგმნელი: დავით ბატონიშვილი: 1802 წ. (1 r): ადგილი: თბილისი (1 r); სააზიო მუზეუმიდან. ძველი № 43 c.

„საქმეთათვის ნადირ ავშარელისა, დიდისა ჴელმწიფისა სპარსეთისათა. წიგნი პირველი. თავი პირველი; განყოფისათვის და დაპყრობისა სხვათა და სხვათაგან მთავართა სპარსეთისათა, § 1.—ოდეს ერანელთა ქვეყანა შეიბღალა სისხლითა, იქმნა უთანხმოება, დაეცა ტახტი სამეუფო, ვერაგთა კაცთაგან იქმნა ტირანობა, და განისაკუთრეს თავისუფლება და განიყვეს ყოველი სპარსეთი...“ 3 v—153 r.

შენიშვნა: უძღვის: 1. (ავტოგრაფული) თავფურცელი: „საქმენი, შრომანი და ღვაწლნი დიდისა ხელმწიფისა ნადირ ავშარელისა, რომელიცა აღუწერიეს ნანდვილითა ისტორიითა მირზა მეჰთის, ვეზირსავე მისსა, რომელიცა თანა ჰყვებოდა ყოველსა საქმესა მისსა. ხოლო ესე ითარგმნა იმისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის, რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტისა და კავალერისა დავითისა, გიორგის მეფის პირმშოს ძისაგან.

წელსა ჩყბ, ქ˜კს უჟ, დეკემბერს კ. სრულ იქმნა ესე სამეფოსა ქალაქსა ტფილისს“. 1 r.

2. მთარგმნელის წინასიტყვაობა: „თანანადები ყოველთა კაცთა ჴუელისხმისყოფითა ნიჭებულთა ესე არს და უმეტეს მათდამი, რომელთაცა სიყუარულისათვის მამულისა თჳსისა უმსხუეწრპლებიეს სისხლი, რათამცა საჰარადისოდ მზა აქუნდეს თავი თჳსი სარგებლობისათვის მამულისა, რომლისა გამო ღუაწლი ესე გუარი საჭიროდ შედგომილ არს და შეკრულ ჭეშმარიტებისა თანა.

ხოლო ვინაჲთგან ესრეთ არს, არა თანა აძსთ დროჲსა ბედითად განტარებაჲ, რათამცა უგულებელსყოფითა თავთა ჩუენა ესე ვითარისა ღირსებისა და ჰაზრი-

საგან მოვაკლებდეთ და ღონეთა დავმალვიდეთ, რომელიც გონიერებისა გარეგან არს და სიტყჳერთა ბუნებათა შეუგუანებელ.

იძულებულმან ზემო ჴსენებულისა ჰაზრისამან საჭიროდ ვჰრაცხე. არა ვჰრიდე შრომასა და, ვითარ ძალმედუა, ვიხმიე ღონისძიებაჲ შემეცნებისათჳს ერთა ჩუენთა-სა ახლისა ამის ყურადსაღებელისა ისტორიისა დიდებულისა მის კაცისა ნადირ ავშარისა, რომელთაცა არა აქუნდათ და არცაღა-უწყოდენ ისტორია მისი, ვიდრე დღეინდელად დღედმდე.

არა მცირედსა სარგებელსა მისცემს განმხილუჱლთა ამის უკუჱ ისტორიისათა ერთა ესე გუართა, რომელთაცა აქუსთ გული მამაკაცებრი და არა წარუწყმედს სასოებასა თავისა თჳსისასა განწირჳსა გამო სოფლისა მით, რამეთუ შემთხუჱვასა კიდე ანაგებისა შემთხუჱვისაგანუჱ აქუს დასასრული...

ვჰგორებ შრომაჲ ესე ჩემი არა წინააღუდგების ერთა მათ, რომელთაცა აქუსთ სიმჴნე მამაცებრი და რომელთაცა აქუსთ შური ერთგულებისათვის მამულისა. და ამის ძლით მგონიეს, რათამცა ამის უკუჱ ნაყოფისა ჩვენებითა მოვისთლომცა ერთა-გან ჩვენთა მადლობანი ამად რომელ, ვინაჲთგან ერთა შორის ჩვენთა იპოების სული მამაკაცებრი და სიყუარულიცა მამულისა, და მათ მიერ კეთილებითა აღგებუ-ლი დაუსახავ თავსა ჩემსა მზა ყოფად სამსახურისათვის თნებისა მათისა.

საქართუჱლოს მეფის გიორგის პირმშო ძე დავით". 2 r—v.

3. მოეპოვება უმნიშვნელო მინაწერები მარჯვენა და მარცხენა ყდაზე.
4. „შეყვანილება" იგივე შესავალი. 3 r.

ბოლოში მიწერილია ლექსი რუსულად [1]:

„Все на свете изсчезает,
изчезает как мечта,
как цветок в нем увядает
слава, мудростъ красота,

все проходит не возвратно,
истребляется как тлень,
кроет шастье превратно,
слабой луч свой в тме времен,

в мире слава честь не вечны
и прервется так как вервь,
корень щастья скоротечни
сидно точит рукой! червь,

вечно мудрым быть неможно
изнуряет время ум,
красота есть также ложна
старость тмить ея блеск шум.

[1] ვბეჭდავთ უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

всякой смертной ищет щастья,
и находит врак кустой,
как лучь солнца сред. ненастья
сквозь туман глядит густой,

в жизнь оно лиш чуть проглянет,
и увы, уж нет его,
кроет лучь и цвет увянет
счастья ложною сего.“ 155 v.

2311ა

პლუტარხოსი—ისტორია, XIX

110 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.].

„ტიმოლეონი და პავლე ემილიონი, ტიმოლეონი.—საქმენი სჳრაკუსსელთანი წარგზავნამდე ტიმოლეონისა სიცილიად შემდეგსა იპოებოდა მდებარებასა. დიონოს განაგდო დიონისიოს მტარუალი და თვითცა მსწრაფლ მოკლულ იყო...“ 1 გვ.—219 გვ.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „პლუტარხოსისნი შეთანასწორვითნი ცხოვრება-აღწერანი დიდებულთა მამაკაცთანი. უთარგმნიეს ბერძულით სპირიდონ დესტუნისეს ისტორიკებრთა და კრიტიკებრთა შესასწავლათა თანა საღეოღრაფოთა ქარტათა და გამოხატუათა დიდებულთა მამაკაცთათა. ნაწილი მეოთხე. დაბეჭდილ არს უმაღლესისაებრ ბრძანებისა სანკტპეტერბურღსა შინა იმპერატორისა აკადემიისა თანა ჰსწავლათასა, ჩყიჳ-სა წელსა“.

2311ბ

პლუტარხოსი—ისტორია, XIX

124 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.].

„სერტორიოსი და ევმენი, სერტორიოსი.—არ საკვირნოა ვიდრემე ეგების, რამეთუ დაუსრულებოსა სივრცესა ჟამისასა მრავალ სახეთა მოქცევათა თანა ბედოებისათა, ხშირად სადამე შეხდომამან გამოიყუანნის ერთნი და იგივე წარმოებანი, განსაზღურებულ არს რაოდენობა საგანთა...“ 1 r—123 r.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი „...ნაწილი მერვე. დაბეჭდულ არს უმაღლესითარე ბრძანებითა სანკტპეტერბურღს შტამბისა თანა ღვარდიის კორპუსისა ჩყკა-სა წელსა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2312 ა

„ისტორია იროდოტესი", XIX

80 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.].

„ისტორია იროდოტესი, წიგნი მეხუთე, ტერპსიხორა.—1. სპარსთა დაგდებულთა დარიოსისა მიერ ევროპად, ძლევასა ქუეშე მეღაბაზისსა, პირველნი ილისპონტურთა ერთაგანნი დაიპყრნეს პერინთელნი..." 1 r—79 v.

2312 ბ

„ისტორია იროდოტესი", XIX

56 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.]

„ისტორია იროდოტესი, წიგნი მეცხრე, კალლიოპა.—1. ოდესცა ალექსანდრემ შემდგომად თვისისა მოქცევისა ცხად ჰყო პასუხი ათინელთა, მარდონიოსი გამოვიდა თესალიით..." 2 r—40 r.

შენიშვნა: დართული აქვს „იროდოტეს ლეოღრაფია, შედგენილი ბალთ ბრუნოსისა მიერ..." 41 r—56 r.

2313

მარკოზ ავრელიუსი—საყოფაქცეო ჰსჯა, XIX

124 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XIX ს.].

„საყოფაქცეო ჰსჯა მარკოს ავრელეასი, ჰრომის კეისრისა. წიგნი პირუელი.—პაპისა ჩემისა ვერუსისაგან ვისწავე სიმდაბლე და უშფოთველობა..." 3 r—122 r.

შენიშვნა: უძღვის „წინასიტყუაობა.

განათლებულთსა შორის გუამთა უბრწყინუალესო და უბრწყინუალესთა შორის წევრთა უგანათლებულესო მეფის ძეო დავით, ჩემო უმოწყალესო ჴელმწიფევ.—

წარმოდგინებასა თანა თქუენ განათლებულისა გუამისასა წარმომიდგეს იდეასა შინა ჩემსა სიტყუანი მოციქულისა პავლესნი, იტყვის რა ვითარმედ „კაცად კაცადი რასა ზედაცა იჩინნენ, მას ზედაცა ეგნენ". არა რაჲ არს ჩინება კაცადისა და დადგომა მას ზედა, გარნა ყოვლისა მყოფისა შინაგანსა შინა ძალსა მიმდევრება, რომელსა ფილოსოფოსნი ბუნებად სახელ ჰსდებენ, რომლისა გამო არა საქმეთა სარწმუნოებიანთა თანა შეუყენებს სიტყუასა პავლესსა აკადემიელი დალათუ, არამედ შეწყობითა სიტყუათათა ყოვლითურთ მოეზავების საზღუარი ბუნებისა სიტყუასა მოციქულისასა, ვითარმედ ბუნება არს დასაბამი ძრვისა და დამყუდროებისა.

ხოლო თქუენ უვრცელესსა შინა ბუნებასა თქუენდა რაჲ არსობითისა შესმენისასა უიწროესისა ბუნებისა საზღურითა წარწერასა შინა (ესე იგი მშობლობითსა შინა ნათესავსა) განსაზღურებითა დასაბამ ჰყოფ უპირველესთა შენთა წინაპართა მიბაძვათა. სხუათა მრავალთა შორის ვიტყვი ვ ა ხ ტ ა ნ გ ს, დ ა ვ ი თ ს ხედწოდებით ა ღ მ ა-

შენებელსა, თეიმურაზს და სხუათა ერთსა, სიმჴნე შემართვით ვითა ვახტანგს, რომელმანცა მრავალ გზის ძლეულჰყო მეფეჲ სპარსეთისა; მეორესა განზრახვით ვითა მოსახელესა შენსა დავითს, რომელნიცა განჰსდევნნა სჭერაჲსაგან საქართუჱლოსსა ულუსნი ჩინგისთანი საკჳრველებით, მესამესა, სიმართლ-სიწრფელით, ვითა პაპისა შენისა მამასა მეფესა თეიმურაზს, რომელიცა დადებულ არს მაგალითად სიმართლისა ყოველგან, სადაცა განსმენილებს ჴმა მისი. და ხოლო სამნივე ესე ძალნი, ესე იგი სიმჴნე, განზრახვა და სიმართლე არიან შვიდთაგან ნიჭთა სულისა წმიდისათა წარმოებულნი, რომელთაცა მქონებელთა გუამთა აწარმოეს დასაბამ ყოფითა გუამი შენებრი, რომელთაგანცა იმოძრავე წარმოდგომად სიცოცხლესა შინა შენსა, შენ, სამიზეზოჲსა მიზეზთა მათ მიბაძვითა ხატსახე მყოფობისათა.

სიმჴნესა ვიტყვი თქუჱნისა განათლებულებისასა მუნ, სადაცა დაგვიმტკიცებს შენგან ქმნილი საქმეჲ: ყარსს წოდებულსა, ქალაქსა დიდისა სულთანისასა, რომელიცა ყოველგან ითქმის დაკუჱთებული თჳთ მარჯუჱნითა თჳსითა. ხოლო განზრახვასამებრ მოსახელისა შენისა დავითისსა და აღშენებით წარმატებისა მზრუნველობასა ქუჱყანისა შენისასა, რომელნიცა მოიხვენ სახლნი ტყჱდ ეგოდენნი სოფელ-დაბათაგან ხუანთქრისათა, რომლისაცა არა თუ პირისპირ ბრძოლასა, არამედ მოგონებასაცა და გამოხატვასა ბრძოლისასა კოროლნი და იმპერატორნი კნინღა დიდითა მზადებითა თავს იდებენ, რომელიცა შენ უშიშითა გულითა ჰქმენ და სიმართლესამებრ მახლობელისა პაპისა შენისათა, რომელიცა თჳთ ცხადათ იმყოფვი ბუნებით და პირთა შინა კაცთასა მართლად და წრფელად იქადაგები, რომელსაცა დაამტკიცებს თქუჱნი ეგე წერილის მოყუარებაჲ თქმისამებრ ღ~ის მეტყუჱლისა ვითარმედ „წერილთა გულისჴმისყოფასა გული წრფელი უჴმსო". და არა თუმცა მართლისა მამისა ძეჲ წრფელ იყავ, არამცა გულისჴმა ჰყავ ფილოსოფიაჲ ახალი, ანუ ძველი და ანუ ზესთა ბუნებითი იგი მეტაფიზიკობაჲ და არამცა იქონებდა ძველთა ძველებრთა და უძველესთა ანუ სარგებელთა და უსარგებლესთა ისტორიათა, რომელიცა ისმის ვივლიოტიკასა შინა თქუჱნსა ქონებად. ხოლო საზღუარისა უკანასკნელისა ლექსისა, ესე იგი, დამყუდროებისაგან ჩვენებული საქმეჲ არს, რომელიცა დაუტევე ქუჱყანასა შენგან ქმნილი, ანუ ღრამმატიკაჲ ანუ კატიღორიითი შესმენილებაჲ, ანუ ხუთი იგი ჴმა ფინიკელისა ჰაზრსა ზედა და ანუ შემოკლებული ყოვლისა სოფლისა ისტორიაჲ, რომელთა ამათ გამო შენ შორის მყოფი საზღუარი ანუ ვჰსთქუათ წარწერაჲ დამტკიცდების თქუჱნ მეფეთ ტომისა და სამეფოჲსა გუამისადმი. ... მარკა ავრელეამან ჰქმნნა რა წიგნი ათორ ნაწილედნი იგი ჰელ ვჰყავ გარდამოღებად მიზეზითა წერილის მოყუარებისა შენისათა ენისაგან როსიულისა ენასა ზედა სამეფოჲსა თქუჱნისასა, რომელიცა ესე ჯუარი არს კაცად კაცადისა, რომელითაცა შევუდეგ მეფის ძეობასა შენსა და მოვართვი განათლებულთა. შორის ბრწყინვალებასა და ბრწყინვალეთა შორის განათლებულებასა თქვენსა ნიშად უსაკუთრესობისა თქუჱნისა. რომლისა გამო ჰბრძანეთ და უბრძანეთ თქუჱნცა მწერალთა და აღმომკითხუჱლთა წიგნისა ამის თქუჱნისათა შთაწერად და აღმოკითხუად სადიდებელად თქუჱნდა სახელი და ჴსენებაჲ მადიდებელისა და მაკურთხეველისა თქუჱნისა და თქუჱნისა განათლებულებისა, ერთგულებისა ერთგულებასა შინა მყოფისა არხიერისა გაიოზისა". 1 v—2 v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2314

რუდოლფ ოსტრატო—„ღირსი ხსოვნისა“ (მეგზური), 1786

189 ფ.; 19×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1786 წ.; გადამწერი: დავით რექტორი (363 გვ); მთარგმნელი; გერმანულიდან რუსულად: სერგია ვოლჩკოვი; რუსულიდან ქართულად: დავით ბატონიშვილი.

„ღირსი ხსოვნისა, ახენი ანუ ავენი.—თავისუფალი იმპერიისა ქალაქი მდგომარე შორის მდინარეთა რეინისა და მოზელისა, რომელსაცა შინა პირველ ამისა კეისარნი რომისანი გვირგვინოსან იქმნებოდეს და გვამი კეისრისა კარლოს დიდისა დაფლულ არს მუნვე...“ 1 r—361 r.

შენიშვნა: უძღვის „ღირსი ჴსოვნისა.—ღირსი ჴსოვნისა ევროპასა შინა, რომელიცა არს აღწერა მათი, რომელნიცა საძიებელ არიან ქუჳყანის მჩხრეკელთაგან ანუ შეჴდომისაებრ მოგზაურთა ადგილთა ევროპისათა ხილვად და ცნობად სათანადო არს. გარნა წიგნი ესე ქმნილი ულმისა სასწავლოსა მოძღურისა რ უ დ ო ლ ფ ო ს ტ რ ა ტ ო ს ა გ ა ნ ლათინურსა ალფავიტასა ზედა ამბავთათჳს ლექსიკონისა წილ საჴმარად შესაძლებელ არს, ხოლო როსიისა საიმპერატოროსა აკადემიისა მთარგმნელმან სერღია და გუარითა ვოლჩკოვმან სასარგებლოდ ყრმათა, ენისაგან გერმანულისა გარდამოსცა ენასა ზედა როსიისასა წელსა 1747“. 0 r.

2. „წინასიტყუაობა წიგნისა ამის.—არა რაჲმე ვრაცხე სარგებელ შეძინებად უმეტეს კაცთა ვითარ მიმოსვლა ქუჳყანისა, რომელსაცა ძალ უცს და უკეთუ არა ისტორიითა და ქარტითა შემეცნება შესაძლებელ არს. ვიხილე მე წიგნი ესე სამართლად წოდებული „ღირსად ჴსოვნისა“, რომელიცა მოუთხრობს ყოველთა ქალაქთა და ციხეთა ევროპისათა, რომელნიცა არიან ღირსნი ჴსოვნისანი. ხოლო მე არა ვუწყოდი, თუ ვისგან არს თარგმნილ ენასა ზედა ჩუჳნსა. გარნა აკლდა ამას რაოდენიმე მოთხრობანი ადგილთა და ნივთთანი, რომელმანცა პეტერბურხს ყოფასა ჩემსა განვმართე ამად, ვითარმედ რომელთაცა ერთა ჩვენთა ვერ ძალიდვან მიმოსვლაჲ, შეემეცნენ ამით და ისარგებლონ საუცხოოსა ჭამბითა და ნივთითა. საქართველოს მეფის ძე და მემკვიდრე და რუსეთის ღენერალ-მაიორი და კავალერი დავით [ბატონიშვილი]“.

ანდერძი: „რომელთაცა ამის უკუჳ წიგნისა მსუჳრულთა [1].

ესე წერილნი წარკითხუად ჴელად მიიღოთ და ამას შინა წერილთა ამბითა გულნი თქვენნი საამოვნო ჰყოთ, მეცა მომიხსენეთ ლოცვით. და უკეთუმცა რაჲმე შეცთომილება ჩემ მიერ იხილოთ, წყევასა და საყვედრელთა გიობათა ნუ მომაწერთ ამად, ვათარმედ რაოდენ ძალმედუა ეგრე სიმართლისა წერასა, ვმეცადინობდი. მაგრამ ესე წიგნი, რომელსაცა მომხილველსა ქართველთაგანსა აღეწერა, ქართულისა შვენიერად წერისა გამოუცდელ ყოფილიყო, ბანი, შინი, განი, ძილი, მანი გაურჩეველი იყო. და ამ გვარად სხვაცა ეს გვარნი მსგავსნი ასონი. მაგრა რომელიცა ქართულისა ლექსითა იყო დაწერილი, მისგან შეცდომა არავე მომეცის და რომელიცა ქართულითავე ასოთი დაწერილ იყოვე და სიტყვა სხვათა ენა იყო, ამაში წარმკითხველსა დამაჭმუნებდა, მაშინცა მე ეგრევე სიმართლესა ვმეცადინობდი და რაოდენ მეძლო, ეგრეთ სიმართლისა წერასა ვეცდებოდი, თვარა თქვენცა განიხილეთ ამას შინა ყოველნივე დაწერილნი. ევროპისა ქალაქნი ალფავიტასა ზედა სხვათა ენაა და ეგრეთვე სხვაცა მრავალნი ლექსნი სხვათა ენაა, რომლისა ქართულად წარმკითხველი მცირედრე უცხო იქმნება. ჩემ მიერ თქვენდამო მხილველთა ბოდიში ესე არს. მაგრა მე ეგრეცა სიმართლისა წერასა ვეცადე, თუმცაღა არცაღა მე ოდენ გამოვეკიდე

[1]. მიწერილია: „მსუჳრულთა არა, ჭი, ალექსის ძეო დავით მსურუჳლთა... არამედ იგულისხმე... რომელ მსურუჳლთა უნდა... ჰე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვენიერად დაწერასა, რომელი ჩამომავლობათა ჩვენთა შვენის კეთილ დახატულებითა წერანი. და მხილველთა ყოველთა უმდაბლესად გევედრები, რომელნიცა ამას კითხვითა შეექცეთ, მეცა ლოცვით და შენდობით მომიხსენეთ, რომელ ესე თქვენ მიერ ჩემდა ლოცვისა მომადლება კაცთა კეთილთა შესაბამ არს. ამათ ანდერძთა უმდაბლესად მომხსენებელ ვარ უმდაბლესი ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე დ ა ვ ი თ". 363 გვ.

მინაწერები: 1. „სრულ იქმნა იანვარს 20. წელსა 1786 (დიდება ღ̃თსა) ჴელითა ალექსისძის დავითისათა. მხილველთა ლოცუა ჰყავთ". 361 გვ.

2. „ვამართული და აღწერილი ი ო ა ნ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ღ ვ დ ე ლ მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს ა გ ა ნ არის, რომელსაც თჳთ მოუხილავს ქუჩყანანი ესე ყოველივე და ფრანგულის ანბანის გვარზე ამისთვის დაუწყვია, რადგანაც რომ ყოველთა ევროპიისა ადგილთა...

მე მ ე ფ ი ს ძ ე თ ე ი მ უ რ ა ზ ღ̃თით ვიყავ გერმანიაში წელს 1836-სა, და ეს წიგნი თანა მქონდა და დიდად გამომადგა". (აღნიშნული მინაწერი თეიმურაზ ბატონიშვილის ავტოგრაფია, იწყება 361 გვერდზე და მთავრდება 1 გვერდზე).

3. „მის უგანათლებულობის მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს არის ვინც..." მარცხენა ყდა v.

2315

პეტრე დიდის ისტორია, XIX

181 ფ.; 31,5×25; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XXI ს.]; ნაკლული.

„ნაწილი პირუელი. წიგნი მეორე. თავი 6.

მეფობა პეტრე პირუელისა.—დაწყებაჲ დიდისა ცვლილებისა განხატოვნებისა.

პეტრე დიდი იყო მექონ მტკიცისა ნაწევრობისა მაღლისა აღნაქვსობისა თავის უფლებითისა მოძრაობისა და სასიამოვნოისა შესახედაობისა..." 3 r—178 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...რომელ ნახევარი კაცთა ნათესავისა ანუ უმჯობეს არს კამჩადელთა.

პირველად ერთი ყაზახის აფიცარი წარვიდა 1701 წელსა მშრალის გზით..."

მინაწერი: „წიგნი ესე ეკუთვნის პეტრე ქებაძეს" (საცავი ფურცელი).

2316

მოსე ხონელი—ამირან-დარეჯანიანი, 1808

129 ფ.; 34,5×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1808 წ. (181 გვ.); გადამწერი: იოანნე ჴმალაძე (181 გვ.); ადგილი: პეტერბურგი (იქვე); დასაწყისში 13 ფურცელი და ბოლოში 26—დაუწერელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წიგნი ამირან-დარეჯანის ძისა, კარი პირველი, აბესალომ ინდოთ მეფისა ანბავი, მისივე მეფისა მორჭმულისა და გამდიდრებულისა აბესალომისა და წიგნი ამირან-დარეჯანიძისა.—არა იყი შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი—უდგა ასი ავაზი, ექვსასი ქორი თეთრი მწყაზარი. ჰყვანდა სამი ათასი დიდებული...“ 1—181 გვ. გვ.

ანდერძი: „განსრულდა ამირან-დარეჯანისძის ჭაბუკობით მოქმედება ქელითა იოანნე ქმალაძისითა. ნუმცა დასრულდება მწერლისა ამისა შვილი და შვილის-შვილის ხსენება ქვეყანასა ზედა. ვინც იხილოთ, მშვიდობასა და დღეგრძელობასა ჰყოფდეთ ჩემთვის.

დაიწერა წიგნი ესე დიდსა სახელმწიფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღსა, თვესა აგვისტოსა თ-სა, წელსა ჩყშ-სა“. 181 გვ.

2317

„მწუალებელთათვის“, 1834

90 ფ.; 23×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; დაშლილი; 1834 წ. (7 გვ.).

„მწუალებელთათვის, ვითარნიცა იყუნენ დასაწყისით ქრისტიანობისა.—მწუალებელნი იყუნენ ძუელსა შინა ეკკლესიასა ჰურიათასა, ვითა ახალსა ქრისტიანეთასა, სული ბოროტი ეშმაკისა მეცადინებდა განთვისუასა ყოველგან ღუარძლთასა ველსა ზედა ჭეშმარიტებისასა...“ 9 გვ.—179 გვ.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „მათს უგანათლებულესობას, საქართუელოს მეფის გიორგის XIII ძეს, თეიმურაზს და მეუღლესა მისსა, მეფის რძალსა ელენეს—

უმდაბლესად მიართმევს სტუდენტი ალექსანდრო-ნევსკის აკადემიისა პლატონ ეგნატის ძეჲ იოსელიანი.

წელსა 1834-სა, ივლისის 19-სა დღესა, ქალაქსა ს. პეტერბურღსა“. 7 გვ.

2318

ომაინიანი, 1816

89 ფ.; 32×20; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1816 წ. (70 r); დაუწერელია: დასაწყისში 4 ფ. და შუაში 71 r—76 v-დე.

„აქა. ამბისა დასაწყისი მიერითგან [მოილოს] სიტყვამა მოხსენება.—
დიდება შენდა, დიდება, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო,
ჩვენ ულირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო...“ 5 r—70 r.

შენიშვნა: ერთვის „სიმვოლი.—ლექსი ესე ზემოხსენებული, რომელ არს სიმვოლი, არა არს ჩვენისა ენისა ლექსი, არამედ ბერძული და ესე ნიშნავს ჩვენსა ვიდრემე ხმასა ზედა აღსარებასა სარწმუნოებასასა გინა მრწამსსა, ხოლო თქმა ესე აღსარება თუმცა მრავალთა დამნიშვნელ არს ვითარცა აღსარება ცოდვისა წინაშე მოძღვართა და ესგავსადვე სამოქალაქოსა შეცოდებისა წინაშე მსაჯულთა და ანუ საქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისა რაჲსამე შორის ერთა, მაგრა არა ესრეთ არს ალსარიცხველ გინა საგონებელ ალსარებ-თქმაობა ესე, არამედ მხოლოდ სარწმუნოებასა ალსარებისა და მნიშვნელ არს, რომელიცა შვენის სარწმუნოებასა მართლმადიდებლობითსა.—სიმვოლი წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ათანასე ალექსანდრიელ პატრიარხისა...“ 77 r—84 v.

მინაწერი: 1. „ქმნილი მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ“. მინაწერი დავითის ხელითაა. 87 v.

2. „ალიწერა წიგნი ესე ომაინიანი სამეუფესა ქალაქსა სანკტ პეტრებურლსა 1816 წელს აგვისტ[ო]ს 12 დღესა“ 70 r.

2319

ფენელონი — თელემაკის თავგადასავალი, XVIII

234 ფ.; 20×16; ქალალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი რუსულიდან სარიდან ჩოლოყაშვილი (232 r); გადამწერი: დიმიტრი საკაძე (232 r); [XVIII].

„გარდასავალი თელემაკისა, ძისა ულისესი, წიგნი პირველი.—კალიფსო ულისეს წარსვლას უკან ვერლარა ნუგეშიცემს, მრავლითა მწუხარებითა თავსა თვისსა საბრალო ჰყოფს სიცოცხლისათვის, მისის მღვიმითგან ტკბილი ლილინნი მხიარულებისანი არლარა ისმიან...“ 4 r—119 v.

„გარდასავალი თელემაკისა, ძისა ულისესი...“ მეორე ნაწილი. 129 r—232 r.

შენიშვნა: უძლვის 1. თავფურცელი. „გარდასავალი თელემაკისა, ძისა ულისესი. ქმნული უფლისა ფენელონისა მიერ, მოძლვრისა ძეთა ფრანცუზის კოროლისათა, რომელი შემდგომად იქმნა მთავარეპისკოპოზად კამბრეისისა და მთავრად რომის იმპერიისა.

თარგმნულ არს რუსთა ენასა ზედა 1734 წელსა და დაბეჭდილ არს მეორისა დაბეჭდვითა სანკტპეტერბურლსა იმპერატორის ჴელოვნებითსა აკადემიასა შინა 1767 წელსა“. ასეთივე თავფურცელი უძლვის მეორე ნაწილს 124 r-ზე.

2. „არლუმენტი [ესე იგი არს გამოცხადებანი] წიგნთა, რომელ არიან პირველსა შინა ნაწილსა...“ 1 r—3 r.

„არლუმენტი“ უძლვის წიგნის მეორე ნაწილსაც. 126 r—128 r.

მინაწერი: „თარგმნილი ქართულად რუსულისაგან თავადის სარიდან ჩოლაყაშვილისაგან“.

იქვე სხვა ხელით: „აღწერილი კნიაზ დიმიტრი სა[ა]კაძის მიერ“. 232 r.

2320

მილორდიანი, XIX

291 ფ.; 31×19; ქალალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.].

„წარსრულსა დროსა ევროპელნი, არა სრულიად ქრისტიანობისა მიმღებელნი, სცხოვრებდენ კერპთმსახურებასა შინა, მიიღებდნენ ჴელოვნებისა სწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლასა და სამოქალაქოსა ყოფა-ქცევასა. ანგლიაში შეემთხვია ჰაბუკსა ერთსა მილორდს საკვირველი განსაცდელი: დღესა ერთსა, დროსა შუადღისასა, რომელსაც დღეში იყო ჰაერი მშვენიერი და ცა მოწმენდილი...“ 1 r—290 r.

მინაწერი: „მეფის ძის თეიმურაზისა არის“. 1 r.

2321

ბრევლე[1]—ატეისტი (ტრაგედია), 1805

32 ფ.; 21×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; გადამწერი და მთარგმნელი: მირიან ბატონიშვილი; ადგილი: პეტერბურგი (1 r); 1805 წ. (1 r).

„მოქმედება პირველი, განცხადება I. ლენლეი და ვილსტონ.

ლენლეი:—ეს რა უეცარი შემთხვეულება არის! ...ეს რა ვნახე!.. ჩემნი განზრახვანი... ჩემი შურის გება, ყოველივე ახლა განქარდა! ჰი, როგორ ბოროტ შემთხვეულ ვარ მე! (მიიხედავს) შენ მომდევა, მე უკან?...“.

შენიშვნა: 1. უძღვის „მოქმედი პირნი.—ქ. კლერდონ ლონდონელი, ჩინებულის მდიდრის კაცის ძე.

ქ. ღრანვილ, ლონდონელივე მდიდარი და კეთილი კაცი, და კლერდონის მეგობარი.

ქ. ამალია, და[ი] ღრანვილისა, კლერდონის სასძლო.

ქ. ლენლეი, ამალიას შემყვარებელი და კლერდონის რაყიფ-მეგობარი.

ქ. ტრუვორტ, მსახური კლერდონისა.

ქ. ვიდსტონ, მსახური ლენლეისა.

ქ. ერთიც სხუა მსახური.

2. „ატეისტისა (ა)—ტრაღედია, ანუ მწუხარებითი წარმოდგინება, რომელიცა მომხდარა ინგლიზის ქვეყანაში. ხოლო ტრაღედია ესე არის გაკეთებული ინგლიზის ენასა ზედა უფლისა ბრევლესაგან. ინგლიზურიდამ ნემენცურზედ არის გადმოღებული, და ნემენცურიდამ რუსულზედ. ხოლო რუსულიდამ ქართულზედ გარდმოიღო საქართველოს მეფის ძემან მირიან, სამეუფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღს, თვესა ფებერვალს, წელსა 1805“. 1 r.

ქვემოდ განმარტება: „ა. ატეისტი არის ბუნებითის სჯულის მორწმუნე და არა სხვისა რომლისამე“.

2322

«პოლიდორ ძე კადმასი და ღარმონიასი», XIX

158 ფ.; 36×21: ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1798 წ. (158 r); ადგილი: ს. პეტერბურგი (158 r); ნასწორებია ტექსტის ხელითვე.

„პოლიდორ ძე კადმასი და ღარმონიასი, წიგნი პირველი.—თვითოეულისა კეთილისა და ბოროტისაგან გამოზიდენ სასარგებლონი შენნი. პოლ[იდორ]-წი[გნი] ა.—

[1]. ბრავე ი. ვ., იხ. ტრიფონ რუხაძის, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზნო! რომელნიცა საუბრობდით ჩემთანა სიყრმესა შინა ჩემსა, მისაუბრეთ მე აწცა, ოდეს შემაწუხებელი სიბერე განმჰყრობი თავსა ზედა ჩემსა ცივისა ჴელისა თჳსისა, ჰკუჱს ფრთათა განზრახვათა ჩემთასა...“ 1 r—158 v.

შენიშვნა: ერთვის გადათეთრებული დასაწყისი 15 ფურცელზე.

2323

შოთა რუსთაველი—ვეფხის ტყაოსანი (ვახტანგის რედაქცია), 1806

197 ფ.: 31×20; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა: გადამწერი: ონოფრე; 1806 წ. (197 r).

„ვეფხის ტყაოსანი—ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენლად შვენიერის სწავლისათვის მოშარეთასა(!). ტარიელს და ნესტან დარეჯანსა, ვეფხის ტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყუნა ზეცით მონაბერითა...“ 1 r—237 r.

შენიშვნა: ტექსტი გადმოწერილია ვახტანგის გამოცემიდან.

გადამწერის ანდერძი:

„აჰა იკითხე, მკითხველო, წერა რათ შეეფერების,
მე საქართველოდ მოსრულვარ, ჩემს ჴელთაგან იწერების,
ონოფრე სიონთ მოსული კანდელაკ სახელ მედების,
და აწ ვორონიჩ[შ]ი და წერით ვეფხობით სახელ ედების.

ვსწერე ეს წიგნი კალმითა, ძვლითა, ლერწმითა და ფრთითა,
მეფის ძის მღდლათა ხლებაში, მოშორვებული სახლითა;
ალექსის ძესა მივართვი, ანდრია სახელ ჴმობილთა,
და ვინც იკითხვიდეთ, მიბრძანეთ, შენდობას ვითხოვ ცთომილთა“. 197 r.

იქვე: „დაიწერა ესე წიგნი თიბათვის ზ. ქრისტეს აქეთ ჩყვ, ჴელითა ცოდვილის ონოფრესითა“. 197 r.

2324

აბდულმესიანი და თამარიანი, XIX

29 ფ.; 30×19; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; (თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავიდან). [XIX ს.].

1. „აბდულ მესია შავთელისაგან.—
სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან,
მომცეს მე სწავლა თქუჱნდა შემკობად,
გიძღჳს ქებანი, მქადს აქ ებანი,
და ვით ის დავით ვჰსჯდე მუსიკობად“. 2 r—13 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „პოემა ანუ შუენიერსიტყვაობითითა ჴელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი სამქებარონი სახელოვანისა და ძლევით განთქმულისა ხელმწიფასა მეფაჲსა თამარ პირველისა, 3 გიორგი მეფის ბაგრატოვანისა ასულისა, სრულიად ზემოჲსა და ქუემოჲსა ივერიისა და სხუათა თჳთმპყრობელაჲსა. და მტერთა მძლეველაჲსა. ქმნილი გელათის მონასტერსა შინა და მუნითვე მორთმეული აბდულ-მესია შავთელისაგან, პირუელ ყოფილისა მდივნად ღირს სახსოვარისა მის მეფაჲსა და შემდგომად მონაზონების მიღებისა მას მონასტერსა შინა იოანნედ წოდებულისა“.

2. „თამარიანი:

მო, ფილოსოფნო, სიტყჳთა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა,
დიონოსისგან, ვით ენოსისგან,
სრულნი ქებანი ამ ძლეთ ძლიერსა“. 16 r—27 v.

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი; „პოემა, ანუ მშუენიერსიტყუაობითითა ჴელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი სამქებაროდ. სახელოვანისა და ძლევით განთქმულისა ჴელმწიფასა მეფაჲსა თამარ პირუელისა, 3 გიორგი მეფის ბაგრატოვანის ასულისა, სრულიად ზემოჲსა და ქუემოჲსა ივერიისა და სხუათა თჳთმპყრობელასა და მრავალთა მტერთა მძლეველასა. წოდებული თამარიანად ანუ ჩახრუხაულად, ქმნილი ჩახრუხას ძისაგან, ნათესავით მოჰევისა, არაგჳს საერისთოსაგან“. 15 r.

2. თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით ჩაწერილი სტროფი (13 r): „ჩახრუხაძისა.—

ვის ძოწეული, ვარდ-გაწეული,
ლაწვი უმწყაზრობს განბრწყინვებულად,
ბროლისა ველსა, თვალ-უცთომელსა,
ინდონი ეყვნეს დამონებულად,

ლელწამ ტანისა, საროდ სცან ისა,
ედემის ნერგთგან ამორჩებულად,
ვისნი ვერ მჭურეტნი, იქმნენ ვით რეტნი,
ჭვრეტას ღირს ქმნილნი განცვიფრებულად“. 13 r.

2325

თეიმურაზ II—ლექსთა კრებული, 1808

180 ფ.; 21×17; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; დამკვეთი: თავადი ტუსის-შვილი ალექსი (178 r); გადამწერი: ქრისტეფორე (179 r); 1808 წ.

„სიმცროს ბატონიშვილობაში მეფემ ერეკლემ შვილი გაზარდა და სასახლეში ჰყვანდა, თჳთან იქ არ იყო. მეფემ თეიმურაზ შვილი და მისი გამზრდელი თხა ამ ლექსებით გაუმჟღავნა, ბატონის შვილის ანას მაგიერ მისწერა ესე ხუთი ლექსი:

ვითა ვთქვნეთ ძნელად სათქმელნი აწ თქვენთა ჩემის პირითა,
აღვსილნი მწუხარებითა, სისხლ-რევით ცრემლით ვსტირითა“.

შენიშვნა: კრებულში არაა შესული თიმსარიანი.

ანდერძი: „აღიწჳრა წიგნი ესე ლექსთა თავადი ტუსისშვილის ალექსის ბრძანებით იოვანე მღვდლის შვილის ქრისტეფორესაგან ნოემბრის **დ, ჩყჱ**“. 179 r.

მინაწერები: 1. თეიმურაზ გიორგის-ძე ბატონიშვილის ხელრთვა (118 r). მისივე ხელით ჩაწერილი ლექსი:

„ჩვენს სახლს წინა მაღალს ხეზედ ალი იჯდა საკვირველი,
მე გამოველ ეზოს გარეთ, რა შევხედე, გავხდი ხელი,
მისი სახე მშვენიერი, ტურფა ტანი ნაზად მძვრელი,
ელვარება, მკრთოლვარება ცისკარს უგავს, ჩემს გულს მწველი:
თვალნი მისნი ბროლბაზმაკნი მელნის ტბასა შევადარე,
მანგი მისი პირ-სიმრგულე გავსილ მთვარეს შევადარე,
კავ-ხილფები ჩემს გულს მკბენნი გიშრის გველთა შევადარე,
ინდთ დარაჯნი თვალთ გარემო სიმთთა სართა შევადარე,
ბროლ ფიფქული სი[ს]პეტითა მაზედ ბადახშნის ქანია,
ბეზეკთა უცხოდ მოსილთა...“ 180 r.

2. „ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზისნი, მეფის ირაკლის ძისანი, რომელსა ეწოდების ს ა რ კ ე თ ქ მ უ ლ თ ა გარდაწერად არა ღირს, რადგან წარმდარია უცების მწერლისაგან სრულებით“. 180 v.

3. „წელსა 1819, აპრილის 2, ბრწყინვალის კვირის ოთხშაბათს ჩავარდა ნევის ყინული და აიღეს კიდი“. 180 v.

2326

მიხითარ სევასტიელი—რიტორიკა, XIX

105 ფ.; 22×17; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; გადამწერი გიორგი ავალიშვილი; [XIX ს.].

„თჳს ჴელოვნებისა სარიტორიკოჲსა (ესე იგი სამჭევრმეთქუოჲსა) წიგნი ა. თჳს საზღუარისა სამჭერმეთქუოჲსა და წუალებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა.—მჭევრმეთქუჱობა, რომელიცა ითქმის რიტორებად არს ჴელოვნება საკეთილმეთქუო. ითქმის ხელოვნებად, რომელითა ეზიარების სხუათა ყოველთა ჴელოვნებათა...“ 8 r—101 r.

შენიშვნა: უძღვის: 1. თავფურცელი: „მიხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა, ქმნილი რიტორიკა სარგებელად შრომათა სხოლის შინათა. ქართულსა ჱმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა უკეთილმსახურესისა ყოვლად უბრწყინუალესისა და უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართუჱლოჲსასა, მამათმთავრობასა ანტონისსა.

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7272.

ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღ̃ისა 1764, თთუჱსა მეშჳდესა, რიცხუსა 10“. 2 r.

2. „წინასიტყუაობა. ეპისტოლე მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა, ირაკლის მიმართ მეორისა, ძმისა მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა დავითიან-ბაგრატოვანისა“. 2 v.

3. მიმართვა ირაკლისადმი „ირაკლი დავითიან-ბაგრატოვანისა ყოვლად უბრწყინუალესისა მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსასა, მის მეფობის სიმაღლეს ჩემს ყოვლად სატრფიალოს ძმას.—იცის საზოგადოჲან ჩუჱულებამან, ვითარმედ ყოველნი უმჯობესისა[დ]მი მიმართებენ თავთა თჳსთა თჳს...“ 3 r—7 r.

4. ერთვის „პინაქს-სიტყუაობა სარიტოროჲსა ჴელოვნებისა (ესე იგი) სამჭევრმეთქუოჲსა...“ 102 r—103 v.

5. როგორც ბროსეს შენიშვნიდან (2 r) ჩანს, ტექსტი გადაწერილია გიორგი ავალიშვილის მიერ.

მინაწერი:

„უკეთუ ვის ჰსურს ამის ჴელოვნებისა
ზედმიწევნილ ქმნად, რომელთა უხუჱბისა
ჰგულს-მოდგინებდეს, არ მიმდრეკი ნებისა,
გარე განდევნად ფიქრთა სოფლის შუჱბისა,
უკეთუ არა... ცუდად ვინმე ჰბურებისა.

დროებითითა ოდენ მწადნელობითა,
ანუ ოდესმე ლექსთა მკაზმელობითა,
და ანუ ჰაზრთა გარე წარმხმელობითა,
ვერ იქმნეს რიტორ, უხუად მჭევრმთქმელობითა,
არამედ ჰსდევნნეს მსმენნი ვით ჴელობითა.

ესრეთ ულირსყე დაცუად კანონთა თქმულთა,
პოვნილთა ჰაზრთა მიზეზთა ყოვლად სრულთა,
მეჴსიერებას შინა მტკიცედ დაცულთა,
უხუსიტყუაობით ფრიადრე განკარგულთა,
ზედ მოიღებდეს მონადირებად სულთა.
დ. თ.“ 104 r.

2327

მიხითარ სევასტიელი—რიტორიკა, 1817

102 ფ.; 23×18,3; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1817 წელი (100 v).

„წიგნი ა, თჳს საზღურისა სამჭევრმეთქუოისა და წუალებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა.—მჭევრმეთქუჱობა, რომელიცა ითქმის რიტორებად არს ჴელოვნება საკეთილმეთქუო...“ 8 r—98 v.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი იხ. 2326.
ერთვის: „პინაკ-სიტყუაობაჲ სარიტოროჲსა ჴელოვნებისა (ესე იგი სამჭევრმეთქვოჲსა)...“ 99 r—100 v.

2328

იოანე ბატონიშვილი—რუსულ-ქართული ლექსიკონი, XIX

984 ფ.; 34×20,5; რუსულ-მხედრული; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; [XIX ს.]; ნაწერია სხვისი ხელით, შიგადაშიგ ნასწორებია ავტორის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

A. ангич გარიელი ფრინველი.
Аба აბა, თათრულია, თეთრი მსხვილი შალი...“ 3 r—289 r.

შენიშვნა: უძღვის: 1. თავფურცელი „Показание словам, содержащимся в шести частях по чину азбучному, со значением стольбцов, на которых какое слово находится“. 1 r.

2. განმარტება: „A გამოხატვა პირველისა ასოჲსა სლავენო-რუსულის ანბანისა, რომელიცა არს ჴმოვანთა ასოთა შორის პირველი და ეწოდების (ა)...“ 2 r—v.

2329

რუსულ-ქართული ლექსიკონი, XVIII

383 ფ.: 17.5×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი და დამწერი: დიაკონი გიორგი ლამბარაშვილი (383 v).

„ლექსიკონი.—სალაპარაკო ბერძენთა (sic), შესაწევად სიბრძნის მოყვ[არ]ულთა, სასწავლებელ[თა] და მოსწავლეთა მიხდომისა[თვის]. 1 r—383 v.

ანდერძი: „ქ. სრულ იქმნა ყოვლად პატიოსანი და კაცთა განმანათლებელი და ყოვლის გზის ცოდნის შემძატებელი ლექსიკონი ესე დიდს მოსკოს, ბრძანებითა ქართველთა მეფის ვახტანგის ძისა უფლისა ვახუშტისათა, ჴელითა და გარჯითა და გარდმოთარგმნითა გიორგი დიაკონი ლამბარაშვილითა დიდითა მოჭირვებითა და მრავლითა რუდუნებითა. ვინც იკითხევდეთ, ანუ გარდასწერდეთ, პირველად მეფის ძე ვახუშტი დალოცეთ და შემდგომად ჩემის დიდის ჭირნახულისათვის გარდამონაცვივნების დაბიჭევისაგან (!) ჩემთჳსცა შენდობას ბრძანებდეთ“. 383 v.

2330

დავით ბატონიშვილი—სამართალი, XIX

223 ფ.; 34×22; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; ნაკლული; ნასწორებია შიგადაშიგ ავტორის მიერ; დაუწერელია: 88 r—99 v, 168 r—169 v, 178 r—223 v. [XIX ს.].

„სამართალი ბატონის-შვილის დავითისა, თავი ა. ამბოხისათვის.—ვიეთთაცა იწყონ ამბოხი პირისპირ მეფისა და ანუ საზოგადოობისა და უმეტეს ჟამსა ბრძოლისასა, იგინი ძელსა მოეკიდნენ. ხოლო მეშფოთენი ჯურუმითა დაისჯებიან, და სალდათნი განიჯოხვიან. ხოლო იარაღთა ჴელმყოფელნი ორზომად განიპატიჟებიან, და მოსამართლეთაცა წინაშე ავად მქცევნი ტანჯულ იქმნებიან პატიმრობითა, გუშმითა და გინა ჯურუმითა...“ 11 r—167 v.

შენიშვნა: ერთვის ანბანური საძიებელი. 3 r—8 v.

ანდერძი: „შეწევნითა ღ̃ისათა ჩუენ საქართველოს მემკვიდრე და რუსეთის სამხედროს ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი, მეფისძე დავით, წარმოვუდგენთ ერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუჱნთა გონებისა ჩემისა ჰსჯასა, რომლისაცა კარგიერებაჲ შემოიტანს შეკავშირებასა ერთასა.

ვინაჲდგან უწყიან ყოველთა, თუ ვითარითამე სურვილითა უყოფიესთ წინაპართა ჩუჱნთა სჯულისათვის ერთა კარგიერებისადმი მოსაყუანთა, რომელთაცა შრომაჲ არა არს უსარგებლოჲ, მაგრა ცვლილებისაგამო სოფლისა და ანუ უვითარებლობისა მწერალთასა იხილვებოდა ჭელყოფილსა შინა მათსა მეტ და ნაკლ ყოფობაჲ, რომლისა გამო იყო უთანხმობაჲ და დაუმორჩილებელობაჲ ჰსჯულთა მათ და განწესებათა. ამის გამო იძულებულმან ვჰყავ შრომაჲ და შევჰსთხზევ მრავალთა პირად-პირადთაგან სჯულთა და განწესებათა, რომელთაცა აქუნდა მახლობელ დგომაჲ ბუნებითისა ჰსჯულისა, რათა ამით უჩვენო ერთა ჩემი ესე უმწვერვალესი სიყვარული, და მოვიყვანო იგინი კარგიერებასა შინა, და მით უღელსა ქუჱშე მორჩილებისასა; და რათა მსაჯულთაცა მივსცე გზაჲ ქმნად სამართლისა და მიცემად ჰსჯისა.

საქართველოს მეფის ძე, მემკვიდრე, რუსეთის ღენერალ-ლეიტანანტი და კავალერი დავით". 8 v—9 r.

ერთვის: „მეფის ვახტანგის სამართლის წიგნის ზანდუკი". 171 r—177 v.

2331

იოანე მმარხველი—სჯულის-კანონი, 1827

120 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; მთარგმნელი: ევთიმი მთაწმინდელი; გადამწერი: გიორგი ტერტერაშვილი (118 r); 1827 წ. (118 r).

„ჰსჯულის-კანონი მეექუსისა კრებისა იოანე მმარხუჱლისა, წმიდისა მამისა ევთიმი მთაწმიდელისა მიერ თარგმნილი.—წესი და განგება ას-სამოცდარვათა წმიდათა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტინუპოლის, ახალსა ჰრომსა, კოსტანტინე ღ̃ის მსახურისა და მორწმუნისა მეფისა ზე ძის წულისა ძისა ჰერაკლე მეფისა..." 10 r—107 v.

შენიშვნა: უძღვის: 1. „თქმული მეფის ძის იოანესაგან იამბიკო ესე.—[იონა ხელაშვილისადმი].

„**Ⴈ**ვერიის ნორჩსა ვაზსა კეთილსა,
Ⴍქრო ნილოსა ტკბილად მოდინარესა,
ნექტარსა სამოთოს მწყურვალთ განმაგრილესა,
ანთრაკს მშუჱნიერს სიბრძნის გამომკრთოლვილსა,
საუნჯეს საღმრთოს სულისა მომბერვალსა". 1 r.

2. შვიდი მომაკვდინებელი ცოდვანი. 3 r—9 r.

3. ერთვის: „საძიებელი, გინა პინაქსიტყუაობა იოანე მმარხუჱლის ჰსჯულის-კანონისა..." 108 r—117 r.

ანდერძი: „დასასრული იოანე მმარხუჱლის ჰსჯულის-კანონის საძიებელისა. აღვჰსწერე ჰსჯულის-კანონი ესე მე მდაბალმან, სრულიად კახეთის რეკტორმან, სიბრძნის მოყუარემან, კეთილშობილმან ალექსიევმან, ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე მ ა ნ დ ა ვ ი თ მ ა ნ, თთუესა იულისსა 1. „ქ̃ეს აქეთ 1810, ქ̃კს უჟჱ. მე სრულიად კახეთის სამეფოს რეკტორმან და სიბრძნის-მოყუარემან და მოძღუარმან ფილოსოფიისა და ღ̃ისმეტყუჱლებისამან მაღალ-კეთილშობილმან ალექსიევმან, ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე მ ა ნ დ ა ვ ი თ მ ა ნ ესე ჰსჯულის-კანონი იოანე მმარხუჱლისა ა̃ღვსწერე თვისსა დედანსა ზედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტნაკლოთ. მაგრამ ჩვენს წმიდას მამას ევთიმი ქართველს მთარგმნელს ეს სჯულის-კანონი რომ ეთარგმნა ბერძულიდამ, ამ სჯულის-კანონის საძიებელი—რომელ არს ზანდუკი—დია ავად იყო, და მე შევაწყე და დავშჳერ, და მის-მის ადგილას დაუწერე თავიცა და ფურცლის რიცხვიც. ვინც ეს ჩემი შრომა ნახოთ, შენდობა ჰყავთ ჩემ ცოდვილისათჳს, რათა ღმერთმან თქვენცა შეგინდვნეს შეცოდებანი თქვენნი. ვინც ამ ჩემის ნაშრომიდამ გარდასწეროს და ეს ჩემი სახელი დააკლოს, იგიცა დაკლებული იქმნების წიგნისა მისგან ცხოველთასა; და ვინც არ დააკლოს ჩემი სახელი, იგიცა ნუ დააკლდების შერთვად ბანაკსა ანგელოსთა ცათასა. თვესა იუნისსა, რიცხუსა 27, წელსა 1810, ქ˜კს უჟჱ". 117 v.

2. „ამ დ ა ვ ი თ რ ე კ ტ ო რ ი ს აღწერილი დედნიდამ გადმოვჰსწერე უმეტნაკლოდ წელსა ჩყკზ, იუნისის ა დღესა, გ ი ო რ გ ი ტ ე რ ტ ე რ ა შ ვ ი ლ მ ა ნ, 1827 წელსა, ივნისის 1 რიცხუსა. უკეთუ შეცთომა იყოს რაჲმე, შენდობას ვმოქენეობ. გიორგი". 118 r.

2332

ეკატერინა მეორე—„დაწესება მმართებლობისათვის ღუბერნიათა", 1808

118 ფ.; 34×22: ქაღალდი; მხედრული; მთარგმნელი და გადამწერი: გოდერძი ფირალოვი (1 r); 1808 წ. (1 r); მუყაოს ყდა; ნასწორებია შიგადაშიგ.

„დაწყება. წყალობითა ღ˜თისათა ჩვენ ეკატერინა მეორე, იმპერატრიცა და თვითმპყრობელა ყოვლისა რუსეთისა, სხვათა და სხვათა და სხვათა, განუცხადებთ ყოველთა ჩვენთა სარწმუნოთა ქვეშევრდომთა.—თუმცა შენატრებულთა წასრულთა საუკუნოთა მეფეთა და მეფოჩათა და დღეთა ჩვენთა შინაცა მრავალნი კეთილნი მაგალითნი დაუტევებიესთ მყოფებათა თვისთა შინა...". 114 r—118 r.

თავი I.—პრიმერნის შტატი ღუბერნიისა, რაოდენი რიცხვი სულითა დაიდების ღუბერნიისა შინა, რათა ღუბერნიისა და ნამესნიჩესტკისა კანონიერად შესაძლო იყოს მმართებლობა, დაიდების მას შინა სამასი ათასიდგან ვიდრე ოთხასი-ათასამდე სულნი..." 2 r—110 r.

შენიშვნა: უძღვის: 1. თავფურცელი „Учраждение Губерный.(!) უკეთილმსახურესისა და უთვითმპყრობელესისა დიდისა ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატირინა მ[ე]ორისა დაწესება მმართებლობისათვის ღუბერნიათა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა. დაბეჭდილ არს მოსკოვისა სენატისა სტანბასა შინ[ა] წელსა განხორციელებიდგან უფლისა 1789—ჩღპთ.

ითარგმნა რუსულისა ენისაგან ქართულსა ენასა ზედა ტიტულარნის სოვეტნიკის გ ო დ ე რ ძ ი ფ ი რ ა ლ ო ვ ი ს ა გ ა ნ წელსა ჩყჱ".

2. დართულია ლექსიკონი „ა აპპელაცია—ესე არს ოდეს ერთისა სასამართლოჲსაგან მოჩივარი კმაყოფილებას ვერა მიიღებს, მას ზედა უმაღლესს სასამართლოსა შინა იჩივლებს და იმ საჩივრის არზასა ჰქვიან აპპელაცია...

არმია—ჯარი არს..." 112 r—113 v.

მინაწერები (ავტოგრაფული): „საქართველოს მ ე ფ ი ს ძ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა არის. შავი ნათარგმნი გოდერძა ერეტისა. თხზვასა ამასსა ეჭირების გასწორება და უგვარო სიბნელიდამ გამოყვანა. საჭირო[ა] სახელთ განმარტება და მერე თეთრად გარდაწერა. წელსა 1819, ნოებრის 14. ქ˜კს ფზ. პეტრებუხს". 1 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2333

[დავით ბატონიშვილი]—არტილერიის წიგნი, XVIII

171 ფ.; 18,5×15,5: ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს.]; დაუწერელია დასაწყისში 8 ფ.

„ქ. უბძანებთ ყოველთა ერთათ ჩვენს იანარალთ, შტაფთ ობორ და უნდრ აფიცართა, და სალდათთა, როგორც მემკვიდრეთა. აგრევ სხვის ქვეყნისასა ჩვენს სამსახურში მყოფთა, სიმდაბლით და მორჩილებით იყოს. თავისი მართებული ყოველი ნაბძანები ამ არტიკულისას სწორეთ აღასრულებდენ, და ყოველთა სხვათა, მაღალთა და მდაბალთა მოხელეთა, ყოვლის უმიზეზოთ ჩვენ, ვითარცა ჴელმწიფესა თვისსა, შემოგვფიცონ...“ 9 r—166 r.

მინაწერები: 1. „მათის უმაღლესობას არტირელისა ირაკლი მეორ[ე]სა (თავფურცელზე).

2. „საქართველოს მეფისძის ლავითისა არის“. 9.

3. „ერთი შაური(ს) ბურნუთი იყიდა.
ერთი შაურის ძაფი იყიდა.
ერთი შაური[ს] ყველი იყიდა.
ერთი აბაზის კორცი იყიდა.
ერთი აბაზი და ოთხი ბისტი ისე წაიღო.
აქიდამ გახდა სამი აბაზი და ექსი ფული“
(მარცხენა ყდის v).

2334

„სახარება—სამოციქულო“, XVII

324 ფ.; 18×14,5; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII ს.]; მახარებელთა ილუსტრაციები; 1 v, 8 v, 51 v, 289 v, 302 v. ტექსტი იწყება თავმოკაზმულობით 2 r, ტყავგადაკრული ხის ყდა.

„განგება სა[ე]კლესიოჲ ბერძულსა წესსა ზედა, რომელსა შინა წერილ არს წელიწდისა ყოველთა დღეთა და შაბათ-კჳრიაკეთა საკითხავები, მარხვათა განგებაჲსა თანა და ათორმეტთა თჳუთასაჲ.—ნათლით შემოსილსა აღვსებასა აღდგომასა უფლისაჲ ჩ[უ]ენისსა ფსალმუნი ჴმაჲ დ. ...“ 2 r—324 v.

მინაწერები: 1. „[სა]ხარება-სამოციქულო ლეკთაგან წარტყვენილ იყო, [ზღვა]რის (!) არქიმანდრიტმან დანიელ საკაძემ გამოვის[ყიდე]“. 324 v.

2. მარი ბროსეს განმარტება დასახელებული ხელნაწერის შესახებ ფრანგულად (თავფურცელი).

2335

სადღესასწაულო, XVIII

682 ფ.; 20×13: ქაღალდი; მხედრული; უყდო, დაშლილი; [XVIII ს.).

თუჱსა სეკდებერს იგ. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან დედოფლისა. ესე იყო ასული ქართველთ მეფისა, დედოფალი კახეთისა. ხოლო იწამა სპარსთა მეფისა შაჰბაზის მიერ უსჯულოსა ქალაქსა შინა, რომელსა ეწოდების შირაზ.—მწუხრი უფალო ღაღადყავსი დ...“ 1 r—682 v.

წყდება: „...ტრაპეზსა ზედა იქმნების დიდი ნუგეშინის ცემა ძმათა მიერ. სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს მწუხრად და ცისკრად ამ წესით უნდა...“.

შენიშვნა: თავფურცელი ბროსეს ხელით ფრანგულად ნაწერი „Sadghésastavlo...“ მიწერილია 1852 წ. (Georg. 120, a.).

2336

თვენი, XI

262 ფ.; 25×18; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით. [XI ს.]; ტყავგადაკრული ხის ყდა; ბოლოფურცელი მოცილებულია.

„უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, წარჰმართე შრომაჲ ჩვენი. ამინ. თვესა აპრილსა ა. წმიდისა დედისა ჩვენისა მარიამ მეგჳპტელისაჲ. უფალო ღაღადყავსა, ჴმაჲ ა. ზეცისა განწესე, რომელმან იგი შემუსრნა ეგჳპტისა კერპნი, ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან გიჴსნა შენ, ეგჳპტისა ცოდვისა წყუდიადით და წარგიძღუა სინანულისა ნათელისა საღთოჲთა მით წამისყოფითა თჳსითა სამგზის სანატრელო დედაო...“ 1 r—261 r.

წყდება: „აპრილსა კგ, წმიდისა გ̃ისი გმ̃ნე... დიდებაჲ ღ̃ა ჩ̃ნსა“. 261 r.

ანდერძი: „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. ღირს ვიქმენ მე უ რ ბ ნ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ვ ლ ა ს ი შეკაზმად წმიდისა ამის წიგნისა თუჱთა აპრილისათა. რამეთუ ჟამთა სიგრძისაგან განრყუნილ და უჴმარ ქმნილიყო. და ჩუჱნ ახლად ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა ჩუჱნისა ტფილელ მთავარეპისკოპოსისა ბარნაბისითა ჴელვყავ შეკაზმად სალოცველად ცოდვილისა სულისა ჩუჱნისა, და ცოდვათა ჩუჱნთა მოსატევებლად, და ყოველთა ჩუჱნთა თვისთა და ნათესავთა მიცვალებულთა შესანდობლად. და აწ გევედრები ყოველთა, რომელნიცა იკითხჳდეთ წმიდასა ამას წიგნსა, რათა ჴსენებულ ვიქმნებოდეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქვენთა, რათა თქვენცა მოიღოთ სასყიდელი უხუად მიმნიჭებელისა მის ყოველთა ღ̃ისგან, და ერთობით ღირს=ვიქმნნეთ სასუფეველსა ცათასა. ამინ.

ლოცვაჲ ჰყავთ მამისა ბ ა რ ნ ა ბ ა ჲ ს თ ჳ ს, და ძმათა ჩუჱნთა სულიერთათჳს, და ჩემ ცოდჳლისა ვ ლ ა ს ე ს თ ჳ ს, რომელმან წმიდა ესე წიგნი შევჰკაზმე, უფალმან უწყის, მრავალი ჭირი ვიხილე: შეიკაზმაჲ წმიდაჲ ესე წიგნი ქ̃კსა ხნჱ“. (1038 წ.) 262 r.

მინაწერები: 1. „ე[სე]... წმიდა დავით მეფისაჲ[არს]. ნასყიდი არის, ოპიზარმან ილარიონ იყიდა, მეფისა მოძღვარმან, შ~ნ ღ~ნ“. 1 r.

2. „წელსა ჩყკ აპრილის დ. მივიღე წიგნი ესე ცხოვრება წმიდისა დედისა ჩვენისა მარიამ მეგვიპტელისა იეროსალიმს, ჯვარის ამაღლების მონასტრიდამ, ბრძანებითა წმიდისა პეტრას მიტროპოლიტის მიხაელისა, და სრულიად კრებულისა მამისა ნებართვითა თავადმან გიორგი ავალოვმან“. (მარცხ. ყდის v. მხედრულით).

3. „ქ. წელსა 1830 ივნისის 18, ქალაქსა მოსკოვს, ღირს ვიქმენ მეცა ხილუად წმიდათა ამათ წიგნთა გრიგორი ღ~თისმეტყველს, ფსალმუნთა განმარტებას, სახარების თარგმანს, სამოციქულოს თარგმანს, მარგალიტს, ამას აპრილისა და ივლისის თთვეთა, რომელნიცა ეკუთვნიან ჯვარის მონასტერსა ქართველთასა, რომელიც არს იერუსალიმს. გლახაკი ბერ~ი ტარასი ალექსიშვილი“. 262 v (მხედრულით).

4. „ცხოველს მყოფელო ჯვარო, შენ პადლს, შეიწყალე ქუთათელი ეფთვიმე ჩიჯავაძე“. 26 v.

2337

თვენი, 1049

285 ფ.; 25,5×17; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ცალი ყდა; გადამწერი: მიქაელი (285 r); 1049 წ. (285 r).

„თთუესა ივლისსა ა, წმიდათა კოზმან-დამიანეთა ჰრომთაჲ, უფალო ღაღადყავსა ჴმაჲ დ. მჴნეოთა ზედა მადლითა მით სულისაჲთა მდინარეთაებრ სდიოდეთ და განცხადებულად ყოველთა უძლურთა მოჰრსწყევდით საღმრთოჲთა მადლითა...“ 2 r—284 v.

ბოლო „აგჳსტოსა ლა. ხალკუპრატიას დადებაჲ და თავყუანის ცემაჲ პატიოსნისა სარტყელისა ყოვლად წმიდისა ღ~თის მშობელისაჲ... და სარწმუნოებით თაყვანის ვსცემდეთ, საღმრთოთა წერი...“

ანდერძი: „მადლი და დიდებაჲ ყოვლადვე დამბადებელსა, და უკუნითი უკუნისადმდე ამინ.—ყოვლად გამოუთქმელსა მოწყალებასა და სახიერებასა ღ~თისსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისსა. დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოღუაწებითა ღ~თ-შემოსილისა და სახიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა იოვანე გოლგოთელისაჲთა. უფალმან ღმერთმან ამათ ყოველთა წმიდათა თანა ზიარყავნ სული მათი, ამინ. დაიწერნეს და განსრულდეს ქორონიკონსა სჲთ ჴელითა საწყალობელისა და ყოვლად განწირულისა და უმეტესად ყოველთა ადამეანთა შეცთომილისა მიქაელისითა. წმიდანო ღ~თისანო, გევედრები დაკლებულისა და ცდომილისათჳს შეინდვეთ და კნინისა შურომისათჳს ლოცვაყავთ. რომელი რაჲმე მარჯუედ იყოს, კეთილისა და ტკბილისა მოძღურისა მადლითა არს; და რომელი დაკლებული იყოს, ჩემგან არს, უკეთურისა და ყოვლად მცთომისა. შემინდვეთ და ლოცვაყავთ, წმიდანო ღ~თისანო. ვინ ესე წიგნი რაჲცა მიზეზითა გოლგოთისაგან გამოაჴუას, შემცაჩუენებულ არს ვითარცა ყოველნი მწვალებელნი და სულიმცა მისი დაშჯილ არს მათ თანავე განუჴსნელად.

შეიმოსა ჴელითა კურთხეულისა ძმისა ნისთერეონისითა. ღმერთმან აკურთხენ და მადლი მიეცინ სულსა მისსა. ლოცვაყავთ მისთჳს, წმიდანო მამანო, პავლესთჳსცა ლოცვაყავთ, დიად ამაშენა დანაისა ლესვითა“. 285 r.

მინაწერები: 1. „წელსა ჩყკ, აპრილის დ, მივიღე წიგნი ესე წმიდათა კოზმან-დამიანეთა იეროსალიმს ჯვარის ამაღლების ეკკლესიიდამ, ბრძანებითა წმიდისა

პ ე ტ რ ა ს მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს მ ი ხ ა ე ლ ი ს ა და სრულიად კრებულისა მი-სისა ნებართვითა თავადმან გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ო ვ მ ა ნ..." 1 v (მხედრულად).

2. „ქ. ესე წიგნი ჯუარისაჲ პატრონისა დ ა ვ ი თ მ ე ფ ი ს ა სალოცვად მე მის-მან მოძღვარმან ილარიონ ვიყიდე სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯუარი სპარსთა დაიჭირეს და ვინცა რაჲთცა მიზეზითა გამოაჴოს . . . . ისა პირითა. ესე წიგნი ო პ ი ზ ა რ მ ა ნ ი ლ ა რ ი ო ნ იყიდა მეფისა მოძღვარმან, შეუნდენ ღმერთმან..." 2 v.

3. „შ[ე][ი]კაზმა სულთა გ[ა]ნმანათლებელი ესე თუე[ნი] ჴელითა ფრიად ცოდვილისა ბ ა ს ი ლ ი ა ლ გ ო მ ე ლ ი ს ა ჲ თ ა. ვინცა იკითხვიდეთ, მომიჴსენეთ წმიდათა ლოც-ვათა შინა თქუენთა, რომელმან თქუენცა მოგიჴსენოს ღმერთმან, ამინ". 283 r.

2338

თვენი, XVI

284 ფ.; 23×15,5; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა, დაზიანებული; [XVI ს.]; რესტავრირებულია.

„თუესა იანვარსა ა. წინადაცუეთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი· ჴმაჲ ა.—შენ სიტყუა დაუსაბამოჲ, ზეცისა მეუფე, თანასწორი მამისა სიმდაბლით..." 2 r—284 v.

მინაწერები: 1. „წელსა ჩყკ. აპრილის დ მივიღე წიგნი ესე წინა-დაცვეთისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ბასილისა, იეროსა-ლიმს, ჯვარის ამაღლების ეკკლესიიდამ, ბრძანებითა წმიდისა პ ე ტ რ ა ს მ ი ტ რ ო-პ ო ლ ი ტ ი ს მ ი ხ ა ე ლ ი ს ა, და სრულიად კრებულისა მისისა ნებართვითა თა-ვადმან გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ო ვ მ ა ნ". 1 v.

2. „ღმერთო და ჯუარო პატიოსანო, მიჴსენ განსაცდელისაგან სულიერისა და ჴორციელისა, რომელმან ესე მოვაცხოვლე. ა̃ნ. ა̃ნ." 89 r (მხედრული).

3. „დ ე დ ო ფ ლ ი ს ა მ ა რ თ ა ჲ ს მონასტრისა კჳკ̃ლისჲ. კრული არს, ვინცა გამოაჴოს". 279 v—280 v (ნუსხური).

4. „სულსა მ ი ძ ნ ა ძ ო რ ი ს ა წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი ს ა ზ ო ს ი მ ე ს ა შეუნდნეს ღმერთმა[ნ]". 2 r. (მხედრული).

2339

თვენი, XI

175 ფ.; 22,5×19; ეტრატი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XI ს.).

„თუესა ივნისსაჲ ა, წმიდისაჲ იოსტინე ფილოსოფოსისა და მოწამისა და სხჳსაცა, იოსტინესივე მოწამისაჲ და მათთანათაჲ. ჴმაჲ მამისაგან ბ.—რაჟამს უმეცრებასა ზამთარსაჲ დაეპყრაჲ სოფელი ზაკვითაჲ მტრისათაჲ..." 2 r—172 r.

ანდერძი: 1. „წმიდანო მამანო, უწყოდეთ ვითარმედ პირველად ამის მწერალსა ჴურთხეულსა არ ვიცი, არ დაეწერაჲ, არ ვიცი, ჟამთა ვითარების დაკარგულიყო. ქორონიკონი ვერ ვიპოვე. და ახლაჲ, რომ ეს წმიდა თვე შევჰკარ, მაშინ ქორონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონი იყო ბერძულა‹ ქრისტესითგან ათას-ექუსას-ორმოცთა ცხრაჲ იყო. ჯუარო პატიოსანო, შემიწყალე მე ცოდვილი ამის შემკვრელი, ფრიად ცოდვილი დიაკონი გრიგოლ. პატიოსნისაჲ ჯვარისა ქართველთ მონასტრისაჲ ა˜ნ. ა˜ნ. (ნუსხურით).

ქ. ჯვარო პატიოსანო, ადღე[გ]რძელე და აცხოვნე უფალი ჩემი მამა ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა არქიმანდრიტი ნიკიფორე კახი ა˜ნ." (მხედრულით), მისდევს ორი ტრიქონიანი ბერძნული მინაწერი. 172 r—v.

2. „სახელითაჲ არსებაჲ დაუბადებელისაჲ, სამგუამოვნისაჲ ერთ-ღთაებისაჲ, ბუნებით მიუწდომელისაჲ და გამოთქმულისაჲ და ყოველთა არსთაჲ არაჲ რა[ჲ]სგან არსებად მომყვახებელისაჲ, სამებისაჲ წმიდისათაჲ, მეოხებითაჲ ყოვლად წმიდისა და უბიწოსაჲ უხრწნელისაჲ დედოფლისაჲ ჩუენისაჲ ღ˜ისა მშობელისათაჲ, ძალითა და შეწევნითაჲ წმიდისაჲ და ცხოვლისმყოფელისაჲთა და ყოვლად პატიოსნისაჲ ჯვარისათაჲ, წყალობითაჲ და შეწევნითაჲ ყოველთაჲ წმიდათაჲ, უსხეულოთაჲ მთავარანგელოზთაჲ და სერაბინ-ქერაბინთაჲთაჲ, და ყოველთაჲ ზეცისაჲ ძალთათაჲ, მადლითაჲ და მხ ებითაჲ (!) წმიდისაჲ წინამორბედისაჲ იოანე ნათლისმცემლისაჲთა, მხოებითაჲ ყოვლად ქებულთაჲ წმიდისა მოციქულთათაჲ, წინასწარმეტყველთაჲ, მოძღვართაჲ მოწამეთაჲ, და ყოველთაჲ ღირსთაჲ მამათაჲთაჲ, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსაჲ იესუს ქრისტესაჲ, ღირს ვიქმენ მე ყოვლად უღირსი ბრძანებითა და ჯერჩ[ი]ნებითაჲ პატრონისაჲ და მეუფისაჲ ჩემისაჲ ჯვარისაჲ და წმიდისა გოლგოთისა მამისაჲ და წმიდისაჲ ქალაქისაჲ იერუსალიმისაჲ არჰიმანდრიტისაჲ ნ ი კ [ი ფ] ო რ ე მ ო მ ა ნ ი ს ძ ი ს ა ჲ, ქცევითა და საქმითაი ვნებულმან, ჩ ო ლ ა ყ ა ს შ ვ ი ლ ი ს ა ჲ, კ ა ხ ი ს ა თ ა ჲ, შევჰკაზმე წმიდა ესე თვე მე უღირსმან, და ნივთის მოსურნემან ქვემეთრეურთაჲ, გულისთქმითაჲ ტვირთითაჲ ქუშე ზიდულმან, ცოდვილმან და არაღირსმან სახელისაჲ გრიგოლ დიაკონმან, მონაზონმან მისმან. გავაკეთე წმიდაჲ ესე თვე ივნისი დაშლილი იყო ჟამთა ვითარებისაგან, უჯმარ იყო. მას ჟამსაჲ ოდეს წარვიდაჲ მ[ე]უფე ჩემი ბატონი ჯუარის მამაჲ ნ ი კ ი ფ ო რ ე იერუსალიმით საქართველოში, ამან უფალმან ჩემმან დაახატვინა წმიდაჲ ესე ჯვარი და გუმბათიც, ახლა გააკეთაჲ, დახეთქილი იყო: და წმიდაჲ საკურთხეველი და ტრაპეზი, და ჯუარის თვალი ამან მოაფიქულინაჲ მარმარილოთაჲ. და სხვაჲ მრავალი კარგი ქნა მამამან წმიდამან . . . . . . გებით ყოველთა; რომელნი შემგდომითი ყოვლად ჰმკვიდრობდეთ წმიდისა ამას მონასტრისაჲ შინაჲ, რათა ჴსენებაჲსა ჰყოფდეს წმიდისაჲ ბ˜აჲ ლოცვათაჲ თქვენთა დაუვიწყებლად, რომელთაჲ ღმერთმან მოგაგოს სასყიდელი ჴსენებისათვის წმიდისა მამისა ჩე ისაჲ, ვითარმედ უწყოდეთ, რამეთუ კაცი ესე წმიდაჲ და ღ˜თ შემოსილი იყოჲ, ბრძენი ფილოსოფოსი და რიტორი, და ღირსი ყოვლისაჲ სიკეთისაჲ და სწავლული ენისაჲ ვითარ შჳდისაჲმდე. ამან მამამან ჩუენმან საქართველოს რომ წაბრძანდაჲ, მის წილ წარმოგზავნაჲ წინამძღვრად ბატონი მღვდელმ ო ნ ა ზ ო ნ ი მ ა რ კ ო ზ, სწავლული და წმიდა, და ღირსი ყოვლისა პატივისა. უკუეთუ იკითხოთ ნათესაობაჲ, იყო ქუეყნით სამცხით აწ გ˜თ მეცა (!), რათაჲ ჴსენებასაჲ ჩემსა ჰყოფდეთ წმიდათა შინა ლოცვათაჲ თქვენთაჲ და ჩემთა მამაჲ, დედათაჲ ძმათა და დათაჲ, და ჩემთაჲ მიცვალებულთაჲ, რათა თქუენცა მოიღოთ სასყიდელი შრომითა თქუენითა ტკბილის ქ˜ს მეუფისგან დღესა მის დიდსაჲ განკითხვისსა. ამინ.

აწე და ვინცა გამოაჴუას წმიდისა ამის პატიოსნისა ტაძრისაჲ ჯვარისასა წმიდაჲ ესე თვე, რომლისაცა მიზეზისაჲ მოღებითა, გამომცაჲჴუენბულ არს იგიცაჲ წესისაგან ქრისტიანეთასაჲ და ნაწილიმცაჲ არს მისი იუდასთანა ისკარიოტელისაჲ. ხოლო ოდეს ესე დაიწერაჲ, ქორანიკონი იყო ტკი% სამას-ოცდა-ათ ჩვიდმეტი. ხოლო ზედნადები იყო კგ. ხოლო ბერძულად ათას-ექუსას-ორმოცდა-ცხრა იყო". (ნუსხურით).

„ქ. წმიდანო მამანო, ოდეს ეს წიგნი ვიმუშავე, მაშინ დიაღ განსაცდელში იყო წმიდა მონასტერი, ოთხი ათასი მარჩილი ვალი ეკიდა მონასტერსა, პურისა და ღვინის ფასიც არა მქონდა, უწყის უფალმან, ამის მეტი რა მოგახსენოთ, რომ ამ წიგნის სამოსიც ვერ მიშოვეს და მე არ მქონდა რა. და ერთი მღდელი მლოცავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი მ ო ნ მოიწია შავშეთით, და იმან შემოაწია სამოსი ამ წიგნისა, ჯვარმან პატიოსანმან სასუფეველი ცათა მისცეს ამის წილ. ამინ“. (მხედრულით). 173 v—174 v.

მინაწერები: 1. „ქ. ღმერთო და ცხოველს მყოფელო ჯვარო ქრისტესო, იესო მხსნელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი და საწყალი უღირსი მღვდელი ბ ე ს ა რ ი ო ნ, მშობელნი და მოძღვარნი, ცოლი და შვილი, ძმანი და დანი ყოველი მცნობელი და მოყვარენი და კეთილის მყოფელნი ბესარიონის, ყოველი მხილველი ამ წიგნის მამანი და ძმანი და მოსრულნი წმინდათა ამათ ადგილთა, ყოველნი საქართველონი, ქრისტიანენი შ́ს, და ამ შენდობის მბრძანებელნი, შ́ს. ღ́ნ ამინ. ქორანიკონსა **ჩყიდ**“. 175 r.

2. „წელსა **ჩყკ**. აპრილის **დ**. მივიღე წიგნი ესე წმიდისა იოსტინე ფილოსოფოსისა და მოწამისა იერუსალიმს, ჯვარის ამაღლების ეკკლესიიდამ, ბრძანებითა წმიდისა პეტრას მიტროპოლიტის მ ი ხ ა ე ლ ი ს ა, და სრულად კრებულისა მისისა ნებართვითა თავადმან გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ო ვ მ ა ნ“. 1 v.

3. „ღმერთო, შეიწყალე ბ ე ს ა რ ი ო ნ და მოყვასნი მისნი. ამინ, **ჩყიდ**“. 1 r.

4. „ქ. ჯვარო პატიოსანო, შემიწყალე მე ცოდვ́ლი დიაკონი გ რ ი გ ო ლ პატიოსნის ჯვარისა ქართველი მონასტრისა, რომელმან შევჰკარ ბრძანებითა უფლისა ჩემისა ჯვარის მამის ნ ი კ ი ფ ო რ ე ს ი თ ა, ო მ ა ნ ი ს ძ ი ს ა, კ ა ხ ი ს, ჩ ო ლ ა ყ ა ს, ეს წმიდა თვე ივნისი“ (მხედრულით).

„ჯვარო პატიოსანო, აღლეგრძელე და აცხონე მეუფე ჩემი ჯვარის მამაჲ ნიკიფორე. ა́ნ.“ (ნუსხურია). 2 v—3 r.

2340

ლოცვანი, XVIII

177 ფ.; 9×7; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს.).

„ლოცვა.—ეს ლოცვა ყოელთა დღეთა უნდა, შემდგომად მწუხრის გამოსვლისა. კურთხეულხარ, მეუფეო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, განანათლე დღე ნათლითა მზისათა და ღამე ნათელ ჰყავ ცისკროვანებათა მიერ ცეცხლისათა...“ 4 v—171 r.

შენიშვნა: ხელნაწერში შედის ლოცვები: დაწოლისა, სამარადისო, ღამისა, ზიარებისა, დიდი ბასილისა—ზიარების ლოცვა, იოანე ოქროპირის—ზიარების ლოცვა, იოვანე დამასკელისა, სვიმონ ახლისა ღ́თისმეტყველისა, ლოცვა შემდგომად ზიარებისა, თქმული სვიმეონ მეტაფრასტისა.

მინაწერი: 1. „ათას-შვიდას-ორმოცდა-ხუთს, თვესა სეკდებერსა ოცდა-ორს დაიბადა ჩემი ქალი ხვარასანს.

ათას-შვიდას-ორმოცდა-თხუთმეტს, თვესა მარტს ოზდახუთს დაიბადა ჩემი გაბრიელი თომავიჩი ქალაქსა ტბილისასა“. 177 r.

2. „...იე იანვარს მენენიკი, სახელისდება, არის იოანეს რუსთაველისა“. საცავ ფურცელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2341

პარაკლისი ყოვლად წმიდისა ღ̃თისმშობლისა მიმართ, XVIII

27 ფ; 5×3,5; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ტექსტი ჩასმულია ჩარჩოში.

„ქ. პარაკლისი, ახლად თარგმნილი, სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღ̃თისმშობლისა მიმართ.—მოვედით, თაყუანის ვსცეთ. უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა, ყურად იღე ვედრება ჩემი...“ 1 r—27 r.

2342

სძლისპირნი, XIX

114 ფ.; 9,5×7; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; [XIX ს.].

„სძლის პირნი [და ღ̃თის] მშობლისანი, [გალობა], ჴმა ა.—სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღვა მღელვარე სიტყვით განახმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშვა ქალწულისაგან და წარმიძღვა ჩვენ ზეცად...“ 1 r—114 r.

2343

ანტონ I—კატეხიზმო, 1783

115 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; მხედრული, თავფურცელი და სათაური ასომთავრული სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; 1783 წ. (97 v); გადამწერი: მიხაილ (97 v).

„წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიცა თანაარს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმვოლიონ აღიჴსნების 123 შინა კითხვსა მიგებათა.—

1. კ ი თ ხ უ ა: რაჲ არს სათანადო ქრისტეანისა მიმართ, რათა ჰრწმენეს?

1. მ ი გ ე ბ ა: სიმვოლიონ, რომელი არს ათორმეტი ტაეპი, ქმნილი მეორისაგან მსოფლიოჲსა კრებისა, პირველად კოსტანტინეპოლის შეკრებულისა...“ 8 r—97 v.

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი. 2. „შეყუანილება ანუ წინასიტყუაობა წიგნისა კატეხიზმოსისა“ 6 r—v.

ერთვის: „პინაქსსიტყუაობა ჩუენ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხიზმოსისა, რომლისა შორის სიმვოლიონ აღიჴსნების 123 კითხუა-მიგებათა შინა ქართულსა ალფავიტასა ზედა“. 99 r—106 v.

მინაწერი: „მეფისძის თეიმურაზისა არის“. 8 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2344

ანტონ I—კატეხიზმო, 1768

74 ფ.; 21×12; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1768 წ. (1 r) ნაკლული.

„...კითხვა: რაჲ არს სათანადო ქრისტიანეჲსა მიმართ, რათა ჰრწმენეს? მიგება: სიმვოლიონ, რომელი არს ათორმეტი ტაეპი, ქმნილი მეორისაგან მსოფლიოჲსა კრებისა პირველად კოსტანტინუპოლის შეკრებულისა...“

თავფურცელი: „წელსა 1768, იანვარსა 4. წიგნი ესე არს კატეხიზმოს, თქმული ანტონის მიერ პატრიარხისა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოსა, მეფის ძისა“. 1 r.

მინაწერი: „კ̃ნზ დიმიტრი ბაგრატოვანისა“ (გარეკანი).

2345

კრებული, 1816

269 ფ.: 28,5×15,5: ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1816 წ. (266 r); გადამწერნი: ქაიხოსრო აბაშიძე. თეიმურაზ ბატონიშვილი, გოდერძი ფირალიშვილი (266 r).

1. [ბასილი დიდი—ექუსთა დღეთაჲ] „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი, პირველი სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ დასაბამად ქმნა ღ̃თმ[ან] ცაჲ და ქუეყანა.—რომელსა ენებოს დაბადებისათჳს სოფლისა მითხრობად დასაბამად ხილულთა ამათ შემკობისა, ესე ვითარისა სიტყუისა შუენის...“ 4 r—135 r.

2. [გრიგოლ ნოსელი—კაცისა შესაქმეჲ] „წმიდისა და ღ̃თ შემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსისაჲ, ძმისა წმიდისა დიდისა ბასილისი, რომელი იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომელი იგი წინაჲსწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი, და ვინაჲთგან დაბადებისათჳს კაცისა დაუშთა მას, ესე სრულყო წმიდამან გრიგოლი მადლიად და ღ̃თივ ბრწყინვალედ. თავი ა. ძმასა ჩემსა და მონასა ღთისასა პეტრეს ეპისკოპოსსა,—გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსი გ. მ. —უკეთუმცა მონაგებთა და საჴმართა პატივითა ჯერ იყო პატივის ცემაჲ...“ 135 r—265 v.

შენიშვნა: 1. ეს ხელნაწერი პირია H: 2349 ხელნაწერისა.

2. ერთვის გიორგი მთაწმინდელის ანდერძი და გადამწერის დანართი: „ესე ანდერძი წმინდისა მამისა ჩვენისა გ̃იორგი მთაწმინდელისა არს. ნუ თუ უმეცრებით სხვისა ვისიმე გეგონოს, ვისიმე, რამეთუ მისდამდის ესე წიგნი არა გამოჩენილ იყო ენასა ჩვენსა, არცა ყოფილა“. 134 v.

მინაწერები: 1. „რადგან დედანზეც ეწერა, ესეც აღარ დაუტევეთ, დიდება და მადლი ღ̃თსა. სრულ იქმნა ექუსთა დღეთაჲ მადლითა პეტრე მოძღურისა და ძმისა მისისა გიორგისათა. აჴმარენ ღ̃რთნ ნებისაებრ თჳსისა, ამინ“. 265 v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. **მინაწერი:** თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით: „წელსა 1816, აგვისტოს 2. სრულ იქმნა წიგნი ესე, რომელიცა აბაშიძემ ქაიხოსრო იწყო და ზოგი მეფის ძემ თეიმურაზმან აღსწერა, ხოლო სრულ ჰყო გოდერძი მდივანმან, ფირალაშვილმან.

დედანი ამისი აღეწერა დეკანოზსა ანჩისხატისასა ალექსის და, რაც ჰკლებოდა საშუალებზედ, ძესა მისსა დავით დირექტორს ეპოვა სხვა დედანი და შეესრულებინა, რომლისა მიერცა გარდამოვწერეთ ჩვენ. გევედრებით მხილველთა დაუვიწყებელობას და რათა მათ თჳსცა შენდობასა ჰყოფდეთ. და დაგიცვასთ უფალმან მადლითა და შუამდგომელობითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა წმიდისა ვასილი დიდისა, და ძმისა მისისა გრიგოლ ნოსელისა, და წმიდისა და დიდისა, ღირსისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისათა, და ყოველთა წმიდათა მისთათა. ამინ.

წმიდაო ღმერთშემოსილო დიდო ვასილი და წმიდაო დიდო მამაო ჩვენო გრიგოლი ნოსელო, და წმიდაო ღმერთშემოსილო დიდო მამაო საქართველოსაო, გიორგი მთაწმინდელო, შეეწიენით სულიერად და ჴორციელად საქართველოს მეფის ძეს თეიმურაზს და მეუღლესა მისსა, ამილახვარის ასულს ელენეს, და ყოველთავე მონათესავეთა მათთა და აღმწერელთა წიგნისა ამისთა, ამინ“. 266 r—v.

2346

იოანე სინელი—კლემაქსი, XVIII

183 ფ.; 30,5×21; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები ასომთავრული სინგურით: ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს.].

„სიტყუაჲ მოღუაწებითი ამბა იოანნი წინამძღურისა, სინას შინათა მონაზონთაჲსა, ქუჱლ მსიტყუჱ, მეუფეო.—სახიერისა და ზესთ სახიერისა და ყოვლად სახიერისა ღ~თისა ჩუჱნისა და მეუფისა კეთილ, რამეთუ ღ~თისაგან მონათა მიმართ ღ~თისათა დაწყებად ყოველთა მის მიერ აღგებულთა სიტყჳერთათჳთ ჭელმწიფებისა ღირსებითა პატივცემულთაგანნი...“ 7 r—179 v.

შენიშვნა: უძლვის 1. შესავალი. 1 r—v.

2. „დანიილ მონაზონისა რაითელისა, ცხოვრებისადმი უფლისა იოანნის სხოლასტიკოსისა“. 2 r—4 r.

3. „ეპისტოლე ამბა იოანნი წინამძღურისა რაჲთისაჲ, ღირს საკჳრველისა სინისა მთისა წინამძღურისაჲ“. 4 r—5 v.

მინაწერი: „წიგნი ესე სამეცნიერო კლიმაქსად წოდებული, რომელიცა ეკუთნვოდა საქართუჱლოს მეფის გიორგის ძეს დავითს და ჩემთან იყო სხვათა მის წიგნებთა თანა დაშთომილი, აწ სახსოვრად განსვენებულისა მის მეფის ძის დავითისა მივართჳ რუსეთის საიმპერატოროს ჰსწავლათ აკადემიას თავადმან ნიკოლოოზ იოსების ძემ ფალავანდოვმან. ოკდომბრის ივ-ს; ჩყმზ წელსა თბილისს.

საქართველოს მეფის ძე დავითისა არის“. 1 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2347

იოანე სინელი—კლემაქსი, XVIII

285 ფ.; 21×16; ქაღალდი; ნუსხური; სათაურები ასომთავრული სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; მთარგმნელი: ევთჳმე (1 r); [XVIII ს.].

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ͞ენისა, იოანე სინელ მამასახლისისანი, რომელნი მიუძღუანნა მამასა იოანეს რაითელმა მამასახლისსა, რამეთუ ითხოვა მისგან, რათა აღსწერნეს სწავლანი მონაზონთა მიმართ:

პირველი თავი, გამოსულისათვის სოფლით.—შეწევნითა სახიერისა და კაცთმოყვარისა და მოწყალისა ღ͞ისა და მეუფისა ჩუ͞ენისათა ვიწყოთ სიტყუად, რამეთუ კეთილ არს, რათა ღ͞ი ვჰყოთ დასაბამად სიტყჳსა მონათა მიმართ ღ͞ისათა...“ 11 r—285 r.

შენიშვნა: უძღვის 1. თავფურცელი: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხჳდეთ ანუ ჰსწერდეთ წმიდა ამას წიგსა, წმიდანო ღ͞ისანო, ვითარმედ ნეტარსა მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არათუ კლემაქსი ეწოდების, ნუ იყოფინ, არამედ იოანე არს სახელი მისი, ხოლო კლემაქსი ბერძულითა ენითა ვითარმედ კიბეო. ხოლო ამისათვის ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რამეთუ ვითა კიბე სათნოებათა შექმნა წიგნი ესე და მდაბალთა საქმეთაგან იწყების და თანა და თანა მაღალთა მიმართ აღუალს ვითა თჳთ აღსასრულსა წიგნისასა ჰპოოთ გამოსახული კიბე სათნოებათა. ხოლო რომელსა იგი გამოკრებული მცირედი პირველ ეთარგმნა კლემაქსი ეთქუა მის წ͞ისადა. აწ უკეთუ ვინმე წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუენ კლემაქსი, რომელ არს კიბე. ხოლო უკეთუ წმიდისა მის სახელსა იტყოდის, თქუენ იოანე. ვინათგან უკუ͞ე პირველსა მას თარგმანსა მრავალი მდუმრიად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთვის მე გლახაკმან ევთჳმე ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა ვჰსთარგმნე ესე ვითა თჳთ მას წმიდა[სა] ეთქუა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით. აწ უკუ͞ე რომელნიცა იკითხჳდეთ წმიდა ამას წიგნსა, ლოცუა ჰყავთ წმიდისა მამისა ჩემისა იოანესთვის და ჩემთვის ცოდჳლისა ევთჳმესა და რომელნი ჰსწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ და თავნი ვითა აქა იყვნენ, ეგრე დასხენით, რამეთუ მე ვითა მიპოვნიან ეგრეთ დამისხან ყოველნი წითლითა. და ამათცა სიტყუათა ნუვინ დააგდებთ, არამედ დაჰსწერდით ღ͞ისათჳს და ჩემსაცა ცოდჳლისასა სახელსა...“ 1 r—v.

2. უძღვის წინასიტყუაობა-განმარტება. 2 v—10 r.

2348

კრებული, XIX

95 ფ.; 16×10; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; [XIX ს.]; 34 r—36 v დაუწერელია.

1. „წიგნისაგან, რომელსა ეწოდების მარგარიტი, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, მოთმინებისათჳს,—დიდ არს, საყვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რელნო, მოთმინებისა მადლი და სულგრძელებისა და რათა არა სულმოკლე და მოწყინე ვიქმნეთ მოწევნულთა შინა ჩვენ ზედა განსაცდელთა...“ 1 r—34 v.

შენიშვნა: ტექსტში წარმოდგენილია შემდეგი თავები:
ა. „თქმული მისივე, სიყვარულისათვის“. 11 r—17 v.
ბ. „თქმული მისივე, უმანკოებისათვის და ძვირუხსენებლობისა“. 18 r—22 r.
გ. „თქმული მისივე, სიკუდილისათვის და რათა არა ზომისა უმეტესად ვიგლოვდეთ მიცვალებულთათვის“. 22 v—30 v.
დ. „თქმული მისივე, მწუხარებისათვის“. 31 r—33 v.

2. „იოანესაგან სინელისა სამ-ათნი გუარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი. ვინცა აღსრულ ხარ, სისრულად მიღწევნილ ხარ. ესენი თითო თავისაგან ათ-მუხლად მე იოანე დავლექსენ პირის-პირად. თავი ა, გამოსლვისათჳს სოფ[ლ]ით ესე.—

მნებავს გამოხუალ,
არსსავით ჰხედავ,
მარადის მხედი,
ოწყით, მუნ აღვალს
საგზოდ ვინ აქე

თუ ოდესცა ამას ჰყოფ,
უძეცარი, არ მართალ,
საუკუნოსა მეტრფი,
სულთა მამისა მიმართ,
უფროს მოიგო ესე...“ 37 r—76 r.

შენიშვნა: 1. ტექსტში დაცულია ოცდაათივე თავი იამბიკოდ თქმული, ყოველი თავის დასათაურებას იძლევა იამბიკოს აკროსტიხი.
2. ტექსტი ნასწორებია თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით; შესწორების მაგალითი: „აგავებენ—ეწერა ნიკოლოზ ტფილელის წიგნში, მაგრამ—აიგავებენ უნდა“. 75 r.

მინაწერი: 1. „მწერლისაგან შეცთომით ნაწერი წიგნი ესე ნიკოლოზ ტფილელისაგან აღწერილზედ გავმართე წელსა 1820, აგვისტოს 24, ქალაქსა სამეუფოსა პეტრებურგს მეფის ძემ თეიმურაზ“. 76 r.

2. ივერმან ბერმან საკვირვლად ენა მჭევრმან,
ოქროვან მზეებრ, ქართველთ ერთ გამმაბრწყენმან,
ალმტრფობმან ზემან აღვლნაცად კიპით ბრძენმან,
ნეტარმან მწვრთემან, მონაზონთ წარმმართემან,
ელვარე მთენმან, ჩვენდა მადლთ გარდმომფენმან
იოვანეს გძლვენ თეიმურაზმან“. 76 v.

3. [შვიდი მომაკვდინებელი ცოდვანი] იამბიკოდ თქმული.
„ამპარტავანო, რად ემსგავსე გულითა
ბნელსა ბელიარს, მთავარსა მას ბოროტსა?
ვით დაგიმრუმა ოთხთა კავშირთა ყრამან
ხატი მარტივთა, უსხეულოთა თვალი?
თან აღრეულ ხარ, მიწა ხარი, დამდაბლდი.
სიმდაბლეო, შენ ანგელოსთა სახეო,
ეს აღირჩიე, ქვე სრულად და აკვეთე.
ღ̃თ ჰყავ შენ მადლით მქონებელთა აწ შენთა...“ 77 r—79 r.

შენიშვნა: უძლვის აკროსტიხი:
1. „მეოხ მექმენ, მამაო იოვანე, მე იოვანეს მოსავსა შენსა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. „შჳდთათჳს ვნებათა არს“. 77 r.

მინაწერი: „ესეცა თანავე ზემოთა შთაიმართა,
მეფის-ძე თეიმურაზ“ თეიმურაზის ხელით. 79 r.

4. „წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გ რ ი გ ო რ ი ღ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა, მუჴლები, იამბიკო, სასწავლოსა წილ წარმართთასა, რომლისაგან განაყენნა ქრისტეანენი ივლიანე განდგომილმან. ზედა წარწერილი თვით მისივე.—

გრიგოლის ვარ მე ტკივილით ნამუშაკევ,
ოთხმუჴლედისა ჰინდურისა დამცველ ვარ,
მისაცემლად ცნობათა სულიერთა
და სიბრძნის ამის ყოვლად ჭეშმარიტისა
მოხსენებულ ღირსებით მოსწავლეთა...“ 79 v.

შენიშვნა: 1. გრიგორისავე ზედ წარწერილი სტროფი ამ ტექსტში პირველ იამბიკოდ მიდის, დანარჩენ ნუსხებში: A: 109, S: 338, A: 16 და სხვაგანაც სათაურშია წარმოდგენილი.

2. გრიგორის სასწავლო იამბიკო რიგ ნუსხებში შემონახულია ჰზ-87 სტროფით. ამ ნუსხაში კი 100 (რ) სტროფია წარმოდგენილი.

ანდერძი: „მაღალ-ღირსო მამაო, არხიმანდრიდო (!) პაფნოტი, აღვსწერე მცირე ესე წიგნი და სხვანიცა წინამძღ[ვ]არი და საალსარებო წიგნი, რათა გაქვნდეს სახსოვრად ჩემ ულირსისა, ვინათგან ცუდათ აღვსწერე, შენდობას ვითხოვ, ვინათგან შენ მაიძულე, აღმიწერეო, და ლოცვასა ჰყოფდეთ ჩემ ულირსისათვის“. 92 r.

მინაწერები თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით: 1. „კუალად ესეცა გავმართე მწერლისაგან შეცთომით ნაწერი მასვე დედანსა ზედა, და მუნ შემცთა რიცა ამაში სწორეთ გაიმართა. წელსა 1820, აგვისტოს 25, ქ-კს ფჳ. საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ“. 92 r.

2. „თვალი ნათელსა, მზისა მის დისკოსასა, ესრეთ შეადგენ,

სინანული ძალ სულისა ხედვითაებრ.
იგი უბიწი, ესრეთ რჩეული ნიჭი.
ნათესავთათჳს სრულად კაცთასა არს,
არა თუ სხჳსა, ესე ვითარ მას ხედავ,
ნუ ყოვნი მათთჳ, აწ ცნობაზე ახედე“
(საცავ ფურცელზე).

3. „თქმულთა მათ სამგზის სამათ აღსავალობა
ესერა განყრა მტვერთ შინა მტვერსა მძიმეს,
იკიბის კიბე, მონანულო, მას აღხედ,
რათა ღრუბელსა თანა წარჰხდე და მზემან
პირისპირ მასსა განგანათლნეს თვალითა“. 94 v.

ერთვის თეიმურაზისავე ხელით მიწერილი კომენტარები. 93 r, 95 r.

2349

კრებული, 1742

112 ფ.; 20×15; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1742 წ. (110 r); გადამწერი: დავით რექტორი (110 r).

1. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი—ექუსთა დღეთაჲ.—„თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ბასილისი. პირველი სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუჱყანაჲ, რომელსა ენებოს დაბადებისათჳს სოფლისა მითხრობად დასაბამად ხილულთა ამათ შემკობისა...“ 1 r—63 v.

2. გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი—კაცისა შესაქმჱჲ.—„წმიდისა და ღ~თ შემოსილისა მამისა ჩუჱნისა გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსისაჲ, ძმისა წმიდისა დიდისა ბასილისი, რომელი იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომელი იგი წინაჲსწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი და ვინაჲთგან დაბადებისათჳს კაცისა დაუშთა მას, ესე სრულყო წმიდამან გრიგოლი მაღლად და ღ~თივბრწყინვალედ.

თავი ა. ძმასა ჩემსა და მონასა ღ~თისასა პიტრეს ეპისკოპოსსა, გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსი. გ. მ.—უკეთუმცა მონაგებთა და საჴმართა პატივითა ჯერ იყო პატივის ცემაჲ სათნოებითა წარჩინებულთაჲ, ვითარცა იტყვის სოლომონ...“ 64 r—110 r.

შენიშვნა: 1. ერთვის ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა და მინაწერი: „ესე ანდერძი წმიდისა მამისა ჩუჱნისა მთაწმიდელისაჲ არს. ნუ თუ უმეცრებით სხვისა ვისიმე გეგონოს ვისმე. რამეთუ მისდამდის ესე წიგნი არა გამოჩენილიყო ენასა ჩუენსა, არცა ყოფილა“. 63 r.

1. **ანდერძი**: „ესე ექუსთა დღე დავნუსხე მე დეკანოზმა ალექსიმ, დედანი დიდის ხვეწნით ვიშოვნე და ხანგრძლივ არ მათხოვეს, რომ ხუცურად და კეთილად აღმეწერა და რადგან მალე მთხოვეს, ამისთვის დავნუსხე და, საცა აკლდა დედანს, მეც ადგილი გამიშვია; და თუ იშოვნოთ, შეასრულეთ. ქ~კს ულ. ქრისტეს აქეთ ჩღმბ.

მონაო ღ~ისაო დეკანოზო ალექსი, მე შენმან ძმამან უმრწემესმან რეკტორმან დავით შევასრულე თჳთ ჴელითა ჩემითა ესე წიგნი შენ მიერ ნაღუაწი, რომელიცა გარდგეწერა და დედასა შინა ჰკლებოდა, მე დედანი სრული ვჰპოვე და მუნით შენ მიერ დატევებული ცარიელი ადგილი, სადა ჯერ იყო, აღვსწერე ჭეშმარიტისა დედნითა. დავით“. 110 r.

2350

კრებული, XVIII

239 ფ.; 33,5×23; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს.].

1. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა დ ი დ ი ს ა ვ ა ს ი ლ ი ს ა, მარხვისათვის.—დაჰბერეთ ნესტუსა ახალსა თავსა თთუჱთასა დღესასწაულსა უქმნელობისა თქვენისასა, ბრძანება არს ესე წინასწარმეტყუჱლისა...“ 1 r—7 r.

2. „ცხოვრება და შესხმა წმიდისა და ღ~თშემოსილისა მამისა ჩვენისა დიდისა ვ ა ს ი ლ ი ს ი კესარიელ-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა, აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩვენმან გ რ ი გ ო რ ი ღ~ი ს მ ე ტ ყ უ ჱ ლ მ ა ნ,—ფრიად მაიძულებდა ჩვენ დიდი და ღ~თშემოსილი ვასილი აღწერად სიტყუათა ჰსწავლისათა და შესხმად ღუაწლსა და ცხოვრებასა წმიდათასა...“ 7 r—25 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა გრიგორი ეპისკოპოსისა ნოსელისა შესხმა წმიდისა დიდისა ვასილისათჳს, ძმისა თჳსისა.—კეთილი წესიერება დადუა ჩუჱნთანა ამათ დღესასწაულთა ზედა, რომელნი ესე ან შემდგომითი შემდგომად აღუასრულენით დღეთა ამათ და აღუასრულებთ, ხოლო ესე არს წესიერება...“ 25 r—28 v.

4. „ნოემბერსა ილ. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ყოვლად ქებულისა გრიგორი საკჳრუჱლთმოქმედისა, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გრიგოლი ნოსელისა.—ერთი უკუჱ არს სახე ჩუჱნისაცა ამის სიტყჳსა და აწ ქმნილისა ამის შესაკრებელისა, რამეთუ დიდი გრიგორი წინამდებარე არს მიზეზად თქუჱნისა შემოკრებისა და ჩემდა მეტყუჱლებისა...“ 28 v—42 v.

5. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გრიგორი ღ̃ისმეტყუჱლისა, ნათლისღებისათჳს, რამეთუ იკითხჳს ხუალისა დღე განცხადებისა.—გუშინ შრწყინუალესა მას ნათლისღებისა დღესა აღუასრულეთ კრებაჲ, რამეთუ ჯერ იყოცა განმხიარულება დღესა მას ცხოვრებისა ჩუჱნისა...“ 42 v—54 r.

6. „თქმული ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი სიტყჳსა მისთჳს მოსე წინასწარმეტყუჱლისა, რომელსა იტყჳს ვითარმედ „ეკრძალე თავსა შენსა“.—ძალი სიტყჳს ჳმარებისა მოგუცა ჩუჱნ დამბადებელმან ჩუჱნმან ღ̃ნ, რათა ზრახუათა გულისათა ურთიერთას გამოუცხადებდეთ...“ 55 r—59 r.

7. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, სიმდაბლისათჳს.—აჰა, ესერა გესმნეს სიტყუანი იგი მოციქულისანი, ვითარ ეტყოდა თესალონიკელთა და ჰსჯულსა მისცემდა ყოვლისავე ცხოვრებისა მათისათჳს...“ 59 r—63 r.

8. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, ივლიტა მოწამისათჳს და ნაკლულევანებისათჳს პირველ თქმულისა მის თავისა და მადლობისათჳსვე.—კრება ესე ეკკლესიისა არს ქადაგებისა მისთჳს, რომელი წმიდისა მას მოწამესა ზედა იქმნა, რამეთუ მიგითხრა თქუენ დღე ესე, რომელსა შინა არს საჴსენებელი დიდისა მის ღუაწლისა მისისა...“ 63 r—68 v.

9. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთა.—მრავალ არიან საჴენი იგი სწავლისანი, რომელნი მგალობელისა დავითის მიერ მადლითა მით სულისა წმიდისათა, რომელი იტყოდა—მის მიერ მოცემულ არიან ჩემდა...“ 68 v—81 r.

10. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა დიდისა ვასილისი, სიტყჳსა მისთჳს ლუკას სახარებისა, რომელი იტყჳს მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ „დავარღჳვნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღუაშენნე“ და ანგარებისათჳს.—ორ კერძო არს სახე განსაცდელთა, რამეთუ ანუ ჭირნი იგი მოიწევიან განსაცდელად გულისა, ვითა ოქრო რა გამოიცადის ცეცხლსა შინა, და მოთმინებისა მიერ სიკეთესა მას მისთა...“ 81 r—84 v.

11. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა დიდისა ვასილისი, მდიდართა მიმართ.—თქმულ არს პირველცა სხუასა ჟამსა ჩუჱნ მიერ ამის ჭაბუკისათჳს, რომელი აწ აღმოვიკითხეთ სახარებასა შინა, უწყი რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალჳსოვდეს მოსწრაფესა მსმენელსა ყოველივე, რა იგი მაშინ ვსთქუთ...“ 84 v—94 r.

12. „თქმული წმიდისა მამისა ჩუ̃ნისა ვასილისი, დაწყებისათჳს სოლომონის იგავთასა,—კეთილ არს ნაყოფი იგი მორჩილებისა, მორჩილ ვექმნეთ უკუ̃ მამასა მას ტკბილსა, რომელმან საქმე ესე წინაგვყო ჩუ̃ნ სიტყუათაგან სულისათა...“ 94 r—101 r.

13. „თქმული წმიდისა ვასილისი, მომთურალეთათჳს, რომელ თქუა შემდგომად ალუსებისა დღითა ერთითა,—აღმძჳრენ მე სიტყუად საქმენი იგი მწუხრისა ამის გარდასრულისანი, ხოლო კუალად დააყენებს აღძრუასა ჩემსა პირველთა მათ შრომათა უნაყოფოება...“ 101 r—104 v.

14. „სწავლა წმიდისა მამისა ჩუ̃ნისა ვასილისი, რომელი თქუა ლაკისეს შინა ქალაქსა.—ისწრაფის მტერი ჩუ̃ნი, რათამცა თჳსითა ამბოხებითა დაჰფარა სიტყუა ჩუ̃ნი, არამედ ჩუ̃ნ მანქანებათა მისთა ნუმცა უმეცარ ვართ...“ 104 v—107 v.

15. „თქმული წმიდისა მამისა ჩუ̃ნისა ვასილისი, სიმდაბლისათჳს.—უჳმდა კაცსა, რათამცა დადგრომილ იყო დიდებასა მას შინა ღ̃ისა მიერ მოცემულსა და აქუნდამცა მას სიმაღლე ჭეშმარიტი და არა მოპოვნებული...“ 107 v—110 v.

16. „თქმული წმიდისა მამისა ჩუ̃ნისა ვასილისი კესარიელ მთავარეპისკოპოსისა, არა შექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედუა მაშინ კესარიელთა ქალაქსა.—მე ვჰგონებდი, საყუარელო, ვინაჲთგან ესრეთ მ̃დის საწერტელითა მით სიტყჳსა ჩემისათა გიწერტ, ვითარმედ მოგეწყინოს თქუ̃ნ ჩემი ჰსწავლა და სამძიმარ გიჩნდეს, ვითა მეტად კადნიერებით მეტყუ̃ლი სიტყუათა...“ 110 v—115 r.

17. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ̃ნისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კამბადოკიელისა, წმიდისა ნათლისღებისათჳს, მათდა მიმართ, რომელნი იგი გვიანად ნათელსიღებდეს, რამეთუ წესი იყო მაშინ ოცდა-ათისა წლისანი რათა ნათელსიღებდენ, ხოლო რომელნიმე ორმეოცდასამეოც წლამდე არა ნათელსიღიან. ხოლო ჩუ̃ნ რომელთა მივიღეთ წმიდა ნათლისღება სიჩჩოსა და კუალად ცოდჳთა ჩუ̃ნითა შევაგინეთ, აწ გულისხმა ვჰყოთ ესე სინანულისათჳს.—ბრძენი სოლომონ, რა ჟამს იგი სოფლისა ამის საქმეთა ჟამის განყოფილებასა იქმოდა და თჳთეულისა საქმისა თჳსისა ჟამსა განაჩინებდა, ესრეთ ჰსთქუა, ვითარმედ ჟამი არს ყოვლისა საქმისა, ჟამი არს შობისა და ჟამი არს სიკუდილისა...“ 115 r—119 v.

18. „თქმული მისივე წმიდისა მამისა ჩუ̃ნისა ვასილისი, სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა.—მარადის ჴსენება ღ̃ისა კეთილ არს და განუძლომელ სულისა მის ღ̃ის-მოყუარისა...“ 119 v—122 r.

19. „მისივე, წმიდისა მამისა ვასილისი თქმული, დაწყებისათჳს იოანეს სახარებისა, ვითარმედ „პირუ̃ლითგან იყო სიტყუა.“—ყოველნივე იგი სიტყუანი ოთხთა მათ სახარებათანი უზესთაეს არიან სხუათა მათ ყოველთა სწავლათა სულისათა, რამეთუ სხუათა მათ წიგნთა შინა მონათა მიერ წინასწარმეტყუ̃ლთა გუ̃ტყოდა ჩუ̃ნ...“ 122 r—124 r.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, სულისა წმიდისათჳს.—რომელი ნათელსიღებდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, ნათელს იღებს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, არცა მთავრობათა მიმართ, არცა ძალთა, არცა სხუათა დაბადებულთა...“ 124 r—126 v.

21. „სწავლანი წმიდისა და ღ̃თშემოსილისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბბადოკიელისა.—კაცთმოყუარე ღ̃თი ჩუჱნი იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა, მას გულისხმი(ს)ყოფისასა, რომელთა იგი მიუღებიეს მადლი სწავლისა...“ 126 v—129 v.

22. „თქმული წმიდისა და ღ̃თ შემოსილისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, სინანულისათჳს.—ძმანო, ნუ უკუჱ რომელი დაეცეს, არა აღდგისა, ანუ რომელი მიიქცის, არღარა მოიქცისა, ამისთჳს რაღ უსასო იქმნების შეცოდებული...“ 129 v—130 v.

23. „წმიდისა მამისა ვ ა ს ი ლ ი ს ი სწავლა.—რომელსა ჰეშმარიტად სურდის ღ̃ისა მიმართ და ზრუნვდეს, თუ ვითარ სათნო იყოს, სასურველსა მას თჳსსა ესე ვითარსა მას თანა აძს, რათა არა მონაგებნი ოდენ და დიდება ამის სოფლისა შეურაცხჰყოს...“ 130 v—134 v.

24. „სწავლა წმიდისა და ღმრთშემოსილისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი.—სახარებასა შინა წერილ არს: ილოცეთ, რათა არა იყოს სივლტოლა თქუჱნი ზამთარსა, გინა შაბათსა. ესე სიტყუა მოასწავებს, ვითარმედ ღ̃ა ზამთარი არა დაუბადებია, რამეთუ წერილ არს—ზაფხული და არე შენ შეჰქმენ, არამედ ჩუჱნ მაშინ ვართ ზამთარსა შინა...“ 134 v—139 v.

25. „სწავლა წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი.—საყუარელნო, უკეთუ მცირესა ამას ჟამსა ცხოვრებისა ჩუჱნისასა უდებ-ვიქმნეთ და არა ვისწრაფოთ სათნო ყოფად ღ̃ისავ, უწყოდეთ, ვითარმედ დიდსა მას და საშინელსა დღესა სასჯელისასა...“ 139 v—141 v.

26. „ეპისტოლე წმიდისა და ღ̃თშემოსილისა ვასილისი ღ̃ისმეტყუჱლისა გრიგორის მიმართ.—ვიცან ეპისტოლე შენი, ვითა ვინ შვლისა საყუარელისა, მეგობრისა თჳსისა მსგავსებითა მის მშობელისათა ეცნის...“ 141 v—143 v.

27. „წმიდისა და ღ̃თ შემოსილისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი სწავლანი, ლოცჳსათჳს და სხუათა თჳთო სახეთა სათნოებათათჳს საცხოვრებელად სულისა.—თქუა წმინდამან ვასილი, ლოცუა უბნობა არს გონებისა ღ̃ისა მიმართ, აწ უკუჱ გულისხმა ვჰყოთ, ძმანო, თუ ვითარი საზომი უჴმს გონებასა მას, რომელი შემძლებელ იქმნას მიუდრეკელად დგომად წინაშე თჳსისა მეუფისა და უბნობად მისა პირის პირ...“ 144 r—154 v.

28. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ კაბბადოკიელისა თარგმანება პირუჱლისა ფსალმუნისა—ყოველივე წერილი სულისა მიერ წმიდისა თქმული არს და სარგებელ არს სულისა და ამისთჳს დაწერილ არს სულისა წმიდისა მიერ, რათა ვითა სამკურნალოსაგან საღ̃თოსა ყოველნივე კაცნი ლხინეობასა ვნებისა თჳსისა თჳთოეული გამოვირჩევდეთ...“ 155 r—159 r.

29. „მისივე, თარგმანება **ლ** ფსალმუნისა დავითისა, რომელი უღაღადა უფალსა სიტყუათა მათთჳს ხუზესთა ძისა იემენისთა.—საგონებელ არს ვითარმედ წინააღუდგების ზედა წერილი ესე მეშჳდისა ფსალმუნისა წიგნსა მას მეფეთასა, სადა იგი დავითისთჳს წერილ არს...“ 159 r—164 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. „თარგმანება მეათოთხმეტისა ფსალმუნისა.—უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკჳდროს მთასა წმიდასა შენსა...“ 164 v—167 v.

31. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, იდ ფსალმუნისათჳს და მოვაჴშეთათჳს.—გუშინ მეათოთხმეტისა ფსალმუნისათჳს ვიტყოდით და აღსრულებად სიტყჳსა მის ჩუჱნისა ჟამმა არ გჳტევა...“ 167 v—171 v.

32. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, თარგმანება კÕ ფსალმუნისა.—ოცდამერვესა ფსალმუნსა აქუს ზედა წერილი მსგავსი სხუათა ფსალმუნთა, რამეთუ წერილ არს ვითარმედ ფსალმუნი დავითისი და აქუს კუალად თჳსაგანცა ზედა წერილი...“ 171 v—177 r.

33. „თარგმანება მისივე, ფსალმუნისა—თაყუანის-ეცით უფალსა, ეზოსა წმიდასა მისსა.—გარეგან წმიდისა ეზოსა არ ჯერ არს თაყუანისცემა უფლისა, არამედ შინაგან მისა...“ 177 r—179 v.

34. „თარგმანება კთ ფსალმუნისა, ფსალმუნი გალობისა განახლებისა, რომელ არს სატფურება სახლისა დავითისი.—ფსალმუნი იგავთ და ორღანოჲ მოზავებული საგალობელად ღ̃ისა ჩუჱნისა არს გუამი ესე ჩუჱნი და მისი იგი ბუნება დაბადებული ღ̃ისა მიერ...“ 179 v—183 v.

35. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, თარგმანება ლბ ფსალმუნისა.—იხარებდით მართალნი უფლისა მიმართ და წრფელთა გშუჱნის ქებაჲ, სიტყუა ესე სიხარულისა ყოველსავე ადგილსა წერილთა შინა მხიარულებისა და ბრწყინვალებისა წესსა მოასწავებს ღირსთა მათთჳს სიხარულისათა...“ 183 v—189 r.

36. „თარგმანება ფსალმუნისა დავითისი ლგ, რა ჟამს შეცუალა პირი მისი წინაშე აბიმელიქისა და განუტევა იგი და წარვიდა.—ორთა პირთა ზედა მიგჳზიდავს ჩვენ ძალი ამის ფსალმუნისა, ერთად რა იგი ქმნა დავით ნუმბას შინა ქალაქსა, მას მღუდელთასა საგონებელ არს...“ 189 r—197 r.

37. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, თარგმანება ლზ ფსალმუნისა, სწავლა აღსარებისა, ფსალმუნი დავითისი, მოსახსენებელად.—წმიდათა წერილთა სიტყუანი დადგომად არიან წინაშე საყდარსა ქრისტესსა მხილებად ჩუჱნდა, რამეთუ იტყჳს ვითარმედ, გამხილო და წარმოვადგინნე წინაშე პირსა შენსა ცოდუანი შენნი...“ 197 r—201 v.

38. „წმიდისა მამისა ჩუჱნის ვასილისი, თარგმანება მდ ფსალმუნისა, დასასრულსა შეცუალებადთათჳს ძეთა კორესთა გულისხმის საყოფელად, გალობა საყუარელისათჳს.—ვჰხედავთ ამასცა ფსალმუნსა, ვითარმედ სრულმყოფელ არს კაცობრივისა ბუნების და წინამდებარისა მის მიმართ სისრულისა, სათნოებისა, მოღუაწეთა სარგებელს მიანიჭებს...“ 201 v—207 v.

39. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, თარგმანება მე ფსალმუნისა, დასასრულსა ძეთა კორესთა დაფარულთათჳს ფსალმუნი.—წყალობას ვხედავთ ამა ფსალმუნსა წინა საქმეთა მათთჳს აღსასრულისათა, რომელიცა ჰსთქუა პავლე მოციქულმან...“ 207 v—211 r.

40. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილისი, თარგმანება მÕ ფსალმუნისა, დასასრულსა ძეთა კორესთა ფსალმუნი.—თქუჱს ვიეთმე გარეგანთა ოცნებით და ჰაზრით აღსასრულისათჳს კაცობრივისა...“ 211 r—217 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, თარგმანება **ნთ** ფსალმუნისა დასასრულსა შეცუალებადთათჳს ძეგლისწერა დავითისი, სწავლა რაჟამს იგი დაწუა შუამდინაჲე ასურეთისა და ასურეთი სობალისი და მოიქცა იოაბ და მოსრა ჴევი იგი ალონთა **იბ** ათასი.—ვხედავ გულსმოდგინებას თქუჱნსა სმენისათჳს, რომელნი ეგე აქა შემოკრებულ ხართ და კუალად გულისხმავჰყოფ ჩემის ძალისა უძლურებასა...“ 217 v—219 v.

42. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, თარგმანება **ჲა** ფსალმუნისა, დასასრულსა იდითუმისთჳს, ფსალმუნი დავითისი.—ორნი ფსალმუნნი გვიხილავნ, რომელთა აქუს ზედა წერილი, ვითარმედ იდითუმისთჳს ერთად მეოცდაათორმეტე ფსალმუნი და კუალად ესე, რომელი აწ ჴელთა შინა არს...“ 219 v—222 v.

43. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, თარგმანება ას და მეათოთხმეტის ფსალმუნისა.—აჰა, ესერა ადრე მოსრულ ხართ წმიდა ამას მოწამეთა ტაძარსა და შუაღამითგან ღ~ა მის მოწამეთასა გალობით ევედრებით და გარდგომილ ხართ...“ 223 r—225 v.

44. „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს ი, თარგმანება **რიე** ფსალმუნისა. —მრწმენა მე რომლისათჳსცა ვიტყოდე, ხოლო მე დავმდაბლდი ფრიად, მე ვჰსთქუ განკჳრუჱბასა ჩუჱნსა ყოველი კაცი ცრუ არს...“ 225 v—228 r.

45. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვ ა ს ი ლ ი ს დიდისა კესარიელისა, შობისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესსა.—ქრისტეს შობა თჳსი იგი და პირუჱლი დაუსაბამოჲსა მის მამისა ღ~თაებისა დუმილით პატივიცემებოდენ და უფროსღა გონებათა ჩუჱნთა ესწავებოდენ...“ 228 r—231 r.

46. „თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ს ო ფ რ ო ნ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ პატრიარხისა, ნათლისღებისათჳს მაცხოვრისა და ზედა აღდგომისათჳს სარაკიანთასა.—კუალად ნათელი გამოჩნდების და კუალად მე განვნათლდები, კუალად ქუჱყანა განბრწყინდების, კუალად მეცა განვბრწყინდები, კუალად ჰაერი ჰაეროვანობს და კუალად მე ჰაეროვან ვიქმნები...“ 231 v—236 v.

47. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გ რ ი გ ო რ ი ნ ჳ ს ე ლ ი ს ა (!), ქალწულებისათჳს და საღთოსა მოქალაქობისა.—პირი სიტყჳსა ამის ჩუჱნისა, ჵი, საყუარელნო, ესე არს რათა სურვილი სათნოსა ცხოვრებისა შთაუგდოთ გულსა მკითხუჱლთასა...“ 236 v—237 v.

48. „გამოჩინებისათჳს მელქისედეკისა.—შუა ასელა სალი და სალმან ჰშუა მელქინ, და მელქინ იყო წარმართ და ბილწ და აღასრულებენ გებასა კერპთა მიმართ, და შეჰკრბენ ყოველნი მოყუასნი მისნი...“ 237 v—238 v.

შენიშვნა: ერთვის საძიებელი. 239 r—v.

მინაწერები: 1. „საქართველოს მეფის ძის იოანესია ითიკა“. 1 r.

2. „ესე წმიდა ითიკა საქართველოს მეფის ძის იოანესია“, 154 v.

3. „სომეხთ ნათესავთ სიწროფელისათჳს წარიკითხე მეთერთმეტე ფურცლის პირველი გვერდი (მარცხენა ყდის v).

4. „გრიგოლ წერეთელი“ საცავ გვერდის r. იქვე მარი ბროსეს მინაწერი ფრანგულად.

ოთხკუთხი ბეჭდები 1 v-ს აშიაზე, ამათში პირველი სპარსული ლეგენდით, დანარჩენი ორი ბეჭდის ლეგენდა არ იკითხება.

154 v-ზე კიდევ ერთი ოთხკუთხი ბეჭედი; ლეგენდა „იოანე“ [ბატონიშვილი].

ეროვნული ბიბლიოთეკა

2351

იოანე ოქროპირი—ოქროს წყარო (სწავლანი), XVIII

107 ფ.; 19×14,5 ქაღალდი; მხედრული; სათაურები ასომთავრული ნუსხურით; [XVIII ს.]; ნაკლული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა.

„წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა თქმულთაგან, ღვთივ შუენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროს წყარო (ასოგრეხილით).—სწავლანი 1. წმიდათა წერილთა ჴელად მიღებისა. საყუარელო, იკითხვიდე რა საღმრთოთა სიტყუათა, პირველად ევედრე ღ̃თსა...“ 1 r—95 v.

შენიშვნა: ერთვის „წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ-კაბადოკიელისა, თარგმანება პირველის ფსალმუნისა.—ყოველივე წერილი სულისა მიერ წმიდისა თქმულ არს და სარგებელ არს სულისა, და მისთვის დაწერილ არს...“ 96 r—106 v.

2. „მისივე, წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა ვასილი კესარიელისა, თარგმანება ლ ფსალმუნისა დავითისი, რომელი უღაღადა უფალსა სიტყუათა მათთჳს ხუცესთა ძისა იემენისთა.—საგონებელ არს, ვითარმედ წინაღუდგების ზედა წერილი ესრეთ...“ 107 r—v.

წყდება: „...რამეთუ იტყვის, ვითარმედ: განმართლდა სიბრძნე შვილთაგან მისთა და კუალად...“.

2352

იოანე ოქროპირი—„სიტყუა ამაღლებისათჳს“, XVIII

7 ფ.; 16,5×10,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XVIII ს.].

„წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა, სიტყუა ამაღლებისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესი.—ბრწყინუალე არს ყოველი დღესასწაული უფლისა განგებულებისა და განმაბრწყინვებელ გულებსა მორწმუნეთასა...“ 1 r—7 r.

2353

სწავლანი, XIX

112 ფ; 16,5×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი: გერმანე (108 r).

„სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა.—მოწაფე ჰკითხავს და მოძღვარი ასწავლის. უწყოდეთ, რამეთუ მ̃წ—იტყვის მოწაფესა და მ̃ძ—იტყვის მოძღვარსა.

მოწაფე: ვინ არს ღმერთი, ან რა შეუძლია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვარი: ღმერთი ძლიერი არის და ჴელმწიფე და დამბადებელი ყოვ-ლისა ხილულისა და უხილავისა...“ 2 r—107 v.

ანდერძი: „ეს არის სწავლა შჯულის საიდუმლოსი შემოუკლებელად(!) თქმული. გლო-ცავ გლახაკი ბერი გერმანე, ყრმანო, ახალ მოსწავლენო, რათა იკითხევდეთ და ზე-პირით (!) დაისწავლიდეთ. ამისთვის დავსწერე საეროსა და სოფლიურის სიტყვითა, რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწევდეთ და მტკიცედ დაიდოთ გონებასა და ჩემ ცოდვილისათვის შენდობასა იტყოდეთ, ამინ“. 108 r.

შენიშვნა: ტექსტს ახასიათებს ა—მეტობა. გასწორებულია.

2354

უბნობანი გამომცდელისა და მორწმუნისა შორის, XIX

32 ფ.; 22×17; ქაღალდი; მხედრული; უყდო; ნაკლული; [XIX ს.].

„უბნობანი გამომცდელისა და მორწმუნისა შორის მართლმადიდებელისა ქრისტეანისათჳს.—გ[ამომცდელი]; მე ვეძიებ ჭეშმარიტებასა. მე მსურს ყოფაჲ ჭეშმარიტისა ქრისტეანეთა ეკკლესსიასა შინა. მე მსურს მიღებაჲ ცხოვრებისა.

მ[ორწმუნე]: უკეთუ სურვილნი ესე არიან მწუხრვალ, მაშინ თჳთ უფალი მოგიგებს შენ: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება...“

წ ყ დ ე ბ ა: „კანონთა შინა თჳსთა ცხადად უკვე ამხილებს რომისა ეკკლე-სიისა მაგალითებრ, იგ კანონი კრებისა ამის იწყების ესრეთ, ვინაჲთგან...“ 3 r—32 v.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი; „უბნობანი გამომცდელთა და მორწმუნეთა შო-შორის მართლმადიდებლობისათჳს აღმოსავლეთისა ბერძენ როსსისა ეკკლესიისა შეერთებითურთ. გამოწერილი საგარემოჲსა წიგნისაგან ფოტია კოსტანტინეპოლის პატრიარხისა, რომელ მიწერილ იყო აღმოსავლეთისა საპატრიარხოთა კათედრათა მიმართ.

ჯერჩინებითა უწმიდესისა მმართებლისა სინოდისათა. 1815 წელსა“.

მინაწერი: „მეფის ძემ იოანემ ვათარგმინე ავალოვ გიორგის“. 2 v.

2355

სწავლანი, XVIII

96 ფ.; 30×20; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ნაკლუ-ლი; ტყავგადაკრული ხის ყდა.

„ვიწყოთ შეწევნითა პირველისა სიტყვისა ღ̃თისა სწავლანი ესე სულთ-სასიამოვნონი იგავად წარმოჩენილნი და თქმულნი, რომელსა აწ ვხედავთ წი-ნამდებარედ და დაფარულთა ცხად მყოფელად.—დეკენბერსა კე შობა ქრის-ტესი, დღესა სამშაბათსა, ჟამსა ზ დღისასა...“ 1 r—96 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...დიაკონ[ნ]ი იყუნენ გვიანნი სწავლასა, მოსწრაფენი მოძღურებასა, პირველ მიწევნადმდე მეცნიერებასა უგუნურად მოძღურიდენ. მონაზონნი იყუნენ ამპარტავანნი, ცილის მზრახვანი, უსუსურნი, წესისა უცნობელნი, მაჭირვებე[ლნი]...".

შენიშვნა: შეიცავს მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე ოქროპირის სწავლათ. ჩართულია კითხვა-მიგებანი.

მინაწერი: „წიგნსა ამას თჳს ეყვის სახელისდებად შ ე ხ ვ ე ტ ი ლ ი ა ნ ი, გინა შეკრებული, ესე იგი საერო მდაბიოდ შეხვეტილნი საკითხველნი და შეკრებულნი თარგმანნი მდაბიურად, ადვილ გასაგონად". (ფორზაცი v).

2356

ბაუმეისტერი — ლოღიკა, 1762

105 ფ.; 22,5×15; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული ხის ყდა; 1762 წ. (4 r) მთარგმნელი: ანტონ კათალიკოსი:

„თავი პირუელი. წინასიტყუა ფილოსოფიისათვის და ნაწილთა მისთა § 1.—ვინაჲთგან აწ შრომა ჩუენი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვჰკარგენითმცა, ვინა პირველ განმარტებისა განვჰსჯით საკმარად მოკლედ წინადადებად, რაჲსაცა გულისხმა ვჰყოფთ ფილოსოფიისა მიერ..." 16 r—101 v.

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი: „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმესტრისა გორლიციურის ღიმნაზიისა რეკტორისა. დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი, და მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძუელთაგან მწერალთა ჰრომაელთასა მოღებულთა განმარტებული. ქართულსა ჰმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა ყოვლად უბრწყინუალესისა და უმპყრობელესისა, დიდისა ჴელმწიფისა იმპერატრიცა ეკატირინა ალექსიევნასა თჳთმპყრობელისა ყოვლისა როსსიისასა, და მემკჳდრისა მისისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისასა, წელსა დასაბამითგან სოფლისა 2770, ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღ҃ისა 1762.

ინდიქტიონსა—10.

თთუესა მეშჳდესა, რიცხუსა 30". 4 r.

2. „წინასიტყუაობა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ფილოსოფიისა ამის წინამდებარისა..." 5 r—13 v.

3. „პინაქსი ლოღიკისა..." 14 r—v.

4. **ჩანაწერი:** „საქართველოს მეფის ძის დავითისა არის". (ავტოგრაფული).

მინაწერები: 1. „Владимер Петрович Долгоруков, Христефор Андреич Ливин. Иван Григорич, Николай Иванич Вердеревский, Княз Павел Димитрич Цицианов, Григори Аполонич Колоколцов, Петре Феодорич Малятин, Лобовь подпоручик, Княз Качанов Иоан Андревич, адутант Плещиев, Кутлубицкий". (თავფურცელზე).

2. „ჩემი მოსვლა მოსდოგს მაისის 14, წელსა 1797, ხოლო ქართულსა ქ҃კსა—უპე, დღესა ამაღლებისასა.

დემოკრატია, მდაბალთა ერთა სამმართებელო,
არისტოკრატია, კეთილშობილთა სამმართებელო,
დისპოტიკა (!) მხოლოდ მეფისა მმართებელობა“. 106 r.
(დავით ბატონიშვილის ხელს ჰგავს).

2357

მეტაფიზიკა, XVIII

132 ფ.; (274 გვ.); 23×17; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს.]. გადამწერი: იოანე (282); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 170.

„ზედდადგინებანი მეტაფისიკაჲსანი. წინასიტყუაობა—ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფისიკაჲსა.—დაღათუ გულისმსიტყუჱლობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათა[დ]მი სხოლათა შინა აზნაურთა სწავლათა მჰსწავლელთა არა სათანადო არს გარდამოცემად მეტაფისიკაჲ მით, რამეთუ თავსა შორის თჳსსა ურიცხუთა და ძნელთა წინადადებათა იპყრობს იგი...“ 1 გვ.—272 გვ.

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი „მეტაფისიკისა ნაწილი პირუჱლი ონტოლოღია ანუ ფილოსოფია პირუჱლი“.

2. „პინაქსი მეტაფისიკისა“. II r—III v.

მინაწერი: 1. „ქ. თვესა ივნისსა, პირველსა დღესა, შაბათსა, ვიქმენ წლისა ოცდ სამისა და მეოთხეში გადავდეგ, წელსა დასაბამიდგან შვიდი-ათას-ორას ოთხმოცდათვრამეტსა, და ქრისტეს აქათ ათას შვიდას-ოთხმოცდა ათსა, ხოლო ქართულსა ქ~კსა უოჱ, მეფის ძე დავით“. I r.

2. იქვე მიწერილია: „ქ. მე დავიბადე ქრისტეს აქეთ 1767 ივნისის 1“. (იოანე ბატონიშვილის ხელს ჰგავს).

3. „მეფის ძე დავით დაიბადა 1767 წელს (წაშლილია), ძმა მათი იოანე 1768 მაისს 16, ძმა მათი ბაგრატ...“ (საკავ ფურცელზე).

4. „თარგმნილი ლათინურისა ენისაგან ლეიბ ღვარდიისა იზმაილოვის პოლკის, პოლკოვოი კვარტერმეისტრისა ალექსანდრ პავლოვისაგან რუსულზედ“. 268 გვ.

5. მიწერილია წამლების დამზადების წესები. 273—274 გვ.

2358

მეტაფიზიკა, XVIII

240 ფ.; (480 გვ.); 16×11; ქაღალდი; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; [XVIII ს.]; ტექსტს შუაში აკლია; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 170 b.

„ზედდადგინებანი მეტაფისიკაჲსანი. წინასიტყუაობა—ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფისიკაჲსა, § 1.—დაღათუ გულისმსიტყუჱლობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათა[დ]მი სხოლათა შინა აზნაურთა სწავლათა მსწავლელთა არა სათანადო არს გარდამოცემად მეტაფიზიკაჲ მით, რამეთუ თავსა შორის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თჳსსა ურიცხვთა და ბნელთა წინადადებათა იპყრობს იგი...“ (ტექსტს აკლია § 2—§ 6-დე).

ჩანაწერი: „მეფის ძის თეიმურაზისა არის თავრიზიდამ მოტანილი“. 11 გვ.

მინაწერი: თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით; 1. „ნოვოეგოროდის ღუბერნიის ბელოზერის უეზდისა, რომელიც რომ ლადუიისაკენ არის, სულე მდინარეზე სხვათა და სხვათა ყმანი არიან 70 სული. ვოსკრესენსკი ცერკვი ეწოდება ამა საყდრის გარშემო ადგილს [აღმოსავალია] ვ[ო]სკრესენია. ეკლესია პრიხოდისა წმიდისა დიდისა საუფლოსა აღდგომისა და ყოვლად წმიდის მიცვალებისა“.

იქვე. „სამოციქულო და კურთხევანი უყიდე მისს ეკკლესიის მოსამსახურეს სიმონ იაკოვლევსა, სილოვან თარხანოვს“. 480 r.

2. „ისპაანს დავდევ ბეგარა, ბაღდადს ხარაჯა ავიღე.
ზღვაშიგან ჩავდგი სამნები, ხმელეთი შიგნით დავიგდე.
დასავლეთ აღმოსავლეთსა, ორგნითვე ციხე ავიღე.
ამ საქმის მქნელმა სიმდიდრედ ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

იქვე: „ბაარისტან ქულად (!) ვნახე, საკვირველის ჴელოვნებით დახატული და დაწერილი წიგნი. წელსა 1815, მარტის 11. [სერგოროსვლოსთან (!)“].

3. „ძველებური ლექსი არის ესე:
დავბერდი, მშვილდი ძირს დავდე,
მაღლა მთაშია ძეს სადმე,
დაბჭკნალა, არვი ასძვრია,
არ მიადგება მზე სადმე“.

4. „თამარ მეფის ეპიტაფია:
როს ნაჭარმაგევს მეფენი შჳდნივე პურად დამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
რუსნი, სპარსნი და არაბნი სამზღვარსა იქით გამესხნეს,
აწე ამისა მოქმედსა ჴელნი გულს ზედა დამესხნეს“. მარჯვენა ყდაზე.

2359

ეთიკა, 1769

140 ფ. (VIII+264 გვ.); 23×17; მხედრული; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; 1769 წ. (264 გვ.); გადამწერი: მიხაილი (264 გვ.); ადგილი: თბილისი; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 171.

„წინასიტყუაობა საითიკოისადმი ფილო[სო]ფიისა § 1.—უკეთუ ვჰშურებით ჩუენ ამისთჳს, რათა უცხადესად გამოვაჩინენითმცა კანონნი, რომელთადმი ქცევანი კაცობრივნი სათანადო არიან თანხმობად, ვინაჲცა თანა გუაძს წუდილ გამოძიებად პირველად ბუნებაჲ, ანუ თჳსებაჲ ფილოსოფიისა...“ 1 გვ—263 გვ.

შენიშვნა: 1. უძლვის თავფურცელი „ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღურებისა ზედდადგინებანი, რომელნი შეიცუენ ბუნებითსა სამართალსა ითიკასა და პოლიტიკასა“. V r.

2. „პინაქსი საყოფაქცევოსა ფილოსოფიისა“. VI r—VII r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი: „17 $\frac{9}{28}$ 39. სრულ იქმნა ჩემ მიერ ყოვლად გლახაკისა მიხაილისგან პალატსა საპატრიარხოსა ტფილისს“. 264 გვ.

მინაწერები: „Княз Якоб Леонич Багратянов.
Княз Митри Евсевич Цицянов.
Княз Митри Егорич Багратянов.
Княз Михаил Митрич Цициянов.
Ана Александровна ალექსანდრეს ქალი—ბაქარი[ს] შვილისა.
ბარბარა იაგოროვნა ბატონიშვილის გიორგის ქალი.
ვერა პეტროვნა, იაკობ ლევანიჩის ცოლი.
მარია ვახუშტევნა, ვახუშტის ქალი.
მარია დიმიტროვნა, დიმიტრი იაგორიჩის ცოლი.
მიტრი მიხაილიჩ—გრაფ მატუშკინი.
მიხაილ ვასილიჩი ვალინცკი.
ნიკოლაი ევსევიჩ—კახაბერიძე, კნიაზი“. I v.
რუსული ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით. III r.
ჩანაწერი: „საქართველოს მეფის ძის დავითის არის“. 1 გვ.

2360

ლოღიკა, 1815

103 ფ.; 20×16; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; მუყაოს ყდა; 1815 წ. (99 v); გადამწერი: მუსხელიშვილი იოვანე (99 v): ადგილი: პეტერბურგი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 172.

„თავი პირუჱლი. წინასიტყუა ფილოსოფიისათჳს და ნაწილთა მისთა § 1.—ვინაჲთგან აწ შრომა ჩუჱნი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვჰკარგენითმცა, ვინა პირველ განმარტებისა განვჰსჯით საკმარად მოკლედ წინადადებად, რაჲსაცა გულისხმავჰყოფთ ფილოსოფიისა მიერ...“ 13 r—99 v.

შენიშვნა: 1. უძლვის თავფურცელი: „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა გორლიციურის ღიმნაზიისა რეკტორისა, დას[ა]ბამი ფილოსოფიისა •ახლისა, სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი და მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძუჱლთაგან მწერალთა ჰრომაელთასა მოღებულთა განმარტებული, ქართულსა ჴმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ...“ 2 r.

2. „წინასიტყუაობა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, ფილოსოფიისა ამის წინამდებარისა...“ 3 r—11 r.

3. „პინაქსი **ლოღიკისა**“ 12 r—v.

ანდერძი: „ჴელითა საათაბეგოჲთგან მოსულისა მუსხელაშვილისა იოვანესითა, სამეუფოსა ქალაქსა შინა პეტრებურღს, წელსა 1815, ფებერვლის 14“. 99 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2361

პორფირის შეყვანილება, XVIII

120 ფ.; 16×11; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; მუყაოს ყდა; [XVIII ს.]; 40 ფურცელი დაუწერელია. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 173 a

„პორფირის შეყუანილება.—ნამდჳლ საჭირო ხურისაორიე და არისტოტელისა მიერისა შინა კატიღორიათა მნებავი მასწავლელობათა ცნობად, რაჲ ნათესავი, რაჲ განყოფილება, რაჲ სახე, რაჲ თჳსი და რაჲ შემთხუჱვითი განსაზღურებათა გარდაცემისადმი...“ 18 r—55 r.

ანდერძი: „ხოლო აღწერილ იქმნა მისის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის ტერფის პავლისა (!) გიორგის მიერ“. 55 r.

ჩანაწერი; „საქართველოს მეფის ძე დავით“. 18 r.

მინაწერი: „ეს წიგნი გერმახიაში თანა მქონდა წელსა 1836“. 90 v.

შენიშვნა: 1 r—16 r, მხედრული ხელით განმარტებანი, უპირატესად ამავე ტექსტისა. შესრულებული უნდა იყოს დავით ბატონიშვილის მიერ.

57 v—58 v „ქალაქები რუსეთისა, რომელზედაც გავიარე თბილისიდამ“. (დავით ბატონიშვილის ხელი უნდა იყოს) მოეპოვება რეცეპტები. 82 r—84 r და 88 v.

2362

პორფირის შეყვანილება, XIX

56 ფ.; 32×20; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.] (ჭვირნიშანი—1817); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 173 c.

„პორფირის შეყუანილებაჲ,—ნანდჳლ საჭირო ხურისაორიე და არისტოტელისა მიერისა შინა კატიღორიათა მნებავი მასწავლელობათა ცნობად, რაჲ ნათესავი, რაჲ განყოფილება, რაჲ სახე, რაჲ თჳსი და რაჲ შემთხუჱვითი განსაზღურებითა გარდაცემისადმი...“ 2 r—53 v.

2363

პროკლე დიადოხოსი—„კავშირნი ღ̃თისმეტყუჱლებითნი“, 1819

181 ფ.; 33×22; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; გადამწერი: არქიმანდრიტი ტარასი; ადგილი: პეტერბურგი (178 v); 1819 წ. (187 v).

„პროკლე დიადოხოსი, პლატონურისა ფილო[სო]ფოსისა, კავშირნი ღ̃ისმეტყუჱლებითნი, თავნი ორას-და-ათ-ერთნი.—ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა, ხოლო თუ არ ეზიარების, არცა ყოველი ერთ იყოს, არცა თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოეული მრავალთა, რომელთაგან სიმრავლე, არამედ იყოს თითოეულიცა მათი მრავალ, და ესე ვიდრე უსაზღუროობამდე...“ 8 r—178 v.

შენიშვნა: უძღვის 1. საძიებელი 3 r.
2. წინასიტყვაობა. 4 r.
3. შესავალი. 5 r—7 r.

ანდერძი: „აღიწერა ღ̃თისმეტყუჱლებითნი ესე კავშირნი სამეუფოსა შინა ქალაქს სანკტ-პეტერბურღს, ლავრასა შინა ალექსანდრე ნეველისასა, წელსა 1819, სეკდემბრის 15-სა.

ხოლო თქუჱნ, მხილუჱლნო, რომელნიცა შეემეცნებით წერილსა ამას შინა ცთომასა რასამე სიტყუათა, ლექსთა, ანუ მარცუალსა, ნუ ჩემ მიერ ჰგონებთ (და რამეთუ არცალა თუ საკვრვო არს). გარნა მე მსურუჱლისა მიერ იძულებულმან ყოვლის სიმკაცრით ვიგულისმოდგინე გარდმოწერად, ვითარ დედანსა შინა წრფელობდა უმეტნაკლოდ, ხოლო სადაცა იხილავთ ამას შინა დედნისა მიერ ცთომისა სახესა ლექსთათჳს დაშთომილსა ადგილსა, ამად მე ნუ მწყევთ არა რაჲსა ცულად მკადრესა, არამედ გვედრთ მცირედ მშრომელი შენდობის მეტყველებასა, გ. ბ. ტარასი“ 178 v.

2364

პროკლე დიადოხოსი—კავშირი ღვთისმეტყველებითნი, 1794

238 ფ.; 21×17; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; 1794 წ. (236 r); გადამწერი: **იგნატი იოსელიანი** (იქვე); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 174 c.

„პროკლე დიადოხოსისი, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღ̃ისმეტყუჱლებითნი, თავნი ორასდა-ათერთნი ა 1.—პროკლესი ა, ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა, ხოლო თუ არ ეზიარების, არცა ყოველი ერთ იყოს, არცა თჳთოეული მრავალთა, რომელთაგან სიმრავლე, არამედ იყოს თჳთოეულიცა მათი მრავალ...“ 8 r—236 r.

შენიშვნა: უძღვის შესავალი: „გუარსა თანა გუაც ცნობად დიდთასა ღ̃ისმეტყუჱლთა შორის ჴედვისასა და აღებად ჰაზრსა წინათვე წინამდებარისა წიგნისასა“. 3 r—7 v.

ანდერძი: „ჩღ$\frac{\text{ლ}}{\text{იგ}}$ჟდ. გარდავწერე პროთოდიაკონმან, ონისიმე მღუდლისა ძემან ეგნატი იოსელიანმან ესეცა ესრეთ“. 236 r.

2365

არისტოტელი—კატიღორია, 1814

142 ფ.; 20×15; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1814 წ. (142 v); გადამწერი: გიორგი ჯათთიშვილი; ადგილი პეტერბურგი; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დავითიანისა, კატილორიათა არისტოტელითად შეყუანილება § 1.—საჭირო ვიდრემე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე ქმნილთად ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივა მით, რომელ უკეთუ არ მეცნავ იქმნებინმცა...“ 5 r—112 r.

შენიშვნა: უძლვის: 1. თავფურცელი. 2 r—v.

2. „წინასიტყუაობა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ დასდებელთა ზედაცხრა რიცხუთა. ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დავითიანისა“. 3 r—4 r.

ერთვის ანბანური საძიებელი: „პინაქს-სიტყუაობა...“ 113 r—142 r.

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე კატილორია და სრულ იქმნა ბრძანებითა მათის უმაღლესობის იმერეთის დედოფლის ანნასითა, სამეუფესა ქალაქსა სკტპტბურღს (!) წელსა 1814, მაისის 5 დღესა ჴელითა ოსსთა მყოფელ. გიორგი ჯათთიშვილისათა“.

2366

ეთიკა (საყოფაქცეო ფილოსოფია), XIX

59 ფ.; 21×17; ქაღალდი; უყდო; დაშლილი, ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 180 a.

„...თავი ა საქმეთათჳს კაცობრივთა.—ყოველი საქმე თავისუფალი ანუ კეთილ არს, ანუ ბოროტ, რამეთუ უკეთუ ყოველი საქმე თავისუფალი ანუ სრულგვყოფს ჩუჱნ მდგომარეობასა ჩუჱნსა, ანუ არა სრულ...“ 1 r—58 v.

წყდება: „...უკეთუ კაცობრივი ნება მაშინ უკუჱ შემოვალს სრულებასა შინა, ოდეს იგი მიდრეკილ იქმნების ესოდენ ჭეშმარიტისა მიმართ კეთილისა, ვითარმედ შეუძლებელ არს, რათა არა ჰსუროდესმცა იგი...“.

შდრ. H : 2367.

2367

„ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღურებისა“, XVIII

216 ფ.; 15×10; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა. [XVIII ს.]; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი ნომერი 180 в.

„წინასიტყუაობა საითიკოჲსაცმი ფილოსოფიისა § 1.—უკეთუ ვჰშურებით ჩუჱნ ამისთჳს, რათა უცხადესად გამოვაჩინენითმცა კანონნი, რომელთადმი ქცევანი კაცობრივნი სათანადო არიან თანჴმობად, ვინაჲცა თანაგუაცს წულილ გამოძიებად პირუჱლად ბუნებაჲ, ანუ თჳსებაჲ ფილოსოფიისა, რომელიცა იზედწოდების საპრაკტიკოდ. ანუ საქმითად და მერმეღა ყოველნი ნაწილნი მისნი...“ 2 r—216 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. უძლვის თავფურცელი „ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღურებისა, ზედ-დადგინებანი, რომელნი შეიცუნ ბუნე[ბი]თსა სამართალსა ითიკასა და პოლიტიკასა“. 2 r.

2. „პინაქსი“. 1 r—2 v.

2368

დავით ბატონიშვილი — ფიზიკა, 1818

167 ფ.; 33×21; ქაღალდი; მხედრული, ავტოგრაფი; მუყაოს ყდა; 1818 წელი (1 v); ადგილი: პეტერბურგი; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 184.

„ფისიკისათვის § 1.—ფისიკა არს ხელოვნება გინა სწავლა, რომელიცა გვიჩვენებს თვისებათა ნივთთასა და განგვიცხადებს მიზეზთა ბუნებითთა განცხადებათასა...“ 2 r—152 r.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი „დ ა ვ ი თ ი ს მიერ დავითიან სოლომონიან ბაგრატ[ი]ონისა, მეფის გიორგის პირმშოს ძისა, ღენერალ-ლეიტენანტისა და კავალერისაგან ქმნილი, შემოკლებული ფისიკა, საქმით ახალთა მოსწავლეთათვის შესამეცნებლად ფისიკაჲსა, წელსა 1818, სანკტპეტერბუხს“. 1 v.

ანდერძი: „დასრულდა იანვრის ლ, ჩყიჱ [წელსა], და ჩვენსა ქორონიკონსა ფვ“. 152 r.

შენიშვნა: ერთვის: 1. „პინაქსი“. 154 r—157 v.

2. 161 r—167 r—ფიზიკური ცდების „ფიგურა“, შესრულებული ტუშით, ჩანაწერები თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით.

§ 148 „ფქნარებისათჳს (ანუ მთქნარებისა), რომელსაცა ესრეთ მოიხსენებს ექუსთა დღეთა შინა...“ ჩაწერილია თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით. 146 r.

2369

შემოკლებული ფიზიკა, 1767

133 ფ.; 16×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით. გადამწერი: მიხაილ (252 გვ.); 1767 წ. (იქვე). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 185.

„შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი. შესავალი ანუ წინასიტყუაობა. § 1.—ფილოსოფია ბუნებითი ანუ ფისიკა არს ცნობაჲ ბუნებითთა ნივთთა, ესე იგი ყოვლისა მის, რაჲცალა არსებისაგან და თჳსებისა სხეულთასა ყოფად შესაძლებელ არს...“ 1—252 გვ.

შენიშვნა: უძლვის 1. ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ ა რ ხ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა წინასიტყუაობა ფისიკისა ამის წინამდებარისა“. I r—v.

2. „პინაქსი. ფისიკისა“. II r—III r.

ანდერძი: „იყავნ სადიდებლად ღ҃ისა, წელსა 1767, მარტის 16 დღესა მიხაილ“. 252 გვ.

დართულია ნახაზები ფიზიკური ცდებიდან 254, 255 და 259 გვ. გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2370

ხამკურნალო წიგნი, 1812

231 ფ.; 20,5×16; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ხავერდგადაკრული ყდა; 1812 წ. (1 r); რეცეპტები დალაგებულია ალფაბეტზე დავით ბატონიშვილის მიერ; გადაწერილია პეტერბურგში. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 193.

„ა. ანტონის ცეცხლისათჳს.

ქ. ქინაქინის წვენი.

ქ. თმიანასი (ვარდ კანაფასი) (არტემიზა აბროტანუმ), მიწერილია დავითის მიერ.

ქ. პიტნისა (მიატა). ქ. აბზინდისა (აბზინდა). ქ. მელის კუდასი (ტრიფოლიუმ).

ქ. ღვალოსი: ამათი ყველა კარგია. რომელიცა გინდოდეს, ძალიან მოხარშე. ამათ წვენში თანასწორად ძმარიც უნდა აურიო, ანუ ოტკა, ცოტას ნიშადურითა და ამაში მჩვარი ასველო და ადვა...“ 1 r—231 r.

შენიშვნა: უძღვის: „გარდმოღებული ლათინურისა და რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა, ფრიად საჭირო და გამოცდილი რეცეპტები, პირველთა დოხტურებთაგან დაწერილი, რომელიცა ანბანზედ არის დაწყობილი მისის უმაღლესობის საქართუჱლოს მეფის გიორგის პირმშო ძისა და საქართუჱლოს მემკჳდრისა ღენერალლეიტენანტის და სენატორის დ ა ვ ი თ ი ს მ ი ე რ, სამეუფოსა ქალაქსა სანკტ-პეტრებურღს, წელთა 1812, იანვრის 25“.

2371

მითოლოგია „ზღაპარ-სიტყვაობა“, XIX

135 ფ.; 20×15; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; გადამწერი პეტრე ქებაძე (?) [XIX ს].; დაუწერელია დასაწყისში 23 ფ. და ბოლოში 20 ფურც. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 202.

„შეყვანილება მეტალოღიისა საზოგადოდ. თავი ა.—მეტალოღია ანუ ძველი ზღაპარსიტყვაობა არს ღმერთად აღსარებულთა ძველთა წარმართთაგან...“ 1—163 გვ.

შენიშვნა: უძღვის 1. თავფურცელი: „ცნობა ისტორიული და ღეოღრაფიული. ზღაპარსიტყვაობა. შეკრება რაოდენთამე ძველთა ღმერთაებთა ელინთაგან ღმერთად აღსარებულთა. თარგმნილი რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის ძის, მემკვიდრის და რუსეთის ღენერალ-მაიორის და კავალერისა დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ...“ 1 r.

2. წინასიტყვაობა დავით ბატონიშვილისა „... ამის გამო წერილთა შემეცნებასა ერთასა შურითა შეკრულმან გარდამოვიღე რუს[უ]ლისაგან ენისა სტიხთა და წიგნთა სახმარი და შესაფერი ესე მაგალითი, რომელ[ს]ა მეტოლოღია ანუ ზღაპარსიტყვაობა [ეწოდება], ძველთა ელენთა ღუთად აღსარებულთა, რომელიცა არს მრთელისა საბერძნეთისა და ევროპისა ნაცვლად ყვავილთა და ღვინისა ხმარებული, მაგალითი სტიხისა და წიგნთა ურთიერთისად მიმოწერისა ხმარებული, რათა ჩვენცა ქონებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესევითარისა მაგალითისათა ვისწაოთმცა გვარი წერისა და სტიხისა შესაფერითა აღმქსვეობითა.

საქართველოს მეფის ძე რუ[სეთის] ღენარალ-მაიორი და კავალერი დავიდ". 2--4 გვ.

მინაწერი: თავფურცელზე სხვა ხელით; პეტრე [ქებაძე].

2372

მარმონტელი — „ველიაზარ", 1787

73 ფ.; 33×22; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; მთარგმნელი: გაიოზ არქიმანდრიტი (1 r); ადგილი: კრემენჩუკი. გადამწერი: გლახა კოტეტი (73 v).; 1787 წ (1 r); იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 204.

„ველიაზარ, თავი ა.—მოუძლურებული განგრძელებულითა მძრცუწლობითა ჰრომის იმპერია (საჴელმწიფო) დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულებისათა დაუახლოვდა უკუწ სრულსა შემუსრუასა..." 2 r—71 r.

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი: „ქმნილი უფლისა მარმონტელისგან, რომელიც იყო წევრი ფრანცუზის აკადემიისა. თარგმნილი რუსულად იმისის იმპერატორების დიდებულებისა ე კ ა ტ ე რ ი ნ ა მ ე ო რ ი ს ა იმპერატრიცასი და თჳთმპყრობელესისა ყოვლისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა ვოლგასა ზედა.

ხოლო რუსულით ქართულსა ზედა ვიწყე თარგმნად არქიმანდრიტმან გ ა ი ო ს, წელსა 1787, ოკდომბერს 24, კრემენჩუკს". 1 r.

2. ერთვის: გამოკრებული სწავლანი. 72 r—v.

ანდერძი: „სრულ ვჰყავ წელსა 1787, თთუწსა დეკემბერსა 14 კრემენჩუკს. გაიოს", 71 r.

მინაწერი 1. „ქ. ეს წიგნი გაბაონის სვიმონის არის, ნათარგმნი გაიოზისაგან და დაწერილი გლახა კოტეტისაგან კრემენჩუკს, Семену Габаону Иовяну". (73 v).

2373

ალაპიტ დიაკონი—სამეფო ტომარი, XIX

40 ფ. (80 გვ.); 21×17; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; [XIX ს.]; დაუწერელია დასაწყისი 5 ფურცელი. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 205.

„სამეფო ტომარი. უსამღუდელოესსა და უკეთილმსახურესსა მეფესა ჩუწნსა, იმპერატორსა იუსტინიანეს—ალაპიტ უმცირეს დიაკონი კრძალუებით (!) შრომასა ამას უძღვნი, თავი ა 1.—ღმერთი არს ყოველთა მეფობათა შემოქმედ, მყოფ უმაღლესსა ღირსებასა შინა, ჵ იმპერატორო, უმაღლეს ყოველთა ღირსებათა აღგიყვანა შენ ღმერთმან..." 5—73 გვ.

შენიშვნა: უძღვის 1. თავფურცელი „უმაღლესსა და უდიდებულესსა კეთილმსახურსა ჴელმწიფესა მ ე ფ ე ს ა ი რ ა კ ლ ი ს, მპყრობელსა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსასა—უმონაებრისი მოჴსენება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „უმოწყალესო ხელმწიფეო“ მიმართვა ანტონისა. 1—2 გვ.
3. წინასიტყუაობა ალაპიტ დიაკონისა. 4—5 გვ.

ერთვის: „Ⴈმსთუმლე ბრძენმა ბრძნული,
Ⴍნიქსის მსგავსო, სიტყჳს მჳსგავსო;
Ⴌათელ შემსრუმლთ განმაბრწყინებო,
Ⴀრამედ უაღრესი ფილოსოფოსთ მსგავს წერილო,
Ⴑასოთა აღვსებულ სიბრძნისა მზეო...“ 73 გვ.

მინაწერი: „ჩემ მიერ გარდმოღებულ თეთრისგანა შავად წერილისა ამისა ალაპიტ დიაკონისათა. ს. გ. ჩ.“. 72 გვ.

2374

საწერი დედანი, 1821

2 ფ.; 23×35; ქაღალდი: უყდო; მხედრული, საწყისში ნუსხურიც; 1821 წ. შემდგენელი, დამწერი: თეიმურაზ ბატონიშვილი (ხელი თეიმურაზისია). იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 208.

პირველი ხელნაწერი დედანია, მეორე მისი ლითოგრაფიული პირი.
„დაიბეჭდა წელსა 1821 მაისის 26. ლიტოგრაფიასა შინა ბარონ შილინგისასა“ ავტოგრაფის ბოლოში.

2375

მხაზველობითი ხელოვნების კანონი, 1804

133 ფ.; 36×22; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 1804 წ. (10 r); მთარგმნელი; ვასილ ჭილაძე; ნათარგმნია 1795 წელს გერმანულიდან რუსულად, იოანე დანიელ პრეისლერის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით; ადგილი: პეტერბურგი; წიგნი შეიცავს გერმანულ-რუსულ ნაბეჭდ, პარალელურ ტექსტს და მის შესატყვისს ქართულ თარგმანს; შედგება ოთხი ნაწილისგან, პირველ ნაწილს ერთვის ლითოგრაფიულად შესრულებული ნახაზების 18 ტაბულა, მეორე ნაწილს—18, მესამე ნაწილს—18, მეოთხე ნაწილს—15 ტაბულა, სულ 69 ტაბულა. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 211.

„მყუარებელთა ყრმათა სწავლისათა სათანადოჲ მოძღვრებაჲ, რომელიცა ჳს ეყუის პირველსა ამას ფურცელსა.—დასაბამსა ამის საქმისასა. დალათუ წარმოვიდგენთ ჩვენ, ვითარმედ იყოსმცა იგი მცირე და მარტივ, გარნა იგი არს ფრიად დიდ და კნინლა საფუძველიცა ყოვლისა საქმისა, ვინათგან უკეთუ მიხედვიდეთ პირველსა ნაკვეთსა, მაშინ იხილოთ თქვენ პერპენდიკულარი, ანუ სწორედ დამოკიდებული ხაზი...“ 12 v—2 r.

შენიშვნა: უძღვის 1. თავფურცელი: „საფუძველითნი კანონნი ანუ მოკლე ჴელისმძღუაველობა (!) მხაზველობითისა ჴელოვნებისადმი. ნაწილი პირველი, იოანე: დ ა ნ ი ე ლ პ რ ე ი ს ლ ე რ ი ს ა მიერ განცემული, რომელ არს რექტორი ნირნბერღის სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატრო აკადემიისა. ნემეცურის ენიდამ რუსულად გამოთარგმნილი აკადემიასა შინა სწავლათასა 1795 წელს. ხოლო რუსულისაგან ქართულად კოლლეჟსკის ასესორი ვასილი ჭილაძისა მიერ 1804 წელსა, სანკტპეტრბურღსა შინა.

2. მათს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის გიორგის მეათსამმეტის ძეს იოანნეს და ორდენთა რუსეთისათა წმინდისა ანნასი პირველისა კლასისა კავალერს და წმინდის იოანნე იერუსალემისა კამანდორს მოწყალეს ჴელმწიფეს უქვენაესი და უგულითადესი შეზღვნა“. 10 r—11 r.

3. ვასილ ჭილაძის მიმართვა იოანე ბატონიშვილისადმი. 21 r—v.

4. მისივე წინასიტყუაობა. 22 r—v.

5. იოანე ბატონიშვილის ხელით: „საფუ[უ]ძვლიანი წარმოდგინება და ნათლად ჩუჳნებაჲ ანატომიისა მხატვართათჳს მოთხრობა იოანა—დანიელისა პლესლერისაგან.—ყოველთა მეცნიერთაგან პირველვე შემეცნებელ არს სინანდვილე ამის საქმისა, რომელ ანატომის ცოდნაჲ ძვალთა და მუსკულთა და ეგრეთვე ხორცთა კაცისათა მხატვარსა ვისმე დამხაზუელსა გამოცდილსა აუცილებლად ესახმარების, რამეთუ თჳნიერ ამისსა არა ძალუცს მას ქცევაჲ კადნიერად მხატვრობასა შინა...“ 115 r—117 v

ანდერძი: „დასრულდა ანატომის აღწერა სახმარად სამხატროისა, აგვისტოსა ა. წელსა ჩყვ, პეტრებურღსა შინა. დარჩა ეს უთარგმნელად ვასილი მათევიჩს და გოდერძი ფირალოვს ვათარგმნინე ეს ანატომია. და ძვლებისა და ხორცის სახელების პოვნაში შევეწიე მეფის ძე იოანე. და ეს ანატომიაც მევე გარდავსწერე, ქართველთ ერისა და მხატრობისა მსურველთათჳს დავშვერ, რომელ არა თუ მხატრობას, არამედ ღეომეტრიის ხაზებსაც აცნობებს“. 117 v.

ამასვე ერთვის იოანე ბატონიშვილის ხელით ნაწერი: „აქა სახმარად მეჩუჳნა მეკუალად ზედ დართუა კედელთა ზედა მხატრობისა, თუ ვითარ ჯერ არს...“ 118 r—v.

2376

იონას კითხვანი, XIX

233 ფ.; 35×23; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; ნაკლული; [XIX ს.]; კითხვებზე პასუხი იამბიკოთი, შიგა-და-შიგ ჩართულია თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით შესრულებული სტროფები, იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 219.

„პირველი კითხვა იონასი ა.—არსებასა და ბუნებასა ღვთისასა, ესე იგი ღუთაებისა მისისასა რაოდენნი ლექსნი ჰქონან საკუთრად, რომელნი მეუფესა მას საუკუნესა ნიშნვიდნენ და სხვათა დაბადებულთა ზედა არა მოიღებოდეს, ვითარ არაბულსა ენასა ზედა ეწოდების ათას-ერთი სახელი, განმარტება.—

კითხვა პირველი გამომეძიებლისა:
არს არაბთ თქმისა სახელთათჳს ღ´ისათა.
ესე რიცხჳთო ათას-ერთი არს ლექსი.
უწყება მისი ფრიად ადვილ არს ცნობად...“

წყდება:

„სხვათათჳს დადგმა საზრდოდ და მით თავით თჳსთა
ყინელსა შინა საზრდელით გამოკვება,
ლომ...“ 1 r—233 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ამ ხელნაწერის ტექსტი უნდა წარმოადგენდეს თეიმურაზ ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებას.

2. ტექსტში მოცემულია 18 კითხვის პასუხი. (შდრ. А. Цагарели, Сведения, III. 168—169 გვ.

2377

„წერილნი სხვათა და სხვათა ფიზიკურთა და ფილოსოფიურთა ნივთთათჳს, მიწერილნი რომლისამე პრინცესაჲსადმი“, XIX

58 ფ.; 35×23; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.], (ჭვირნიშანი 1817), გადამწერი [ბაზლიძე]. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან. ძველი № 220.

„წერილნი სხვათა და სხვათა ფიზიკურთა და ფილოსოფიურთა ნივთთათჳს, მიწერილნი რომლისამე პრინცესაჲსადმი. წიგნი პირველი.—სასოება განგრძობად თქვენისა უმაღლესობისადმი მოძღვრებათა ჩემთა ღეომეტრიასა შინა იხილვების, რომელ კუალად მიმიღებიეს, რომელიცა ჩემთვის ფრიად საწუხარ არს. მაშინ ვისურვიდიმცა მე დაჯილდოებად ამისსა წერილთა მიერ, ვინაჲდგან ნებას მართვიდეს თვისება ნივთთანი...“ 1 r—45 v.

წ უ დ ე ბ ა: „...სიმსწრაფლე ბგერისა, რომელიცა თვითეულსა წამის-ყოფასა შინა განრბის, ათას ფუტთა—1000—გვაძლევს ჩუენ პირველსა უკუნ ზომასა...“

შენიშვნა: 1. ერთვის ქრონიკა: „აზნაური ქრცხინვალის. აბიათარის შვილი—აბიათარ იყო ურიათ მღვდელი დროსა მირიან მეფისა...“ 46 r—47 v.

2. წიგნი შეიცავს 20 წერილს.

2378

ოთხთავი, XVIII

222 ფ.; 8×6,5; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; მახარებელთა ილუსტრაციები: 1 v, 59 v, 95 v, 155 v, თავკაზმულობა 2 r, 59 v—60 r, 95 v—96 r, 155 v—156 r; ნაწერია ორ სვეტად მინიატურული ხელით; ტექსტი ჩასმულია ოქროცურვილ ჩარჩოში; გადამწერი: პავლე (220 v); [XVIII ს.]. საეზიო მუზეუმიდან. ძველი № 802.

„სახარება მათესი. თავი პირველი.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესა...“ 195 v.

შენიშვნა: ერთვის „საძიებელი წმიდისა სახარებისა...“ 196 r—220 v.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი მგალობელი პავლე, რომელმან აღვწერე“. 220 v.

(„საეზიო მუზეუმის კატალოგში ჩაწერილი ყოფილა ასე: 1914. № 802. Куплено у г. Бочарова за 20 руб.“). ს. გორგაძის შენიშვნა. იხ. საინვენტარო დავთარი H_2—192 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2379

დავით გურამიშვილი—დავითიანი, 1855

94 ფ.; 36×22; ქაღალდი: უყდო, დაშლილი; აშიები შემოცვეთილი; 1855 წ. (3 r); გადამწერი: დავით ოსიტოვი (3 r); შემომწირველი—გ. ლეონიძე.

„წიგნი ა. წიგნი ესე, რომელსა ეწოდების დავითიანი, თქმული გურამიშვილისაგან. თავი შესავალი ა, ქართველთა მეგვარტომობის იგავი.—
ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი,
რომელმან მომეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი...“ 4 r—94 r.

შენიშვნა: უძლვის თავფურცელი „გურამიანი.—

გურამიანი ტკბილად ხმიანი,
მკითხულთათჳს შესატკბიანი,
მისი შემთხზუწლი იყო ხნიანი,
და მერე უწოდეს მწყემსთ-ქაცვიანი“.

ანდერძი: „სრულ იქმნა წიგნი ესე 185 5-სა წელსა, აპრილის 22-სა რიცხჳს ჴელითა კნიაზ დავით ოსიტოვისათა“ 3 r.

მინაწერი: ანდერძის დასაწყისში (ფანქრით): 1. „ამ დროს ვიყავი მეორე კლასში საკეთილშობილო ღიმნაზიაში“.

2. „გამომიგზავნა მელანია ნათიშვილისამ სოფელ მჭადიჯვარიდამ. გადავეცი საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს. 15 აგვისტოს, 1923 წ. გ. ლეონიძე“.

ბოლოს ერთვის საძიებლის ნაწყვეტი: „ზანდუკი წიგნისა ამის დავითიანისა“ სულ ოცდაცამეტი დასახელებაა. 94 r—v.

2380

მიძინება ღვთისმშობლისა, XVII

62 ფ.; 12×10; ეტრატი; ნუსხური; [XVII ს.]; ნაკლული; დაზიანებული, მარცხენა ყდა მოცილებულია, მარჯვენა—ტყავგადაკრული ხისა; ნაპოვნია სოფ. კაკაბეთში.

„... დამბადებელო, ღმერთო ჩემო და უფალო იესუ ქრისტე, კაცთმოყვარეო და მრავალ მოწყალეო, რომელი ეგე მჯდომარე ხარ საყდართა დიდებულთა და აღმატებულთა...“

წ ყ დ ე ბ ა: ...ხოლო მარხვისათვის ესრეთ: რამეთუ სამნი არიან ჩუჱნ მიერ განწესებული...“

შენიშვნა: ერთვის ორი ფურცელი ქაღალდზე შესრულებული ტექსტი, რომლის პირველი გვერდი არ იკითხება.

წ ყ დ ე ბ ა: „ყოვლად წმიდაო დედოფალი, ღ̃ის მშობ[ელო]... შემიწყალე ორსავე ცხოვრებასა . . . . ლის შვილისა ასულ... ულუმპაჲ ორსა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2381

რუსულ-ქართული ლექსიკონი, XVIII

255 ფ.; 16×11; ქაღალდი; რუსულ-მხედრული; ნაკლული; [XVIII ს.]; ტყავგადაკრული ხის ყდა.

„Лакированный—გალესილი!
Лакировка—გალესილობა".
წუდება: „Хожу ходи... пойду—წავალ
хозяевы—მასპინძლის".

2382

კურთხევანი, XVIII

121 ფ.; 20,5×15; ქაღალდი; ნუსხური; ნაკლული; [XVIII ს.]; დასაწყისი 8 ფურცელი ამოვარდნილია, დახეულია; ტყავგადაკრული ხის ყდა.

„ბ. დიდი აიაზმა.—...ლ̃ა და რაჟამს ჰპოოთ იგი, თქუენ ხადოდეთ მას. და ოდეს მოგეახლოს თქუენ, დაუტევენ ულთომან გზა თჳსი და კაცმან უსჯულომან ზრახვანი თჳსნი, და მოქცემენ (!) და შეიწყალნეს იგინი და მიგეტევნენ ცოდვანი თქუენნი..."

შენიშვნა: ზემოთმოტანილი ტექსტი ამოწერილია კარგად დაცული გვერდიდან, დასაწყისი I—VIII ფფ. ბოლოშია მოთავსებული.

მინაწერი: „მე მონა უფლისა გიორგიმ: „66 r (მხედრულით).
„[ღმერთო]... შეიწყალე ყოვლად ცოდვილი უნოფრე(!)". 65 v.

2383

კურთხევანი, XVIII

278 ფ.; 21×14; ქაღალდი: ნუსხური, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის დაზიანებული ყდა; ნაკლული; [XVIII ს.].

„...მიერ წმიდისა და ერთ არსისა სამებისა მიერ ამაღლებაჲ სადიდებლად შენდა და მხოლოდ-შობილისა ძისა შენისა და ყოვლად წმიდისა სულისა შენისა. ამისა შემდგომად აღიქუას ყრმაჲ იგი დედამან მიმქუმელისაგან და მისცეს იგი მღდელსა..." 1 r—200a r.

შენიშვნა: დართული აქვს: 1. „განმარტებაჲ საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისა და სახისმეტყუელება წესთა მისთა განწე[სე]ბული წმიდისა ბასილისა და წმიდისა მაქსიმესი და სხუათა მამათა მიერ თქმულისაგან..." 201 r—210 v.

2. „თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ". 210 v—216 v.

3. „სიტყუანი სახარებისნი, გამოკრებილნი წმიდათა მამათაგან". 217 r—152 r

4. „სიტყუანი გამოკრებულნი წმიდათა წერილთაგან სარგებელად სულისა და განმბრძნობელად გონებისა..." 252 r—270 v.

5. „კითხვაჲ—მიგება..." 271 r—278 v.

წუდება: „კუალად ერისა შენისათა მოქალაქობასა თანა ერთობამან გან..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

2384

ოთხთავი, XVIII

195 ფ.; 24×14; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; ხელნაწერის ზოგიერთი ფურცელი ამოვარდნილია, მოხეული და შემოცვეთილია; მახარებელთა ილუსტრაციები: 3 v, 97 v, 152 v; [XVIII ს.].

„თავისაგანი მათესი და წმიდა სახარება.—წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაჰმისი (!), აბრჰამ შვა ისაკ...“ 4 r—195 r.

შენიშვნა: უძღვის: „ესე თავები არის მათეს სახარების. ა.—განჴორციელებისათვის ქრისტესა და ნათესავთა შობისათვის და ვითარი შეიმოსა ქალწულისაგან კაცება...“ (საძიებელი). 1 r—3 v.

ერთვის: „ესე ანდერძი ამა წიგნისა დედისა დამწერლისა არის. ესე საცნაური იყავნ თქუენ ყოელთა...“ (მთაწმინდელის ანდერძი დამახინჯებულად). 195 r—v.

ანდერძი გადამწერისა: „ესე ხოლო ანდერძი თვით ამა წიგნისა მწ[ე]რლისა არის.—მონობისაცა ყოვლად უღირსი კუალად მონა უჴმარი ვინმე ფრიად ცოდვილი, რომელი ვსწერ პატიოსანსა წიგნსა ამას სახარებასა უფლისა იესო ქრისტესა ღ̃თისა ჩუ̃ნისა, განმანათლებელ[ი]სა გონებისასა და მომცემელთსა... აწ მეშინის მე ჴელყოფად წერად ჴელითა მჴედრულითა დიდი ესე ძლიერება მისა და სიტყვისა ღთისა, არამედ მოვითხოვ შენდობასა ამისთვის, რამეთუ მრავალთა კაცთა მჴედრად განწესებულთა გული უთქმს ჭეშმარიტითა სასოებითა სიყვარული უფლისა იესო ქრისტესი და ჰ[ნ]ებავსთ, რათამცა გულისჴმაყონ საქმენი და საკჳრველებანი მისნი და არა ძალუცს წიგნისა ხუცურისა აღმოკითხვად. ხოლო ვიეთთაცა აღმოიკითხოთ დღეითგან სიტყუა ესე ღ̃თისა, გევედრები, რათა ბრძანოთ შენდობა ჩემ ცოდვილისა, რათა მეუფემან ღ̃თ̃ან თქუენცა შეგინდვნენ ცოდვანი თქუენი...“

მინაწერი: 1. „ქ. ეს სახარება ენისელთ მოურავის შვილის ქაიხოსროსია“ საცავფურცელზე.

2. „ქ. ეს სახარება ენისელთ მოურავის შვილის ქაიხოსროსია“. 34 r.

3. „წმინდავ ლუკავ, აცხონე ანა, წმინდავ ლუკავ, აცხოვნე ცოდვილი თამარი“, 97 r.

2385

წმიდათა ცხოვრება, XIX

131 ფ.; 22×17; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაშლილი; [XIX ს.]; გადამწერი: იოსებ ბორძელი (131 v).

1. „ცხოვრება და მოქალაქობა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ნიკოლოოზ მირონ ლუკიის ეფისკოპოზისა.—უადვილეს არს ცვართა ცისათა ანუ ქვიშათა ზღვის კიდისათა აღრიცხვიდ, ვიდრეღა სასწაულთა და საკვირველებათა ნეტარისა მის მამისათა...„ 1 r—20 v.

2. „შესხმა წმიდის და საკვირველთ მოქმედისა ნიკოლოზ მირონ ქალაქის მთავარ-ეფისკოპპოზისა. თქმული მამისა ჩვენისა ანდრია კრიტელ მთავარეფისკოპოზისა.—კაცო ღვთისაო, სარწმუნოო მონანო და მწეო ქრისტეს საიდუმლოთაო, საუნჯეო მადლთა მათ სულისა წმინდისათაო...“ 29 v—32 v.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. „ცხოვრება და მოქალაქობა ევფემიანესი და ძისა მისისა ალექსი კაცისა ღვთისა.—იყო ვინმე რომს ქალაქსა შინა კაცი მორწმუნე და მართალი, და მდიდარ ფრიად და სახელი მისი ევფემიანე. ამას ესხნენ მონანი სამასნი...“ 32 v — 37 v.

4. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ქსენეფორესი. გვითხრობდა ბერთაგანი ვინმე ფრიად სათნო, ვითარმედ იყო ვინმე სეფეწული სახელით ქსენეფორე და ესე მოსწრაფე იყო მცნებათა ღვთისათა...“ 37 v—46 v.

5. „თთვესა აგვისტოსა, რიცხვსა იე. მიცვალება ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა, თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა ვასილი კესარიელისა.—სამებამან წმინდამან დაუსაბამომან დამბადებელმან ყოველთა დაბადებულთამან, რომელ არს მამა და ძე ღმერთი და უფალი. ამინ. ღირსმყო საშინელისა ამის საიდუმლოსა ხილვად, რომლისათვისცა მიმაწიფა პოვნად სასურველისა და მოძღვრისა ჩემისა...“ 46 v—72 v.

6. „ცხოვრება და მოქალაქობა წმინდისა და ნეტარისა ქალწულ-მოწამისა მარინასი, რომელი იწამა თვესა ივლის[ს]ა იზ.—შემდგომად აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და დიდებითა ამაღლებისა მისისა მამისა მისისა თანა და ყოფასა ზეცათა შინა, სანატრელთა წმინდათა მოციქულთა აღასრულეს სრბა მათი და სარწმუნოება ასწავეს...“ 73 r—96 v.

7. „წამება წმინდისა და ნეტარისა ქალწულ-მოწამისა ირინასი, რომელი იწამა თვესა მაისსა ხუთსა.—პირველ წარსრულთა მათ ჟამთა იყო ვინმე მეფე სახელით ლიცინოზ და ესვა მას ასული მხოლოდ შობილი, და სახელი მისი პელნოპე. ხოლო იყო მკჳრცხლ ყრმა იგი და ფრიად შვენიერი...“ 97 r—115 v.

8. „თვესა ივლისსა ა. ცხოვრება და მოქალაქობა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა მარიამ მეგვიპტელისა.—საიდუმლოთა მეფისათა დაფარვა კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღ͠ისათა ქადაგება დიდებულ...“ 115 v—128 v.

ანდერძი: „მე მონამან და სურვილით მსასოებელმან წმიდათა მოწამეთა ღვაწლის და ცხოვრებისა მათისა მძიებელმან ვიხილენ და აღვწერე სურვილისამებრ ჩემისა კეთილშობილმან აზნაურმან იოსებ ბორძელმან ჟამსა მოხუცულობისას. და უწესოდ წერისათვის ნუ მწყევთ, არამედ ოხა მაგეთ, რათა თქვენიცა ღმერთმან შეცთომა შეგვინდოსთ. მსურდა მე ამათ წმინდათა მოწამეთა ღვაწლის აღწერა და ამისთვის ხელ-ვყავ აღწერად, რათა ვინცა იხილოთ ნაშრომი ესე ჩემი, შენდობა მიბრძანეთ“. 131 v.

მინაწერები: 1. „1868-სა წელსა იანვრის 12 დღესა, ვიყიდე წიგნი ესე წმიდათ ცხოვრება ანდრია მესხიევის მეუღლის ნინა პავლოვნას მიერ მე იოსებ ახალშენოვმა ჩემის საკუთარის საფასით. და ვინც ეს ჩემგან მოიპაროს, ეშმაკებმა მოიპარონ იმისი სული, და რისხამდეს, რაც აქ წმინდანები სწერია“. 131 r.

2. „წიგნი ესე ეკუთვნის იოსებ ახალშენოვსა და ვინცა მას გამოახვას, ანუ ქურდობა ლამოდეს ღმერთმან და მისთა წმინდათა გამოახუან სიცოცხლისა თჳსისაგან. ამინ. ამინ“. 130 r.

3. „რაჲ ეწოდების წიგნსა ამას? ნუ თუ არა „წმიდათა ცხოვრება“, რომელიც ეკუთვნის იოსებ ახალშენაშვილს“ (თავფურცელი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2386

წმიდათა ცხოვრება, 1813

116 ფ.; 21×18; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; მუყაოს ყდა 1813 წ. (116 r).

1. „თთუესა ნოემბერსა კზ. წამება წმიდისა იაკობ სპარსისა დაჭრილისა.—იყო ნეტარი იაკობ დამკჳდრებულ ქალაქსა შინა ბითლაპატს, სოფელსა მას შინა აეზისიონელთასა...“ 1 r—13 r.

2. „ცხოვრებისაგან წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა და ნიშებ-შემოსილისა პალადისა.—კაცი ვინმე იყო დიდვაჭარი ქალაქსა შინა ანტიოქიას ასურეთისასა. ამან მსგავსად ჩუეულებისა ჴთჳსისა შემზადა სავაჭრო თვისი და აღავსო მით ნავი თვისი...“ 13 r—29 r.

3. „თთუესა იანუარსა იე. ცხოვრება ნეტარისა იოანე მონაზონისა, რომელი იქმნა ქრისტესთჳს გლახაკი და იყოფებოდა მონასტერსა შინა, რომელსა დაუცადებელად მარადის ილოცვენ.—იყო დღეთა მათ შინა ჭეშმარიტი კაცი, რომელმან განაგდო სიმძიმე საწუთრისა ამის და ყოველი, რა არს მას შინა, და მოეცა მას სასუფეველი ცათა...“ 29 r—38 r.

4. „თთუესა იანუარსავე იე. ცხოვრება წმიდის ამბა პავლესი.—გვითხრობდა ჩუენ ოდესმე ნეტარი მამა ჩუენი ანტონი, ვითარმედ განვიზრახევდი გულისა შინა ჩემსა, ვითარმედ არა ვინმე დაეშენა მარტოდ-მყოფთაგანი უშინაგანესსა უდაბნოსა უმეტეს ჩემსა. და ამას ღამესა, რომელსა განვიზრახევდ, გამომეცხადა ღ̃ისა მიერ...“ 38 r—42 r.

5. „თთუესა იანუარსა იე. თაყუანისცემა პატიოსანთა ჯაჭუთა წმიდისა პეტრე მოციქულისათა და უწყება, თუ ვითარ მოიწივნეს ჰრომით კოსტანტინოპოლედ და მუნ ქმნილისა მისთჳს საკჳრველებისა.—ჟამთა პირველთა იპოვა ძუელი წიგნი კლემენტოსის თანა, ფრიად მოხუცებულისა კაცისა ფილოსოფოსისა, რომელი იყო პატივითა ასაკრიტი, რამეთუ წერილ იყო წიგნსა მას შინა ესრეთ, ვითარმედ შემდგომად ჯუარცმისა წმიდათა მოციქულთა თავისა პეტრესსა ჰრომს შინა...“ 42 r—47 r.

6. „თთუესა იანუარსა კვ. ცხოვრება ქსენეფორესი და შვილთა მისთა არკადი და იოანესი, და მეუღლისა მისისა.—კაცი ვინმე იყო მთავარი და წარჩინებული, დიდებული ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლსა. და კაცი ესე იყო სეფეწული, და სახელი ერქუა ქსენეფორე...“ 47 r—56 v.

7. „თთუესა ფებერუალსა ი. წამება წმიდისა მღუდელ მოწამისა ხარალამპესი, რომელი ითარგმანების სიხარული ბრწყინვალე.—მეუფებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ყოველი საცთური ეშმაკთა დაჴსნდა, იყო ვინმე მას ჟამსა შინა მღუდელი, სახელით ხარალამპოს...“ 57 r—54 v.

8. „თთუესა ივნისსა კე. წამება წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოწამისა ფებრონიასი.—იყო დღეთა მათ დეოკლიტიანე მეფისათა ეპარხოსი ვინმე სახელით ანთიმოს, წარჩინებული და პატივცემული წინაშე მეფისა...“ 64 v—80 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „თთუჱსა ივლისსა იე. წამება წმიდისა კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი, რომელი აღწერა თ͠ე იკონელ ეპისკოპოსმან.—საყუარელსა ძმასა და მსახურსა ქრისტესსა ზოსიმეს თეოდორე ეპისკოპოზი იკონელთ ქალაქისა გიკითხავ, უფლისა მიერ გიხაროდენ"... 80 v—83 v.

10. „თთუჱსა ივლისსა კდ. წამება წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოწამისა ქრისტინასი, რომელი იყო ასული ორბანოს სტრატილატისა.—მეფობასა ულმრთოსა აბრიანესსა ქალაქსა შინა ტჳროსს იყო ვინმე სტრატილატი, სახელით ორბანოს, და ესუა მას ასული მხოლოდ შობილი სახელით ქრისტინა..." 83 v—90 v.

11. „თთუჱსა აგვისტოსა დ. დაძინება შვიდთა ყრმათა ეფესოს დეკეოზ უსჯულოსა მეფისაზე.—მათ დღეთა შინა მეფე იქმნა ულმრთო დეკეოზ სამეუფოსა ზედა ჰრომთა და ბერძენთასა, და შთავიდა იგი რისხჳთ პირველად ეფესოდ კართაგენით ქალაქით, და შემოკრიბა ერი გამოჳსა სოფლებისა გებად ცუდთა ღმერთთა". 90 v—104 r.

12. „თთუჱსა აგჳსტოსა კზ. წამება წმიდათა მოწამეთა ანდრიანესი და ნატალია, მეუღლისა მისისა.—მეფობასა ულმრთოისა და უსჯულოჲსა მაქსიმიანესსა, ქალაქსა შინა ნიკომიდიასა დაიდუა ბრძანება მის მიერ, რათა სადაცა იყოს ნათესავი ქრისტიანეთა და არა თაყუანის-სცენ კერპთა, ძჳრ-ძვირითა სატანჯუჱლითა აღესრულნენ..." 104 r—116 r.

ანდერძი: „აღიწერა ჩყიგ-სა წელსა, ივნისის იჱ-სა". 116 r.

2387

მარწუხი, 1811

110 ფ.; 20×19; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; 1811 წ. (110 r); გადამწერი: ანდრია დიაკონი; ადგილი: ვეჯინი.

„შემოკლებული შვიდთა მსოფლიოთა საღმთოთა და სამღვდელოთა მიერ წმიდათა კრებათა ერთად წმიდათა ღ͠თ-შემოსილთა მამათა ჩვენთა აღწერილთა წმიდათა წერილთაგან, რომელიც უცდომელად გვეუწყების წმიდისა ამის წიგნისაგან, რომელსა ეწოდების მარწუხი. იქმნა მადლითა და წამის ყოფითა ღ͠ისათა წმიდაჲ და პირველი მსოფლიო კრებაჲ ქრისტეს აქეთ, იჱ (sic) მაისის კთ, მეფობისა დიდისა კოსტანტინესსი, რომელი დაჯდა დასაბამითგან წელთა ხუთ-ათას-რვაასდა-მეათრ͠ვამეტესა, განხორციელებითგან სამას-და მას (sic) და-მეათრ͠ვამეტესა ქალაქსა ნიკიას, ალექსანდრესითგან წელსა ქ͠კ, ივ, კალანდრისასა ივლისისსა.—ბრძენმან მან და ხუროთმოძღვარმან სახიერმან და შემოქმედმან ჩვენმან ღმერთმან ცთუნებითა გარე ქმნილი ედემით ბუნებაჲ ესე ჩვენი არა დაივიწყა..." 4 r—110 r.

შენიშვნა: უძლვის ცხრილი წარწერით: „შეისწავე, რამეთუ საღვთოჲ ესე ცხრილი წინამდებარისა წიგნისა არს გარე-შემცველ და მათ შინათა საძიებელთა აღმომაჩენ". 3 v

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანდერძი მშრომელისა:—იქველისმეტყველებოდენ და იდიდებოდენ ჩვენ მიერ პირველი ერთი მბადი და მათრსებელი ნამკისა შორისსა ცხოველთა და უცხოველოთა სწორებით შემკრებელი... მე მდაბალი ქუთათელ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ტ ი მ ო თ ე ვიიძულე მართლმადიდებელთაგან, რომელთა იჭჳ ედვათ ჩემთა შეკრებასა ამათსა არა მეცნიერთა უსწავლელობისა ჩემისათ., და ვერ ურჩ ქმნილი ბრძანებისა ვიწყე შეკრებ.დ საღმთოთა წერილთაგან, რომელი თჳთ მაშინვე კრებასა ნათქვამნი და ზოგი შემდგომად კრებისა აღწერილნი წმიდათა მამათაგან არა თუ ჩემით შემიწყვიეს რაჲმე წმიდასა ამას კრებასა, არამედ თჳთ ღირსთა პირისათა ნაბიჭევნი აღმოვიღიეს. და უწოდე წიგნსა ამას მარწუხი მტკრთველი შვიდთა ნაკვერცხალთა ნანდჳლ ესაიასებრ სახე, ხოლო თქვენ წმიდანო ღ̃ისანო, უკეთუ ცთომილებაჲ იხილოთ, ნუ უგულებელს მყოფთ უნებელი უმეცრებისა და სიკნინე ფრიადი ზედან მედვა მე. აწ მამანო საქართველოსანო, ისწავლიდეთ რაჲ და იკითხვიდეთ, უცებად მჩხრეკელისა ხსენებასა ნუ უგულებელს ჰყოფთ". 1 v—2 v.

ანდერძი გადამწერისა: „წელსა ჩყია აღიწერა და სრულ იქმნა სამღთო ესე წიგნი მარწუხი ვ ე ჯ ი ნ ს.

ქ̃კს უფ̃თ. ანდრია დიაკონი.

უკეთუ ამათ შინა წინააღმდგომი რაჲმე იპოვოს კაცობრივითა უმეცრებითა აღწერილი, მეცა უარ მიყოფიეს და შედგომილ ვარ სარწმუნოებასა, რომელიცა მართლმადიდებლობასა საქართველოთა შინა ქადაგებულ. არს". 110 r—v.

2388

კოსტანტინეპოლის „დატყუწვება", 1780

54 ფ.; 21×17; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; 1780 წ. (42 v) მთარგმნელი: გრიგოლ წინამძღვარიშვილი; მუყაოს ყდა.

„მოთხრობა მეორედ დატყუწვებისათვის დიდებულისა და სამეუფოსა ქალაქისა, რომელ არს კოსტანტიპოლე(!) და ახალ რომად წოდებული, რომელმან(!) ტყუწ ჰყო მაჰმად მეორემან სულთანმან თურქისამან, მერვესა წელსა, ქრისტეს აქეთ ჩუნგ წელსა.

თარგმნილი რუსულისაგან ქართულად კახელი გრიგოლ წინამძღურისაგან, მოსკოვს, ჩღჲე წელსა.—მაჰმად სულთანი თურქისა ისევ სახელი მეორე მომკვდარისა მამისა თჳსისა ამურატისა არის მხრითგან ბეთანიისა, ქალაქთაგან ბურსიისა..." 1 r—54 v.

შენიშვნა: დართულია 1. „მოთხრობა საკჳრველმოქმედისა ხატისა ყოვლად წმიდისა ღ̃ისმშობლისა ივერიისა მონასტრისა, რომელიცა იწოდების პორტაიდად, ესე იგი არს კარისა..." 43 r—54 v.

ანდერძი: „წელსა ჩღპ, თუწსა ნოემბერსა ბ ეს კოსტანტი[ნე]პოლის ჰამბავი რუსულისაგან თარგმნილი გ რ ი გ ო ლ ი ღ უ მ ნ ი ს ა მიერ, დამიწერია მე იმერეთის დიაჩოკს. იესუს ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი". 42 v—გადაშლილია.

მინაწერი: „ნათიძე იოსებ მღდელი". მხედრულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2389

ხზვადასხვა საბუთები (გადატანილია საბუთების ფონდში).

2390

ლოცვანი—დაუჯდომელი, XVIII

109 ფ.; 16×11; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ტყავგადაკრული ხის ცალი ყდა; ბოლონაკლული.

1. „რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანეთ ლოცვითა წმიდითა მამითა ჩუენითათა: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვიწყალენ ჩუენ. ამინ...“ 1 r—38 r.

2. „იბაკონი წმიდისა ღ̃ის-მშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების, ჴმაჲ დ. გალობაჲ.—ზეშთა ბრძოლისა ჩემისათჳს და მოღვაწისა უძლეველისაჲ, ვითა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან...“ 39 r—109 v.

ნ ყ დ ე ბ ა: „...აღმავსებელო და მნათობ-მყოფელო მამათაო, მადლითა და სავალთა შენთა...“

2391

ხწავლანი (ფრაგმენტი), XIX

1 ფ. 32×22; მხედრული; ქაღალდი; [XIX ს.].

„...[იტ]ყოდა, რომ რა გვარათაც გვამებით იტყოდა განყოფილად, ისრე ბუნებითა და ღმრთაებითა და ძეს მამის უმცროსად იტყოდა, და დაბადებულად, და სულს წმიდას სრულად განაშორებდა მამისაგან. მაგრამ ჩვენ ესრეთ გვრწამს: ღ̃თი ერთი არს და არაოდეს არ განიყოფის...“

ნ ყ დ ე ბ ა: „...რისაგან განაჩინა ცა და ქვეყანა ღ̃თნ. არაფერი არა იყო რა, მაგრამ არარასაგან ასრე შეამკო მან თავადმან სიტ[ყვა]“.

2392

აღსარების წიგნი, XVIII

11 ფ.; 16×11; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; ნაკლული; უყდო; ნაწერია მხოლოდ ორი ფურცელი; [XVIII ს.].

„...აღსარებისა. რიცხჳთ ხ: ჭეშმარიტებისა:—ქალკიდონს მამანი იყუნეს რიცხჳთ ქლ....“

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...ღმერთი და კაცი არის. სრულმან ღმერთმან სრული კაცება მოიღო. სრულმან ბუ...“.

2393

ლოცვანი, XVIII

100 ფ.; 14×10; ქაღალდი; ნუსხური; უყდო, დაშლილი, დაზიანებული; [XVIII ს.]; ნაკლული.

„ღვთისმშობლისა.—...სა მიიღო ისწრაფდეს ძლიერითა მსახურებად მისა და ღაღადება კურთხეულისა. გვაკურთხენ ვარსკვლავისა დაო, წამებულისა დედაო, გვაკურთხენ ცისკარო საიდუმლოსა დღისაო...“ 1 r—100 v.

„წყდება: „...მდუმარედ ილოცე და ვისცა გენებოს, წმიდაო, მოიჴსენე, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო...“.

შენიშვნა: აქვე დაცულია ლოცვები: 1. ბასილ დიდისა—სინანულისთვის 2. იოანე დამასკელისა, 3. ეფრემისი—სინანულისათვის (სხვადასხვა ლოცვები).

მინაწერები: 1. „ესე წმიდა ლოცვანი კობიაშვილის იოანე დიაკონისა არის, მიხაილ ბერ[ი]ს საწირავში მამეცა. ვინც მაიპაროს, ან გამაართვას, რისხავდეს მას ღ̃თი და ყოველნი წმინდანი მისნი. ამინ. მარტის იჱ, წელსა ჩყთ. ამ წელსა აღესრულა ნეტარი იგი იოანე“. 22 r. (მხედრული ხელით).

2. „ქ. წელსა ქ̄ს აქეთ ჩყ მი[ი]ცვალა დეკემბერს ია მარიამ, გამდელი ბარბარესი“. 91 r. (მხედრული ხელით).

2394

პარაკლისი ღვთისმშობლისა, XIX

6 ფ.; 15×10; ქაღალდი; მხედრული, სათაურები ასომთავრული სინგურით; დაშლილი, ნაკლული; [XIX ს.].

„ღვთივ შემკობილნი პარაკლისნი ყოველთა წმიდათათჳს მოსაზავებელნი, პარაკლისი სავედრებელი წმიდისა ღვთისმშობელისა, ყოვლად ბრწყინვალეთა დღესასწაულთა მისთათჳს.—მღვდელმან: კურთხეულარსნი. გუნდმან: ამინ. დიდება შენდა მეუფეო, წმიდაო ღმერთო, ყოვლად წმიდაო მამაო ჩუენო...“ 1—6 r.

წყდება: „...მამტკიცოს მე შიშს შინა თჳსსა და გამომაჩინოს მე მონად ღირსად მადლისა მისისა. ამინ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2395

კრებული, XIX

37 ფ.; 17×11; მხედრული (ულამაზო ხელი); უყდო, ნაკლული; [XIX ს.]; დაზია-ნებული.

1. [ქალ-ვაჟიანი] „...მეტყველი იყო, რომ არწივსა მოუტანეს დანიელს, გაუშო და მიმტანი შეჭამა.

ქალმა კითხა: ის ვინ იყო, რომ მოკვდა და არც ტანი საფლავში ჩავიდა, არც სული ღმერთ[თ]ან წავიდა.

ვაჟმა უთხრა: ის ლუტის (sic) ცოლი იყო...“ 1 r—11 r.

მინაწერი: 1. „დაიწერა ბა[ა]სობის წიგნი მარტის დამდეგს ა. ქ˜ს. ფვ (1818 წ.).

2. [კარაბადინის ნაწილი]: „ქ. ვისაც ხუნაგი ჩემოუვიდეს, მაწუხოს, მაი-ტანეთ ბროწეულის ყვავილი, ერთი დრამი გუნდა, ბროწეულის ქერქი ორი დრამი. ესენი ერთიანათ დანაყეთ კარგად და გასხით(!) პირში, ასე შეუკეხეთ (!), რო ხახაში შე[ვიდეს]“ 11 v—26 r.

3. [ასოთ-სამღერალი] „ქ. თუ მარჯვენა კუნთი ემღერდეს, ტყუილი ეძ-რახოს, თუ მარცხენა კუნთი ემღერდეს, მტერი მოუკვდეს...“ 26 v—37 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...თუ მარჯვენა მეორე თითი ემღეროდეს, დანიელმა ბრძა-ნა: სარჩო იშო[ო]სო, სიმონმა [ბრძა]ნა—სიმართლე არისო...“

მინაწერი: 2. ჩემო თავ[ო], ნუ იტანჯვი,
სხვაც ბევრნი შეგხვედრია
შენებრ მტირალნი
სოფ[ე]ლი ასრეთ მქნელი[ა[.
ვნატრი ღმერთს, სხვებს არ შეხ[ვ]დეთ,
ამგვარი ხვედრი.
ვწერ მე ამას 1885 წელს, დეკებრის დღეს 31“. 11 r.
„საშა აბაშიძე“. 18 r.

2396

კრებული, XVII

74 ფ.; 21×15; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; უყდო, დაშლილი [XVII ს.].

1. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ანდრია იჱრუსალიმე-ლისა, კრიტელ-მთავარეპისკოპოსისა, სიტყუა ლაზარესთჳს, ოთხ-დღე მომ-კუდარისა, რომელი აღადგინა უფალმან. — ლაზარე შემოკრიბა აწინდელი ესე შესაკრებელი და ეგულების სეროობისა ყოფად...“ 1 r—5 v.

2. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ანასტასი სინე-ლისა, ქრისტეს მიერ შესუჱნებულთა და სარწმუნოებით დაძინებულთათჳს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობათასა ჴორციითა აღებისასა̃.—რაჲ არს ესე დღეს, ჵ საყუარელნო, ვითარ მოსწრაფებით და ღირსებით შემოკრებულ ვართ...“ 6 r—25 v.

3. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარ-ებისკოპოსისა, ქებაჲ ეკლესიად მიმავალთა და კეთილწესიერებისათჳს დიდების მეტყუელებაჲთა შინა, და სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ: ვიხილეთ ღმერთი მჯდომარედ საყდარსა მაღალსა და აღმატებულსა.—მრავალისა მოსწრაფებისა მჩუენებელად გხედავთ თქუენ...“ 25 v—31 r.

4. „იოვანე მდაბლისა მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა. სიტყუა ლელჳსათჳს განჴმობილისა და იგავისა მისთჳს ვენაჴისა, აღმოთქვა დიდისა ორშაბათისა.—აღმძრავს მე სიტყუად ერთარსი სიტყუა ღ˜მთისა მამისაჲ, რომელი იგი მამულთა წიაღთა არაოდეს განეშორა და საშოსა ქალწულისასა გარეშეუწერელად მუცლად ღებულ იქმნა...“ 31 r—36 v·

წყდება: „...მიივლტოდეს იგი აბანოსა მას, ხოლო ვითარ...“

5. „წამება წმიდისა მოწამისა თ˜ესი.—ტკბილ [ა]რს და საწადელ ჴსენებაჲ მოწამეთა და სავსე საღვთოჲთა მადლითა ამისთჳსცა, რომელნი სურვიელად ჴსენებასა მათსა აღასრულებენ...“ 37 r—41 v.

6. „თხრობა დიდებულისა სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ზედა ჯურღმულსა დიდისა ეკლესიისასა სოფია-წმიდას საუფლოსაგან და პატიოსნისა ხატისა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და მუნ მისრულისა მისთჳს პატრიკისა და ქრისტეს-მოყუარისა მწიგნობრისა მისისა.—არაჲ რაჲ არს ესრეთ მახარებელ სულთა ღ˜ის-მოყუარეთა, ვითარ საქმეთა უფლისა მიერ საკჳრველებით აღსრულებულთა...“ 41 v—64 v.

7. „ნეტარისა ევსუქი ხუცისა იჱრუსალიმელისა. შესხმა ხარებისათჳს ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა.—ყოველი ვინ კეთილ ცნობიერი ენა სამართლად მოიკითხავს ქალწულსა ღვთისმშობელსა და ჯეროვნად ძალისაებრ მიემსგავსების მთავარანგელოზსა...“ 64 v—72 r.

8. „წამება წმიდათა ორმეოცთა სევასტიას წამებულთა. ს[ა]ხელები მათი ესე არიან: დომენტიანე, ვალენტი, ევსუქი, ელანოს, სამარაგდე, სისინი, მელიტონ, ფილიქტიმონ, პირაკლე, კჳრიონ, ალექსანდრე, ბაბიანე...“ 72 r—74 v.

წყდება: „ხოლო ვითა წარჴდეს შჳდნი იგი დღენი და წმიდანი იგი იყუნეს საპყრ[ობილესა]...“

მინაწერი: „ეს წიგნი სფირიდონ ბიაევის არის“. 21 r.

2397

აღწერა ალავერდის ეპარხიის შემოსავალთა და ხარჯთა, 1813

3 ფ.; 34×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო. დაფურცლული; 1813—14 წ.წ.

1. „აღწერა ალავერდის ეპარხიისა შემოსავალთა სხვადასხვა გვართა, თვინიერ პურისა და ღვინისა, 1813-ისა წლისა.—სამასპინძლო გამოსაღები კოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურისა და კულუხისაგან თავისუფალთა კაცთა გამოერთმევათ 1. კისისხევისა, ფქვილი 7—კოდი, ცხვარი—6, ქათამი—2...“ 1 r—2 r.

2. „აღწერა დანახარჯისა ალავერდის ეპარხიისა, 1814-ისა წლისა.—კონდოლის, ხორხლის და ოჟიოს ზვრების და ალავერდის ბაღის მოჯამაგირეთ ხუთს კაცთ მიეცათ თეთრი საჯამაგირო თერთმეტი თუმანი და რვა მინანთული...“ 3 r.

მინაწერი: „ალავერდის ორის წლისა შემოსავალი: პური 2922 კოდი, 4 ლიტრა“. 3 v.

2398

კრებული, XIX

44 ფ.; 22×18; მხედრული; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; [XIX ს.].

1. [გიორგი ერისთავი] „შეშლილი, პოემა.—(დარბაზში ტახტზედ სხედან **მართა, სიდონია, ანნა და მაკრინე).**

სიდონია (დაიდებს ორს თითს ტუჩზედ და მართას ეუბნება):

გენაცვა, ქალო, მართლა შეშლილა.
გვიანბე წვრილად, როგორ ყოფილა...“

წ ყ დ ე ბ ა: „მეორე ქალი.—

ვიშ, გენაცვა, შეჩვენებულმა
გული მიბრუნა გადარეულმა,
შე დაწყევლილო, რა მოიგონე,
მაგდენი ჭორი სად მოიგონე“. 1 გვ.—20 გვ.

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია, იწყება II ნაწილიდან.
განსხვავებული რედაქციაა (შდრ. გიორგი ერისთავის თხზულებანი. 1936 წ.).

2. „მეფე რომ ვიყო ესრეთი, ჴელთ მეპყრას მთელი ხმელეთი,
ფერხთ ქუჱ გიგებდი ყოვლს კეთილს, რაც უვის ჴელმწიფებასა...“ 21 გვ.

მიწერილია: „ა. ჭავჭავაძე“.

3. „მოხარულნო, მანამ ცხონდებით,
ნეტა ქარებით რათ კვუდებით (!)
ლობიო ღვინით დაარჩეთ,
თორემ აქავე წაწყმდებით“. 21 გვ.

4. „მწუხრის ზარი, Вечерний звон. Козлова.—
მწუხრის ზარი, მწუხრის ზარი!
რა მრავალს რას მომაგონებს...
დ[იმიტრი] ყი[ფიანი]“ 22 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. „ღრაფინა ო...ის ალბომში.—
შეჰსტრევი საღამოს,
ტკბილ, სუნელ, მყუდროს,
მისს სიბნელესთან სინათლე რეულს,
ცას ვარსკლოვანსა,
ლაჟვარდოვანსა,
და შორით კავკაზს მრისხანს, დიდებულს...“ 23—26 გვ. გვ.
„თ˜ის გრიგოლ ორბელიანისა მიერ“.

6. [გრიგოლ ორბელიანი] „მოთქმა საპყრობილითგან გამოხსნილისა, ჩემს დას ე[ფემი]ას.—
ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შუებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის, უდროოდა მწარ-დამჭკნარისა...“ 26 გვ.—30 გვ.
„თ˜ის გრიგოლ ორბელიანის მიერ“. იქვე.

7. [ნიკოლოზ ბარათაშვილი] ნაპოლეონ.—
ნაპოლეონმა გარდმოავლო თუალი ფრანციას
და ჰთქუა: აბაო ჴელმწიფებამ რა შემიძინა?...“ 31 გვ.—31ა გვ.
„მირიან ივერის მიერ“.

8. [ნიკოლოზ ბარათაშვილი] „ჩემს სატრფიალოს.—
არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის თქმა,
მოკუდავსა ენას არ ძალუძს უკუდავთა გრძნობათ გამოთქმა...“
31 გვ.—32 გვ.
„მირიან ივერის მიერ“.

9. [ნიკოლოზ ბარათაშვილი] „შემოღამება მთაწმინდაზედ.—
„ახ, მთაწმინდაო, მთავ მწინდაო (sic) ადგილნი შენნი,
დამაფიქრელნი, ვერანანი და უდაბურნი...“ 33—35 გვ.
„მირიან ივერის მიერ“.

10. [ნიკოლოზ ბარათაშვილი] „საყურე.—
ვითა პეპელა,
არხევს ნელ-ნელა...“ 35—36 გვ. გვ.
„მარიან ივერის მიერ“.

11. „შენნი დალალნი ყრილობენ გველად,
სპეტაკს მკერდზედა ტრფობისა ველად...“ 36 გვ.
„თ. ნ. ბარ[ათაშვილი]“.

12. [ნიკოლოზ ბარათაშვილი] „ბულბული ვარ[დ]ზედ.—
ბულბული ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი:
ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკივნავი...“ 37—38 გვ.

13. „ზვირთები მოდუდუნებენ,
ქალები ბუჩქნარეობენ...“ 38—40 გვ.

14. [ნიკოლოზ ბარათაშვილი] „ჴმა იდუმალი.—
ვისი ჴმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩემი ნაღველი?...“ 40 გვ.

15. „ოცნება.—ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე
და დასსი მცნობთ ჩვენებად, უბრალოდ რად მომფინე...“ 42 გვ.
მიწერილია „ლ...ი...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2399

„სალიტერატურო ქართულის“ ნორმების დამდგენ კომისიის ოქმები, 1920

103 ფ.; 36×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1920 წ.; მდივანი: ს. გორგაძე (ავტოგრაფი).

„საორგანიზაციო კომისიის 1920 წლის 4 აპრილის სხდომის ოქმი № 1“.

შენიშვნა: 1. კომისიის წევრები: აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, ვუკ. ბერიძე, გ. ახვლედიანი, ს. გორგაძე.

თავმჯდომარე: აკ. შანიძე, მდივანი: ს. გორგაძე.

2. დაცულია 13 ოქმი: ამათგან № 1 ოქმი 4 აპრილისა, № 2—22 აპრილისა, № 3—26 აპრილისა, № 4—30 აპრილისა, № 5—3 მაისისა, № 6—11 მაისისა, № 7—14 მაისისა, № 8—17 მაისისა, № 9—21 მაისისა, № 10—24 მაისისა, № 11—30 ოქტომბრისა, № 12—6 ნოემბრისა, № 13—16 აპრილისა.

3. ოქმებს ერთვის: ა. გაზეთი „სახალხო საქმე“ 1920 წლის 17 აპრილისა, სადაც დაბეჭდილია „ყრილობა სალიტერატურო ქართულის შესამუშავებლად“.

ბ. ნიკოლოზ ავალიშვილის მოხსენება „24 მაისისათვის სალიტერატურო ქართულის შესამუშავებლად მოწვეულ ყრილობას მოხსენება“.

გ. „განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტს, კომისიის მოხსენება“ პირი.

4. **მინაწერი:** გარეკანზე: „განათლების სამინისტროსთან არსებულის საგანგებო კომისიისა „სალიტერატურო ქართულის“ სადაო ნორმების მოსაწესრიგებლად“.

2400

პროგრამები, 1922

71 ფ.; 35×21; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული: დიდი ნაწილი ს. გორგაძის ხელით არის ნაწერი, ნაწილი ნაბეჭდია.

„ქართული სიტყვიერება,—1. პოლიტიკურად დამოუკიდებელსა და უაღრესად დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორც ჩვენი სახელმწიფოა, დედაენას განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის სხვა სასკოლო საგანთა შორის...“

შენიშვნა: „უძლევის თავფურცელი „ჰუმანიური ტექნიკუმების (ყოფ. გიმნაზიის V—VIII კლ.) პროგრამები (სოციალ-ჰუმანიური საგნებისა) დაიბეჭდა ცალკე წიგნად—1922 წ.“.

2401

სულთა მატიანე—პალიმფსესტი (სვანეთიდან), XIII—XIV

14 კეფი; 622×22; ნუსხური; ეტრატი; გრაგნილნი, (XIII—XIV ს.): დაიზიანებული, გადაშლილია ტექსტიც.

„...ვინც ლახამლს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, ყოველთა შ̃ნ ღ̃ნ.—სულსა ხუცისა ქელშაგიანისა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა მარიამისა, სულსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარტანისა, სულსა მიქელ ცხუმიანისა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა ქენაჲსა, სულსა რუნ-ბისა, სულსა ჯგვაბაჲსა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა შვილისა მათისა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა ჯავახი ცხვიმიანისა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა ნათაჲ გუბენიანისა შ̃ნ ღ̃ნ...“.

ანდერძი: „... აწ გევედრებით, ქრისტეს სათნო ყოველნო კრებულნო, მე მოძღუარი კ ე შ დ ი ნ ი ა ნ ი და ი ო ვ ა ნ ე დ ა ლ ი დ ი ა ნ ი. ესე მატიანე ახლად დაგჳახლებია, ლოცვასა თქვენსა ნუ დაგჳვიწყებთ, შენდობა ჰყავთ ჩუენთჳსცა, რათა ღმერთმან თქუენცა მადლად მოგაგოს დღესა მის დიდსა განკითხვისსა. პირუწლი მატიანე იოანე ხარიტონიანისა დაწერილ იყო და იგი აიკოცა დავიწყებასა... სულსა იოანე ხარიტონიანისა შ̃ე ღ̃ნ, სულსა მოძღ[ვ]რისა კეშდინიანისა დედისა მარიამს შ̃ე ღ̃ნ. ამა მატიანისა მწერალსა დემეტრეს... ელიანისა შ̃ე ღ̃ნ. ვინცა შემინდოს, ღ̃ნ თ̃ქნ[ც]ა შეგინდოს ცოდვანი თქვენი. ა̃ნ“.

შენიშვნა: 1. ტექსტში დასახელებულია შემდეგი სოფლები: კ ა ლ ა ბ ი, ც ხ მ ა რ ი, ე ბ უ დ ი, დ ო ლ ი, ლ ა ხ ა მ ლ ი, ლ ე შ ტ ე რ ი, ე წ ე რ ი, კ ი ჩ ხ ლ დ ა ბ ა... და სხვ.

2. ტექსტი მთლიანად გამოცემული აქვს პ. ინგოროყვას. (იხ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე. 1941 წ. გვ. 117—160).

2402 ა

დავითაშვილი ი.—„ნიჭიერ ქალს მ. კ.“, 1882

1 ფ. 22×18; ქაღალდი; ავტოგრაფი; ადგილი ქ. გორი.

„ნიჭიერ ქალს მ. კ.—
ამ ჩარჩოსა ჯილდოთ გიძღვნით
ხელოსანი გლეხის ბიჭი...“

შენიშვნა: 1. ექვთიმე თაყაიშვილის ხელით კონვერტზე, რომელიც თან ახლავს ამ ფურცელს, წარწერილია: „პოეტ დავითაშვილის ლექსი, მისივე ხელით დაწერილი. ეს ლექსი მან წააწერა სარკის ჩარჩოზე მარიამ კერესელიძისა“.

2. ლექსის ბოლოს მიწერილია: „მუშა სესია, 1882 წელს ენკენისთვის 22. ქ. გორი“.

2402 ბ

დავითაშვილი ი.—გლეხის ბიჭის ვედრება, XIX

1 ფ.; 22×18; ქაღალდი; ავტოგრაფი; ტექსტი ნასწორებია.

„გლეხის ბიჭის ვედრება.—
შრომის შვილი ვარ პატარა,
სკოლაში დავიარები...“.

ბოლოში: „იოსებ დავითაშვილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2403

„ფუბლო ლენტულო“—ეპისტოლე, 1824

3 ფ.; 22×18; ქაღალდი; მხედრული; 1824 წ. გადამწერი: გლახუა ქუთათელაძე (2 r).

„პირი ეპისტოლისა წარვლინებულისა იეროუსალიმით ტიბერის კეისრისადმი ფუბლო ლენტულო ურიასტანის მთავრისა მიერ მოკლედ შეთხზული, ამბავთათვის იესო ნაზარეველისა. ხოლო ეპისტოლე ესე იმარხვის რომს კესარინელთა მონასტერსა წიგნების საცავთა შინა. ხოლო ლათინურისა ენისაგან თარგმნილ არს ფილიპპეს ვინმე ლათინელთა ხუცისა მიერ.

სათნო ყოფად საძიებელისა თქვენისა მოგახსენებ, ჵ, კეისარო.—არსა დროსა ამას მთავრობისა ჩემისასა სამთავროსა ჩემსა კაცი ვინმე, რომელსა რქვიან იესო ქრისტე და ცხოველობს დიდითა ღვაწლითა. ესე ერისაგან წოდებულ არს წინასწარმეტყველად...“ 1 r—2 r.

გადამწერის ანდერძი: „ალიწერა ხელითა აზნაურის გ ლ ა ხ უ ა გ ი ო რ გ ი ს ძ ი ს ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა თ ა ჩყლდ წელსა, ივნისის ბ დღესა“. 2 r.

მინაწერი: „ფუბლიო ლენტულოს მიერ შეთხზული იერუსალიმს. იესო ქრისტეს ქება“ სხვა ხელით.

2404

სულხან-საბა ორბელიანი—ქართული ლექსიკონი (ნაწყვეტი,) XVIII

2 ფ.; 21×16; ქაღალდი; მხედრული; [XVIII ს.]: ავტოგრაფი.

„ხრახნილი
ხრეკა—ძრცვა.
ხრესვა—მოსმით მონაყვა“.

წ ყ დ ე ბ ა: „...ხოლო ჯაჭვი ეწოდების კაცთა შესაკრავსა ყელთა და ტანთა შესაბორკილებელთა, ხოლო კარსნი რაიც რამე ერთი მეორ...“

2405

იგავთა წიგნი (ნაწყვეტი), XIX

1 ფ.; 22×9; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.].

„სიბრძნისა მუშაკო, რაჲ არს, რომელსა იტყვის წიგნი იგი იგავთა ფრიად.

ა. სამი არს შეუძლებელი ჩუჱნდა ცნობად და მეოთხე იგი ვერ გულისჴმავჰყავ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კუალი ორბის მფრინველისა.
2. და გზა გველისა კლდესა ზედა...“

ჭ უ დ ე ბ ა: „...ვმადლობთ, ვადიდებთ და ვსასოებთ ყოვლადვე ყოველთა მიზეზსა, რომელიც არს კურთხეულ, იყავნ, იყავნ. დაშაკლდების ჟამი ესე თქმად თაფლისათვის და მანანაჲსა, გარნა ვენახში შესრულნი ბრძენი მწიფე-სა ირჩევს და უგუნური მჭახსა...“.

2406

პარაკლისი (ფრაგმენტი), 1785

1 ფ.; 18×17; ქაღალდი; დეფექტური; მხედრული; გადამწერი: გაბრიელ დიაკო-ნი; 1785 წ.

„...შენ ყოვლად დიდებული მოციქულთა გუნდი, შენ წინასწარმეტყველთა საქებელი რიცხვი. შენ გაქებს ყოვლად ბრწყინვალე მოწამეთა მხედრობა...“

ჭ უ დ ე ბ ა: „...ხოლო დიაკონი იტყვის მრავალჟამიერსა. და ერნი ემთხუე-ვიან ჯვარსა და ესრეთ გულსავსებით მმადლობელნი ღთისადმი წარვლენ თვის თვისად“.

გადამწერის ანდერძი: „ეს სამადლობელი პარაკლისი მრავალ... ...ლის-მცემლის მონასტრისათვის შეწირულია...

მ, ყოვლად დიდებულო, ნაშობთა შორის დედათა უპირა[ტესო], მეოხ ეყავ წინაშე თვალ უხუავისა მის მსაჯ[ულისა] იერო დიაკონს გაბრ[იელს]. 1785·7·29“.

2407

ფრაგმენტები, XVIII—XIX

3 ფ.; 21×14; ნუსხური; ქაღალდი; [XVIII—XIX ს.].

1. „...და მოჰნიჭე ამათ—ნაყოფი მუცლისა კეთილად შვლთა სხმა და შეუნანებელი ცხოვრება, რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენი არს სუფევა. ფსალმუნი—უფალო ძალითა შენითა იხარებდეს მეუფე... დაბადებისაჲ საკით-ხავი...“ 1 r.

ჭ უ დ ე ბ ა: „...და ვითა ქვეყანამან, რომელმან აღმოაცინის ყვავილი თჳსი, და ვითა მტილმან თესლი თჳისი, ეგრეთვე გამოაბრწყინოს ღმერთმან სიმართლე და მხიარულება ყოველთა თესლთა...“. 1 v.

2. „...თა არს სჯულისა მეუღლება...

მეუფეო, შევწირე ვედრება მონათა შენთა და მოეც მონასა შენსა სახ-ლით და მხევალსა შენსა სახლით ცხოვრებაჲ მშვიდობით...“ 2 r.

„ჭ უ დ ე ბ ა: „...და შეაერთე მონა ესე შენი სახლით და მხევალი ესე შე-ნი სახლით, რამეთუ შენ მიერ შეყოფას ქმარი ცოლსა შეაუღლნა ესე...“ 2 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „...ჴორციელისა შობილსა ჴსენება საუკუნოთგან შესუჱნებულთა მამათა და ძმათა ჩუჱნთა. უფალო, ღაღად ჰყავ, დასდებელნი წმიდათანი, ჴმისანი სამნი და შესუჱნებულნი სამნი, მარხვათაგან ედე̃ნი სამნი, დ გალობანი უფალო ღაღად ჰყავ. ჴმა გ.—დიდ არს ძალი მოწამეთა შენთა, ქრისტე, რამეთუ საფლავსა შენსა მდებარე არიან...“ 3 r.

წყდება: „...ხოლო სული მომეც მე საღ̃თოთა და ცხოველს მყოფელითა შთაბერვითა შენითა, ვინაცა ქრისტე მონათა შენთა სოფელსა შინა ცხოველთასა და სასუფეველსა მართალთასა განუსუჱნე...“ 3 v.

2408

(გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში)

2409

(გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში)

2410

ფრაგმენტი, XIX

1 ფ.; 27×22; მხედრული: ქაღალდი; [XIX ს.]. იბეჭდება მთლიანი ტექსტი.

„ქ. დროსა მას მირზან ხანისასა განმოვლო ვინმე მხედარმა,
იკადრა მეფის ალლუზის ახლოსა დგომა მიმდარმა,
რათამცა ეცა გვერდს ისრი, მეფისა თვისა მი[მხდარმა](!).
მას დროს დიდმან გამრეკელმან ჯიდით მ[ო]ჰკლა სარასკარმა(!),
ამ ჟამის სიკვდილისაგან მეფე იხსნა ამაგდარმა,
მეფემ უწოდა მას მისთვის მარჯვე, არ გძლო მეომარმა,
[მი]სთვის უბოძა მეფეძა ვაქილ-სარდრობა მისა მარმა(!),
ამით ჩემს წინ იმსახურო,
არრა გკადროს ჩემმა დარმა“.

2411

„სვლა მთოვარისა“, XIX

2 ფ. დახაზული ოთხკუთხა უჯრები, რომელშიაც ჩაწერილია ნუსხურით ანბნები, ბოლოს მიწერილია ფანქრით: „უკეთუ გენებოსთ, რათა ჰპოოთ, თუ რომელსა დღესა თვისასა განახლდების მთოვარე, ქვემოთ კიბეთა ამათ შინა იპყარ მთოვარის მოქცევა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2412ა

ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანი: ჩემი სახლის წინაპარნი, XIX

3 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდო; ბოლონაკლული; მხედრული (ფანქრით, შავად ნაწერი); ავტოგრაფი; [XIX ს.]; დაუწერელია 2v.

„ჩ ე მ ი ს ა ხ ლ ი ს წ ი ნ ა პ ი რ ნ ი.—უკანასკნელის ჩუენის ყაფლანიდგან მოვყუებ, რადგან კიდევ იმისაგან წამოვიდა ჩუენი ოთხი სახლის შვილები. ყაფლანს ჰყუანდა ხუთი ძე: პაპუნა (უშვილოთ ამოწყდა), ასლან, ორბელ, თამაზ და გიორგი...“ 1r—v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ამის მწუხარებისათჳს ველარ გაუძლია ჯავრით დასნეულებული ერასტი დიამბეგსა და ერთს წელიწადზე მომკვდარა“.

შენიშვნა: მე-3 ფ. წარმოადგენს აღნიშნული წერილის ვარიანტს, ესეც დაუმთავრებელია. მისი სათაურია: „მ ხ ო ლ ო დ ჩ ე მ ი ს ა ხ ლ ი ს წ ი ნ ა პ ა რ ნ ი.—რაც შევიძელ, მოკლეთ აღვწერე ამათი ამბავი. ჩვენი დიდი პაპის ყაფლანიდგან დავიწყობ, რომლებთაცა შორის უწინდელს ძველს კაცებში ცხადი იყო ამ ყაფლანის ამბავი. ბარათაანთ როგორ ამოწყვიტეს ამ ყაფლანის მამის სახლეულობა...“ 3r—v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ის სამძიმარი დიდი გულმტკივნეული სამძიმარი არის, ასეთი რო. თითქმის იმათი მეფობის სახლის...“

2412ბ

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი—ხუთი წლის ბატონიშვილი ირაკლი, XIX

1 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; სრული; მხედრული (ფანქრითაა ნაწერი); [XIX ს.]; ავტოგრაფი.

„ხუთი წლის ბატონიშვილი ირაკლი (შემდეგ საქართველოს მეფე ირაკლი მეორე),—იტყოდნენო, ბატონიშვილმა დედა ჩემმა თეკლამ მიამბო, რომ იმავ სიყმაწვილით ეტყობოდა პატარა ირაკლის ჭკვა, ვაჟკაცობა და გაუტეხელი ხასიათი...“ 1r—v.

შენიშვნა: ა. ერთვის ხელმოწერა „თ˝ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი“ ბ. ტექსტი ნასწორებია სხვა ხელით, რომელსაც ანგარიში არ ეწევა მოტანილ ამონაწერში.

2412გ

ალექსანდრე ჯ. ორბელიანი—[მეფის ირაკლის საწერელისათვის], XIX

2 ფ.; 17×10,6; ქაღალდი; სრული; მხედრული; [XIX ს.]; ავტოგრაფი.

„ეს საწერელი მეფის ირაკლისა არის, დარეჯან დედოფალს ბატოიშვილის დედიჩემისათვის უბოძებია და ბატოიშვილმა დედა ჩემმა მე მიბოძა 1845-სა 17-ს იანვარსა, რომელსაცა განძათა მაქვს შენახული. მაგრამ ნადირშას ერთი საწერელი უჩუქებია მეფის ირაკლისათვის და მის საწერლის ჩუქების მიზეზი ამის ქვემოთ აღმიწერია. ბატოიშვილმა დედა ჩემმა მიანბო.—ერთს საღამო ჟამს მეფე ირაკლი ნადირშას დაუბარებია...“ 1r—2r.

შენიშვნა: ერთვის ხელმოწერა: „თ˝ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2412 ღ

ალექსანდრე ჯ. ორბელიანი—კაპუცინთა პატრების შეთქმა, 1854

2 ფ; 22×12,4; ქაღალდი; სრული; მხედრული (ფანქრითაა ნაწერი); 1854 წ. (1 r); ავტოგრაფი; ს. კაზრეთი (1 r).

„კაპუცინთა პატრების შეთქმა.—კაპუცინის პატრები იყვნენ მეფის თეიმურაზისა დროსა საქართველოში. ამათ განიძრახე[ს] მთელი საქართველოს ერი და გარემო მთების თემები გა[ა]ქრისტიანონ, მაგრამ ფრანგებათ...“ 1 r—2 r.

შენიშვნა: ერთვის ხელმოწერა. „თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი“.

2412 ე

ალექსანდრე ჯ. ორბელიანი—გიჟი ალალუა, 1854

2 ფ. 17,5×11; ქაღალდი; სრული; მხედრული (ფანქრითაა ნაწერი): 1854 წ.; ავტოგრაფი; ს. კაზრეთი (1 v). დაუწერელია 2 r—v.

„გიჟი ალალუა.—ალამამა[დ]ხანის მოსვლის წინა წელიწადებში იყო ეს ალალუა და ტფილისის ბაზრებში როტავდა რაღაებსაც და ხალხსა აცინებდა თურმე...“ 1 r—v.

შენიშვნა: ერთვის ხელმოწერა და თარიღი: „თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი, ს. კაზრეთს 11-ს დეკემბერს 1854-ს“.

2412 ვ

ზაქარია ბარათაშვილი—[ცნობები ერასტი მდივანბეგის, ორბელიანის ვინაობის შესახებ], 1866

1 ფ.; 23×22; ქაღალდი, მხედრული: 1866 წ.; ავტოგრაფი; v დაუწერელია.

„სიძე ბატონო, კნიაზო ალექსანდრე ვახტანგის ძევ! მე რომ მოგახსენე, აი ეს იმ ბარათის პირია, რომელშიაც არის გამოცხადებული ერასტი მდივანბეგი ვინ ყოფილა. ნამდვილში ასე სწერია·—ერასტი მდივანბეგი იყო ყაფლანის შვილი. ამ ერასტის ყვანდა ორი ქალი...“ 1 r.

მინაწერი: ა. „ეს ბარათი გადმოვწერე მე თავადმა ზაქარია დავითის ძემ ბარათოვმა—პაპიჩემის დიმიტრი გოსტაშაბის-შვილის დაწერილის ბარათიდამ. თ˜ა ზაქარია ბარათოვი. ჩყჲვ-სა წელსა, სეკდემბრის კჟ-სა დღესა“.

ბ. ალექსანდრე ჯ. ორბელიანისა: „ყაფლან პაპა იყო ერასტისა და მამა ორბელ ჩემი პაპის პაპა იყო ვახუშტი და ამ ვახუშტის ძმა იყო ერასტი დიამბეგი. ამ წიგნსა მწერს ჩემი ცოლის ძმა. თ˜ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2412ზ

ალექსანდრე ჯ. ორბელიანი—[შენიშვნები ორბელიანთა საგვარეულოს ზოგიერთი წევრის შესახებ]

1 ფ.; 15,7×21; ქაღალდი; მხედრული (ფანქრითაა ნაწერი); [XIX ს.]; ავტოგრაფი; v დაუწერელია.

„პაპა ჩემისა მამას ელიზბარ ეშკალაბაშსა (!) ერთი ძმა ჰყოლია ვახტანგ...“ 1 r.

2412თ

წყალობის წიგნი (გამოკრებილი) ვახტანგ VI-ისა ელიზბარ და ვახტანგ ორბელიშვილებისადმი

1 ფ.; 26,8×22; ქაღალდი; მხედრული (ფანქრითაა ნაწერი); [XIX ს.]; გადამწერი ალექსანდრე ჯ. ორბელიანი; v დაუწერელია.

„მეფე ვახტანგმა ცოლშვილებითურთ ესე გამოსადეგი (!) წიგნი გიბოძეთ სალთხუცეს ელიზბარს და ძმასა შენსა ვახტანგს...“.

შენიშვნა: ა. სიგელს წამძღვარებული აქვს ალექსანდრე ჯ. ორბელიანის ხელით: „მეფე ვახტანგ რუსეთიდგან რომ სწერს ელიზბარ და იმის ძმას ვახტანგს წყალობის წიგნს, იქიდგან გამოვკრიბე ეს...“

ბ. დედანი გამოქვეყნებულია (საქართველოს სიძველენი, ტ. II, № 309).

2413

(გადატანილია სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში).

2414

ავგაროზი, XIX

1 ფ.; 29×36; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.]. მთლიანი ფურცელი დაყოფილია 40 პატარა ნაკვეთად, თითოეული მათგანი წარმოადგენს ოთხკუთხედს. შეკრილია კუთხეები ისე, რომ ერთი მეორესთან დაკავშირებულია წახნაგებით.

„სახარება ივოვანესი (!), თავი ა.—პირველთაგან იყო სიტყვა და იგი იყო ღ˜თისა თანა...“

შენიშვნა: წმიდა გიორგის მოსახსენებლის ბოლოს: „იხსენ მონა შენი, სვიმონ, მაცხოვარო კაცხისაო, მაცხოვარო ზნაკვისაო, ჯვარისაო... დაიხსენ ავის თვალისაგან მონა შენი სვიმონ...“.

მინაწერი: „მიხეილ ჩხიკვაძისაგან 19·X·22 წ.“ (ფანქრით).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2415

საეტლო წიგნის ნაწყვეტი, 1826

4 ფ.: 11×9; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1826 წ. (3 r).

„თვესა თებერვალსა რომელი იშვას; იყოს ფრინველთ მოყვარე, გულ-მართალი, მხიარული გულსა შინა, ვამგონე...“ 1 v—3 r.

შენიშვნა: ბოლოში: „ჩყკვ-სა წელსა, თებერვლის ი-სა დღესა დაიბადა ალექსი მჩხიკვაძე(!)“ 3 r.

2416

„პატარა შენიშვნა“, 1908

4 ფ.; 35×12; ქაღალდი; მხედრული; 1908 წ. (4 r); უყდო.

„პატარა შენიშვნა.—17 ამ თვისას ახალს ქართულ თეატრში „სამშობლოს“ წარმოდგენამ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ...“.

მინაწერი: „19 ქრისტეშობისთვე 1908 წ. თბილისი, ძველი მოთეატრე“. 4 r.

2417

ნიკოლოზ ბარათაშვილი—„ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტანისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-სა“

1 ფ.; 35×22; ქაღალდი; მხედრული; ავტოგრაფი; 1844 წ.

„ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტანისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-სა, მძღვანველობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა.—

ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!...“.

შენიშვნა: ბოლოში „თავადის ნ. ბარათაშვილისა მიერ. სენტებრის (!) 23-სა, წელსა 1844-სა, ტფილისს“.

2418

ალექსანდრიანი, 1859

161 ფ.; 35×21; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით: ტყავგადაკრული ხის ყდა; 1859 წ. (161 r). გადამწერი: გლახუა ქუთათელაძე.

„ამბავნი ძველ მოსახსენებელნი დიდისა და პატიოსნისა კეთილის მოქმედისა კაცისა და ცათქვეშე მპყრობელისა და მეფისა მაკიდონელისა ალექსანდრესი: შობისა და ცხოვრებისა და სიმხნისა მისისათვის.—

ესე ამბავი ჩრდილოეთს რუსთ ქვეყნად იყო დებული,
ჟამთა სიგრძისა ძველ ქმნითა ყოვლს ქვეყნად დავიწყებული...“ 1 r—160 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დანართი:

„ღვთივ სულიერთა სიტყვის თქმა მინდოდა, არ ტყუილისა,
არად მეწადა ლექსთ წმასნა, მიჯობდა სინანულისა,
ვიწყე დამარხვად მცნებისა, მობერვისაებრ სულისა,
და დამორჩილება უფლისა, მოციქულთაებრ თქმულისა.

ვინებე პეტრე გალექსად ამ ალექსანდრიანისად,
მცირედ სიღრმითა მშვენითა ამ ალექსანდრიანისად“.
მსუროდა სიბრძნე დამეცა ამ ალექსანდრიანისად,
და მძულს ცრუ სოფლისა, აღვირჩევ ამ ალექსანდრიანისად“.

გადამწერის ანდერძი:

„წიგნი ესე აღიწერა ჩინსა, ყარსა, ნარსა, თანსა,
სასიამოვნო სმენისთვის, მე ვიშრომე ჩქარა ხანსა,
მცირე არმაღნად შევმზადე და სახსოვრად გასატანსა,
და ბატონიშვილს ეკას მიერთმის, ვითა მწვლილთა შესამსგავსსა“.

„მონა ღვთისაჲ გლახუა ქუთათელაძე“ (ნუსხურით).

(იხ. ალ. ბარამიძე, ქართული ალექსანდრიანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IX B. 1936 წ. 41—50 გვ. გვ.).

2419

„მოკლედ სიტყვისგება სოგრატისი“, 1800

55 ფ.; 17×11; ქაღალდი; მხედრული; მუყაოს ყდა; 1800 წ. (54 r) მთარგმნელი: ერასტი თურქისტანიშვილი (1 r).

„მოკლედ სიტყვისგება სოგრატისი.—სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანისშვილისაგან.

კეთილის კაცის წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკან ზრახვიდეს.

ნიშანი ჭკუისა ის არის, კაცს კაცის განსაცდელში ჩაგდება უმძიმდეს...“ 1 r—54 r.

მინაწერი: „აღიწერა ივლისის იϑ, ქ῀კს უპϑ. დღესა პარასკევსა“. 54 r.

2420

ავგაროზი, XIX

110×10; ქაღალდი; გრაგნილი; დასაწყისში უბრალო ილუსტრაცია; დაზიანებული; [XIX ს.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სახარება იოვანესი, თავი პირველი.— პირველითგან იყო სიტყვა იგი და სიტყვა იგი იყო ღ̃თისა თანა...“.

წ ყ დ ე ბ ა: „...ღ̃თაებაო, პირო ღვთისაო, სვეტო ცხოველო, კვართო საუფლო და ყოველნო წმინდანო მამანო, მღვდელთ-მოძღვარნო, სიონთა ღვთისმშობელო, დიდო ალავერდო, თქვენ მფარველ და მეოხ ეყვენით მონასა თქვენსა სახელით შავილიას (!)“.

2421

ავგაროზი, XVIII

24 წრე ერთი მეორეზე გადაბმული; ქაღალდი; თითოეული წრე გაფორმებულია ლამაზი ფერებით შეხამებული ჩარჩოთი, მხედრული; [XVIII ს.].

„...თქუა მან უძლურებანი ჩვენნი, მიიხვნა და სნეულებანი ჩვენნი იტვირთვნა, და ვითარცა იხილა იესო ერი მრავალი, უბრძანა წიაღსლვა...“ 1-წრე.

წ ყ დ ე ბ ა: „...მგლოვარე და მწუხარე ეგრე დავმდაბლდი და ჩემზედა იხარეს და შეკრბეს. შეკრბეს ჩემზედა გვემანი და მე არა ვიგრძენ...“ 24-ე წრე.

2422

ავგაროზი, XIX

163×9; ქაღალდი; მხედრული; მდარე ილუსტრაციები; დაზიანებული; [XIX ს.]

„წმიდაო გიორგი კაპადუკიისაო,
წმიდაო გიორგი იერუსალემისაო...“

შენიშვნა: ჩაწერილია სხვადასხვა შელოცვები.

2423

ლოცვანი (ფრაგმენტი), XVIII

1 ფ.; 10×8; მხედრული; ქაღალდი; [XVIII ს.].

„ესე ლოცვა ყოველთა დღეთა უნდა, შენდგომად (sic) მწუხრის გამოლოცვისა.—კურთხეულ ხარ, მეუფეო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო...“

წ ყ დ ე ბ ა: „...გვიხსენ ჩვენ ყოველ[თა] [გან]საცდელთაგან და ყოველთა სივერაგ[ეთაგან]...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2424

ფრანკლინ—„სწავლა კეთილის რიჩარდისა“ (ნაწყვეტი), XIX

8 ფ.; 11×9; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.]; დაშლილი; ნაკლული.

„მე მესმა, საყვარელნო მკითხველნო, რომელ შემთხზველსა არა რაჲმე უქნს ეგოდენსა კმაყოფილებასა, უკეთუ თხზულებანი მისნი მიიღებიან სხვათაგან მწერალთა პატივისცემითა. განსაჯეთ, რაოდენ მე თანამდებ ვარ კმაყოფად ერთითა შემთხვევითა, მე თქვენ გიამბობთ მას.

არა გრძელს ხანს განმვლელი ცხენითა ერთსა ადგილსა შინა, სადაცა მრავალნი ერნი შეკრებულ იყვნენ სააჯმნოს განსყიდვისათჳს. მე შევიცადე, მაშინ იყო საკმაოდ ადრე...“ 2 r—8 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ამათ შორის უქმად მჭამელნი ნუ განისვენებთ, არამედ იმუშაკეთ ველი თქვენი და თქვენ შეჰკრებთ მრავალსა პურსა თქვენისა საზრდელისათჳს და განსყიდვისათჳსცა სხვათადმი, იმუშაკეთ ამ დღეს, ვინაჲთგან თქვენ არა უწყით, ვითარი დაბრკოლება ხვალ შეგემთხვევათ თქვენ ამას შინა...“

შენიშვნა: 1. უძლვის თავფურცელი: „ხელპყრობითი ფილოსოფია, ანუ სწავლა კეთილის რიჩარდისა, ფრანკლინის თხზულებისაგან. მოსკოვს 1804 წელსა“. 1 r.

2. „ქებითა ცენზურის კომიტეტისა, განწესებული მაზრის იმპერატორულის მოსკოვის უნივერსიტეტისათვის, სტამბასა შინა პლატონ ბეკეტოვისა“. 1 v.

2425

კრებული, XVIII

4 ფ.; 11×9; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს]; ნაკლული.

1. „იტყვის დიდთა წმიდათაგანი ვინმე ი ო ა ნ ე ს ი ნ ე ლ ი.—ვიყავ რა საშუალსა შინა საშუალთა, თანა მივიწიე და განმანათლებდეს წყურიელსა და, აჰა, ესერა მათვე შორის ვიყავ და თუ რაჲ იყო პირველ ხილულისა მის ფერისა მისისა, სწავლად ვერ ეძლო...“ 1 r—3 v.

2. „სახარება იოანესი თავი კ. მუხლი 17.—ჰრქუა იესო მარიამ მაგდალინელასი, ნუ შემომეხები მე.

თარგმანი: ვჰგონებ ვითარმედ ენება ესრეთ ყოფად მისთანა, ვითა პირველ ჯვარცმისა, და სიხარულით მირბიოდა შემთხვევად და ვერ გულისჴმა ჰყო, ვითარმედ აწ არა ჯერ არს ესრეთ შეხებად მისა...“ 4 r—v.

წ ყ დ ე ბ ა: „თარგმანი ოქროპირისა...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2426

ამბავი ქალისა კიაფასი, XIX

16 ფ.; 11×9; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.]. დაუწერელია 14 ფ.

„ქ. ამბავი ქალისა კიაფას.—ქ. ამბავი ქალისა და ვაჟისა, ერთი კაცი იყო, დიახ მდიდარი, ჰქონდა მოხელობა დიდისა ქალაქისა და ჰქონდა უანგარიშო ხაზინა...“ 2 r.

შენიშვნა: 3 r—16 v დაუწერელია.

2427

კრებული ხალხური ლექსებისა, XIX—XX

37 ფ. 11×8,5; ქაღალდი; უყდო; აუკინძავი; მხედრული; [XX ს.]; ხელნაწერის მეორე გვერდი v დაუწერელია.

1. შრომის ლექსები, № 13; **2.** საგმირო ლექსები, № 17, **3.** საისტორიო ლექსები, №№ 6, 7, 8, 9, 21, **4.** სატრფიალო ლირიკა, №№ 11, 14, 15, 16, 18. **5.** საყოფაცხოვრებო ლირიკა, № 20, **6.** ფილოსოფიური ლირიკა, № 2; **7.** სასულიერო ლექსები; №№ 1, 3, 4, 5; **8.** შაირი, № 10, № 14.

სულ 21 ტექსტი. 1 r—37 r.

2428

მცირე კალენდარი, XIX

7 ფ.; 12,5×10; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ნაკლული.

„საუკუნო თვის დადეგი. რასაც დღეს მარტი დადგეს, ამ ცხრილში ნახეთ, იმის ჩასწვრივ რაც თვეები სწერია, ის თვებიც იმის ჩასწვრივ დადგებიან. თორმეტი თვე არიან სიგრძეზე ჩათვალეთ...“

წ ყ დ ე ბ ა: „წმიდა აღდგომა აპრილის ოთხსა. ამაღლება მაისის ცამეტს. სულის წმიდის მოსვლა...“

2429

დავითნი (ფრაგმენტი), XVIII

2 ფ.; 11×7; ქაღალდი; მხედრული; სათაურები—ოქროცურვით. [XVIII ს.].

I. „კანონი ზ.—...ღმეერთო (!), სახელითა შენითა მაცხოვნე მე...“

წ ყ დ ე ბ ა: „...რამეთუ უკეთურებ̃ა იყო სამკვიდრებეს (!)“

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. „კანონი ე.—...ნი ცრუნი. და რა იგი არა უწყოდე, მკითხვიდეს მე, მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ..."

წ ყ დ ე ბ ა: „...უფალო, ზეცას არს წყალობა შენი და ჭეშმარიტება შენი, ვიდრე ღრუბელთადმდე სიმართლენი შენნი ვითა მთა..."

2430

პროფ. იოსებ ყიფშიძე—1915 წ. „სახალხო ფურცლის" საძიებელი

191 ბარათი. (შედგენილია ბარათების სისტემით).

მინაწერი: ფანქრით პირველ ბარათზე: „ყველა დარგია ამოწერილი გარდა იანვრის 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 რიცხვის ნომრებისა".

2431

ფრაგმენტი, XIII—XIV

1 ფ.; 55×18; ეტრატი; ნუსხური; დაზიანებული, ტექსტი ძნელად იკითხება; [XIII—XIV ს.].

„...ქადაგით მახარებელთა მოწამეთა აღმსარებელმა..."

წ ყ დ ე ბ ა: „...რომელნი ქერობინთასა ლიტონითა სიტყვითა მდაბლად და მოიწივნე..."

2432

სახარების საკითხავი (ფრაგმენტი), XIV—XV

2 ფ.; 27×18; ეტრატი; ნუსხური; პირველი გვერდი არ იკითხება; [XIV—XV].

„...ვიდრე მესმის ...სახარება ლუკ[ასი] რკა..."

წ ყ დ ე ბ ა: „ვიდრე დაუკვრდა საქმე ესე.

ე͠. კ͠ა. ტ͠ლთ. ს͠ქბ. პავლე აღდგა და მირბიო[და]..."

2433

ჟამის წირვა (ფრაგმენტი), X—XI

1 ფ.; 28×22; ეტრატი; ნუსხური; [X—XI ს.].

„...აღვასრულოთ ვედრება და მოგუმადლენ[ი]თაჲ. შეუდგინოს მღდელმან ლოცუა და ასამაღლებელი. და შემდგომად ამენისა ერმან: უფალო ღმერთო კურთხეულ, წმიდაო ღმერთო მამაო ჩუჱნო. იბ. კ͠სნი..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ დ ე ბ ა: „...რამეთუ ვიდრე ცნობადმდე ყრმისა მის ხადილსა მამისა გინა დედისასა წარმოილოს ძალი დამასკისაჲ და ნატყუენავი სამარიაჲსაჲ წინაშე მეფეთა ასურისტანისათა. ჩუჱნთანა არს...“

2434

საკითხავი (ფრაგმენტი), XV

3 ფ.; 30×20; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XV ს.]; მესამე ფურცლის მესამედი მოხეულია.

პირველი ფურცლის ტექსტი: „...კორინთელთა მიმართ. ეპისტოლე პავლე[სი]. ძმანო, თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დავამონე, რათა უმრავლესნი შევიძინნე. ვიქმენ ჰურიათა თანა ვითარცა ჰურიაჲ...“

წ ყ დ ე ბ ა: „წინასწარმეტყუელება ესაიაჲსი საკითხავი.—ამას იტყჳს ღ῀ი: იხარებდინ უდაბნოჲ წყურიელი და მხიარულ იყავნ უდაბნოჲ...“ 1 r—3 v.

2435

წერის დედანი, XIX

2 ფ.; 22×34; ქაღალდი; ასომთავრული; შუაში ასოგრეხილით „ნიკოლოზ“. მეორე ფურცელი პირველის პირია.

2436

კრებული, 1794

17 ფ.; 10×8; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: პორფირი (12 v); 1794 წ. (12 v).

1. „გიხაროდენ მძლავრთა კაცთა მოძულეთა მთავრობისა განმდევნელო...“ (გიხაროდენი) 1 r—12 r.

2. „ლოცვა სავედრებელი ყოვლად წმიდისა მიმართ ღ῀ისმშობლის ლმობიერად და ცრემლით სათქმელი...“ 13 r—17 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ლოცვა წმიდისა იოანე დამასკელისა მიერ თქმული განთიად...“

ანდერძი: „ყოვლად წმიდაო ღ῀ისმშობელო, შეიწყალე ამისი დამწერი პორფირი. წელსა ჩღჟდ 1.6“. 12 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2437

დაუჯდომელი, XVIII

66 ფ.; 11×8: ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნაკლული.

„...ჩემისანი. აღაღე პირი ჩემი ზრახუად სიტყუათა შენთა და გულის ხმის ყოფად გზათა შენთა...“ 1 r—66 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...რაოდენთა მიერ განგარისხე და მწუხარე გყავ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და უკეთუ რამე შევცოდე, დღეინდელი...“

მინაწერი: „ეს დაუჯდომელი ჩიქოიძის[აა]“ 62 r.

2438

კრებული, XVIII

102 ფ.; 12×9; ქაღალდი; მხედრული, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; [XVIII ს.].

1. „თქმული ა ნ ა ს ტ ა ს ი მონაზონისა ს ი ნ ე ლ ი ს ა შემოსლვისათჳს მარხუათასა და მეექუსისათჳს ფსალმუნისა.—შემსგავსებული მარხვათა დაწყებისა და ჯეროვანისა სინანულისა მიზეზი მიულებიეს ეკლესიასა მეექუსე ფსალმუნი...“ 1 r—47 r.

2. „დასდებელნი სამწუხრონი თქმული ა ნ დ რ ე ა კ რ ი ტ ე ლ ი ს ა. ჴმა დ.—ყოველი ცხოვრება ჩემი მეძავთა და მეზუეროთა თანა წარვგების. ნუ სადა უძლო სიბერესა...“ 48 r—54 r.

3. „ცისკრად. კანონი. თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ა ნ დ რ ი ა კ რ ი ტ ე ლ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ი ს ა ჴმა ვ, გალობა ა, სძლისპირი.—შემწე, დამჴსნელ და მფარველ მეყავნ მე მაცხოვარებად ჩემდა...“ 54 v—98 r.

4. „დიდის პარასკევის საკითხავისაგან, გ ი ო რ გ ი ნ ი კ ო მ ი დ ი ე ლ ი ს ა.—ხოლო აწ ჯერარს ჩემდა ჩემთჳს ჯვარცმულისა და საფლავსა დადებულისა სახიერისა მეუფისა და ტკბილისა უფლისა ჩემისა მადლობისა შეწირუად...“ 99 r—102 v.

2439

კრებული, ხალხური ლექსებისა, XX

28 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]; ნაწერია ცალ გვერდზე; ფ. ფ. 22, 28—დაუწერელია.

1. საწესო სიმღერები [ბერიკაობა], №№ 62—68.
2. ქორწილის სიმღერები, №№ 69—83.
3. მესტვირული, შაირი, №№ 50—61, 84—87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მოლექსეობა, კაფიაობა, ქება, №№ 1—49.
სულ 87 ტექსტი. 1 r—27 r.

შენიშვნა: ა. ტექსტებს ერთვის შემკრების მრავალი შენიშვნა, სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის ახსნა-განმარტება.

ბ. ტექსტებს დართული აქვს მოლექსეების სახელები და ცნობები მათ შესახებ.

№№ 2, 13, 15—„ეს ქავთარი შესანიშნავი მოლექსე იყო, ცხოვრობდა ს. ჩარგალში, გვარად ბუკუკიშვილი, სულ ახალგაზრდა მოკვდა“ (1 r).

№№ 5—8—„ხთისო იმერლიშვილი, მეტ სახელად ტოკა, ახალგაზდა მოლექსეა“ (1 r). ჩამაწერინა გრიგოლ რაზიკაშვილმა ს. ჩარგალში“, (3 r).

№ 9—„ბეწინა ცაბაურთა“, (3 r).

№ 11—„მოლექსე დიდრონაშვილი“ (4 r).

№№ 12, 17, 20, 46—მოლექსე ჯაბანი. „ჯაბანი ძალიან ღარიბი იყო“. (4 r).

№№ 13, 14—ლუკა პეტრიაშვილი. (6 r).

№ 18—თათარა და მიხა. (8 r).

№№ 21—27—მერცხალა. „დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზდა. ითვლებოდა კარგ მელექსედ. წერა-კითხვა არ იცოდა; მე ძალიან ცოტა მაქვს ჩაწერილი იმისი ლექსები. თუმცა ეხლა კი ვფიქრობ, როცა დრო მომცემს, წავიდე ფშავში და მათ სოფელშივე ჩავწერო“. (9 r).

№№ 28—34, 36—38—„პარასკევა ღარიბი იყო, სხლოვანში ცხოვრობდა...“ (11 r).

№№ 40, 42, 44—არჯალა. „არჯალა მთიბელაშვილმა [გ]ალექსა აფშუელი ბერი და მისი შვილები ეფრემი და გლახა“. (15 r).

№№ 41, 43—„ეფრემმა პასუხი გასცა ლექსითვე“. (16 r).

№ 45—„პავლე მღვდელმა უპასუხა“ [არჯალას]. (17 r).

№№ 48, 49—„თანდილათ ჩოთეშას ნათქვამი“. (18 r).

გ) იხ. №№ 2440—47.

2440

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

39 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]; ნაწერია ცალ გვერდზე; ფ. ფ. 10, 12, 17, 23, 35—დაუწერელია.

1. მითიური ხასიათის ლექსი, № 51.
2. ქორწილის სიმღერები, №№ 59—64.
3. ომი და ჯარისკაცობა, № 123.
4. სოციალური პროტესტის ამსახველი ლექსები, №№ 98, 137, 146, 147.
5. სუფრული, შაირი, ლოცვა. №№ 148—174.

სულ 174 ტექსტი, 1 r—39 v.

შენიშვნა: ა. ტექსტებს ერთვის შემკრების მრავალი შენიშვნა: სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის ახსნა-განმარტება.

ბ. ტექსტებს დართული აქვს:—„უცური ბაიაშვილის ნალექსები. კაი მოლექსე იყო ძალიან. (გრიგოლი რაზიკაშვილისგან ჩაწერილი, 1906 წელს)“. (21 r).

მინაწერი: „თუმც ეს ლექსიც ბევრჯერ გაგვიგონია, მაგრამ მე ჩავწერე ამ ოცი წლის წინათ, როცა არსად არა იყო-რა დაბეჭდილი" (14 r). ეს მინაწერი მოწმობს, რომ კრებული შედგენილია სხვადასხვა დროს (იხ. 21 r, 29 r) ჩაწერილი მასალებისაგან. იხ. № 2439, 2441—47.

2441

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

27 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]. ნაწერია ცალგვერდზე.

1. შრომის სიმღერები, №№ 1—38.
2. სხვადასხვა წესები და რწმენანი, № 54.
3. ქორწილის სიმღერები, № 55.
4. საგმირო ლექსები, № 33.
5. მწყემსების ლექსები, №№ 41, 48, 49, 50, 53, 56, 57, 58, 60—125.
6. ნადირობის ლექსები, №№ 46, 126—160.
7. სოციალური პროტესტის ლექსები, მოჯამაგირეობა №№ 39, 40, 42, 43, 51, 52, 59.
8. სატრფიალო ლირიკა №№ 44, 45, 47.

სულ 160 ტექსტი, 1 r—27 r.

შენიშვნა: ა. შრომის ლექსებში შესულია მრავალი საგმირო ხასიათის ტექსტი.

ბ. ტექსტებს დართული აქვს შემკრების მრავალი შენიშვნა, სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის ახსნა-განმარტება.

გ. ტექსტი №№ 123, 124, 125—„ჩაწერილი ს. ჩარგალში 1911 წელს, ნათქვამი გოგოთურ ჯაფარიძისა, წერა-კითხვა იცის, სკოლაში არ ყოფილა". (18 r).

დ. იხ. №№ H. 2439, H. 2440, H. 2442—47.

2442

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

38 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]; ნაწერია ცალ გვერდზე; ფ. 38—დაუწერელია.

1. საგმირო ლექსები, № 128.
2. ტყვეობის ლექსები, №№ 140, 150.
3. ნადირობის ლექსები, №№ 101, 149.
4. სოციალური პროტესტის ლექსები, №№ 63, 142.
5. ფილოსოფიური ლირიკა, №№ 1—9, 151—157, 158.
6. სატრფიალო ლირიკა, №№ 72—82, 87, 88, 93, 94, 105.
7. სამღვდელოების შესახები ლექსები, №№ 136—139.
8. გაბაასება, ქება, №№ 10—39, 109, 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ჰუმორი, გამკილავი ლექსები, №№ 40—71.
10. შაირი, №№ 111—115, 117—125, 127—135, 143—148.
11. ნაწყვეტები, № 3.
12. ამირანიანი, [ნაწყვეტები], №№ 159—170.
სულ 173 ტექსტი, 1 r—37 r.

შენიშვნა: ა. ტექსტებს ერთვის შემკრების მრავალი შენიშვნა: სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის ახსნა-განმარტება და სხვ.

ბ. შემკრების შენიშვნა: ...„სოფ. ფშავში. ეს ლექსები მომეტებული იქ არის ჩაწერილი". (2 r).

გ. ტექსტი № 7—„ლუკა პეტრიაშვილის ნასწავლებია". (2 r).

№ 46—„ჯაბანის ნათქვამი" (9 r).

№ 131—„ეს ლექსები მგონი კახეთშიაც ჩავწერე და ფშაურებიდან. იმიტომ არ გამოუშვი, რომ გავიგოთ, რა ლექსი სად არის გავრცელებული". (29 r).

დ. იხ. H. 2439—1441, H. 2443—2447.

2443

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

24 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; [XX ს.]; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [ფშავი]; ნაწერია ცალ გვერდზე.

1. საგმირო ლექსები, №№ 28, 61, 62.
2. ომის და ჯარისკაცობის ლექსები, № 167.
3. ციხისა და პატიმრობის ლექსები, №№ 176, 184, 199.
4. სოციალური პროტესტის ამსახველი ლექსები, №№ 8, 152, 166.
5. სატრფიალო ლექსები, №№ 36, 169, 185, 194, 197, 202.
6. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 5, 11, 13, 31, 53, 105—113, 173, 174, 177, 178, 187, 188, 189, 190, 198.
7. ფილოსოფიური ხასიათის ლექსები და შაირები, სენტენციები, აფორიზმები, №№ 1—4, 6, 7, 10, 12, 14—27, 29, 30, 32, 33, 34, 35, 37—52, 54—56, 60, 63—96, 103, 104, 114—151, 153, 154, 156—166, 168, 170, 171, 172, 175, 179—183, 186, 191—193, 195, 196, 220, 201.
8. ამირანიანი [ნაწყვეტები], № 59.
9. როსტომიანი [ნაწყვეტები], №№ 97—102, 155.

შენიშვნა: ა. № 5, მიწერილი აქვს: „მართა რაზიკაშვილი".

№ 33, მიწერილი აქვს: „გრიგოლი რაზიკაშვილი".

№ 135, მიწერილი აქვს: „ჩაწერილებია 1883 წელს".

№ 192, მიწერილი აქვს: „მარიამ გურასპაულის ნასწავლები".

ბ. ტექსტებს ერთვის სიტყვების ახსნა და შემკრების შენიშვნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2444

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

62 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული, მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]; ნაწერია ცალგვერდზე.

1. ბრძოლისა, გმირობისა, ვაჟკაცობისა და შუღლის ლექსები, №№ 1—29, 31—38, 40—65, 67—77, 80—179.
2. ტირილის და გლოვის სიმღერები, №№ 66, 79.
3. მწყემსების სიმღერები, №№ 30, 39.
4. ტყვეობის ლექსები № 78.

სულ 79 ტექსტი, 1 r—62 r.

შენიშვნა: ა. ტექსტებს ერთვის შემკრების ვრცელი შენიშვნები, სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის ახსნა განმარტება.

ბ. ტექსტებს დართული აქვს:

№ 66—„მამუკა პეტრიაშვილი“. (24 r).

№ 68—„სამუკათ ხვარამზეს ლექსი“. (24 r).

№ 92—„ბაია ფადიურაშვილი“. (32 r).

№ 142—„ბეწკინა წიწკურაულისაგან გაგონილი (49 r).

№№ 152, 160 ა „ათია წიწკურაული“. (52 r).

№ 153—„ეს ლექსი ხევსურულია და ფშავში გავრცელებულა, არც ბოლო უჩანს, გვარებიც გადარეულია. საზოგადოდ თუ ძალიან გამოჩენილი კაცის სახელი ან გვარი არ არი, ხშირად ავიწყდება ნამდვილი გვარი და სახელი ხალხს, აგრეთვე სოფლისაც“. (52 r).

№ 157—„მთიბელაშვილის ქვრივი დედაბერი თამარის ნასწავლები“. (53 r).

№ 161—„პეტრე ჟამიაშვილის ნასწავლები“. (55 r).

№ 166—„პარასკევა გაბიდოური“. (58 r).

№ 177. 179—„გოგოთურ ჯაფარიძე“. (60 r).

გ. იხ. H. 2439—43, H. 2445—47.

2445

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

16 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული, მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]; ნაწერია ცალგვერდზე.

1. მითიურ-რელიგიური ხასიათის ლექსები, №№ 30—39, 41.
2. საისტორიო ლექსები, №№ 1—29.
3. სამღვდელოების შესახები ლექსები, № 40.

შენიშვნა: ა. ტექსტებს ერთვის შემკრების ვრცელი შენიშვნები, სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის ახსნა-განმარტება.

ბ. ტექსტებს დართული აქვს:

№ 2—„მარიამ გურასპაული“. (1 r).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 5—„ვასილი რაზიკაშვილი“. (2 r).

№ 11—„დედაჩემის ნასწავლები“. (3 r).

№ 26ა—„ჩაწერილი 1890 წ. 10 მაისს ს. არტანში, ახადელი (!) კაცისგან, ფერხისა დ იმღერეს“. (6 r).

2446

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

12 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; თუშეთი; ნაწერია ცალგვერდზე.

1. გმირობისა და ვაჟკაცობის ლექსები, №№ 8, 10.
2. მეცხვარეობის ლექსები, №№ 4, 7, 9, 11, 14.
3. ნადირობის ლექსები, №№ 12, 22, 23.
4. საისტორიო ლექსები, №№ 16, 21.
5. ფილოსოფიური ლირიკა, № 17.
6. სატრფიალო ლექსები, №№ 3, 5, 6, 15, 18, 19, 20, 24, 25, 26.
7. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 12, 13, 27.

სულ 27 ტექსტი, 1 r—12 r.

შენიშვნა: ა. №№ 1—15—„თუშური ლექსები ალვანში ჩაწერილი 1889 წელს“. 1 r.

ბ. №№ 16—27—„ამას ქვემოთ მოხსენებული ლექსები ჩაწერილია 1906 წელს. ფშავში, ჩემთან ერთი გამოქცეული ჩალმა თუში იყო, ვანო ერქვა და იმისგან ჩავწერე“. (8 r).

გ. ტექსტი № 1, 2—„ილიკო არადიშვილი. წოვა თუში იყო, წოვა თუშები თუშურად ლაპარაკობენ, ეს ლექსი ჩალმა თუშების ნათქვამი არ უნდა იყოს, უეჭველია წოვას შეთხზულია, რომელსაც ქართული რიგიანად არა სცოდნია“. (1 r).

№ 5—„ეს ვარიანტი ქართლშიაც ჩავწერე, ფშავშიაც და კახეთშიაც“. (4 r).

№ 8—„კოსტა ჩარელიშვილი“. (6 r).

2447

კრებული ხალხური ლექსებისა, XX

44 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; შემკრები: თ. რაზიკაშვილი; [XX ს.]; [ფშავი]; ნაწერია ცალგვერდზე.

1. სატრფიალო ლექსები, №№ 1—304.

შენიშვნა: ა. ტექსტებს ერთვის შემკრების მრავალი შენიშვნა, სიტყვების ახსნა, ლექსების შინაარსის განმარტება.

ბ. ტექსტი № 79—„მარიამ ქსნელი“, (14 r).

№№ 77, 124, 155, 156, 202, 286—„სამუკათ ხვარამზის ლექსი“, „სამუკაშვილი ხვარამზეს ნათქვამი“. (29 r).

№ 257—„ჯაბანის ნათქვამი“. (36 r).

№ 287—„გოგოთურ ქსნელი“. (42 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერი შემკრებისა [ვაჟიკა და ხვარამზის ლექსის გამო]—„ვაჟიკა ნაკვეთაური—ნაკვეთაურები ერთი უმდიდრესი ოჯახი იყო ფშავში, დიდი ცხვარი და ძროხა ჰყვანდათ და დიდი ოჯახი და შეძლება. ვაჟიკასა და ხვარამზეს უყვარდათ ერთმანეთი, (ის სხვა სოფლისა იყო და ის სხვისა), მაგრამ პატრონებმა ნება არ მისცეს შაერთო ცოლად. ხვარამზე სხვაზე გაათხოვეს, უხეირო ქმარი შეხვდა, სიყვარული კი ისევ ვაჟიკასი ჰქონდა. ეს ლექსი ვაჟიკას გამოუთქვა და ბევრიც სხვა. რაც შემავდა, ჩავწერე და თავთავის ალაგას აღვნიშნავ. (ნიმუში იმისი სიყვარულისა: ერთ ნაწვიმ დღეში ვაჟიკამ ცხენით იმათ სოფელში გაიარა, იმათ სახლის გვერდზე გზაზე. ხვარამზემ იმისი ცხენის ნაფეხურებს ღობე თურმე შემაავლო, რომ არ წაიშალოსო). ეს ხვარამზე დედაჩემის ტოლი და ამხანაგი იყო". (12 r).

იხ. H 2439—46.

2448

კრებული ხალხური ზღაპრებისა, XX

40 ფ.; 35×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; [XX ს.]; შემკრები: ანეტა გრიგოლის ასული კაპანაძე; ქართლი; ფ. ფ. 39 და 40 დაუწერელია.

1. [ორი ძმის ზღაპარი].—ერთ უშვილო დედ-მამას მოხუცების ხანს ვაჟიშვილი გაუჩნდათ. შვილი სასწავლებელში გაზარდეს..." 2 r—5 v.

2. [მონადირეს] შვილი და მისი ჯადოსანი დამხმარენი, ზღაპარი].—„მამა-შვილი განთქმული მონადირენი იყვნენ. ერთხელ წავიდნენ სანადიროთ, ერთი ფრინველი დაინახეს, რომელიც საკვირველად ანათებდა..." 5 v—8 r.

3. [სამჯერ მოტაცებული ქალის ზღაპარი].—„სამნი ძმანი იყვნენ ხემწიფის შვილები. უმცროსმა ძმამ მოინდომა ცალკე გასვლა და მამის ხმალი ითხოვა..." 8 r—12 r.

4. „ალავერდა [ზღაპარი].—კარგა ხნის ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარნი იყვნენ და შვილი არ ეძლეოდათ. ქალმა მკითხავთან გაგზავნა ქმარი..." 12 r—14 v.

5. „პირცეცხლა მდევი.—ერთ ხელმწიფეს ოცი ვაჟი ჰყვანდა, თითო ვაჟს სამ-სამი მსახური ახლდა..." 14 v—19 r.

6. „დოვლათი [ზღაპარი].—ძალიან მდიდარი კაცი გაღარიბდა. ყველას უკვირდა ამ შეძლებული ოჯახიშვილის უეცარი გაღატაკება...„ 19 r—19 v.

7. [მამის ანდერძის გამტეხი].—„იყო ერთი ხნიერი, შეძლებული, მთის აზნაურიშვილი გვარათ უზდენი..." 19 v—21 r.

8. [მატყუარა მოლა და ხარისკუდი. ზღაპარი].—„ერთ მოხუცებულ დედაბერს ერთი ვაჟიშვილი ჰყვანდა და ორი ბატი. დედამ უთხრა შვილს..." 21 r—24 v.

9. „იადონის და ბულბულის არაკი.—ერთმა ხემწიფემ ძალიან მშვენიერი ეკლესია [ა]აშენა თავის სიახლოვეს და დარაჯები მოუყენა და უბძანა,—ამლელ ჩამომლელთ ყური უგდეთ, თუ რამე სთქვან ამ საყდარის ნაკლულებაზე..." 24 v—27 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. [ზარმაცის არაკი].—„ზარმაცი და ხელთუპყარი კაცი ცხოვრობდა ქვეყნისთვის და თავისთვის უსარგებლო იყო...“ 27 v—28 r.

11. [ხელებდაჭრილი მარიამის ზღაპარი].—„ერთ დიდებულ მეფეს ცოლი მოუკვდა. მეფე უზომო მწუხარებას მიეცა...“ 28 r—30 v.

12. [მზეთუნახავი, ზღაპარი].—„ერთ ოქრომჭედელს მზეთუნახავი ცოლი ჰყვანდა, ცხრაკარდაკეტილში აცხოვრებდა“. 30 v—32 r.

13. „სამი ძმა ბრილიანტი.—ღრმათ მოხუცმა ბერიკაცმა რა და[ა]ტყო თავის თავს, სიცოცხლის ძაფი მალე გასწყდება ჩემთვისო, სასთუმალთან მი[ი]ხმო სამივ ვაჟიშვილი...“ 32 r—34 r.

14. [უმიზეზოთ ცილწამებული ქალიშვილი, ზღაპარი].—„ერთ შეძლებულ მეპატონეს ჰყვანდა ულამაზესი გასათხოვარი ქალი...“ 34 r—37 v.

15. [სოლომონ ბრძენი და მენახირე].—„მენახირეს მინდორზე ნახირი ეყენა. ძროხას მუცელი უტკიოდა...“ 38 r—38 v.

16. „ბედი [ზღაპარი].—ერთ მეფის შვილს სიზმარში უთხრეს:—შენი ბედი ამადაამ სოფელში, ამნაირ ოჯახში არისო...“ 38 v—39 r.

2449

კრებული (ხალხური ლექსები და გამოცანები), XX

14 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; [XX ს.]; შემკრები: ანნა გრიგორის ასული კაპანაძე; ქართლი; ფ. 14 დაუწერელია.

1. იავნანას წესები და სიმღერები, №№ 74, 79.
2. გმირობისა და ვაჟკაცობის ლექსები, №№ 69, 81, 82—87.
3. საისტორიო ლექსები, №№ 1, 2, 6, 66.
4. ციხისა და ყაჩაღობის ლექსები, №№ 5, 7.
5. ფილოსოფიური ხასიათის ლექსები, ეპიტაფიები, №№ 56, 57, 67, 88.
6. სასულიერო ლექსები, № 33.
7. სატრფიალო ლექსები, № 4, 22, 23—26, 34, 38—41, 43, 44, 51—54, 58, 59, 64, 65, 70, 71, 73, 75, 76.
8. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 3, 8, 9, 10, 16, 46, 55, 68, 71.
9. შაირი, სუფრული, დალოცვა, №№ 4—15, 17—21, 27—32, 35—37, 42, 45, 47—50, 77, 78, 60—63.
10. გამოცანები, №№ 89—127.

შენიშვნა: № 1—42—„გარიყულაზე ჩაწერილი“ (1 r). №№ 43—54—„სოფ. ბაბიანთ კარში“ (5 v). №№ 55—63—„სოფ. გომში“ (6 v). №№ 64—65—„სოფ. ერთაწმინდაში“ (7 r). №№ 66, 67—„ყარაღაჯში“ (7 v). №№ 68—79—„სოფ. მეტეხში“ (7 v). №№ 80—83—„კლდეკაპნებში“ (8 v). №№ 84—125—„სოფ. ვარჯანში“ (9 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2450

შელოცვები, XX

7 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; შემკრები: ანეტა გრიგორის ასული კაპანაძე; [XX ს.].

1. შეშინებულის ლოცვა.—„სახელო, სახელო ღვთისაო, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა. აი შეგეშინდა? დაი შეგეშინდა? რამ შეგაშინა? გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი...“

50 შელოცვის ტექსტი, 1 r—7 v.

2451

კრებული (ბრძენთა ნათქვამი), XX

4 გვ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; [XX ს.]; შემკრები: ანეტა კაპანაძე.

„ყველა მგზავრი გარეთ გასული, ცდაშია, სახლში დაბრუნდნენ, მხოლოდ მეცნიერნი ცდილობენ სიბრძნე და ჭკუა შეიძინონ“.

ბინდოს დაეკითხნენ, რა უფრო პატიოსანიაო, მან უპასუხა: კეთილდღეობაო.

ბაბიოს სთქვა: ყოველი კაცი მოვალეა ჯერ ბოლო იფიქროს, მერე ხელი შეახოს საქმესაო.

ეფრიდის სთქვა: სმენა კარგი სიტყვისა და მირთმევა ტკბილეულობისა ერთიაო.

რუსთველმა სთქვა: ჩემი ჩემსავით არავინ იცის, რა მამწარებს ან რა მატკბობს...“ 1 გვ.—4 გვ.

2452

ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანი—ჩერქეზებში ანდაზად დარჩენილი, 1869

2 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; 1869 წ.; ავტოგრაფი; ფ. 2 დაუწერელია.

„როდესაც ჩერქეზი ჩერქეზს შეებაასება საქმეს რაზედმე და ერთი მეორეს ვერ დააჯერებს, ეტყვის:—„ნამუსი არ არის, მეფის ირაკლის სიტყვა აღარ იციო?“. ეს სიტყვა რისთვისაც არის შემოღებული იმათში, მოკლეთ ავწერ...“ 1 r—1 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2453

კრებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა, 1911

39 ფ.; 36×22; ქაღალდი; რვეულად შეკრული; მხედრული; 1911 წ.; შემკრები: გენადი მახელიძე; სოფ. ხრეითი, ზემო იმერეთი; ნაწერია ცალგვერდზე.

1. შელოცვები, №№ 40, 41, 42, 43.
2. საისტორიო ლექსები, №№ 1, 2, 4, 25.
3. საყოფაცხოვრებო ლექსები, № 3.
4. ფილოსოფიური ლექსები, №№ 22, 23.
5. სასულიერო ლექსები, №№ 19, 20, 21, 24.
6. ქება, №№ 26, 27.
7. ანდაზები, №№ 5—18.
8. „თამარ მეფე და რუსთაველი.—თამარი ძლიერ გაკვირვებული იყო რუსთაველის ნიჭით და ერთხელ უთხრა მას, რომ დაეწერა რამ და უნაყოფოთ არ დამარხულიყო მიწაში მისი ტვინი...“ 19 r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია 2 ხალხური ლექსი.

9. „ჯაინოზის კარაბადინი.—ერთ ქვეყანაში სცხოვრებდა ერთი გლახა. არასფერ საქმეში შნო არ ჰქონდა და შიმშილით კვდებოდა. მეფემ შეიბრალა და გასცა ბრძანება თავის მოსამსახურეებზე, რომ მოეყვანათ იგი და ერჩინათ მის სასახლეში...“ 23 r—25 r.

შენიშვნა: ზღაპარში ჩართულია თქმულება დავით აღმაშენებლის შესახებ.

10. „გიორგი ღვთის-შვილი [ზღაპარი].—იყო ერთი მღდავითნე, ყავდა მას ლამაზი ცოლი...“ 26 r—29 r.

11. „ვახრაკი და მისი შეგირდი [ზღაპარი].—იყო ერთი კაცი, ყავდა მას ერთი ვაჟი: მამამ მოინდომა, რომ შვილისთვის რაიმე ხელობა ესწავლებია და წაიყვანა იგი ერთ ქალაქში...“ 30 r.

12. „კაცი და ეშმაკი.—მიდიოდა კაცი. მთისკენ, შეხვდა წინ ეშმაკი და შეექნათ საუბარი—მთაზე მიხვალ კაცო?—შეეკითხა ეშმაკი...
— მა სად მივალ!—მიუგო კაცმა...“ 31 r—32 r.

13. „უნამუსო დედაკაცი.—იყო ერთი კაცი, ყავდა მას ლამაზი ცოლი, ხშირად, ძალიან ხშირად ცოლი ავადმყოფობას იგონებდა და გზავნიდა ქმარს ხან იქით, ხან აქეთ წამლების მოსატანად...“ 33 r—35 r.

14. „ხალხური თქმულება თამარ მეფის შესახებ.—ერთ გამოჩინებულ მეფეს არ ყავდა ვაჟი. იგი ძლიერ დაღონებული იყო, რადგან ტახტის მემკვიდრეს ვერ ხედავდა...“ 36 r.

სულ 43 ტექსტი 1 r—39 r.

შენიშვნა: ა. № 39 „ჩაწერილია სოფ. მოლითში—ზემო იმერეთი“. (36 r).
ბ. ხელნაწერს ერთვის: „შენიშვნა: ყველა თქმულებები, რომელნიც ამ რვეულშია თავმოყრილი, გარდა ერთი გამონაკლისისა, შეგროვილია სოფ. ხრეითში, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებარეობს შორაპნის მაზრაში. ყველა ეს თქმულებები გადმოცემულია ერთი პირისაგან, რომელიც 85 წლის მოხუცია, რის გამოც მას დალაგებით ლაპარაკი აღარ ეხერხებოდა; ამისათვის უნდა შევნიშნო, რომ რამდენიმე ლექსი, როგორც მაგალ., „სიკვდილი და სიცოცხლე", „სული და ხორცი"—დალაგებით არაა ჩაწერილი; ეს ლექსები რამდენჯერმე გავამეორებიე მოხუცს და რამდენჯერ გაიმეორა—იმდენჯერ აურია: ზოგ ტაეპს ხან წინ იტყოდა და ხან შემდეგ; ბოლოს ისე გადმოვიტანე ამ რვეულში, როგორც პირველად მოყვა: გარდა ამისა აქ ორ ლექსს სათაურის მაგივრად აზის „№№"-ბი. ამ ლექსების შესახებ მოხუცმა ვერაფერი ვერ მითხრა სათაური და ან რაზე იყო ნათქვამი; მხოლოდ ლექსად მოჰყვა და მეც ისე ჩავიტანე რვეულში. რაც შეეხება შელოცვებს, იგინი ძლიერ ბევრია ხალხში გავრცელებული, მაგრამ, საუბედუროდ, ქალები, რომლებიც ამ შელოცვების ბუდეთ არიან სოფელში გადაქცეულნი—არაფრის გულისთვის არ მოგიყვებიან მათ. გენ[ადი] მიხელიძე". (39 r).

გ. თავფურცელი: „სოფ. ხრეითი (ზემო იმერეთი). ხალხური თქმულებები შეკრებული გენნადი მიხელიძისგან. 1911 წელი".

2454

კრებული ხალხური ლექსებისა, 1883

3 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; 1883 წ. (1 r); შემკრები: ნიკო კარიჭაშვილი; ს. ხიდისთავი.

1. შრომის ლექსები, № 39.
2. საისტორიო ლექსები, №№ 42, 43, 44.
3. საყოფაცხოვრებო ლექსები, №№ 2, 6, 7, 10, 11, 21, 28.
4. ფილოსოფიური ლექსები, №№ 35, 36, 41.
5. სასულიერო ლექსები, №№ 20, 34, 40.
6. შაირი, [ბევრი სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის შაირი] №№ 5, 12—19, 22—32, 45.
7. ქება. №№ 4, 33.

სულ 45 ტექსტი. 1 r—3 r.

თავფურცელი: „1883 წ. ხალხური ლექსები ხიდისთავში შეგროვილი ნიკო კარიჭაშვილისაგან".

2455

ტარიელის ზღაპარი, XX

4 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; შემკრები: სევასტი გაჩეჩილაძე; მთქმელი: მიხეილ გაჩეჩილაძე (მჭედელი); ს. წევა; [XX ს.].

„ტ ა რ ი ე ლ ი:—იყო ერთი ხემწიფე. ერთხელ ხემწიფე წევიდა სანადიროთ, ინადირა და ჩრდილში მიჯდა. დაისვენა, თურმე სანადიროთ ყოფილიყო აღმოსავლეთის ხემწიფეც და უცაბედათ წამოატყდა ამ ხემწიფეს თავზე..." 2 r—4 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: თავფურცელი „ტარიელის ზღაპარი, გაგონილი მიხეილა გაჩეჩილაძისაგან (მჭედლისაგან) ს. წევაში და ჩაწერილი სევასტი გაჩეჩილაძის მერ".

2456

ხალხური ლექსები, 1911

4 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; 1911 წ. შემკრები: ია კარგარეთელი; მთქმელი; გიგლო კაკალაშვილი; ს. ქვემო-ხანდაკი, გორის მაზრა: ნაწერია ცალგვერდზე.

1. ქორწილის წესები და სიმღერები, № 1.
2. სასულიერო ლექსები, №№ 2, 3.

სულ 3 ტექსტი. 1 r—4 r.

შენიშვნა: აქვს თავფურცელი: „ხალხური ლექსები ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ ქართლში, ყველა აქ მოთავსებული ლექსები ნაამბობია გიგლო კაკალაშვილის მიერ, რომელიც ცხოვრობს სოფ. ქვემო-ხანდაკში, გორის მაზრაში".

2457

დავით მონადირე (ზღაპარი), 1908

4 ფ.; 35×22 (სხვა და სხვა ზომისა); ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; 1908; შემკრები: პლატონ ფალავანდიშვილი.

„დავით მონადირე.—იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე, ამ მონადირეს ძაან უყვარდა მონადირობა და მართლაც კარგი მონადირეც იყო. ერთხელ ნადირობიდან დაბრუნდა, ისეთი გაჯავრებული იყო, რომ კაციც რომ შეხვედროდა, იმასაც ესროდა, არამთუ ნადირს..." 1 r—4 r.

შენიშვნა: ზღაპარს უძღვის შესავალი: „მე უნდა გავაგებინო ის შემთხვევა, რომელიც თვალით კი არ მინახამს, მაგრა[მ] ზღაპრათ კი გამიგონია..." (1 r).

2458

კრებული [ზეპირსიტყვიერების ნიმუშები], XX

4 ფ.; 35×22; ქაღალდი; აუკინძავი; მხედრული; [XX ს.[; შემკრები: ნიკო წინამძღვრიშვილი (4 r); მთქმელი—კოტე გოგიჭაშვილი; ს. ატოცი, გორის მაზრა; ნაწერია ცალ გვერდზე.

1. „ი ვ ა ნ ე მ ო ნ ა დ ი რ ე (ზღაპარი).—იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. წავიდა ერთხელ სანადიროდ..." 1 r—4 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „ციციონის ლექსი.—
ციციონმა დაიკვეხა: მინდა ერთი განჯა ვნახო,
განჯის ციხე არ მინახავს, მინდა ერთი ეხლა ვნახო...“ (1 r).

შენიშვნა: „თბ[ილისის] სათ[ავად]-აზნ[აურო] გიმნაზიის მოწაფეთაგან“. (1 r).

2459

ვაჟა-ფშაველა — ფშაველი და მისი წუთისოფელი, XX

22 ფ.; 36×22; ქაღალდი; უყდო; ავტოგრაფი: [XX ს.],

„ფშაველი და მისი წუთისოფელი (ეთნოგრაფიული მოთხრობა).—ანუკას, გამახარეს საცოლეს, გატაცება აგვისტოს მიწურულ რიცხვებში მოხდა, გამარჯვებული მდევარი საძებარის პოვნით დაკმაყოფილებული მიდიოდა სოფ. ვანხევისაკენ...“ 1 r—19 v.

წ ყ დ ე ბ ა: „მეც ამ ქორწილში გახლდით, ყველაფერი ჩემის თვალითა და ყურით გავიგონე, რასაც ფშაველები ამ დროს ლექსებს თუ ანდაზებს ამბობდენ, ჩუმად ქაღალდი და კარანდაში მეჭირა და ვიწერდი პატარა რვეულში. ვგონებ, არ უნდა იყოს ურიგო, თქვენც გაგიზიაროთ ეს ლექსები.—

„ქორწილის გამხარებელო, დავწვი ეგ შენი ქალობა,
არ იცი თავისიანი, თუ კი შეატყე ფშავლობა...“

საქორწილო ლექსები 14 r—19 v.

შენიშვნა: ერთვის „ანდაზები“ 20 r—22 v-მდე. სულ 168 ანდაზა.

2460

აპოკრიფული ხასიათის ნაწყვეტი, XIX

7 ფ.; 34×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო; ნაწყვეტი; [XIX ს.].

„...ესე ვითარი ისრაელთაგან განწყრა მათ ზედა და ეტყოდა: არავე მოაკლდესაა უსჯულოებასა და გულ ბოროტებასა თქუენსა, ანუ არა უმჯობეს იყოაა თაყვანის ცემად ღმერთი იგი...“

წ ყ დ ე ბ ა: „...რასაცა ჯერ იყოს თქვენგან ყოფად, ხოლო მათ რქვეს: ესრე ყოფად. და წარვიდა მოსე. ვედრება...“

შენიშვნა; 1. ტექსტი 5 r—7 v ნაწერია სხვა ხელით.

2. ტექსტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წარღვნის ამბავს. „...და ვითარ მოვიდა ჟამი, კვალად ჰრქვა ანგე[illegible]ზმან, ნოვე, წადი პირსა მას დიდისა ზღვისასა და იხილო ყოველი რაიცა არს ცათა ქუეშე შექმნილი სულიერად და შეაყენე კიდობანსა მას ყოველსავე მამალი და დედალი...“ 2 r.

2461

კვინტოს კურციოს — ცხოვრება ალექსანდრესი, XIX

35 ფ.; 34×21; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; შიგადაშიგ ნასწორებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კვინტოს კურციოს. ცხოვრება ალექსანდრესი, წიგნი მეექვსე, თავი პირველი:—ამათ შინა, ოდეს ესე გუარნი დიდნი საქმენი მოიცვიდენ აზიას, საბერძნეთსა შინა და მაკედონიას იყო აგრეთვე განსუჩნებელობა...“ 1 r—35 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და თუ სადამე განზრახვსამებრ შენისა დაიმორჩილნე ყოველნი ნათესავნი კაცთანი, მაშინ იწყო ბრძოლანი...“.

2462

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros.).

2463

„კავკასიის სამეურნეო ფრინველთა გამოფენა ქ. ქუთაისში“ პროექტი, 1904

2 ფ.; 36×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო; დამწერი: ნ. მკურნალი; 1904 წ. (1 r).

„კავკასიის სამეურნეო ფრინველთა გამოფენა ქ. ქუთაისში 1904 წ. პროგრამა და წესები. § 1.—გამოფენას აქვს აზრად: 1. გააცნოს საზოგადოებას ის, თუ რა მდგომარეობაშია კავკასიაში სხვადასხვა გვარის სამეურნეო ფრინველობა, სად, რა ნაირია და რა ჯიშის არის...“

შენიშვნა: ერთვის: „ქუთაისის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება უუმორჩილესად სთხოვს სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, გადაბეჭდოს გამოფენის პროგრამმა და წესები.

საზოგადოების მდივანი: ნ. მკურნალი“.

2464

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში. Ros: 242).

2465

მელვინეთხუცესი დიმიტრი—„სახალხო“ (ურიათათვის), 1877

11 ფ.; 36×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1877 წ.; ავტოგრაფი; ადგილი: თბილისი.

„ურიათათჳს.—ურიანი, იგინივე ისრაელნი, დასახლებულან საქართველოში უწინარეს ქრისტეს შობადმდე, როგორც მოგვითხრობს ძველი მატიანე...“ 2 r—9 v.

შენიშვნა: უძღვის: 1. „სახალხო. ურიათათჳს, გამოცემული დიმიტრი კოსტანტინეს ძის მელვინეთ-ხუცესოვის მიერ. 1877-სა წელსა დაბეჭდილი. ტფილისი“.

2. „წარსულს წ[ლ]ებში მქონდა მე მონდობილი სამეცნიერო აკადემიისაგან აკადემიკ[ო]ს ბ[რ]ოსეს გამორჩევით შემეკრიფა არხეოლოგიური სხვად[ა]სხვა ცნობანი საქართველოს ისტორიისათჳს. ამ მიზეზით ჩემს მოგზაურობაში მე შევკრიფე სხვანიცა ფრიად საინტერესო და საგულისხმო ცნობანი მოხსენებულნი ამა მცი[რე] რვეულში „სახ[ე]ლხო“, რომელსაც უძღვნი გულითადი პატივისცემით ჩემს მემამულეთა. გამომცემელი დიმ. მელვინეთხუცესოვი“. 1 r.

3. „შინაარსი“ 1 v.

დართული არის ტექსტის მეორე პირი.

2466

ქადაგები, იგივე საქართველოს ჩვეულება, XIX

4 ფ.; 36×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო; [XIX ს.]; ნასწორებია შიგადაშიგ.

„ქადაგები, იგივე საქართველოს ჩვეულება.—წარსულ საუკუნოებში საქართველოს დედაკაცებს მდაბალის წოდებისას ჰქონდათ ჩვეულება ეკკლესიებში ქადაგათ დაცემა...“ 1 r—4 r.

შენიშვნა: ქადაგები დიმიტრი მელვინეთხუცესის არის.

2467

ხატის წარწერის პირი, 1848

2 ფ.; 36×22; ქაღალდი; მხედრული; უყდო; 1848 წ.; ხატის შემწირველ-შემამკობელი ანტონ კათალიკოსი, ირაკლის ძე.

„აღთქმული უტყუელისაგან პირისა მარადის აღსრულებულ არს სათნოსა ზედა თჳსსა, რომელი შეჰსდგომიეს ნებასა მისსა და ესე არს მარადის მადიდებელისა მისისა მისგან დიდება...“ 1 r—v.

შენიშვნა: ერთვის: „ეს გადმოვწერე თ. დავით [ე]ესტატის ძის ციციანოვის სახლში 17 სექტემბერს, 1848 წელსა.

ამა წარწერის მიზეზი იყო ე[ს]ე: ოდეს ყაენი მოვიდა და მოაოხრა საქართველო, მაში[ნ] ანტონი კათალიკოზი ბრძანდებოდა თელავს, აქა ოდეს მეორეთ აპირებდა ყაენი მოსვლას და სრულად უმეტესად მოოხრებასა, მაშინ კათოლიკოს[ს] გამოეცხადა ხატი ესე და ეტყოდა: «ნუ შეძრწუნებულხარ, არამედ ეტყოდი მეფეს, რომელ ყაენზედ არს რისხვა ღ[მ]რთისა მოვლინებული, ნუღარ აიყრებით და ნურცა მე წამასვენებთ სადმე». და მსწრაფ მიეფარა. შემდგომ მოიჭრა კაცი, რომელმანცა მოახსენა, ყაენი მოკლეს შუშასო“. 1 v.

2468 ა-ბ

ფრაგმენტები, XIX

2 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; მხედრული; ნაწყვეტი; უყდო; [XIX ს.]; ფრაგმენტი ა და ბ ერთი მეორის პირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქალწული წმინდა ტაძარსა შინა ღ̃თისასა დაძინებულ იყო. ჰრქუა იესო დედასა თჳსსა: დედაო, გძინავს ანუ მღვიძარე ხარ?—ჰრქუა ყოვლად წმინდამან: ჵე, ძეო ჩემო, არცა მძინავს და არცა მღვიძარე ვარ...“

2469

დღესასწაული სოფელ წევას, XIX

1 ფ.; 35×22; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.].

„იე-სა ივლისს წმინდის გიორგის ეკკლესიაზედ სოფელსა წევას დღესასწაულობენ იმავე სოფელში მცხოვრებელნი, რომელთაცა ყავსთ მოწოდებულნი სტუმრად სხუადასხუა სოფლებიდან ნათესავნი და მეგობარნი...“

2470

პლატონ მიტროპოლიტი—შესხმა, ალექსანდრე პირველის კურთხევის გამო, 1802

8 ფ.; 35×22; ქაღალდი; მხედრული, პარალელურად რუსული ტექსტი; უყდო; 1802 წ. (8 r). მთარგმნელი: ვასილ ჩილაძე (8 r).

„შესხმა.—შემდგომად მისის დიდებულობის უავღუსტესობითის დაგვირგვინებისა.

და ესრეთ ღირს გვყო ჩვენ ღმერთმან ხილვად მეფისა თვისისა გვირგვინოსნისა და ყოვლად ამაღლებულისა. რაი ვთქვათ ჩვენ აწ, ჵი, ძენო რუსეთისანო...“ 2 r—8 r.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „Речь говоренная преосвященнейшим Платоном, Митрополитом Московским и Коломенским, в день священнейшего коронования его императорского величества Александра I-го, сентября 15-го дня, 1801-го года“. 1 r.

ერთვის: „На грузинской язык переводил титулярный советник Василий Чилаев. Октября 25 дня, 1802 года“. 8 r.

2471

ალ. ორბელიანი—1829 წლის არეულობა საქართველოში, 1865

6 ფ.; 36×23; ქაღალდი; ავტოგრაფი; უყდო; 1865 წ. (10 გვ.).

„1829-სა წელსა არეულობა საქართველოში.—ახალს მოთხოვილებაზე (!) ჩუჱნს ხალხთან ყოუჱლთვის სიფთხილე საჭიროა, თუ ფთხილად და მშვიდობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობით დაიწყება საქმე, თუ მოქმედის პირმა იცის, როგორ მოიქცეს ან რა უნდა თქუას ამ ჩუჱნს ხალხში, ჩემის აზრით, ყუჱლას შეისრულებს..." 1 გვ.—10 გვ.

შენიშვნა: ერთვის: „თავადი ალექსანდრე ვახტანგისძე ჯ[ამბაკურ] ორბელიანი. 27-სა ნოემბერს, 1865-სა წელსა, ქ. ტფილისს". 10 გვ.

2472

დ. ბაქრაძე—თბილისის ისტორია, 1880

